სოციალურ მეცნიერებათა სერია

GCI
Publishing House
გამომცემლობა ჯისიაი
Tel/Fax: (995 32) 33 52 91, (995 32) 95 31 99
E-mail: gci@gol.ge

Man, the State and War

A THEORETICAL ANALYSIS

By Kenneth N. Waltz

COLUMBIA UNIVERSITY PRESS
New York and London

ადამიანი, სახელმწიფო და ომი

თეორიული ანალიზი

კენეთ ნ. უოლცი

გამომცემლობა ჯგისიაი
Publishing House GCI

წიგნი გამოცემულია "ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მთარგმნელობითი პროექტის" (CEU Translation Project) მხარდაჭერით, ფონდის OSI - Zug, ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის გამომცემლობის განვითარების ცენტრის (CPD), ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" (OSGF) სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამისა (SSSP) და საგამომცემლო-მთარგმნელობითი პროგრამის (TP) ფინანსური ხელშეწყობით.

The edition was published with the support of the "Central European University Translation Project", sponsored by the OSI-Zug Foundation and with the contribution of the Center for Publishing Development of the Open Society Institute-Budapest, Social Sciences Support Program and Translation Program of the Open Society - Georgia Foundation.

რედაქტორი	ნინო კიღურაძე
მთარგმნელები	თორნიკე თურმანიძე
	ერეკლე ურუშაძე
კომპიუტერული დიზაინი	ლია მოსეშვილი

This reprint edition is a complete reproduction of the U.S. edition, specially authorized by the original publisher, Columbia University Press, for publication and sale only in Georgia.

Copyright © 1954, 1959 Columbia University Press

ISBN 0-231-02292-1 Cloth
ISBN 0-231-08564-8 Paperback

Tenth paperback and eighth cloth printing.
Printed in the United States of America

ქართული გამოცემის საავტორო უფლება დაცულია

© გამომცემლობა ჯისიაი 2003

სარჩევი

წინასიტყვაობა 7

წინათქმა 9

I. შესავალი 11

II. პირველი ხედვა: საერთაშორისო
კონფლიქტი და ადამიანის ქცევა 27

III. პირველი ხედვის ზოგიერთი შედეგი:
ბიჰევიორული მეცნიერებები და სახელმწიფოთა
შორის ძალადობის შემცირება 54

IV. მეორე ხედვა: საერთაშორისო კონფლიქტი
და სახელმწიფოთა შიდა წყობა 94

V. მეორე ხედვის ზოგიერთი შედეგი:
საერთაშორისო სოციალიზმი და პირველი
მსოფლიო ომის მოახლოება 141

VI. მესამე ხედვა: საერთაშორისო
კონფლიქტი და საერთაშორისო ანარქია 178

VII. მესამე ხედვის ზოგიერთი შედეგი:
მაგალითები ეკონომიკიდან, პოლიტიკიდან
და ისტორიიდან 208

VIII. დასკვნა 248

ბიბლიოგრაფია 264

წინასიტყვაობა

ადამიანი, სახელმწიფო და ომი რიგით მეორე ნაშრომია, რომელიც „საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალურ საკითხთა კვლევების“ სერიით ქვეყნდება. ეს სერია მიზნად ისახავს იმის წარმოჩენას, თუ რამდენად დიდი წვლილის შეტანა შეუძლია დღეისათვის დაგროვილ ცოდნას თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლაში. აკადემიური სპეციალიზაციის სრულიად ახალ დარგშიც კი მეცნიერისათვის ყველაფრის ნულიდან დაწყება აუცილებელი არ არის. პირიქით, იგი მოვალეა, ცოდნის არსებულ წყაროებს დაეყრდნოს. ერთ-ერთი ასეთი წყარო, რომლის სარგებლიანობასაც საერთაშორისო ურთიერთობებისათვის ყველაზე ნაკლებად აღიარებენ, კლასიკური დასავლური პოლიტიკური აზრია. „აქტუალურ საკითხთა კვლევების“ სერიის ყოველი ტომი ამგვარი შეცდომების გამოსწორების მცდელობას წარმოადგენს. ამდენად, სრულიად მართებულია, რომ *ადამიანი, სახელმწიფო* და *ომი* ამ სერიაში იქნა შეტანილი.

პროფესორმა უოლცმა გადაწყვიტა გამოეკვლია, თუ რა კონკრეტული წვლილი შეაქვს კლასიკურ პოლიტიკურ თეორიას ომის მიზეზების გაგებასა და იმ პირობების გამორკვევაში, რომლებიც ომის, როგორც ცენტრალური ხელისუფლების არარსებობისას, ადამიანთა ჯგუფებს შორის დავების გადაწყვეტის საბოლოო მექანიზმის გაკონტროლების ან აღმოფხვრის შესაძლებლობას იძლევა. მართალია, არის სხვა ფუნდამენტური კითხვები, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელებში ინტერესს აღძრავს და რომლებზეც პოლიტიკური თეორიის კლასიკოსები პასუხის გაცემას ცდილობდნენ, მაგრამ არცერთი მათგანი არ არის ისე მნიშვნელოვანი, როგორც პროფესორ უოლცის მიერ დასმული შეკითხვა.

მისი მეთოდი გულისხმობს იმ პასუხების შინაარსის გადმოცემას, რომლებსაც ამა თუ იმ თეორიის ტიპური წარმომადგენლები გვთავაზობენ და შემდგომ სხვადასხვა თავში თანამედროვე სოციალური მეცნიერებების ხაზით კვლევის წარმოებისათვის და სახელმწიფო პოლიტიკის სფეროში არჩევანის გაკეთებისათვის ამ კლასიკურ შეხედულებათა შედეგებისა და გამოყენების შესაძლებლობების განხილვას. ამრიგად, მისი ნაშრომი მხო-

ლოდ განმარტებით ხასიათს არ ატარებს. მას აინტერესებს არა მარტო ის, თუ სინამდვილეში რას გულისხმობდნენ დასავლური პოლიტიკური აზრის ბუმბერაზები, არამედ უფრო მეტად ის, თუ რა ცვლილებები მოუტანა კაცობრიობას მათმა ნააზრევმა და ნაწერებმა. მისი ინტერესი არ არის ანტიკვარული, ხოლო თვალთახედვა „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ მიდგომისგან შორს დგას.

„აქტუალურ საკითხთა კვლევების“ სერიის გამოცემას 1947 წელს ორგანიზაცია გაუწია კოლუმბიის უნივერსიტეტის რექტორმა დოქტორ გრეისონ კირკმა, რომელიც იმხანად აღნიშნულ უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების საგანს კითხულობდა. შემდგომში, მასზე დაკისრებულმა მძიმე ადმინისტრაციულმა მოვალეობებმა აუცილებელი გახადა, რომ ამ სერიის უშუალო რედაქტორობა ვინმე სხვას ეკისრა, რისი გაკეთებაც 1951 წელს მან მე მთხოვა. ხსენებული სერიის გამოკვლევები კარნეგის კორპორაციის მიერ კოლუმბიის უნივერსიტეტისათვის გაღებული გრანტით დაფინანსდა. მიუხედავად ამისა, არც ფონდი და არც უნივერსიტეტი „აქტუალურ საკითხთა კვლევების“ პროექტში მონაწილე მეცნიერთა დასკვნებზე პასუხისმგებლობას არ იღებს. როგორც მე ამ სერიის პირველი ტომის წინასიტყვაობაში (ალფრედ ვაგტი, *თავდაცვა და დიპლომატია*, 1956 წ.) უკვე აღვნიშნე, აქ გამოთქმული მოსაზრებები მთლიანად ავტორისაა და მასვე ენიჭება როგორც პატივი, ისე პასუხისმგებლობა ამ ნაშრომისათვის.

უილიამ ტ. რ. ფოქსი
ომისა და მშვიდობის კვლევების ინსტიტუტი
კოლუმბიის უნივერსიტეტი
ნიუ იორკი 6 აპრილი, 1959 წელი

წინათქმა

მომდევნო გვერდებზე საერთაშორისო ურთიერთობებისადმი ჩემი უშუალო დამოკიდებულება და პოლიტიკური თეორიის მიმართ ჩემი დიდი ხნის ინტერესია ასახული. ეს უკანასკნელი სათავეს იღებს ობერლინის კოლეჯში სწავლის პერიოდიდან, სადაც, ჯონ და ევარტ ლუისების წყალობით, თეორიის ხიბლი შევიგრძენი და პოლიტიკის შესწავლისათვის მისი მნიშვნელობა გავაცნობიერე. მოგვიანებით, კოლუმბიის უნივერსიტეტში მე წილად ხვდა ბედნიერება, ვეოფილიუკი ფრანც ნოიმანის სტუდენტი, რომლის ბრწყინვალება და მაღალი ოსტატობა, როგორც მასწავლებლისა, არასოდეს დავიწყდება მათ, ვინც მას იცნობდა.

უწინარეს ყოვლისა, მე დიდად დავალებული ვარ უილიამ ტ. რ. ფოქსისაგან. იგი დაუზარებლად მაძლევდა რჩევებსა და გონივრულ კრიტიკულ შენიშვნებს ხელნაწერის პირველი მონახაზიდან მისი საბოლოო ვერსიის შემუშავებამდე, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ. ამას გარდა, როგორც კოლუმბიის უნივერსიტეტის ომისა და მშვიდობის კვლევების ინსტიტუტის დირექტორმა, მან საშუალება მომცა, რამდენიმე ზაფხული და აგრეთვე, აკადემიური წლის გარკვეული ნაწილი კვლევისა და წერისათვის დამეთმო. საკმარისი არ იქნება იმის თქმა, რომ სწორედ მისი წყალობით არის ჩემი წიგნი უკეთესი, ვინაიდან მისი წახალისებისა და კონსულტაციების გარეშე ეს წიგნი, ალბათ, საერთოდ ვერ გამოვიდოდა.

მე საოცრად გამიმართლა სხვა კრიტიკოსებშიც, რომელთა შორის არიან: ჰერბერტ ა. დინი და ჯონ ბ. სტიუარტი, ორივე კოლუმბიის უნიეერსიტეტიდან და კენეთ ვ. თომპსონი როკფელერის ფონდიდან. თითოეულმა მათგანმა პატივი დამდო, წაეკითხა ჩემი ხელნაწერი მისი მომზადების ამა თუ იმ ეტაპზე, ხოლო პროფესორ სტიუარტს მისი ორ სხვადასხვა ეტაპზე წაკითხვის მოთმინებაც ეყო. თითოეულმა გამიზიარა შეხედულებები, რომლებმაც არაერთ შეცდომას გადამარჩინა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მიბიძგა იმისაკენ, რომ ჩემი ხელნაწერის დიდი ნაწილი გადამემოწმებინა და, ზოგიერთ შემთხვევაში, გადამეშუშავებინა

კიდეც, თუმცალა, მე უველა საკითხზე მათთვის მისაღები დასკვნები არ გამიკეთებია.

ჩემი მეუღლის მიერ გაწეული დახმარება გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ბავშვების გაჩუმება და ტექსტში მძიმეების ჩასწორება, ჩემი გაკრიტიკება და შემოწმება, ერთ-ერთი თავისათვის თითქმის მთლიანად მან ჩაატარა კვლევა, ხოლო დანარჩენი თავებისათვის იდეები და ინფორმაცია მომაწოდა. ამასთანავე, მსურს, დიდი მადლობა გადავუხადო კოლუმბიის უნივერსიტეტის გამომცემლობას გამოუცდელი ავტორის პრობლემების გაზიარებისა და მათ გადალახვაში დიდსულოვანი დახმარების გაწევისათვის.

ნაწუვეტები სხვათა ნაშრომებიდან ხშირად იმაზე უფრო კარგად გადმოცემს ჩემს აზრს, ვიდრე ამის პირადად მიღწევას ვიმედოვნებდი. ამიტომაც, მე უხვად მაქვს ჩასმული ტექსტში ციტატები და მსურს მადლიერებით მოვიხსენიო ის გამომცემლები, რომლებმაც საავტორო უფლებით დაცული წიგნებიდან ციტატების გადმობეჭდვის ნებართვა მომანიჭეს: George Allen and Unwin Ltd-ს ჭობსონის *იმპერიალიზმისათვის*, Constable and Company Ltd-ს ჯან-ჯაკ რუსოს ნაშრომისათვის *სანკრძლივი მშვიდობა ევროპის ფედერაციის საფუძველზე*, (ჩ. ე. ვონის თარგმანი), E. P. Dutton and Company Inc-ს ჯან-ჯაკ რუსოს *საზოგადოებრივი ხელშეკრულებისათვის*, (ჯ. დ. ჰ. კოლის თარგმანი), William Morrow and Company Inc-ს მარგარეტ მიდის წიგნებისათვის: *ახალი ხანის დადგომა სამოაში* (1928 წ.) და *შეინახეთ დენთი მშრალად* (1942 წ.), ფილოსოფიურ ბიბლიოთეკას *ომისა და მშვიდობის ფსიქოლოგიური ფაქტორებისათვის* (რედ. ტ. ჰ. პირი) და სოციალურ მეცნიერებათა კვლევის საბჭოს ოტო კლინებერგის *საერთაშორისო ურთიერთშეთანხმებაზე მოქმედი დაძაბულობებისათვის*.

კენეთ ნ. უოლტი
სვართმორის კოლეჯი
აპრილი, 1959

თავი I. შესავალი

იკითხო ის, თუ ვინ მოიგო ესა თუ ის ომი დაახლოებით იგივეა, რაც იკითხო ის, თუ ვინ მოიგო სან ფრანცისკოს მიწისძვრა, - უთქვამს ერთხელ ვიღაცას. შეხედულება, რომ ომებს არა გამარჯვება, არამედ მხოლოდ სხვადასხვა ხარისხის დამარცხება მოაქვს, საკმაოდ ფართოდ იქნა გაზიარებული მეოცე საუკუნეში. მაგრამ არის თუ არა ომი, მიწისძვრის მსგავსად, ბუნებრივი მოვლენა, რომლის გაკონტროლება ან თავიდან აცილება ადამიანს არ ძალუძს? ცოტა თუ გასცემს ამ კითხვას დადებით პასუხს, მიუხედავად იმისა, რომ კეთილშობილებით შთაგონებულმა და გულმოდგინედ განხორციელებულმა ომის აღმოფხვრის არაერთმა მცდელობამ სახელმწიფოებს შორის მშვიდობის მხოლოდ მოკლე ინტერვალები მოუტანა კაცობრიობას. შეუსაბამობა ცდასა და ნაყოფს, წადილსა და შედეგს შორის აშკარაა. ჩვენ გვეუბნებიან, რომ მშვიდობის სურვილი მყარად და ღრმად არის გამჯდარი რუს ხალხში და ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ იმავეს თქმა ამერიკელებზეც შეიძლება. ამ განცხადებებმა, წესით, უნდა გვანუგეშოს, მაგრამ ისტორიისა და თანამედროვე მოვლენების ფონზე ძნელია იმის დაჯერება, რომ ამგვარი სურვილი ნანატრ მდგომარეობამდე მიგვიყვანს.

სოციალური მეცნიერები, რომლებსაც გააზრებული აქვთ, თუ რამდენად მჭიდროდაა აწმყო წარსულთან დაკავშირებული და რამდენად ძლიერადაა სისტემის ნაწილები ურთიერთდამოკიდებული, რადიკალურად უკეთესი მსოფლიოს შექმნის შესაძლებლობას ეჭვის თვალით უყურებენ. კითხვაზე, შეიძლება თუ არა დღეს მშვიდობის შენარჩუნება მაშინ, როდესაც წარსულში მუდამ ომი იყო, პასუხი უმეტესწილად პესიმისტურია. თუმცა, შესაძლოა, ეს არასწორი შეკითხვაც იყოს. გაცილებით ნაკლებად დამთრგუნველი პასუხები გაიჟღერებს, თუ შემდეგ კითხვებს დავსვამთ: არსებობს თუ არა ომის ალბათობის შემცირებისა და მშვიდობის ალბათობის გაზრდის საშუალებები? შესაძლებელია თუ არა, მომავალში უფრო ხშირად იყოს მშვიდობა, ვიდრე წარსულში?

მშვიდობა მხოლოდ ერთ-ერთია იმ მიზნებს შორის, რომლებსაც კაცობრიობა ესწრაფის. მშვიდობის მიღწევის უამრავი საშუალება არსებობს. მიზნის განხორციელება და ამისათვის საშუალებების გამოყენება სხვადასხვა პირობებში ხდება. მართალია, ძნელია იმის და-

ჯერება, რომ ჯერ კიდევ დარჩა მშვიდობისაკენ მიმავალი რამდენიმე ისეთი გზა, რომელიც სახელმწიფო მოღვაწეებს არ გამოუცდიათ, ხოლო პუბლიციტებს არ შემოუთავაზებიათ, მაგრამ პრობლემის სირთულე მოქმედების განსხვავებული კომბინაციების მოფიქრების საჭიროებაზე მიუთითებს იმ იმედით, რომ რომელიმე მათგანი მიზანთან მიგვაახლოვებს. ხომ არ გვაძლევს ეს იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ სახელმწიფო მოღვაწის სიბრძნე ჯერ ერთი, შემდეგ კი მეორე პოლიტიკის გატარებაში მდგომარეობს ანუ იმის გაკეთებაში, რასაც დროის ესა თუ ის მომენტი მოითხოვს? ამ კითხვაზე დადებითი პასუხი ნიშნავს იმას, რომ სამყაროს გაუმჯობესების იმედი ანალიზისაგან გამიჯნულ პოლიტიკას, ფიქრისაგან დაშორებულ ქმედებას ემყარება. თუმცა, მდგომარეობის გამოსწორების ნებისმიერი მცდელობა მისი მიზეზების შესახებ გარკვეული წარმოდგენიდან მომდინარეობს: იმის ახსნა, თუ როგორ შეიძლება მშვიდობის უფრო ადვილად მიღწევა, ომის მიზეზების გაცნობიერებას საჭიროებს. სწორედ ამას შევეცდებით მომდევნო გვერდებზე. მორტიმერ ადლერის წიგნის სათაურს თუ დავესესხებით, ჩვენი ამოცანაა იმის გარკვევა, თუ „როგორ ვიფიქროთ ომსა და მშვიდობაზე.“ შემდგომი თავები, გარკვეული თვალსაზრისით, არის ესეები პოლიტიკის თეორიაში. ხსენებულ აღწერილობას, ერთი მხრივ, კვლევის ხასიათი ადასტურებს - ჩვენ შევისწავლით შეხედულებებს და მათ შორის განსხვავებების მოძებნას შევეცდებით, - მეორე მხრივ კი, ის გარემოება, რომ რამდენიმე პოლიტიკურ ფილოსოფოსს განვიხილავთ, ზოგიერთს მოკლედ, როგორც, მაგალითად, ნეტარ ავგუსტინეს, მაკიაველის, სპინოზასა და კანტს, ზოგიერთს კი ვრცლად, როგორც, მაგალითად, რუსოს. ჩვენ, აგრეთვე, აზროვნების სხვადასხვა ტიპზე გავამახვილებთ ყურადღებას და ცალ-ცალკე თავებში შევჩერდებით ბიჰევიორისტ მეცნიერებზე, ლიბერალებსა და სოციალისტებზე. მაგრამ რა კავშირი აქვს სხვა მეცნიერთა შეხედულებებს, რომელთა უმრავლესობა შორეულ წარსულში ცხოვრობდა, დღევანდელობის საჭირბოროტო და საზარელ პრობლემებთან? წიგნის დანარჩენი ნაწილი ამ კითხვას პასუხს გასცემს, მაგრამ მანამდე, ალბათ, კარგი იქნებოდა იმ მიმართულებების გამოყოფა, რომლებითაც ჩვენი მსჯელობა წარიმართება.

რატომ უშვებს ღმერთი, თუ ის ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლეა, ამქვეყნად ბოროტებას? - კითხულობს უბრალო ჰურონი ვოლტერის ერთ-ერთ თხზულებაში, რითაც განსწავლულ საეკლესიო მოღვაწეებს უხერხულ მდგომარეობაში აგდებს. ღმერთის სამართლიანობის პრობლემის ამქვეყნიური ვაგება - ადამიანის მიერ ბოროტების არსებობის ახსნა - საინტერესოც არის და დამაბნეველიც. ავადმყოფობა და ჭირი, შეუწყნარებლობა და ძალადობა, ქურდობა და მკვლელობა, ძარცვა და ომი მსოფლიო ისტორიაში მუდმივად გვხვდება. რატომ არის ასე? შესაძლებელია თუ არა ომისა და ბოროტების ერთგვარად ახსნა? არის თუ არა ომი მასობრივი ბოროტება და, მაშასადამე დასაშვებია თუ არა ბოროტების ახსნა საზოგადოებაში არსებული იმ ავი ზრახვების საფუძველზე, რომელთა მსხვერპლიც ხდება ადამიანი? ბევრი ფიქრობდა ასე.

მართალია, ღვთის ნებით, ჩვენ ყოველგვარი გარეშე საფრთხისაგან დაცულნი ვართ, - [წერს ჯონ მილტონი] - მაგრამ ჩვენი ზრახვები იმდენად გარყვნილია, რომ გულში მჯიღის ცემასა და, როგორც ტალკვესიდან, ახალ-ახალი უბედურების თესლისა და ნაპერწკლების ყრას არ მოვეშვებით, სანამ ყოველივე ისევ ცეცხლს არ მიეცემა.[1]

ჩვენი უბედურება ჩვენივე ბუნების გარდაუვალი შედეგია. ყოველგვარი ბოროტების საწყისი ადამიანია და ამრიგად, იგი ომის, როგორც ბოროტების ერთ-ერთი ნაირსახეობის საწყისიც არის. ომის მიზეზის ეს ფართოდ გავრცელებული და ბევრის მიერ რელიგიურ მცნებად აღიარებული შეფასება დიდი გავლენით სარგებლობს. თავის დროზე ამ დასკვნამდე მივიდნენ ნეტარი ავგუსტინე და ლუთერი, მალთუსი და ჯონათან სვიფტი, დეკანოზი ინჯი და რაინჰოლდ ნიბური. საზოგადოებრივ აზროვნებაში შეხედულება იმის თაობაზე, რომ ადამიანის არსებაში გონებისა და გრძნობის მუდმივი ჭიდილი მეტწილად გრძნობის გამარჯვებით სრულდება, სპინოზას ფილისოფიურ მოძღვრებას, მათ შორის მის პოლიტიკურ ფილოსოფიას დაედო საფუძვლად. შესაძლებელია იმის თქმაც, რომ ამ თვალთახედვის გავლენა ისევე დიდად აისახა ბისმარკის მოღვაწეობაში, რომელიც ადამიანებს საკმაოდ უარყოფით შეფასებას აძლევდა, როგორც სპინოზას მკაცრ და სადა

---

[1] Milton, "The Doctrine and Discipline of Divorce," in *Works*, III, 180.

ნაშრომებში. თუ ადამიანის რწმენა მის მოლოდინს განაპირობებს, ხოლო ძოლოდინი - მის ქმედებებს, მილტონის მოსაზრების აღიარება ან უარყოფა უდიდეს მნიშვნელობას იძენს. რა თქმა უნდა, სავსებით შესაძლებელია, მილტონი მართალი იყოს, თუნდაც, არავის სჯეროდეს მისი სიტყვების. თუ ეს ასეა, ომის განმეორების მიზეზების ახსნა, დავუშვათ, ეკონომიკური ფაქტორებით, საინტერესო, მაგრამ უშედეგო ცდა გამოდგება. თუ ჭეშმარიტებაა დეკანოზ სვიფტის ის ნათქვამი, რომ „იგივე პრინციპი, რაც უბიძგებს ჩხუბისთავს ჩაუტეხოს ფანჯარა თავისუფალი ყოფაქცევის ქალს, რომელმაც იგი მიატოვა, აქეზებს დიდ მთავარს, შეკრიბოს უზარმაზარი ჯარი და იფიქროს მხოლოდ ალყებზე, ბრძოლებსა და გამარჯვებებზე,“[2] მაშინ მთავრების მიერ ომის წამოწყების მიზეზების დასაბუთება მხოლოდ იმ მოტივაციის გამართლება იქნება, რომლის გაცნობიერებისა და, შესაბამისად, საჯაროდ განცხადების უნარი მათ არ გააჩნიათ. აქვე იმის თქმაც უპრიანია, რომ ფრანგი სახელმწიფო მოღვაწის სიულის გეგმები, თუ, მართლაც, მსოფლიოში მშვიდობის დამყარებას ისახავდა მიზნად, ისეთივე ფუჭი იყო, როგორც ფრანგი ბერის კრიუსეს ოცნებები - ფუჭი, ვინაიდან ძირეული მიზეზის - ამპარტავნობისა და სიბრაზის - მოსპობისაკენ არ იყო მიმართული, რამაც არა მარტო ომი წარმოშვა, არამედ სხვა მრავალი უბედურება დაატეხა თავს კაცობრიობას.

ბევრი დაეთანხმა მილტონს იმაში, რომ სოციალური და პოლიტიკური მოვლენების ასახსნელად ადამიანის ბუნების შესწავლაა აუცილებელი, მაგრამ განსხვავებული აზრი გამოთქვა იმის შესახებ, თუ რას წამოადგენს ადამიანის ბუნება ან რად შეიძლება, ის გადაიქცეს. არიან ისეთებიც, ვინც ეს ძირითადი დებულება არ გაიზიარა. ქმნის თუ არა ადამიანი საზოგადოებას თავის ხატად, თუ, პირიქით, საზოგადოება ქმნის მას? მოსალოდნელი იყო, რომ იმ ეპოქაში, როდესაც ფილოსოფია ჯერ კიდევ თეოლოგიის ერთ-ერთ განშტოებას წარმოადგენდა, თეოლოგ ფილოსოფოსებს ადამიანის ბუნებისათვის მიეწერათ ის, რაც მანამდეც და შემდგომაც არაერთმა ფილოსოფოსმა პოლიტიკური წყობის შედეგად განსაზღვრა. რუსო იყო ერთ-ერთი იმ მოაზროვნეთაგანი, ვინც გაემიჯნა იმ შეხედულებას, რომ ადამიანის, როგორც სოციალური ცხოველის

[2] Swift. *A Tale of a Tub.*

ქცევა საზოგადოებაში მისი ცხოველური მოთხოვნილებების და/ან გონების საფუძველზე შეიძლება აიხსნას. ადამიანი იბადება და ბუნებრივ მდგომარეობაში არც კარგია და არც ცუდი. სწორედ საზოგადოებაა ადამიანის ცხოვრების მადეგრადირებელი ძალა, მაგრამ, ამავდროულად ის ზნეობრივი აღზრდის ინსტიტუტიცაა. ამ უკანასკნელი ეფექტის უარყოფა რუსოს არ სურდა, ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობაში დაბრუნება შესაძლებელადაც რომც მიეჩნია. ასეთია რუსოს პოზიცია, რომელიც მის სხვადასხვა ნაშრომში ნათლად ჩანს, ის კი, თითქოს რუსო ველურობის კეთილშობილებაზე იმედს ამყარებდა და საზოგადოების შექმნას არ მიესალმებოდა, უბრალოდ მითია.[3] ადამიანის ქცევა, მისი ბუნება, რომელიც ზოგიერთმა მიზეზად აღიქვა, რუსოს მიხედვით, მნიშვნელოვანწილად იმ საზოგადოების პროდუქტია, რომელშიც ეს ადამიანი ცხოვრობს, ხოლო საზოგადოება, რუსოს მტკიცებით, პოლიტიკური ორგანიზაციისაგან განუყოფელია. ორგანიზებული ძალაუფლების არარსებობის პირობებში, რომელიც, სულ მცირე, სასამართლო ხელისუფლების ფუნქციას უნდა ასრულებდეს, ადამიანები ოდნავ მაინც მშვიდობიანად თანაცხოვრებას ვერ ახერხებენ. საზოგადოების შესწავლა ხელისუფლებისა და, ასევე, ადამიანის შესწავლისაგან გამიჯნულად ვერ წარიმართება. რუსოს, პლატონის მსგავსად, სჯეროდა, რომ ცუდი პოლიტიკური წყობა ადამიანს აფუჭებს, კარგი პოლიტიკური წყობა კი - აკეთილშობილებს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო მეთუნეა, ხოლო ადამიანი თიხის მასა, რომელიც, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ხელოვანისათვის სასურველ ფორმას იღებს. როგორც რუსო აღნიშნავდა, ადამიანებს შორის ბევრი მსგავსება არსებობს, განურჩევლად იმისა, თუ სად ცხოვრობენ ისინი, მაგრამ ამავდროულად არაერთი განსხვავებაც არის, ხოლო მიზეზების ძიება ამ განსხვავებათა ახსნის მცდელობაა. მიზეზ-შედეგობრიობის მიგნება - თუ ქურდობისა და ომის მუდმივად განმეორება გვაღელვებს - სხვადასხვა სოციალური ურთიერთობის შესწავლის შედეგად არის შესაძლებელი, რასაც, თავის მხრივ, პოლიტიკის შესწავლა ესაჭიროება.

როგორ შეიძლება, უკეთ გავაცნობიეროთ ადამიანის როლი საზოგადოებაში: ადამიანის თუ საზოგადოების შესწავლით? ყველაზე და-

---

[3] რუსოს მოსაზრებების განხილვისათვის იხილეთ ქვემოთ VI თავი.

მაკმაყოფილებელი პასუხი ამ კითხვიდან კავშირი „თუ“-ს ამოგდება და სიტყვა „ორივეს“ თქმა იქნება, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ საიდან დავიწყებთ მოვლენების ახსნას. ღირსი მამა თომას მალთუსი წერდა: „მართალია, საზოგადოებრივი ინსტიტუტები კაცობრიობის მიერ უბედურების აშკარა და უპირველეს მიზეზებად არის დანახული, სინამდვილეში ისინი უმნიშვნელო და ზედაპირულია, ისინი ბუმბულებია, რომლებიც ზედაპირზე ფარფატებს, უწმინდურობის იმ ღრმად გამჯდარ მიზეზებთან შედარებით, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების ანკარა სათავეს აბინძურებს და მის დინებას ამღვრევს.“[4] რუსო იმავე სამყაროს, იმავე მოვლენათა რიგს აკვირდებოდა, მაგრამ განსხვავებულ მიზეზებს ამჩნევდა.

რუსოს მსჯელობის ხაზით წასვლა რამდენიმე კითხვას ბადებს. როგორც ადამიანები ცხოვრობენ სახელმწიფოში, ისე სახელმწიფოებიც არსებობენ სახელმწიფოთაგან შემდგარ მსოფლიოში. თუ შევჩერდებით საკითხზე, რატომ ხდება ომები, რას ჯობია, გავუსვათ ხაზი: სახელმწიფოს როლს, მის სოციალურ, ეკონომიკურ რაობასა და პოლიტიკურ ფორმას თუ ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რასაც ზოგჯერ სახელმწიფოთა საზოგადოებას უწოდებენ? რასაკვირველია, შესაძლებელია ისევ ამ კითხვიდან „თუ“-ს ამოგდება და ორივე საკითხზე ფიქრი, მაგრამ მრავალი მეცნიერი ან პირველ ან მეორე საკითხს უსვამდა ხაზს, რაც მათი დასკვნების შეუთავსებლობის ახსნას აადვილებს. ისინი, ვინც პირველ საკითხს ეკიდება ინტერესით, გარკვეულწილად მილტონს უახლოვდება, რომელმაც სამყაროს მანკიერებანი ადამიანის ბოროტებას დააბრალა. ისინი ომის, როგორც უდიდესი ცოდვის არსებობას ზოგიერთი, ან ყველა სახელმწიფოს ბოროტი თვისებებით ხსნიან. ეს განცხადება ზოგჯერ შებრუნებულადაც არის წარმოდგენილი: თუ ცუდი სახელმწიფოები ომობენ, მაშინ კარგი სახელმწიფოების თანაცხოვრება მშვიდობიანი იქნება. სხვადასხვაგვარი დასაბუთებით, ეს ხედვა შეიძლება მიეწეროს პლატონსაც და კანტსაც, მეცხრამტე საუკუნის ლიბერალებსაც და რევიზიონისტ სოციალისტებსაც. მათი აზრი თანხვდება ხსენებული პრინციპის თაობაზე, მაგრამ განსხვავდება

[4] Malthus, *An Essay on the Principle of Population*, pp.47-48. (ch. x of the 1798 ed.).

კარგი სახელმწიფოების აღწერილობასა და ამგვარი სახელმწიფოების ჩაძოყალიბების პრობლემებთან მიმართებაში.

თუ მარქსისტები ლიბერალების ხედვას მსოფლოს შესახებ ნაწილობრივ აკრიტიკებენ, სხვები მას საერთოდ მიწასთან ასწორებენ. თავად რუსო ომის ძირითად მიზეზებს არა ადამიანებსა და სახელმწიფოებში, არამედ სახელწიფო სისტემაში ხედავს. ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი ადამიანების შესახებ რუსომ თქვა, რომ ერთი ადამიანი წესიერად ვერ მოიქცევა თუ ცოტათი მაინც დარწმუნებულია იმაში, რომ სხვებს მისი მოსპობა არ შეუძლიათ. ამ აზრს რუსო ავითარებს ანარქიის პირობებში არსებულ სახელმწიფოებზე საუბრისას თავის დაუსრულებელ ესეში „ომის მდგომარეობა" და კომენტარებში აბატ დე სენ-პიერის ნაშრომებზე. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მშვიდობა სურს, მას შეიძლება პრევენტიული ომის წარმოებაზე ფიქრი დასჭირდეს, რადგანაც თუ ის მისთვის ხელსაყრელ დროს თავს არ დაესხმება სხვას, მოგვიანებით მას შეიძლება თავს დაესხან, როდესაც უპირატესობა უკვე სხვის მხარეს იქნება. აღნიშნული თვალსაზრისი საერთაშორისო ურთიერთობების ძალთა წონასწორობის მიდგომებისა და, აგრეთვე, მსოფლიო ფედერალისტური პროგრამის ანალიტიკურ საფუძველს წარმოადგენს. თუკიდიდესთან და ალექსანდერ ჰამილტონთან ნაგულისხმევი და მაკიაველის, ჰობსისა და რუსოს მიერ საჯაროდ ქცეული ეს შეხედულება ერთდროულად სახელმწიფოთა ქცევის განზოგადებული განმარტებაც არის და იმათი კრიტიკაც, ვინც სახელმწიფოთა ქცევის ახსნას მათი შიდა წყობის საფუძველზე ცდილობს. თუ ერთნი ფიქრობენ, რომ მშვიდობა სახელმწიფოების გაუმჯობესებას მოჰყვება, სხვები ამტკიცებენ, რომ ის, თუ როგორი იქნება სახელმწიფო სხვა სახელმწიფოებთან მის ურთიერთოებაზეა დამოკიდებული. ეს უკანასკნელი თეზისი ლეოპოლდ რანკემ თანამედროვე ევროპის სახელმწიფოთა ისტორიაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა ან, სულაც, მიუსადაგა მას. ის სხვა სახელმწიფოთა საშინაო წესრიგის დასახასიათებლადაც გამოიყენება.[5]

---

[5] Ranke. "The Great Powers," tr. H. H. Von Laue, in Theodore H. Von Laue. *Leopold Ranke*. იხილეთ, აგრეთვე, მაგალითად: Homo, *Roman Political Institutions*, tr. Dobie. განსაკუთრებით გვერდები 146, 364-69.

სახელმწიფო მოღვაწეები, ისევე როგორც ფილოსოფოსები და ისტორიკოსები მუდამ ცდილობდნენ მშვიდობასა და ომში სახელმწიფოთა ქცევის გაგებას. ვუდრო უილსონი 1916 წლის ნოემბრით დათარიღებულ თავის ერთ-ერთ ჩანაწერში, აღნიშნავდა, რომ იმჟამად მიმდინარე ომის მიზეზები საკმაოდ ბუნდოვანი იყო, რომ ნეიტრალურმა ქვეყნებმა არ იცოდნენ, თუ რატომ დაიწყო ეს ომი და თუ მასში ჩართული აღმოჩნდებოდნენ, წარმოდგენა არ ექნებოდათ, რისთვის იომებდნენ.[6] მაგრამ ხშირად იმისათვის, რომ რაიმე ნაბიჯი გადავდგათ, უნდა დავრწმუნდეთ იმაში, რომ ასეთ შეკითხვებზე პასუხის გაცემა შეგვიძლია. უილსონმა, თავის საბედნიეროდ, მალე მოახერხა ეს. იგი ისტორიაში მოგვევლინა როგორც ერთ-ერთი იმ მრავალთაგანი, ვინც მშვიდობის-მოყვარე და აგრესიულ სახელმწიფოებს შორის ზღვარი გაავლო და დემოკრატიულ სახელმწიფოებს პირველთა ყველა თვისება მიაწერა, ხოლო ავტორიტარულ სახელმწიფოებს - მეორეთა ყველა თვისება. ეს შეფასება მეტ-ნაკლებად ყველა ავტორთან სხვადასხვაგვარია. ამრიგად, გამოიკვეთა შეხედულება, რომ ომის სიხშირე სახელმწიფოს ხელისუფლების ტიპზეა დამოკიდებული. ამის მაგალითია რიჩარდ კობდენის მიერ 1849 წლის დეკემბერში ქალაქ ლიდსში წარმოთქმული სიტყვა:

საიდან მოდის ომის შავი ღრუბელი? საიდან მოემართება ის? რა თქმა უნდა, ჩრდილოეთის დესპოტიიდან, სადაც ერთი ადამიანი 40 000 000 ქვეშევრდომის ბედ-იღბალს განაგებს. თუ გვსურს, ვიცოდეთ, სად არის ომისა და შფოთის მეორე წყარო, მე მოგახსენებთ, რომ ის - ერთი შეხედვით, რუსეთის პროვინციაში - საცოდავ და გაუბედურებულ ავსტრიაშია, რომელიც დესპოტიზმითა და ბარბარობით მხოლოდ რუსეთს თუ ჩამოუვარდება. სწორედ ქ ვხედებით ომის დიდ საფრთხეს. განსხვავებით ამისაგან, იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობა საკუთარი თავის ბატონ-პატრონია - ინგლისში, საფრანგეთსა და ამერიკაში - ხალხი სულაც არ არის საომრად განწყობილი და თუ მთავრობა ომს მოისურვებს, ხალხი მას შეაჩერებს.[7]

ხალხს ყოველთვის მშვიდობა სურს. მთავრობა, რომელსაც ხალხი აკონტროლებს, უკიდურესი აუცილებლობის გარეშე არ იომებს. თუმცა,

---

[6] Link. *Woodrow Wilson and the Progressive Era*, p. 257n.

[7] Cobden. *Speeches*, ed. Bright and Rogers. I. 432-33.

რამდენიმე წლის შემდეგ ინგლისმა, ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე, რუსეთთან ომი წამოიწყო, ხოლო კობდენმა 1857 წელს თანამდებობაც კი დაკარგა იმის გამო, რომ ამ ომის წინააღმდეგ გამოვიდა. ამგვარი გამოცდილება, მართალია, ასუსტებს, მაგრამ ვერ აქარწყლებს ზემოგამოთქმულ რწმენას, ვინაიდან ამ უკანასკნელმა გაიჟღერა, მაგალითად, უილსონის, უფრო მოგვიანებით კი, სენატორ რობერტ ტაფტის გამონათქვამებში. 1951 წელს ტაფტი, კობდენის მსგავსად, წერდა: „ისტორია გვიჩვენებს, რომ თუ ხალხის აზრს იკითხავთ, ის, როგორც წესი, მშვიდობას მიემხრობა, თუკი ეს შესაძლებელი იქნება. ისტორია ცხადყოფს, რომ ყოველ ეპოქაში ერთპიროვნული მმართველები უფრო მიდრეკილნი არიან ომისაკენ, ვიდრე ხალხი."[8] შეიძლება დავფიქრდეთ, მართლაც არსებობს თუ არა სახელმწიფოს რაიმე განსაკუთრებულად მშვიდობიანი ფორმა? რამდენად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მას? გახდიდა თუ არა მისი არსებობა შესაძლებელს იმის ცოდნას, თუ რომელი სახელმწიფოები იმსახურებენ ნდობას სხვა სახელმწიფოთა მხრიდან? უნდა ეძიონ თუ არა კარგმა სახელმწიფოებმა სხვა სახელმწიფოთა გამოსწორების გზები, რათა მშვიდობის ბედნიერება ყველა ადამიანისათვის გახდეს ხელმისაწვდომი? უილსონი სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკური გარდაქმნისათვის ხელშეწყობას ზნეობრივ იმპერატივად მიიჩნევდა, კობდენი კი ასეთ მცდელობას არ ამართლებდა. ისინი თანხმდებოდნენ იმის თაობაზე, თუ სად უნდა ეპოვნათ მიზეზები, მაგრამ მათი პოლიტიკური დასკვნები განსხვავდებოდა.

რაღა ვთქვათ იმათზე, ვინც უმთავრესი მიზეზების განსხვავებული შეფასებისაკენ იხრება? „ამჟამად, - თქვა პრეზიდენტმა დუაით აიზენჰაუერმა, - ხალხს არ სურს კონფლიქტი -. ზოგადად ხალხს. მე ვფიქრობ, რომ საომარი განწყობა ახასიათებს მხოლოდ შეცდომაში შესულ ლიდერებს, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ ხალხიც ბრძოლის მოსურნეა."[9] თუმცა, როგორც ჩანს, ყველა ადამიანს საკმარისად ძლიერ არ სურს მშვიდობა, ვინაიდან სხვაგან აიზენჰაუერმა

---

[8] Robert A. Taft, *A Foreign Policy for Americans*, p. 23.

[9] ციტირებულია სტატიაში: Robert J. Donovan, "Eisenhower Will Cable Secret Geneva Reports," in New York *Herald Tribune*, July 13, 1955, p. 1.

აღნიშნა: „თითოეულ ქვეყანაში დედები თავიანთ შვილებს მსოფლიოს ყველა სხვა კუთხის - ამერიკის, ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა თუ აზიის - ბავშვების ფიქრებისა და იმედების გაგებას რომ ასწავლიდნენ, ისინი მსოფლიო მშვიდობის საქმეს დიდ სამსახურს გაუწევდნენ."[10] აქ პრეზიდენტი თითქოს ეთანხმება მილტონს მიზეზების თაობაზე, თუმცა, არ იზიარებს მის პესიმიზმს ან, გნებავთ, - რეალიზმს. აგრესიული მიდრეკილებები შეიძლება თანდაყოლილიც იყოს, მაგრამ ნუთუ გარდაუვალია მცდარი მიმართულებით მათი წარმართვა? ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ქმედება, ომიც ადამიანების გონებასა და გრძნობებში იღებს სათავეს. შესაძლებელია თუ არა გონებისა და გრძნობების შეცვლა? თუ შევთანხმდებით, რომ შესაძლებელია, მაშინ რამდენად და რაოდენ სწრაფად შეიძლება მათი შეცვლა? ხოლო თუ სხვა ფაქტორებიც მნიშვნელოვანია, მაშინ რამდენად დიდი იქნება ამ ცვლილებათა ეფექტი? მოცემულ და წინამდებარე აბზაცებში დასმულ შეკითხვებზე პასუხები არ არის ნათელი, მაგრამ ისინი ძალიან მნიშვნელოვანია. როგორ მივაგნოთ მათ?

ამგვარი პასუხების სხვადასხვა ვარიანტები, შესაძლოა, ჰიპოთეზებად მივიჩნიოთ, რომლებიც ემპირიულად უნდა გამოვიკვლიოთ და შევამოწმოთ. ეს საკმაოდ რთულია. ინგლისელი ლიბერალების უმრავლესობა პირველი მსოფლიო ომის დროს, უილსონის მსგავსად, ამტკიცებდა, რომ გერმანიის მიერ ომის წამოწყება, რომელიც მალე მთელს მსოფლიოს მოედო, გერმანული სახელმწიფოს მილიტარისტულმა და ავტორიტარულმა ბუნებამ განაპირობა. იმავე პერიოდში ზოგიერთი ლიბერალი, მათ შორის ჯ. ლოუეს დიკინსონი მიიჩნევდა, რომ ერთი ცალკეული სახელმწიფო ყველაფერში დამნაშავე ვერ იქნებოდა. მისი აზრით, მხოლოდ საერთაშორისო სისტემის ან მისი არარსებობის გაცნობიერების შედეგად, რაც სახელმწიფოთა ლიდერებს, ხშირ შემთხვევაში, საყოველთაო ზნეობრივი პრინციპებისათვის ანგარიშგაუწევლად მოქმედებისაკენ უბიძგებდა, შეიძლებოდა ომის გამომწვევი პროცესების გაგება და ობიექტურად შეფასება.[11] დიკინსონი მკვეთრად გააკრიტიკეს როგორც

---

[10] პრეზიდენტ აიზენჰაუერის მიმართვა კათოლიკე ქალების ეროვნული საბჭოსადმი. ტექსტი იხილეთ გაზეთში: New York *Times*, November 9, 1954, p. 14.

[11] Dickinson, *The European Anarchy, passim.*

ლიბერალებმა, ისე სოციალისტებმა იმის გამო, რომ იგი ომის მიზეზების შინასახელმწიფოებრივი წარმომავლობის შესახებ გაბატონებულ მოსაზრებას შეეწინააღმდეგა. ასეთ საკითხზე განმარტებითი თეზისების გაზიარება ან უარყოფა, უმეტესწილად, ავტორის უნარსა და მსმენელთა განწყობაზეა დამოკიდებული. ამგვარი კრიტერიუმები, აშკარად, გამოუსადეგარია, მაგრამ იმის მტკიცებაც სისულელე იქნება, რომ მხოლოდ მონაცემთა უფრო გულდასმით შესწავლით ამა თუ იმ განმარტებითი თეორიის განმტკიცება შეიძლება. ერთსა და იმავე მონაცემებზე დაკვირვების შედეგად მოკამათე მხარეები სრულიად საპირისპირო დასკვნებამდე მივიდნენ, რადგანაც, საკუთარი ხედვებიდან გამომდინარე, მონაცემთა შერჩევა და ინტერპრეტირება განსხვავებულად მოახდინეს. ლიბერალების ჰიპოთეზას რომ ჩავწვდეთ, ჯერ მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტორის ურთიერთკავშირი უნდა გამოვიკვლიოთ, ასეთ ურთიერთკავშირებს კი ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები არ შეიცავს. ჩვენ თავად ვადგენთ, უფრო კი ვამტკიცებთ მათ არსებობას. სიტყვა „დადგენა" აქ სახიფათოა, რადგანაც იმის მიუხედავად, გვსურს თუ არა ამის აღიარება, მაინც ვერ ავცდებით ფილოსოფიურ ვარაუდებს. იდეა, რომელსაც ვიზიარებთ, ხდება ფილტრი, რომელშიც არსებულ მონაცემებს ვატარებთ. თუ მონაცემებს ფრთხილად შევარჩევთ, ისინი ადვილად გაივლიან ამ ფილტრს. მონაცემთა შეუთავსებლობის გამო შეიძლება მოგვიხდეს ფილტრის შეცვლა ან ჩვენი თეორიის მოდიფიცირება ან, სულაც, უარყოფა, თუმცა, გამორიცხული არაა, მონაცემთა შერჩევისა და ინტერპრეტირების რაიმე უფრო ორიგინალურ მეთოდს მივაგნოთ, როგორც ეს მარქსისტებმა გააკეთეს, როდესაც სცადეს, გადაერჩინათ თეზისი, რომ კაპიტალიზმის განვითარება მასების გაღატაკებას იწვევს.

თუ ემპირიულ კვლევათა მასშტაბი და შედეგები ემპირიკოსთა იდეებზეა დამოკიდებული, მაშინ საჭიროა, დავფიქრდეთ, რამდენად არის შესაძლებელი თავად ამ იდეების მართებულობის შემოწმება. ცხადია, რომ ეს შესაძლებელია. პოლიტიკის შესწავლა სხვა სოციალური მეცნიერებებისაგან იმით განსხვავდება, რომ სახელისუფლებო ინსტიტუტებსა და პროცესებზე ამახვილებს ყურადღებას. ეს პოლიტიკურ მეცნიერს ინტერესის ფოკუსირებაში ეხმარება ისე, რომ მას სხვა სოციალურ მეცნიერთა მასალებისა და მეთოდების გამოყენებას არ

უკრძალავს.[12] უკანასკნელ შემთხვევაში საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარი არავითარ სირთულეს არ აწყდება. სირთულე პირველ შემთხვევაში წარმოიშვება, ვინაიდან საერთაშორისო ურთიერთობებს ჭეშმარიტი სახელისუფლებო ინსტიტუტების არარსებობა ახასიათებს, რაც, თავის მხრივ, რადიკალურად ცვლის საკითხთან დაკავშირებული პროცესების არსს. მიუხედავად ამისა, ტრადიციული პოლიტიკური ფილოსოფია, რომელიც საშინაო პოლიტიკითაა დაინტერესებული, მაინც მეტად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელთათვის. ხშირად ამბობენ, რომ მშვიდობა მეოცე საუკუნის პრობლემაა. ის, აგრეთვე, პოლიტიკის ფილოსოფიის ერთ-ერთი მუდმივი საზრუნავიცაა. შედარებით მშვიდობიან პერიოდში ადამიანები, სავარაუდოდ, ასეთ შეკითხვას სვამენ: რა აზრი აქვს სიცოცხლეს სამართლიანობისა და თავისუფლების გარეშე? მონურ ცხოვრებას სიკვდილი სჯობია. შინაარეულობის, შიმშილისა და სამოქალაქო ომის, უკიდურესი დაუცველობის დროს კი ბევრი კითხულობს: რა აზრი აქვს თავისუფლებას უსაფრთხო პირობების შექმნისა და შენარჩუნებისათვის აუცილებელი ძალაუფლების გარეშე? ნეტარი ავგუსტინე, ლუთერი, მაკიაველი, ბოდენი და ჰობსი თავისთავად ჭეშმარიტებად მიიჩნევდნენ იმას, რომ სიცოცხლეს, სამართლიანობასა და თავისუფლებასთან შედარებით, პრიორიტეტი ენიჭება. თუ ტირანიის ალტერნატივა ქაოსია, ხოლო ქაოსი გულისხმობს ყველას ომს ყველას წინააღმდეგ, მაშინ გასაგები ხდება, თუ რატომ ეგუება ხალხი ტირანიას. წესრიგის არარსებობისას თავისუფლებით ვერავინ ისარგებლებს. მშვიდობისათვის აუცილებელი პირობების განსაზღვრისა და მიღწევის პრობლემა, რომელიც კაცობრიობის გასაჭირად იქცა და საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარსაც საგონებელში აგდებს, პოლიტიკური ფილოსოფოსებისთვისაც დიდ საფიქრალს წარმოადგენს.

რ. ჯ. კოლინგვუდმა ერთხელ აღნიშნა, რომ ფილოსოფოსთა ნაშრომების კარგად გასაგებად იმის დადგენაა საჭირო, თუ რა შეკითხვებზე ეძებდნენ ისინი პასუხს. არსებობს ვარაუდი, რომ საერთაშორისო

---

[12] იხილეთ შედარებისათვის: David B. Truman, "The Impact on Political Science of the Revolution in the Behavioral Sciences," in Bailey *et al.*, *Research Frontiers in Politics and Government*, pp. 202-31.

პოლიტიკის პრობლემათა კვლევის საუკეთესო გზა ერთი მთავარი კითხვის დასმა და მისი შესაძლო პასუხების გამოვლენაა. პოლიტიკური ფილოსოფიის სფეროში შეიძლება ვეძებოთ პასუხი კითხვაზე: რა არის ომის უმთავრესი მიზეზები? სავარაუდო პასუხების მრავალფეროვნება და წინააღმდეგობრიობა, მართლაც, გამაოგნებელია. იმისათვის, რომ ეს სპექტრი უფრო ადვილად აღსაქმელი გახდეს, პასუხები სამ კატეგორიად შეიძლება დავყოთ: ადამიანში; ცალკეულ სახელმწიფოთა წყობაში; სახელმწიფოთა სისტემაში. ამგვარი დაყოფის საფუძველი, ისევე როგორც მისი მიმართება რეალურ სამყაროსთან მომდევნო გვერდებზეა განხილული. შემდგომში ომის გამომწვევი მიზეზების სამ განსხვავებულ შეფასებას საერთაშორისო ურთიერთობების სამ განსხვავებულ ხედვასთან გავაიგივებთ. თითოეული ხედვა განისაზღვრება იმით, თუ სად განვალაგებთ მნიშვნელოვან მიზეზთა ჯაჭვს.

ზემომოყვანილი კომენტარებიდან ჩანს, რომ ერთი და იმავე ხედვის ფარგლებში მოქცეული შეხედულებანი შეიძლება ისეთივე წინააღმდეგობრივი იყოს, როგორც განსხვავებული ხედვები *თავის თავში*. მოსაზრება, რომ ომი გარდაუვალია ადამიანის გამოუსწორებელი ბუნების გამო და მოსაზრება, რომ ომები შეიძლება თავიდან ავიცილოთ, რადგანაც ადამიანების გარდაქმნაა შესაძლებელი, ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მაგრამ ვინაიდან ორივე მათგანი ომის უმთავრეს მიზეზად ინდივიდებს ასახელებს, ორივე პირველ ხედვას განეკუთვნება. მესამე ხედვის აღიარებამ შეიძლება მიგვიყვანოს როგორც მსოფლიო ფედერალისტთა მცდარ ოპტიმიზმამდე, ისე შეცდომით პესიმიტურად განსაზღვრულ *რეალპოლიტიკის* პოზიციამდე. იმის გამო, რომ თითოეული ხედვის ფარგლებში ნებისმიერ საკითხზე, გარდა ერთისა, აზრთა სხვადასხვაობა შეიძლება არსებობდეს და აგრეთვე, იმიტომ, რომ შემოთავაზებული რეკომენდაცია, ანალიზის გარდა, მიზანსაც უკავშირდება, არცერთი ხედვა არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი რეკომენდაციით. თუმცა კი, ხედვისა და მიზნის თითოეული წყვილის შემთხვევაში ლოგიკური და არალოგიკური რეკომენდაციების გამიჯვნა შეიძლება.

რეკომენდაციას მცდარი შეიძლება ვუწოდოთ, თუ მისმა გამოყენებამ დაგეგმილი შედეგი არ გამოიღო, მაგრამ შეგვიძლია კი იმის გარკვევა, რომ რეკომენდაცია მართლაც შესრულდა? ხშირად გაიგებთ ფრაზას: „ერთა ლიგას მარცხი არ განუცდია, ის არც არასოდეს აუმოქმედებიათ,“

და ასეთ გამონათქვამს ვერაფერს დაუპირისპირებთ. მისი ემპირიულად გაბათილება რომც შეიძლებოდეს, რეკომენდაციის მართებულობის დამტკიცების პრობლემა მაინც იარსებებდა. თუ ავადმყოფობის პერიოდში პაციენტმა ათი სხვადასხვა სახის მედიკამენტი გამოცადა, მას გაუჭირდება დაბეჯითებით იმის თქმა, თუ რომელმა მათგანმა განკურნა. დამსახურების განსაზღვრა ხშირად ბრალის დადგენაზე უფრო ძნელია. თუ ისტორიული კვლევა გვიჩვენებს, რომ რომელიმე სახელმწიფოში ტარიფების ზრდას ყოველთვის კეთილდღეობის ამაღლება მოსდევდა, ზოგიერთი გარეშე დამკვირვებლისათვის ეს შეიძლება იმის მანიშნებელი იყოს, რომ ტარიფები კეთილდღეობის მიზეზია, სხვებისათვის - რომ ეს ორივე ფაქტორი რომელიღაც მესამე ფაქტორზეა დამოკიდებული, ხოლო ვიღაცისთვის კი ეს ფაქტი შეიძლება საერთოდ არაფერზე მეტყველებდეს. ემპირიული მიდგომა აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არ არის. მოვლენათა ურთიერთკავშირი არაფერს ნიშნავს ან, ყოველ შემთხვევაში, აუცილებელია არაა, რომ მას, თანმხლები ანალიზის გარეშე, რაიმე მნიშვნელობა მიენიჭოს.

თუ რეკომენდაციის შემოწმების პრობლემას ემპირიული მეთოდით ვერ მოვაგვარებთ, მაშინ სადღა უნდა ვეძებოთ გამოსავალი? ლოგიკურად, რეკომენდაცია ანალიზის გარეშე წარმოუდგენელია. ამიტომაც, უფრო მშვიდობიანი მსოფლიოს მიღწევის ნებისმიერი რეკომენდაცია საერთაშორისო ურთიერთობების სამი ხედვიდან ერთ-ერთთან ან მათ გარკვეულ კომბინაციასთან არის დაკავშირებული. თითოეული ხედვის ანალიტიკური საფუძვლის განხილვა რეკომენდაციების მიღების ან უარყოფის ორ დამატებით შესაძლებლობას წარმოშობს. (1) ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მცდარ ანალიზზე დაფუძნებულმა რეკომენდაციამ სასურველი შედეგი გამოიღოს. ვარაუდი, რომ ადამიანების სრულყოფა მშვიდობის მშენებლობას შეუწყობს ხელს, თავის მხრივ, ემყარება ვარაუდს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების პირველი ხედვა ჭეშმარიტია. ამრიგად, სანამ პირველ ვარაუდს გამოვთქვამთ, ჯერ ეს უკანასკნელი უნდა შევამოწმოთ. (2) რეკომენდაცია მიუღებელია, თუ თავისსავე ანალიზს ლოგიკურად არ უკავშირდება. გლანდების ინფექციით დაავადებულ ადამიანს ბრმა ნაწლავის ოპერაცია ნაკლებად უშველის. თუ სახელმწიფოთა შორის ძალადობა ადამიანის ბოროტი ბუნების შედეგია, რეფორმები სახელმწიფოებს შიგნით მდგომარეობას ვერ

გამოასწორებს, ხოლო თუ სახელმწიფოებს შორის ძალადობა საერთაშორისო ანარქიით არის გამოწვეული, ინდივიდების გარდაქმნა ვერაფერს შეცვლის. ერთი ადამიანის პროგნოზი მეორე ადამიანის რეკომენდაციას აბათილებს. თუ თითოეული ხედვის მართებულობის შეფასებას შევძლებთ, მაშინ ამა თუ იმ რეკომენდაციის სარგებლიანობის დადგენის კრიტერიუმად მისი ხედვასთან კავშირი გამოდგება. თუმცა, არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ვითარებას ართულებს. საერთაშორისო ურთიერთობების ზუსტი გააზრებისთვის უფრო მეტად ამ სამი ხედვის გარკვეული კომბინაცია შეიძლება იყოს საჭირო, ვიდრე რომელიმე ერთი ხედვა. ჩვენ, შესაძლებელია, არ აღმოვჩნდეთ ისეთ ვითარებაში, როდესაც პაციენტს მხოლოდ გლანდების ან მხოლოდ ბრმა ნაწლავის მკურნალობა ესაჭიროება. შეიძლება ორივე ორგანო იყოს დაავადებული, ხოლო ნებისმიერის ამოკვეთამ პაციენტის სიკვდილი გამოიწვიოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნებისმიერი მიზეზის სავარაუდო შედეგების განსაზღვრა სხვა მიზეზებთან მისი კავშირის დადგენაზე შეიძლება იყოს დამოკიდებული. მიზეზთა შესაძლო ურთიერთკავშირი სხვადასხვა რეკომენდაციის ღირსების შეფასების პრობლემას კიდევ უფრო აძნელებს.

რა კრიტერიუმებით უნდა განვსაზღვროთ ამა თუ იმ რეკომენდაციის ღირსება? მოდით, დავუბრუნდეთ ადამიანს, რომელიც ამტკიცებს, რომ ომს „ცუდი" სახელმწიფოები იწყებენ, რომ „კარგ" სახელმწიფოებს მშვიდობიანად თანაარსებობა შეუძლიათ და ამიტომაც, ყველა სახელმწიფოში ერთი და იმავე წყობის დამყარებაა საჭირო. დებულებათა ამ ჯაჭვის შესაფასებლად შემდეგი შეკითხვები უნდა დავსვათ: (1) შესაძლებელია თუ არა უკანასკნელი დებულების სისრულეში მოყვანა და თუ შესაძლებელია, როგორ? (2) არსებობს თუ არა ლოგიკური კავშირი რეკომენდაციასა და ხედვას შორის? ანუ უკავშირდება თუ არა რეკომენდაცია გამოვლენილ მიზეზებს? (3) არის თუ არა ეს ხედვა ადეკვატური, თუ მკვლევარმა უბრალოდ ყველაზე თვალსაჩინო და ადვილად მანიპულირებადი მიზეზი შეარჩია და უგულებელყო სხვა, არანაკლებ, ან იქნებ უფრო მეტად მნიშვნელოვანი მიზეზები? (4) რა გავლენას მოახდენს რეკომენდაციის შესრულების მცდელობები სხვა მიზნებზე? ამ უკანასკნელი შეკითხვის დასმა აუცილებელია, რადგანაც მშვიდობა არ არის ერთადერთი მიზანი თვით ყველაზე

უფრო მშვიდობიანად განწყობილი ადამიანებისთვისაც კი. მაგალითად, ჩვენ შეიძლება ვირწმუნოთ, რომ მსოფლიო მთავრობა მარადიული მშვიდობის სინონიმია, მაგრამ საკვლევია, რომ მსოფლიო სახელმწიფო მსოფლიო ტირანიად გადაიქცეს და, აქედან გამომდინარე, მისაღებია, მარადიული მშვიდობის მოძტან მსოფლიო სახელმწიფოს ვამჯობინოთ ერი-სახელმწიფოების სისტემა, რომელშიც ომის საფრთხე მუდმივად იარსებებს.

ზემოწამოჭრილ კითხვებზე პასუხების გაცემას ჯერ თითოეული ხედვის, ხოლო შემდეგ მათი ურთიერთკავშირის კრიტიკული განხილვით შეეეცდებით. II, IV და VI თავებში, შესაბამისად, პირველი, მეორე და მესამე ხედვები იქნება განხილული, ძირითადად ტრადიციული პოლიტიკური ფილოსოფიის თვალთახედვიდან. III, V და VII თავებში თითოეული ხედვის დამატებით მაგალითებს მოვიყვანთ. VIII თავი კი ხედვათა ურთიერთკავშირის მოკლე განხილვას მიეძღვნება და დასკვნის მაგივრობასაც გასწევს.

თავი II. პირველი ხედვა

საერთაშორისო კონფლიქტი და ადამიანის ქცევა

არის სიცრუე და ვერაგობა და ეს წარმოშობს ომებს
კონფუცი

საერთაშორისო ურთიერთობების პირველი ხედვის თანახმად, ომის მნიშვნელოვანი მიზეზების სათავე ადამიანის ბუნება და ქცევაა. ომები გამოწვეულია ეგოიზმით, არასწორად წარმართული აგრესიული იმპულსებით, უგუნურებით. სხვა მიზეზები მეორეხარისხოვანია და ამ ფაქტორების გათვალისწინებით უნდა იქნეს განხილული. თუ ესენია ომის პირველადი მიზეზები, მაშინ ომების აღმოსაფხვრელად საჭიროა ან ადამიანთა აღზრდა და განათლება ან მათი ხელახალი ფსიქოლოგიურ-სოციალური ადაპტაცია. მიზეზებისა და გამოსავლის ამ შეფასებას წამყვანი ადგილი უკავია ადამიანთა ურთიერთობების მრავალი სერიოზული მკვლევრის ნაშრომებში, კონფუციდან მოყოლებული დღევანდელ პაციფისტებამდე. ის, აგრეთვე, ბევრი თანამედროვე ბიჰევიორისტი მეცნიერის ლაიტმოტივია.[1]

პირველი ხედვის ანალიზთან დაკავშირებული რეკომენდაციები აუცილებლად იდენტური შინაარსის მატარებელი არ არის, რასაც რამდენიმე მაგალითიც ადასტურებს. ჰენრი უოდსუორთ ლონგფელოს სპრინგფილდში განლაგებული არსენალის მონახულებამ პოეტური ფრაზა შთააგონა და მან შემდეგი აზრი გამოხატა:

> მხოლოდ ნახევარი იმ ძალისა, სამყაროს რომ შიშის ზარს სცემს,
> მხოლოდ ნახევარი სიმდიდრისა, ბანაკებსა და სამეფო კარს რომ ხმარდება
> ადამიანთა გონების შეცდომისაგან დასახსნელად რომ დაიხარჯოს,
> აღარც არსენალები და სიმაგრეები იქნება საჭირო.

ამ სტრიქონებში ნაგულისხმევია, რომ ადამიანები სწორი პოლიტიკის გატარებას დაიჟინებდნენ, რომ იცოდნენ, რა არის სწორი პოლიტიკა. მათი ინსტინქტები დადებითია, მაგრამ ამჟამინდელი გულუბრყვილობის

---

[1] მათი საკითხი უფრო დაწვრილებით III თავშია განხილული.

გამო ისინი შეიძლება ცუდ ლიდერებს ენდონ. თუ არსებულ სირთულეებს ცოდნის უკმარისობას დაუკავშირებთ, მაშინ განათლება ომის თავიდან აცილების საშუალებად მოგვეელინება. ეს იდეა ფართოდ არის გავრცელებული. ბევერლი ნიკოლსი, პაციფისტი, რომელიც 1930-იან წლებში წერდა, ფიქრობდა, რომ ნორმან ენჯელი „მსოფლიოს განმანათლებელი დიქტატორი თუ გახდებოდა, ერთი თაობის შემდეგ ომი ისე გაქრებოდა, როგორც დილის ნისლი."[2] 1920 წელს, „მეგობართა კონფერენციამ,"* რომელსაც არ სურდა მხოლოდ ინტელექტუალურ განვითარებაზე იმედის დამყარება, კაცობრიობას მოუწოდა, ეგოიზმი თავდადების, თანამშრომლობისა და ნდობის სულისკვეთებით შეეცვალა.[3] დაახლოებით ამავე დროს და, ფაქტობრივად, ასეთივე განწყობით, ბერტრან რასელი მესაკუთრული ინსტინქტების დაქვეითებას მშვიდობის წინაპირობად აცხადებდა.[4] სხვები ამბობდნენ, რომ მშვიდობის ალბათობის ზრდას არა იმდენად „ინსტინქტების" შეცვლა ესაჭიროება, რამდენადაც დამანგრეველ ომებში დახარჯული ენერგიის სხვა მიმართულებით წარმართვა. რომ არსებობდეს რაიმე, რისი გაკეთებაც ადამიანებს ომზე მეტად სურთ, ისინი საერთოდ აღარ იბრძოლებდნენ. არისტოფანეს ეს კარგად ესმოდა. თუ ათენელი ქალები თავიანთ ქმრებსა და საყვარლებს არ მიიკარებდნენ, მამაკაცებს სარეცლის სიამოვნებასა და ბრძოლის ველის ამაღელვებელ გამოცდილებას შორის არჩევნის გაკეთება მოუხდებოდათ. არისტოფანე ფიქრობდა, რომ საკმარისად კარგად იცნობდა ათენის მამაკაცებსა და ქალებს იმისათვის, რომ საბოლოო შედეგი წინასწარ განესაზღვრა. უილიამ ჯეიმსიც ამ ტრადიციის გამგრძელებელი იყო. მისი აზრით, ომი სათავეს იღებს ადამიანის მებრძოლ ბუნებაში, რომელიც მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის შედეგია. ადამიანის ბუნების შეცვლა ან მისი იმპულსების დათრგუნვა შეუძლებელია, მაგრამ დასაშვებია მათი სხვა მიმართულებით წარმართვა. ჯეიმსი გვთავაზობს, სამხედრო სამსახურის ნაცვლად მსოფლიოს ახალგაზრდები ქვანახშირის

---

[2] Nichols, *Cry Havoc!* p. 164.

* „მეგობართა საზოგადოება" - კვაკერები.

[3] Hirst, *The Quakers in Peace and War*, pp. 521-25.

[4] ეს მოსაზრება სხვადასხვა სახით ლორდ რასელის მრავალ ნაშრომში მეორდება, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობებს ეხება.

მოსაპოვებლად და გემების ეკიპაჟების დასაკომპლექტებლად, ცათამბჯენებისა და გზების ასაგებად, ჭურჭლისა და ტანსაცმლის გასარეცხად გავიწვიოთ. მართალია, მისი მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა სახის ცვლილებებია საკმარისი, არისტოფანეს ვარაუდზე უფრო ნაკლებად რეალისტურია და, ამავდროულად, უფრო სერიოზულად მოფიქრებულიც, მაგრამ გამოსავალი, რომელსაც იგი გვთავაზობს, აშკარად, იმავე ტიპისაა.[5]

რეკომენდაციები განსხვავებულია, მაგრამ მათ აერთიანებს მოსაზრება, რომ უფრო მშვიდობიანი მსოფლიოსათვის აუცილებელია ადამიანების შეცვლა, მათი ზნეობრივ-ინტელექტუალური შეხედულებების ან ფიზიკურ-სოციალური ქცევის გარდაქმნა. თუმცა, შესაძლებელია მიზეზთა პირველი ხედვის ანალიზის გაზიარება მათი აღმოფხვრის პრაქტიკული რეკომენდაციების მოწონების გარეშე. მათ შორის, ვინც ომის მიზეზთა პირველი ხედვის განმარტებას ეთანხმება არიან ოპტიმისტებიც და პესიმისტებიც, ისინი, რომლებსაც სჯერათ, რომ პროგრესის შესაძლებლობები ძალიან დიდია და ომები მომდევნო თაობის გარდასვლამდე გაქრება და ისინი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ომები კიდევ მოხდება, თუმცაღა, ჩვენ ყველანი შეიძლება შევეწიროთ მათ. „ოპტიმისტი" და „პესიმისტი" არცთუ ისე მოსახერხებელი სიტყვებია, მაგრამ უკეთესი სიტყვების მოძიება ძნელია. თუ მათ უბრალოდ მოლოდინების მიხედვით ანუ ფართოდ გავრცელებული მნიშვნელობით განვსაზღვრავთ, მაშინ ამა თუ იმ პიროვნების ერთ-ერთ კატეგორიაში მოთავსება რთული იქნება. არსებობს ოპტიმიზმისა და პესიმიზმის განსხვავებული ხარისხები და ერთი და იგივე პიროვნება ზოგიერთ საკითხში ოპტიმისტი შეიძლება იყოს, ზოგიერთში კი - პესიმისტი. ამ ტერმინების ფილოსოფიური მნიშვნელობები უფრო ნათელი და გამოსადეგია. პესიმიზმი არის ფილოსოფია, რომელიც გულისხმობს, რომ რეალობა ხარვეზებითაა სავსე, ეს მოსაზრება მილტონისა და მალთუსის წინა თავში ციტირებულ გამონათქვამებშია ასახული. შესაძლებელია, დროებით გამოიძებნოს ბოროტი ძალების დამთრგუნველი მეტ-ნაკლებად ადეკვატური საშუალებები, მაგრამ საყოველთაო და სამუდამო დადებითი შედეგის მოლოდინს

[5] James, "The Moral Equivalent of War," in *Memories and Studies*, pp. 262-72, 290.

არსებით ნაკლოვანებათა დამლუპველი ზეგავლენის დღენიადაგ შეგრძნება აქარწყლებს.[6] მეორე მხრივ, ოპტიმისტს სჯერა, რომ რეალობა კარგია, ხოლო საზოგადოება - ძირითადად ჰარმონიული. სირთულეები, რომლებიც ადამიანს ტანჯავს ზედაპირული და დროებითია. სირთულეები კვლავაც არსებობს, ვინაიდან ისტორია მომენტების თანამიმდევრობაა, მაგრამ ისტორიის არსის შეცვლა შესაძლებელია და ყველაზე უფრო ოპტიმისტურად განწყობილ ადამიანებს ჰგონიათ, რომ ეს შეიძლება ერთხელ და სამუდამოდ იქნეს მიღწეული, თანაც საკმაოდ ადვილად. ჩვენ ისევ მოლოდინს ვუბრუნდებით, მაგრამ მოლოდინი სამყაროს სხვადასხვაგვარად აღქმიდან მომდინარეობს. უნდა აღინიშნოს, რომ პესიმიზმი საბოლოო წარმატების მიღწევის ალბათობასთან დაკავშირებით, მაგალითად, ომის აღმოფხვრის საქმეში, არ ნიშნავს იმის განცხადებას, რომ ჩვენს ამჟამინდელ გასაჭირს არაფერი ეშველება. პესიმისტმა შეიძლება ოპტიმისტზე უფრო დიდი დახმარება გაგვიწიოს ხვალინდელი ომის საფრთხის თავიდან აცილებაში. ოპტიმისტს შეიძლება სჯეროდეს, რომ არ ღირს რაიმეს გაკეთება, თუ ეს მეთოდი საბოლოო და სრულ წარმატებას არ მოიტანს. პესიმისტი კი იმსახურებს ამ ეპითეტს, რადგანაც, მისი რწმენით, საბოლოო წარმატება შეუძლებელია, მაგრამ ამ ეპითეტს სამარცხვინოდ არ უნდა აღიქვამდეს.

თითოეული ხედვის ფარგლებში არიან ოპტიმისტებიც და პესიმისტებიც, რომლებიც იზიარებენ მიზეზთა განსაზღვრებებს, მაგრამ ვერ თანხმდებიან იმაზე, თუ როგორ უნდა მოევლოს მათ, თუ ეს საერთოდ შესაძლებელია. მეტიც, მოცემული ხედვის კრიტიკული განხილვა შეიძლება არც იყოს საკმარისი საფუძველი მოლოდინების ჩამოსაყალიბებლად, რადგანაც შესაძლოა, თავად ხედვა იყოს მცდარი. ეს კი გამოაშკარავდება მაშინ, როდესაც ხედვების რიგ-რიგობით გააზრებას შევეცდებით. ამ თავში ვისაუბრებთ იმათზე, ვინც ეთანხმება დებულებას, რომ ომების მიზეზთა გასაგებად, პირველ რიგში, ადამიანის ბუნება და ქცევა უნდა განვიხილოთ, ვინც აღნიშნულ პროცესში გამოუსწორებელ ნაკლოვანებებს ხედავს, რომლებითაც სამყაროში არსებული ბოროტება, მათ შორის ომი, შეიძლება აიხსნას. მომდევნო თავში იმ ადამიანებზე ვიმსჯელებთ, რომლებიც ამავე მიზეზებს ამჩნევენ და

---

[6] იხილეთ შედარებისათვის: Morgenthau, *Politics among Nations*, pp. 7-8.

დარწმუნებულები არიან, რომ შესაძლებელია ამ მიზეზებით იმგვარად მანიპულირება ან მათი გაკონტროლება, რომ მარადიულ მშვიდობას ან, თუნდაც, ომების სიხშირის საგრძნობლად შემცირებას მივაღწიოთ.

როდესაც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის პაციფისტი ჯონათან დაიმონდი წერდა, რომ „ძალთა ბალანსის სასარგებლოდ რაიმეს თუ ვიტყვით, ამას მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ბოროტების გამო გავაკეთებთ," იგი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომელსაც ოპტიმისტებიც მხარს უჭერენ და პესიმისტებიც.[7] ოპტიმისტებს შესაძლებლად მიაჩნიათ ბოროტების სიკეთედ გარდაქმნა და ამჟამინდელი ძალთა ბალანსის პოლიტიკით გამოწვეული ომების დასრულება. მართალია, პესიმისტები იზიარებენ შეხედულებას, რომ ძალთა ბალანსი და ომები ადამიანის ბუნებიდან მომდინარეობს, მაგრამ ადამიანის გამოსწორების შესაძლებლობას ეჭვის თვალით უყურებენ. მეტიც, ისინი ძალთა ბალანსს საპატიო ადგილს აკუთვნებენ რადგანაც, თუ დაიმონდის ფრაზას მოვიშველიებთ, მას ძალუძს, ერთმანეთის დაგლეჯის საშუალება არ მისცეს „ვეფხვებს," ხოლო თუ ის ამას ყოველთვის ვერ ახერხებს, არასრულყოფილი პროფილაქტიკა მაინც სჯობია პროფილაქტიკის არარსებობას.

ოპტიმისტები და პესიმისტები თანხმდებიან მიზეზების ანალიზისას, მაგრამ ამ მიზეზთა შეცვლის შესაძლებლობის თაობაზე განსხვავებულ აზრზე დგანან და ერთმანეთს მკვეთრად აკრიტიკებენ. რაინჰოლდ ნიბური, თეოლოგი, რომელმაც უკანასკნელი ოცდახუთი წლის მანძილზე საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებზე იმდენივე ბრძნული სიტყვა დაწერა, რამდენიც ამ სფეროში მოღვაწე ნებისმიერმა სხვა მეცნიერმა, უტოპისტებს, ლიბერალებსა და მარქსისტებს თანაბრად აკრიტიკებდა, თანაც, ხშირად და შთამბეჭდავად. მისი მტკიცებით, პოლიტიკური რეალიზმი ადამიანის ბუნების სიღრმისეული შესწავლის გარეშე წარმოუდგენელია.[8] რა თქმა უნდა, საკუთარი თეორიები ყველას რეალისტურად მიაჩნია. ეს ოპტიმისტებსაც ეხება, რომლებიც თვლიან, რომ მათი თეორიები ადამიანის შესახებ სწორ წარმოდგენას ემყარება. ნიბურის კრიტიკა კი ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ ისინი ადამიანის

---

[7] Dymond, *The Accordancy of War with the Principles of Christianity*, p. 20.

[8] Niebuhr, *Christian Realism and Political Problems*, p. 101.

ნებისმიერ ქმედებაში ბოროტების პოტენციალის არსებობას ვერ ამჩნევენ. ოპტიმისტებმა დაასკვნეს, რომ პროგრესი მუდმივად უწყვეტი ხაზით მიიწევს წინ მაშინ, როდესაც სინამდვილეში ცოდნის ნებისმიერი წინსვლა, ტექნიკის ყოველი ინოვაცია საკუთარ თავში, სიკეთესთან ერთად, ბოროტების პოტენციალსაც შეიცავს. ადამიანი დღითიდღე უფრო მეტად აკონტროლებს ბუნებას, მაგრამ სწორედ ის იარაღები, რომლებსაც შეუძლიათ, სიცივე და შიმშილი აგვაცილონ, შრომა შეგვიმსუბუქონ და მეტი დასვენების დრო მოგვცენ, ზოგიერთ ადამიანს საშუალებას აძლევს, სხვა ადამიანები დაიმონოს ან გაანადგუროს. ადამიანი, როგორც ცნობიერი არსება, გრძნობს საკუთარი შესაძლებლობების ბუნებრივ საზღვრებს. ასევე ბუნებრივია მისი სურვილი, გადალახოს ისინი. ადამიანი მოკვდავი არსებაა უსაზღვრო მისწრაფებებით, პიგმეი, რომელსაც თავი გოლიათი ჰგონია. პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ადამიანი ეკონომიკურ და პოლიტიკურ თეორიებს ქმნის და ცდილობს, უნივერსალურ სისტემებად წარმოაჩინოს ისინი. იგი იბადება და იზრდება საფრთხის პირობებში და აბსოლუტური უსაფრთხოების მოპოვებას ცდილობს. იგი ადამიანია, მაგრამ თავი ღმერთი ჰგონია. ბოროტების საწყისი ეგოიზმია, ხოლო ბოროტების ხარისხი ამპარტავნობის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს.[9]

ეს შეხედულება, რა თქმა უნდა, ნიბურამდე დიდი ხნით ადრეც არსებობდა. ქრისტიანულ ტრადიციაში მისი კლასიკური ფორმულირება ნეტარ ავგუსტინეს ეკუთვნის. ამ ტრადიციის ფარგლებს გარეთ ის სპინოზას ფილოსოფიაშია განხილული, მეოცე საუკუნის პოლიტიკურ მეცნიერებაში კი ყველაზე ნათლად და თანამიმდევრულად ჰანს მორგენთაუს ნაშრომებში აისახება. ამ ოთხ ავტორს, მიუხედავად მათ შორის არსებული მრავალი განსხვავებისა, აერთიანებს ის, რომ მათი პოლიტიკური დასკვნები ემყარება გარკვეულ ვარაუდს ადამიანის ბუნების

---

[9] Niebur and Eddy. *Doom and Dawn*, p. 16: „ადამიანები ვცდილობთ, ჩვენი კერძო ღირებულებები აბსოლუტურ ღირებულებებად ვაქციოთ, რაც ადამიანის სიცოცხლეში უდიდესი ცოდვაა და მას ყოველთვის შედეგად მოჰყვება ყველაზე სისხლიანი კონფლიქტები ადამიანებს შორის." (აქაც და შემდგომშიც მე წიგნის მხოლოდ ის ნაწილები გამოვიყენე, რომლებიც ნიბურის დაწერილია.) იხილეთ შედარებისათვის: Niebuhr, *The Nature and Destiny of Man*, I, 137, 150, 177, 181; და "Is Social Conflict Inevitable?" *Scribner's Magazine*, XCVIII (1935), 167.

შესახებ. ამგვარი მსჯელობის პროცესის ნიმუშად ნეტარი ავგუსტინესა და სპინოზას მოსაზრებების განხილვა გამოდგება.

ნეტარი ავგუსტინე აკვირდებოდა თვითგადარჩენის მნიშვნელობას ადამიანის მოტივთა იერარქიაში. როდესაც ვხედავთ, რომ თვით ყველაზე უბედურებსაც კი „ეშინიათ სიკვდილის და სიკვდილს გაჭირვებაში ცხოვრება ურჩევნიათ, ნუთუ ნათელი არ არის," - კითხულობს ნეტარი ავგუსტინე, - „თუ როგორ ახეხრებს ბუნება განადგურებისაგან გადარჩენას?"[10] ავგუსტინეს აზრით, თვითგარადჩენის სურვილი დადასტურებული ფაქტია. ეს არ არის პრინციპი, რომელიც ადამიანის ქცევის მთლიანად ასახსნელად კმარა. სპინოზასათვის კი, *ნებისმიერი* ქმედების მიზანი მოქმედი პირის თვითგადარჩენაა. ბუნების კანონები არის უბრალოდ იმის განცხადება, თუ რას მოითხოვს ეს ერთადერთი მიზანი, ბუნებრივი უფლება კი - იმისა, თუ ლოგიკურად რის ნებას გვრთავს ის.[11] ადამიანი, რომელიც გონების კარნახით ცხოვრობს, სიმამაცესაც გამოავლენს და კეთილშობილებასაც, ანუ იგი შეეცდება თვითონაც გადარჩეს, გონების კარნახით, და სხვებსაც დაეხმაროს და დაიმეგობროს ისინი. ეს არა რეალური, არამედ იდეალური, რაციონალური ქცევის აღწერაა. ადამიანი, რომელიც გონების კარნახს მისდევს მამაცობასა და კეთილშობილებას იმიტომ როდი ავლენს, რომ ეს მისი მოვალეობაა. ხსენებული თვისებები ქვემოთ წარმოდგენილი მსჯელობის ლოგიკური შედეგია. მისი მცდელობა, დაეხმაროს სხვებს სულაც არ არის ეგოიზმს მოკლებული. პირიქით, სხვების პატივისცემა და მათთან თანამშრომლობის სურვილი იმის გაცნობიერების შედეგია, რომ ურთიერთდახმარება და შრომის განაწილება მისი გამოკვებისა და გადარ-

---

[10] Augustine, *City of God,* tr. Dods, Book XI, ch. xxvii.

[11] Spinoza, *Ethics,* Part IV, prop. xxxvii, note ii: „ყოველ ადამიანს აქვს სუვერენული, ბუნებრივი უფლება, განსაზღვროს, რა არის კარგი და რა არის ცუდი, იზრუნოს პირად სარგებელზე, საკუთარი შეხედულებით, შური იძიოს მისთვის მიყენებული ზიანის გამო, ისწრაფოდეს, დაიცვას ის, რაც უყვარს და მოსპოს ის, რაც სძულს." მოცემულია კრებულში: *The Chief Works of Benedict de Spinoza,* tr. Elwes, რომელიც შეიცავს *საღვთისმეტყველო-პოლიტიკურ ტრაქტატს, პოლიტიკურ ტრაქტატს და ეთიკას.* ტომი და გვერდი მოცემული იქნება ფრჩხილებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მითითების სტანდარტული სისტემა ნაკვეთის იოლად მიგნებისათვის საკმარისი არ იქნება.

ჩენისათვის არის აუცილებელი.[12] ლოგიკურად, ისევე როგორც პირველი ხედვის მომხრე ოპტიმისტების შემთხვევაში, ამას ანარქიზმამდე მივყავართ: „ყველა უნდა თანხმდებოდეს ყველა საკითხზე, ყველას სხეული და გონება უნდა იქცეს ერთ სხეულად და გონებად, ყველა ერთსულოვნად, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, უნდა ცდილობდეს გადარჩენას და ყველა ერთსულოვნად უნდა ესწრაფოდეს იმას, რაც ყველასათვის სასარგებლოა."[13] თითოეული ადამიანის ჭეშმარიტი ინტერესების სწორად შეფასების შედეგად ადამიანები ჰარმონიულად იცხოვრებენ საზოგადოებაში, რომელსაც მაკონტროლებელი და მმართველი პოლიტიკური ხელისუფლება არ დასჭირდება.[14]

ეს სპინოზას პოლიტიკური აზროვნების დასაწყისი უფროა, ვიდრე დასასრული. ყოველი ადამიანი, მართლაც, ზრუნავს საკუთარ ინტერესებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, არა გონების კარნახით. ნეტარი ავგუსტინე ამას პირველი ცოდვით ხსნიდა - საქციელით, რომელიც ადამიანის გონებისა და ნების ნაკლოვანებაზე მეტყველებს.[15] ეს რელიგიური განმარტება სპინოზას ფილოსოფიაში ლოგიკურ და ფსიქოლოგიურ დებულებად გარდაიქმნება. იგი რაციონალური ქცევის მოდელს აგებს: რაციონალურია ისეთი ქმედებები, რომლებიც თავისთავად უზრუნველყოფს ჰარმონიულ თანამშრომლობას მარადიული სიცოცხლის მისაღწევად. ეს არაა სამყაროს რეალური მდგომარეობა. ადამიანთა ნაკლოვანება, ამ შემთხვევაში, ხდება ემპირიული მონაცემი, რომელსაც ახსნა არ ესაჭიროება, და მართლაც, მისი ახსნა შეუძლებელია, რადგანაც ღმერთის ადგილს აქ ბუნება იკავებს.[16] ადამიანები საკუთარი

---

[12] მართალია, სპინოზას მტკიცებით, ყოველი არსება თვითგადარჩენას ცდილობს, მაგრამ თვითგადარჩენა და თვითრეალიზაცია პროპორციულად ემთხვევა ერთმანეთს იმის მიხედვით, თუ რამდენად გონივრულად ცხოვრობს ადამიანი. იხილეთ შედარებისათვის: *Ethics*, Part IV. prop. viii and apps. iv-v: Part V. props. xxxviii-xiii.

[13] *Ethics*, Part IV. prop. xviii, note. წინამდებარე ანალიზისათვის იხილეთ: Part III, prop. lix, note; Part IV props. xxix-xl; and *Theologico-Political Treatise*, chs. v, xvi (I, 73, 202-203).

[14] იხილეთ შედარებისათვის:Augustine. *City of God*. tr,. Dods, Book XV. ch. v: „მაგრამ კეთილი ან სრულყოფილად კეთილი ადამიანები კეთილ ადამიანებთან არ იომებენ."

[15] *Ibid*, Book XI, ch. vii; Book XII. ch. i.

[16] *Ethics*, Part I, props. xxvi. xxix: ინდივიდები, მათი გონება და სხეული, სხვა

ვნებებით ხელმძღვანელობენ და არა წმინდა გონივრული განსჯით. ვნებების კარნახით მოქმედი ადამიანები კონფლიქტში ებმებიან. ურთიერთდახმარების ნაცვლად, ისინი ერთმანეთის საზიანოდ მოქმედებენ. თითოეულ მათგანს სურს, ადამიანებს შორის პირველი იყოს და სხვებისათვის მიყენებული ზიანი უფრო ეამაყება, ვიდრე საკუთარი თავისათვის მოტანილი სარგებელი. გონებას ვნებათა შესუსტება შეუძლია, მაგრამ ეს იმდენად რთულია, რომ მათ, ვისაც სჯერა, რომ ადამიანები „ოდესმე შეიძლება დაარწმუნო, მხოლოდ გონების კარნახით იცხოვრონ, ან პოეტური ოქროს ხანა ან თეატრალური წარმოდგენა ეზმანებათ."[17]

პოლიტიკური და სოციალური პრობლემების სპინოზასეული ახსნა ემყარება მის მიერ გამოვლენილ კონფლიქტს გონებასა და ვნებას შორის. ავგუსტინე, ნიბური და მორგენთაუ უარყოფენ დუალიზმს, რომელიც სპინოზას ნააზრევში აშკარად ჩანს: მათ მიაჩნიათ, რომ ნაკლოვანია მთლიანად ადამიანი, მისი გონება და სხეული. მიუხედავად ამ განსხვავებისა, მათ შორის თანხმობის საფუძველი მაინც არსებობს, ვინაიდან თითოეული მათგანი პოლიტიკური პრობლემების სათავედ ადამიანის ნაკლოვანებებს აღიქვამს. ნიბური, მაგალითად, უარყოფს მარქსის მოსაზრებას, რომ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია საზოგადოების კლასებად დაყოფით არის გამოწვეული და მიიჩნევს, რომ კლასებად დაყოფაც და ექსპლუატაციაც „ადამიანის გულისთქმის" შედეგია.[18] მორგენთაუ „ადამიანთა ქმედებებში ფართოდ დამკვიდრებული ბოროტების" საწყისს ხედავს ადამიანის დაუოკებელ ენერგიაში, მოიპოვოს ძალაუფლება და აქციოს „ეკლესიები პოლიტიკურ ორგანიზაციებად . . . რევოლუციები დიქტატურებად . . . ქვეყნის სიყვარული იმპერიალიზმად."[19]

მორგენთაუს განცხადებიდან გამომდინარე, ახსნა, რომელიც მოეძებნება საშინაო პრობლემებს, საკვანძოდ გამოსადეგია სახელმწიფოთა შორის

არაფერია თუ არა ღმერთის გამოვლინება, ღმერთი კი სხვა არაფერია თუ არა ბუნების მთლიანობა.

[17] *Political Treatise*, ch. i, sec. 5.

[18] Niebuhr, *Christianity and Power Politics*, pp. 145-46. იხილეთ შედარებისათვის: Gregg, *The Power of Non-Violence*, pp. 131-32: „შიში და სიხარბე ომის, ისევე როგორც კაპიტალიზმის სათავეა." ამ განცხადების შედარება ნიბურისა და მორგენთაუს გამონათქვამებთან ცხადყოფს მსგავსებას ოპტიმისტებისა და მათი კრიტიკოსების ანალიზებს შორის.

[19] Morgenthau, *Scientific Man*, pp. 194-95.

ომებისა და უთანხმოებების გასაგებადაც. ავგუსტინე ადამიანისათვის დამახასიათებელ „ამდენი ამაო და საზიანო რამის სიყვარულს“ მიიჩნევს მისი მრავალი უბედურების მიზეზად, ჩხუბითა და ძარცვით დაწყებული, მკვლელობითა და ომით დამთავრებული.[20] მართალია, სპინოზა მშვიდობას სახელმწიფოს მიზნად აცხადებს, მაგრამ ასკვნის, რომ სახელმწიფოები ერთმანეთის ბუნებრივი მტრები არიან და გამუდმებით ფიზიზლად უნდა ადევნებდნენ თვალყურს ერთიმეორეს: არა იმიტომ, რომ ღირსეულნი და მშვიდობისმოყვარენი არ არიან, არამედ იმიტომ, რომ ნებისმიერ დროს უღირსნი და საომრად განწყობილნი შეიძლება გახდნენ; არა იმიტომ, რომ თანამშრომლობა მათ ინტერესებს ეწინააღმდეგება, არამედ იმიტომ, რომ ვნება ხშირად სძლევს როგორც ადამიანების, ისე სახელმწიფოების ჭეშმარიტ ინტერესებს. ნიბური კი უბრალოდ წერს, რომ ომის სათავე „ადამიანის სულის ბნელი და გაუცნობიერებელი წყაროებია.“[21]

ოპტიმისტების მსგავსად, პესიმისტებსაც, როგორც ჩანს, ხშირ შემთხვევაში სჯერათ, რომ ომების აღმოფხვრა მოხეხრდება, ადამიანების შეცვლა რომ შეიძლებოდეს, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს მათ მსგავსებაზე. ამ მოსაზრებას ირიბად გამოხატავს ნეტარი ავგუსტინე, როდესაც მისთვის ჩვეული, წუთისოფლით გადაღლილის სიბრძნით წერს: „მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს ყოფილა იმპერიის საზღვრებს მიღმა მტრულად განწყობილი სახელმწიფოების ნაკლებობა, რომელთა წინააღმდეგ წარმოებდა და დღესაც იწარმოება ომები, და რომც დაეუშვათ ასეთი სახელმწიფოების არარსებობა, თავად იმპერიის მასშტაბი მაინც წარმოშობდა უფრო ამაზრზენი ხასიათის ომებს“[22] მოსაზრება, რომ პოლიტიკური ფორმა მხოლოდ მეორეხარისხოვანი განმაპირობებელი ფაქტორია, უფრო პირდაპირ ნიბურმა გამოხატა. „ნებისმიერი ისტორიული საზოგადოებრივი გაერთიანების იდეალური ვარიანტი,“ - წერს იგი, - „ცოცხალ არსებებს შორის ძმური ურთიერთობებია, ინდივიდუალურ დონეზე - ამ ერთობის შიგნით, ხოლო კოლექტიურ დონეზე - მასსა და სხვებს შორის.“ მაგრამ „მშვიდობა საზოგადოებრივი

---

[20] Augustine, *City of God*, tr. Dods. Book XXII, ch. xxi; cf: Book XIV, ch. ii.

[21] Niebuhr, *Beyond Tragedy*, p 158.

[22] Augustine, *City of God*, tr. Dods, Book XIX, ch. vii.

გაერთიანების შიგნითაც კი ყოველთვის ნაწილობრივ იძულებითია, [ხოლო]. . . გაერთიანებებს შორის მშვიდობა კონკურენციული დაპირისპირებით ირღვევა." საშინაო ასპარეზზე ანარქიის საფრთხის თავიდან ასაცილებლად ოლიგარქიაა საჭირო, საგარეო ასპარეზზე უცხო მტრების მოგერიება კი ძალას მოითხოვს. ორივე აუცილებლობა ცოდვის შედეგია და აუცილებლობად რჩება „რადგანაც ადამიანები არ არიან საკმარისად კარგები იმისათვის, რომ მხოლოდ ნებაყოფლობით გააკეთონ ის, რაც საერთო კეთილდღეობის მიღწევას ესაჭიროება."[23] თუ სპინოზა აწყვილებს გონებასა და ადამიანურ ვნებას, რომელიც მას აბნელებს, ნიბური სიყვარულს მის მძლეველ ცოდვას უპირისპირებს. ცოდვა მიზეზია, ხოლო სიყვარული გამოსავალი იქნებოდა, ცოდვის დამარცხება რომ შეეძლოს. „მხოლოდ სინანულზე დამყარებულ მიმტევებელ სიყვარულს ძალუძს ქვეყნებს შორის მტრობის მოსპობა."[24]

კრიტიკული შეფასება

პირველი ხედვის მომხრე პესიმისტები აღიარებენ, რომ ოპტიმისტების იდეალი ღირებულია, მაგრამ, ამავდროულად, მისი მიღწევის შესაძლებლობას უარყოფენ. მაგალითად, სპინოზა მსჯელობს იმაზე, თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლია მშვიდობიანი ანარქიის მდგომარეობას, რომელიც შესაძლებელი იქნებოდა, ადამიანები რომ ჭეშმარიტად რაციონალურნი იყვნენ, ნიბური კი ედემის ბაღის ქრისტიანულ ან ოქროს ხანის სტოიცისტურ მითს ისეთი ქცევის სტანდარტის ამსახველად მიიჩნევს, რომელიც ისტორიულად შეუძლებელია, მაგრამ, ამავე დროს, მოკვდავთათვის შთაგონების წყაროს წარმოადგენს.[25] რამდენად ღირე-

---

[23] Niebuhr, *Faith and History*, pp. 219-20; იხილეთ შედარებისათვის: *Moral Man and Immoral Society*, p. 93: „ჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც ძალაუფლებისა და პრესტიჟის ჟინითაა შეპყრობილი და, ამასთანავე, შეზღუდულია საკუთარი სისუსტეებითა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებებით, თავის ერზე ახდენს საკუთარი ეგოს პროექციას და თავს ნებას აძლევს, საკუთარი ანარქიული ვნებები დაიკმაყოფილოს."

[24] Niebuhr, *An Interpretation of Christian Ethics*, p. 128; იხილეთ შედარებისათვის: *Christian Realism and Political Problems*, pp. 116-17.

[25] მაგალითად, Niebuhr, *An Interpretation of Christian Ethics*, p. 148; *Faith and History*, pp. 143-44.

ბულია მიუწვდომელი იდეალი? ცხადია, ადამიანებს საკუთარ მიზნებზე შეთანხმება და მათკენ რაციონალურად სწრაფვა რომ შეეძლოთ, ისინი ყოველთვის მიაგნებდნენ და აირჩევდნენ ნებისმიერი მოცემული პრობლემიდან საუკეთესო გამოსავალს. ისინი რომ ჭეშმარიტად მოსიყვარულენი იყვნენ, ყოველთვის მზად იქნებოდნენ „მეორე ლოყის მისაშვერად," მაგრამ, სინამდვილეში, ამის გაკეთება არ დასჭირდებოდათ. ამ პირობითი განცხადებებიდან არცერთი არ ასახავს ადამიანების რეალურ ქცევას - ისინი არც სრულყოფილად რაციონალურები არიან და არც ჭეშმარიტად მოსიყვარულენი და, როგორც პესიმისტები დასძენენ, ასეთები არც არასოდეს იქნებიან. ამგვარად, მორგენთაუ უარყოფს ვარაუდს „ადამიანის არსებითად კეთილი და უსაზღვროდ დამთმობი ბუნების" შესახებ და პოლიტიკურ ქცევას ადამიანების ზოგჯერ უბრალოდ ბრმა, ზოგჯერ კი მეტად გონივრულად ეგოისტური ქცევით ხსნის, რომელიც ადამიანის ბუნების უდავო და გარდაუვალი შედეგია და „არ შეცვლილა იმ დროიდან მოყოლებული, როდესაც ჩინეთის, ინდოეთისა და საბერძნეთის კლასიკური ფილოსოფია ცდილობდა, აღმოეჩინა" პოლიტიკის კანონები.[26]

პოლიტიკური პრობლემების ადამიანის უცვლელ ბუნებასთან დაკავშირება, რომელიც ბოროტებისა და სიკეთის თანდაყოლილი პოტენციალიდან გამომდინარე აიხსნება, არის თემა, რომელიც ავგუსტინეს, სპინოზას, ნიბურისა და მორგენთაუს ნაშრომებში მუდმივად მეორდება. ამგვარი დაკავშირება გამართლებულია ერთი მეტად მნიშვნელოვანი თვალსაზრისით. იმის თქმა, რომ ადამიანი საკუთარი ბუნების საპირისპიროდ მოქმედებს *prima facie** აბსურდია. მსოფლიო ისტორიის მოვლენებს ვერ გავმიჯნავთ იმ ადამიანებისაგან, რომლებმაც ისინი გამოიწვიეს, მაგრამ ადამიანის ბუნების მნიშვნელობა, როგორც ფაქტორისა სოციალური მოვლენების მიზეზობრივ ანალიზში, მცირდება იმის გამო, რომ ამავე ბუნებით, როგორი განსაზღვრებაც არ უნდა მოვუძებნოთ მას, სოციალურ მოვლენათა უსასრულო მრავალფეროვნება უნდა აიხსნას. ყველას შეუძლია „დაამტკიცოს," რომ ადამიანი ცუდია, თუ მისი ბოროტებისა და უგუნურების მაგალითებს მოიყვანს. ამ

---

[26] Morgenthau, *Politics among Nations*, pp. 3-4. იხილეთ შედარებისათვის: Niebuhr, *Beyond Tragedy*, p. 30.

* ერთი შეხედვით (ლათ.).

შემთხვევაში ადვილია ისეთი არასასურველი მოვლენების, როგორიცაა, მაგალითად, დანაშაული და ომი, ბოროტებასა და უგუნურებასთან დაკავშირება. მართალია, ეს არ არის საკმარისი პირველი ხედვის მართებულობის დასადგენად, მაგრამ ძნელია, ან, სულაც, შეუძლებელია, შეეწინააღმდეგოთ ხედვის ამგვარ თავისებურ ინტერპრეტაციას და მისი ფაქტებით გადამოწმება ვცადოთ. ასეთი მცდელობა ფაქტებისა და ღირებულებების შეფასების ჭაობში ჩაფლობას ნიშნავს. ადასტურებს თუ არა ადამიანის ისეთი საქციელი, როგორიცაა გაუპატიურება, მკვლელობა და ქურდობა იმას, რომ იგი ცუდია? მაშინ რა ვუყოთ საწინააღმდეგო ფაქტებს - ქველმოქმედებას, სიყვარულსა და თავგანწირვას? არის თუ არა მოცემულ საზოგადოებაში ჩადენილ დანაშაულებათა რიცხვი იმის მანიშნებელი, რომ იქ ცუდი ადამიანები ცხოვრობენ? ან იქნებ საკვირველი ის არის, რომ არსებულ პირობებში უფრო მეტი დანაშაული არ ხდება? იქნებ ჩვენ იმიტომ ვართ ასე *ცოტა* დანაშაულის და ასე *ცოტა* ომის მომსწრე, რომ ადამიანები კარგები არიან და ბუნებრივად რთულ პირობებს საოცრად კარგად ერგებიან? ამ შემთხვევაში, იმის თქმა, რომ რაიმე მოვლენის მიზეზი ადამიანების უგუნურება და ბოროტებაა ისეთი ჰიპოთეზა, რომელიც ავტორის განწყობიდან გამომდინარე იქნება აღიარებული ან უარყოფილი. ამ დებულების დამტკიცება ან უარყოფა ფაქტების მეშვეობით შეუძლებელია, რადგანაც ფაქტების შერჩევაც იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელ თეორიას მივემ ̓რობით. როგორც ემილ დურკჰაიმი აღნიშნავს, „ფსიქოლოგიური ფაქტორი ზედმეტად ზოგადია იმისათვის, რომ სოციალური მოვლენების თანამიმდევრობა წინასწარ განსაზღვროს. ვინაიდან ის არ განაპირობებს რომელიმე ერთ სოციალურ ფორმას, ის ვერცერთი მათგანის ასახსნელად ვერ გამოდგება.“[27] სოციალური ფორმების ფსიქოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით ახსნის მცდელობა ფსიქოლოგიზმის შეცდომას უტოლდება - ინდივიდთა ქცევის ანალიზის უპირობოდ გამოყენებას ჯგუფური მოვლენების ასახსნელად.

ხშირად ამბობენ, რომ ადამიანის ბუნების გააზრების გარეშე პოლიტიკის თეორია ვერ იარსებებს. ამ გამონათქვამის საფუძველზე, ნიბური წერს, რომ „პოლიტიკური სტრატეგიები,“ რომელთაგანაც

---

[27] Durkheim, *The Rules of Sociological Method*, tr. Solovay and Mueller. p. 108.

უკლებლივ ყველა „ძალის ძალით გაწონასწორებას“ გულისხმობს, აუცილებელია „ადამიანის ცოდვილი ბუნების“ გამო.[28] თავი რომ დავანებოთ საკითხს, ვიზიარებთ თუ არა ამ მოსაზრებას, შეიძლება დავსვათ კითხვა, რა მნიშვნელობა აქვს მის გაზიარებას ან არგაზიარებას. ადამიანის ბუნება, შეიძლება, გარკვეული თვალსაზრისით, 1914 წლის ომის მიზეზად მივიჩნიოთ, მაგრამ, მსგავსად ამისა, ის 1910 წელს არსებული მშვიდობის მიზეზიც იყო. ამ ორ თარიღს შორის განვლილ წლებში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ უცვლელი დარჩა ადამიანის ბუნება. ამდენად, ადამიანის ბუნება მიზეზია მხოლოდ იმ მხრივ, რომ ადამიანები როგორღაც სრულიად განსხვავებულნი რომ იყვნენ, მათ პოლიტიკური კონტროლი საერთოდ არ დასჭირდებოდათ. აქ შეიძლება გავიხსენოთ მორბენალი, რომელმაც კითხვაზე, თუ რატომ წააგო შეჯიბრი, უპასუხა: „მე ძალიან ნელა ვირბინე.“ პასუხი სწორია, მაგრამ ბევრს არაფერს გვაძლევს. ამაზე უფრო გამოსადეგი პასუხი შეიძლება არსებობდეს ან არა. მორბენალს შეიძლება ვკითხოთ, თუ როგორ ვარჯიშობდა, როგორი ფეხსაცმელი ეცვა, როგორ ეძინა წინა ღამით და რამდენად სწორი სარბენი სიჩქარე აირჩია. ამ შეკითხვების პასუხები ათლეტის ბუნებრივ შესაძლებლობებზე გავლენას არ მოახდენს, მაგრამ მათი წყალობით სამომავლო წარმატების გასაღებს შეიძლება მივაგნოთ. ათლეტის ფიზიკური მონაცემების გათვალისწინების გარეშე მისთვის რეჟიმის დადგენა უაზრობა იქნებოდა, მაგრამ მის შედეგებზე გავლენის მქონე მუდმივი ფაქტორებისათვის ზედმეტი ყურადღების დათმობამ, შესაძლოა, ჩვენი ყურადღების მიღმა დატოვოს ისეთი ფაქტორები, რომლებზეც ზემოქმედება შესაძლებელია. ამის მსგავსად, ადამიანის ბუნებას შეიძლება ომის ძირითადი ან პირველადი მიზეზი ვუწოდოთ, მაგრამ იმ ავტორთა თანახმად, ვისზეც აქ ვმსჯელობთ, ადამიანის საზრიანობას ამ მიზეზზე გავლენის მოხდენა არ ძალუძს.

სპინოზა აცხადებდა, რომ ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე დაყრდნობით ადამიანის ქცევის ახსნა შეეძლო.[29] მაგრამ მიზეზების ძიება განსხვავებათა

---

[28] Niebuhr, *Christianity and Power Politics*, p. 4.

[29] „მე მსურდა, გასაგები ყოფილიყო,“ - წერს იგი, - „რომ ჩემს მიერ ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა ადამიანის ბუნების მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობს . . . - ანუ, ყველა ადამიანის უნივერსალური სწრაფვიდან თვითგადარ-

ახსნის მცდელობაა. ადამიანები რომ მუდმივად ომობდნენ ან მუდმივად მშვიდობაში ცხოვრობდნენ, შეკითხვა ომის ან მშვიდობის მიზეზების შესახებ არ გაჩნდებოდა. რითი შეიძლება აიხსნას ომისა და მშვიდობის პერიოდების მონაცვლეობა? მართალია, ადამიანის ბუნება, უდავოდ, ასრულებს გარკვეულ როლს ომის წამოწყებაში, მაგრამ ის თავისთავად ვერ გვთავაზობს ომისა და მშვიდობის ახსნას, გარდა იმ უბრალო განმარტებისა, რომ საკუთარი ბუნების გამო, ადამიანი ხან ომობს, ხან კი მშვიდობიანად ცხოვრობს. ამ განცხადებას უცილობლად მივყავართ იმის ახსნის მცდელობამდე, თუ რატომ იბრძვის ზოგჯერ ადამიანი, ხოლო ზოგჯერ - არა. თუ ადამიანის ბუნება ომის *ერთადერთი* მიზეზია და თუ, პირველი ხედვის მომხრე პესიმისტების სისტემათა შესაბამისად, ადამიანის ბუნება უცვლელია, მაშინ მშვიდობის იმედი არ უნდა გვქონდეს. თუ ადამიანის ბუნება ომის გამომწვევ მიზეზთაგან მხოლოდ ერთ-ერთია, მაშინ, იმის გათვალისწინებითაც კი, რომ ადამიანის ბუნება უცვლელია, ჩვენ შეგვიძლია, მშვიდობისათვის აუცილებელი პირობების ძიება განვაგრძოთ.

რამდენად საზიანოა ასეთი კრიტიკა პირველი ხედვის მომხრე პესიმისტების მიერ შექმნილი სისტემებისათვის? ნამდვილად ძალზე საზიანოა იმ შემთხვევაში, თუ პესიმისტები, მართლაც, შეეცდებიან კონკრეტული პოლიტიკური დასკვნების გაკეთებას ადამიანის ბუნების შესახებ საკუთარი წარმოდგენიდან გამომდინარე. ეს არ მოხდება, მაგრამ მათი მეთოდი სხვა, საკმაოდ მნიშვნელოვანი მიზნებისათვის გამოდგება. თუ დურკჰაიმი აღნიშნავს, რომ ფსიქოლოგიური ფაქტორი არცერთ ცალკეულ სოციალურ ფორმას არ განაპირობებს და შესაბამისად ვერცერთ მათგანს ვერ ხსნის, ავგუსტინე და ნიბური, ალბათ, უპასუხებდნენ, რომ პირიქით, ფსიქოლოგიური ფაქტორის მეშვეობით ყველა ფორმის ახსნა შეიძლება. „კეისრები და წმინდანები," - წერდა ნიბური, - „ადამიანის ერთი და იმავე ხასიათის წყალობით ყალიბდებიან." ან კიდევ, „ადამიანის ბუნება იმდენად რთულია, რომ ის ამართლებს თითქმის ყველა ვარაუდსა თუ წინასწარგანწყობას, რომელიც მეცნიერულ

ჩენისაკენ." პოლიტიკაში იგი ცდილობდა, „ადამიანის ბუნების არსებული მდგომარეობის საფუძველზე გაეკეთებინა . . . ისეთი დასკვნები, რომლებიც პრაქტიკასთან ყველაზე ახლოს იყო." *Political Treatise*, ch. iii, sec. 18; ch. I, sec. 4.

კელევასა თუ უბრალო ადამიანურ კონტაქტს უდევს საფუძველად."[30] ეს დურკჰაიმის კრიტიკული მოსაზრების ერთი ნაწილის აღიარება და მეორის უარყოფაა. ადამიანის ბუნება ვერ ახსნის, თუ რატომ არის ადამიანი ერთ სახელმწიფოში დამონებული, ხოლო მეორეში - შედარებით თავისუფალი, რატომ ხდება ერთ წელიწადს ომი, მეორე წელიწადი კი შედარებით მშვიდობიანია. თუმცა, მისი დახმარებით ყველა სოციალური თუ პოლიტიკური წყობისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებების ახსნა შეიძლება. ამგვარად, ნიბური აღფრთოვანებულია მარქსის მიერ ბურჟუაზიული დემოკრატიის წინააღმდეგობრივი ბუნების გამომჟღავნებით, მაგრამ, ამავდროულად, აკრიტიკებს მარქსისტთა ილუზიას, რომ ფორმაციების შეცვლა მიწიერ უტოპიას მისცემს დასაბამს.[31] ნეტარი ავგუსტინე, რომელიც შორს არის იმ აზრისაგან, რომ რადგანაც ამქვეყნად ომები ხდება, პოლიტიკური ორგანიზაცია მნიშვნელობას მოკლებულია, პირიქით, იმ აზრის გამოხატვას ცდილობს, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებები, იმის მიუხედავად, რომ არასრულყოფილი შეიძლება იყოს, მაინც აუცილებელია. ავგუსტინესა და ნიბურის, სპინოზასა და მორგენთაუს ძირითადი ვარაუდები სასარგებლოა შესაძლო პოლიტიკური მიღწევების ფარგლების დასადგენად.

თუმცა, იმაზე, თუ რა არის მართებული დურკჰაიმის კრიტიკაში, ჰანიშნებს პესიმისტებისათვის დამახასიათებელ ტენდენციათა მთელი რიგი: ერთი მხრივ, პოლიტიკისა და ეკონომიკის შინაარსის გარეშე წარმოდგენა, ხოლო მეორე მხრივ, შინაარსის შესაძენად მიზეზობრივი კავშირის სფეროს ადამიანის ფსიქოლოგიის ფარგლებს მიღმა განვრცობა. პირველის ნიმუშია ნიბურის მიერ ავგუსტინეს კრიტიკა. ავგუსტინე ამტკიცებს, რომ პირველი ცოდვის შედეგებმა განაპირობა ხელისუფლების აუცილებლობა, მაგრამ სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების შედარებით ღირსებებს ვერ განასხვავებს. ანარქიის შედეგების მძაფრად აღქმა მას ტირანიასთან შეგუების მოსურნედ ხდის. აქ ნიბურის კრიტიკა ღია და დამაჯერებელია. იგი წერს, რომ ავგუსტინეს მიმდევრები „ანარქიის საფრთხეს მოქალაქეთა ეგოიზმში ხედავდნენ, მაგრამ მმარ-

---

[30] Niebuhr, *Christianity and Power Politics*, p. 157; *Does Civilization Need Religion?* p.41.

[31] Niebuhr, *Christianity and Power Politics*, ch. 11.

თველის თავკერძობას ტირანიის საფრთხედ არ განიხილავდნენ. ამიტომაც, მმართველის თვითნებობაზე კონტროლის დაწესებას თავისთავად ცხად აუცილებლობას უარყოფდნენ,"[32] მაგრამ ამგვარ მიდრეკილებას ზოგჯერ თავად ნიბურიც ამჟღავნებს. მაგალითად, მისი კომენტარები ეკონომიკური თავისუფლებისა და კონტროლის, ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების შესახებ უფრო მეტად მისი თეოლოგიური პოზიციიდან გამომდინარეობს, ვიდრე ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემებისა და ფორმების დეტალური ანალიზიდან. მართალია, მისი ზოგადი შენიშვნები ხშირად მართებულია, მაგრამ ცალკეული განცხადებები, ასევე, ხშირად სუბიექტურია და, მიუხედავად იმისა, ვიზიარებთ თუ არა მათ, ძნელია იმის თქმა, თუ რას ემყარება ისინი. ნიბურის მიერ ადამიანის მოკვდავ ბუნებაზე ყურადღების გამახვილებამ რამდენიმე ბრწყინვალე მიგნებამდე მიგვიყვანა, რაც, როგორც წესი, ერთ ფაქტორზე დეტალურად და მუდმივად დაკვირვების შედეგად ხდება, მაგრამ ისეთი შეფასებებიც წარმოშვა, რომელთა შებრუნებაც ძალიან ადვილია.[33] ეს შეიძლება ადამიანის ბუნების მსგავსი განსაზღვრების საფუძველზე გაკეთდეს, ისევე, როგორც იმ შემთხვევაში, როცა ნიბური ავგუსტინეს პოლიტიკურ შეხედულებებს არ იზიარებს, ადამიანის შესახებ მის შეხედულებას კი ეთანხმება.

საერთაშორისო ურთიერთობების პირველი ხედვის მომხრეთა ანალიზის ღირებულების გასაგებად პესიმისტებისათვის დამახასიათებელი მეორე ტენდენცია უფრო მნიშვნელოვანია. მართალია, სპინოზა დარ-

---

[32] Nebuhr. *Christian Realism and Political Problems*, p. 127; იხილეთ შედარებისათვის: *Christianity and Power Politics*, pp. 50 ff.

[33] იხილეთ შედარებისათვის: Niebuhr, *The Irony of American History*, ch. v; *The Children of Light and the Children of Darkness*, ch. iii; *Reflections on the End of an Era, passim*. თომპსონი იმავე მოსაზრებას სხვა ფორმით გამოთქვამს. იხილეთ მისი: "Beyond National Interest: A Critical Evaluation of Reinhold Niebuhr's Theory of International Politics," *Review of Politics*, XVII (1955), 185-86; და "The Political Philosophy of Reinhold Niebuhr," in Kegley and Bretall, eds., *Reinhold Niebuhr, His Religious, Social, and Political Thought*, pp. 169-73. ართურ შლესინჯერს რამდენიმე მაგალითი მოჰყავს, რომლებიც გვიჩვენებს, რომ ნიბურის დასკვნები თანამედროვე პოლიტიკოსებისა და მათი პოლიტიკის შესახებ შემთხვევითი ხასიათისაა. იხილეთ: "Reinhold Niebuhr's Role in American Political Thought and Life," in *ibid.*, pp. 137-43.

წმუნებულია, რომ ადამიანის თანდაყოლილი თვისებების განხილვის მეშვეობით პოლიტიკური მოვლენების ახსნა შეძლო, მაგრამ იგი, აგრეთვე, ნათლად გამოთქვამს აზრს, რომ განსხვავებულ პირობებში ადამიანები სხვადასხვაგვარად იქცევიან. როდესაც ადამიანები გაერთიანებულნი არ არიან, მათ გამუდმებით ფხიზლად უნდა ადევნონ თვალყური ერთმანეთს. თანამეგობრობაში ცხოვრებისას კი ისინი, ხშირ შემთხვევაში, სულ მცირე მშვიდობასა და უსაფრთხოებას აღწევენ. ავგუსტინე აღნიშნავს, რომ, ხელისუფლების მიერ დაწესებული შეზღუდვების გარეშე, ადამიანები მანამ არ მოშვებოდნენ ურთიერთულეტას, სანამ მათი მოდგმა არ ამოწყდებოდა. სწორედ წესიერი ხელისუფლებაა ის ძალა, რომელსაც შეუძლია იხსნას ადამიანები სიკვდილისაგან და მოხუცებულობამდე მეტ-ნაკლებად უსაფრთხოდ და ბედნიერად ცხოვრების საშუალება მისცეს. ავგუსტინე და სპინოზა ამ მოსაზრებას მხოლოდ ქვეტექსტურად ეთანხმებიან და მას ღიად არ აღიარებენ. ნიბური და მორგენთაუ მიზეზების ერთიერთკავშირის პრობლემას უფრო პირდაპირ განიხილავენ. ნიბური მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისაგან პირველად და მეორეხარისხოვან მიზეზებს. „სამართლიანობისა და მშვიდობის პრობლემის გადაჭრის ყველა წმინდა პოლიტიკური თუ ეკონომიკური მცდელობა კონფლიქტისა და უსამართლობის განსაკუთრებული და მეორეხარისხოვანი მიზეზების დაძლევისაკენ არის მიმართული," - აცხადებს იგი. „ყველა წმინდა რელიგიური გამოსავალი უმთავრეს და პირველად მიზეზებს უკავშირდება." ერთი სახის გამოსავლის მომხრეები ხშირად მეორე გამოსავალს გამორიცხავენ, მაგრამ ორივე აუცილებელია.[34] მაგალითად, ავგუსტინეს კრიტიკისას ნიბური ნათლად გვიჩვენებს, რომ ქრისტიანობის პრინციპების რეალისტურად აღქმისათვის საჭიროა, რომ ადამიანები სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების ღირსების ხარისხით დაინტერესდნენ. ვერცერთი მათგანი სრულყოფილი ვერ იქნება, მაგრამ დემოკრატიის ნაკლოვანებები გაცილებით უფრო მისაღებია, ვიდრე ტოტალიტარიზმისა. ვინაიდან სრულყოფილი სამართლიანობა მიუღწეველია, ადამიანები იწყებენ შესაძლო ნახევარზომების აწონ-დაწონას, რის შედეგადაც ძალისხმევას იჩენენ ისეთების ასარჩევად, რომლებიც ოდნავ მეტი სამართლიანობის

[34] Niebuhr and Eddy, *Doom and Dawn*, p. 6. იხილეთ შედარებისათვის: *Leaves from the Notebook of a Tamed Cynic*, pp. 88-91.

ან თავისუფლების, უსაფრთხოების ან კეთილდღეობის იმედს იძლევა და ცდილობენ, თავი აარიდონ ისეთებს, რომლებიც უფრო ნაკლების მომტანია. ნიბურის აზრით, მიწიერი სრულყოფილების მიუღწევადობა არ ამართლებს სხვადასხვა წესწყობილებისა და პოლიტიკის ტიპების შედარებითი ღირსებების მიმართ გულგრილობას, რომელიც ავგუსტინეს ახასიათებს და რომელსაც აგრეთვე ვხვდებით ლუთერის, ჰობსისა და კარლ ბართის ნაშრომებში.[35]

მეტნაკლებობის საკითხებით ასეთი მძაფრი და პრაქტიკული დაინტერესების შედეგად „მეორეხარისხოვანი" მიზეზები ყურადღების ცენტრში ექცევა. შეიძლება ითქვას, რომ ნიბურს ძირითადი მიზეზიდან ერთი მაქსიმა გამოჰყავს: ნუ მოელით მეტისმეტად ბევრს. მეორეხარისხოვანი მიზეზების გამოვლენის შედეგად კი იგი სხვა დასკვნებსაც აკეთებს: კონკრეტულად რას უნდა მოველოდეთ განსხვავებულ პირობებში, რომელი პირობები უნდა შეიცვალოს, რათა არასასურველი შედეგები შევამციროთ და განსხვავებული შედეგები მივიღოთ და, ზოგადად, როგორი უნდა იყოს ქცევის წესები კეთილსინდისიერი მოქალაქისა და პოლიტიკოსისათვის.

კონფლიქტის „პირველადი" მიზეზებით ზედმეტი დაინტერესება მსოფლიო პოლიტიკის რეალისტურ ანალიზს უშლის ხელს. ძირითადი მიზეზი ნაკლებად ექვემდებარება ზემოქმედებას, ვიდრე ყველა დანარჩენი. მიზეზები, რომლებიც ნამდვილად ხსნის ქცევაში განსხვავებას, სადღაც სხვაგან უნდა მოვიძიოთ და არა ადამიანის ბუნებაში. ნიბური ამას აღიარებს, როდესაც წერს, რომ „გარკვეული თვალსაზრისით, თანამედროვე ცივილიზაციის გასაჭირი ადამიანის ცოდვილი ბუნებითა თუ ადამიანების სიხარბით გამოწვეული არ არის. პოლიტიკურ წყობაში კოლექტივის წევრი ადამიანის სიხარბე თავისთავად მოვლენად უნდა მივიჩნიოთ,"[36] მაგრამ ძალას ორგანიზებული ფორმა შეიძლება მიეცეს ხელისუფლების ხელში და ერთი ჯგუფის ან სახელმწიფოს პრეტენზიები სხვათა პრეტენზიებით შეიზღუდოს.[37] სწორად გაგებული მეორეხა-

---

[35] Niebuhr. *The Nature and Destiny of Man*, I. 220-22; *The Self and the Dramas of History*, p. 119.

[36] Niebuhr and Eddy. *Doom and Dawn*, p. 8.

[37] Niebuhr. *Discerning the Signs of the Times*, pp. 71, 104; *Moral Man and Immoral Society*, p. 272

რისხოვანი მიზეზები მშვიდობის დამყარების რეალურ შესაძლებლობას იძლევა. პირველადი მიზეზების მეორეხარისხოვანი მიზეზებით გადაწონვა მორგენთაუსთანაც აშკარად ჩანს - ომს წარმოშობს ადამიანში ჩაბუდებული ძალაუფლების ჟინი, - ამბობს იგი, - მშვიდობას კი - მსოფლიო მთავრობა.[38] ვინაიდან მსოფლიო მთავრობის არსებობა ამჟამად შეუძლებელია, მორგენთაუ, ნიბურის მსგავსად, დამაჯერებლად საუბრობს ძალთა ბალანსის პოლიტიკის გარდაუვალ აუცილებელობაზე.[39]

რამდენიმე მოკლე კომენტარმა „რეალისტებსა" და მათ კრიტიკოსებს შორის მიმდინარე ცხარე დებატების თაობაზე, შესაძლოა, უფრო ნათელი გახადოს პირველი ხედვის მომხრე პესიმისტების შესახებ გამოთქმული კომენტარების პრაქტიკული მნიშვნელობა. რადგანაც წინამდებარე დისკუსიაში მორგენთაუ ნაკლებად ფიგურირებდა, ძირითადი ბრძოლა კი სწორედ მის გარშემოა გაჩაღებული, მომდევნო გვერდებზე ყურადღებას მას და მის კრიტიკოსებს დავუთმობთ.

მორგენთაუ აღიარებს, რომ შეჯიბრი, შეზღუდული რაოდენობით არსებული დოვლათის ხელში ჩასაგდებად, რომელსაც მსაჯი არ ჰყავს, კონკურენტებს შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლაში გადაიზრდება და, აქედან გამომდინარე, ძალაუფლებისათვის ბრძოლა ადამიანის თანდაყოლილი ბოროტების განხილვის გარეშეც შეიძლება აიხსნას. ძალაუფლებისათვის ბრძოლა იმიტომ იწყება, რომ ადამიანებს გარკვეული რამის ფლობა სურთ და არა იმიტომ, რომ მათ ბოროტი ზრახვები აქვთ. ამას იგი კონფლიქტის ორი მიზეზიდან ერთ-ერთს უწოდებს, მაგრამ უკანასკნელის განხილვისას, თითქოს გაუცნობიერებლად, „კონფლიქტისა და მისი თანამდევი ბოროტების მეორე მიზეზისაკენ" იხრება - ესაა „*animus dominandi*, ძალაუფლების სურვილი." ამის მაგალითად შემდეგი ფრაზა გამოდგება: „პოლიტიკური წარმატება იზომება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლია ერთ ადამიანს სხვებთან მიმართებაში საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნება, გაზრდა ან დემონსტრირება."[40] ძალაუფლება თითქოს თავისთავად მიზანია, მაგრამ, პოლიტიკური დაპირისპირების პირველ მიზეზზე თუ გავამახვილებთ ყურადღებას, ძალაუფლება მხოლოდ კონკურენციის აუცილებელ ინსტრუმენტად

[38] Morgenthau. *Scientific Man*, pp. 187-203; *Politics among Nations*, pp. 477, 481.
[39] Morgenthau. *Politics among Nations*. Part IV.
[40] Morgenthau, *Scientific Man*, pp. 192, 196.

მოგვევლინება. თუმცა, მორგენთაუ ძალაუფლებისაკენ ადამიანის თანდაყოლილ სწრაფვას უფრო ძირითად ფაქტორად მიიჩნევს, ვიდრე იმ შემთხვევით პირობებს, რომლებშიც ძალაუფლებისათვის ბრძოლა მიმდინარეობს. ამაზე მიანიშნებს მისი განცხადება, რომ „სამყაროში, სადაც ძალაუფლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რაციონალური პოლიტიკის გამტარებელ არცერთ ერს არ აქვს არჩევანი ძალაუფლების უარყოფასა და მისი მოპოვების სურვილს შორის; *და რომც ჰქონდეს,* ინდივიდის საკეთილდღეოდ მიმართული ძალაუფლების ჟინის წყალობით, ჩვენ მაინც აღმოვჩდებოდით ნაკლებად შთამბეჭდავი, მაგრამ არანაკლებად საგულისხმო ზნეობრივი ნაკლოვანებების პირისპირ."[41]

აქ მოცემული გვაქვს ორი იდეა: პირველის მიხედვით, კონკურენტულ გარემოში იწყება ბრძოლა უპირატესობის ხელში ჩასაგდებად და გამოიყენება ძალა, რადგან არ არსებობს ხელისუფლება, რომელსაც კონკურენტთა საშუალებების შეზღუდვა შეუძლია; მეორის თანახმად კი, ძალაუფლებისათვის ბრძოლა იმიტომ იწყება, რომ ძალაუფლებისაკენ ლტოლვა ადამიანებს დაბადებიდან ახასიათებთ. რა შედეგები მოაქვს ასეთ ორმაგ განმარტებას საერთაშორისო პოლიტიკისათვის? ის, ვინც მეორე იდეას იზიარებს, ეროვნულ ინტერესებს ძალაუფლების ასპექტში განსაზღვრავს, რადგანაც ადამიანები ბუნებრივად ესწრაფიან ძალაუფლებას. პირველი იდეის მომხრე, აგრეთვე, ძალაუფლების კუთხით განსაზღვრავს ეროვნულ ინტერესებს, მაგრამ, ამჯერად, იმის გამო, რომ გარკვეულ პირობებში ძალაუფლება სახელმწიფოთა მიზნების მიღწევის აუცილებელი საშუალებაა. ერთ შემთხვევაში ძალაუფლება მიზანია, მეორეში კი - მხოლოდ ინსტრუმენტი. ანალიზის სქემა ბუნდოვანია, რადგანაც თუ აღმოჩნდება, რომ ძალაუფლება *აუცილებელი* საშუალებაა, მაშინ ის მიზნის გარკვეულ თვისებებსაც გარდაუვლად შეიძენს. რომელი განმარტებაც არ უნდა გავიზიაროთ - პირველი თუ მეორე, ან, სულაც, ორივე რომ შევაჯეროთ, პოლიტიკასთან დაკავშირებულ დასკვნებზე ეს ნაკლებად იმოქმედებს. თუმცა, ამ არჩევანმა, შესაძლოა, ანალიტიკოსი დააბნიოს და მისი კრიტიკოსებიც გააოგნოს.

რეალისტები აზროვნების ორი სკოლის აშკარა დიქოტომიის იდეის აღიარებისაკენ იხრებიან. ეს იგულისხმება ნიბურის ზემოციტირებულ განცხადებაში, რომ ყოველგვარი პოლიტიკური რეალიზმის საფუძველი

---

[41] *Ibid.*, p. 200. ხაზგასმა ავტორისაა.

ადამიანის ბუნების სილრმისეული წვდომაა და ქენანის მიერ მთავრობის მოღვაწეობის განმარტებაში, როგორც „ცივილიზებულ საზოგადოებაზე დაკისრებული მოსაწყენი მოვალეობისა, რომელიც, საუბედუროდ, ადამიანის ირაციონალური ბუნების, მისი ეგოიზმის, სიჯიუტისა და ძალადობისაკენ მიდრეკილების შედეგია."[42] მორგენთაუს შეხედულებებში ნათლად ჩანს, რომ თანამედროვე პოლიტიკური აზროვნება ორ სკოლად იყოფა - უტოპისტებად, მათი ოპტიმისტური ფილოსოფიით ადამიანისა და პოლიტიკის შესახებ და რეალისტებად, რომლებიც ხედავენ, რომ სამყარო „ადამიანის ბუნებაში თანდაყოლილად არსებული ძალების შედეგია." ჯერალდ სტაურჯი ასევე მკვეთრად განასხვავებს მათ, ვინც მიიჩნევს, რომ გონებისა და მეცნიერების პროგრესის პარალელურად მთავრობის საჭიროება თანდათან გაქრება და „მათ, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ ადამიანის ბუნებაში ეგოიზმის, ამპარტავნობისა და გარყვნილების გამოუსწორებელი ელემენტი არსებობს" და, ამიტომაც, „პოლიტიკურ პროცესებში გონებისა და „მეცნიერული პრინციპებისათვის" უზენაესი როლის მიკუთვნებაზე უარს ამბობენ."[43]

მთავრობების, პოლიტიკური მანიპულაციებისა და ძალთა ბალანსის აუცილებლობა, შესაძლოა, ნაწილობრივ ადამიანის ვნებებითა და ირაციონალურობითაც იყოს გამოწვეული, მაგრამ არსებობს სხვა მიზეზებიც. პოლიტიკური მიდგომების ორ კატეგორიად დაყოფამ შეცდომაში შეიძლება შეგვიყვანოს, რადგანაც ის კონფლიქტის მიზეზებისა და საჭირო პოლიტიკური ზომების არასრულ ჩამონათვალს ეფუძნება. ამ დიქოტომიას ხშირად რეალისტთა კრიტიკოსებიც იზიარებენ. ჯონ ჰერცის ნაშრომის *პოლიტიკური რეალიზმი და პოლიტიკური იდეალიზმი* განხილვისას, ქუინსი რაითი თვითმარქვია რეალისტებზე შემდეგ კომენტარს აკეთებს: „როდესაც ვინმე ამბობს, რომ სახელმწიფოები ძალაუფლებისაკენ, როგორც უზენაესი ღირებულებისაკენ ისწრაფიან, უმალვე ჩნდება ფილოსოფიური შეკითხვა: უნდა იყოს თუ არა ძალაუფლება სახელმწიფოებისათვის უზენაესი ღირებულება? „რეალისტი" ამ კითხვას დადებით პასუხს გასცემს, ვინაიდან მიიჩნევს, რომ სახელმწიფოები საკუთარ

---

[42] Kennan, *Realities of American Foreign Policy*, p. 48.

[43] Morgethau, "Another 'Great Debate': The National Interest of the United States." *American Political Science Review*, XLVI (1952), 961-962; Stourzh, *Benjamin Franklin and American Foreign Policy*, pp. 1-2.

ეროვნულ ინტერესებზე უნდა ზრუნავდნენ, ეროვნულ ინტერესებს შორის კი უმთავრესია სახელმწიფოს ძლიერების გაზრდა. ამ შემთხვევაში, ისინი ადგენენ არა თავისთავად ცხად აქსიომას, არამედ ეთიკურ ნორმას, თანაც ისეთს, რომელიც, აშკარად, საკამათოა."[44] ეს მისაღებია როგორც მორგენთაუს, მაგრამ არა როგორც ჰერცის კრიტიკა. თუმცა, პირველ შემთხვევაშიც, ამ კრიტიკის შეცდომაა, რომ ის არ ცდილობს იმ გაუგებრობის დაძლევას, რომელიც თვითონვე წარმოშვა. თუ ვინმეს ძლიერ დააინტერესებს ზემოგანხილული განცხადებები, რომლებშიც ადამიანის ძალაუფლებისაკენ ლტოლვა ამქვეყნიური პრობლემების პირველად მიზეზად არის მოხსენიებული, მაშინ, ალბათ, სამართლიანი იქნება იმის თქმა, რომ მორგენთაუმ ნორმატიული განცხადება გააკეთა, რომელიც შეიძლება გავიზიაროთ ან უარვყოთ ჩვენივე განწყობიდან გამომდინარე. ჰერცის ანალიზის თანხმად კი, სახელმწიფოები საკუთარ შედარებით ძლიერებაზე „უსაფრთხოების დილემის" გამო ზრუნავენ, რომელიც არსებული ანარქიის მდგომარეობის პირშშოა.[45] ძალა გვევლინება უფრო მეტად შესაძლო სასარგებლო ინსტრუმენტად, ვიდრე უზენაეს ღირებულებად, რომლისკენაც ადამიანები საკუთარი ბუნების გამო ისწრაფიან. ამრიგად, კითხვა, უნდა იყოს თუ არა ძალაუფლება „სახელმწიფოების უზენაესი ღირებულება," აზრს კარგავს. უფრო მართებული იქნება, ვიკითხოთ, თუ რა შემთხვევაში იქნება ის უზენაესი ღირებულება, თუ ეს საერთოდ შესაძლებელია, და რა შემთხვევაში - მხოლოდ საშუალება.

ადამიანის ბუნების შესახებ შეხედულების საფუძველზე პოლიტიკის ფილოსოფიის აგების მცდელობა სახელმწიფო მმართველობაში ეთიკის როლით დაინტერესებას იწვევს, მაგრამ, ამავდროულად, ეთიკური ქცევის არაეთიკურისაგან განსხვავების კრიტერიუმებს არ გვაძლევს. ეს სირთულე ასახულია ერთი კრიტიკოსის კომენტარებში, რომელიც მორგენთაუს მიერ შემოთავაზებული საგარეო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპის, „ეროვნული ინტერესების" შინაარსის დადგენას ცდილობს. გრეისონ კირკის აზრით, „ამ სირთულის [შინაარსთან დაკავშირებული] ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლოა, იმის აღიარების სურ-

---

[44] Wright. "Realism and Idealism in International Politics," *World Politics*, V (1952). 122.

[45] Herz, *Political Realism and Political Idealism*, ch. ii, sec. ii.

ეროვნულ ინტერესებზე უნდა ზრუნავდნენ, ეროვნულ ინტერესებს შორის კი უმთავრესია სახელმწიფოს ძლიერების გაზრდა. ამ შემთხვევაში, ისინი ადგენენ არა თავისთავად ცხად აქსიომას, არამედ ეთიკურ ნორმას, თანაც ისეთს, რომელიც, აშკარად, საკამათოა."[44] ეს მისაღებია როგორც მორგენთაუს, მაგრამ არა როგორც ჰერცის კრიტიკა. თუმცა, პირველ შემთხვევაშიც, ამ კრიტიკის შეცდომაა, რომ ის არ ცდილობს იმ გაუგებრობის დაძლევას, რომელიც თვითონვე წარმოშვა. თუ ვინმეს ძლიერ დააინტერესებს ზემოგანხილული განცხადებები, რომლებშიც ადამიანის ძალაუფლებისაკენ ლტოლვა ამქვეყნიური პრობლემების პირველად მიზეზად არის მოხსენიებული, მაშინ, ალბათ, სამართლიანი იქნება იმის თქმა, რომ მორგენთაუმ ნორმატიული განცხადება გააკეთა, რომელიც შეიძლება გავიზიაროთ ან უარვყოთ ჩვენივე განწყობიდან გამომდინარე. ჰერცის ანალიზის თანხმად კი, სახელმწიფოები საკუთარ შედარებით ძლიერებაზე „უსაფრთხოების დილემის" გამო ზრუნავენ, რომელიც არსებული ანარქიის მდგომარეობის პირშშოა.[45] ძალა გვევლინება უფრო მეტად შესაძლო სასარგებლო ინსტრუმენტად, ვიდრე უზენაეს ღირებულებად, რომლისკენაც ადამიანები საკუთარი ბუნების გამო ისწრაფიან. ამრიგად, კითხვა, უნდა იყოს თუ არა ძალაუფლება „სახელმწიფოების უზენაესი ღირებულება," აზრს კარგავს. უფრო მართებული იქნება, ვიკითხოთ, თუ რა შემთხვევაში იქნება ის უზენაესი ღირებულება, თუ ეს საერთოდ შესაძლებელია, და რა შემთხვევაში - მხოლოდ საშუალება.

ადამიანის ბუნების შესახებ შეხედულების საფუძველზე პოლიტიკის ფილოსოფიის აგების მცდელობა სახელმწიფო მმართველობაში ეთიკის როლით დაინტერესებას იწვევს, მაგრამ, ამავდროულად, ეთიკური ქცევის არაეთიკურისაგან განსხვავების კრიტერიუმებს არ გვაძლევს. ეს სირთულე ასახულია ერთი კრიტიკოსის კომენტარებში, რომელიც მორგენთაუს მიერ შემოთავაზებული საგარეო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპის, „ეროვნული ინტერესების" შინაარსის დადგენას ცდილობს. გრეისონ კირკის აზრით, „ამ სირთულის [შინაარსთან დაკავშირებული] ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლოა, იმის აღიარების სურ-

---

[44] Wright. "Realism and Idealism in International Politics," *World Politics*, V (1952). 122.

[45] Herz, *Political Realism and Political Idealism*, ch. ii, sec. ii.

ვილის უქონლობა იყოს, რომ [ამერიკის საგარეო პოლიტიკის ისტორიაში] ეგრეთ წოდებულ უტოპიურ პერიოდში მრავალი ჩვენი პოლიტიკოსი ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ ინტერესებს ზნეობრივი პრინციპების ამსახველად იმის გამო კი არ აცხადებდა, რომ დაბნეული თეორეტიკოსი იყო, არამედ რადგანაც გულწრფელად სჯეროდა, რომ ჩვენი ეროვნული ინტერესები საერთაშორისო ასპარეზზე ქცევის სახელმძღვანელო წესებად გარკვეული ზნეობრივი და სამართლებრივი პრინციპების რაც შეიძლება ფართოდ აღიარებაში მდგომარეობდა."[46] მართლაც „გულწრფელად სჯეროდა" თუ არა ზოგიერთ სახელმწიფო მოღვაწეს, რომ იგი ჩვენს ეროვნულ ინტერესებს გამოხატავდა, როდესაც ესწრაფოდა „საერთაშორისო ასპარეზზე ქცევის სახელმძღვანელო წესებად ზნეობრივი და სამართლებრივი პრინციპების რაც შეიძლება ფართოდ აღიარებას" მხოლოდ პირადი დაინტერესების საგანია. უფრო მნიშვნელოვანია, დავსვათ კითხვა, აძლევს თუ არა საერთაშორისო პოლიტიკის პირობები სახელმწიფო მოღვაწეებს საშუალებას, იმ ზნეობრივი და სამართლებრივი პრინციპებით იხელმძღვანელონ, რომლებიც შეიძლება საშინაო პოლიტიკაშიც გამოსადეგი და მისაღები იყოს. „ეროვნულ ინტერესებს" ყველა უჭერს მხარს. პოლიტიკას არ ამართლებენ იმ არგუმენტით, რომ ის მშობლიურ ქვეყანას ზიანს მოუტანს, მაგრამ, სამაგიეროდ, სხვებს დაეხმარება. ერთი პრობლემა შეფასებასთან არის დაკავშირებული და ითვალისწინებს იმის დადგენას თუ, რომელი ინტერესებია ლეგიტიმური, მეორე პრობლემა კი პრაგმატული ხასიათისაა და ამ ინტერესების შესაფერისი პოლიტიკის შერჩევაში მდგომარეობს. ამ პრობლემების გადასაჭრელად ისევე საჭიროა პოლიტიკის, როგორც ადამიანის ბუნების წვდომა - მაგრამ ერთის მეორედან გამომდინარე დადგენა შეუძლებელია.

თავის პოლიტიკურ კომენტარებში მორგენთაუ უამრავ საკითხთან დაკავშირებით გასაოცარ დახვეწილობასა და გამჭრიახობას ავლენს. იგი ოსტატურად აანალიზებს საერთაშორისო ანარქიის შედეგებს და განასხვავებს საშინაო და საგარეო საქმეებში შესაძლებელ ქმედებებს, მაგრამ მისი კრიტიკოსების ბრალი როდია, რომ მათ უჭირთ, აღიქვან მის მიერ ნაგულისხმევი კავშირი ადამიანის მისეულ ხედვასა და მის პოლიტიკურ თეორიებს შორის.

---

[46] Kirk, "In Search of the National Interest," *World Politics*, V (1952), 113.

დასკვნა

ადამიანთა ბოროტებას ან მათ არასწორ ქცევას ომამდე მივყავართ. პიროვნული სიკეთის წყალობით კი, იმ შემთხვევაში თუ მისი საყოველთაოდ გავრცელება მოხერხდა, მსოფლიოში მშვიდობა დაისადგურებს - ესაა პირველი ხედვის შემაჯამებელი განცხადება. პესიმისტებისათვის მშვიდობა ერთდროულად მიზანიც არის და უტოპიური ოცნებაც, მაგრამ სხვებმა სერიოზულად მიიღეს ის ვარაუდი, რომ ინდივიდების რეფორმირება საკმარისია მსოფლიოში ხანგრძლივი მშვიდობის დასამყარებლად. ადამიანები კარგები არიან, ამიტომაც, სოციალური და პოლიტიკური პრობლემები აღარ იარსებებს - შეესაბამება თუ არა ეს განცხადება ჭეშმარიტებას? აღმოფხვრის თუ არა ინდივიდების რეფორმირება, მისი განხორციელების შემთხვევაში, სოციალურ და ეკონომიკურ ნაკლოვანებებს? მთავარი სირთულე, აშკარად, სიტყვა „კარგში" ძევს. როგორ განვსაზღვროთ „კარგი"? „ის ადამიანები არიან კარგები, რომლებიც სპონტანურად ერთმანეთთან სრულ ჰარმონიაში მოქმედებენ," - ეს ტავტოლოგიური განცხადებაა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ბევრ რამეს ნათელს ჰფენს. პირველი ხედვის მომხრე ანალიტიკოსებმა, როგორც პესიმისტებმა, ისე ოპტიმისტებმა მოახერხეს ის, რომ: 1) შეამჩნიეს კონფლიქტი, 2) დასვეს კითხვა, თუ რატომ ხდება კონფლიქტი და 3) ყველაფერი ადამიანის ქცევის ერთ ან რამდენიმე თავისებურებას გადააბრალეს.

პირველი ხედვის მომხრე ოპტიმისტები პოლიტიკაში მიამიტობას ამჟღავნებენ, რაც ახალი და უკეთესი მსოფლიოს შექმნის მათ მცდელობას მთლიანად აქარწყლებს. მათი წარუმატებლობა პირდაპირ უკავშირდება ისეთ შეხედულებას ადამიანზე, რომელიც მარტივია და სასიამოვნო, მაგრამ მცდარი. პირველი ხედვის მომხრე პესიმისტებმა კი ოსტატურად დაანგრიეს ოპტიმისტთა ოცნების კოშკები, მაგრამ მათ ნაცვლად ვარგისი და ნაკლებად მომხიბლავი საცხოვრებელი ნაგებობების აღმართვა ვერ მოახერხეს. ადამიანის შესაძლებლობების ოპტიმისტურ შეფასებაზე დაფუძნებულ პოლიტიკურ თეორიას მათ იმაზე ყურადღების გამახვილებით უპასუხეს, რომ ადამიანები არ არიან ისეთები, როგორებიც ისინი პაციფისტებისა და ლიბერალების უმეტეს ნაწილს წარმოუდგენია. ნიბური და მორგენთაუ ასე მიმართავენ ოპტიმისტებს: თქვენ არასწორად

გაიგეთ პოლიტიკა, რადგანაც მცდარად შეაფასეთ ადამიანის ბუნება. სწორედ ესაა მათი აზრით ლიბერალების ძირითადი შეცდომა.[47] მაგრამ, სინამდვილეში, ამას ბევრი ლიბერალის მხოლოდ *ერთ-ერთი* შეცდომა შეიძლება ვუწოდოთ. უფრო მნიშვნელოვანი შეცდომა, რომელიც მრავალმა, მაგრამ არა ყველა ლიბერალმა დაუშვა, იყო ადამიანის ბუნების, როგორც მიზეზის მნიშვნელობის გადაჭარბებული შეფასება, რადგანაც, როგორც თავად ნიბური ზემომოყვანილ ციტატაში აღნიშნავს, ადამიანის ბუნება იმდენად რთული ფენომენია, რომ ჩვენს მიერ შერჩეული ნებისმიერი ჰიპოთეზის დასამტკიცებლად გამოდგება. თუმცა კი, პირველი ხედვის მომხრე პესიმისტები სულ ცოტა, ღირებულ გაფრთხილებას გვაძლევენ, რომელიც თანამედროვე ეპოქაში ხშირად უგულებელყოფილია, კერძოდ, რომ სოციალური და პოლიტიკური პრობლემებისადმი რაციონალური მიდგომისაგან მეტისმეტად ბევრს არ უნდა მოველოდეთ. ეს პირველი ხედვის ანალიზის შესაძლო დადებითი შედეგის კარგი მაგალითია.

პირველი ხედვის სარგებლიანობის წარმოჩენით ავგუსტინე და სპინოზა, ნიბური და მორგენთაუ მისი ვარგისობის ზღვრის დადგენაშიც გვეხმარებიან. როგორც იმ პოზიციის გაზიარებამ, რომ ადამიანები შეიძლება კარგებად ვაქციოთ და ომები შეწყდება, ისე იმ პოზიციის მხარდაჭერამ, რომ ვინაიდან ადამიანები ცუდები არიან, ომებსა და მსგავს უბედურებას არასოდეს მოეღება ბოლო, სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურის შესახებ მსჯელობა შეიძლება წაახალისოს. თუ ადამიანის ბუნების შეცვლით პრობლემა გადაიჭრება, მაშინ აუცილებელია იმის გარკვევა, თუ როგორ შეიძლება ამ ცვლილების გამოწვევა. თუ ადამიანის ბოროტ თვისებებს ომამდე მივყავართ, მაშინ საჭიროა ბოროტების ჩახშობის ან მისი სხვა რამით კომპენსირების გზების ძიება. ხშირ შემთხვევაში ისინი, ვინც ადამიანის ბუნების შეცვლით მსოფლიოში მშვიდობის დამყარებას იმედოვნებს, სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტების გავლენას იმ რწმენით ჩრდილავენ, რომ ინდივიდის ქცევას უფრო მეტად რელიგიურ-სულიერი შთაგონება გან-

---

[47] Niebuhr, *Reflections on the End of an Era*, p. 48; Morgenthau. *Scientific Man, passim*. საშინაო და საგარეო პოლიტიკის ლიბერალური ხედვის უფრო ვრცელი ანალიზი იხილეთ ქვემოთ, IV თავში.

საზღვრავს, ვიდრე მატერიალური პირობები. ისინი კი, ვინც ომს ადამიანის შინაგან ნაკლოვანებებს უკავშირებს, აშკარად საწინააღმდეგო მიმართულებით მიდიან. გაუმაძღარი ადამიანების მართვას უფრო მეტად ძალა ესაჭიროება, ვიდრე ქადაგება. სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტები თვალთახედვის ცენტრში ექცევა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ განხილული ავტორი ამქვეყნიერებაზეა ორიენტირებული. ის ვარაუდი, რომ ადამიანის ბუნება უცვლელია და ყველაფერი აქედან გამომდინარე უნდა შეფასდეს, თავის მხრივ, ადამიანის ბუნებიდან ყურადღების *შორს* გადატანაში გვეხმარება - რადგანაც, აღნიშნული ვარაუდის თანახმად, ადამიანის ბუნება ვერ შეიცვლება, სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტების შეცვლა კი შესაძლებელია.

თავი III. პირველი ხედვის ზოგიერთი შედეგი

ბიჰევიორული მეცნიერებები და სახელმწიფოთა შორის ძალადობის შემცირება

*მოქცევა რომ ისეთივე ადვილი იყოს, როგორც იმის ცოდნა, თუ როგორ ჯობია, მოვიქცეთ, მაშინ სამლოცველოები ტაძრები იქნებოდნენ და ლატაკთა ქოხები დიდებულთა სასახლეებად გადაიქცეოდნენ**

პორცია,
უილიამ შექსპირი, *ვენეციელი ვაჭარი,* I, ii

პოლიტიკურ ღონისძიებათა და ქმედებათა უმნიშვნელოვანესი მიზეზები ადამიანის ბუნებასა და ქცევაში მოიძებნება. ეს არის განცხადება, რომელსაც ეთანხმება ყველა, ვინც პირველი ხედვის მომხრე ანალიტიკოსებს მივაკუთვნეთ. ისინი იზიარებენ რწმენას, რომ ის, რაც პოლიტიკისათვის მნიშვნელოვანია, პოლიტიკის ზედაპირს მიღმა ძევს. ოპტიმისტები და პესიმისტები თანხმდებიან იმის თაობაზე, თუ სად უნდა ეძებონ მიზეზები, მაგრამ მოძიებულს სხვადასხვაგვარად აღწერენ და, შესაბამისად, ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნებამდე მიდიან. ადამიანებში იმედის გაცრუების შემდეგ, პესიმისტები, რეკომენდაციების მისაგნებად, პოლიტიკურ საშუალებებს მიმართავენ. პირველი ხედვის მთლიანობას უკეთ იცავენ ისინი, ვინც ომის მიზეზის ადამიანებში აღმოჩენის გამო მათ შეცვლას ცდილობს. ეს, აშკარად, იმ პირების არგუმენტაციაა, ვინც, შესაძლოა გაუაზრებლადაც, პაციფიზმს ემხრობა და ამტკიცებს, რომ ომები არ შეწყდება მანამ, სანამ ადამიანები როგორმე არ გამოსწორდებიან. მხარდაჭერა, რომელსაც მრავალი თანამედროვე ბიჰევიორისტი მეცნიერი ამ მოსაზრების მიმართ იჩენს, ხშირ შემთხვევაში, მოწონებას არ იმსახურებს. ეს გასაგებიცაა. ისინი, ვისაც ოპტიმისტები ვუწოდეთ, წარსულში მეტწილად რელიგიურ-

* ვახტანგ ჭელიძის თარგმანი. უილიამ შექსპირი. თხზულებანი. რედ. გივი გაჩეჩილაძე. თბილისი. 1955 წ.

ზნეობრივ მოწოდებებსა და განათლების გაუმჯობესებულ, მაგრამ მაინც ტრადიციულ სისტემებზე ამყარებდნენ იმედს. თანამედროვე ბიჰევიორისტი მეცნიერის რწმენა კი რამდენიმე უფრო რთულ მექანიზმს ეფუძნება. ადამიანის ბუნების მისეული შეფასება, როგორც წესი, ნაკლებად მკვეთრია, ხოლო გადაწყვეტილებები - ნაკლებად ინდივიდუალისტური. თუ წარსულში ოპტიმისტები ემოციური მოწოდებებით გამოდიოდნენ, თანამედროვე სოციალური მეცნიერი კვლევას აწარმოებს, თუ პესიმისტებმა ადამიანზე საბოლოოდ ხელი ჩაიქნიეს, სოციალური მეცნიერი ცდილობს, საკუთარი კვლევის შედეგები საზოგადოებრივი ქმედებისათვის რეკომენდაციების შემუშავებას მოახმაროს.

ლიტერატურა, რომელსაც ამ თავში მიმოვიხილავთ განზრახს შეირჩა ისე, რომ არ წარმოაჩინოს ბიჰევიორისტები ერთიან ჯგუფად, თუმცა, მასში ფართოდ იქნება ასახული მათ მიერ ომისა და მშვიდობის საკითხზე დაწერილი მასალა. მაგალითისათვის, ომის პრობლემის შესწავლას ფსიქოლოგთა ძალიან მცირე ნაწილმა მოკიდა ხელი, ხოლო მათ, ვინც ეს გააკეთა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ საკუთარი დისციპლინის მიერ შეტანილი წვლილი მოკრძალებულად შეაფასონ. დღეისათვის ამ თემაზე დროდადრო გამოქვეყნებულ სტატიათა დიდი ნაწილი დაწერილია იმ ადამიანების მიერ, რომლებმაც ცოტა ხნით მოაშორეს თვალი ხელოვნურ ლაბირინთში ძლივძლივობით მოძრავ თეთრ თაგვს, რათა თავად შესულიყვნენ ლაბირინთში, რომელიც, მართალია, გეგმის მიხედვით არა, მაგრამ იმდენადვე დამაბნეველია ფსიქოლოგისათვის, რამდენადაც თაგვისათვის მისი ლაბირინთი. თუ დაისმება კითხვა, რა წვლილის შეტანა შეუძლია ფსიქოლოგიას კაცობრიობის ამ ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემის მოგვარებაში, სავსებით გასაგებია, რომ ადამიანმა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ფსიქოლოგიის შესწავლას მიუძღვნა, მხრები არ უნდა აიჩეჩოს და თქვას, რომ ფსიქოლოგიას მხოლოდ მცირე სამსახურის გაწევა შეუძლია, მაგრამ ძალიან ცოტა ადამიანი თუ ამბობს ამას. მაგალითად, ედვარდ ტოლმანი თავის წიგნში *სწრაფვა ომისაკენ* და ჰერბერტ გოლდჰამერი თავის სტატიაში *„ომის ფსიქოლოგიური ანალიზი“* ომისა და მშვიდობის საკითხების კვლევაში ფსიქოლოგიური მიდგომის შეზღუდულ სარგებლიანობას აღიარებენ და რამდენიმე კრიტიკულ შენიშვნასაც გვთავაზობენ, რომლებიც ამ თავში იქნება წარმოდგენილი. თუმცა, გამოქ-

ვეყნებულ განცხადებათა უმრავლესობა ნაკლებად მოკრძალებული და უფრო მეტად მიამიტურია. როგორც პირველი ხედვის ანალიზის პრაქტიკული გამოყენების შემდგომი შეფასების მცდელობა, მოცემული თავი სერიოზულად აღიქვამს ზოგიერთი თანამედროვე მეცნიერის განცხადებას იმის თაობაზე, რომ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანის მეცნიერული შესწავლით სოციალური პრობლემების, მათ შორის ომის საკითხის მოგვარებაა შესაძლებელი.

მსოფლიო მშვიდობის დამყარების გეგმათა ნაკლებობა არასოდეს იგრძნობოდა. ისინი, ვისაც ამგვარი გეგმის შემუშავების საკმაოდ ძლიერი მოტივაცია გააჩნია, ხშირ შემთხვევაში დარწმუნებულები არიან, რომ ომები კვლავაც ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმწიფო მოღვაწეები მათ რჩევებს ყურად არ იღებენ. ნდობის საკითხის მიმართ ბიჰევიორისტი მეცნიერების დამოკიდებულებაც ასეთივეა. მათი პოზიცია სხვამხრივაა განსხვავებული. მათ ხელთ უპყრიათ არა გეგმა, არამედ მეთოდი, რომლითაც, მათი ღრმა რწმენით, სოციალურ პრობლემებზე პასუხების პოვნაა შესაძლებელი. ამგვარი რწმენა სიახლე არ არის. „სახელმწიფო მოღვაწის ვალია" - წერდა ემილ დურკჰაიმი 1895 წელს - „აღარ ეცადოს საზოგადოების იმ იდეალამდე მიყვანა, რომელიც მას მიმზიდველად ეჩვენება, არამედ ექიმის როლი შეასრულოს, რომელიც ავადმყოფობის გაჩენას კარგი ჰიგიენით ებრძვის, ხოლო მისი წარმოშობის შემთხვევაში ორგანიზმის განკურნვას ცდილობს."[1] ჯონ დიუი ამ შეხედულებას ფილოსოფიური მხარდაჭერით უზრუნველყოფს. მისი წინასწარმეტყველებით, ფილოსოფიის ახალი როლი იქნება „იმ იდეის ან იდეალის წარმოჩენა. . . . რომელიც მომავალში გამოიყენება როგორც მეთოდი გარკვეული სოციალური პრობლემების გასაგებად და გამოსასწორებლად." მისი მოვალეობაა, „მოკრძალებული წვლილი მაინც შეიტანოს იმ მეთოდების განვითარებაში, რომლებიც კაცობრიობის პრობლემების მიზეზთა აღმოჩენაში დაგვეხმარება."[2] მრავალი პოლიტიკური მეცნიერი მიემხრო ამ მიდგომას. ასე მაგალითად, 1930 წელს ჰაროლდ ლასველი წერდა: „იძულების, მოწოდებისა და დისკუსიის პოლიტიკური მეთოდები გულისხმობს იმას, რომ პოლიტიკის დანიშ-

[1] Durkheim, *The Rule of Sociological Method*, tr. Solovay and Mueller, p. 75.
[2] Dewey, *Reconstruction in Philosophy*, pp. 107, 142.

ნულება უკვე გაჩაღებული კონფლიქტების მოგვარებაა. პრევენტიული პოლიტიკის იდეალი [პრევენტიული პოლიტიკა კი თავისთავად იდეალია] არის კონფლიქტის შეკავება საზოგადოებაში არსებული დაძაბულობის დონის საგრძნობლად შემცირებით, რაც ეფექტიანი მეთოდების გამოყენებით მიიღწევა." ლასველის თანახმად, ამერიდან მთავარია არა იმდენად ხელისუფლების ორგანიზაციის შეცვლა, რამდენადაც ადამიანთა გონების რეორიენტირება, განსაკუთრებით კი მათი, ვინც საზოგადოებაში ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობს. მომავლის პრევენტიული პოლიტიკა მჭიდროდ იქნება დაკავშირებული მედიცინასთან, ფსიქოპათოლოგიასთან, ფიზიოლოგიურ ფსიქოლოგიასა და მათ მომიჯნავე სხვა დისციპლინებთან.[3] პოლიტიკური მეცნიერება ბიჰევიორულ მეცნიერებებს უთმობს ადგილს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. „პოლიტიკური ფსიქიატრი", - წერს ლასველი - „რომელიც სასურველად მიიჩნევს ადამიანის საქმიანობის გაუმჯობესებას მინიმალური ადამიანური დანახარჯებით, ომისა და რევოლუციის პრობლემას დღევანდელ არასტაბილურ მსოფლიოში ადამიანთა დაუცველობის მიზეზების მოსპობისა და შედეგების შემსუბუქების მისიის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად განიხილავს."[4]

ამრიგად, ლასველი შესანიშნავად აჯამებს ბიჰევიორისტ მეცნიერთა მისწრაფებებს. ლოურენს ფრანკის თქმით კი, საზოგადოება პაციენტია. ზოგიერთის აზრით, ეს პაციენტი მისი შემადგენელი ინდივიდების მკურნალობის შედეგად შეიძლება გამოჯანმრთელდეს, ხოლო სხვათა შეხედულებით - იმ სოციალურ ღონისძიებათა გაუმჯობესებით, რომლებიც ამჟამად დაძაბულობას ქმნის, რაც ხშირად ომში გადაიზრდება ხოლმე. ინგლისელი ფსიქოლოგი ჯ. ტ. მაკკურდი ერთ-ერთი მსოფლიო ომის მსვლელობისას აღნიშნავდა, რომ „პრევენტიულმა ფსიქიატრიამ ნაყოფის გამოღება დაიწყო" და ირწმუნებოდა, რომ „აქედან გამომდინარე, სრულებით არ ეწინააღმდეგება ლოგიკას იმის იმედი, რომ მსგავსმა მცდელობებმა, საბოლოო ჯამში, ომი შეიძლება აგვაცილოს თავიდან."[5] ამგვარადვე, მაგრამ განსხვავებული აკადემიური კუთხიდან, ამერიკელმ.

---

[3] Lasswell, *Psychopathology and Politics* pp. 198-202.

[4] Lasswell, *World Politics and Personal Insecurity*, p. 26.

[5] MacCurdy, *The Psychology of War*, p. 11.

ანთროპოლოგმა კლაიდ კლუქჰონმა, მეორე ასეთი ომის დროს, „მსოფლიო მშვიდობის მთავარ პრობლემად" „აგრესიული იმპულსების" მინიმუმამდე დაყვანა და გაკონტროლება გამოაცხადა.[6]

თუმცა, ომის საკითხისადმი მიძღვნილი ბიჰევიორული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისას, სავარაუდო მიზეზებისა და მათ აღმოსაფხვრელად შემოთავაზებულ საშუალებათა დამაბნეველი, ან, სულაც, გაუგებარი სიმრავლის გარდა, ასევე შესამჩნევია დიდი ბუნდოვანება და რეალობისაგან მოწყვეტილობა, როგორც მიზეზების გაანალიზებაში, ისე რეკომენდაციების წარმოდგენაში. ლ. ლ. ბერნარდი, სოციოლოგი და სოციალური ფსიქოლოგი, რომელიც დიდი ხანია დაინტერესებულია ომისა და მშვიდობის პრობლემებით, ირწმუნება, რომ „ომის თავიდან ასაცილებლად საჭიროა, ვიცოდეთ რომელი სახიფათო სოციალური პირობები უნდა გამოვასწოროთ." მაგრამ თუ რა პირობებია ეს და რა შეიძლება გაკეთდეს მათ შესაცვლელად, ამას მისი საკმაოდ ვრცელი წიგნი მომავალი თაობის მეცნიერებს უტოვებს დასადგენად.[7] იმ საკითხებზე, რომლებზეც ბერნარდი ბუნდოვან დასკვნებს აკეთებს, სხვები უფრო კონკრეტულად საუბრობენ და ამით უფრო ნათლად ამჟღავნებენ, რომ რეალობისაგან შორს დგანან. მაგალითად, ჯეიმს მილერი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და ფსიქიატრიის ყოფილი პროფესორი, ამჟამად კი ფსიქიატრიული კვლევების ინსტიტუტის თანამშრომელი მიიჩნევს, რომ მშვიდობის მშენებლობის საქმეს დიდად წაადგება, თუ ათას კარგად გაწვრთნილ სოციალურ მეცნიერს საბჭოთა კავშირში ფარულად ჩავასახლებთ, სადაც ისინი, რუსებად შენიღბულები, საზოგადოებრივი აზრის კვლევის უახლეს ტექნოლოგიას გამოიყენებენ იმის გასარკვევად, თუ რას ფიქრობენ რუსები. გორდონ ალპორტმა წამოაყენა იდეა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის, უშიშროების საბჭოსა და იუნესკო-ს შენობათა შესასვლელები გადაკეთდეს ისე, რომ სხდომებზე მიმავალმა დელეგატებმა გზად საბავშვო

---

[6] Kluckhohn, *Mirror for Man*, p. 277. იმავე აზრს გამოხატავს იდენტური სიტყვები მისი სტატიიდან: "Anthropological Research and World Peace," in *Approaches to World Peace*, p. 149.

[7] Bernard, *War and its Causes*, p. 222. იხილეთ განსაკუთრებით ამ წიგნის დასკვნითი თავი: "What Can Be Done about War?"

ბაღის სათამაშო მოედანი გაიარონ. ხოლო ჯ. კოენს, კიდევ ერთ ფსიქოლოგს, სჯერა, რომ მშვიდობის მშენებლობის საქმეს დიდად წინ წასწევს სახელმწიფოს მმართველ ორგანოებში მამაკაცების ქალებით შეცვლა.[8]

ეს მაგალითები მოყვანილია იმის საილუსტრაციოდ, თუ რა სახის რეკომენდაციებს ვაწყდებით მუდმივად იმ ლიტერატურაში, რომელსაც ამჟამად მიმოვიხილავთ. ისინი მნიშვნელობას მოკლებული იქნება, თუ არ შევჩერდებით იმ სისტემურ ანალიზზე, რომელსაც ისინი ეფუძნება. აშკარაა, რომ მილერი, ალპორტი და კოენი გვთავაზობენ გარკვეული ხერხების გამოყენებას, რომლებიც, მათი რწმენით, ზოგიერთი უფრო ზოგადი ამოცანის განხორციელებაში დაგვეხმარება. რომელია ეს უფრო ზოგადი ამოცანები? ომისა და მშვიდობის საკითხზე დაწერილი ბიჰევიორული სამეცნიერო ლიტერატურის ხასიათიდან გამომდინარე ამის თქმა ძნელია. მრავალი სამეცნიერო ბროშურა ამტკიცებს იმას, რომ ბიჰევიორულ მეცნიერებებს ნამდვილად შეუძლია მსოფლიო მშვიდობის მშენებლობაში უზარმაზარი წვლილის შეტანა. ზოგიერთი უფრო ვრცელი ნაშრომიც ამავე აზრს გამოხატავს, რასაც თან ერთვის უამრავი დეტალი იმისა, თუ რა ვიცით ბავშვის აღზრდის, ადამიანის სულის, სხვადასხვა ტომში დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებათა განსხვავებულობის და კულტურისა თუ საზოგადოების ინდივიდის ქცევასთან მიმართების მნიშვნელობის შესახებ, მაგრამ ბიჰევიორული მეცნიერებების საერთაშორისო პოლიტიკის წარსულ, თანამედროვე და სამომავლო პრობლემებთან დაკავშირების სისტემატური ცდების მკვეთრი ნაკლებობა იგრძნობა.

თუმცა, ბიჰევიორულ მეცნიერებებში რამდენიმე მიდგომის გამოყოფა მაინც შეიძლება. ფართოდ გაზიარებულია მოსაზრება, რომ ხალხთა ურთიერთგაგების ზრდა მშვიდობის განმტკიცების ტოლფასია. ასევე,

---

[8] James G. Miller, "Psychological Approaches to the Prevention of War," in Dennis *et al.*, *Current Trends in Social Psychology*, pp. 284-85; Gordon W. Allport, "Guide Lines for Research in International Cooperation," in Pear, ed., *Psychological Factors of Peace and War*, pp. 148-49; J. Cohen, "Women in Peace and War," in *ibid.*, pp. 91-110. ალპორტის წინადადება მოგვაგონებს პაციფისტ ბევერლი ნიკოლსის შემოთავაზებას იმის თაობაზე, რომ დასახიჩრებული ჯარისკაცის მანეკენი უნდა დაიდგას მაგიდის ცენტრში განიარაღების საკითხის განსახილველად გამართულ ყოველ კონფერენციაზე. *Cry Havoc!* p. 5.

ფართოდ გავრცელებულია ის აზრი, რომ ინდივიდების სოციალური შეგუების უნარი, გაუმჯობესებული იმედგაცრუებისა და დაუცველობის გრძნობების შესუსტებით, ომის სიხშირეს შეამცირებს. იმ მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი, ვინც პოლიტიკურ ლიდერთა გავლენაზე დიდ იმედებს ამყარებს, ირწმუნება, რომ გუბერნატორები შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით, უფრო დიდი ყურადღებით უნდა შეირჩნენ. სხვები ამტკიცებენ, რომ ომები იმიტომ ხდება, რომ ადამიანები ომს მოელიან, შესაბამისად, ომის აღმოსაფხვრელად ადამიანთა მოლოდინი უნდა შეიცვალოს. და ბოლოს, ანალიტიკოსთა ერთ ნაწილს ბიჰევიორული მეცნიერებების წვლილი იქამდე დაჰყავს, რომ ისინი მთავრობებს მიზნების განსაზღვრისა და მეთოდების შერჩევისას მეცნიერული ანალიზის გამოყენებაში ეხმარებიან. იმ იდეის განხილვამ, რომ საერთაშორისო ურთიერთგაგების მიღწევა მშვიდობის მომტანია, საერთაშორისო ურთიერთობებისადმი ბიჰევიორული მეცნიერებების მიდგომის შესავლის მაგივრობა შეიძლება გასწიოს.

„ჩვენ არ შეგვიძლია, ყველაფერი ვიცოდეთ, მაგრამ რაც მეტი ვიცით, მით უფრო უკეთესია.“[9] ეს განცხადება ერთნაირი ჭეშმარიტებით მიესადაგება როგორც ომის, ისე დანაშაულის ან დაავადების გაკონტროლების პრობლემას. ომის აღკვეთის პრობლემასთან მიმართებაში კი ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რასაც ნათლად გადმოცემულია ჯეიმს მილერის შემდეგ განცხადებაში: „სხვა ადამიანების სურვილების, მიზნებისა და თვისებების არცოდნა იწვევს შიშს და, შედეგად, აგრესიის ერთ-ერთ უპირველეს მიზეზად გვევლინება.“[10] როგორ არის დაკავშირებული ამგვარი ზოგადი ვარაუდი ომისა და მშვიდობის ნამდვილ ვითარებასთან? ცნობილია, მაგალითად, რომ იაპონელის ჩვევას, გაიღიმოს, როცა მას შენიშვნას აძლევენ, ამერიკელი, რომლისთვისაც ასეთი ქცევა უცხოა, აშკარა თავხედობად აღიქვამს. მაგრამ როგორ წარმოშობს ამგვარი გაუგებრობა სახელმწიფოთა შორის ომებს? ხოლო თუ შესაძლებელია პროცესების აღწერა, დასაშვებია თუ არა იმის დასაბუთება, რომ ისინი ყველა ომის, ან ომების

---

[9] Klineberg, *Tensions Affecting International Understanding*. p. 92.

[10] Miller, "Psychological Approaches to the Prevention of War." in Dennis *et al.*, *Current Trends in Social Psychology*, p. 284.

უმრავლესობის მიზეზია? ან პირიქით, ყოველთვის ხელს უწყობს თუ არა ურთიერთგაგება მშვიდობის დამყარებას, თუ ზოგჯერ ერები მშვიდობას ინარჩუნებენ მხოლოდ იმის გამო, რომ კარგად ვერ უგებენ ერთმანეთს? ვიმყოფებით თუ არა ჩვენ საბჭოთა კავშირთან ცივი ომის მდგომარეობაში იმიტომ, რომ კომუნისტურ საზოგადოებებს საკმარისად კარგად არ ვიცნობთ თუ იმიტომ, რომ მათი ახლოს გაცნობის შემდგომ უფრო ნაკლებად მოგვეწონა ისინი - ან სრულიად სხვა მიზეზების გამო, რომლებიც ანთროპოლოგისა და სოციალური ფსიქოლოგის კომპეტენციას სცილდება?

აშკარაა, რომ მშვიდობისა და ცოდნის ურთიერთკავშირი ნაკლებად გამოკვეთილია. ამას ცხადყოფს ლოურენს ფრანკი, რომელმაც ბიჰევიორული მეცნიერებების მონაცემებისა და შეხედულებების მეშვეობით სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტაზე გავლენის მოხდენა სცადა, ბავშვის აღზრდიდან დაწყებული მსოფლიო მშვიდობით დამთავრებული.[11] მსოფლიო წესრიგის დამყარების ტრადიციულ გზებს - რელიგიურ ძმობას, დაპყრობას ან მსოფლიო ფედერალიზმს - მისი აზრით, ერთი საერთო ნაკლი აქვს. ისინი მსოფლიოში ერთი მრწამსის, ერთი სახელმწიფოს ან ერთი ფილოსოფიის გაბატონებას გულისხმობს. ფრანკი კი, როგორც კულტურის ანთროპოლოგი, პირიქით, განსხვავებულობის დადებით ღირებულებას უსვამს ხაზს. ყველა კულტურას აქვს სუსტი მხარეები, ისევე როგორც განსაკუთრებული ღირსებები. მრავალფეროვნება მსოფლიოს უფრო კარგ და მომხიბლავ საცხოვრებელ ადგილად აქცევს. ნაცვლად იმისა, რომ მრავალფეროვნების გაქრობა დავისახოთ მიზნად, მისი მიზეზებისა და ღირებულების გაგებას უნდა ვეცადოთ ხოლო თუ გავაცნობიერებთ იმ არსებით მსგავსებას, რომ ყველა ერთი და იგივე „ცხოვრებისეული მისია" გვაკისრია იმის მიუხედავად, რომ მისი განსხვავებული საშუალებებით განხორციელება გვიხდებ ურთიერთაღტაცებას თუ არა, ურთიერთამტანობას მაინც ჩავუყრი საფუძველს.[12]

---

[11] იხილეთ მისი სტატიების კრებული, 1916 წლიდან 1946 წლამდე, წიგნში: *Society as the Patient*, ეს ციტატა კი მოყვანილია სტატიიდან: "World Order and Cultural Diversity", in *ibid.*, pp. 389-95.

[12] იხილეთ შედარებისათვის: Kluckhohn, *Mirror for Man*, p. 273: „ანთროპოლოგი გამოსავალს განსხვავებულობა ერთიანობაში ხედავს:მსოფლიო ზნეობის გარკვეულ

ერთი და იმავე მიზნებისათვის ბრძოლამ უფრო მეტი ომები გამოიწვია, ვიდრე იმ ილუზიამ, რომლის დაძლევასაც ლოურენს ფრანკი ცდილობს - ილუზიამ, რომ ხალხები და კულტურები ძალიან განსხვავებულია. კულტურულ სიახლოვეს სისხლისღვრა არ შეუმცირებია, რაც დასავლეთ ევროპის ისტორიის მაგალითზეც ნათლად ჩანს. არც მეტი ცოდნა აღმოჩნდა თანაგრძნობისა და ურთიერთგაგების გაღვივების საიმედო გზა. სრულიად საპირისპიროდ. ფრიდრიხ ფონ შლეგელი საზღვარგარეთ მოგზაურობისას სხვა ხალხების შესახებ მეტ ცოდნას იძენდა. შედეგად კი იგი, როგორც მოგვიანებით ბევრი რომანტიკოსი, სხვათა ღირებულებებს უფრო მეტი შემწყნარებლობით კი არ ეკიდებოდა, არამედ უფრო მგზნებარე ნაციონალისტი ხდებოდა.[13] ეგვიპტეში, სერ ივლინ ბარინგთან სამსახურის დასაწყებად ჩასულმა ალფრედ მილნერმა გამოთქვა იმედი, რომ საერთაშორისო სიძულვილი და ეჭვი შემცირდებოდა, თუ „ერები ერთმანეთს უფრო კარგად გაუგებდნენ", რაზეც სერ ივლინმა, გამოცდილების სიბრძნეზე დაყრდნობით, მიუგო: „ჩემო ძვირფასო მილნერ, ვშიშობ, რომ რაც უფრო უკეთ გაუგებენ ისინი ერთმანეთს, მით უფრო გაიზრდება მათი ურთიერთსიძულვილი."[14] პოლიტიკური მეცნიერი ჯარლ დოიჩი გარკვეული მონაცემების შეჯამების შემდგომ იმ დასკვნამდე ჰივიდა, რომ „მრავალი ემოციურად, კულტურულად და პოლიტიკურად მგრძნობიარე პიროვნება საზღვარგარეთ დროებით ყოფნისას . . . თავისი ნაციონალიზმის, აგრეთვე, ენის, კულტურისა და ხალხის მიმართ ერთგულების უფრო ძლიერად გამოხატვას ცდილობს."[15]

ფრანკი სხვა კულტურების შესწავლისაკენ მოგვიწოდებს. მას იმედი აქვს, რომ მეტი ცოდნა თავშეკავებასა და შემწყნარებლობას წარმოშობს, რაც ყველა ხალხს შორის შედეგიანი და მშვიდობიანი თანამშრომლობის საფუძველი გახდება იმიტომ, რომ მათ საერთო „ცხოვრებისეული

პრინციპებზე შეთანხმებასა და ყველა იმ ქმედების მიმართ პატივისცემისა და შემწყნარებლობის გამომჟღავნებაში, რომლებიც მსოფლიო მშვიდობას საფრთხეს არ უქმნის."

[13] Hayes, *The Historical Evolution of modern Nationalism*, pp. 103-4

[14] Oliver, The Endless Adventure, III, 177n.

[15] Deutsch, "The growth of Nations: Some Reccurent Patterns of Political and Social Integration." *World Politics*, V (1953). 185.

მისია" აკისრიათ.[16] მაგრამ მეტი ცოდნა ზოგიერთს უფრო მოკრძალებულ, ზოგიერთს კი უფრო ქედმაღალ ადამიანად აქცევს. გამოიწვევს თუ არა, საბოლოო ჯამში, მეტი ცოდნა შემწყნარებლობის საკმარისად გაზრდას?[17] ვინაიდან ამის დამტკიცება არ შეგვიძლია, ისღა დაგვრჩენია, განვაცხადოთ, რომ ეს ასე უნდა მოხდეს. ფრანკი ადამიანებს სთხოვს, უფრო მეტად შემწყნარებელნი გახდნენ და მიიჩნევს, რომ მისი ეს თხოვნა მეცნიერულად დასაბუთებულია. მაგრამ აღნიშნული გარემოება, სამწუხაროდ, იმისათვის, რომ მისმა პოზიციამ პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძინოს, საკმარისი არ არის.

ჩვენ ჯერ არ ამოგვიწურავს მნიშვნელობა ფრაზისა „მშვიდობა, ცოდნიდან გამომდინარე." ფრანკის სტატიაში ცოდნა მეტი შემწყნარებლობისაკენ მიმავალ გზად არის წარმოსახული. სხვა ფორმულირებით კი, განსხვავებული კულტურების შესწავლიდან მიღებული ცოდნა ამ საზოგადოებების გამოსწორებას (ან ერთი დიდი საზოგადოების შექმნას) უნდა მოხმარდეს, რათა ომი აღარ წარმოადგენდეს ფართოდ გავრცელებულ სოციალურ ინსტიტუტს. მსჯელობას დაახლოებით ამგვარი მიმართულება აქვს: ომი უბრალოდ სოციალური ინსტიტუტია და არა ადამიანის ბუნების გარდაუვალი ნაყოფი. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ზოგიერთ საზოგადოება ომს საერთოდ არ იცნობს. ხოლო რადგანაც ინსტიტუტები სოციალური გამოგონებაა, თუ რომელიმე ინსტიტუტის მოსპობა გვსურს, მის სანაცვლოდ სხვა უნდა გამოვიგონოთ.[18] ადამიანები მონაწილეობენ დუელებში იმდენად, რამდენადაც დუელის წესი დამკვიდრებულია მათ საზოგადოებაში. ბრძოლით განჩინება მსაჯულთა სასამართლოთი შეიცვლება, როდესაც ხალხი ძველი სისტემის ცუდ შედეგებს

---

[16] შეადარეთ ისევ კლუქჰონს: „მსოფლიო, მისი მრავალფეროვნების მიუხედავად, მაინც, შეიძლება იყოს ერთიანი იმ უპირველესი საერთო მიზნების განხორციელებაში, რომლებიც ყველა ხალხს საერთო აქვს." *Mirror for Man*, p. 289

[17] ხოლო რამდენია საკმარისი? ეს კითხვა განხილული იქნება ქვემოთ, VI თავში. საერთაშორისო თანამშრომლობის ურთიერთგაგების გაზრდით განმტკიცების სიძნელეები და შესაძლებლობები კარგად არის წარმოდგენილი ფრანგებისა და ამერიკელების საერთო კონფერენციის შესახებ ორი პოლიტიკურად დახვეწილი მომხსენებლის რაიმონ არონისა და ავგუსტ ჰექშერის ანგარიშში: *Diversity of Worlds*, იხილეთ განსაკუთრებით მათი დასკვნითი შენიშვნები.

[18] Mead. *And Keep Your Powder Dry*, pp. 182-83. 211-14. 242.

გააცნობიერებს და უკეთეს სისტემას ჩამოაყალიბებს. ომის წარმოება, დუელისა და ბრძოლით განჩინების მსგავსად, „ადამიანთა საზოგადოებების უმეტესობისათვის ცნობილი გამოგონებაა, რომლითაც ახალგაზრდები პრესტიჟის მოპოვებას ან საკუთარი ღირსების დაცვას ცდილობენ."[19] მაგრამ როგორ შევიმუშავოთ ისეთი სოციალური მექანიზმი, რომელიც ომს ისევე მოძველებულს გახდის, როგორც დუელს? მარგარეტ მიდი ამ კითხვას ასე პასუხობს: „თუ გვსურს ისეთი მსოფლიოს აშენება, სადაც ყველა ადამიანის განსხვავებული ნიჭი დაფასებული იქნება, უნდა შევისწავლოთ სხვა კულტურები, გავაანალიზოთ ისინი და რაციონალურად შევაფასოთ ჩვენი აღმოჩენები. საჭიროა, მივაგნოთ მოდელებსა და ნიმუშებს, რომელთა მსოფლიო მასშტაბით ჰარმონიულად შეთანაწყობის შედეგად, მსოფლიო იმდენადვე განსხვავებული იქნება წინამორბედისაგან, რამდენადაც მანქანების სამყარო შუა საუკუნეების საამქროთა მრეწველობისაგან." ჩვენ უნდა ვისწავლოთ ყველაფერი, რაც შეგვიძლია და საიდანაც შეგვიძლია. უნდა გამოვიკვლიოთ გადაშენების პირას მდგომი პრიმიტიული ტომები, რათა გამოვიყენოთ მათი სიბრძნე, ვიდრე ამის შესაძლებლობა საბოლოოდ დაიკარგება. უნდა გავწვრთნათ „კაცებისა და ქალების ლეგიონი, რომელსაც ეცოდინება ცივილიზაციათა გაანალიზების, ინსტიტუტებისა და ჩვევების სასიკეთოდ გამოყენების მეტად რთული საქმე, ისევე როგორც პროფესიონალ ინჟინერს ბრუნვის, ზემოქმედებისა და გაწევის ძალების გამოყენება შეუძლია." ჩვენ უნდა ვიცოდეთ რას ეუბნებიან და რა კეთილშობილ თვისებებს უნერგავენ ჩინელი დედები საკუთარ შვილებს ან - რუსი დედები თავიანთ შვილებს. უნდა დავსვათ კითხვა: „რა წვლილის გაღება შეუძლიათ ინგლისელებსა და ავსტრალიელებს, ფრანგებსა და ბერძნებს, აბისინიელებსა და ჩინელებს, რუსებსა და ბრაზილიელებს, *აგრეთვე,* გერმანელებსა და იაპონელებს, იტალიელებსა და უნგრელებს."[20]

აქ კი უნდა შევჩერდეთ და დავინტერესდეთ, რისთვის არის საჭირო ეს ყველაფერი? ალბათ, მშვიდობის, უფრო სწორედ, ჩვენი ღირებუ-

---

[19] Mead, "Warfare Is Only an Invention - Not a Biological Necessity," *Asia*, XL (1940), 402-5.

[20] Mead, *And Keep Your Powder Dry*, pp. 9, 235, 249, 256, 259. იხილეთ აგრეთვე I თავში ციტირებული, პრეზიდენტ აიზენჰაუერის მეორე განცხადება.

ლებების რაც შეიძლება მშვიდობიანად შენარჩუნებისათვის. მაგრამ რა კავშირი აქვს ჩინელი დედის შვილთან ჩურჩულს მსოფლიო მშვიდობასთან? როგორ გამოვიყენოთ უნგრელების, ბრაზილიელებისა და სამოელების შესახებ ცოდნა შეიარაღებული კონფლიქტების სიხშირის შესამცირებლად? მიდს სურს, რომ მთელი მოპოვებული ინფორმაცია მივმართოთ ისეთი საზოგადოების შექმნისაკენ, რომელშიც ყველა ადამიანს თანაბარი შესაძლებლობების მაქსიმუმი ექნება, აგრესიული ტენდენციები კი ეფექტიანად შეიზღუდება."[21] თუ ერთი წამით ვირწმუნებთ მიდის უტოპიურ ვარაუდს იმის შესახებ, რომ კულტურული ანთროპოლოგია, საკმარის დონეზე განვითარების შემთხვევაში, მშვიდობიანი საზოგადოების ჩამოყალიბებაში დაგვეხმარება, რაღა ვთქვათ მისი მეორე ვარაუდის შესახებ - რომ ცოდნის ეფექტიანად გამოყენება შესაძლებელია? როგორ მოვახდინოთ ცვლილებები, რომლებსაც იგი მოითხოვს? ამის ერთ-ერთ საშუალებად მიდი განათლებას ასახელებს. მაგრამ როგორც კურტ ლევინი აღნიშნავს, „საზოგადოებას, უდავოდ, უფრო ადვილად შეუძლია განათლების შეცვლა, ვიდრე განათლებას - საზოგადოებისა." მოსემ ორმოცი წელი ატარა ებრაელი ხალხი უდაბნოში, რათა მონათა თაობა დახოცილიყო და ახალ თაობას თავისუფლებაში ცხოვრება ესწავლა. ლევინის თქმით, მთელი ქვეყნის მუდმივი კულტურული გადახალისების ამაზე უფრო სწრაფი მეთოდი, შესაძლოა, არც არსებობს.[22] რუთ ბენედიქტი ასეთივე შეფასებას მეტი დაბეჯითებით აკეთებს. „ინსტიტუტების მხრიდან სრული თავისუფლების მონიჭების შემთხვევაშიც", - წერს იგი, - „ადამიანებს არასოდეს ჰყოფნით ნიჭი მცირე ცვლილებებზე მეტის განსახორციელებლად. გარეშე დამკვირვებლის მიერ ნებისმიერ კულტურაში ყველაზე რადიკალური სიახლეებიც კი მხოლოდ უმნიშვნელო რევიზიად აღიქმება."[23] მაგრამ ყველაზე საოცარი ის არის, რომ ეს დასკვნა მიდმაც იწინასწარმეტყველა. დიდი და შორსმიმავალი ცვლილებები კულტურაში - წერდა იგი 1928 წელს გამოქვეყნებულ წიგნში - „დროის საქმეა - საქმე, რომელშიც თითოეული ადამიანი უნებლიე და უმნიშვნელო როლს ასრულებს."[24]

---

[21] *Ibid.*, pp. 139-40, 187, 240, 256.

[22] Lewin, *Resolving Social Conflicts*, pp. 4, 55.

[23] Benedict, *Patterns of Culture*, p. 76; cf. pp. 226, 229, 251.

[24] Mead, *Coming of Age in Samoa*, p. 154.

მთავარი აქ ის კი არ არის, რომ მიდი არათანმიმდევრულობაში დავადანაშაულოთ იმის გამო, რომ თოთხმეტი წლის მანძილზე მან აზრი შეიცვალა, უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ მისი ადრეული მიდგომა გაცილებით რეალისტურია და მას სხვა სოციალური მეცნიერები, ყოველ შეთხვევაში, ომის საკითხის გარდა თითქმის ყველა სხვა პრობლემაზე მსჯელობისას, ხშირად ეთანხმებიან. როგორც ჩანს, ბიჰევიორისტ მეცნიერებს შორის „მთლიან სურათს" მხოლოდ ანთროპოლოგები ხედავენ. ამასთან, ისინი ყველაზე ხშირად აწბილებენ მოლოდინს, რომ მოწესრიგებული სოციალური ცვლილებები სწრაფად შეიძლება გატარდეს ცხოვრებაში.

დუელის ანალოგია ისევე დამაბნეველია თანამედროვე ანთროპოლოგისათვის, როგორც მეცხრამეტე საუკუნის პაციფისტისათვის. თუ ანთროპოლოგის ნაშრომი მსოფლიო მშვიდობის რაიმე დაპირებას შეიცავს, ეს, ჩვეულებრივ, დაპირებაა, რომ მას და აგრეთვე, სხვა მრავალ ადამიანს თუ დავუჯერებთ, მშვიდობისაკენ ნელი ნაბიჯებით წავიწევთ წინ. ლევინმა, ბენედიქტმა და მიდმა (უკანასკნელმა თავისი კონსერვატორული ახალგაზრდობის პერიოდში), ეჭვი გამოთქვეს იმ მოლოდინის თაობაზე, რომ მეცნიერულად შეგროვებული მონაცემების გამოყენებით მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებების განხორციელებაა შესაძლებელი. მიდის გაფრთხილების ზოგიერთი დებულება ყურადსაღებია. კულტურების შედარებითმა შესწავლამ დაარწმუნა იგი იმაში, რომ სიყმაწვილის ასაკი აუცილებელი არაა, გაღიზიანების პერიოდი იყოს. მაგალითისათვის, სამოას საზოგადოებაში ასე არ ხდება. ყმაწვილური იმედგაცრუების მიზეზი არის კულტურის თავისებურება და არა ადამიანის ბუნება. მაშინ რატომ არ შეუძლიათ ამერიკელ მშობლებს, სამოელთა ხერხი გადმოიღონ, რათა თავიანთ შვილებს ადაპტაცია გაუადვილონ? ყველაზე კარგ პასუხს ამ კითხვაზე თავად მიდი გვაძლევს: „ის ამერიკელი მშობლები, რომლებიც, სამოელთა მსგავსად, შვილებს მოზრდილ ადამიანთა შიშველი სხეულების ნახვისა და ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონირების შესახებ იმაზე მეტი გამოცდილების შეძენის ნებას დართავენ, ვიდრე ეს ჩვენი ცივილიზაციის ნორმებით არის დაშვებული, ამაოდ გაირჯებიან, რადგანაც ბავშვი, საკუთარი სახლის დაცული წრიდან გამოსვლისთანავე, წააწყდება გაბატონებულ ხედვას, რომ ბავშვებში ამგვარი გამოცდილება ამაზრზენი

და არაბუნებრივია."[25] მშობლები, რომლებიც ასეთ ექსპერიმენტს ჩაატარებენ, უფრო მეტ ზიანს მოუტანენ შვილებს, ვიდრე სიკეთეს. ხოლო თუ ყველა, ან თითქმის ყველა, ამერიკული ოჯახი აღნიშნულ პრაქტიკას დანერგავს, ჩვენი ყმაწვილები, სავარაუდოდ, უფრო ბედნიერად იგრძნობენ თავს. მაგრამ მიდი იმდენად კარგი ანთროპლოგია, რომ მოვლენების ამ გზით განვითარებას არ მოელის.[26] ვინაიდან ოჯახების უმრავლესობა შეგნებულად და საკუთარი ნებით არ მიმართავს ისეთ პრაქტიკას, რომელიც საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებულ ზნე-ჩვეულებებს გადაუხვევს, უმცირესობისთვისაც სასარგებლო არ იქნება ამის გაკეთება, რადგანაც მათ ბავშვებს ეს სასტიკად ავნებს.[27]

გადაწყვეტილება, რომელიც რაციონალურია იმ შემთხვევაში, თუ უმრავლესობა მას მოიწონებს, ყოვლად გამოუსადეგარი შეიძლება აღმოჩნდეს, როდესაც მას მხოლოდ უმცირესობა გაიზიარებს. თუ ეს განცხადება მართებულად მიესადაგება საზოგადოებაში მშობლების მიერ ბავშვების აღზრდის წესს, ხომ არ არის ის ჭეშმარიტი მშვიდობისათვის საზოგადოებათა „რესტრუქტურიზაციის" მცდელობებთან მიმართებაშიც? ომი, ისევე როგორც ყმაწვილური გაღიზიანება, ადამიანის ბუნების თანდაყოლილი თვისება არ არის. ამას შედარებითი ანთროპოლოგიაც ადასტურებს. მაგრამ უფრო ადვილია თუ არა მსოფლიო საზოგადოებაში ომის აღმოფხვრა, ვიდრე ყმაწვილური იმედგაცრუების ჩვენს საზოგადოებაში? საკმარისია თუ არა, ბენედიქტისა და ლევინის მსგავსად, იმის თქმა, რომ ეს პროცესი მეტისმეტად ნელა წარიმართება? ნუთუ არ უნდა შევეხოთ დროში დამთხვევის პრობლემას - დამოუკიდებელი ერთეულების, მაგალითად, ოჯახებისა და სახელმწიფოების მოქმედებათა შეთანხმების სიძნელეს - როგორც დამატებით გამართულებელ ფაქტორს? თუ ერთ ან რამდენიმე სახელმწიფოში ბიჰევიორისტი

---

[25] *Ibid.*, p. 145.

[26] *Ibid.*, p. 154: „მაგრამ, საუბედუროდ, პირობები, რომლებიც ჩვენ სიყმაწვილეს ართულებს, ჩვენი საზოგადოების განუყოფელი ნაწილია, რომელსაც ისევე ვერაფერს მოვუხერხებთ, როგორც იმ ენას, რომელზეც ვსაუბრობთ."

[27] რისი გაკეთება შეუძლიათ მშობლებს? მიდი ამბობს, რომ მათ თავიანთ შვილებს უფრო მეტად უნდა ასწავლონ ის, თუ როგორ იფიქრონ, ვიდრე ის, თუ რა იფიქრონ. აგრეთვე, უნდა ასწავლონ არჩევანის გაკეთება და შემწყნარებლობა. (*Ibid.*, p. 161.) ამას კი დასჭირდება იმდენივე სიახლის დანერგვა, რამდენიც ახალი სექსუალური ჩვევების სწავლებას!

მეცნიერები მოულოდნელად დაინიშნებიან ისეთ თანამდებობებზე, რომლებზეც მათ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება დაეკისრებათ, როგორ გაიზრდება ამით მსოფლიოში მშვიდობის დამყარების ალბათობა? ამგვარ პირობებში, რჩევა, თუ „როგორ შევინახოთ დენთი მშრალად" უფრო მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს, ვიდრე იმ უებარ საშუალებებზე ყურადღების გამახვილება, რომლებიც თითქოს სახელმწიფოებს შორის მშვიდობას უზრუნველყოფს თუ თითოეული მათგანის მიერ გამოიყენება.[28]

პრაქტიკულობის საკითხის წამოჭრა ორი ისეთი მუდმივი და ფართოდ გავრცელებული დამაბრკოლებელი ფაქტორის დადგენაში გვეხმარება, როგორიცაა ცვლილებისათვის საჭირო დრო და ცვლილებათა დროში დამთხვევა. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ერთი შუალედური დამაბრკოლებელი ფაქტორიც: როგორ დაიწყოს პოლიტიკურმა მეცნიერმა თუნდაც ერთი საზოგადოების შეცვლა? როდესაც ლასველი ამბობს, რომ მთავარია არა ხელისუფლების რეორგანიზაცია, არამედ ადამიანთა გონების რეორიენტირება, ხომ არ არის ამის მიზეზი ის, რომ ხელისუფლების ორგანიზაცია ნაკლებად მნიშვნელოვანია ან ის, რომ ამ საქმეს, ზოგიერთ სახელმწიფოში მაინც, კარგად ართმევენ თავს? რას შეცვლიდა პირველ რიგში ლასველი, მისი ნება რომ იყოს: საბჭოთა განათლების სისტემას თუ საბჭოთა სახელისუფლებო სისტემას? ამ კითხვას აზრი არ აქვს. საინტერესოა, რატომ: იმიტომ, რომ საბჭოთა განათლების შეცვლა საბჭოთა ხელისუფლებაში ცვლილებების გატარების გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია.[29] თუ შეგვეძლება საბჭოთა

---

[28] ბიჰეკიორისტ მეცნიერებს, რა თქმა უნდა, შეუძლიათ რჩევის მოცემა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს, რაც ნაგულისხმევია კიდეც მიდის წიგნის სახელწოდებაში. იხილეთ: *And Keep Your Powder Dry*, p. 214. აგრეთვე: "The Study of National Character." in Lerner and Lasswell, eds., *The Policy Sciences*.

[29] იხილეთ შედარებისათვის: Lewin, p. 52. ამგვარი სიძნელეების არსებობა განსაზღვრავს ლასველის მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ მსოფლიო წესრიგს წინ უნდა უსწრებდეს მსოფლიო მთავრობის შექმნა. ყოველ შემთხვევაში ამას გულისხმობს მისი შემდეგი წინადადება: „მსოფლიოში სტაბილური წესრიგის დამყარების წანამძღვრებია ის სიმბოლოები და წესები, რომლებიც ელიტას ასაზრდოებს, მშვიდობიანი მეთოდებით გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნების საშუალებას აძლევს და იძულების ერთპიროვნული შესაძლებლობის ფლობაში ეხმარება, რომლის გამოყენების საჭიროებაც იშვიათად, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ჩნდება." *World Politics and Personal Insecurity*, p. 237. Cf. pp. 68-72.

ბავშვებისათვის იმ განათლების მიცემა, რომელსაც ბიჰევიორისტი მეცნიერები გვირჩევენ, საფუძვლიანი იმედი გაგვიჩნდება იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლებაში, ვთქვათ, ოცი წლის შემდეგ გარკვეული ცვლილებები მოხდება. მაგრამ აქ პირობა „თუ" არ მოქმედებს, ხოლო ბიჰევიორული მეცნიერებების მიერ მოცული დისციპლინები ამის მიღწევის გზებს ვერ გვისახავს.

ჩვენ წამოვჭერით სამი პრობლემა. პირველი, სისწრაფის პრობლემა: რა დრო დასჭირდება ადამიანებისა და საზოგადოებების მშვიდობიმოყვარედ ქცევას, რომც გვქონდეს, დავუშვათ, მეცნიერულად განსაზღვრული, თუ რა ცვლილებებია საჭირო? ხოლო შემდეგ ის, რაც შეიძლება მივიჩნიოთ პოლიტიკურ პრობლემად ორ დონეზე: როგორ დავამკვიდროთ ცვლილება საზოგადოებაში და როგორ გავუმკლავდეთ დამატებით წარმოქმნილ გართულებებს, როცა ორ ან მეტ საზოგადოებასთან გვაქვს საქმე? ეს სიძნელეები ნათლად აისახება ბიჰევიორულ სამეცნიერო ლიტერატურაში, რასაც შემდგომი მსჯელობაც ცხადყოფს. საკითხის განხილვა სამ ნაწილად დაიყოფა, ზემოშემოთავაზებული სამი კრიტიკული მოსაზრების გათვალისწინებით.

1. ესაია ბერლინმა პოლიტიკური ფილოსოფიის ახალი მსოფლმხედველობა დაახასიათა როგორც „თვალსაზრისი, რომ პასუხი პრობლემებზე არა რაციონალურ გადაწყვეტილებებში, არამედ საკუთრივ ამ პრობლემების მოსპობაში მდგომარეობს."[30] აღნიშნული შეხედულება არსად არ არის ისე კარგად წარმოდგენილი, როგორც ბიჰევიორულ სამეცნიერო ლიტერატურაში. შესაძლებელია თუ არა, შევწყვიტოთ ვირთხების დევნა, - სვამს კითხვას ფსიქოლოგი-ანთროპოლოგი ალექსანდერ ლეიტონი, - და ყურადღება გავამახვილოთ იმ პირობებზე, რომლებშიც ისინი მრავლდებიან? ახლა რაც გვჭირდება, მისი თქმით, არის „ექიმის მონდომება, მიზეზები აღმოაჩინოს და მხოლოდ სიმპტომებზე დაკვირვებას არ დასჯერდეს."[31] თუმცა, ზოგჯერ ექიმები სიმპტომებს უფრო მეტად ებრძვიან, ვიდრე მიზეზებს. მაგალითად, ისინი უნიშნავენ პაციენტებს სათვალეებს და ადამიანთა გარკვეული

---

[30] Berlin, "Political Ideas in the Twentieth Century," *Foreign Affairs*, XXVIII (1950). 356-57.

[31] Leighton, *Human Relations*, p. 161.

ნაწილი თითქმის მთელ ცხოვრებას უსიამოვნო შეგრძნებით ატარებს, რომელიც უფრო მეტად ამსუბუქებს მათ პრობლემას, ვიდრე სპობს, ძირითად მიზეზს კი ხელშეუხებელს ტოვებს. ეს პრაქტიკა უჩვეულო არ არის. როდესაც ფრენკ ლოიდ რაითი დადგა პრობლემის წინაშე, დაეპროექტებინა სასტუმრო, რომელიც იმ ტერიტორიაზე უნდა აშენებულიყო, სადაც მიწისძვრები ხშირად ხდება, მას არ უთქვამს: „მისმინეთ, თქვენი შენობები მიწისძვრების გამო ინგრეოდა. მოსპეთ მიზეზი - მიწისძვრები - და მე მშვენიერ სასტუმროს დაგიპროექტებთ." გარემოებებთან ადაპტირების ამგვარი ხერხი პოლიტიკის სფეროშიც ფართოდ გამოიყენება. მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ ამერიკისა და ბრიტანეთის მთავრობები, რომელთა მექანიკური სქემებიც საკმაოდ კარგად მუშაობს.[32] პოლიცია ერთ-ერთი ასეთი მექანიზმია, რომელსაც თავისი დადებითი ნიშან-თვისებები გააჩნია, თუმცა, თუ ლეიტონის ლოგიკას მკაცრად მივყვებით, იძულებულნი გავხდებით, პოლიციელი გავკიცხოთ იმის გამო, რომ იგი საზოგადოების რესურსებს „ვირთხების დევნაზე" ხარჯავს მაშინ, როდესაც საზოგადოება მათ მოშინაურებული თეთრი თაგვების მსგავსად მოქცევას უნდა ასწავლიდეს.

რასაკვირველია, მექანიზმების გამოყენებას თვალების *განკურნვა* აჯობებდა. სავარაუდოდ, რაითის პრობლემაც საგრძნობლად გაადვილდებოდა და იგი გაცილებით ნაკლებ ფასად უფრო მშვენიერი სასტუმროს აშენებას მოახერხებდა, რომელიმე ფიზიკოსს მანამდე მიწისძვრის პრობლემა რომ *გადაეწყვიტა*. უმჯობესი იქნებოდა, აგრეთვე, რომ ბიჰევიორისტ მეცნიერებს ადამიანები და პირობები გამოესწორებინათ, რათა ხელისუფლება და პოლიცია საერთოდ გაგვეუქმებინა. თუმცა, ამის შესაძლებლობა რომც დავიჯეროთ, მაინც მოგვიწევს კითხვის დასმა, რამდენი ხანი დასჭირდება ამ ყველაფერს. ჯეიმს მილერი აცხადებს, რომ თხუთმეტი წელიწადი (ათვლის წერტილად 1948

[32] ადამიანთა მრავალრიცხოვანი ჯგუფების შედეგიანი თანამშრომლობა დროის ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში ტრადიციულად დამოკიდებული იყო ორ ფაქტორზე: ინტერესებისა და გრძნობების ერთიანობასა და წესრიგის შესანარჩუნებლად მექანიზმების გამოყენებაზე. ბიჰევიორისტი მეცნიერები, რომლებიც დიდ ინტერესს ამჟღავნებენ ძირითადი მიზეზების მიმართ, უგულებელყოფენ მექანიზმების აუცილებელ როლსა და დადებით სარგებლიანობას და მიიჩნევენ, რომ ისინი სიმპტომებს უფრო მეტად ებრძვის, ვიდრე მიზეზებს.

წელი რომ ავიღოთ) საკმარისი იქნება ოქროს ხანის დასამკვიდრებლად.[33] ტ. ჰ. პირი ასეთივე მიამიტობას ამჟღავნებს. ომისადმი მიდრეკილება შეიძლება განისაზღვროს, - ამბობს იგი, - და იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანთა მიდრეკილებანი სოციალიზაციის შედეგად ყალიბდება, მისი შეცვლაც დასაშვებია. ამის განხორციელებას მცირე დრო დასჭირდება, რადგან „კულტურული მოდელები სწრაფად შეიძლება შეიცვალოს", რაც, მისი თქმით, მაორების, იაპონელებისა და რუსების მაგალითებმაც დაადასტურა.[34] თუ ისტორიული საბუთების მოძიებას არ შევეცდებით, ეს განცხადება სარწმუნოდ მოგვეჩვენება. ყოველ სოციალურ ცვლილებაში დროსა და ძალას შორის კავშირი ვლინდება. ზოგადად რომ ვთქვათ, რაც მეტია ძალა, მით უფრო სწრაფად ხდება სოციალური ცვლილება. მაორებმა და იაპონელებმა მათთვის მოულოდნელად სრულიად ახალი, ძლიერი ცივილიზაციის ზემოქმედება განიცადეს. ამ ზემოქმედების შედეგად მათ მრავალი ძველი წესჩვეულება შეიცვალეს - თუმცა, ბევრიც შეინარჩუნეს. მაორებისა და იაპონელების შემთხვევაში კულტურული ზემოქმედების ძალას ფიზიკური ძალა ეხმარებოდა. რუსების შემთხვევაში კი მხოლოდ ფიზიკური ძალა მოქმედებდა. ნებისმიერ ვითარებაში, დროისა და ძალის ფაქტორების გათვალისწინებით, ძნელია იმის წინასწარმეტყველება, თუ რომელი საშუალებებით რა ცვლილებების გამოწვევაა შესაძლებელი.[35]

მილერის, პირისა და ასევე, მიდის მიერ, მისთვის მეტად სამწუხაროდ, დაშვებული შეცდომა რაციონალისტების ძველ მცდარ დასკვნას იმეორებს, რომელიც კონტროლსა და ცოდნას ერთმანეთთან აიგივებს. ეს ადამიანები ვარაუდობენ, რომ როგორც კი გვეცოდინება, როგორ მოვუღოთ ბოლო ომს, პრობლემა გადაწყდება - ანუ მთავარი სირთულეა ცოდნა და არა პრაქტიკული საქმიანობა.[36] თუ ომები გამოწვეულია

---

[33] Miller, "Psychological Approaches to the Prevention of War," in Dennis *et al.*, *Current Trends in Social Psychology*.

[34] Pear, "Peace, War and Culture-Patterns," in Pear, ed., *Psychological Factors of Peace and War*, p. 21.

[35] ყველაზე გამჭრიახი და ჯანსაღი კომენტარები დაგეგმვისა და პროგნოზირების პრობლემების შესახებ მე ვიხილე ნაშრომში: Chester I. Bernard, "On Planning for World Government," in *Approaches to World Peace*, pp. 825-58.

[36] იხილეთ შედარებისათვის: H. V. Dicks, "Some Psychological Studies of the Ger-

მოუმწიფებლობითა და აღელვებით,[37] ან ნევროზითა და გარემოსთან შეუგუებლობით,[38] ან სოციალიზაციის პროცესში განცდილი იმედგაცრუებით,[39] ან ამ მიზეზების რაიმე კომბინაციით, და თუ ბიჰევიორისტ მეცნიერებს შეუძლიათ იმის თქმა, რა უნდა გაკეთდეს ამ მიზეზების მოსასპობად, ბრძოლის ნახევარზე მეტი მაინც გვრჩება.

მსოფლიო მშვიდობის მისაღწევად საზოგადოების დონეზე უნდა დავიწყოთ „უფრო შეგნებული და საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედების უფრო დიდი უნარის მქონე ადამიანების" ჩამოყალიბება, - მოგვიწოდებს ალექსანდერ ლეიტონი.[40] „დაძაბულობათა აღმოფხვრა, რომლებსაც ომამდე მივყავართ, ჯერ არ მომხდარა, მაგრამ ადამიანები არ ჩქარობენ ომის თავიდან ასაცილებლად ახალი საშუალებების გამოცდას", - წერს ჯონ რიკმანი, გამოჩენილი ბრიტანელი ფსიქიატრი.[41] „მშვიდობა გონებრივი სიჯანსაღის გარეშე შეუძლებელია", - ამ სიტყვებს მოწონებით იმეორებს ოტო კლინებერგი.[42] თუ მოვაბერხებთ ადამიანებისა და

---

man Character," in Pear ed, ed., *Psychological Factors of Peace and War*, p. 217. „ჩვენ გადაშენება გვემუქრება, თუ არ ვისწავლით იმ ადამიანების გაგებასა და, შესაბამისად, გაკონტროლებას, რომლებიც გამანადგურებელი ძალების მოქმედებაში მოყვანის შესაძლებლობას ფლობენ." დაიკვირდით აგრეთვე, რა ძნელია საკარაუდო კავშირის დადგენა იუნესკო-ს „დაძაბულობათა პროექტის" მოღვაწეობასა (მიმდინარე ღონისძიებათა ნუსხა იხილეთ ნაშრომში: Klineberg, *Tensions Affecting International Understanding*, pp. 215-17) და ომის აღმოფხვრისაკენ მიმართულ ნებისმიერ ეფექტიან ქმედებას შორის. იგივეს თქმა შეიძლება ალპორტის მიერ შემოთავაზებული კვლევის საკითხების ჩამონათვალზეც: "Guide Lines for Research in International Co-operation," in Pear. ed., *Psychological Factors of Peace and War*, pp. 155-56.

[37] იხილეთ შედარებისათვის: Harry Stack Sullivan, "Tensions Interpersonal and International: A Psychiatrist's View," in Cantril, ed., *Tensions That Cause Wars*, ch. iii.

[38] იხილეთ შედარებისათვის: John Rickman. "Psychodynamic Notes," in *Ibid.*, ch. v.

[39] იხილეთ შედარებისათვის: Dollard, *et al.*, *Frustration and Aggression*, განსაკუთრებით გვერდები 88-90; და John Dollard "Hostility and Fear in Social Life" in Newcomb and Hartley. eds., *Readings in Social Psychology*.

[40] Leighton. "Dynamic Forces in International Relations," *Mental Hygiene*, XXXIII (1949). 23.

[41] Rickman. "Psychodynamic Notes," in Cantrill. ed., *Tensions That Cause Wars*, p. 203.

[42] Otto Klineberg. "The United Nations," in Kisker, ed., *World Tension*, p. 281.

საზოგადოებების გარდაქმნას, მშვიდობა დაისადგურებს: ეს არის დაპირება, რომელიც ზემომოყვანილ ციტატებში ჟღერს. ამ დაპირების არსიდან გამომდინარე, ის, ვინც მასზე მშვიდობის იმედს დაამყარებს, უტოპისტი გახდება. თუმცა, არის მეორე შესაძლებლობაც. დასაშვებია წანამძღვრების გაზიარება და ოპტიმისტური განწყობის უარყოფა. მაგალითად, ჯორჯ კისკერი, მილერისა და პირის მსგავსად იწყებს მსჯელობას. მშვიდობის მოსაპოვებლად, - წერს იგი, - ადამიანთა „გონებაში ჩაწვდომას" უნდა შევეცადოთ, როდესაც „მოტივებით" დავინტერესედებით, მხოლოდ მაშინ მივაკვლევთ „პრობლემის ფუნდამენტურ დონეს." მსოფლიო მშვიდობის დასამყარებლად ჯერ ჩვენი სახლები და გონება უნდა მოვაწესრიგოთ.[43] თუმცა, როგორც ფსიქოლოგს, კისკერს იმის აღიარება უხდება, რომ გამოსავალი, რომელიც ჯანსაღ აზროვნებას უპირველეს მოთხოვნად აყენებს, სულაც არ არის გამოსავალი. იგი შემდეგ დასკვნას აკეთებს:

არაერთგზის აღნიშნულა, რომ ვინაიდან ინტელექტი და საღი აზრი, მოკლე პერიოდებზე მეტ ხანს არასოდეს ბატონობდა ადამიანთა ცხოვრებაში, ნაკლები საფუძველი გვაქვს დავიჯეროთ, რომ ინტელექტი და საღი აზრი ახლო მომავალში საყოველთაო გამარჯვებას მოიპოვებს. კაცობრიობის ფსიქოლოგიური და სოციალური მოუმწიფებლობის გათვალისწინებით, მიამიტობაა იმის იმედი, რომ ჩვენს დროში ადამიანები ერთმანეთთან ან სხვებთან მშვიდობიანად თანაცხოვრებას ისწავლიან.[44]

ცოდნისა და კონტროლის ადვილად გაიგივება ან მხიარულ, მაგრამ უნაყოფო ოპტიმიზმს ან ყოვლად პირქუშ პესიმიზმს იწვევს. ორივე შემთხვევაში, ის, რაც თავდაპირველად პოლიტიკური მეცნიერებების დაპირებად გამოცხადდა, მალე კარგავს ძალას.

2. მიდი, მშვიდობიანი მსოფლიოს ასაშენებლად რეკომენდაციების წარმოდგენისას, მუდმივად იყენებს ნაცვალსახელს „ჩვენ": „თუ ჩვენ გვსურს მსოფლიოს აშენება . . ."; „თუ ჩვენ ამოცანად დავისახავთ. . ."; „ჩვენ უნდა მივაგნოთ მოდელებსა და ნიმუშებს . . ."[45] ვინ იგულისხმება სიტყვაში „ჩვენ" და როგორ უნდა გამოიწვიონ ამ

---

[43] Kisker, "Conclusions," in Kisker, ed., *World Tension*, pp. 303-5, 313.

[44] *Ibid*, p. 316.

[45] იხილეთ ზემოთ, pp. 51-52.

ადამიანებმა ცვლილებები, რომლებიც მსოფლიო მშვიდობის დამყარებისათვის არის საჭირო? კლინებერგი აღნიშნავს, რომ თუ იუნესკოს მიერ ადამიანთა გონებაზე ყურადღების გამახვილებას მისაღებად ჩავთვლით, პასუხის გარეშე დაგვრჩება კითხვა: ვისი გონებაა მნიშვნელოვანი? „საერთაშორისო კონფლიქტთან დაკავშირებული დაძაბულობები მასების გონებაში იღებს სათავეს თუ ისინი მნიშვნელოვანია მხოლოდ მაშინ, როდესაც იმ ლიდერებზე ახდენს ზეგავლენას, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან თავიანთი ქვეყნების საგარეო პოლიტიკაზე?"[46] კლინებერგი მართებულად პასუხობს, რომ ორივე მნიშვნელოვანია განსხვავებულ ასპექტში. იმის გათვალისწინებით, რომ ელიტები საზოგადოებიდან იღებენ შევსებას და მის მოსაზრებებსა და ცრურწმენებსაც იზიარებენ, შესაძლებელია გაბრიელ ალმონდის კვალად, „საუბარი პოლიტიკურ და გონებრივ ელიტებზე, საზოგადოების გამოკვეთილ, პოლიტიკასთან დაკავშირებულ ფენაზე, რომელიც საზოგადოების სტრუქტურას განსაზღვრავს და სხვადასხვა ჯგუფებში შეღწევის ეფექტიან საშუალებებს ფლობს. იმის თქმაც კი დასაშვებია, რომ „ვინც მობილიზაციას უკეთებს ელიტებს, საზოგადოების მობილიზაციას ახდენს."[47] ელიტების ამგვარი როლი ბიჰევიორისტ მეცნიერს საკუთარი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას აძლევს. ასე იმსჯელა კიდეც ზოგიერთმა მათგანმა.

ამ მოსაზრების ნათლად დასაბუთება შესაძლებელია, თუ უბრალოდ განვაცხადებთ, რომ ბიჰევიორული მეცნიერებების მიგნებებისა და დასკვნების უფრო ფართოდ გაცნობა მრავალ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ლიდერს თავისი ყოველდღიური ამოცანების შესრულებაში დაეხმარება. ხშირად ამაზე უფრო მეტს გულისხმობენ ხოლმე. უილიამ ბორბერგი, გაერო-ში დანიის ყოფილი მუდმივი წარმომადგენელი მოკლედ და გასაგებად აყალიბებს საკმაოდ ფართოდ გავრცელებულ შეხედულებას იმის თაობაზე, რომ მსოფლიო მშვიდობის მისაღწევად ბიჰევიორისტი მეცნიერების (ამ შემთხვევაში, ძირითადად ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების) ცოდნა ხელისუფლების წევრთა პროფესიული მომზადებისა და შერჩევისას უნდა გამოვიყენოთ.[48] ადამიანებს *სურთ* მშვიდობა, -

---

[46] Klineberg. *Tensions Affecting International Understanding.* p. 4.

[47] Almond. *The American People and Foregn Policy,* p. 138

[48] Borberg. "On Active Service for Peace," *Bulletin of the World Federation for*

ამბობს იგი, - მაგრამ ომები მაინც ხდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორგანიზაციაში აქა-იქ გარკვეული შეცდომებია. იმ ჰიპოთეზის უარყოფის შემდეგ, რომ შეცდომა ორგანიზაციაში საერთაშორისო დონეზე შეიძლება არსებობდეს, იგი ასკვნის, რომ ყველაფერი დიდი სახელმწიფოების ხელმძღვანელობის ბრალია. ორჯერ ჩვენს ცხოვრებაში გონებრივად არაჯანსაღმა ადამიანებმა ხელში ჩაიგდეს ისეთი ძალაუფლება, რომლითაც მსოფლიოს დიდი ნაწილის საშინელ ომებში ჩათრევა შეძლეს. „ნუთუ აუცილებელია," - სვამს კითხვას ბორბერგი - „ბატონობის ან იდეოლოგიის გამო, მეოცე საუკუნის შუა ხანებში სისხლისმღვრელი ომები წამოვიწყოთ, როდესაც მეცნიერებას ყველა ჩვენი პრობლემის მოგვარება შეუძლია?" ბორბერგი ასე არ ფიქრობს. თავის იმედს იგი ექსპერტი ფსიქიატრების ფართო კომპეტენციაზე ამყარებს. მისი თქმით, ისინი ლიდერს, ვინც საკითხს შემდეგნაირად აყენებს „ჩემი იდეოლოგია ან თქვენი სიკვდილი" „ჟინით შეპყრობილ, ძალაუფლების მოყვარულ, ჩაკეტილ პიროვნებად აღიარებენ, რომელიც . . . სინამდვილეში საკუთარ ბავშვურ ეგოიზმს ებრძვის. სხვა სიტყვებით იგი პაციენტია - მაგრამ შეიარაღებულია." რა უნდა მოვიმოქმედოთ ამასთან დაკავშირებით? „თქვენი, როგორც ადამიანებისა და მეცნიერების, ვალია," - მიმართავს იგი ექსპერტ ფსიქიატრებს, - „თქვენს ხელთ არსებული ყველა მეცნიერული საშუალებით ასეთი ადამიანის ხელისუფლებაში დარჩენას წინ აღუდგეთ." ჯორჯ კისკერი უფრო შორს მიდის. პირველ რიგში, ჩვენ არ უნდა დავუშვათ ფსიქოლოგიურად არასრულფასოვანი ადამიანების ხელისუფლებაში მოსვლა, არამედ საჭიროა გავაცნობიეროთ, რომ პოლიტიკური ლიდერების შერჩევა ემოციების, პოლიტიკური მანიპულაციების ან ისტორიული შემთხვევითობის საფუძველზე არ უნდა ხდებოდეს.[49]

Mental Health. II (1950). 6-9.

[49] Kisker, "Conclusions," in Kisker, ed.. *World Tension*. p. 310. კისკერის განცხადება უახლოვდება პლატონისეულ და სხვა მრავალ „მეცნიერულ" მიდგომას, რომლებიც ისტორიულად არსებობდა. ბიპევიორული სამეცნიერო ლიტერატურა გვთავაზობს ასეთი ტიპის აზროვნების უამრავ მაგალითს, რომელთაგან ზოგიერთი ამ თავშიც არის წარმოდგენილი. შესანიშნავი მაგალითია ამ მხრივ რალფ ლინტონის შემდეგი განცხადება: „ჭეშმარიტად წარმატებული საზოგადოება არის ის, რომელიც თავის წევრებს ასწავლის უვნებელი სიმბოლოებით დაკმაყოფი-

ეს რომ გაკეთდეს, ჰიტლერების, მუსოლინების, ფრანკოებისა და, აგრეთვე, აშშ-ის ზოგიერთი კონგრესმენის ადრევე მოშორებას შეეძლებთ. ასეთი რამ, უეჭველად, გააუმჯობესებს მთავრობებს და მშვიდობის დამყარების პერსპექტივებსაც განამტკიცებს. მაგრამ რამდენად რეალურია, რომ ჩვენ, ვინც არ უნდა იგულისხმებოდეს სიტყვაში „ჩვენ", მსოფლიოს მთავრობებს ამ სქემას მივაღებინებთ? შესაძლებელია თუ არა, მაგალითად, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ფსიქოლოგიური შემოწმების სისტემა დაინერგოს? ხოლო რას მოვიმოქმედებთ იმ შემთხვევაში, რომელიმე ცბიერ ადამიანს, ახალ ჰიტლერს, სხვა ქვეყნის ამგვარი სისტემა თუ ვერ ამოიცნობს? იმის თქმა, რომ ეს პიროვნება ექსპერტი ფსიქიატრების ხელთ არსებული „ყველა მეცნიერული საშუალებით" უნდა მოვიშოროთ, თუ ეს ფრაზა საერთოდ რამეს ნიშნავს, გულისხმობს, რომ ამ მეცნიერულ მეთოდებში ტირანის მკვლელობაც უნდა მოვიაზროთ. ხომ არ არის შესაძლებელი, აგრეთვე, რომ ექსპერტთა ტესტების სიზუსტემ საშუალება მისცეს ერთ ქვეყანას, სრული დამაჯერებლობით გაამართლოს მის მიერ წამოწყებული პრევენტიული ომი ახლადდამონებული ქვეყნის წინააღმდეგ? 1860-იან წლებში ფსიქოლოგები ადვილად შეთანხმდებოდნენ იმაზე, რომ მშვიდობისა და სტაბილურობის ინტერესებიდან გამომდინარე, ბისმარკსა და ნაპოლეონ მესამეს თანამდებობები უნდა დაეტოვებინათ. ზოგიერთი მათგანი პალმერსტონისა და ლორდ ჯონ რასელის გადაყენების მოთხოვნითაც გამოვიდოდა, მაგრამ ფსიქოლოგის რჩევის თანახმად მოქმედება უფრო მეტ ომს გამოიწვევდა, ვიდრე შეაფერხებდა.

ამას აშკარად არ ისახავს მიზნად ბორბერგი. მისი რეკომენდაციები, პირიქით, ყოვლად უწყინარია. მშვიდობის დამკვიდრებას იგი იუნესკოს ქარტიის პრეამბულის გადაკეთებით იმედოვნებს. სიტყვებს „ვინაიდან ომი ადამიანთა გონებაში იწყება" იგი შემდეგნაირად შეცვლიდა „სწორედ *იმ ადამიანთა გონებაში, რომლებიც ომის სასარგებლოდ თუ საწინააღმდეგოდ გადაწყვეტილების მიღებაზე უდიდეს გავლენას ახდენენ,* უნდა ჩამოყალიბდეს მშვიდობის დაცვის მექანიზმი." ჩვენ უნდა ავუხსნათ ლიდერებს, რისი გაკეთება შეუძლია სოციალურ მეცნიერებებს, განსა-

---

ლებასა და ისეთი მიზნებისაკენ სწრაფვას, რომლებიც მას უხერხულობას არ უქმნის." "Present World Conditions in Cultural Perspective," in Linton, ed. *The Science of Man in the World Crisis*, p. 206.

კუთრებით კი ფსიქოლოგიას, რადგან თუ მათი მსოფლმხედველობის შეცვლას მოვახერხებთ, მშვიდობა დამკვიდრდება.

მსოფლიო მშვიდობისადმი ამგვარი მიდგომა ემყარება იმ უბრალო ვარაუდს, რომ ვინაიდან ჩვენ, სრულად ან ნაწილობრივ მაინც, ვიცით პასუხი კითხვაზე, თუ რატომ ხდება ომები, ისღა დაგვრჩენია, ზოგიერთი პოლიტიკის შემოქმედის ყურადღება მივიპყროთ. ამ მიდგომას უამრავი მიმდევარი ჰყავს. ჩვენ მხოლოდ ორი მათგანის ციტატას შემოგთავაზებთ.[50] ჰედლი კანტრილი, იუნესკო-ს კონფერენციაზე, განკერძოებულად თუ ერთობლივად, მიღებული დოკუმენტების წარმოდგენისას, წერს:

> თუ მაღალ პოლიტიკაზე პასუხისმგებელ ადამიანებს ექნებათ სურვილი და შესაძლებლობა, რვა სოციალური მეცნიერის მიერ მათ ერთობლივ განცხადებაში წარმოდგენილი კოლექტიური რჩევის თანახმად იმოქმედონ, მე თითქმის აღარ მრჩება იმის ეჭვი, რომ დაძაბულობა, რომელსაც ხალხი ამჟამად მთელ მსოფლიოში განიცდის, გაცილებით უფრო სწრაფად და დამაჯერებლად შემცირდება, ვიდრე ეს დღეს ხდება.[51]

გორდონ ალპორტი, მსოფლიო მშვიდობის მშენებლობაში საკუთარი წვლილის შეფასებისას, გვაფრთხილებს:

> რომელიმე „პრაქტიკულად მოაზროვნე" სახელმწიფო მოღვაწემ ა; წარმოდგენილი სახელმძღვანელო პრინციპები ფუჭი იდეალიზმის გამოხატულების გამო რომ დაიწუნოს, იგი ყველაზე არაპრაქტიკულ ადამიანად წარმოჩნდება, რადგანაც სოციალურ სფეროში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა სფეროში არსებული მეცნიერული ფაქტების უგულებელყოფა მეტად საფრთხილოა. აინშტაინის ტოლობა $E=MC^2$ ერთ დროს პედანტობად ჩაითვალა. არადა, ამ ფორმულამ ატომური ენერგიის გამომუშავებამდე მიგვიყვანა. აღნიშნული სოციალური მეცნიერების „პედანტობა" ახლაც დიდად ხელს შეუწყობს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებას, თუ მის დასკვნებს პოლიტიკის შემოქმედები შეისმენენ და სისრულეში მოიყვანენ.[52]

---

[50] სამართლიანი იქნება იმის აღნიშვნა, რომ მაგალითებად უფრო პოლიტიკურად ორიენტირებული ადამიანებიც გამოდგებიან, რომელთა შორის მსოფლიო მთავრობის შექმნის მომხრენი ყველაზე აშკარად ჩანან.

[51] Cantril, cd., *Tensions That Cause Wars*, p. 14.

[52] Allport, "Guide Lines for Research in International Cooperation," in Pear, ed., *Psychological Factors of Peace and War*, p. 154. იხილეთ შედარებისათვის

ვშიშობ, სახელმწიფო მოღვაწე რომ ვიყო, ძალიან გამიჭირდებოდა, იმის მიუხედავად, პრაქტიკულად მოაზროვნე ვიქნები თუ არა, სახელმძღვანელო პრინციპის არჩევა. არა მარტო იმიტომ, რომ ერთი ბიჰევიორისტი მეცნიერის რჩევა მეორისას ეწინააღმდეგება, არამედ იმიტომაც, რომ ერთი ადამიანის ან ერთი ჯგუფის მიერ ერთხმად მოცემული რჩევა, როგორც წესი, ან ყოვლად ბუნდოვანია ან აშკარად განუხორციელებელი. ავიღოთ, მაგალითად, კანტრილის რვა მეცნიერის „ერთობლივი განცხადება." ეს ადამიანები ისეთი საგანმანათლებლო სისტემის მომხრედ გამოდიან, რომელიც ეროვნულ თვითკმაყოფილებას ეწინააღმდეგება; მათ სჯერათ, რომ ერები ისევე უნდა აფასებდნენ ერთმანეთს, როგორც სხვებს; ისინი, ამას გარდა, სოციალური მეცნიერებების სფეროში საერთაშორისო კვლევების გაფართოებას საჭიროდ მიიჩნევენ. ამ საკმაოდ კონკრეტულ წინადადებებს წინ უძღვის ორი უფრო ზოგადი შემოთავაზება. ჩვენ მაქსიმალურად უნდა დავიცვათ სოციალური სამართლიანობა და რადგანაც მშვიდობისათვის აუცილებელია ეროვნებათაშორისი დაძაბულობისა და აგრესიის განსაზღვრულ ჩარჩოში მოქცევა და კონსტრუქციული მიზნებისაკენ წარმართვა, „მეტად მნიშვნელოვანია სოციალურ ორგანიზაციასა და ჩვენს აზროვნებაში ფუნდამენტური ცვლილებების გამოწვევა."[53] მთავრობამ რომც გაიზიაროს რომელიმე ზემომოყვანილი წინადადება, ძნელი იქნება იმის წარმოდგენა, თუ როგორ დაეხმარება ახლო ან შორეულ მომავალში ეს მსოფლიო მშვიდობის დამყარებას. ის წინადადებები, რომლებმაც მშვიდობა შეიძლება მოგვიტანონ, სრულებით არ შეიცავს პრაქტიკულ რჩევებს.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ლიდერებთან მუშაობის მიდგომა ორ პრობლემას წარმოშობს: რა რჩევა უნდა მივცეთ მათ და როგორ უზრუნველვყოთ, რომ ყველა მნიშვნელოვანი ქვეყნის ლიდერმა ამ რჩევას მისდიოს? აქამდე განხილულ მაგალითებში, ბიჰევიორისტმა მეცნიერებმა პირველი პრობლემა ყველაზე მნიშვნელოვნად წარმოაჩინეს. სინამდვილეში კი, მეორე პრობლემა უფრო საგულისხმოა, რაც ქვემოთ დამტკიცდება.

143-ე გვერდზე: „პოლიტიკის შემოქმედებს . . . შეუძლიათ და მართებთ კიდეც, მუდმივად გაეცნონ სოციალური მეცნიერების დოკუმენტურად დასაბუთებულ რჩევებს, ხოლო თუ რომელიმე რჩევა კარგი იქნება, დაუჯერონ მას."

[53] Cantril, ed., *Tensions That Cause Wars*, pp. 17-21.

3. ბიჰევიორისტ მეცნიერებს შორის შეინიშნება აშკარა ტენდენცია, ერებში ურთიერთთანაშრომლობის გარკვეული სურვილის არსებობა მათი გეგმის ცხოვრებაში გატარების წინაპირობად გამოაცხადონ. ეს კანტრილის ნათქვამშიც აისახება: „თუ მაღალ პოლიტიკაზე პასუხისმგებელ ადამიანებს ექნებათ სურვილი და შესაძლებლობა . . . კოლექტიური რჩევის თანახმად იმოქმედონ . . .“ ეს უფრო გარკვევით ჩანს ჯონ სვანტონთან. „თუ მსოფლიო ორგანიზაციის გარეშე,“ - წერს იგი, - „დედამიწაზე მაცხოვრებელი ერები შეთანხმდებიან, მათ შორის არსებული პრობლემები მშვიდობიანი გზებით მოაგვარონ და ითანამშრომლონ, რათა ასეთი გადაწყვეტილებები იმ ერებისთვისაც სავალდებულო გახდეს, რომლებიც ჯერ კიდევ ძალადობას მიმართავენ, და თუ მტკიცედ გადაწყვეტენ ამის გაკეთებას, ომის მთავარი ხელშემწყობი პირობა მოისპობა.“[54] კანტრილი ვერ ამჩნევს, რომ გაცილებით უფრო ძნელია, აიძულო სხვადასხვა სახელმწიფოს პოლიტიკის შემოქმედები, ადამიანთა რომელიმე ჯგუფის კოლექტიურ რჩევას დაუჯერონ, ვიდრე იმის მოფიქრება, თუ როგორი უნდა იყოს ამ რჩევის შინაარსი. სვანტონი ყველა სიძნელეს პირობითი წინადადებებით გადმოგვცემს. თუ სახელმწიფოებს ან მათ მმართველებს შორის ერთსულოვანი და მუდმივი თანხმობის არსებობა უპირველესი აუცილებლობაა, როგორც ბიჰევიორისტები ვარაუდობენ, შეუძლიათ კი მათ იმის თქმა, როგორ უნდა მოვიპოვოთ ამგვარი თანხმობა, თუ მხოლოდ იმისი, რა უნდა მოვიმოქმედოთ მას შემდეგ, რაც მას მივაღწევთ? ძალიან ხშირად ბიჰევიორისტ მეცნიერებს უთქვამთ: ყველა ადამიანი (ან საზოგადოება) კარგად შეგუებული და რაციონალური რომ იყოს, მშვიდობა დამკვიდრდებოდა.[55] ამას გარდა, ისიც დაუწერიათ - და აი აქ არის საჭირო მათი გაკრიტიკება - რომ ბიჰევიორულ მეცნიერებებს სარგებელი

---

[54] Cantrill. *Are Wars Inevitable?* p. 33.

[55] იხილეთ შედარებისათვის: K. T. Behanan. "Cultural Diversity and World Peace." in Dennis *et al.*, *Current Trends in Social Psychology*, p. 69: „მსოფლიო მშვიდობა, იმისათვის, რომ ის არ დაირღვეს, უნდა ემყარებოდეს კაცობრიობის ინტელექტუალურ და ზნეობრივ სოლიდარობას, საერთო წარმოდგენას ღირებულებებზე, რომელიც მხოლოდ ყველა ხალხის გონებაში ცხოვრებისა და მისი პრობლემების შესახებ რაციონალური, მეცნიერული ხედვის ერთდროულად განვითარების შედეგად შეიძლება გაჩნდეს.“

მოაქვს, რადგანაც ისინი შეიძლება დაგვეხმაროს, როდესაც მსგავს მიახლოებით, ან, სულაც, საბოლოო სრულყოფილებას მივაღწევთ. სხვა სიტყვებით, მათი ეფექტიანობა პრობლემის მოგვარებისთანავე იწყება.

არის კიდევ ერთი, შესაძლოა, უფრო ფართოდ გავრცელებული ილუზია, თითქოს ბიჰევიორისტი მეცნიერები მსოფლიო მშვიდობის მშენებლობის საქმეს იმითაც ეხმარებიან, რომ გვთავაზობენ გამოსავალს, რომლის ქმედითობაც მსოფლიო მთავრობის არსებობის პირობაზეა დამოკიდებული.[56] ეს ხშირად ირიბი მინიშნებით კეთდება. ფრანგ სოციოლოგს ჟორჟ გურვიჩს, რომელიც მიიჩნევს, რომ საერთაშორისო დაძაბულობები უმთავრესად ხელოვნურია, სურს, აიძულოს ერები ერთიმეორის შესახებ უცოდინარობას ბოლო მოუღონ და აღმოფხვრან „სიმართლის დამახინჯება, ცრუ ხმების დაყრა, ეროვნული ხასიათის არასწორად წარმოჩენა და ა.შ., . . . რადიოდან, კინოფილმებიდან, პრესიდან და სახელმძღვანელოებიდან ყველა სახელმწიფოში." ეს უნდა განხორციელდეს „საერთაშორისო ძალისხმევით, რომელიც, შესაძლოა, იუნესკო-მ შეათანხმოს."[57] შეთანხმება კი აშკარად საჭირო იქნება. შესაძლებელია თუ არა, ყოველივე ეს ისეთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ გააკეთოს, რომელსაც საერთაშორისო ხელისუფლების ძირითადი ნიშნები არ ახასიათებს? ნამდვილად არა, თუმცა, გურვიჩი ამას თავისი პროგრამის ნაწილად აცხადებს, რომელსაც ისეთივე სოციოლოგიური ხასიათი აქვს, როგორც სხვებს.[58] ასევე მსჯელობს

---

[56] აქ წარმოდგენილი ვარიანტი არის რჩევა, რომელიც უნდა გამოგვადგეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახელმწიფოთა მთავრობები მეტ-ნაკლებად გაუმჯობესდებიან. იხილეთ შედარებისათვის: Abraham Kardiner, „ემპირიულად მიგნებული დირექტივები საზოგადოებრივი ქმედებისათვის მხოლოდ მას შემდეგ იზკიმებენ გამარჯვებას, რაც დემოკრატია განმტკიცდება და გაჩნდება უფრო დიდი სურვილი იმ ძალების ფსიქოლოგიური კუთხით შესწავლისა, რომლებსაც საზოგადოების როგორც შეკავშირება, ისე დანაწევრება და განადგურება შეუძლიათ." "The Concept of Basic Personality Structure as an Operational Tool in the Social Sciences," in Linton, ed., *The Science of Man in the World Crisis*, p. 122.

[57] Georges Gurvitch, "A Sociological Analysis of International Tensions," in Cantril, ed., *Tensions That Cause Wars*, p. 252.

[58] საინტერესოა, მაგალითად, გურვიჩი ოპტიმისტად რომ დარჩენილიყო, გაიხსენებდა თუ არა იგი საფრანგეთში განათლების პოლიტიკის საკითხთა ირგვლივ დიდ ხნის მანძილზე მიმდინარე პოლიტიკურ დავას, რომელიც ომებს შორის პერიოდშ

გორდონ ალპორტი. „ომის აუცილებელი პირობაა," - წერს იგი, - „რომ ადამიანები უნდა *ელოდებოდნენ* ომს და უნდა ემზადებოდნენ ომისათვის, სანამ ომის მოსურნე ხელმძღვანელობის მეთაურობით ისინი ომს დაიწყებენ." შესაბამისად, ომის აღკვეთა ომის მოლოდინის შეწყვეტით არის შესაძლებელი: „მხოლოდ მოლოდინის შეცვლით, როგორც ლიდერებში, ისე მათ მიმდევრებში, როგორც მშობლებში, ისე ბავშვებში, მოვსპობთ ჩვენ ომს." ეს ცოტათი დამაბნევლად ჟღერს ვიდრე არ შევიტყობთ, თუ როგორ იმედოვნებს იგი მოლოდინის შეცვლას. გაერო, - ამბობს ალპორტი, - „მოწოდებულია . . . მოლოდინებს სახე უცვალოს. ის უზრუნველყოფს საშუალებებს, რომელთა გამოყენებითაც კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება ხდება შესაძლებელი . . . გაერო-ს წარმატება გარანტირებული იქნება, თუ ხალხსა და მათ ლიდერებს ამ ორგანიზაციის წარმატების ჭეშმარიტი *მოლოდინი* გაუჩნდებათ." დასკვნის სახით კი იგი ამბობს: *„როდესაც ადამიანები სრულად დარწმუნდებიან იმაში, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს ომის აღმოფხვრა ძალუძთ, ეს უკანასკნელნი, ბოლოს და ბოლოს, მართლაც შეძლებენ ამას."*[59] ალპორტის ნაწერებში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება ეს მოლოდინი რეალობად გადაიქცეს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ერები როგორღაც მიაღწევენ საოცრად სრულ და მტკიცე შეთანხმებას, არასოდეს იომონ, მათ შორის არსებული მრავალი უთანხმოების მიუხედავად და, აგრეთვე, თუ გაერო მოიპოვებს ისეთ ძალაუფლებას, რომელიც ტრადიციულად მხოლოდ მთავრობას გააჩნია.

თუ ზოგიერთი ბიჰევიორისტი მეცნიერი პრობლემის გადაწყვეტის მის მიერ შემოთავაზებული ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ხერხების ამოქმედების საქმეში ფარულად ამყარებს იმედს მომავალ მსოფლიო მთავრობაზე, სხვებმა ამგვარ დამოკიდებულებას უფრო აშკარად გაუსვეს ხაზი. ბიჰევიორისტი მეცნიერი შეიძლება მივიდეს დასკვნამდე, რომ მსოფლიო მთავრობა საჭიროა იმის გამო, რომ უდიდესი გართულებები და წინააღმდეგობები შეინიშნება იმ მიზეზობრივ ფაქტორებში,

---

მასწავლებელთა ეროვნული და სამხედრო ორიენტაციის შესახებ ოფიციალურად გამოთქმული ეჭვებიდან მომდინარეობდა.

[59] Gordon W. Allport, "The Role of Expectancy," in Cantril, ed., *Tensions That Cause Wars*, pp. 48, 75, 77.

რომლებიც ამა თუ იმ საომარ აქტს იწვევს. „მხოლოდ ძალიან განყენებულად და ზოგადად," - აღნიშნავს მარკ მეი, - „შეიძლება ითქვას, რომ შიში ხელს უწყობს ომს, ხოლო უსაფრთხოების გრძნობა წარმოშობს მშვიდობას, რომ ომს საფუძვლად უდევს სიძულვილი, ხოლო მშვიდობას სიყვარული, ან რომ ომს ხელს უწყობს მიდრეკილება შეჯიბრისა და აგრესიისაკენ მაშინ, როდესაც მშვიდობას წარმოშობს მიდრეკილება თანამშრომლობისაკენ. საშობლოს სიყვარული ომის აშკარად გამოკვეთილი მოტივია, ამავდროულად, ორივე: შიშიც და სიძულვილიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მშვიდობის მოტივებად." ეს დასტურდება მეის დაკვირვებით, რომ იქ, სადაც სახელმწიფოები ისტორიის მანძილზე მშვიდობიანად თანაარსებობდნენ, ისეთი, ხშირ შემთხვევაში, ფსიქოლოგიურად ურთიერთსაწინააღმდეგო განწყობილებებიდან გამომდინარე ფაქტორების დანახვა შეიძლება, როგორიცაა: ომის ძლიერი შიში, მარცხისა და ომის შედეგების შიში, საერთო მტრის შიშზე დაფუძნებული მეგობრობა, რელიგიისა და განათლების ძალით წარმოშობილი პაციფიზმი და კულტურული კავშირების საფუძველზე ჩამოყალიბებული მეგობრობა. ამდენად, მშვიდობას ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობებისა და მოტივების ერთობლიობა ქმნის.[60]

მეის თეზისის თანახმად, „პირობები, რომლებიც განსაზღვრავს სოციალურ განწყობილებებსა და შეხედულებებს, კერძოდ კი ისინი, რომლებიც დაკავშირებულია ომთან ან მშვიდობასთან, უმეტესწილად სოციალური აღზრდის შედეგებია." მაგრამ რა სახის სოციალურ აღზრდას შეუძლია ყოველ ერში წარმოშვას იმ ძალებისა და გრძნობების თავისებური კომბინაცია, რომლებსაც ნამდვილად შედეგად მოჰყოლია მშვიდობიანი პერიოდები ისტორიაში? ამ რთული ვითარებიდან მეი მხოლოდ ერთ გამოსავალს ხედავს: თუ მშვიდობა გვსურს, უფრო დიდი ჯგუფისადმი ერთგულება უნდა ვისწავლოთ. ხოლო სანამ ამას შევძლებთ, უნდა შევქმნათ ის, რისი ერთგულებიც უნდა გავხდეთ. სოციალური ფსიქოლოგია ნაკლებად გვაძლევს დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოებს შორის მშვიდობის დამყარების იმედს. ძლიერი, ცენტრალიზებული მმართველობა ანუ მსოფლიო მთავრობა არის მშვი-

---

[60] May, *A Social Psychology of War and Peace*, pp. 220, 225. იხილეთ შედარებისათვის: Freud, *Civilization, War and Death*, ed. Rickman, p. 90.

დობის „ფსიქოლოგიური“ საფუძველი.[61] უკანასკნელ წინადადებაში სიტყვა „ფსიქოლოგიურის“ განსხვავებულ კონტექსტში წარმოდგენას თუ არ ჩავთვლით, მეი საკმაოდ გარკვეით ამბობს, რომ ფსიქოლოგია და სოციალური ფსიქოლოგია იმ პოლიტიკურ სტრუქტურაზეა დამოკიდებული, რომლის ფარგლებშიც ის მოქმედებს. ლაზარსფელდი და კნუპფერი ამავე მიზეზებზე დაყრდნობით მსგავს აზრს გამოთქვამენ. „ომის სიძულვილს რაც შეეხება,“ - წერენ ისინი, - „უკანასკნელმა რამდენიმე წელიწადმა დაგვანახა, რომ ერების გარკვეულ ნაწილში ომის სურვილის გაქრობამ სხვათა მხრიდან მხოლოდ აგრესია შეიძლება გამოიწვიოს. ერებს შორის მეტოქეობის წამქეზებელი სოციალური და ფსიქოლოგიური ძალები ზედმეტად ძლიერია იმისათვის, რომ „მსოფლიოს ყველა ადამიანისა“ თუ „საერთაშორისო თანამშრომლობის“ იდეალისადმი არამკაფიოდ განცხადებული ერთგულებით გაკონტროლდეს. როგორც ჩანს, აუცილებელია საერთაშორისო მმართველობის კონკრეტული ორგანოს არსებობა, რომელზეც ხალხი ახალ იდენტიფიკაციასა და სუპრანაციონალური მიკუთვნების გრძნობას ააგებს.“ მას შემდეგ, რაც ასეთი წინსვლა მოხდება, - დასძენენ ისინი, - წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული სხვა ხერხები, მაგალითად, მასობრივი კომუნიკაციები.[62]

ამგვარი დასკვნის ერთ-ერთ მიზეზს ადრე ხაზგასმული ის ფაქტიც წარმოადგენს, რომ პოლიტიკურ მეცნიერებათა მეთოდები ძალიან ნელია, რასაც ყველაზე ნათლად და დამაჯერებლად ე. ფ. მ. დურბინი ასაბუთებს.[63] სწორედ მას ეკუთვნის ის თეზისი, რომ „ომს განაპირობებს

---

[61] May, *A Social Psychology of War and Peace*, pp. 21, 30, 228-34. ეს იგივეა, რაც მსოფლიო მთავრობის მშვიდობის ეკონომიკურ საფუძვლად გამოცხადება. სიტყვას „ფსიქოლოგიური“ მეი ყოვლისმომცველი მნიშვნელობით იყენებს. ამდენად, მისი აზრით, მშვიდობის „ფსიქოლოგიური“ საფუძველი არის პოლიტიკური ან სხვა სახის ნებისმიერი საფუძველი, რომელიც გვესაჭიროება. ამით, მისი, როგორც ფსიქოლოგის თვალსაწიერში იმაზე უფრო მეტ მნიშვნელოვანი ფაქტორი ექცევა, ვიდრე სხვა ფსიქოლოგებს განუხილავთ, თუმცა, ასეთნაირად ხმარება სიტყვა „ფსიქოლოგიურს“ ზუსტ მნიშვნელობას უკარგავს.

[62] P. F. Lazarsfeld and Genevieve Knupfer, "Communications Research and International Cooperation." in Linton, ed., *The Science of Man in the World Crisis*, p. 466.

[63] Durbin and Bowlby, *Personal Aggressiveness and War*. მოცემული კამათი ეფუძნება გვერდებს: 40-48.

ინდივიდთა გარდაქმნილი აგრესიულობის ჯგუფურ ცხოვრებაში ან ამ უკანასკნელის მეშვეობით გამოვლენა.“ ვინაიდან ადამიანის ხასიათს გარემო და, ასევე, მემკვიდრეობით მიღებული ბუნება აყალიბებს, შესაძლებელია „ზრდასრული ადამიანის ქცევის ხასიათის შეცვლა იმ გარემოზე ზემოქმედებით, რომელშიც ჩვენი უცვლელი მემკვიდრეობითი ელემენტი ვითარდება.“ ჩვენ შეიძლება აღვზარდოთ „კაცებისა და ქალების თაობა, რომლებიც დაიცავენ საკუთარ უფლებებს და, ამავდროულად, ხალისით მიანიჭებენ სხვებს ასეთივე უფლებებს, რომლებიც დავის გადაწყვეტისას მესამე მხარის აზრს დაეთანხმებიან, რომლებიც არ დაჩაგრავენ სხვას და არც დამცირებას აიტანენ, რომლებიც იბრძოლებენ, მაგრამ მხოლოდ კანონის დასაცავად, რომლებიც დადებითი და სამართლიანი საზოგადოების მონდომებული და კეთილგანწყობილი წევრები იქნებიან.“[64] ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება, მაგრამ საუკეთესო შემთხვევაში იმას, რომ ჩვენმა მცდელობებმა საერთაშორისო ურთიერთობების მსვლელობაზე გავლენა მოახდინოს თაობები დასჭირდება. „ეს რომ ერთადერთი იმედი იყოს, ჩვენ ამასობაში, უამრავი ომის შედეგად, უკვე დაზოცილი ვიქნებოდით.“[65] მაგრამ ეს არ არის ერთადერთი იმედი, რადგანაც აქ განხილული თეორია „საზოგადოების შესწავლისათვის სხვა მრავალ მნიშვნელოვან შეხედულებასთან ერთად, ხელისუფლების სარგებლიანობის თეორიასაც მოიცავს.“[66] დურბინის აზრით, ომის მიზეზი ადამიანთა თანდაყოლილი აგრესიულობაა. ადამიანთა შეცვლით ამ მიზეზის მოსპობა რომ შეგვეძლოს, ომს ბოლო მოელებოდა,

---

[64] იხილეთ პოლიტიკური მეცნიერის დასკვნა, რომელმაც ანთროპოლოგთა და ფსიქოლოგთა კვლევის შედეგების საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემებისადმი მისადაგება სცადა: „ადამიანებში დამპყრობელთათვის წინააღმდეგობის გაწევის სურვილის ჩაქრობის ნაცვლად, ადამიანთა გონებაზე ორიენტირებული თეორიის მიზანი შეიძლება იყოს ძალადობის მუქარის საპასუხოდ წინააღმდეგობის გაძლიერება.“ Dunn, *War and the Minds of Men*, p. 11.

[65] იხილეთ შედარებისათვის: Freud, *Civilization, War and Death*, ed. Rickman, p. 95: იმათ, ვინც ადამიანთა გარდაქმნის შემდგომ მოელის მშვიდობას „წარმოსახული აქვთ საშინელი სურათი წისქვილებისა, რომლებიც იმდენად ნელა ფქვავს, რომ ვიდრე ფქვილი დამზადდება, ადამიანები შიმშილით დაიხოცებიან.“

[66] იხილეთ შედარებისათვის: Tolman, Drives toward War and Death, ed. Rickman, p. 92: პოლიტიკა და ფსიქოლოგია ერთდროულად უნდა გვასწავლიდეს, რომ ჩვენი გადარჩენისათვის აუცილებელია ფედერაციული კავშირის შექმნა.

მაგრამ მათი სწრაფად შეცვლის უნარი არ გაგვაჩნია და ამასთან, აგრესიულობის ყველა ელემენტის აღმოფხვრის იმედიც არ უნდა გვქონდეს. ამდენად, პირველ რიგში, საჭიროა ის მიდგომა გავიზიაროთ, რომელიც ყურადღებას ამახვილებს არა „მიზეზებზე", არამედ „სიმპტომებზე", აგრესიული უმცირესობის ძალის მეშვეობით შეკავებაზე. შემაჯამებელ შეფასებას თავად დურბინის სიტყვებით შემოგთავაზებთ:

მაშასადამე, როგორც ვხედავთ, არსებობს ორი, მხოლოდ და მხოლოდ ორი გზა, რომლითაც ომის სიხშირისა და ძალადობის შემცირება შეიძლება - პირველი ნელი, გამაჯანსაღებელი და მშვიდობიანი გზაა, რომლის მიზანია ახალი ტიპის ემოციური აღზრდით ადამიანის ხასიათში ომის საწყისი მიზეზების მოსპობა, მეორე კი სწრაფი, მაიძულებელი გზაა, რომლის მიზანია სიმპტომების დაძლევა, აგრესორის ძალით შეკავება.[67]

მაგრამ, ნუთუ შესაძლებელია ამ ეტაპზე კიდევ იმის თქმა, რა არის „მიზეზი" და რა არის „სიმპტომი"? თუ, მაგალითად, ერთ პოლიტიკურ სტრუქტურას მშვიდობის დამყარება შეუძლია, მეორეს კი ომი მოაქვს, ამ უკანასკნელს დასაშვებია, „მიზეზი" ვუწოდოთ. სწორედ ასე მსჯელობენ ფსიქოლოგები, როცა განასხვავებენ ადამიანებს, რომლებიც „ჩხუბს ტესენ" ადამიანებისაგან, რომლებიც იმდენად კარგად არიან შეგუებულნი, რომ მხოლოდ საკმარისი საბაბის გამო ჩხუბობენ (a` la Durbin), ხოლო შემდეგ ამბობენ, რომ პირველი ტიპის ადამიანთა არსებობა არის ომის „მიზეზი" (ან სხვაგვარი ფორმულირებით „ძირითადი მიზეზი"). ზოგიერთ ადამიანს ჩხუბი რომ არ უნდოდეს, ომები შეწყდებოდა. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ადამიანებზე ზემოქმედება, თითოეული მათგანის არანაჩხუბარად გადაქცევის მიზნით, ომის „ძირითადი მიზეზის" წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია. მსგავსად ამისა, შეიძლება ითქვას: საფრანგეთში ადამიანებს შორის ომები არ ხდება, ხოლო საფრანგეთსა და გერმანიას შორის - კი, რაც ეროვნულ

---

[67] იხილეთ შედარებისათვის: Freud, *Civilization, War and Death*, ed. Rickman, p. 88: „ომის აღკვეთის მხოლოდ ერთი სარწმუნო გზა არსებობს და იგი საერთო თანხმობის საფუძველზე ცენტრალური მაკონტროლებელი ორგანოს დარსებას გულისხმობს, რომელიც ინტერესთა ნებისმიერ კონფლიქტში საბოლოო სიტყვას იტყვის. ამისათვის ორი რამ არის საჭირო: პირველი, ამგვარი უზენაესი სასამართლოს შექმნა და მეორე, მისი შესაბამისი აღმასრულებელი ძალაუფლებით აღჭურვა."

და საერთაშორისო დონეზე პოლიტიკური ორგანიზაციის განსხვავებულობით უნდა იყოს გამოწვეული. შესაბამისად, პოლიტიკურ სტრუქტურაზე ზემოქმედება არის ომის „ძირითადი მიზეზის" წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი.

დასკვნა

თავის ერთ-ერთ ყველაზე დიდ დამსახურებად გალილეი თვლიდა იმას, რომ მეცნიერებაში ცოდნის დაგროვების შესაძლებლობა დაამკვიდრა. ერთ-ერთ ნაშრომში მის მიერ „წარმატებით დამტკიცებულ ფაქტებზე" მინიშნების შემდეგ იგი დასძენს: „ყველაზე მნიშვნელოვნად მე მიმაჩნია ის, რომ ამ უზარმაზარი და ბრწყინვალე მეცნიერებისათვის ცნობილი გახდა . . . გზები და საშუალებები, რომელთა გამოყენებითაც სხვა მოაზროვნენი . . . მის შორეულ კუთხე-კუნჭულებს გამოიკვლევენ."[68] საბუნებისმეტყველო მეცნიერებმა უფრო დიდ სიმაღლეებს თავიანთ წინამორბედთა „მხრებზე" მიაღწიეს. ბიჰევიორისტი მეცნიერები ხშირად გამოთქვამენ იმედს, ზოგჯერ კი დარწმუნებით ამბობენ, რომ იგივეს მოიმოქმედებენ.[69] დღემდე მათ ეს ვერ შეძლეს. ბევრი მათგანი აღიარებს ამას და მიზეზად ბიჰევიორული დისციპლინების მცირე ასაკს ასახელებს, მაგალითად, ფიზიკასთან ან ბიოლოგიასთან შედარებით. მოკრძალებულობის გარდა, ეს განმარტება ფარულ დაპირებასაც შეიცავს, რომ საფუძვლიან კვლევასა და ინსტრუმენტების დახვეწას უფრო მეტი დრო თუ დაეთმობა, ბიჰევიორული მეცნიერებები დიდი ოდენობით მოძიებული და დამუშავებული მონაცემების სოციალური პრობლემებისადმი მისადაგების მეშვეობით საზოგადოებას გარდაქმნის, რითაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს მიღწევებით გაუტოლდება.

ცოდნის დაგროვების მცდელობასთან ერთად საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერები სულ უფრო აშკარად ავლენენ ქცევის ძველი ნიმუშების გამეორების ტენდენციას. ამ თავში მოყვანილი ზოგიერთი

---

[68] Galilei. *Dialogues concerning Two New Sciences*, tr. Crew and De Salvio, pp. 153-54.

[69] დარწმუნებით გაჯერებული ამგვარი იმედის მაგალითი იხილეთ ნაშრომში: Leiserson, "Problems of Methology in Political Research." *Political Science Quarterly*, LXVIII (1950), 567.

მაგალითი განმანათლებლობის ეპოქის ფილოსოფოსთა მეთოდებს მოგვაგონებს, ზოგიერთი - მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალთა ოპტიმიზმს, ზოგიერთი - მარქსისტთა ერთი შეხედვით მარტივ ვარაუდს, რომ ადამიანთა ხელისშემშლელი ინსტიტუტები სწრაფად შეიძლება თავიდან მოეშოროთ და უფრო გამოსადეგით შევცვალოთ, ზოგიერთიც კი - თანამედროვე პაციფისტების გულის ამაჩუყებელ რწმენას. აზროვნების ნიმუშთა მსგავსების რამდენიმე მაგალითის ზემოაღნიშნული თანმიმდევრობით წარმოდგენა სოციალური მეცნიერების შეზღუდვათა აღმოჩენაში დაგვეხმარება, რაც სხვებმა უფრო მეთოდოლოგიური და მეტაფიზიკური ხასიათის კრიტიკით გააკეთეს.

ჰელვეციუსი მიიჩნევდა, რომ ზნეობა, *„მეცნიერება საშუალებათა შესახებ, რომლებიც ადამიანებმა გამოიგონეს იმისათვის, რომ ერთად იცხოვრონ რაც შეიძლება ბედნიერად,“* განვითარდება „ხალხის მიერ მეტი ცოდნის შეძენის კვალდაკვალ.“ დიდრომ კი, რომელიც ამ მოსაზრებას იზიარებდა, თავისი ენციკლოპედია სწორედ ასეთი ცოდნის გაზრდისა და გავრცელების მიზნით შეადგინა.[70] პრაქტიკული საქმიანობისა და ცოდნის გაიგივებას, რაზეც ზემოთ მივანიშნეთ, აქაც ვხვდებით და, შედეგად, დროით დაშორებული ორი სტრიქონი შინაარსით ერთმანეთს უახლოვდება, როდესაც გორდონ ალპორტი მოგვიწოდებს, რომ მშვიდობისათვის უნდა არსებობდეს „ყველა ხალხის მისწრაფებების, რწმენისა და ქცევების *ერთგვაროვნებისა და მსგავსების ენციკლოპედია.*“[71] მეჩვიდმეტე საუკუნეში მეცნიერების წარმატებამ მეთვრამეტე საუკუნის მეცნიერულ პოლიტიკას დაუდო სათავე. პირველი კრიტიკოსი ამ

---

[70] Helvétius, *A Treatise on Man*, tr. Hooper, p. 12n. იხილეთ შედარებისათვის დიდროს სტატია: "Encyclopédie." გამოცემაში: *Oeuvres complètes de Diderot*, ed. Assézat, XIV. 415, სადაც იგი ენციკლოპედიის ერთ-ერთ მიზნად შემდეგს ასახელებს: „ჩვენი შთამომავლები უფრო განაოლებულები იქნებიან და, ამავდროულად, უფრო ღირსებით შემკულები და ბედნიერები გახდებიან.“

[71] იხილეთ ალპორტის კომენტარები ნაშრომზე: Arne Naess, "The Function of Ideological Convictions." in Cantril, ed., *Tensions That Cause Wars*, p. 289. თომას მანის *ჯადოსნურ მთაში* სეტემბრინი, მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალისათვის დამახასიათებელი თვისებებით შემკული პიროვნება, მაძინის ერთგვარი განსახიერება, თავისი ცხოვრების საუკეთესო წლებს მსგავს პროექტს უთმობს და საზრდოობს იმ ილუზიებით, რომლებიც აქ განხილულებთან საკმაოდ ახლოს დგას.

ნააზრევს ჰიუმის სახით გამოუჩნდა. უკანასკნელ ხანებში კი ეს საქმიანობა ისეთმა კრიტიკოსებმა განაახლეს, როგორებიც არიან ნიბური და კასერლი.[72]

მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალიზმთან პარალელის გავლება ხშირად ძალზე შთამბეჭდავია. თანამედროვე ეტაპზე ნორმან ენჯელმა გააჟღერა ეკონომისტების ის კლასიკური შეხედულება, რომ ომი ეკონომიკურად არამომგებიანი წამოწყებაა. მრავალი მათგანის მსგავსად, ენჯელს სჯერა, რომ კაცობრიობის მიერ მწარე გაკვეთილის გააზრების შემდგომ ომები აღარ მოხდება. ტერმინთა განვრცობა ვერ მალავს იმ ფაქტს, რომ სოციოლოგი ვ. ფრედ კოტრელიც ამავე ილუზიის გავლენის ქვეშ მოექცა. ვითარების ხუთი მოდელის გამოყოფის შემდეგ, რომლებიც მშვიდობის შესაძლებელობას ითვალისწინებს, ყველაზე იმედისმომცემად იგი ასახელებს იმ მოდელს, რომელშიც ელიტისათვის ნათელი ხდება, რომ ომს, როგორც ქცევას სარგებელი არ მოაქვს. ნაშრომის უკანასკნელ აბზაცში მის მიერ გამოთქმული მოსაზრება ჩემსასაც ემთხვევა: „მშვიდობის თანამედროვე წინამძღვრებს შორის," - ასკვნის იგი, - „ერთადერთი, რომლის არსებობაც დღეს სათუოა, არის ელიტების მიერ იმის ნათლად გაცნობიერება, რომ ფასეულობების მოხვეჭის შესაძლებლობით ომი მშვიდობას ჩამოუვარდება."[73] ბიჰევიორისტი მეცნიერები უმეტესად მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალებს ჰგვანან, ოღონდ, უფრო სუსტ მეთოდებს ფლობენ. კოტრელის აბზაცს ბოლომდე თუ ჩავიკითხავთ, ცხადი გახდება მისი კავშირი მარქსთან და აგრეთვე, ის, რომ ორივე განმანათლებლობის მეცნიერული პოლიტიკისაგან დიდად დავალებულია. „თუმცაღა," - წერს იგი, - „იმ შემთხვევაში, თუ ეს შეფასება მცდარი გამოდგა და ნათელი გახდა, რომ თანამედროვე პირობებში ადამიანები მაინც ომისაკენ ისწრაფიან, მაშინ კვლევა გამოავლენს, როგორ უნდა შეიცვალოს სტრუქტურა ან სხვა პირობები იმისათვის, რომ ამჟამად ძლიერ ელიტებს ომის დაწყების შესაძლებლობა წაერთვას, ან რა

---

[72] იმ სხვა უამრავ ადამიანს შორის, რომელთა ციტირება შესაძლებელია, მე ვახსენებ კასერლის, რადგან მისი კრიტიკა საფუძვლიანია, ხოლო მისი შრომები ამერიკელ სოციალურ მეცნიერთათვის კარგად ცნობილი არ არის. იხილეთ მისი: *Morals and Man in Social Sciences.*

[73] Cottrell. "Research to Establish the Conditions for Peace," *Journal of Social Issues,* XI (1955). 14. 20.

ცვლილება უნდა განიცადოს რომელიმე დღეს არსებულმა პირობამ, რათა ამ ელიტებმა ომის გაჩაღება აღარ განიზრახონ. სავარაუდოდ, ელიტები ომის შედეგების წინასწარ გათვლის საფუძველზე იღებენ ამგვარ გადაწყვეტილებას." ცოდნას კონტროლისაკენ მივყავართ, კონტროლი კი შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ ინსტიტუტები და, შესაბამისად, ადამიანებიც (ან ხომ არ შეიძლება, ეს თანმიმდევრობა შებრუნებული იყოს?) მუდმივად მანიპულირებადნი არიან. მარქსმა, რომელიც ერთ საკითხს მაინც უფრო რეალისტურად აფასებდა, ძალასა და ცვლილებას შორის კავშირი დაინახა. დიდი ცვლილების გამოწვევა საკმაოდ ძნელია: რევოლუციაა საჭირო იმისათვის, რომ ადამიანები „საუკუნოვანი სიბინძურისაგან" გათავისუფლდნენ.[74] მაგრამ მისი პოზიცია საკმაოდ დაუცველი იყო, ვინაიდან იგი ვერ ხედავდა იმ ფაქტს, რომ მას შემდეგ, რაც ეს მნიშვნელოვანი ძალა ამოქმედდებოდა, მისი პროგნოზირება ან გაკონტროლება შეუძლებელი გახდებოდა. საბოლოოდ, კოტრელიც და მარქსიც პოლიტიკაში რაციონალისტებად დარჩნენ. მარქსი გადაჭარბებულად აფასებდა გონების ქმედითობას სოციალისტური რევოლუციის შემდგომი პერიოდისათვის, კოტრელი კი გადაჭარბებულ შეფასებას აძლევდა გონების ქმედითობას ადამიანთა ქცევაში მის მიერ შემოთავაზებული რევოლუციის განხორციელებისათვის.

საბოლოო ჯამში, პაციფისტებისა და ბიჰევიორისტი მეცნიერების მსგავსება უფრო ზოგადი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს, რომ საერთაშორისო პოლიტიკის დახვეწილი თეორიის არარსებობის პირობებში მიგნებული მიზეზები და შემოთავაზებული საშუალებები უფრო მეტად უკავშირდება ადამიანთა ხასიათსა და აღზრდა-განათლებას, ვიღრე გარესამყაროში არსებულ საგნებსა და მოვლენებს. პაციფისტების მიდგომა, რომელსაც იზიარებს, მაგალითად, ალექსანდერ ლეიტონი, ომის მყარად ფეხმოკიდებული მიზეზების აღმოფხვრას ისახავს მიზნად. ერთნი ამ საკითხს სულიერების კუთხით უდგებიან, მეორენი კი ფსიქიატრიულ ხერხებს მიმართავენ. პაციფისტი ელის და ჩუმად იმედოვნებს, რომ ადამიანები მოიქცევიან ისე, როგორც ეს ღმერთს სურს ან სხვების იმ სარწმუნოებაზე მოქცევას ცდილობს, რომელმაც მთებს ძვრა უყო და, სავარაუდოდ, ამის გაკეთება მომავალშიც უნდა შეძლოს.

---

[74] Marx and Engels, *The German Ideology*, tr. Pascal, p. 69

რწმენა, სიმამაცე და მტკიცე ხასიათი აუცილებელია. ბიჰევიორისტ მეცნიერს არაერთხელ უთქვამს, მაგრამ სათანადოდ ვერ დაუსაბუთებია, რომ ეს სამი თვისება საკმარისია. მაგალითისათვის, ჰელმუტ კალისი, რომელიც მშვიდობის დამყარების საშუალებათა მოძიებას ცდილობს, წერს: „როგორც კი გვეყოფა სიმამაცე და ხასიათის სიმტკიცე იმისათვის, რომ მეცნიერული ცოდნა სოციალურ ურთიერთობებს მივუსადაგოთ, ადამიანი, კულტურის შემქმნელი ვალდებული გახდება, კულტურული საშუალებები გამონახოს, რათა კაცობრიობა ცხოვრების საუკეთესო პირობებით დააჯილდოვოს."[75]

ყოველივე ზემოთქმული არ გულისხმობს იმას, რომ წვლილი, რომლის გაღებაც ბიჰევიორისტ მეცნიერს შეუძლია, სიახლე არ არის და ყოვლად უსარგებლოა, არამედ იმას, რომ ის დამსახურება, რომელსაც ბევრი მათგანი მიიწერს საჭირო ეფექტს ვერ იძლევა, რადგან საერთაშორისო ქმედების პოლიტიკური სტრუქტურის მნიშვნელობის აღიარებას არ ემყარება. ამ გარემოების ფონზე, მათი რეკომენდაციები უფრო მშვიდობიანი მსოფლიოს ასაშენებლად მხოლოდ შემთხვევით შეიძლება სასარგებლო გამოდგეს.

ყველა ადამიანი ბრძენი და თავშეკავებული რომ იყოს, ომები აღარ მოხდება. მთელს მსოფლიოში ისეთი საზოგადოებები რომ ჩამოყალიბდეს, რომლებიც ადამიანს ყველა სურვილის დაკმაყოფილებისა და პოტენციურად დესტრუქციული მისწრაფებების გარდაქმნის საშუალებას მისცემს, ომები აღარ მოხდება. მაგრამ მიზეზის ამგვარი ანალიზი მცდარია, მასზე დაფუძნებული რეკომენდაცია კი მხოლოდ ამაოდ მეოცნებე ადამიანებისაგან შეიძლება მომდინარეობდეს, ხოლო როდესაც ამაოდ მეოცნებენი ფხიზლდებიან, ისინი პესიმისტები ხდებიან, როგორც, მაგალითად, ჯორჯ კისკერი ან თავიანთ ანალიზს უფრო მეტი მიზეზობრივი ფაქტორის ჩართვით აფართოებენ. მშვიდობის მშენებლობაში პოლიტიკური სტრუქტურის მნიშვნელობას აღიარებენ ისინი, ვინც მეისა და დურბინის მსგავსად, საკუთარი სოციალურ-ფსიქოლოგიური შემოთავაზებების წარმატებულად სისრულეში მოყვანის წინაპირობად მსოფლიო მთავრობის შექმნას აცხადებს. ამავე დროს, ზოგიერთი

[75] Callis, "The Sociology of International Relations." *American Sociological Review,* XII (1947). 328.

მათგანი ვერ აცნობიერებს იმას, რომ მათ მიერ წარმოდგენილი გამოსავალი უფრო მეტად პოლიტიკურია, ვიდრე სოციალურ-ფსიქოლოგიური და სანამ არ განისაზღვრება საშუალებები, რომლებითაც პოლიტიკოსები მსოფლიო მთავრობას დააფუძნებენ, მათ წინადადებებს არავითარი ფასი არ ექნება. სოციალურ-ფსიქოლოგიურმა რეალიზმმა პოლიტიკური უტოპიზმი წარმოშვა. მეორე უკიდურესობაში ვარდებიან ის ადამიანები, რომლებიც პოლიტიკის როლს უგულებელყოფენ და აპოლიტიკურ გამოსავლებს გვთავაზობენ, თითქოს ამ უკანასკნელებმა ვაკუუმურ სივრცეში უნდა იმოქმედონ. ისინი, უმთავრესად, გაიძახიან: „ეს წინადადებები ომის პრობლემის გადაჭრის საშუალებებია - თუ ვინმე მათ გაიზიარებს." თუმცა, აქ შემოთავაზებულ ღონისძიებათაგან არცერთს არ შეუძლია სასურველი შედეგის მოტანა.

მუდმივ და მანიპულირებად მიზეზებს შორის განსხვავების შეუმჩნევლობა ნაწილობრივ სოციალური ქმედების პოლიტიკური კონტექსტის უგულებელყოფის შედეგია. ამ თავში აღნიშნული იყო, რომ ლასველის „პრევენტიული პოლიტიკა" გარკვეული პოლიტიკური სისტემის არსებობას ვარაუდობს. ალბათ, იმის გამო, რომ ეს მოსაზრება ხშირად არ გაისმოდა, მისი მნიშვნელობა მრავალმა ბიჰევიორისტმა მეცნიერმა ვერ გაითვალისწინა, როდესაც საშინაოს შემდეგ საერთაშორისო ასპარეზს გადასწვდა.[76] ძნელია გვერდი აუარო ამ ფაქტს ომისა და მშვიდობის საკითხისადმი მიძღვნილი ბიჰევიორული სამეცნიერო ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვისას. ასე მაგალითად, კლინებერგი ბიჰევიორისტ მეცნიერთა იმ ნაღვაწზე საუბრისას, რომელიც ომის შემეცნებასა და თავიდან აცილებაში უნდა დაგვეხმაროს, საერთოდ არ ახსენებს პოლიტიკას. ალპორტი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების გასააზრებლად საკმარისად მიიჩნევს ფსიქოლოგიასა და ფსიქიატრიას. იგი დასძენს, რომ „შორსმიმავალი მიზეზობრიობის გამოკვლევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალური, ის-

---

[76] იხილეთ შედარებისათვის ალმონდის შენიშვნა კლუკჰონის ნაშრომზე: *Mirror for Man* და ლეიტონის ნაშრომზე: *Human Relations*: „თავიანთი ჰიპოთეზების დღევანდელი საერთაშორისო ურთიერთობებისადმი მისადაგებისას . . . ანთროპოლოგები თანამედროვე პოლიტიკის პროფესიულ დონეზე უცოდინრობას ამჟღავნებენ." "Anthropology, Political Behavior, and International Relations." *World Politics*, II (1950), 281.

ტორიული და ეკონომიკური ფაქტორების გავლენას" - და არა პოლიტიკურის.[77] „არსებობს ყველა საბაბი იმის დასაჯერებლად," - წერს დონალდ ანგი კლინებერგის ნაშრომის წინასიტყვაობაში, - „რომ ის, რაც ერთი ქვეყნის ფარგლებში პიროვნებათაშორისი და ჯგუფთაშორისი ურთიერთობების შესწავლის შედეგად გახდა ცნობილი, მცირეოდენი შესაფერისი შესწორებით, შეიძლება ადამიანთა ისეთი ქცევის გაანალიზებაში დაგვეხმაროს, რომელსაც სახელმწიფო საზღვრის ეფექტი ართულებს."[78] მაგრამ როგორი შესწორებაა „შესაფერისი," ეს განხილული არ არის. ამგვარი „შესაფერისი შესწორების" გარეშე, ბიჰევიორისტ მეცნიერთა გამოკვლევები გაბნეულ მარგალიტებს ან მძივებს წაგავს. მათი ღირებულება შეიძლება დიდი იყოს, მაგრამ ისინი გამოუსადეგარი დარჩება, თუ ჩარჩოში არ ჩაისმევა ან ძაფზე არ აიგება.

მათემატიკისა და ეკონომიკის კავშირი საინტერესო პარალელს წარმოადგენს. ეკონომისტთა უმრავლესობა აღიარებს, რომ მათემატიკამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეკონომიკის თეორიის განვითარებაში და საგრძნობლად გაზარდა ეკონომისტების მიერ მრავალმხრივი მონაცემებით სარგებლობის შესაძლებლობა. ურთიერთდახმარება შესაძლებელია, როდესაც ეკონომისტები მათემატიკოსები ხდებიან ან როდესაც მათემატიკოსებს სურთ ეკონომიკური პრობლემებისა და თეორიის შესახებ ცოდნა შეიძინონ. ალფრედ მარშალმა, მათემატიკური ეკონომიკის ფუძემდებელმა, რომელიც თავდაპირველად მათემატიკის შესანიშნავი სტუდენტი იყო, ეკონომიკურ თეორიაში ისე დაიწყო მოღვაწეობა, რომ მათემატიკური ფორმულების ამოხსნას თავი აარიდა და შემდგომაც, ალბათ, არამართებულად, მათემატიკური ანალიზის მნიშვნელობის დაკნინება განაგრძო.[79] მათემატიკამ წვლილი შეიტანა ეკონომიკაში, მაგრამ მისი ადგილი არ დაიკავა. პირველი ქმედება ღირებულია, მეორე კი - შეუძლებელი. თუმცაღა, რადიკალურად განწყობილი ბიჰევიორისტი მეცნიერები მაინც იმას ამტკიცებენ, რომ ომი და მშვიდობა არა

---

[77] ალპორტი აკრიტიკებს სალივანის ნაშრომს: "Tensions Interpersonal and International," in Cantril, ed., *Tensions That Cause Wars*, p. 136.

[78] Klineberg, *Tensions Affecting International Understanding*, p. viii.

[79] Hutchison, *A Review of Economic Doctrines*, pp. 63-74.

პოლიტიკური, არამედ პიროვნული და სოციალური შეგუების პრობლემებია. ამასთან, ნაკლებად რადიკალებიც არასაჭიროდ მიიჩნევენ საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური პრობლემებისა და თეორიების შესწავლას თავიანთი შეხედულებების რეკომენდაციის სახით წარმოდგენამდე. ეს, რა თქმა უნდა, მთლიანად მათი ბრალი არ არის. ეკონომიკური თეორიის მთავარი დებულებების დადგენა და, სურვილის შემთხვევაში, შესწავლა მეტად ადვილია. პოლიტიკური თეორია კი, განსაკუთრებით საერთაშორისო ურთიერთობებთან მიმართებაში, ძნელი განსასაზღვრია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ თეორია ამ შემთხვევაში ნაკლებად მნიშვნელოვანია, არამედ იმას, რომ ის უფრო რთულია, ან, შესაძლოა, არა უფრო რთული, არამედ ნაკლებად შთამბეჭდავია მათთვის, ვინც ეძებს თეორიას, რომელიც კარგი გამოსავლების ადვილად პოვნის შესაძლებლობას იძლევა.

ზოგიერთმა ბიჰევიორისტმა მეცნიერმა, უნდა ვაღიაროთ, გარკვევით აგვიხსნა, რომ ის, რისი გაკეთებაც შესაძლებელია მათი მხრიდან ომის პრობლემის სამუდამოდ მოგვარებისათვის დამოკიდებულია შესაბამისი პოლიტიკური პირობების არსებობაზე, ხოლო მანამდე კი მათ შეუძლიათ მხოლოდ დაეხმარონ თავიანთ მთავრობებს, მშვიდობა შეინარჩუნონ - ან ომები მოიგონ - დღევანდელ მშფოთვარე მსოფლიოში. შესაძლო მიღწევათა მასშტაბები მით უფრო მცირდება, რაც სრულყოფილად გასაგები ხდება საერთაშორისო პოლიტიკის სტრუქტურის მნიშვნელობა. ბიჰევიორისტი მეცნიერები ისეთ კონკრეტულ პრობლემასთან შეჯახებისას - როგორიცაა, მაგალითად, როგორ ვიმოქმედოთ მოკავშირეებთან შეთანხმებულად - ნაკლებად უშვებენ იმ შეცდომებს, რომლებზეც ზემოთ ვიმსჯელეთ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს აქ გამოთქმული მოსაზრების სისწორეს, რომ რაც უფრო მეტად უწევენ ანგარიშს ბიჰევიორისტი მეცნიერები პოლიტიკას, მით უფრო კეთილგონივრული და მოკრძალებული ხდება მშვიდობის მშენებლობაში მათ მიერ წვლილის შეტანის მცდელობა.

თავი IV. მეორე ხედვა

საერთაშორისო კონფლიქტი და სახელმწიფოთა შიდა წყობა

როგორც არ უნდა წარმოგვიდგენდეს ამას მსოფლიოს ესა თუ ის ხედვა, საგარეო პოლიტიკა არის საშინაო პოლიტიკის ფაზა, მისი გარდაუვალი ფაზა.

ჩარლზ ბერდი,
საგარეო პოლიტიკა ამერიკისათვის

პირველმა ხედვამ არ გამორიცხა სახელმწიფოს გავლენა, მაგრამ სახელმწიფოს როლი ნაკლებმნიშვნელოვნად და ადამიანის ქცევიდან გამომდინარედ წარმოაჩინა. პირველი ხედვის თანახმად, იმის თქმა, რომ სახელმწიფო მოქმედებს მეტონიმიაა. ჩვენ ვამბობთ, რომ სახელმწიფო მოქმედებს, მაგრამ ვგულისხმობთ, რომ მასში მცხოვრები ხალხი მოქმედებს, ისევე როგორც ვამბობთ, რომ ჩაიდანი დუღს, მაგრამ ვგულისხმობთ, რომ მასში წყალი დუღს. წინა თავებში ყურადღება უფრო მეტად გამახვილებული იყო „შიგთავსზე", ვიდრე „სათავსზე." მოცემულ თავში კი ბალანსი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ შეიცვლება. შედარება რომ გავაგრძელოთ: წყალს, რომელიც ონკანიდან მოედინება იგივე ქიმიური შემადგენლობა აქვს, რაც წყალს კონტეინერში, მაგრამ მას სხვადასხვაგვარი გამოყენება შეიძლება მოვუძებნოთ. წყალი შეიძლება ორთქლად გადავაქციოთ და მისი საშუალებით ორთქლის ძრავა ავამუშავოთ, ხოლო თუ წყალს დავხუფავთ და უკიდურეს ტემპერატურამდე გავაცხელებთ, ის დამანგრეველი აფეთქების გამომწვევ იარაღად გადაიქცევა. ომები არ მოხდებოდა, ადამიანის ბუნება რომ არ იყოს ისეთი, როგორიც ის არის, მაგრამ ასევე არ იარსებებდა საკვირაო სკოლები და საროსკიპოები, საქველმოქმედო ორგანიზაციები და კრიმინალური დაჯგუფებები. ვინაიდან ყველაფერი ადამიანის ბუნებას უკავშირდება, რაიმეს ასახსნელად ადამიანის ბუნებაზე უფრო მეტი უნდა შევისწავლოთ. ასახსნელი მოვლენა კი იმდენად ბევრი და მრავალფეროვანია, რომ ადამიანის ბუნება ერთადერთი განმსაზღვრელი ფაქტორი ვერ იქნება.

ყველაფრის ფსიქოლოგიის მეშვეობით ახსნის მცდელობამ, საბოლოო ჯამში, ცხადყო, რომ ფსიქოლოგიამ წარმატებით ვერაფერი ახსნა. ანალიზში სოციოლოგიის ჩართვის შემთხვევაში კი ფსიქოლოგიზმის შეცდომას უბრალოდ სოციოლოგიზმის შეცდომა ცვლის. თუ, მაგალითად, სპინოზას შეცდომა იყო ის, რომ მას მიზეზების შეფასებისას საზოგადოებრივი წყობის მიზეზობრივი როლი გამორჩა, სოციოლოგები მრავალჯერ შეცდნენ იმაში, რომ ომისა და მშვიდობის პრობლემის კვლევისას არ გაითვალისწინეს პოლიტიკური წყობა, რომელშიც ინდივიდებისა და საზოგადოების მოღვაწეობა ხორციელდება. დასკვნა აშკარაა: ომისა და მშვიდობის შესამეცნებლად ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის მიგნებები პოლიტიკურმა ანალიზმა უნდა შეცვალოს ან მოაწესრიგოს. რა სახის პოლიტიკური ანალიზია საჭირო? ომის განმეორების ან არარსებობის შესაძლო განმარტებებისათვის მეცნიერმა საერთაშორისო პოლიტიკას შეიძლება მიაპყროს მზერა (რადგანაც ომები სახელმწიფოებს შორის ხდება) ან თავად სახელმწიფოებს (რადგანაც სწორედ სახელმწიფოს სახელით წარმოებს ბრძოლა). პირველი მიდგომა VI თავისათვის გადავდოთ; მეორე ხედვის თანახმად კი, სახელმწიფოების შიდა ორგანიზაციაა ყველაზე მნიშვნელოვანი ომისა და მშვიდობის საკითხის შესწავლაში.

მეორე ხედვაზე დაფუძნებული ერთ-ერთი განმარტება შემდეგი შინაარსისაა: ომი, უმეტესწილად, მასში ჩართული ყოველი სახელმწიფოს შიდა ერთიანობას განამტკიცებს. ამდენად, საშინაო განხეთქილებებით გაწამებულ სახელმწიფოს, შემთხვევითი თავდასხმის მოლოდინის ნაცვლად, ომის დაწყება ურჩევნია, რომელიც მას შინ მშვიდობას დაუმკვიდრებს. ბოდენი ამას ნათლად ხედავდა, ვინაიდან ასკვნიდა, რომ „სახელმწიფოს შენარჩუნებისა და მასში ამბოხის, აჯანყებისა და სამოქალაქო ომის თავიდან აცილების საუკეთესო გზაა ქვეშევრდომებს შორის მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება და მტრის გამოძებნა, რომლის წინააღმდეგაც ისინი გაერთიანდებიან.“ იგი ისტორიულად ასაბუთებდა, რომ ამ პრინციპით ხელმძღვანელობდნენ, მაგალითად, რომაელები, რომლებმაც „ვერ გამონახეს სამოქალაქო ომის საწინააღმდეგო სხვა, უფრო ეფექტიანი საშუალება, ვიდრე მოქალაქეებისათვის მტრის დაპირისპირება.“[1] აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰენრი სიუარდი

[1] Bodin. *Six Books of the Commonwealth*, tr. Tooley, p. 168 (Book V. ch. v).

ასევე მსჯელობდა, როდესაც ქვეყნის ერთიანობის განმტკიცების მიზნით, პრეზიდენტ ლინკოლნს უფრო გაბედული საგარეო პოლიტიკის გატარებისაკენ მოუწოდებდა, რომელიც ესპანეთისა და საფრანგეთისათვის ომის გამოცხადების შესაძლებლობასაც ითვალისწინებდა.[2] მიხაილ სკობელევმა, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის გავლენიანმა რუსმა სამხედრო ოფიცერმა ცოტათი განავრცო ეს თემა, როდესაც განაცხადა, რომ რუსული მონარქია დაიღუპებოდა, თუ საგარეო ასპარეზზე მნიშვნელოვან სამხედრო წარმატებებს ვერ მიაღწევდა.[3]

შინაგანი ნაკლოვანებების მოშველიებით სახელმწიფოს იმ საგარეო ქმედებების ახსნა, რომლებიც ომს იწვევს, მრავალი ფორმით შეიძლება მოხდეს. ერთ-ერთი ასეთი განმარტება, შესაძლოა, უკავშირდებოდეს ხელისუფლების ტიპს, რომელიც, ზოგადად, აღიქმება ცუდად. მაგალითად, ხშირია მოსაზრება, რომ დესპოტების მიერ თავიანთი ქვეშევრდომების გასაჭირში ჩაგდება წარმოშობს დაძაბულობას, რომელიც საგარეოპოლიტიკურ ავანტიურაში შეიძლება გადაიზარდოს. განმარტება ისეთი ხელისუფლების ნაკლოვანებებზეც შეიძლება მიანიშნებდეს, რომელიც თავისთავად ცუდად მიჩნეული არ არის. ამრიგად, გაჩნდა შეხედულება, რომ მოქალაქეთა კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით ხელისუფლებაზე შეზღუდვების დაწესება მას საგარეო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში ხელს უშლის. ამ შეზღუდვებს, რომელთა თავდაპირველი მიზანი დადებით შეფასებას იმსახურებს, შეიძლება შედეგად მოჰყვეს ის, რომ ხელისუფლებისათვის ძნელი ან შეუძლებელი გახდეს ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმა მსოფლიოში მშვიდობის შესანარჩუნებლად.[4] და ბოლოს, როგორც უკანასკნელი მაგალითი, განმარტებაში შეიძლება საუბარი იყოს გეოგრაფიულ და

---

[2] "Some Thoughts for the President's Consideration," April 1, 1861, in Commager, ed., *Documents of American History*, p. 392.

[3] Herzfeld, "Bismarck und die Skobelewepisode," *Historische Zeitschrift*, CXLII (1930), 296n.

[4] იხილეთ შედარებისათვის: Sherwood, *Roosevelt and Hopkins*, pp. 67-68, 102, 126, 133-36, 272, განსაკუთრებით გვ. 931. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰულის განცხადება ნაშრომში: Adams, The Education of Henry Adams, p. 374. მიაქციეთ ყურადღება, ამ შემთხვევაში მიჩნეულია, რომ ეს ხარვეზი ქვეყნის მიერ მშვიდობიანი პოლიტიკის გატარების უნარს ამცირებს. სხვა მაგალითებში კი ნაგულისხმევია, რომ ეს ნაკლოვანება ქვეყნის ომისაკენ მიდრეკილებას აძლიერებს.

ეკონომიკურ გაჭირვებაზე ან სხვა ისეთ გაჭირვებაზე, რომლის განსაზღვრებაც იმდენად ბუნდოვანია, რომ მისთვის სახელწოდების შერჩევა არ ხერხდება. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფომ შეიძლება ამტკიცოს, რომ ვერ მიაღწია თავის „ბუნებრივ" საზღვრებს, რომ ისინი აუცილებელია მისი უსაფრთხოებისათვის და რომ კუთვნილ საზღვრებამდე სახელმწიფოს გასაფართოებლად ომის წარმოება გამართლებული და საჭიროცაა.[5] ვარიაციები ამ თემაზე ფართოდ ცნობილი გახდა „უქონელთა" არგუმენტების გაჟღერებისას, რომლებიც მეტად პოპულარული იყო ამ საუკუნეში. ეს არგუმენტები გამოიყენებოდა იმის ასახსნელად, თუ რატომ იწყებენ ომებს „გაჭირვებული" ქვეყნები და მაძღარი ქვეყნების დასარწმუნებლად, განეხორციელებინათ საჭირო ცვლილებები ღარიბთათვის ეკონომიკური დანაკლისის ასანაზღაურებლად, რათა მარადიული მშვიდობა დამყარებულიყო.[6]

აქ წარმოდგენილი მაგალითები ძალიან მრავალფეროვნად ასახავს მეორე ხედვის პირველ ნაწილს, მოსაზრებას, რომ სახელმწიფოებში არსებული ნაკლოვანებები მათ შორის ომებს იწვევს. თუმცა, შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ ომები ზოგიერთი ან ყველა სახელმწიფოს ნაკლოვანებების ბრალია, იმის დაჯერების გარეშეც, რომ ნაკლოვანებათა მოსპობა მარადიული მშვიდობისათვის საფუძველს შექმნის. მოცემულ თავში საერთაშორისო ურთიერთობების ეს ხედვა მეტწილად დადებითად გაშუქდება. ვარაუდი, რომლის განხილვაც მოხდება, იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოთა გარდაქმნის შედეგად ომები შეიძლება შემცირდეს ან სამუდამოდ აღმოიფხვრას. მაგრამ როგორ უნდა შეიცვალოს სახელმწიფოთა წყობა? „კარგი" სახელმწიფოს როგორი განსაზღვრება უნდა მივიჩნიოთ სტანდარტად? იმ ადამიანებმა, რომლებმაც საერთაშორისო ურთიერთობების მიმართ ეს მიდგომა გაიზიარეს, უამრავი სხვადასხვა სახის განსაზღვრება შემოგვთავაზეს. კარლ მარქსი „კარგის" შეფასებისას წარმოების საშუალებათა ფლობის საკითხს აქცევდა

---

[5] შეადარეთ ბერტრან რასელს, რომელიც 1917 წელს წერდა: „საერთაშორისო სისტემა კარგი ვერ იქნება, სანამ სახელმწიფოთა საზღვრები რაც შეიძლება ზუსტად არ დაემთხვევა ერების საზღვრებს." *Political Ideals*, p. 146.

[6] იხილეთ შედარებისათვის: Simonds and Emeny, *The Great Powers in World Politics. passim*; Thompson. *Danger Spots in World Population*, განსაკუთრებით წინასიტყვაობა და თავები: i, xiii.

ყურადღებას, იმანუილ კანტი - სამართლის აბსტრაქტულ პრინციპებს, ვუდრო უილსონი - ეროვნულ თვითგამორკვევასა და თანამედროვე დემოკრატიულ ორგანიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ ზემოჩამოთვლილი განსაზღვრებანი განსხვავებულ ფაქტორებს აღიარებს გადამწყვეტად, მათ აერთიანებს შეხედულება, რომ იმ შემთხვევაში, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებითად ყველა სახელმწიფო გარდაიქმნება, მსოფლიოში მშვიდობა დაისადგურებს. ესე იგი, შემოთავაზებული რეფორმა მსოფლიო მშვიდობის საკმარისი საფუძველია. ამით, რა თქმა უნდა საკითხი არ ამოიწურება. მარქსს, მაგალითად, სწამდა, რომ სახელმწიფო მალე გაქრებოდა მას შემდეგ, რაც ის სოციალიტურად გარდაიქმნებოდა. ომის პრობლემა, თუ ომს სახელმწიფოთა შორის სისხლისმღვრელ კონფლიქტად განვსაზღვრავთ, აღარ იარსებებდა.[7] კანტი დარწმუნებული იყო, რომ რესპუბლიკური წყობის მქონე სახელმწიფოები ნებაყოფლობით შეთანხმდებოდნენ, მათი ურთიერთობები მათ მიერვე შედგენილი სამართლის კოდექსით დაერეგულირებინათ.[8] უილსონი მშვიდობის სხვადასხვა აუცილებელ წინაპირობაზე საუბრობდა, მაგალითისათვის, საერთაშორისო ურთიერთგაგების გაუმჯობესებაზე, კოლექტიურ უსაფრთხოებასა და განიარაღებაზე, სახელმწიფოთა მსოფლიო კონფედერაციაზე, მაგრამ ისტორიამ დაუმტკიცა უილსონს, რომ მშვიდობის ნებისმიერი ასეთი პროგრამის ფარგლებში არადემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის მტკიცე თანამშრომლობას არ შეიძლება ველოდოთ.[9]

თითოეული ამ პიროვნებათაგანი, მისი რჩევების შესაბამისად სახელმწიფოთა გარდაქმნას მსოფლიო მშვიდობის *sine qua non*-ად* აღიქვამს. კიდევ ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. კლასიკოს ეკონომისტებს, ისევე როგორც სოციალისტებს, არისტოკრატებსა და მონარქისტებს, დემოკრატებს, ემპირიკოსებსა და რეალისტებს, ასევე, ტრანსცედენტულ იდეალისტებს შორის არაერთი მაგალითი მოიძებნება ისეთი ადამიანებისა, რომლებსაც სჯეროდათ, რომ მშვიდობის დამყარება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ შინაპოლიტიკური ორ-

---

[7] იხილეთ ქვემოთ, თავი V.

[8] იხილეთ ქვემოთ, თავი VI.

[9] იხილეთ ქვემოთ, ამ თავში.

* აუცილებელ პირობად.

განიზაციის გარკვეული ტიპი საყოველთაოდ გავრცელდება. რეკომენდაციები სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის იმ ფორმების შესახებ, რომლებიც მშვიდობას დაამკვიდრებს დაკავშირებულია ზოგიერთი სახელმწიფოს მიერ ომების გაჩაღებაში შესრულებული როლის გაანალიზებასთან. განსხვავებული ანალიზის ნიმუშები დეტალურად შეიძლება შევადაროთ. თუმცა, ჩვენი მიზანია არა იმდენად მათი შინაარსის შედარება, რამდენადაც იმ ვარაუდების დადგენა და გაკრიტიკება, რომლებიც მათ, ზოგჯერ გაუცნობიერებლადაც, საერთო აქვთ და უმთავრესად მიზეზის გაანალიზების შემდგომ სასარგებლო რეკომენდაციების შედგენისას დაებადათ. ამ მიზნით მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალების მოსაზრებებს გამოვიკვლევთ. იმის გამო, რომ მათი თეზისის მიხედვით, საშინაო პირობები განსაზღვრავს საგარეო ქცევას, პირველ რიგში, საჭიროა მათი შინაპოლიტიკური შეხედულებების განხილვა. ეს კი პოლიტიკური საქმიანობის მათ საშინაო და საგარეო სტრატეგიებს შორის გარკვეული პარალელების გავლების შესაძლებლობას მოგვცემს.

საშინაო პოლიტიკა: ლიბერალური ხედვა

ჰობსის აზრით, თვითგადარჩენა ადამიანის უპირველესი ინტერესია, მაგრამ ვინაიდან ადამიანებს შორის შეჯიბრი მტრობასა და უნდობლობას იწვევს, ხოლო ზოგიერთი ადამიანი ეგოისტი, ამპარტავანი და შურისძიების მოსურნეა, ბუნებრივ მდგომარეობაში ყველა ადამიანი საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნავს და ცდილობს ავნოს სხვას, ვიდრე თავად მას მიაყენებენ ზიანს. იმის გაცნობიერების შემდეგ, რომ ბუნებრივ მდგომარეობაში ცხოვრება შეუძლებელია, ადამიანები სახელმწიფოში ეძებენ იმ საერთო უსაფრთხოებას, რომელიც ცალ-ცალკე ვერ მოიპოვეს. სამოქალაქო მდგომარეობა შიშის მომგვრელი ბუნებრივი მდგომარეობიდან თავის დაღწევის საშუალებაა, ხოლო რადგან, ჰობსის ხედვით, საზოგადოება არ არსებობს და არის მხოლოდ, ერთი მხრივ, ურჩი ინდივიდების სიმრავლე, ხოლო, მეორე მხრივ, ხელისუფლება, სახელმწიფო ძლიერი უნდა იყოს. თავისუფლება ჰობსმა განსაზღვრა, როგორც შეზღუდვების არარსებობა, მაგრამ ადამიანებმა უნდა დათმონ თავისუფლების ნაწილი, თუ, საერთოდ, სურთ, რომ ის ჰქონდეთ და ამავე

დროს, უნდა დაიკმაყოფილონ იმპულსი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია - გადარჩენის იმპულსი.

ამ ანალიზში სამი მთავარი ცვლადია: ინდივიდი, საზოგადოება, და სახელმწიფო. პირველი ორი ცვლადი განსაზღვრავს იმ ფუნქციების მასშტაბსა და ტიპს, რომლებიც სახელმწიფომ უნდა შეასრულოს. ინდივიდუალისტურ თეორიებში სახელმწიფო დამოკიდებულ ცვლადად იქცევა. მეთვრამეტე საუკუნის მიწურულისა და მეცხრამეტე საუკუნის ინგლისში გაბატონებული ფილოსოფიური სკოლების წარმომადგენლები ისეთივე ინდივიდუალიზმს ამჟღავნებდნენ, როგორსაც ჰობსი, მაგრამ ისინი, ჩვეულებრივ, უარყოფდნენ ჰობსის შეხედულებას ადამიანის ბუნებაზე და, აგრეთვე, მის მოსაზრებას ეგოიზმით მოტივირებული ქცევის სოციალურ შედეგებზე. მათ უმრავლესობას, ერთი მხრივ, სჯეროდა, რომ ადამიანი ზოგადად კარგია, ხოლო მეორე მხრივ, რომ ადამიანის ქცევის ეგოისტური ხასიათის მიუხედავად, არსებობს ბუნებრივი ჰარმონია, რომელიც წარმოშობს არა ყველას ომს ყველას წინააღმდეგ, არამედ ისეთ სტაბილურ, მოწესრიგებულ და პროგრესულ საზოგადოებას, რომელსაც ნაკლებად ესაჭიროება ხელისუფლების ჩარევა.

სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შესახებ ორი მნიშვნელოვანი კითხვა შეიძლება დაისვას: რა განაპირობებს მის ფუნქციონირებას? და რა განაპირობებს მის დაუბრკოლებლად ფუნქციონირებას? ამ კითხვებზე მეცხრამეტე საუკუნის ინგლისელი ლიბერალი პოლიტიკური მოაზროვნეები ერთხმად პასუხობდნენ, რომ სისტემის მამოძრავებელი ძალა არის პიროვნების ინიციატივა, ხოლო მარეგულირებელი ძალა - თავისუფალი ბაზრის კონკურენცია. ის, რომ აქცენტი პიროვნების ინიციატივაზე კეთდებოდა, ზედმეტ გამოკვლევას არ საჭიროებს. ეს აშკარად ჩანს ადამ სმითთან, რომელმაც ინგლისურ ლიბერალიზმს ჩაუყარა საფუძველი და ჯონ სტიუარტ მილთან, რომელიც ლიბერალიზმის მწვერვალს წარმოადგენს. მილის დასკვნა, რომ „გაუმჯობესების ერთადერთი უშრეტი და მუდმივი წყარო თავისუფლებაა, რადგან მისი დახმარებით იმდენი დამოუკიდებელი გაუმჯობესების ცენტრი იქმნება, რამდენი ინდივიდიცაა ამქვეყნად," არის უბრალოდ სმითის მიერ უფრო ადრე გამოთქმული იმ მოსაზრების გამოძახილი, რომ „თითოეული ადამიანის უცვლელი, მუდმივი და განუწყვეტელი მცდელობა, მიმართული

საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, პრინციპი, რომლიდანაც გამომდინარეობს საზოგადოებრივი და ეროვნული, ისევე როგორც კერძო დოვლათი, ხშირ შემთხვევაში, საკმარისია იმისათვის, რომ ბუნებრივი პროგრესი არ შენელდეს, მიუხედავად ხელისუფლების უგუნურებისა და მართვაში დაშვებული უზარმაზარი შეცდომებისა."[10] ინდივიდები არა მარტო საზოგადოებრივი პროგრესის წყარო არიან, არამედ თავადაც მუდმივად განიცდიან გაუმჯობესებას. „რაც უფრო დიდხანს ცხოვრობენ ადამიანები საზოგადოებაში," - წერდა ჯერემი ბენთამი, - „მით უფრო მეტად ემორჩილებიან ისინი ზნეობრივ სანქციებს." ისინი ხდებიან „ყოველდღიურად, წინა დღესთან შედარებით, უფრო ღირსეულნი. . . . სანამ - ან თუკი საერთოდ - მათი ბუნება სრულყოფილებას არ მიაღწევს." სრულყოფილება შეიძლება მიუწვდომელი იყოს, მაგრამ სრულყოფილებისაკენ წინსვლა ისევე უწყვეტია, როგორც მდინარეთა დინება.[11] ასეთ შემთხვევაში, ინდივიდებზე დაწესებული შეზღუდვები უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ პირადი თავისუფლების უხეშად ხელყოფა, რადგანაც ამით საზოგადოებრივი სრულყოფის წყაროები ისპობა.

„თავი დაგვანებეთ," - დევიზი, რომელიც ბენთამის მიმდევართა ტრაქტატის თავფურცელზეა მოთავსებული, მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალების აზრით, სწორედ ის ფრაზაა, რომელსაც მოქალაქე მუდმივად უნდა გაჰყვიროდეს მათ გასაგონად, ვისაც მისი მართვა სურს.[12] ამავე დროს, მართალია, ადამიანები სრულყოფილების გზას ადგანან, მაგრამ ამ გზის ბოლოში ჯერ არ გასულან, ხოლო ხელისუფლება, იმის მიუხედავად, რომ მისი კანონები შემზღუდველია, მაინც არ არის ერთადერთი შეზღუდვა, რომელიც ადამიანებს ადამი-

---

[10] J. S. Mill, *On Liberty*, p. 87 (ch.iii); Smith, *The Wealth of Nations*, pp. 389-90 (Book II, ch.iii); იხილეთ შედარებისათვის: *The Theory of Moral Sentiments*, p. 218 (Part IV, ch.ii). ამ გვერდზე მოყვანილია ციტატები ნაშრომიდან: Schneider, ed., *Adam Smith's Moral and Political Philosophy*, რომელიც შეიცავს შემოკლებულ ვარიანტებს ნაშრომებისა: *The Theory of Moral Sentiments, Lectures on Justice, Police, Revenue, and Arms; An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations*.

[11] Bentham, *Deontology*, ed. Bowring, I, 100-1.

[12] Bentham, "Observations on the Restrictive and Prohibitory Commercial System," in *Works*, ed. Bowring, III, 85.

ანებისათვის დაუწესებიათ. ნუთუ არ მოითხოვს ეს გარემოებები, მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალებისა და უტილიტარისტების აზრით, მთავრობისათვის უფრო ფართო როლს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს?

ლიბერალები ესწრაფოდნენ ხელისუფლების შეზღუდვას იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომელიც ისევე, როგორც გოდვინის შემთხვევაში, კაცობრიობის ზნეობრივი თვისებებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების ოპტიმისტურ შეფასებას ემყარებოდა. უტილიტარისტები ხელისუფლების შეზღუდვას მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ მხოლოდ ეფექტიანობის კრიტერიუმის საფუძველზე. რა გზით შეეძლო მთავრობას, ხელი შეეწყო რაც შეიძლება მეტი ადამიანის ბედნიერებისათვის? ცალკეული მოქალაქე უფრო კარგად გაართმევდა თავს ამ ამოცანას თუ უმჯობესი იქნებოდა, მის მაგივრად ეს ვინმე სხვას გაეკეთებინა? იმას, რომ ბენთამი და მისი მიმდევრები უფრო ხშირად პასუხის პირველ ვარიანტს ემხრობოდნენ ძირითადად ადამ სმითის გავლენა განაპირობებდა. აქ მნიშვნელოვანია არა შრომის დანაწილების ძველი პრინციპი, არამედ ახალი მოსაზრება, რომ შესაძლებელია პროდუქციის წარმოებისა და გასაღების პროცესში დანაწილებული შრომის შედეგების კვლავ შერწყმა და თანასწორად განაწილება ხელისუფლების ზედამხედველობის გარეშე. ის ფაქტი, რომ ყოველი მეწარმე, ყოველი ვაჭარი და ყოველი ფერმერი საკუთარ სარგებელზე და არა საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ზრუნავს, წარსულში საფუძვლად დაედო დასკვნას, რომ ქაოსის თავიდან ასაცილებლად სახელისუფლებო რეგულირებაა აუცილებელი. ვინ, თუ არა მთავრობა, დაიცავს საყოველთაო ინტერესებს? სმითი პასუხობს, რომ, გარკვეულ პირობებში, ბაზრის არაპერსონიფიცირებული ძალები გააკეთებს ამას. ბაზრის მექანიზმი უზრუნველყოფს წარმოების ეფექტიანად მართვასა და პროდუქციის თანასწორად განაწილებას.

თავისუფალ საბაზრო რეგულირებაზე გადამეტებული იმედების დამყარების შედეგად, ლიბერალების შეხედულებას, რომ კარგი სახელმწიფო შეზღუდული სახელმწიფოა, ისინიც კი უჭერდნენ მხარს, ვინც არ იზიარებდა იმ დასკვნას, რომელსაც ხშირად ლიბერალებს მიაწერენ - რომ ადამიანის სრულყოფა უსასრულოდაა შესაძლებელი. „ნაკლი სასარგებლოა, თუ ის სამართლიანობის მიერ შეზღუდული და შებო-

ჭილია“ - ამ სტროფს შეიცავს ცნობილი *ფუტკრების იგავი*, რომელსაც მისმა ავტორმა, ბერნარდ მანდევილმა საინტერესო ქვესათაური შეურჩია - „კერძო ნაკლოვანებები, საზოგადოებრივი სარგებელი.“ მანდევილი ამბობს, რომ თითოეული ადამიანის სიხარბე მას, გამდიდრების მიზნით, გულმოდგინე შრომისაკენ უბიძგებს, რაც მთელი საზოგადოებისათვის არის სასარგებლო. *ადამიანის* სწორედ ამგვარ ნაკლოვანებებს შეაქვს წვლილი და გადამწყვეტი როლი აკისრია *საზოგადოების* პროგრესში.[13] ეს ჰარმონიის პრინციპის არსია, ბრმა რწმენა, სატირიზებული ვოლტერის მიერ დოქტორ პანგლოსის პიროვნებაში, რომელიც უმძიმეს გასაჭირშიც კი ამტკიცებდა, რომ ამქვეყნად ყველაფერი უკეთესობისაკენ მიემართება ამ ყველა შესაძლო საწყაროთა შორის საუკეთესოში.[14] მართალია, სიხარბე თითოეულ ადამიანს გულმოდგინე შრომისაკენ უბიძგებს, რაც მისთვისაც სასარგებლოა და საზოგადოებისთვისაც, მაგრამ სიხარბემ მას, შესაძლოა, სიცრუე ათქმევინოს და ქურდობა ჩაადენინოს, რაც მხოლოდ მისთვის თუ იქნება სასარგებლო. ამრიგად, ჩნდება ხელისუფლების აუცილებლობა. ადამ სმითის თანამედროვე, აბატი მორელე ლიბერალ ლორდ შელბურნისადმი წერილში წერდა: „რადგან თავისუფლება ბუნებრივი მდგომარეობაა, თავისუფლების შეზღუდვა კი, პირიქით, - არაბუნებრივი მდგომარეობა, თავისუფლების აღდგენის შედეგად ყველაფერი თავის ადგილს დაუბრუნდება და ყველგან მშვიდობა დამყარდება, თუ, რა თქმა უნდა, ქურდებსა და მკვლელებს კვლავაც ჩამოასრჩობენ.“[15] დამნაშავეები უნდა დაისაჯონ. ხელისუფლება იმისათვის არსებობს, რომ ადამიანებისა და მათი ქონების უსაფრთხოება მაინც უზრუნველყოს. ამ მოსაზრებას არა მხოლოდ ლიბერალები და

---

[13] Mandeville. *The Fable of the Bees*, p. 11. იხილეთ შედარებისათვის მისი წინასიტყვაობა: „მე დაგიმტკიცებთ, რომ კაცობრიობის იმ ნაკლოვანებებისაგან განკურნვა თუ მოხერხდება, რომლებიც მას ბუნებრივად ახასიათებს, ის ასეთ ძლიერ და კულტურულ საზოგადოებად ჩამოყალიბების უნარს დაკარგავს.“

[14] მილის მიერ 1868 წელს დაწერილ წერილში გამოთქმული აზრი, რომლის მიხედვითაც „რადგან ა-ს ბედნიერება სიკეთეა, ბ-ს ბედნიერებაც სიკეთეა, გ-ს ბედნიერებაც სიკეთეა და ა.შ., ყველა ამ სიკეთის ჯამიც სიკეთე უნდა იყოს,“ ჰარმონიის პრინციპის შემაჯამებელი განცხადებაა, რომელიც სხვადასხვა ფორმით ყველა უტილიტარისტის ნაშრომებში გვხვდება. *Letters*, ed. Elliot. II 116.

[15] *Lettres de l'abbé Morellet a Lord Shelburne*, p. 102.

უტილიტარისტები დაეთანხმებიან, არამედ ყველა, ვისაც საზოგადოებაში ადამიანის არსებობის პრობლემებზე ოდესმე სერიოზულად უფიქრია, თუმცა კი, საკუთრების განსაზღვრების თაობაზე მათი შეხედულებები დიდად განსხვავდება.

სამართლიანობა ხელისუფლების უპირველესი საზრუნავია, მაგრამ არის თუ არა სამართლიანობა, ვიწრო იურიდიული თვალსაზრისით, ამასთანავე, მისი ერთადერთი საზრუნავიც? ლიბერალებისა და უტილიტარისტების მრავალი გამონათქვამი შეიძლება მოვიშველიოთ იმის დასადასტურებლად, რომ ისინი სწორედ ასე ფიქრობენ. თუმცა, მათი რწმენა, რომ ხელისუფლება მკაცრად შეზღუდული უნდა იყოს, უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ გავეცნობით მათ რეაქციას იმ სოციალურ მოვლენებზე, რომლებიც მათ სავალალოდ მიაჩნიათ. ადამ სმითი, მაგალითად, შეწუხებული იყო იმ ტენდენციის გამო, რომ დამქირავებელთა კლასი საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის უპირატესობით სარგებლობს იმისათვის, რომ მონოპოლიური ზომებით საკუთარი მოგება მაქსიმალურად გაზარდოს, რის შედეგადაც მიწაზე მიბმული და მშრომელი კლასები ზარალდებიან. სმითი აღნიშნავს, რომ ერთი და იმავე ხელობის ხალხი იშვიათად ხვდება ერთმანეთს, „თუნდაც გართობის მიზნით, მაგრამ მათი საუბარი ყოველთვის ან საზოგადოების წინააღმდეგ შეთქმულებით მთავრდება ან რაიმე შეთანხმებით ფასების მომატების თაობაზე." რა უნდა მოიმოქმედოს მთავრობამ? მან არ უნდა შეუწყოს ხელი ერთი და იმავე ხელობის ადამიანების შეკრებას.[16] სმითი ისე იყო დარწმუნებული, რომ არაბუნებრივი უთანასწორობა ხელისუფლების ჩარევის შედეგია, რაც იმ ეპოქაში მნიშვნელოვანწილად მართალიც იყო, რომ მის ნებისმიერ ფუნქციას აკრიტიკებდა, გარდა ვიწრო პოლიციურისა. იგი არაპატიოსანი ვაჭრობის, ფასის მომატების მიზნით საქონლის შესყიდვისა და მონოპოლიზაციის წინააღმდეგ მიმართული კანონების გაუქმებასაც კი მიესალმებოდა, თუმცა, ასეთი კანონები თავისუფალი ბაზრის შენარჩუნებისათვის იყო აუცილებელი, რომელიც მისი იდეალური სისტემის საფუძველს შეადგენდა.[17] ამავე საკითხით

---

[16] Smith. *The Wealth of Nations*, pp. 375-7 (ch. xi, conclusion); p. 368 (ch. x. part ii).

[17] Hutt. "Pressure Groups and *Laissez-Faire*," *South African Journal of Economics*, VI (1938). 17.

რიკარდოც იყო დაინტერესებული, მაგრამ, იგი პრობლემას სხვაგვარად განსაზღვრავდა. სმითისეული დამქირავებლების ნაცვლად, რიკარდოს აზრით, მიწათმფლობელებია ის კლასი, რომლის ინტერესებიც დანარჩენი ორი კლასის ინტერესებისაგან განსხვავდება. მიწათმფლობელთა შემოსავალი მატულობს არა იმდენად მათი საქმიანობის შედეგად, რამდენადაც მოსახლეობის მხრიდან მიწაზე მოთხოვნის ზრდის გამო. ამრიგად, ისინი პარაზიტები არიან, რომლებიც შრომისა და კაპიტალის ნამატი პროდუქტით იკვებებიან. რა გამოსავალი შეიძლება არსებობდეს? მარცელეულის კანონის გაუქმება, მთავრობის ვალის შემცირება და ხალხისათვის მათლუსის ჭეშმარიტი პრინციპების გამხელა. მაგრამ დამნაშავეთა დაჭერის გარდა, ხელისუფლების ნებისმიერი საქმიანობის უაზრობასა და ზიანს ყველაზე უფრო დამაჯერებლად პუბლიცისტი ჰარიეტ მარტინო ამტკიცებს. მის ერთ-ერთ მოთხრობაში, რომელიც მიზნად ისახავდა ახალი ეკონომიკის პრინციპების იმგვარად გადმოცემას, რომ ისინი ნებისმიერი მკითხველისა თუ მსმენელისათვის ყოფილიყო გასაგები, ქირურგი, მას შემდეგ, რაც პოლიტიკური ეკონომიის ფაქტებში გაერკვევა, შეწყვეტს ამბულატორიაში საქველმოქმედო საქმიანობას, საავადმყოფოსათვის დახმარების გაწევასა და თავის შემცდარ მეგობარსაც ქველმოქმედებისათვის ყოველწლიურად 20 ფუნტის გაღებას გადააფიქრებინებს. ქალბატონი მარტინო გვიჩვენებს, რომ ასეთი ქმედებები უფრო კეთილშობილურია, ვიდრე ის რასაც, ჩვეულებრივ, ფილანტროპიას უწოდებენ, რადგანაც ისინი უფრო რაციონალური და გაბედულია. ამ მაგალითს ხელისუფლებაც მიბაძავდა, საზოგადოების მხრიდან გაკიცხვის რომ არ ეშინოდეს. მართალია, ამ მაგალითისათვის მიბაძვა რთულია, მაგრამ ასეთი მსჯელობის გაგება ადვილია. ქველმოქმედება არათუ სპობს სიღარიბეს, არამედ ზრდის მას, არა მხოლოდ უყაირათობის დაჯილდოებით, არამედ უყაირათო ხალხის მომრავლებისათვის ხელის შეწყობით. მოთხრობაში მოცემული გაკვეთილი არავისთვის გაუგებარი რომ არ დარჩეს, ქალბატონი მარტინო ბოლოს ასკვნის:

მომხმარებელთა რაოდენობა საარსებო სახსრების პროპორციული უნდა იყოს. ამ მიზნით, საჭიროა შეწყდეს მოსახლეობის ზრდის ყოველგვარი წახალისება და დაწესდეს პრევენტიული კონტროლი ანუ ქველმოქმედება

გონების განათლებას უნდა ემსახურებოდეს და არა ფიზიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.[18]

ეს იყო კარგი მალთუსიანელობა, მაგრამ არა კარგი პოლიტიკა. ამის მიუხედავად, 1830-იანი წლების ფილოსოფოსი რადიკალები ამგვარი პრინციპების საფუძველზე პოლიტიკური პროგრამის შექმნას ცდილობდნენ. თუ ჩარტისტები ისეთი რეფორმების გატარებას მოითხოვდნენ, რომლებიც დაუყოვნებლივ გამოიღებდა შესამჩნევ შედეგებს - საყოველთაო საარჩევნო უფლებას, ფაბრიკების შესახებ კანონმდებლობის მიღებას, უფრო ლიბერალურ კანონს ღარიბთათვის - რადიკალების წარმომადგენელი ჯონ სტიუარტ მილი მხარს უჭერდა საარჩევნო უფლების მინიჭებას საშუალო და ზედა კლასებისათვის, დასცინოდა შემოთავაზებულ კანონს რვასაათიანი სამუშაო დღის შესახებ და ამტკიცებდა, რომ დაბალი ხელფასები და უმუშევრობა კონკურენციის რეგულირების არარსებობით კი არ იყო გამოწვეული, არამედ ღარიბი კლასების მიერ მალთუსის მოძღვრების უგულებელყოფით. რადიკალთა პროგრამა ძირითადად უარყოფითი ხასიათის იყო - პირველადი მოხმარების საგნებზე გადასახადების მოხსნა, ჯარში გაწკეპლვის აკრძალვა, მარცვლეულის კანონების გაუქმება - მაგრამ დადებითი ხასიათის ერთ პოლიტიკურ ნაბიჯს, საერთოეროვნული განათლების სისტემის შექმნას ითვალისწინებდა.[19] როგორც უარყოფითი, ისე დადებითი ასპექტები ზუსტად ასახავს იმ ორ პრინციპს, რომლებიც ზემოთ უტილიტარისტული ლიბერალიზმის საფუძვლად განვსაზღვრეთ. სახელმწიფოს საქმიანობის აკრძალვის მცდელობა ინტერესთა ბუნებრივი ჰარმონიის გამარჯვებისათვის გზის გახსნისაკენ იყო მიმართული.

მაგრამ საკმარისია კი სახელმწიფოსათვის მინიჭებული ფუნქციები თავისუფალი ეკონომიკისა და ლიბერალური საზოგადოებისათვის აუცილებელი პირობების შესანარჩუნებლად? საჭირო პირობების ჩამონათვალს ხშირად ვხვდებით:თავისუფალი კონკურენცია დაახლოებით თანასწორ ერთეულებს შორის, ინდივიდების ზნეობრივი პასუხისმგებლობა და გონებრივი სიფხიზლე. ვიდრე კონკურენტი ერთეულები დაახლოებით

---

[18] იხილეთ: Martineau, *Cousin Marshall*, ch. viii და პრინციპების შეჯამება მის ნაშრომში: *Illustrations of Political economy*, Vol. III.

[19] Stephen, *The English Utilitarians*, Vol. III, ch. I. sec. iii.

თანასწორნი დარჩებიან, მათი წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ ვინ უფრო ეფექტიანად შეძლებს მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას. მალე გამოაშკარავდა, რომ სმითი, რომელიც ამტკიცებდა, რომ არაბუნებრივი უთანასწორობის ძირითადი მიზეზი ხელისუფლების ჩარევაა, სულ მცირე ზედმეტად ისტორიულ განზოგადებაში სცოდავდა. თუ ხელისუფლების ჩარევის არარსებობის პირობებში ზოგიერთი ერთეული სხვების გაძლიერებას აფერხებს, ხომ არ გარდაიქმნება სამართლიანი ანუ ეკონომიკური კონკურენცია უსამართლო ანუ ძალისმიერ კონკურენციად? მათთვის, ვინც ზოგიერთი ლიბერალის მსგავსად აღიარა, რომ საკუთრება პოტენციური ძალაუფლებაა, გასაგები გახდა, რომ ეკონომიკური უთანასწორობა ზოგიერთ ადამიანს სხვებთან შედარებით მეტ ძალაუფლებას ანიჭებს.[20] ამდენად, ამა თუ იმ სფეროში, შესაძლოა, ის მეწარმე კი არ გადარჩეს, რომელიც სხვებზე მეტად ეფექტიანია, არამედ ის, რომელსაც საკმარისი რესურსები აქვს კონკურენტების გასაკოტრებლად. ჯონ სტიუარტ მილი სწორედ ერთმა ასეთმა გარემოებამ დააფიქრა. იგი 10 ფუნტით შეეწია ერთ-ერთ კოოპერატიულ მანუფაქტურას, რომელიც, მისი თქმით, „დარგში გაბატონებულთა მხრიდან უსამართლო კონკურენციას" ებრძოდა. როგორც ჩანს, გაბატონებულ მწარმოებლებს საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე შეეძლოთ ზარალის ატანა, რათა ახალი კონკურენტები ბაზრიდან გაეძევებინათ. მილი მიიჩნევდა, რომ ამისათვის სამართლიანად შეიძლება „კაპიტალის ტირანია" ეწოდებინა.[21] მართალია, მილს კვლავაც ერჩივნა, პრობლემები კერძო პირებს მოეგვარებინათ, მაგრამ იგი აღიარებდა, რომ მათი ქმედებები ყოველთვის საკმარისი არ იყო. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა მიწის პრობლემაზე მის შეხედულებებში. რიკარდოს უარყოფითი ხასიათის რეკომენდაციების საპირისპიროდ, მილი მიწის ფასის დაუმსახურებელი ზრდის გადასახადებით ნეიტრალიზაციას მოითხოვდა და იმის შესაძლებლობასაც კი განიხილავდა, რომ სახელმწიფო ერთადერთი მიწათმფლობელი გამხდარიყო.[22]

---

[20] მაგალითად, Godwin, *Political Justice*, I, 19; II, 465; J. S. Mill, *Letters*, ed. Elliot, II, 21.

[21] J. S. Mill, *Letters*, ed. Elliot, II, 21.

[22] J. S. Mill, "The Right of Property in Land," in *Dissertations and Discussions*, V, 279-94; *Political Economy*, ed. Ashley, Book II, ch. ii, secs. 5, 6.

ჯონ სტიუარტ მილის ნაშრომებში უტილიტარისტული ლიბერალიზმი სახელმწიფოს ყოველგვარი მოქმედების აკრძალვიდან იმის განსაზღვრაზე გადაერთო, თუ რა სახის მოქმედებაა სასურველი სახელმწიფოს მხრიდან. სახელმწიფოს ჩარევა კი უფრო სასურველი გახდა, როდესაც დადგინდა, რომ კონტროლისაგან თავისუფალი საზოგადოება ავტომატურად არ ქმნის და არ ინარჩუნებს ისეთ პირობებს, რომლებიც თავისუფალი საბაზრო რეგულირების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების წინაპირობებად არის აღიარებული. მილის კომენტარები ორ ზემოხსენებულ პოლიტიკურ საკითხზე ცხადყოფს, რომ მას ეს ესმოდა. ამასთანავე, იგი იმასაც აცნობიერებდა, რომ ამგვარი კონკრეტული პრობლემები თეორიული პრობლემის შედეგია, რაზეც მეტყველებს მისი წერილი კარლაილისადმი, რომელშიც ნათქვამია, რომ laissez faire-ის უარყოფითი პრინციპი, მას შემდეგ, რაც თავის აუცილებელ დამანგრეველ ფუნქციას შეასრულებს, „მალე უნდა ამოიწუროს."[23] რამ უნდა შეცვალოს ის? მილი ცდილობდა, პოლიტიკური რეკომენდაციები ქმედებათა ორ ტიპს შორის განსხვავებაზე დაეფუძნებინა, სადაც იგულისხმებოდა ქმედებები, რომლებიც მხოლოდ მოქმედ პირზე ახდენს გავლენას და ქმედებები, რომლებიც სხვა ადამიანებზეც ზემოქმედებს.[24] მაგრამ არსებობს კი ინდივიდის ისეთი ქმედება, რომელიც სხვებზე გავლენას არ ახდენს? შემოთავაზებული კრიტერიუმი არ კმარა ხელისუფლების ქმედებათა ლეგიტიმურობის შესაფასებლად. ამის კარგი მაგალითია ის ფაქტი, რომ ეს კრიტერიუმი შესაძლებლობას აძლევდა მილს, მხარი დაეჭირა წინადადებისათვის, რომლის მისედვითაც ქორწინების წინ ოჯახის შენახვის უნარის დადასტურებაა აუცილებელი, რაც პირადი სფეროს იმგვარი შელახვაა, რომ მილზე უფრო ნაკლებად ლიბერალ ადამიანსაც კი დააფრთხობს.[25] სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ მილის მიერ პოლიტიკის შესამოწმებლად შემოთავაზებული სტანდარტი პიროვნების თავისუფლებაზე ზრუნვიდან გამომდინარეობს, ეს კი ლიბერალური საზოგადოების წყვილი ბურჯიდან მხოლოდ ერთ-

---

[23] J. S. Mill. *Letters*, ed. Elliot, II, 157.

[24] J. S. Mill. *On Liberty*, p. 115 (ch. v).

[25] J. S. Mill. *Letters*, ed. Elliot. II, 48; *Political Economy*, ed. Ashley. Book II, ch. xi, par. 4.

ერთია. სინამდვილეში, მილის ინტერესი უფრო მეორისაკენ გადაიხარა. ყოველწლიურად მას სულ უფრო მეტად ადარდებდა თავისუფალი ბაზრის მარეგულირებელი სისტემის მიერ წარმოების პროცესის მონაწილეთა შორის მოგების უსამართლოდ განაწილება. laissez faire-ის პოლიტიკამ წარმოების ზრდას შეიძლება შეუწყოს ხელი, მაგრამ ანაწილებს კი ის სამართლიანად შრომის ნაყოფს? მილის აზრით, არა. ჯეიმს მილი მიიჩნევდა, რომ საკუთრების კანონის დაცვა გარანტია იქნებოდა თითოეული ადამიანისათვის, საკუთარი შრომის პროდუქტის მაქსიმალური რაოდენობა მიეღო. მისი შვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ცალკეული პირის ანაზღაურება უფრო ხშირად მისი შრომისა და ხელმომჭირნეობის „თითქმის უკუპროპორციულია."[26]

ლიბერალები და უტილიტარისტები laissez faire-ის პრინციპზე დამყარებული საზოგადოების სამართლიანი და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელ პირობებს აღწერდნენ. ლიბერალების ლოგიკა გულისხმობდა, რომ ამ პირობების შექმნასა და შენარჩუნებას ხელისუფლების მოქმედება შეიძლება დასჭირდეს. თუ ლიბერალებმა და უტილიტარისტებმა სწორად განსაზღვრეს აუცილებელი პირობები, მაშინ მათი შექმნისა და შენარჩუნებისთვის laissez faire-ის პოლიტიკის ქადაგებაზე გაცილებით მეტია საჭირო. ხელისუფლების ისეთი ჩარევა შეიძლება გახდეს აუცილებელი, როგორიც თავდაპირველად გათვალისწინებული არ იყო - მაგალითად, უკიდურესი ეკონომიკური უთანასწორობის წარმოქმნის აღსაკვეთად. მთავრობების მიერ გამოცემული კანონები პიროვნების თავისუფლების ერთადერთ შემზღუდველ ფაქტორს არ წარმოადგენს. საკუთრებამ, თუ ის ძალაუფლებად გადაიქცევა, შესაძლოა, განაპირობოს რეგულირების აუცილებლობა *თავისუფალი და ეფექტიანი კონკურენციის ინტერესებიდან გამომდინარე!* ამ იდეას, ნაწილობრივ, ადამ სმითიც იზიარებდა, როდესაც წერდა, რომ „სიმდიდრის, პატივისა და წინსვლისათვის შეჯიბრში [თითოეულ ადამიანს] უფლება აქვს ირბინოს ისე სწრაფად, როგორც შეუძლია, ყოველი ნერვისა თუ კუნთის დაძაბვით, რათა თავის ყველა მეტოქეს აჯობოს, მაგრამ თუ იგი რომელიმე მათგანს ხელს ჰკრავს ან წააქცევს, მაყურებლები ამას

---

[26] James Mill, "Covernment" in Essays, No. I, pp. 4-5: J. S. Mill, *Socialism*, ed. Bliss. p. 73.

ვერ მოითმენენ. ეს სამართლიანი თამაშის წესების დარღვევაა, რასაც ისინი ვერ დაუშვებენ."[27] ეს აზრი გამოსჭვივის ჯონ სტიუარტ მილის გვიანდელი წლების თვითგამოცხადებული სოციალიზმიდან, რომელიც ნაყოფიერი და სამართლიანი კონკურენციისთვის აუცილებელი და, მისი აზრით, იმდროინდელ ინგლისში არარსებული პირობების ძიებას ცდილობდა.[28] ეს აზრი პირველი მსოფლიო ომის დროს აშკარად აღიარა თომას ნიქსონ კარვერმა, როდესაც განაცხადა, რომ „სასელმწიფო რამდენიმე სწორ ნაბიჯს თუ გადადგამს, მაშინ მას აღარ მოუწევს იმ ათას ერთი არასწორი და არაეფექტიანი რამის გაკეთება, რასაც ახლა მოითხოვენ."[29] ყველაზე უკანასკნელ და ერთ-ერთ ყველაზე პირდაპირ ასახვას ეს მოსაზრება ორი ამერიკელი ეკონომისტის ნაშრომში პოვებ'ს, რომელიც სამთავრობო სამსახურში მათ მიერ განცდილი იმედგაცრუების პერიოდებზე მოგვითხრობს. კონკურენცია, - წერენ ისინი - „არის სოციალური ინსტიტუტი, რომელსაც საზოგადოება საყოველთაო კეთილ-დღეობისათვის ქმნის და ინარჩუნებს."[30] მათი წიგნის ხასიათიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ნაცვლად სიტყვისა *არის* აქ საჭიროა წავიკითხოთ *უნდა იყოს*. შეზღუდული ხელისუფლება იმ მოძღვრების იდეალია, რომელსაც ვილჰელმ როეპკე „ლიბერალურ რევიზიონიზმს" უწოდებს, მაგრამ, როგორც იგი აღნიშნავს, ხელისუფლება, შეზღუ-დულობის მიუხედავად, საკუთარ სფეროში მაინც ძლიერი უნდა იყოს. ბაზრის ფუნქციონირებაში ჩაურევლობასთან ერთად, მას მართებს, არ დაუშვას ქონებრივი უთანასწორობა, რომელიც შეიძლება ბაზარზე გაბატონდეს ან ის დაამახინჯოს.[31]

ლიბერალების მოთხოვნებს ეკონომიკის, დეცენტრალიზაციისა და სახელისუფლებო რეგულირებისაგან გათავისუფლების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ ჭეშმარიტებას შეესაბამება მათი ვარაუდი, რომ საზოგადოება თვითრეგულირებადია. ვინაიდან თვითრე-

---

[27] Smith, *The Theory of Moral Sentiments*, p. 121 (part II, Sec. II, ch. ii).

[28] ამრიგად, მას იზიდავდა ოუენი, ფურიე და ბლანი, მაგრამ არა მარქსი.

[29] Carver, *Essays in Social Justice*, p. 349.

[30] Adams and Grey, *Monopoly in America*, p. 117.

[31] Röpke, *The Social Crisis of Our Time*, tr. A. and P. Jacobsohn, pp. 192-93. მისი დადებითი პრინციპების ერთ-ერთი საუკეთესო შეჯამება მოცემულია მის ნაშრომში *Civitas Humana*, tr. Fox, pp. 27-32.

გულირებადი საზოგადოება აუცილებელი საშუალებაა, ის, ფაქტობრივად, ლიბერალების იდეალური მიზნის შემადგენელი ნაწილი ხდება. თუ laissez faire-ის პოლიტიკა მხოლოდ აუცილებელად მიჩნეული პირობების არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი, მაშინ laissez faire-ის იდეალის განხორციელება სახელმწიფოს მხრიდან მოქმედებას შეიძლება მოითხოვდეს.

საერთაშორისო ურთიერთობები: ლიბერალური ხედვა

ტრაიჩკე აცხადებდა, რომ სახელმწიფოს ძირითადი მოვალეობა „ორმაგია: ძლიერების უზრუნველყოფა ქვეყნის გარეთ და კანონის დაცვა ქვეყნის შიგნით.“ მისი აზრით, სახელმწიფოს უპირველესი ვალდებულება „უნდა იყოს არმიასა და იურისპრუდენციაზე ზრუნვა საკუთარ მოქალაქეთა ერთობის დასაცავად და გასაკონტროლებლად.“[32] ადამ სმითიც იგივეს ამბობდა. საგარეო ასპარეზზე სახელმწიფოს საზრუნავია თავდაცვა, საშინაო ასპარეზზე კი - სამართლიანობა მართალია, ლიბერალი სმითი და არალიბერალი ტრაიჩკე ერთნაირად განსაზღვრავენ სახელმწიფოს მოვალეობებს, მაგრამ არ თანხმდებიან იმაზე, თუ რა ქმედებებია საჭირო მათ განსახორციელებლად. ჰობსისაგან განსხვავებით, ლიბერალებს საშინაო წესრიგის პრობლემა ადამიანისა და საზოგადოების შესახებ მათი ოპტიმისტური ვარაუდების წყალობით შეუმსუბუქდათ. ტრაიჩკესაგან განსხვავებით კი, საგარეო უსაფრთხოების პრობლემა მათ სახელმწიფოთა და საერთაშორისო საზოგადოების თვისებათა შესახებ ოპტიმისტური ვარაუდების მეშვეობით გაუადვილდათ. საშინაო საქმეებში სახელმწიფომ მხოლოდ მინიმალური ფუნქციები უნდა შეასრულოს. საერთაშორისო საქმეებში უმაღლესი პოლიტიკური ხელისუფლების არარსებობა მხოლოდ მინიმალურ პრობლემებს გამოიწვევს. თუმცა, წამოჭრილი პრობლემები მაინც მნიშვნელოვანი იქნება. ჰობსის მსგავსად, ლიბერალები იზიარებენ იმ თვალსაზრისს, რომ სახელმწიფო აუცილებელ ფუნქციებს უნდა ასრულებდეს, ხოლო ტრაიჩკეს მსგავსად, ომს სახელმწიფოთა შორის დავების მოგვარების

---

[32] Treitschke. *Politics*, tr. Dugdale and de Bille, I, 63.

უკანასკნელ საშუალებად მიიჩნევენ. საერთაშორისო ურთიერთობებში ომი იმავე როლს ასრულებს, რასაც სახელმწიფო საშინაო პოლიტიკაში. მაგალითისათვის, სმითი, ერთი უმნიშვნელო შემთხვევის გამოკლებით, აღიარებს, „რომ ნებისმიერი რამ, რაც სასამართლო გასაჩივრებას ექვემდებარება, ომის მიზეზი შეიძლება გახდეს."[33] ბენთამი აღიარებს იმის აუცილებლობას, რომ სახელმწიფოებმა ხანდახან, სამართლიანობის აღდგენის მიზნით, ომი უნდა აწარმოონ ისევე, როგორც ადამიანებს უხდებათ ზოგჯერ სასამართლოში ჩივილი.[34] სპენსერი უფრო მარტივ ანალოგიას გვთავაზობს: „პოლიციელები არიან ჯარისკაცები, რომლებიც მარტო მოქმედებენ; ჯარისკაცები კი არიან პოლიციელები, რომლებიც კოლექტიურად მოქმედებენ."[35] სერ ედვარდ გრეი ლიბერალი საგარეო საქმეთა მინისტრის ომისდროინდელ გამოცდილებას გამოხატავს და თავის მემუარებში წერს, რომ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში, ისევე, როგორც სახელმწიფოებში, კანონს ყოველთვის ძალა უნდა უმაგრებდეს ზურგს.[36]

ლიბერალები აღიარებენ სახელმწიფოს აუცილებლობას, ხოლო შემდეგ გარკვეულ ჩარჩოებში აქცევენ მას. ისინი აღიარებენ ომის როლს, შემდგომ კი, ასეთივე ანალიზის საფუძველზე, ის მინიმუმამდე დაჰყავთ. თუ სახელმწიფოს შესახებ ლიბერალთა შეხედულების გასაგებად საჭირო იყო ადამიანსა და საზოგადოებაზე მათი წარმოდგენების ანალიზი, საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ ლიბერალთა შეხედულების გასარკვევად სახელმწიფოსა და სახელმწიფოთა ერთობაზე მათი წარმოდგენების ანალიზია აუცილებელი.

ადრეული პერიოდის ლიბერალები და უტილიტარისტები საზოგადოებაში ინტერესების ობიექტური ჰარმონიის არსებობას ვარაუდობდნენ.

---

[33] Smith, *Lectures on Justice, Police, Revenue, and Arms*, p. 330 (Part V, sec. I). უნდა აღინიშნოს, რომ სმითის კომენტარები საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მთლიანობაში უფრო გონიერულია, ვიდრე იმავე პერიოდის ლიბერალების უმეტესი ნაწილისა. მისი რჩეული ნაშრომები იხილეთ წიგნში: Wolfers and Martin, eds., *The Anglo American Tradition in Foreign Affairs*, რომელიც ნაშრომთა ჩინებული კრებულია და ამ თავში განხილულ ბევრ ავტორს მოიცავს.

[34] Bentham, "Principles of International Law," in *Works*, ed. Bowring, II, 538-39, 544.

[35] Spencer, *Social Statics*, p. 118.

[36] Grey, *Twenty-Five Years*, II, 286.

ეს მოსაზრება საერთაშორისო ურთიერთობებზეც ვრცელდება. „მე მჯერა," - წერდა ჯონ სტიუარტ მილი, - „რომ ყოველი სახელმწიფოს კეთილდღეობა მხოლოდ იმ საშუალებებით შეიძლება იქნეს მიღწეული, რომლებიც სხვა სახელმწიფოთა კეთილდღეობასაც უზრუნველყოფს, სხვა საშუალებები არც უნდა გამოვცადოთ, მათი დახმარებით კეთილდღეობის მიღწევა რომც შეიძლებოდეს."[37] ეს იმდენად კარგად ასახავს ლიბერალთა არგუმენტების არსს, ხსენებული არგუმენტები კი იმდენად ხშირად გამოთქმულა და შეჯამებულა, რომ ამჟამად მხოლოდ ორი რამ არის საჭირო - ლიბერალიზმთან ასოცირებული იდეების განმეორებადობაზე მინიშნება და იმ ასპექტების ხაზგასმა, რომლებიც მოგვიანებით მნიშვნელოვანი იქნება ანალიზისათვის.

მეჩვიდმეტე საუკუნეში ლა ბრიუიერი შემდეგ კითხვას სვამდა: „რას არგებს ხალხსა და მათ ბედნიერებას თუ მათი მმართველი საკუთარ იმპერიას გააფართოებს და თავისი მტრების მიწებს შემოიერთებს, . . . რას მაძლევს მე და ჩემს თანამემამულეებს ის, რომ ჩემი სუვერენი წარმატებული და დიდებით მოცულია, რომ ჩემი ქვეყანა ძლიერია და მისი ეწინიათ, თუ მე, მწუხარე და შეშფოთებული, ჩაგვრასა და სიღარიბეში ვცხოვრობ?" ომი სამეფო დინასტიათა წარმავალ ინტერესებს შეიძლება შეესაბამებოდეს, ყველა ხალხის მუდმივ ინტერესებს კი მშვიდობა განამტკიცებს. ადამიანთა უმრავლესობა იმის გამო იტანჯება, რომ ზოგიერთი ადამიანი ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომელშიც თავისი მეფური ამბიციების სხვებისათვის თავს მოხვევა ძალუძს. სამი საუკუნის შემდეგ ჯეიმს შოტველი წერდა: „საერთაშორისო მშვიდობის პოლიტიკური დოქტრინა ადამ სმითის ეკონომიკური დოქტრინის ანალოგიურია, რადგანაც ის აგრეთვე ემყარება საერთო და ორმხრივი მატერიალური ინტერესების აღიარებას, რომლებიც სახელმწიფოთა საზღვრებს სცდება."[38] რეალურ ინტერესებს სრულად

---

[37] J. S. Mill, *Letters*, ed. Elliot, II, 47; იხილეთ შედარებისათვის: "A Few Words on Non-Intervention," in *Dissertations and Discussions*, III, 249: „შეუძლია თუ არა ერს, პრაქტიკულ პრინციპად აღიაროს ის, რომ რაც კარგია კაცობრიობისთვის, ცუდია ამ ერისათვის და შესაბამისად იმოქმედოს? ნუთუ ეს იმის აღიარება არ არის, რომ ამ ერის ინტერესები კაცობრიობის ინტერესებთან შეუთავსებელია?"

[38] La Bruyère, "Du souverain ou de la republique," in *Oeuvres complètes*, ed. Benda,

ამოქმედების საშუალება თუ მიეცემა, სახელმწიფო საზღვრები დაბრკოლებები აღარ იქნება. თანამშრომლობით ან კონსტრუქციული კონკურენციით ყველა ხალხის ინტერესების ერთდროულად უზრუნველყოფა შეიძლება. მაღაზიასა ან ქალაქში ყველა ადამიანის კეთილდღეობას შრომის დანაწილება ზრდის. იგივე უნდა ხდებოდეს ეროვნული და გლობალური მასშტაბით.[39] ვერავითარი ხარისხობრივი ცვლილებები მასშტაბის ზრდასთან ერთად ამ პრინციპის ჭეშმარიტებას ვერ შეარყევს. ლიბერალების არგუმენტი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელიც ადგილისა და დროის პირობების გათვალისწინებით აქტუალური იყო, მარტივად ჟღერდა: იღებს თუ არა მიჩიგანი და ფლორიდა მოგებას იმის შედეგად, რომ თავისუფალი ვაჭრობის პირობებში პირველის ავტომობილები მეორის ფორთოხალზე იცვლება? ან იქნებოდა თუ არა მიჩიგანი უფრო მდიდარი, სათბურებში საკუთარ ფორთოხალს რომ აშენებდეს „უცხოური" შრომის პროდუქტის იმპორტის ნაცვლად? პასუხი ცხადია. ხოლო ვინაიდან პრინციპი გასაგებია, სავარაუდოდ, იქ, სადაც წარმოების ბუნებრივ პირობებს შორის განსხვავება ნაკლებად თვალსაჩინოა, ვაჭრობიდან მიღებული სარგებელი უფრო მცირეა, მაგრამ მაინც რეალურად არსებობს. ვაჭრობის შედეგად თითოეული მონაწილე მხარე იგებს, განურჩევლად იმისა, მხარეებად ინდივიდები გვევლინებიან თუ კორპორაციები, რაიონები თუ სახელმწიფოები. სხვა შემთხვევაში ვაჭრობას ადგილი არ ექნებოდა.

იყო დრო, როდესაც უფრო ნაკლებად განსწავლულ პუბლიცისტებსაც კარგად ესმოდათ არა მარტო თავისუფალი ვაჭრობის ამ კლასიკური არგუმენტის ასეთი გამარტივებული ვერსია, არამედ მისი ნაკლებად თვალსაჩინო დასკვნების უმრავლესობაც. ეს არგუმენტი გულისხმობს არა მხოლოდ იმას, რომ თავისუფალი ვაჭრობა მართებული პოლიტიკაა, არამედ იმასაც, რომ სახელმწიფოს ტერიტორიის გაფართოება მეზობლების დაპყრობისა თუ კოლონიების შეძენის გზით სისულელეა. დაპყრობისა და შენარჩუნების ხარჯები სავაჭრო უპირატესობებით

---

pp. 302-3; Shotwell. *War as an Instrument of National Policy,* p. 30.

[39] იხილეთ შედარებისათვის: Cobden. *Speeches.* ed. Bright and Rogers. II. 161: „საზოგადოებათა ურთიერთქმედება სხვა არაფერია, თუ არა უამრავი ინდივიდის ურთიერთქმედება."

ვერ ანაზღაურდება, ვინაიდან თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკა ამავე უპირატესობებს ყოველგვარი ხარჯების გარეშე იძლევა.[40] ყველაზე ზოგადი ფორმით, ლიბერალების არგუმენტი საღი აზრის მარტივი გამოხატულებაა. საბოლოო ჯამში, ისინი ამბობენ, რომ მსოფლიოში მცხოვრები ხალხის კეთილდღეობა მხოლოდ იმდენად შეიძლება გაიზარდოს, რამდენადაც წარმოება. ეს უკანასკნელი კი მშვიდობის დროს ჰყვავის და თანასწორად გადანაწილდება, თუ ყველა ერის წარმომადგენლებს ექნებათ საშუალება, საკუთარი ინტერესების განხორციელება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში სცადონ. ომი განადგურებაა და ამიტომაც, ომით გამდიდრება მხოლოდ ილუზიაა.[41] ომის შედეგად გამარჯვებული ვერაფერს იგებს. მან მხოლოდ იმით შეიძლება იამაყოს, რომ ნაკლები დაკარგა, ვიდრე დამარცხებულმა. ამგვარი მსჯელობა საფუძვლად უდევს ტრადიციულ ნოსაზრებას ომის არამომგებიანობის შესახებ, რომელიც პირველად ემერიკ კრიუსემ გამოთქვა მეჩვიდმეტე საუკუნეში, ბენთამმა და მილმა უფრო დეტალურად განავითარეს, უილიამ გრეჰემ სამნერმა ამერიკის მიერ ესპანეთის წინააღმდეგ წარმოებული ომის დასაგმობად გამოიყენა, ხოლო აპოგეამდე ნორმან ენჯელმა აიყვანა, რომელმაც უფრო ადრე მოღვაწე, ძირითადად ინგლისელი და ფრანგი ლიბერალი ეკონომისტების ნაშრომები შეაჯამა.

ლიბერალებმა (ყოველ შემთხვევაში, მათ ასე სჯერათ) სახელმწიფოთა შორის ინტერესთა ობიექტური ჰარმონიის არსებობა ცხადყვეს. მათი რაციონალური დებულებები - რომ ომი წამგებიანია, რომ მშვიდობა ყველას რეალურ ინტერესში შედის - სახელმწიფოთა ირაციონალურ პრაქტიკულ მოღვაწეობას ეწინააღმდეგება. პრობლემა ის არის, თუ როგორ უნდა დაძლიოს რაციონალურობამ ირაციონალურობა. მაგრამ

---

[40] Bentham, "Emancipate Your Colonies," in *Works*, ed. Bowring, IV, 407-18. 1793 წლის ამ მიმართვაში საფრანგეთის ეროვნული კონვენტისადმი ლიბერალი მეცნიერებისა და პუბლიცისტების ძირითადი არგუმენტებია მოცემული.

[41] მაგალითისათვის იხილეთ: Bright, *Speeches*, ed. Rogers, p. 469: „ნუთუ ყველა სახელმწიფო მოღვაწემ არ იცის, რაც იცით თქვენ [ჩემმა ამომრჩევლებმა], რომ ერის წარმატებული სამრეწველო საქმიანობა მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობის დროს არის შესაძლებელი და რომ მხოლოდ წარმატებული მრეწველობა წარმოშობს სიმდიდრეს, რომელიც . . . ასე უწყობს ხელს ერის სიმშვიდეს, ბედნიერებასა და კმაყოფილებას?"

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა აიხსნას, თუ რატომ ხდება ომი, რომელიც ყველა სახელმწიფოსათვის ირაციონალური ქმედებაა, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში. რატომ იწყებენ მთავრობები ომს? იმიტომ, რომ ომი მათ აძლევს გასამართლებელ საბუთს, გაზარდონ გადასახადები, გააფართოვონ ბიუროკრატია, განამტიკონ კონტროლი მოქალაქეებზე. ლიბერალები ამგვარ ბრალდებებს გამუდმებით გამოთქვამენ. ომის ერთი შეხედვით აშკარა მიზეზების უმეტესობა ტრივიალურია, მაგრამ ეს ერთი შეხედვით აშკარა მიზეზები მხოლოდ საბაბია ერების ისეთ ომებში ჩასათრევად, რომლებიც მათი მმართველების ეგოისტური მისწრაფებებითაა გამოწვეული. ეს თეზისი მოიშველია ბრაითმა, როდესაც 1858 წელს ბირმინგემში თავის ამომრჩევლებს მიმართა. მან თქვა, რომ ერთ დროს ინგლისის პოლიტიკა „ევროპული პრობლემებისაგან განზე დგომა" იყო. სახელოვანი რევოლუციის შემდეგ კი, რომელმაც ტახტზე კონტინენტის დიდი ტერიტორიული დინასტიები აიყვანა და მეფის ძალაუფლება შეზღუდა, ახალი პოლიტიკა დამკვიდრდა: „ჩვენს მოქმედებებს საფუძვლად დაედო სისტემა, რომელიც უცხო ქვეყნების საქმეებში მუდმივად ჩარევას გულისხმობს." იყო ომები „ევროპის თავისუფლების გადასარჩენად." იყო ომები „პროტესტანტთა ინტერესების დასაცავად" იყო, აგრეთვე, ბევრი ომი ჩვენთვის ძველთაგან სასურველი „ძალთა ბალანსის" შესანარჩუნებლად. ამ დროიდან მოყოლებული, ინგლისი ომობდა „ევროპის ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფოს მხარდამხარ, მისი გულისთვის ან მის წინააღმდეგ." და რა მოიგო მან ამით? შეუძლია ვინმეს, თქვას, - კითხულობს ბრაითი, - რომ ყველა ამ ომის შედეგად ევროპა დღეს უკეთესად ცხოვრობს? ნათელია, თუ რას გულისხმობს იგი. ამ ომებით ინგლისელმა ერმა იზარალა. დაზარალდა ევროპაც. მხოლოდ „დიდმა კონტინენტურმა დინასტიებმა" თუ ნახეს სარგებელი.[42]

მართალია, მშვიდობა ხალხის ინტერესებშია, მაგრამ მათი მმართველები მაინც ომობენ. ისინი ამას, გარკვეულწილად, იმიტომ ახერხებენ, რომ ხალხს თავის ჭეშმარიტი ინტერესები ნათლად გაცნობიერებული არ აქვს, აგრეთვე იმიტომ (რაც უფრო მეტად მნიშვნელოვანია), რომ გაცნობიერების შემთხვევაშიც კი, ეს ჭეშმარიტი ინტერესები ხელი-

[42] *Ibid.* pp. 468-69.

სუფლების პოლიტიკაში არ აისახება. 1791 წელს თომას პეინი, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პუბლიცისტი, საფრანგეთის რევოლუციის მიღწევებს ასე აღწერდა: „მონარქიული სუვერენიტეტი, კაცობრიობის მტერი და უბედურების წყარო, გაუქმებულია, ხოლო თავად სუვერენიტეტი საკუთარ ბუნებრივ და თავდაპირველ ადგილს დაუბრუნდა, ანუ ერს." მომდევნო წინადადებაში პეინი ხაზს უსვამს ამ ფაქტის გავლენას საერთაშორისო ურთიერთობებზე. „ეს რომ მთელს ევროპაში მომხდარიყო," - ამტკიცებს იგი, - „ომის მიზეზი გაქრებოდა." დემოკრატია სახელმწიფოს ყველაზე უფრო მშვიდობიანი ფორმაა. ხალხის მიერ პოლიტიკის გაკონტროლება მშვიდობის ტოლფასია.[43]

რწმენა, რომ დემოკრატია არსებითად მშვიდობიანი წყობაა, ორ ძირითად მოსაზრებას ემყარება. პირველი შეიმუშავა კანტმა, რომელიც, ისევე როგორც კონგრესმენი ლუის ლ. ლუდლოუ 1930-იან წლებში, მიიჩნევდა, რომ მომავალში რიგით ჯარისკაცს უნდა გადაეწყვიტა, დაეწყო თუ არა ქვეყანას ომი. ლუდლოუსა და კანტის მოსაზრებას საფუძვლად უდევს დებულება, რომ ხმის უფლებას თუ მივცემთ მათ, ვინც ომისაგან ყველაზე მეტად ზარალდება, ომების სიხშირე მკვეთრად შემცირდება. მეორე მოსაზრება შეიმუშავა ბენთამმა, რომელიც, ისევე როგორც ვუდრო უილსონი და ლორდი სესილი, დარწმუნებული იყო, რომ მსოფლიო საზოგადოების აზრი ყველაზე უფრო ეფექტიანი სანქციაა და, ალბათ, თავისთავად საკმარისია მშვიდობის დასამყარებლად.[44] ამიტომაც, მან წამოაყენა წინადადება, დაარსებულიყო „საერთო სასამართლო, რომელიც რამდენიმე სახელმწიფოს შორის წარმოშობილ უთანხმოებებს განიხილავდა, თუმცა კი, ასეთი სასამართლო მაიძულებელი ძალაუფლებით აღჭურვილი არ იქნებოდა." რა გაუმაგრებდა ზურგს ამ სასამართლოს გადაწყვეტილებებს? საზოგადოებრივი აზრი!

---

[43] Paine, *The Right of Man*, in *Complete Writings*, ed. Foner, I, 342. იმის აღმოჩენის შემდეგ, რომ ამერიკისა და საფრანგეთის რევოლუციების ყველა ნაყოფი ტკბილი არ იყო, პეინმა თავის ნაშრომში *ვონლების საუკუნე* ყურადღება ხელისუფლების შეცვლიდან აზროვნების შეცვლაზე გადაიტანა.

[44] „უდიდესი იარაღი, რომელზეც იმედს ვამყარებთ," - განაცხადა ლორდმა სესილმა თემთა პალატაში 1919 წლის 21 იელისს, - „საზოგადოებრივი აზრია . . . და თუ ჩვენ მასზე მცდარი წარმოდგენა გვაქვს, მაშინ ეს ყოველიეეც არასწორია." ციტირებულია ნაშრომში: Morgenthau, *Politics among Nations*, p. 235.

სასამართლო პროცესები ღია იქნებოდა და სასამართლოს დაევალებოდა საკუთარი მოსაზრებების გამოქვეყნება და ყველა სახელმწიფოსათვის გაცნობა. ურჩ სახელმწიფოებს „ევროპულ ბოიკოტს" გამოუცხადებდნენ და ასეთი სანქცია გადააფიქრებინებდა სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილების იგნორირებას.[45] ინტერესი და აზრი ერთად უზრუნველყოფს მშვიდობიან პოლიტიკას, ვინაიდან თუ მმართველებს ხალხის სურვილების მიმართ გულისხმიერებს გავხდით, საზოგადოებრივი აზრი ეფექტიან სანქციად გადაიქცევა.[46]

რწმენა საზოგადოებრივი აზრის მიმართ, ან უფრო ზოგადად, რწმენა, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებს მშვიდობისაკენ მიდრეკილება ახასიათებს, უტოპიური აღმოჩნდა, მაგრამ ლიბერალების უტოპიზმი საკმაოდ რთულად იყო აგებული. ისინი იმას კი არ ამტკიცებენ, რომ ნებისმიერ დროს, ინფორმირებული ადამიანების ნების წყალობით, ომის აღმოფხვრა შეიძლება, არამედ იმას, რომ პროგრესის შედეგად, მსოფლიო მიუახლოვდა მდგომარეობას, როდესაც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებიდან ომის აღმოფხვრა შესაძლებელი გახდა. დგება ისტორიის ეტაპი, როდესაც მოსალოდნელია, საერთაშორისო და საშინაო ასპარეზზე გონებამ წამყვანი როლი შეასრულოს ადამიანთა საქმიანობაში. სარგებლის მიღება როგორც სახელმწიფოს, ისე ინდივიდის ქმედებათა მიზანია. მშვიდობის დასამყარებლად საჭიროა, დესპოტიზმმა დემოკრატიას დაუთმოს ადგილი, რათა სასურველ მიზნად ხალხის კეთილდღეობა იქცეს და არა უმცირესობათა ჯგუფების სარგებელი. საბედნიეროდ, დესპოტიზმი უკანასკნელ დღეებს ითვლის. რწმენა, რომელიც ძლიერი დარჩა მეოცე საუკუნეში და ჯერაც არ გამქრალა, კარგად შეაჯამა თომას პეინმა მეთვრამეტე საუკუნი 90-იანი წლების დასაწყისში:

---

[45] Bentham, "Principles of International Law," in *Works*, ed. Bowring. II. 552-54. იხილეთ შედარებისათვის: Cobden, *Speeches*, ed. Bright and Rogers, II. 174: თუ დადება ხელშეკრულება, რომელიც დაავალდებულებს სახელმწიფოს, არბიტრაჟს მიმართოს, ის კი საჭირო შემთხვევაში მასზე უარს იტყვის, მაშინ „თქვენ მას იმდენად სამარცხვინო მდგომარეობაში ჩააყენებთ, რომ საეჭვოა, რომელიმე ქვეყანამ ომი წამოიწყოს ისეთ არახელსაყრელ ვითარებაში, როგორშიც ეს ქვეყანა აღმოჩნდება."

[46] როგორც ჯეიმს მილი ამბობს, „თუ რომელიმე ადამიანი დანარჩენ საზოგადოებაზე აბსოლუტურ ძალაუფლებას ფლობს, მაშინ იგი მის განწყობაზე დამოკიდებულებისაგან სრულიად თავისუფალია." "Law of Nations," in *Essays*, No. VI, pp. 8-9.

კაცობრიობის განათლებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ძნელი მისახვედრი არაა, რომ მემკვიდრეობითი ხელისუფლება აღსასრულს უახლოვდება და რომ ევროპაში გზას იკაფავს ეროვნული სუვერენიტეტის ფართო ნიადაგზე აღმოცენებული რევოლუცია და წარმომადგენლობითი მმართველობა . . .

მე არ მჯერა, რომ მონარქია და არისტოკრატია შვიდ წელზე მეტ ხანს იარსებებს ევროპის რომელიმე განათლებულ ქვეყანაში.[47]

პრაქტიკული სირთულეები

მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალების შეხედულება სახელმწიფოს შესახებ ჰარმონიის ვარაუდს ემყარებოდა, რომელსაც ხშირად თან ერთვოდა ადამიანთა უსასრულოდ სრულყოფის შესაძლებლობის ვარაუდი, რამაც, საბოლოოდ, ისეთ ვითარებამდე უნდა მიგვიყვანოს, რომელშიც ხელისუფლების ფუნქციები შესუსტდება, ხოლო მათი დიდი ნაწილი საერთოდ გაქრება. ლიბერალების ხედვა საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ კი ეფუძნებოდა სახელმწიფოთა შორის ჰარმონიისა და მათი უსასრულო სრულყოფის შესაძლებლობის ვარაუდს, რამაც ისეთი ვითარება უნდა წარმოშვას, რომელშიც ომის აღბათობა თანდათან შემცირდება. იმისათვის, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ლიბერალური იდეალი რეალობად იქცეს, სახელმწიფოების შეცვლაა აუცილებელი. რა მექანიზმებით უნდა განხორციელდეს ეს ცვლილება? ამ შეკითხვაზე ლიბერალები ორ, რადიკალურად განსხვავებულ პასუხს გვთავაზობენ. ეს არის, ერთი მხრივ, კანტის, კობდენისა და ბრაითის ოპტიმისტური ჩაურევლობის პოლიტიკა, მეორე მხრივ კი, პეინის, მაძინისა და ვუდრო უილსონის მესიანური ჩარევის პოლიტიკა. ორივე შეხედულების მომხრეები ერთდროულად რეალიზმის ელემენტებსაც ავლენენ და იდეალიზმისაც.

კობდენი, ისევე, როგორც კანტი უფრო ადრე, უნდობლობით ეკიდებოდა რევოლუციას და მტკიცე რწმენას გამოხატავდა ევოლუციისადმი. საშინაო რეფორმები თანდათანობით, განათლების მეშვეობით უნდა განხორციელდეს და არა უეცრად, ძალადობის გზით, რადგანაც სასიკეთო ცვლილებები დიდხანს მხოლოდ პირველ შემთხვევაში გასტანს. ხოლო

---

[47] Paine. *The Rights of Man*, in *Complete Writings*, ed. Foner. I. 344, 352.

ვინაიდან კობდენი ქვეყნის შიგნით რევოლუციის მომხრე არ იყო, იგი საერთაშორისო ასპარეზზე ინტერვენციასაც ეწინააღმდეგებოდა. „მე ერთი ქვეყნის მთავრობის მიერ სხვა სახელმწიფოს საქმეებში ნებისმიერი ჩარევის წინააღმდეგი ვარ," - წერდა იგი 1858 წელს, - „თუნდაც, ეს მხოლოდ ზნეობრივ ჩაგონებას გულისხმობდეს."[48] კობდენს სხვათა საქმეებში ჩარევა ფუჭ მოქმედებად მიაჩნდა იმიტომ, რომ ინგლისს დანარჩენი მსოფლიოსათვის თავისუფლების მოპოვება არ შეეძლო; ალეგიკურად, რადგანაც ინგლისს არ შეეძლო, ცოდნოდა, თუ რა იყო კარგი დანარჩენი მსოფლიოსათვის; თავხედურად, ვინაიდან ინგლისს შინაც ბევრი ნაკლი ჰქონდა გამოსასწორებელი და სასიკეთო საქმეების კეთება საზღვარგარეთ სულაც არ ესაჭიროებოდა; ზემდეტად, იმიტომ, რომ „ამ ქვეყნის პატიოსანი და სამართლიანი ინტერესები . . . მთელი მსოფლიოს პატიოსანი და სამართლიანი ინტერესებია;"[49] სახიფათოდ, რადგანაც მსოფლიოს ერთ კუთხეში პრობლემათა გამოსასწორებლად წამოწყებული ომი სულ ადვილად შეიძლებოდა, თავდაპირველ მიზნებს გასცდენოდა და ერთგან დანთებული ცეცხლი სხვა მხარეებსაც მოსდებოდა.

მართალია, კობდენი თავშეკავებას ურჩევდა მეცხრამეტე საუკუნის ყველაზე უფრო ძლიერ და ლიბერალურ სახელმწიფოს, მაგრამ ის დარწმუნებული იყო, რომ დადგებოდა დღე, როდესაც სახელმწიფოებს შორის მშვიდობა დაისადგურებდა. 1849 წელს დაწერილ წერილში მან ერთდროულად არსებული სირთულეებიც აღწერა და მათი დაძლევის გზებიც.

არა მგონია, რომ დედამიწაზე მცხოვრებმა ერებმა თავის საშინაო საქმეებში ზნეობრიობის სასურველ დონეს მიაღწიონ მანამ, სანამ მსოფლიოს საერთაშორისო ურთიერთობები განსხვავებულ პირობებში არ წარიმართება. ამჟამინდელი სისტემა რყვნის საზოგადოებას, სპობს მის სიმდიდრეს, აჩენს ცრუ ღმერთებს, რომლებსაც თაყვანს სცემენ, როგორც გმირებს და მომავალ თაობებს უწესებს დიდების ყალბ, თუმცა კი, მიმზიდველ

---

[48] ციტირებულია ნაშრომში: Hobson, *Richard Cobden*, p. 400. იხილეთ შედარებისათვის: Cobden. *Speeches*. ed. Bright and Rogers. II, 225; Bright, *Speeches*. ed. Rogers. p. 239.

[49] Cobden. *Speeches*, ed. Bright and Rogers, II. 27.

სტანდარტს. ვინაიდან მიმაჩნია, რომ თავისუფალი ვაჭრობის პრინციპი გათვლილია იმაზე, რომ მსოფლიოში არსებული ურთიერთობები, ზნეობრივი თვალსაზრისით, უკეთესობისაკენ შეცვალოს, მადლობას ვუძღვნი ღმერთს, რომ მან ამ პრინციპის დაცვის საქმეში გამორჩეული როლი მარგუნა. და მაინც, ნუ ვიქნებით უიმედოდ. თუ შესაძლებელია, რომ მსოფლიოს თავიდან ავაცილოთ ნამდვილი ომი, რასაც, მე მჯერა, ვაჭრობა მოახერხებს, ეს უდიდეს ბიძგს მისცემს სოციალურ რეფორმებს. საზოგადოებრივ განწყობას პრაქტიკულობა ახასიათებს და ის ამიერიდან, უფრო მეტი მონდომებით, ვიდრე ოდესმე, წინ წასწევს განათლებას, თავშეკავებას, დამნაშავეთა გამოსწორებას, ფიზიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვას და ა.შ.[50]

კანტი, გარკვეული თვალსაზრისით, უფრო ოპტიმისტურად იყო განწყობილი. იგი ფიქრობდა, რომ ომებიც კი, რომლებიც მათში ჩაბმულ სახელმწიფოებს ფიტავს და ომის მუქარა, რომელიც აიძულებს სახელმწიფოს, მეტი თავისუფლება მიანიჭოს საკუთარ ქვეშევრდომებს, რათა უფრო ძლიერი გახდეს, ხელს უწყობს რესპუბლიკანიზმის გავრცელებასა და მშვიდობის დამყარებას.[51]

ომის სისტემა უფრო ძლიერი აღმოჩნდა ვიდრე კობდენის მიერ აღწერილი მშვიდობის დამყარების საშუალებები, ხოლო ომების გაჩაღებას უფრო ხშირად კანტის წინასწარმეტყველების საპირისპირო შედეგები მოჰყვა. გლედსტოუნი, რომელიც იზიარებდა კობდენის მოსაზრებას მსოფლიო მშვიდობის საქმეში თავისუფალი ვაჭრობის მიერ შეტანილი წვლილის შესახებ, ამავე დროს, აუცილებლად მიიჩნევდა ევროპაში ძალთა ბალანსის შენარჩუნებას. 1853 წლის ოქტომბერში, ყირიმის ომის წინ, მან გამოთქვა აზრი, რომ თურქეთის დამარცხების

---

[50] ციტირებულია ნაშრომში: Morley, *The Life of Richard Cobden*, p. 276.

[51] Kant, "The Principle of Progress Considered in Connection with the Relations of Theory to Practice in International Law," in *Eternal Peace and Other International Essays*, tr. Hastie, p. 63; და "The Natural Principle of the Political Order Considered in Connection with the Idea of a Universal Cosmopolitical History," Eighth Proposition in *ibid.* იმის მაგალითისათვის, თუ როგორ შეიძლება მოქმედებდეს ეს პრინციპი იხილეთ ჯ. ს. მილის კომენტარები საფრანგეთ-პრუსიის ომზე. მისი აზრით, ელზას-ლორენის დაკარგვა შედარებით უმტკივნეულო გზა იყო ფრანგი ხალხისათვის იმის გაკაცნობიერებლად, რომ მომავალში ის ბრმად აღარ უნდა ჩაბმულიყო მისი ლიდერების მიერ წამოწყებულ აგრესიულ ომებში და მეტი ყურადღება უნდა დაეთმო პოლიტიკისათვის. *Letters*, ed. Elliot, II, 277-78.

შედეგად რუსეთის გაძლიერება საფრთხეს შეუქმნიდა მშვიდობას ევროპაში. ინგლისი ვალდებული იყო, ნებისმიერ ფასი გაეღო იმისათვის, რომ ეს არ დაეშვა.[52] კობდენი და ბრაითი, გლედსტოუნისაგან განსხვავებით, ომის დაწყების ერთადერთ სამართლიან მიზეზად ინგლისის საფრთხეში ყოფნას ასახელებდნენ, ხოლო ერთადერთ რეალურ საფრთხეს საშშობლოს დაპყრობაში ხედავდნენ. ამრიგად, ბრაითმა, რუსეთთან ომის დაგმობით, გააკრიტიკა სხვა თაობის ინგლისელები იმ ომის დაწყების გამო, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ის, რომ „საფრანგეთს საკუთარი მთავრობა თავად არ აერჩია." საკმარისია გავეცნოთ პიტის მიერ საფრანგეთის რევოლუციის ომების დროს წარმოთქმულ სიტყვებს, რათა მივხვდეთ, რომ ომის მიზანი, მთავრობის მეთაურისთვის მაინც, იყო ინგლისის უსაფრთხოება და არა ფრანგული სახელმწიფოს ძველი რეჟიმის აღდგენა.[53] თუმცა, სახელმწიფო უსაფრთხოების ვიწრო მნიშვნელობით განსაზღვრა ახასიათებს მათ, ვინც ახლოს დგას აბსოლუტური ჩაურევლობის მომხრე ლიბერალიზმთან. მაგალითად, ბრაიანმა ისეთივე პოზიცია დაიკავა პირველ მსოფლიო ომში ამერიკის მონაწილეობასთან დაკავშირებით, როგორიც ბრაითმა უფრო ადრე. 1917 წლის 2 თებერვალს მან მედისონ სკვერ გარდენში შეკრებილ ხუთი ათას ადამიანს განუცხადა, რომ „ამ ქვეყანამ სისხლის ბოლო წვეთამდე უნდა იბრძოლოს, თუ მას თავს დაესხმიან, მაგრამ ყველა სხვა საკითხი არბიტრაჟის მეშვეობით უნდა მოგვარდეს."[54]

ჩაურევლობის მომხრე ლიბერალების პოზიცია გასაგებია, თუ მათ მიერ გამოთქმულ სხვადასხვა ვარაუდს გავითვალისწინებთ. თუ განვითარებული ქვეყნები თავისუფალ ვაჭრობას შემოიღებენ, შეიარაღებას შეამცირებენ და კოლონიებს დამოუკიდებლობას მიანიჭებენ, ასეთი კარგი მაგალითი სხვა ქვეყნებზე დიდ გავლენას მოახდენს, ხოლო საზოგადოებრივი აზრი აიძულებს მათ, ამ მაგალითს მიბაძონ.[55]

---

[52] Morley, *Gladstone*, I, 476, 483-84.

[53] იხილეთ: Morgenthau and Thompson. *Principles and Problems of International Politics*, სადაც მოკლედ არის გადმოცემული საფრანგეთთან ომის საკითხზე უმნიშვნელოვანესი გამოსვლების შინაარსი.

[54] New York *Times*, February 3, 1917, p. 11.

[55] მაგალითად, სოციალისტებს შორის განიარაღების იდეის კვლავაც არსებობის შესახებ იხილეთ ქვემოთ V თავი.

ასეთ შემთხვევაში, სამხედრო საფრთხე სამუდამოდ გაქრება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ძლიერება მის სიდიდეზე დამოკიდებული არ არის. ომის გზით სხვათა დაპყრობა ხშირად სისუსტეს განაპირობებს.[56] ამგვარად, მცდარია მოსაზრება, რომ უსაფრთხოების მოთხოვნების გამო, ერთი ქვეყანა სხვის მიერ მეორე ქვეყნის დაპყრობას უნდა შეეწინააღმდეგოს. და ბოლოს, ქვეყნის ძლიერება უფრო მეტად დამოკიდებულია ხალხის სულისკვეთებაზე, რომელიც თავისუფალ ქვეყნებში უფრო ძლიერია, და ეკონომიკის წარმატებულობაზე, ვიდრე მშვიდობიან დროს გავლენიან სამხედრო პირთა წრის სიდიდეზე.[57] ეს ვარაუდები, თავის მხრივ, გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ, გეოგრაფიისა და ტექნოლოგიის წყალობით, მათ რეალური ელფერი შეიძინეს ამერიკის შეერთებული შტატებისთვის და ოდნავ ნაკლებად, ინგლისისთვისაც, მეცხრამეტე საუკუნეში. თუ ბრაიანი აღიარებს, რომ სახელმწიფოს უფლება აქვს, იზრუნოს თავდაცვაზე, მან, ლოგიკურად, ისიც უნდა აღიაროს, და მეტიც, დაჟინებით მოითხოვოს, რომ მისი სახელმწიფო ყურადღებით იყოს, რათა სხვები არ გაძლიერდნენ და თავდასხმისათვის არ მოემზადონ. პრაქტიკულად, ამერიკის შეერთებულ შტატებს ასეთი საზრუნავი მეოცე საუკუნემდე არ ჰქონია. ხოლო რაც შეეხება ინგლისს, საკუთრივ მისი ძლიერება ბევრისათვის ბუნდოვანს ხდიდა იმას, თუ რამდენად იყო მისი უსაფრთხოება ამ ძლიერებაზე დამოკიდებული.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის აგება გეოგრაფიისა და ისტორიის მოცემულობის საფუძველზე სახიფათოა. ჩაურევლობის

---

[56] იხილეთ შედარებისათვის: Cobden, *Speeches*, ed. Bright and Rogers, I, 483: „დამისახელეთ ტერიტორიული დანაწილების რომელიმე შემთხვევა, როდესაც ტერიტორიის მოპოვება უფრო მეტად ძლიერების, ვიდრე სისუსტის წყარო იყო." იხილეთ შედარებისათვის: Bright, *Speeches*, ed. Rogers, p. 463.

[57] იხილეთ შედარებისათვის: Godwin, *Political Justice*, II. 170-71, 193. მეორე ხედვასთან დაკავშირებული არგუმენტები ხშირად ამა თუ იმ შინაპოლიტიკური ღონისძიებების მხარდასაჭერად გამოიყენება. მაგალითად, ჟურნალის *კომერციული და საფინანსო ქრონიკა* ერთ-ერთი მოწინავე სტატია მსოფლიოში შექმნილ სახიფათო ვითარებას აქცევს ყურადღებას და ამტკიცებს, რომ სახმედრო ძლიერება ეკონომიკურ ძლიერებაზეა დამოკიდებული, რის შემდეგაც ასკვნის, რომ ჩვენ უნდა „დაუყოვნებლივ დავიწყოთ (1) საკუთარი ფისკალური მდგომარეობის მოწესრიგება და (2) ამავე დროს, უარი ვთქვათ „ახალი კურსის" პოლიტიკასა და მის ყველა კომპონენტზე." "How to Be Strong," *Commercial and Financial Chronicle*, June 5, 1946, sec. ii, p. 1.

მომხრე ლიბერალებმა ვერ გადაჭრეს პრობლემა, რომელიც კობდენმა ზემოხსენებულ წერილში ჩამოაყალიბა - როგორ უნდა გაუმჯობესდნენ სახელმწიფოები შინაგანად, როდესაც მსოფლიოში საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათი უცვლელია? მაძინი ამჩნევდა ამ პრობლემას. როგორც მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანების იტალიელი პატრიოტი იგი თავს ვერ აარიდებდა მას. საერთაშორისო სახალხო ლიგის საბჭოსადმი მიმართვაში (1847 წელს) იგი აღნიშნავდა, რომ დესპოტური ძალები „დაუმორჩილებლობას გვიცხადებენ: ჩვენ ვიბატონებთ, რადგანაც არ გვეშინია ბოროტების. ჩვენ ვმოქმედებთ, ხოლო თქვენ არ გყოფნით გამბედაობა, სიკეთე დაიცვათ." „ნუთუ საკმარისია," - კითხულობს იგი, - „მშვიდობა და ჩაურევლობა ვიქადაგოთ, ხოლო ძალა ევროპის სამი მეოთხედის სრულ ბატონ-პატრონად დავტოვოთ, რათა ის, თავისი უზნეო მიზნების მისაღწევად, ჩაერიოს იქ სადაც მოესურვება, როდესაც მოესურვება და როგორც მოესურვება?"[58] საბოლოო ჯამში, რა აზრი აქვს laissez faire-ის პოლიტიკის ქადაგებას საერთაშორისო ურთიერთობებში, თუ მას ყველა სახელმწიფო არ განახორციელებს? ვინც ამას იზამს, დაუცველი აღმოჩნდება მათ წინაშე, ვინც ასე არ მოიქცევა.

ეს ერთ-ერთი პრობლემაა, რომელსაც ჩაურევლობის მომხრე ლიბერალები აწყდებიან. ის უფრო ზოგად შეკითხვას ბადებს: შეიძლება თუ არა, მშვიდად ველოდოთ იმ დღეს, როდესაც დესპოტური სახელმწიფოები, რომლებიც წარსულში ომებს აწარმოებდნენ, ისტორიის სოციალური და ეკონომიკური ძალების ზემოქმედებით, მშვიდობისმოყვარე დემოკრატიულ სახელმწიფოებად გადაიქცევიან? მოძრაობენ კი ევოლუციის ძალები საკმარისი სისწრაფით? მოძრაობენ კი ისინი სწორი მიმართულებით? არაფრის კეთებით „კეთილნი" ხელს ხომ არ უწყობენ „ბოროტების" გამარჯვებას? მოქმედება, შესაძლოა, აუცილებელი იყოს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ კანტმა და კობდენმა საშუალებებისა და მიზნის ურთიერთდამოკიდებულება სწორად წარმოაჩინეს, ხომ შეიძლება, ადამიანებმა თავისი მოქმედებით ევოლუციის პროცესები დააჩქარონ? მოქმედება, შესაძლოა, აუცილებელი თუ არა, სასურველი მაინც იყოს.

---

[58] Mazzini, *Selected Writings*, ed. Gangulee. p. 143. უფრო გონივრულად გამოხატული ასეთივე მოსაზრება იხილეთ ნაშრომში: J. S. Mill. "Vindication of the French Revolution of February. 1848; in Reply to Lord Brougham and Others," in *Dissertations and Discussions*, III. 51-52.

საშინაო საქმეების შესახებ ლიბერალთა მსჯელობა სტერილური სახელმწიფოს დოქტრინით იწყება. ყველაფერი კარგი ამ ცხოვრებაში ინდივიდთა მცდელობის შედეგად არის შექმნილი. სახელმწიფო მხოლოდ იმისათვის არსებობს, რომ კონკურენტ ინდივიდებს შორის ნეიტრალური მსაჯულის როლი შეასრულოს. საბოლოო ჯამში, ლიბერალთა მტკიცებით, სახელმწიფომ უნდა არა მარტო შეინარჩუნოს, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში, თავადაც შექმნას ლიბერალური საზოგადოებისა და ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობები. არსებობს თუ არა ამგვარად მოქმედების აუცილებლობა საერთაშორისო ურთიერთობებში? ზოგიერთი ლიბერალი ჩაურევლობას აცხადებდა სახელმწიფოთა შორის ინტერესთა ბუნებრივი ჰარმონიის დამყარების საშუალებად. მიიღწევა კი ინტერესთა ჰარმონია, თუ სისტემის ფუნქციონირებას, კარვერის სიტყვებით, „რამდენიმე სწორი" წინაპირობა ესაჭიროება და თუ არ არსებობს ორგანო, რომელიც მათ შექმნის? საშუალებები დაახლოებით ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მიზანი. თუ მიზანი მშვიდობაა და თუ მშვიდობის საფუძველი თავისუფალ სახელმწიფოთა არსებობაა, მაშინ რომელიმე აქტიურმა ორგანომ ევოლუციის სპონტანური ძალების როლი უნდა შეასრულოს იმ შემთხვევაში, თუ მათ დაბრკოლება შეხვდება. ამ ლოგიკიდან გამომდინარე, მრავალი ლიბერალი, როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო საკითხებში, სახელმწიფოს მოქმედების აკრძალვის ნაცვლად, იმის განსაზღვრით არის დაკავებული, თუ კონკრეტულად რა სახის მოქმედებაა აუცილებელი. საერთაშორისო საკითხებში ლიბერალები ერთადერთ გავლენის მქონე ერთეულებად დემოკრატიულ სახელმწიფოებს აღიარებენ, რომლებიც შეიძლება უკვე არსებობენ.

თუ კობდენსა და ბრაიტს საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენება მხოლოდ საკუთარი დემოკრატიის დასაცავად მიაჩნდათ საჭიროდ, პეინი, მაძინი და უილსონი მსოფლიოში დემოკრატიის დამყარებას ესწრაფოდნენ. პეინი თავისი *ადამიანის უფლებების* მეორე ნაწილში, რომელიც მარკიზ დე ლაფაიეტს მიუძღვნა, ჰპირდებოდა მას, რომ შეუერთდებოდა, თუ გაზაფხულზე კამპანიის ჩატარება გახდებოდა საჭირო, რათა საფრანგეთს ბოლო მოეღო „გერმანული დესპოტიზმისათვის," წამოეწყო რევოლუციები მეზობელ ქვეყნებში და

ამრიგად, უზრუნველეყო მშვიდობიანი და უსაფრთხო არსებობა.[59] 1853 წელს მაძინი, მსგავსი მიზეზების გამო, ცდილობდა დაერწმუნებინა ინგლისი, რომ მისი „ამჟამინდელი მოვალეობა ომია.“ ომი, რომლისკენაც იგი მოუწოდებდა, იყო არა ისეთი, როგორსაც აბსოლუტისტური სახელმწიფოები აწარმოებდნენ, არამედ -

ომი, რომლის მიზანია, ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს უძველესი პრობლემა, უნდა დარჩეს ადამიანი უმოქმედო მონად, რომელსაც ორგანიზებული და უხეში ძალა ფეხქვეშ თელავს, თუ იქცეს თავისუფალ მოქმედ პირად, რომელიც თავის ქმედებებზე პასუხს ღვთისა და თანამოძმეების წინაშე აგებს . . . ომი, რომლის კეთილშობილი მიზანია, აღდგეს სიმართალი და სამართლიანობა, აღიკვეთოს ტირანიის არაჰუმანური მოღვაწეობა, ერები გათავისუფლდნენ და გაბედნიერდნენ, ღმერთმა კეთილი თვალით გადმოხედოს მათ, პოლიტიკურმა და რელიგიურმა თავისუფლებამ იზეიმოს, ხოლო ინგლისი სიამაყითა და ძლევამოსილებით აღავსოს იმ ერების თანაგრძნობამ და მადლიერებამ, რომლებსაც მან დახმარება გაუწია.[60]

ვუდრო უილსონს, ჩარევის პოლიტიკის ზემოხსენებულ მომხრეთაგან მესამეს, თავისუფლად შეეძლო ისე ესაუბრა, თითქოს მისი უმთავრესი საზრუნავი იმ სახელმწიფოს უსაფრთხოება იყო, რომელსაც იგი სათავეში ედგა.[61] ჩარევის მომხრე ლიბერალებისათვის ეს დამახასიათებელია. მათთან მიმართებაში საინტერესო ის კი არ არის, რომ ისინი ძალთა ბალანსის პოლიტიკას უარყოფენ, არამედ ის, რომ მათი აზრით, შესაძლებელია მისი ჩანაცვლება.[62] მათ მომავალში ნახტომის გაკეთება და ჩვენი თან წაყოლა სურთ. „რა არის ამჟამინდელი ომი,“

---

[59] Paine, *The Rights of Man*, in *Complete Writings*, ed. Foner. I, 348. იგი, ბევრი ლიბერალის მსგავსად, დასძენს, რომ საფრანგეთსა „და გერმანიაში ამის შედეგად გადაასახადები შემცირდება.“

[60] Mazzini, *Selected Writings*, ed. Gangulee. p. 91.

[61] იხილეთ: Tumulty, *Woodrow Wilson as I Know Him*, p. 248; და აგრეთვე სიტყვა, რომელიც ვუდრო უილსონმა *ოთხწუთიანი გამოსვლებისათვის* დაწერა. 1918 წლის 4 იელისი. ნაშრომში: *Woodrow Wilson. Selections for Today*, ed. Tourtellot, pp. 107-8.

[62] იხილეთ ჯ. ს. მილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ გლედსტოუნს ბრიტანეთის ჩარევის მუქარით უნდა დაერწმუნებინა საფრანგეთი ან გერმანია, თავი შეეკავებინათ ერთიმეორეზე თავდასხმისაგან 1870 წელს. *Letters*, ed. Elliot. II. 274.

- იკითხა ერთხელ ვუდრო უილსონმა, - „ბრძოლა სამართლიანი და მტკიცე მშვიდობისათვის, თუ მხოლოდ ძალთა ახალი ბალანსისათვის?“[63] პირველი მსოფლიო ომის მიმდინარობისას, იგი სულ უფრო ხშირად ხმამაღლა აცხადებდა, რომ საჭიროა ომი „აწმყოსი წარსულის წინააღმდეგ,“ „სიკეთისა ბოროტების წინააღმდეგ,“ ომი, რომელიც ბოლოს მოუღებს ავტოკრატიათა დამღუპველ ბატონობას და მსოფლიოს ხალხს თავისუფლებასა და სამართლიანობას მოუტანს. „არავის აქვს უფლება,“ - უხსნიდა იგი უცხოელ კორესპონდენტებს, რომლებსაც 1918 წლის აპრილში თეთრ სახლში შეხვდა, - „ამ ომიდან რაიმე სარგებელი ნახოს, რადგანაც ჩვენ მშვიდობისათვის ვიბრძვით . . . მუდმივი მშვიდობისათვის. უსამართლობა მუდმივი მშვიდობის საფუძველი ვერ იქნება. თუ უსამართლობის მწარე შეგრძნება სადმე კვლავაც იარსებებს, ის არა მხოლოდ საშიშ იარას წარმოქმნის, რომელსაც პრობლემები და, შესაძლოა, ომიც მოჰყვეს შედეგად, არამედ აუცილებლად სადმე ომს გამოიწვევს.“[64]

ერთმა თანამედროვე ინგლისელმა ფილოსოფოსმა და ისტორიკოსმა დასავლური ცივილიზაციისათვის ჰიტლერის მხრიდან მომდინარე საფრთხის საპასუხოდ თქვა: მშვიდობა კარგი მიზეზია ომის დასაწყებად. Yahoo-ს მსგავსი სახელმწიფოს არსებობა თავისთავად საშიშია მშვიდობიანი სახელმწიფოსათვის.[65] ამრიგად, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებმა წესრიგი უნდა დაამყარონ მსოფლიოში, ხოლო ომი, სახელ-

---

[63] უილსონის მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატების სენატისადმი. 1917 წლის 22 იანვარი. ნაშრომში: *Woodrow Wilson, Selections for Today*, ed. Tourtellot, p. 131. ასეთივე კატეგორიულ მიდგომას ასახავდა უილსონის ომის შემდგომი პოლიტიკა. იხილეთ შედარებისათვის სახელმწიფო მდივნის დენიელის არგუმენტი, რომელიც სენატში ერთა ლიგისათვის მხარდაჭერის მოპოვებას ისახავდა მიზნად: „ჩვენ მხოლოდ ორი გზა გვაქვს.“ ან უნდა შეექმნათ „ერთა ლიგა, რომლის მეშვეობითაც ყოველი ერი, ფლოტის სიძლიერეში ერთმანეთთან შეჯიბრის ნაცვლად, მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებას შეეცდება ან უნდა ავაგოთ ისეთი ფლოტი, რომელიც მსოფლიოს ყველა სხვა ფლოტზე შეუდარებლად დიდი იქნება. სხვა გზა არ არსებობს.“ H. and M. Sprout. *Toward a New Order of Sea Power*, p. 71.

[64] გადმობეჭდილია ნაშრომში: Tumulty, *Woodrow Wilson as I know Him*, p. 274. იხილეთ წინა შენიშვნაში მოყვანილი ვუდრო უილსონის მიმართვა.

[65] Collingwood. *The New Leviathan*, ch. xxx.

მწიფოს ვიწროდ განსაზღვრული უსაფრთხოების მიზნის ნაცვლად, გადააქციონ ჯვაროსნულ ლაშქრობად ისეთი პირობების შესაქმნელად, რომლებშიც ყველა სახელმწიფოს მუდამ მშვიდობიანად თანაარსებობა შეეძლება. ლიბერალიზმი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, შემწყნარებლობის, თავმდაბლობისა და ეჭვის ფილოსოფიაა, თავისებურად ქედმაღალი ხდება. თანამედროვე ლიბერალ პუბლიცისტს მაიკლ სტრეიტს მოწონებით მოჰყავს რ. ჰ. ტაუნის სიტყვები: „ომი ან ჯვაროსნული ლაშქრობაა ან დანაშაული. საშუალო ვარიანტი არ არსებობს.“[66] უილსონი კი სხვადასხვა ფორმით ამბობდა: „მე კაცობრიობის სახელით ვსაუბრობ.“

მაგრამ ვინაიდან მესია ერთი არაა, მისიაც რამდენიმეა. 1880 წელს დოსტოევსკი საქვეყნოდ აცხადებდა, რომ რუსეთს უყვარს თავისი დასავლელი ძმები. „ევროპის ხალხებს წარმოდგენაც კი არ აქვთ, რაოდენ ძვირფასნი არიან ჩვენთვის!“ იმდენად ძვირფასნი, რომ ომის გზით მათი დახსნა უსულო მატერიალიზმისა და ეგოისტური ეთიკისაგან რუსეთის წმინდა მოვალეობად იქცა. დოსტოევსკის თავისი თანამემამულეების სიბრძნისა და სიმამაცის სწამდა: „მომავალი თაობის ყოველი რუსი, გამონაკლისის გარეშე,“ - წერდა იგი, - „მიხვდება, რომ ჭეშმარიტ რუსად გახდომა ნიშნავს, ეცადო, საბოლოოდ მოაგვარო ყველა ევროპული წინააღმდეგობა, აჩვენო, რომ ევროპული ტანჯვის წამალი ჩვენს საყოველთაოდ ჰუმანურ და ყოვლისმომცველ რუსულ სულშია, ძმური სიყვარულით გულში ჩაიკრა ყველა ძმა და, ბოლოს, წარმოთქვა უკანასკნელი სიტყვა დიადი, უნივერსალური ჰარმონიისა და ქრისტეს მოძღვრების კანონით მცხოვრებ ყველა ერს შორის ძმური თანხმობის შესახებ.“ დაპყრობა კი არა, გათავისუფლება უნდა ყოფილიყო რუსეთის მიერ დასავლეთში წარმოებული ომის მიზანი, ხოლო გათავისუფლება მშვიდობისათვის საფუძველს შექმნიდა.[67] ეს მაძინის სულისკვეთებას ჰგავს, მაგრამ სწორედ სულისკვეთებათა ამგვარი სიმეტრია ზრდის კონფლიქტის ალბათობას. იგივეა დღესაც. „ომი, ეს ძმათამკვლელი ურჩხული, აუცილებლად აღმოიფხვრება ადამიანის

---

[66] Straight, *Make This the Last War*, p. 1.

[67] Dostoievsky, *The Diary of a Writer*, tr. Brasol, II, 666-68, 979-80; cf. I, 476; II, 628-36. დღიურის ეს ნაწილები 1876-80 წლებს მოიცავს.

სოციალური პროგრესის შედეგად, რაც უახლოეს მომავალში მოხდება. თუმცა ამის მისაღწევად მხოლოდ ერთი გზა არსებობს - ომი ომის წინააღმდეგ.“ ეს სიტყვები ადვილად შეიძლებოდა ეთქვა რომელიმე დასავლელ ლიბერალს, მაგრამ, სინამდვილეში, ისინი აღმოსავლელ კომუნისტს, მაო ძე დუნს ეკუთვნის.[68] შემდგომში აღნიშნული თეზისი ლიუ შაოციმ განავითარა, რომელსაც ხშირად ჩინეთის კომუნისტური პარტიის იერარქიაში მეორე პირად მოიხსენიებენ. მსოფლიოს ხალხებს, - ლიუს მტკიცებით, - სხვა გამოსავალი არ აქვთ გარდა იმისა, რომ გაერთიანდნენ კაპიტალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში. გათავისუფლება ისტორიის ურყევი კანონია. ცუდი სახელმწიფოები უნდა განადგურდნენ, რათა კარგმა სახელმწიფოებმა მშვიდობიანად იცხოვრონ.[69] ამერიკელი გამათავისუფლებლების პოლიტიკაც ზუსტად ასეთია. მათი დოქტრინის აკადემიური ვერსიის თანახმად, ჩვენი მისიაა, „დავარწმუნოთ ისინი, ვინც ჯერ კიდევ თავისუფალია, რომ მათ შეუძლიათ, [ამერიკის] დახმარებით, მომგებიანად და წარმატებით მიბაძონ მის მაგალითს, აგრეთვე, გადავარჩინოთ ტირანიის მსხვერპლნი და ისინიც სწორ გზაზე დავაყენოთ . . . ჩვენი კეთილი მისია იქნება არა მხოლოდ უმწეოთა დაცვა, არამედ ჩაგრულთა გათავისუფლებასაც. ამ მიზნის მისაღწევად, მართლაც, ვიომებთ *à outrance*,* უკომპრომისოდ, ქედმაღალი დიქტატორების წინააღმდეგ, რომლებიც ყოველგვარ პრინციპს აუკულმართებენ და მათ მიერ ისედაც ჩაგრულ ადამიანებ ამცირებენ.“[70]

ის, რომ ორი მხარე ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნებს ისახავ თავისთავად არ ნიშნავს, რომ რომელიმე მათგანი შემცდარია. ე შეიძლება იმაზე მეტყველებდეს, რომ ორივე არაპრაქტიკულია. ლიბე- რალების, ან დოსტოევსკისა და კომუნისტების მიერ ჩაფიქრებული ჯეკაროსნული ლაშქრობები თუ განხორციელდება, შედეგად შეუზღუდავი მიზნებისათვის წარმოებულ შეუზღუდავ ომს მივიღებთ. მათ შეიძლება

---

[68] Mao Tse-tung, *Strategic Problems of China's Revolutionary War*, p. 4. ეს 1935 წლის შემოდგომაზე დაიწერა.

[69] Liu Shao-chi, *Internationalism and Nationalism*, pp. 24, 31, 41-42, 50-51. ეს 1948 წლის ნოემბერში დაიწერა.

* სრულ გამარჯვებამდე

[70] Cook and Moos, *Power through Purpose*, pp. 1, 210.

მარადიული მშვიდობისათვის გაჩაღებული მარადიული ომიც გამოიწვიონ. ეს ხაზგასმით აღნიშნეს არა მარტო ისეთმა სახელმწიფო მოღვაწეებმა, როგორიცაა ქენანი და ისეთმა მეცნიერებმა, როგორიცაა მორგენთაუ, არამედ ისეთმა ლიბერალებმაც, როგორებიც იყვნენ კობდენი და ბრაითი.

ჩაურევლობის მომხრე ლიბერალები ყველასათვის სასურველი მარადიული მშვიდობის მისაღწევად რაიმე განსაკუთრებულ ქმედებებს არ მოითხოვენ. ნაცვლად ამისა, ჩვენ გვმართებს, დავამყაროთ მთელი იმედი მათ ვარაუდზე, რომ ისტორია ანგელოზების მხარესაა. ეს, ამავდროულად, დოქტორ პანგლოსის პოზიციაც არის, რაც ისედაც ცხადია, და რეალისტისაც, რაც, შესაძლოა, ასე აშკარა არ იყოს. ამ პოზიციის რეალურობა შემდეგში მდგომარეობს: იმის იმედად ყოფნა, რომ სასურველ მიზნამდე ისტორიის ძალები მიგვაახლოვებენ, შესაძლოა, იმის აღიარება იყოს, რომ ადამიანს ამ პროცესის დასაჩქარებლად თითქმის არაფრის გაკეთება ძალუძს. ჩარევის პოლიტიკის მომხრე ლიბერალებს კი არ აკმაყოფილებთ რეალიზმი, რომელმაც ომების ხანა შეიძლება სამუდამოდ გაახანგრძლივოს. მათი რეალიზმი ისტორიის ავტომატური პროგრესის უარყოფას და იმის მტკიცებას გულისხმობს, რომ თუ ადამიანებს მშვიდობა სურთ, მათ ომის მიზეზები უნდა მოსპონ. ამგვარი რეალიზმის მეოხებით, ისინი უტოპიურ ვარაუდებში ეფლობიან, რომელთა შინაარსიც მეტად საშიშია. სახელმწიფო, რომელიც ჩარევის პოლიტიკის თეორიაზე დაყრდნობით მოქმედებს, საერთაშორისო საკითხებში მოსამართლის როლსაც უნდა ასრულებდეს და ჯალათისასაც. კარგი მიზეზით ნებისმიერი ომი შეიძლება გამართლდეს, მაგრამ ვის შეუძლია დაადგინოს, მოდავე სახელმწიფოთაგან რომელს აქვს სამართლიანი მიზეზი? თუ ერთი სახელმწიფო მოსამართლის მანტიას მოირგებს, მისი მეტოქეც იგივეს მოიმოქმედებს. მეთვრამეტე საუკუნის შუა ხანების დიპლომატისა და მწერლის, ემერიხ დე ვატელის თქმით, ამ შემთხვევაში თითოეული მათგანი „ომის ყველა უფლებას დაიჩემებს და განაცხადებს, რომ მტერს არავითარი უფლება არ აქვს . . . რაც უფლებათა შესახებ დავის მოგვარებას სულაც არ შეუწყობს ხელს და ეს დავა უფრო სასტიკი, უფრო საშინელი შედეგების მომტანი და უფრო ძნელად შესაჩერებელი გახდება.“[71] სახელმწიფოს ვიწრო ინტე-

[71] Vattel, *The Law of Nations*, tr. Fenwick, III. 304-5.

რესებიდან გამომდინარე წამოწყებული ომები, როგორც წესი, ნაკლებად საზიანოა, ვიდრე თითქოს უანგარო იდეალიზმით შთაგონებული ომები. ამ ლოგიკის სისწორე ისტორიას არაერთხელ დაუდასტურებია. ასეთი ისტორიული გამოცდილება ყველაზე მოკლედ ა. ჯ. პ. ტეილორმა შეაჯამა. „ბისმარკმა," - წერდა იგი, - "აუცილებელი" ომები აწარმოა და ათასობით ადამიანი მოკლა. მეოცე საუკუნის იდეალისტები კი „სამართლიან" ომებს აჩაღებენ და მილიონობით ადამიანს კლავენ."[72]

თეორიის ნაკლოვანებები

მშვიდობა - კარგი, ომი კი ცუდი სახელმწიფოების არსებობის შედეგია. თუ ეს სიმართლეს შეეფერება, მაშინ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სახელმწიფოებმა არსებულიდან სასურველ მდგომარეობაში გადაინაცვლონ? ამ შეკითხვამ საერთაშორისო ურთიერთობების ლიბერალური თეორიების კრიტიკის პირველი ტალღა გამოიწვია. კრიტიკის მეორე ტალღა, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია, პირველი დებულების ეჭვქვეშ დაყენებით წარმოიქმნება. ომს, შესაძლოა, ცუდი სახელმწიფოები იწყებენ. იმისათვის, რომ ეს დებულება ჭეშმარიტებად გამოვაცხადოთ საკმარისია, ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც ომს იწყებს, „ცუდი" ეუწოდოთ. მაგრამ უზრუნველყოფს კი კარგებად მიჩნეული სახელმწიფოების დიდი რაოდენობით არსებობა მშვიდობას? თუ პირველ შემთხვევაში კრიტიკა რეკომენდაციის პრაქტიკულობას ეხებოდა, მეორე შემთხვევაში ის იმ ანალიზის მართებულობას ეკიდება უნდობლობით, რომელიც ხსენებულ რეკომენდაციას უდევს საფუძვლად.

ლიბერალები არ ელოდნენ ნირვანას მდგომარეობას, რომელშიც ბრძოლა შეწყდებოდა, რადგანაც ყველა კონფლიქტი აღიკვეთებოდა. სახელმწიფოთა შორის დავები გაგრძელდებოდა, მაგრამ მათი ომის გზით გადაწყვეტის ტენდენცია გაქრებოდა. როდესაც სახელმწიფოები უმჯობესდებიან (მოდით, ერთი წამით დავუშვათ, რომ ეს ასეა) ომის შესაძლებლობა მცირდება, ხოლო სახელმწიფოთა უნარი, მეგობრულად და რაციონალურად მოაგვარონ უთანხმოებები იზრდება. ამრიგად, ტ. ჰ. გრინი, მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანების ლიბერალი და იდეალისტი,

---

[72] Taylor, *Rumours of War*; p. 44.

ვერ ხედავს მიზეზს, რატომაც სახელმწიფოებმა, მას შემდეგ რაც უკეთ წარმოადგენენ საკუთარი ხალხის ნებას „არ უნდა დაამკვიდრონ ერთმანეთთან ურთიერთობებში ცივი მიუკერძოებლობა.“[73] მაგრამ რა შეცვლის ომის სისტემას - არბიტრაჟის სისტემა, შერიგების სისტემა თუ სამართლის არამკაცრი სისტემა, რომელშიც სახელმწიფოები ნებაყოფლობით მიანდობენ საკუთარ დავებს გასარჩევად საერთაშორისო ტრიბუნალს და ნებაყოფლობით დაემორჩილებიან მის გადაწყვეტილებებს? ასეთ საკითხებზე ლიბერალებს, ბენთამის დროიდან დღემდე, განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. თუმცა, უკანასკნელ ხანებამდე, მათი უმრავლესობა რამდენიმე ფუნდამენტურ პრინციპზე თანხმდებოდა. უნდა არსებობდეს მინიმალური ორგანიზებულობა, ხოლო სამხედრო ძალა არ უნდა იქნეს გამოყენებული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თავდასხმის მოგერიებას ისახავს მიზნად. საზოგადოებრივი აზრი უდიდესი სანქცია იქნება, ინტერესების წონასწორობა კი - უმთავრესი გარანტია.[74] დავები რაციონალურად, მშვიდობიანად უნდა მოგვარდეს, პოლიტიკური მანიპულაციების გარეშე.

ეს ისევ საერთაშორისო ურთიერთობებს მორგებული ანარქისტული იდეალია, მაგრამ ლიბერალების უმრავლესობა ასე არ ფიქრობდა - ზოგიერთები იმიტომ, რომ პოლიტიკის არსს არასწორად იგებდნენ, ხოლო სხვები იმის გამო, რომ საერთაშორისო ურთიერთობებსა და სახელმწიფოს შიგნით მიმდინარე პროცესებს სხვადასხვა ლოგიკით განიხილავდნენ. მაგალითად, კობდენი ზოგჯერ თითქოს მცდარად აღიქვამდა პოლიტიკას. 1849 წლის 12 ივნისს იგი მჭევრმეტყველებით არწმუნებდა თემთა პალატას, რომ საჭირო იყო რეზოლუციის მიღება, რომელიც ბრიტანეთის საგარეო უწყებას სხვა სახელმწიფოებთან

---

[73] Green, *Lectures on the Principles of Political Obligation,* par. 175.

[74] წონასწორობის იდეის შესახებ იხილეთ, მაგალითად: Bentham, "Principles of International Law," in *Works*, ed. Bowring, II. 538: „მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, სახელმწიფოებმა ნაკლებად რთული გზის მოძებნა უნდა სცადონ და, შესაძლოა, მიგნონ კიდეც მას, ისევე, როგორც ეს მათივე საზოგადოების წევრებმა შეძლეს ეს სწორედ ის გზა იქნება, რომელიც ყველა ერს, ერთად აღებულს, მაქსიმალურ სარგებელს მოუტანს.“
„შეჩერების წერტილი იქნება იქ, სადაც ყველა ძალა წონასწორობის მდგომარეობაში აღმოჩნდება და საიდანაც მათი დაძვრა უაღრესად რთული იქნება.“

არბიტრაჟის შესახებ ხელშეკრულებების დასადებად მოლაპარაკებათა დაწყებისაკენ მოუწოდებდა. წარმოთქმულ სიტყვაში მან აღნიშნა, რომ მისი გეგმა იყო - „უბრალოდ და მხოლოდ ის, რომ საზოგადოებს შორის დავები მოგვარდეს იმავე ხერხით, რომელსაც ინდივიდები თავიანთ პირად ცხოვრებაში იყენებენ."[75] უილიამ ჰოვარდ ტაფტი, თავისი წიგნის *შეერთებული შტატები და მშვიდობა* მეოთხე თავში, სენატორი უილიამ ბორა, თავის რეზოლუციაში, რომელიც ომის კანონგარეშედ გამოცხადებას მოითხოვდა, სალმონ ლევინსონი და ჩარლზ კლეიტონ მორისონი თავიანთ ნაშრომებში, რომლებიც ამ იდეას უჭერს მხარს - ასეთივე მცდარ წარმოდგენას გამოხატავენ. რადგან სჯერათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს დადგენილებები სისრულეში მოჰყავს არა მთავრობის ორგანიზებულ ძალაუფლებას, არამედ საზოგადოებრივი აზრის სპონტანურ ძალას, ისინი ამტკიცებენ, რომ ამავე მეთოდების გამოყენებით, საერთაშორისო ურთიერთობებში მსგავსი შედეგების მიღწევა შეიძლება.[76] ეს არა მარტო იმ სირთულეების იგნორირებაა, რომლებსაც უზენაესი სასამართლო ხშირად აწყდებოდა, მაგალითად, პრეზიდენტ ენდრიუ ჯექსონის შემთხვევაში ან ამჟამად, დესეგრეგაციის შესახებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, არამედ უდიდესი შეცდომაცაა, რადგანაც კონკრეტულ შემთხვევები, სადაც ძალა აშკარად არ ჩანს, ძალაუფლების არარსებობის დამადასტურებელ ფაქტებად აღიქმება. ამ შეხედულების მომხრეებს სურთ, რომ საერთაშორისო დავები საშინაო დავების მსგავსად მოგვარდეს, თუმცა, არც კი ესმით, თუ როგორ წყდება დავები საშინაო ასპარეზზე. მათი სურვილია, საერთაშორისო საკითხებში გონებამ

---

[75] Cobden, *Speeches*, ed. Bright and Rogers, II, 161.

[76] ბორას რეზოლუციაში, რომელიც სენატს 1923 წლის თებერვალში წარედგინა, არგუმენტი ასე არის ჩამოყალიბებული: „[საერთაშორისო სასამართლოს] გადაწყვეტილებები არცერთი სახელწოდების მქონე და არცერთი ფორმით წარმოებული ომის მეშვეობით არ უნდა შესრულდეს. მათი აღსრულება იმავე ძალას უნდა დაემყაროს, რასაც ჩვენი უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, კერძოდ, ყველა განათლებული ერის პატივისცემას ღია და სამართლიან გამოძიებაზე დაფუძნებული მიუკერძოებელი გადაწყვეტილებებისადმი, შეთანხმებას ერებს შორის, დაემორჩილონ ამგვარ გადაწყვეტილებებს და მათ მიმართ ვალდებულება იკისრონ, ასევე განათლებული საზოგადოებრივი აზრის ძალას." გადმობეჭდილია ნაშრომში: Madariaga, *Disarmament*, pp. 365-67.

ძალას სძლიოს, მაგრამ საშინაო დავებს ისეთი ინსტიტუტები აგვარებენ, რომლებშიც გონება და ძალა *შერწყმულია.*[77] ინდივიდებს შორის წარმოქმნილი დავები წყდება არა იმიტომ, რომ დახვეწილი სასამართლო სისტემა არსებობს, არამედ იმის გამო, რომ საჭიროების შემთხვევაში ადამიანებს აიძულებენ, ის გამოიყენონ. რამდენად ხშირად იქნებოდა სასამართლოს არასასურველი გადაწყვეტილებები იგნორირებული მათი შესრულება დამოკიდებული რომ იყოს ბრალდებულთა ნებაყოფლობით მორჩილებაზე, იმაზე, რომ ისინი საკუთარი ფეხით მივლენ ციხეში, თვითონ გაჰყოფენ თავს მარყუჟში ან თავიანთი ნებით გადაიხდიან ჯარიმას, რომლის თავიდან ასაცილებლადაც სასამართლოს მიმართეს? საერთაშორისო სასამართლო, რომლის გადაწყვეტილებებსაც ორგანიზებული ძალა არ უმაგრებს ზურგს, ქვეყნებს შიგნით არსებული სასამართლოებისაგან რადიკალურად განსხვავებული ინსტიტუტია. ლიბერალებს სამართლის ეფექტიანი სისტემის უპირატესობები იზიდავს, მაგრამ მათ ხშირად მისი საფასურის გადახდა არ სურთ.

უილსონმა, გარკვეული თვალსაზრისით, ცვლილებას დაუდო სათავე. უფრო ადრეული ლიბერალების უმრავლესობა საერთაშორისო ორგანიზაციას არასაჭიროდ და სახიფათოდ მიიჩნევდა. მართალია, მათ შორის აზრთა სხვადასხვაობა დღესაც არსებობს, მაგრამ წონასწორობა აშკარად საპირისპირო მოსაზრებისკენაა გადახრილი. ისევე, როგორც საშინაო პოლიტიკის საკითხებზე მსჯელობისას ლიბერალთა დიდი ნაწილი laissez faire-ის სისტემისათვის აუცილებელი პოლიტიკის უარყოფითი ფორმულირებიდან დადებითზე გადადის, საერთაშორისო ურთიერთობებშიც ბევრმა ლიბერალმა, განათლებისა და დავების რაციონალურად მოგვარების იმედად ყოფნის ნაცვლად, იმის მტკიცება დაიწყო, რომ საერთაშორისო ორგანიზაციამ მთავრობის აუცილებელი ფუნქციები უნდა შეასრულოს. თუ ომი ხელისუფლების ანალოგიური ინსტიტუტია, მაშინ ომის აღმოსაფხვრელად საჭიროა, შეიქმნას რაიმე, რაც მის ფუნქციებს იტვირთებს. თუმცა, ძველი მსჯელობა შენარჩუნებულია და, აქედან გამომდინარე, არც ძველი შეცდომებია გამქრალი. უილსონი წინასწარმეტყველებს ახალი ეპოქის დადგომას, რომელშიც

---

[77] მაგალითად, ლევინსონის მოსაზრება დიამეტრულად საპირისპიროა: „როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო დავების იძულებით მოგვარების მხოლოდ ორი გზა არსებობს - ერთია ძალა, ხოლო მეორე კანონი.“ *Outlawry of War,* p. 14.

სახელმწიფოები იმავე ზნეობრივ სტანდარტებს დაემორჩილებიან, რასაც ადამიანები. ამის აუცილებელი პირობა, რა თქმა უნდა, ის არის, რომ სახელმწიფოები დემოკრატიულები უნდა გახდნენ. ეს მოსაზრება ყველაზე უფრო ნათლად კონგრესისადმი მის მიმართვაში აისახა, რომელშიც იგი გერმანიისათვის ომის გამოცხადებას ითხოვდა. „მყარი ერთობა მშვიდობისათვის," - თქვა მან იმ დღეს, - „მხოლოდ დემოკრატიული სახელმწიფოების პარტნიორობით არის შესაძლებელი. ამგვარი ერთობა ვერ ენდობა რომელიმე ავტოკრატიულ მთავრობას, ვერ დაამყარებს იმედს იმაზე, რომ ეს უკანასკნელი მისი ერთგული იქნება და მის პრინციპებს დაიცავს . . . მხოლოდ თავისუფალ ხალხებს შეუძლიათ, უცვლელად შეინარჩუნონ საკუთარი განწყობა და ღირსება საერთო მიზნის მისაღწევად და კაცობრიობის ინტერესები საკუთარ ვიწრო ინტერესებზე მაღლა დააყენონ."[78]

მსოფლიო მშვიდობა მაინც ძალას დაემყარებოდა, - უილსონის თქმით: „კაცობრიობის უმთავრეს ორგანიზებულ ძალას" - მაგრამ ის არ იქნებოდა წარსულის ძალთა ბალანსის პოლიტიკის მსგავსი. უილსონის იდეალი ძალთა ბალანსი კი არა, „ძალთა თანამეგობრობაა."[79] როდესაც საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობა წარმოიქმნებოდა, სახელმწიფოთა არმიებისა და ფლოტების ძველ ძალას საზოგადოებრივი აზრის ახალი ძალა შეცვლიდა. „ჩვენ ვესწრაფით," - თქვა ერთხელ უილსონმა, - „კანონის უზენაესობას, რომელიც მართულთა ნებაზე იქნება დამყარებული და რომელსაც კაცობრიობის ორგანიზებული აზრი გაუმაგრებს ზურგს."[80] ერთა თვითგამორკვევამ დემოკრატია უნდა წარმოშვას, დემოკრატიული სახელმწიფოები კი თავიანთი ბუნებით მშვიდობისმოყვარენი არიან. უილსონის მიერ წამოყენებული პირობა, რომ ერთეულები მსგავს ღირებულებებს უნდა აღიარებდნენ, რათა

---

[78] უილსონის მიმართვა კონგრესისადმი. 1917 წლის 2 აპრილი. ნაშრომში: *Woodrow Wilson, Selections for Today*, ed. Tourtellot. pp. 143-44. უილსონის პოზიციის თანდათანობით ჩამოყალიბებისა და მასზე სახელმწიფო მდივნის ლანსინგის ზეგავლენის შესახებ იხილეთ: Buehrig, *Woodrow Wilson and the Balance of Power*; განსაკუთრებით გვერდები 138-44.

[79] უილსონის მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატების სენატისადმი. 1917 წლის 22 იანვარი. ნაშრომში: *Woodrow Wilson, Selections for Today*, ed. Tourtellot. p. 131.

[80] უილსონის მიმართვა მაუნტ ვერნონში. 1918 წლის 4 იელისი: *ibid*, p. 54.

საზოგადოების ჩამოყალიბება შეძლონ, უსაფუძვლო სულაც არ არის. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ მსგავსების მიღწევის სირთულეზე, რომელიც თავად უილსონმაც ძალე გამოსცადა. გარდა ამისა, ასეთი შეკითხვაც ჩნდება: რამდენად განვითარებული თანაშეგობრობა უნდა არსებობდეს იმისათვის, რომ ძალა, ამ სიტყვის ამჟამინდელი მნიშვნელობით, მის ერთეულებს შორის ურთიერთობებში საჭირო აღარ იყოს? თუ სახელმწიფოები ერთმანეთთან ურთიერთობებში ისეთივე ზნეობას გამოავლენენ, როგორსაც ინგლისელები ან ამერიკელები, იქნება კი ეს საკმარისი? როდესაც უილსონი სახელმწიფოებს შეთანხმებისაკენ მოუწოდებდა, რათა პატარა ერების უფლებები დაცული ყოფილიყო, იგი ფაქტობრივად laissez faire-ის პოლიტიკის მომხრე, ადრეული პერიოდის ლიბერალების ოპტიმიზმს იზიარებდა, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ მწარმოებლებს შორის ურთიერთობები წარმატებით დარეგულირდებოდა მათ შორის გაფორმებული კონტრაქტების მეშვეობით.[81]

ომის პრობლემის მოგვარების გზები, რომლებიც პირველი ან მეორე ხედვიდან გამომდინარეობს, კონფლიქტის მონაწილე ერთეულების სრულყოფის შესაძლებლობას უნდა ითვალისწინებდეს. თუ სრულყოფა სახელმწიფოებისთვისაც ისევე შეუძლებელია, როგორც ადამიანებისათვის, მაშინ ლიბერალურ სისტემას მსოფლიო მშვიდობის დამყარება მხოლოდ ნაწილობრივ შეუძლია. ასეთი არასრულფასოვანი მშვიდობის პირობებში ნუთუ ლოგიკური იქნება იმის მოლოდინი, რომ რომელიმე სახელმწიფო სხვების თანამშრომლობის სურვილს ენდობა? საკმარისია კი ინტერესთა არასრულყოფილი წონასწორობა და საზოგადოებრივი აზრი იმისათვის, რომ თითოეულ სახელმწიფოს, საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით, ძალის გამოსაყენებლად მუდმივი მზადყოფნა აღარ დასჭირდეს? თუ პასუხი უარყოფითია, მაშინ რამ უნდა აგვაცილოს თავიდან ძალთა ბალანსის უსიამოვნო სურათის განმეორება? ლიბერალების მისწრაფებათა უპერსპექტივობა სწორედ იმ მიზეზებითაა გამოწვეული, რომელთა გამოც ანარქიზმი მიუღწეველი იდეალია. წესრიგისა და სამართლიანობის შენარჩუნება გადაწყვეტილებათა მიღებისა და შესრულების მექანიზმების გარეშე სისტემის ერთეულების საკმაო დახვეწილობას საჭიროებს - განურჩევლად იმისა, ისინი ადამიანები არიან თუ სახელმწიფოები.

---

[81] უილსონის მიმართვა კონგრესისადმი. 1918 წლის 11 თებერვალი: *ibid.* p. 166.

ამისათვის აუცილებელი სასიკეთო ცვლილებების განსახორციელებლად, შესაძლოა, უფრო მეტი ძალა იყოს საჭირო, ვიდრე გაცილებით ნაკლებად სრულყოფილ სუბიექტებს შორის მინიმალური წესრიგისა და სამართლიანობის შესანარჩუნებლად. ამასთანავე, თუ კონფლიქტი არა მხოლოდ სუბიქტების ნაკლოვანებებიდან წარმოიშვება, არამედ მათ შორის ურთიერთობების ხარისხიდანაც, მაშინ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ანარქიის პირობებში ჰარმონიის მისაღწევად ცალკეული სუბიექ-ტების არავითარი გაუმჯობესება არ იქნება საკმარისი. ასე რომ, ლიბერალების რეკომენდაციები განუხორციელებადია და ამას მათ მიერ გაკეთებული ანალიზის არაადეკვატურობა განაპირობებს. სამარ-თლიანობა და მშვიდობა ისეთი ორგანიზაციის არსებობას მოითხოვს, რომელსაც მთავრობის მრავალი თვისება გააჩნია, ისევე, როგორც სახელმწიფოს საშინაო სამართლიანობის უზრუნველსაყოფად ყველაზე უფრო ძლიერი და აქტიური ხელისუფლების არსებობა აღმოჩნდა აუცილებელი.

დასკვნა

ამ თავში ლიბერალური მოძღვრება იქნა წარმოდგენილი, რომელიც საშინაო სფეროში, laissez faire-ის პრინციპის მომხრე ლიბერალიზმიდან ლიბერალურ რევიზიონიზმად გარდაიქმნა, ხოლო საერთაშორისო სფე-როში, თავდაპირველად ცალკეული სახელმწიფოების შინაგან გაუმჯო-ბესებაზე ამყარებდა იმედს, შემდეგ კი სახელმწიფოთა ორგანიზების აუცილებლობა აღიარა. მაგრამ, ჩაფიქრებული ორგანიზაციის ტიპი დასახული მიზნების მისაღწევად არასაკმარისი იყო. აქ, სამწუხაროდ, ისევ ვლინდება, როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო საკითხებში, ლიბერალებისათვის დამახასიათებელი, ძალის გონებით ჩანაცვლების ძველი ტენდენცია. საკუთარი ლოგიკის სინამდვილისადმი მკაცრად მისადაგება აიძულებდა მათ, უფრო დაჟინებით დაესვათ კითხვა, თუ ორგანიზებული ძალის რა ოდენობით გამოყენებაა აუცილებელი მათთვის სასურველი მშვიდობიანი მსოფლიოს შესაქმნელად. ბევრმა, ვინც სა-კუთარ თავს ლიბერალად მიიჩნევს, შეიძლება არ აღიაროს, რომ ასე მსჯელობს. უფრო გონიერი ლიბერალი, როდესაც ჩვენს მიერ აღწერილ პრაქტიკულ სიძნელეებსა და თეორიის ნაკლოვანებებს დაინახავს,

შესაძლოა, ჭეშმარიტი მსოფლიო მთავრობის საჭიროების ან მისი არასასურველი ალტერნატივის, ძალთა ბალანსის აუცილებლობას მტკიცებას შეუდგეს ან, სულაც, სასოწარკვეთილებაში ჩავარდეს. მოკლედ რომ ვთქვათ, მან მეორე ხედვაზე დაფუძნებული საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზის არაადეკვატურობა შეიძლება შეამჩნიოს.

დემოკრატიული სახელმწიფოებით სავსე მსოფლიო მუდმივად მშვიდობიანი მსოფლიო იქნება, მაგრამ ავტოკრატიული მთავრობები საომრად არიან განწყობილნი . . . მონარქიები - მშვიდობიანნი, დემოკრატიული სახელმწიფოები კი უპასუხისმგებლონი და იმპულსურნი არიან და, ამდენად, ომს აჩაღებენ . . . მიზეზი არა პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური წყობაა: ომის წარმოქმნას აქტიურად ხელს უწყობენ *კაპიტალისტური* დემოკრატიული სახელმწიფოები, ხოლო *სოციალისტური* დემოკრატიული სახელმწიფოები მშვიდობისმოყვარენი არიან. ამ მოსაზრებათაგან თითოეულს არაერთი მიმდევარი ჰყოლია და ამ მიმდევართაგან თითოეული კრიტიკოსებისა და ისტორიის მიერ იქნა გაკიცხული. უოლტერ ჰაინს პეიჯი, აშშ-ის ელჩი ინგლისში პირველი მსოფლიო ომის დროს, ამბობდა: „მსოფლიოს ნებისმიერ ნაწილში, სადაც ხალხს მეფის გარეშე მმართველობა ვერ წარმოუდგენია, უსაფრთხოება არ არსებობს და ვერც იარსებებს. არცერთი დემოკრატიული სახელმწიფო პროვოცირების გარეშე სხვათა დაპრყობას არ დაიწყებს.“ აწ განსვენებულმა დეკანოზმა ინჯმა ამაზე ძალიან მარტივი პასუხი გასცა: ჰკითხეთ მექსიკელს, ესპანელს, ფილიპინელს ან იაპონელს![82] 1891 წელს ენგელსი წერდა: „სოციალისტურ საფრანგეთსა და ასეთსავე გერმანიას შორის ალზას-ლორენის პრობლემა აღარ იარსებებს.“[83] ორი ბურჟუაზიული მთავრობის ინტერესები შეიძლება დაუპირისპირდეს ერთმანეთს,. მშრომელთა ინტერესები კი - არა. თუმცა, ტიტოსა და სტალინს შორის განხეთქილება მაინც მოხდა. ადვილად წინასწარმეტყველებადი იყო, - წერდა როი მაკრიდისი, - „რომ ორი ეროვნული კომუნისტური სახელმწიფო უცილობლად იმავე შეუთავსებლობას გამოაცალენდა, რომელიც მანამდე ნაციონალისტურად

---

[82] Inge, *Lay Thoughts of a Dean*, pp. 116-17.

[83] ენგელსის წერილი ბებელისადმი. 1891 წლის 24 ოქტომბერი. ნაშრომში: Marx and Engels. *Selected Correspondence*, tr. Torr, p. 491.

განწყობილ ბურჟუაზიულ ქვეყნებს შორის იყო შესამჩნევი."[84] დაახლოებით ეს იწინასწარმეტყველა მაქს ვებერმა ამ მოვლენებამდე ოცდაათი წლით ადრე.[85]

მეთვრამეტე საუკუნის ფრანგი რაციონალისტების ოპტიმიზმი საფრანგეთის რევოლუციურმა ომებმა გააქარწყლა. ასეთივე ბედი ეწია მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალების ოპტიმიზმს პირველი და მეორე მსოფლიო ომების შედეგად. უფრო ადრეულ პერიოდში მოღვაწე არაერთი ფრანგი ფიქრობდა, რომ განათლებული დესპოტიზმი მუდმივი მშვიდობის გარანტია იქნებოდა. უფრო გვიანდელი პერიოდის ლიბერალთა დიდი ნაწილის აზრით კი, ეს ფუნქცია რესპუბლიკურ ხელისუფლებას უნდა ეკისრა. იყო თუ არა ოპტიმისტების იმედგაცრუება მათი რეკომენდაციების არასრულყოფილების შედეგი? მართალია თუ არა, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები მშვიდობას ავრცელებენ, ომები კი იმის შედეგია, რომ საჭირო სახის დემოკრატიული სახელმწიფოების საკმარისი რაოდენობა არასოდეს არსებულა? ან იქნებ მშვიდობის გარანტიებს მმართველობის სოციალისტური ფორმა შეიცავს და ჭეშმარიტად სოციალისტური მთავრობები ჯერ არ შექმნილა?[86] ამ შეკითხვათაგან რომელიმეს დადებით პასუხს თუ გავცემთ, მაშინ სხვადასხვა რეკომენდაციების ღირსებები უნდა შევაფასოთ და ვეცადოთ იმის დადგენა, თუ რომელი მათგანი, ან მათი როგორი კომბინაცია, შეიცავს მშვიდობის ძნელად მოსაპოვებელ საიდუმლო ფორმულას. თუმცა, ჩვენს მიერ ლიბერალური თეორიების კრიტიკის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ვერცერთი რეკომენდაცია საერთაშორისო ურთიერთობებისათვის, რომელიც მხოლოდ მეორე ხედვის საფუძველზეა შედგენილი, გამოსადეგი ვერ იქნება, რადგანაც თავად ეს მიდგომაა მცდარი. ჩვენს მიერ ლიბერალების კრიტიკა აგრეთვე მიესადაგება ყველა იმ თეორიას, რომელიც ემყარება განზოგადებას, რომ სახელმწიფოს ან საზოგადოების მხოლოდ ერთი რომელიმე ტიპი მოუტანს მშვიდობას მსოფლიოს.

---

[84] Macridis. "Stalinism and the Meaning of Titoism," *World Politics*, IV (1952), 226.

[85] *From Max Weber: Essays in Sociology*, tr. and ed. Gerth and Mills. p. 169.

[86] იხილეთ შედარებისათვის: Dedijer, "Albania, Soviet Pawn," *Foreign Affairs*, XXX (1951), 104: მშვიდობას სოციალიზმი მოიტანს და არა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო კაპიტალიზმი.

ცუდი სახელმწიფოები ომს იწვევენ. ეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფართო გაგებით და მნიშვნელოვანწილად, სიმართლეს შეესაბამება. ამის საპირისპირო გამონათქვამი, რომ კარგი სახელმწიფოების არსებობა მსოფლიოში მშვიდობის დამყარებას ნიშნავს, ძალზე საეჭვო დებულებაა. საერთაშორისო ურთიერთობების მეორე ხედვის შიდა სირთულე იმავე ხასიათისაა, რაც პირველი ხედვის შემთხვევაში წარმოქმნილი პრობლემა. ზემოთ გამოთქმული მოსაზრება, რომ ადამიანები ქმნიან საზოგადოებას, მათ შორის საერთაშორისო საზოგადოებასაც, რომელშიც ცხოვრობენ, მიჩნეულ იქნა არა უბრალოდ მცდარად, არამედ არასრულყოფილადაც. აქვე უნდა დავამატოთ, რომ ადამიანებს ქმნიან ის საზოგადოებები, სადაც ისინი ცხოვრობენ. ასევე ხდება საერთაშორისო ურთიერთობებშიც. სახელმწიფოების, უფრო ზუსტად კი, იმ ადამიანების ნაბიჯები, რომ-ლებიც სახელმწიფოს სახელით მოქმედებენ, შეადგენს საერთაშორისო ურთიერთობების არსს. მაგრამ, საერთაშორისო პოლიტიკური გარემო გარკვეულწილად განაპირობებს სახელმწიფოთა ქცევას. სახელმწიფოთა შიდა წყობის გავლენას ომისა და მშვიდობის პრობლემის მოგვარებაზე ვერ დავადგენთ, ვიდრე საერთაშორისო გარემოს მნიშვნელობას არ განვიხილავთ. ამას VI და VII თავებში გავაკეთებთ. მანამდე კი, მეორე ხედვაზე დაფუძნებული მშვიდობის პროგრამის პრაქტიკულად განხორციელების სერიოზულ მცდელობას მივაპყრობთ ყურადღებას.

თავი V. მეორე ხედვის ზოგიერთი შედეგი

საერთაშორისო სოციალიზმი და პირველი მსოფლიო ომის მოახლოება

როგორც კი რომელიმე ჩვენი წარმოება თავისი პროდუქციისათვის ბაზარს ვეღარ პოულობს, აუცილებელი ხდება ომის დაწყება, გასაღების ახალი არხების მოსაძიებლად . . . მესამე ზელანდიაში ჩვენ მაცხოვრებელთა ორი მესამედი დავხოცეთ, რათა გვეიძულებინა დანარჩენები, ჩვენი ქოლგები და ქამრები ეყიდათ.

ანატოლ ფრანსი, *პინგვინთა კუნძული*

პოლიტიკის პრობლემების შესახებ ადამიანის მსჯელობის მთელი ისტორიის მანძილზე არსებობდა ორი, ნაწილობრივ ურთიერთსაპირისპირო მოსაზრება სახელმწიფოთა წყობისა და მათ მიერ წარმოებული ომების ხასიათის ურთიერთდამოკიდებულებაზე. *Das Primat der Aussenpolitik,** შეხედულება, რომელიც ცნობილი გახდა იმის წყალობით, რომ უამრავ ადამიანს ძლიერად სწამდა მისი მეცხრამეტე საუკუნის გერმანიაში, ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში არსებობდა. მაგალითად, არისტოტელე ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს პოლიტიკურ წყობაზე შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს მისმა სამხედრო ორგანიზაციამ, რომლის საჭირო ტიპი, თავის მხრივ, შესაძლოა, პოლიტიკის მიღმა მდებარე ისეთი ფაქტორებით იყოს განპირობებული, როგორიცაა გეოგრაფიული მდებარეობა.[1] საპირისპირო მოსაზრება, რომლის თანახმად სამხედრო ძალის ორგანიზაციასა და გამოყენებას შიდა პოლიტიკური წყობა განსაზღვრავს, ასევე ძველია და არანაკლებ მნიშვნელოვნად ითვლებოდა. მაგალითისათვის, თუნდაც, პლატონის ან საფრანგეთის რევოლუციური არმიების გახსენება კმარა.[2] მეორე ხედვა უფრო ზოგადად

---

* საგარეო პოლიტიკის პრიმატი

[1] Aristotle, *Politics*, tr. Jowett, 1321a; cf. 1274a, 1304a.

[2] იხილეთ შედარებისათვის: Plato, *Laws*, tr. Jowett, 628: „ჭეშმარიტი სახელმწიფო

გამოხატავს შემდეგ აზრს: სახელმწიფოთა შიდა წყობა არა მარტო სამხედრო ძალის ფორმასა და გამოყენებას, არამედ, ზოგადად, საგარეო ქცევასაც განაპირობებს. როგორც წინა თავში ვიხილეთ, ამ აზრს ბევრი მომხრე ჰყავდა. ბევრი მას დღესაც იზიარებს. ვუდრო უილსონი და სერ ედუარდ გრეი ამ ხედვის საფუძველზე განმარტავდნენ, თუ რატომ დაიწყეს ცენტრის სახელმწიფოებმა პირველი მსოფლიო ომი, ხოლო ომის შემდგომმა რევიზიონისტმა ისტორიკოსებმა ის საფრანგეთის, რუსეთის, ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეტ-ნაკლებად თანაბარი ბრალის დასამტკიცებლად გამოიყენეს. 1940-იან და 1950-იან წლებში მეორე მსოფლიო ომის ისტორიული რევიზიონისტები ბენთამისა და ბრაითის სტილით საუბრობენ და წერენ. ისინი ამტკიცებენ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი თქვა (ვაშინგტონის უფრო ნაცნობი სიტყვების ნაცვლად, ბრაითის ფრაზა რომ გამოვიყენოთ) „ევროპულ პრობლემებში ჩაურევლობის" პოლიტიკაზე და ჩაება ომში, რომელიც ხალხს ვერავითარ სარგებელს ვერ მოუტანდა და მხოლოდ მთავრობასა ან მის გარეთ მყოფ დაინტერესებულ პირებს თუ მისცემდა ძალაუფლებისა და სიმდიდრის მოპოვების ან შეენარჩუნების საშუალებას. მაგალითად, ჯონ ფლინის აზრით, ფრანკლინ დელანო რუზველტი ცდილობდა, მეორე მსოფლიო ომში ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობა შინაპოლიტიკურ ასპარეზზე „ახალი კურსის" კანონმდებლობის ხელშეწყობისათვის გამოეყენებინა. ჩარლზ ბერდის აზრით, რუზველტმა სრულიად სხვა მიზეზის გამო ჩაგვითრია ასე ღრმად მსოფლიო პოლიტიკაში – იმისათვის, რომ აუცილებელ საშინაო ეკონომიკურ რეფორმებთან დაკავშირებული პოლიტიკური პრობლემებისათვის აერიდებინა თავი.[3]

მარქსი და მარქსისტები მეორე ხედვის ყველაზე უფრო ჩამოყალიბებულ ფორმას განასახიერებენ. ერთი შეხედვით, სოციალისტების შეხედულება ომსა და მშვიდობაზე არაფერია, თუ არა შემდეგი: კაპიტალისტური სახელმწიფოები იწვევენ ომს, ხოლო სახელმწიფოებში

მოღვაწე ვერ იქნება ის . . . ვინც მხოლოდ, ან პირველ რიგში, საგარეო ომებზე ფიქრობს. ასევე ვერ იქნება ბრძენი კანონმდებელი ის, ვინც მშვიდობას იყენებს ომისათვის და არა ომს მშვიდობის დასამყარებლად."

[3] იხილეთ ნაშრომი: Flynn, *The Roosevelt Myth, passim*; Beard, *Giddy Minds and Foreign Quarrels, passim*; *A Foreign policy for America*, ch. v.

რევოლუციების განხორციელება, კაპიტალიზმის მოსპობა და სოციალიზმის დამყარება მშვიდობას მოიტანს. გარდა ამისა, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს სხვადასხვა სოციალისტური პარტიის ქცევა - არა ის, რომ მათ ომი ვერ *აღკვეთეს,* არამედ ის, რომ წინ არ *აღუდგნენ* მას - ნებისმიერ შემთხვევაში საბრალდებო დასკვნაა სოციალისტური პარტიებისა და იმ თეორიებისათვის, რომლებსაც ისინი თითქოს ეყრდნობოდნენ. ამგვარი მოკლე შეჯამება ბევრ საინტერესო საკითხს ტოვებს უყურადღებოდ. სოციალისტური პარტიების წარსული ქცევისა და ომსა და მშვიდობასთან სოციალისტური თეორიის მიმართების დეტალური განხილვა განსაკუთრებით კარგად წარმოაჩენს მეორე ხედვის არსს, მის პრაქტიკულ სიძნელეებსა და გამოსადეგობას.

მარქსისტული ანალიზის კომპონენტები იმდენად კარგად არის ცნობილი, რომ მხოლოდ მათი მოკლე ჩამონათვალია საჭირო. (1) წარმოების კაპიტალისტური წესი წარმოშობს ორ ანტაგონისტურ კლასს - ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს. (2) კაპიტალისტური სახელმწიფო წარმოადგენს ამ კლასთაგან ერთ-ერთის - ბურჟუაზიის ინტერესების შესაბამისად ხელისუფლების მექანიზმის კონტროლს. (3) კაპიტალისტური სახელმწიფო გარკვეულ კონტროლს უქვემდებარებს კლასთა ბრძოლას, თუმცა, მას არ სპობს. (4) ომი შიდა კლასობრივი ბრძოლის საგარეო გამოხატულებაა, რაც ომის პრობლემას კაპიტალისტური სახელმწიფოების არსებობის თანამდევ მოვლენად აქცევს.[4] (5) სოციალიზმი სამუდამოდ აღმოფხვრის ომს. მეხუთე პუნქტი წი-

---

[4] „დღემდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია კლასობრივი ბრძოლის ისტორიაა." (Marx and Engels, *Communist Manifesto, tr.* Moore, p. 12.) სახელმწიფოებს შორის ომი და მშვიდობა ამ კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა ფაზებს ასახავს. ამას ამტკიცებენ მარქსი და ენგელსი ისტორიის შესახებ სხვადასხვა კომენტარებში. იხილეთ მაგალითად: Marx, *Capital,* tr. Moore and Aveling, Vol. I, ch. xxxi; Engels, *The Origin of the Family, Private Property and the State,* pp. 150-57; Marx and Engels, *Communist Manifesto,* tr. Moore, p. 39. ამავე მოსაზრებას გამოთქვამენ ისინი, ვინც მეტ-ნაკლებად მარქსის მიმდევრები არიან. იხილეთ ნაშრომები: Lenin, *The Collapse of the Second International,* tr. Sirnis, p. 22; Laski, "The Economic Foundations of Peace," in Woolf, ed., *The Intelligent Man's Way to Prevent War,* pp. 500-5; Strachey, *A Faith to Fight For,* p. 44.

ნამდებარე ოთხის სავსებით ლოგიკური გაგრძელებაა. თუ სახელმწიფო ერთი კლასის მეორეზე ბატონობას გულისხმობს, სოციალიზმი, მას შემდეგ, რაც კლასებს მოსპობს, სახელმწიფოსაც გააუქმებს. თუ ომი სახელმწიფოთა შორის წარმოქმნილი შეიარაღებული კონფლიქტია, მაშინ სახელმწიფოთა გაქრობა ომის დასასრულსაც უნდა ნიშნავდეს. ომისა და მშვიდობის პრობლემა უბრალოდ ვეღარ იარსებებს.[5]

მართალია, ეს დებულებები ლოგიკურად ჟღერს, მაგრამ ისინი ორაზროვანია გვიანდელი პერიოდის ბევრი სოციალისტისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საკითხში. ეს ორაზროვნობა გამომდინარეობს მარქსის მოძღვრებაზე დაფუძნებული სოციალისტური თეორიის წარუმატებლობიდან, პასუხი გასცეს შეკითხვას: მშვიდობის დასამყარებლად კაპიტალიზმი უნდა მოისპოს თუ სახელმწიფოები, ან იქნებ ორივე ერთად? შესაძლოა, ეს საკითხი სულაც არ იყოს ორაზროვანი მათთვის, ვინც სრულად იზიარებს მარქსის მოძღვრებას და სოციალისტური ხანის დადგომას ელის. ვინაიდან სოციალისტურ ხანაში არც სახელმწიფოები იარსებებენ და არც კაპიტალიზმი, მნიშვნელობა აღარ ექნება იმას, თუ რომელი მათგანი იყო ადრე ომის მიზეზი. რაც შეეხება ამ ხანის წინმსწრებ პერიოდს, მარქსისტი იტყვის, რომ ანალიზის დროს ტერმინები შეიძლება ერთმანეთისაგან განვაცალკევოთ, მაგრამ სინამდვილეში კაპიტალიზმი განუყოფელია კლასობრივი ბრძოლისაგან, სახელმწიფოებისაგან და ომისაგან. ერთგული მარქსისტისათვის მარქსის მოძღვრების ორაზროვნობა ომისა და მშვიდობის საკითხთან დაკავშირებით უმნიშვნელოა. ამ მხრივ მარქსისა და ენგელსის მოძღვრების მნიშვნელობა იმ მოსაზრებას კი არ უკავშირდება, რომ სახელმწიფოთა დასასრული ომის დასასრულიც იქნება, არამედ სწორედ იმ ფაქტს, რომ მარქსისტული თეორია ომისა და მშვიდობის თეორიას დამოკიდებულს ხდის რევოლუციური მსოფლიო პროლეტარიატის ტრიუმფზე, რის შემდეგაც ადამიანები სახელმწიფოებში აღარ იცხოვრებენ და

---

[5] მარქსისტული თეორიის თანახმად, სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის მშვიდობის პრობლემა მხოლოდ რევოლუციასა და სახელმწიფოს გაქრობას შორის არსებულ დროის მონაკვეთში შეიძლება წარმოიშვას, ხოლო დროის ამ მონაკვეთთან მიმართებაში მარქსისა და ენგელსისათვის სახელმწიფოებს შორის მშვიდობა უმთავრესი საკითხი სულაც არ იყო.

აპოლიტიკური თავისუფალი გაერთიანების წევრები გახდებიან.[6] ვიდრე პროლეტარული რევოლუცია საყოველთაო წარმატებას მიაღწევს, მარქსისტს საერთაშორისო პოლიტიკაში ომის აღკვეთა კი არ აინტერესებს, არამედ ორი სხვა პრობლემა: მშვიდობის გახანგრძლივება, თუ მშვიდობა საერთაშორისო სოციალიზმის ინტერესებს შეესაბამება და, საჭიროების შემთხვევაში, ომის ტაქტიკური გამოყენება რევოლუციის დასაჩქარებლად.

კაპიტალისტური სახელმწიფოები ომს იწვევენ, სოციალიზმი კი მშვიდობას უზრუნველყოფს. ამ მხრივ მარქსის მოსაზრება ნათელია. მაგრამ იქნება კი სოციალისტური სახელმწიფოებისაგან შემდგარი მსოფლიო მშვიდობიანი? მარქსისა და ენგელსის ნაშრომები ამ შეკითხვას პასუხს არ სცემს. მათ თეორიულ კონსტრუქციებში ეს საკითხი, ისევე, როგორც სახელმწიფო, სოციალიზმის პირობებში, უბრალოდ „ქრება."

სოციალისტური პარტიები პირველი მსოფლიო ომის პერიოდში

რა კავშირი აქვს მარქსისტულ თეორიას პირველი მსოფლიო ომის დროს სოციალისტების ქცევასთან? კავშირი ასეთია: მეორე ინტერნაციონალმა, ერთიანი ინტერესების შესახებ მარქსის ვარაუდის საფუძველზე ყოვლისმომცველი პროგრამის შექმნა სცადა ევროპაში მშვიდობის შესანარჩუნებლად. ეს პროცესი მეტად რთული აღმოჩნდა, რაც საბედისწერო 1914 წლის მოახლოებასთან ერთად სულ უფრო აშკარა გახდა. მეორე ინტერნაციონალის ყოველმა ყრილობამ მშვიდობის შესახებ რეზოლუცია მიიღო და თითოეული რეზოლუცია თითქოს მკაფიოდ აცხადებდა, რომ სოციალისტები ომის წინააღმდეგ გაერთიანებულნი იყვნენ. ისინი თანხმდებოდნენ იმაზე, რომ ომი ცუდია, მაგრამ განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოიქცნენ სოციალისტები საომარ მდგომარეობაში. ბევრი ფრანგი და ინგლისელი სოციალისტის მხარდაჭერით ჟან ჟორესი და კეირ ჰარდი აქტიურად ითხოვდნენ დაუყოვნებლივ განსახორციელებელი პოზიტიური

---

[6] Marx and Engels, *Communist Manifesto*, tr. Moore, pp. 43-44.

პროგრამის მიღებას. ისინი ამბობდნენ, რომ სოციალისტებს უნარი აქვთ, თვით კაპიტალისტური სახელმწიფოებიც კი აიძულონ, მშვიდობიანად იცხოვრონ. ამის მიღწევა მათ სხვადასხვა გზით შეუძლიათ, რისი კულმინაციაც იქნება საყოველთაო გაფიცვის მუქარა და აჯანყება ნებისმიერი მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც ომს წამოიწყებს. ეს მოსაზრება კარგად აისახა მეორე ინტერნაციონალის რეზოლუციებში.[7] მაგრამ ამავდროულად, ამავე რეზოლუციებში განსხვავებული მოსაზრებაც დაფიქსირდა, რომლისაც მათ არანაკლებად სწამდათ. ზოგიერთი ფრანგი სოციალისტი და გერმანელ სოციალისტთა უმეტესი ნაწილი ამტკიცებდა, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოები, მათი ბუნებიდან გამომდინარე, სამუდამოდ არიან დაკავშირებულნი ომის სისტემასთან. ამრიგად, მსოფლიოში მშვიდობის დასამყარებლად საჭიროა, მათ აღსასრულს შევუწყოთ ხელი.[8]

მართალია, განსხვავებულ შეხედულებათა დაახლოება მხოლოდ ზედაპირული იყო, მაგრამ სოციალისტებს შორის მაინც გაჩნდა რწმენა, რომ სოციალური დემოკრატია ეფექტიანი იარაღია ომის წინააღდეგ. ეს ასე არ მოხდა. გერმანული პარტია,[9] ყველაზე უფრო დიდი სოციალისტურ პარტიებს შორის, არათუ ვერ შეეწინააღმდეგა ომის დაწყებას 1914 წლის აგვისტოში, არამედ იმავე თვის 4 რიცხვში ერთხმად

---

[7] შტუტგარტი, 1907 წელი; განმეორდა კოპენჰაგენში, 1910 წელს: „თუ ომი მოახლოვდება, შესაბამისი ქვეყნების მშრომელთა კლასები და მათი წარმომადგენლები პარლამენტებში, საერთაშორისო ბიუროს დახმარებით, ყველაფერს იღონებენ, რათა ომის დაწყება არ დაუშვან და ისარგებლენ იმ საშუალებებით, რომლებსაც საჭიროდ ჩათვლიან და რომლებიც, ბუნებრივია, განსხვავებული იქნება კლასობრივი ბრძოლის სიმწვავიდან და ზოგადი პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე.“ ციტატა მოყვანილია ნაშრომიდან: Walling. *The Socialists and the War*, pp 99-100.

[8] შტუტგარტი: „ომები კაპიტალიზმის ბუნების განუყოფელი ნაწილია; ისინი მხოლოდ მაშინ შეწყდება, როდესაც კაპიტალისტური სისტემა დასუსტდება ან როდესაც შეიარაღების ოდენობა იმდენად გაიზრდება, რომ უდიდესი მსხვერპლი და ფულადი დანახარჯები აიძულებს ადამიანებს აჯანყდნენ და კაპიტალიზმს ბოლო მოუღონ.“ *Ibid*, p. 38.

კოპენჰაგენი: „ომები საბოლოოდ მხოლოდ მაშინ შეწყდება, როდესაც წარმოების კაპიტალისტური წესი გაქრება.“ *Ibid*, p. 40.

[9] გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, შემოკლებით: გსპ (Sozialdemokratische Partei Deutschlands, SPD).

დაუჭირა მხარი გერმანიის ბურჟუაზიული მთავრობისათვის ომის საწარმოებლად კრედიტების გამოყოფას, იმის მიუხედავად, რომ პარტიის ხელმძღვანელებს შორის ამის თაობაზე უთანხმოება არსებობდა. ომში ჩაბმულ სხვა სახელმწიფოებში სოციალისტური პარტიები აგრეთვე უჭერდნენ მხარს თავის მთავრობებს. საკუთარი სტერეოტიპების გამო, ადამიანი შეიძლება ან ინტერნაციონალის გულმოდგინე შრომის შედეგად შექმნილი სამშვიდობო პროგრამის წარუმატებლობამ განაცვიფროს ან, ერთი შეხედვით, არასტაბილური სინთეზის მდგრადობამ. ის, თუ როგორ გაუძლო სინთეზმა ამდენ კამათს ომამდელ პერიოდში, არაერთხელ იქნა ახსნილი. ზოგიერთი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, თუ რაოდენ ოსტატურად ახერხებდა ჟორესი თითოეულ საერთაშორისო შეკრებაზე განსხვავებული მოსაზრებებს შორის კომპრომისის მიღწევას, რათა მოჩვენებითი ერთობა დაემყარებინა იქ, სადაც უთანხმოება უფრო დიდი იყო. სხვები სამშვიდობო პროგრამის ჰუმანური ხასიათის მიმზიდველობას უსაქმდნენ ხაზს, რომელიც თავისთავად ბევრ უთანხმოებაზე უფრო მაღლა იდგა. უფრო ზოგადად, შეიძლება აღინიშნოს, რომ დაპირისპირებულ მხარეებს შეუძლიათ მოჩვენებითი ერთობის დემონსტრირება მაშინაც კი, როდესაც რამდენიმე ურთიერთსაპირისპირო შეხედულება არსებობს. ისევე, როგორც გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია თითქოს ერთიანი იყო მანამ, სანამ მოქმედების საჭიროება არ წარმოიშვა, მეორე ინტერნაციონალიც შეკავშირებული, ან თითქმის შეკავშირებული იყო, ვიდრე მისი ომის წინააღმდეგ მიმართული პოზიციის პრაქტიკულად განხორციელება არ გახდა აუცილებელი. პრინციპის საილუსტრაციოდ ასეთი მაგალითი მოვიყვანოთ: ქმარი და ცოლი შეიძლება შეთანხმდნენ, რომ საძინებელი ოთახი ამჟამად უსიამოვნო ფერად არის შეღებილი, მაგრამ მათ სიფრთხილე მართებთ, თუ, ეს ზედაპირული ჰარმონია მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ქმარი ამ ფერს ძალზე მუქად მიიჩნევს, ცოლი კი - ზედმეტად ღიად.

ომის დაწყების შემდეგ, მეორე ინტერნაციონალის რეზოლუციებში მიღწეულმა ზედაპირულმა ჰარმონიამ ინტერესთა და განზრახვათა კონფლიქტს დაუთმო ადგილი, რომელიც ფარულად მანამდეც არსებობდა. პრაქტიკული კონფლიქტი ცალკეულ სოციალისტურ პარტიებს შორის თეორიული საკითხების შესახებ იმ უთანხმოებით შეიძლებოდა ახსნილიყო, რომელიც ინტერნაციონალის ყრილობებზე გაჩაღებულ დებატებში

გამოჩნდა. ნაცვლად ამისა, კამათი სხვა საკითხის გამო წარმოიშვა. ვინაიდან ყველა იზიარებდა მოსაზრებას, რომ სოციალისტებს საკუთარი ქვეყნების თავდაცვითი ომების მხარდაჭერა შეეძლოთ, ყველა დაინტერესდა საკითხით: რომელი ქვეყნებისათვის იყო ეს ომი თავდაცვითი? ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიაში თითოეული პარტიის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა გარკვევით და სწრაფად პასუხობდა: ომი სწორედ ჩვენი ქვეყნისთვისაა თავდაცვითი. საფრანგეთში რწმენა, რომ ომი თავდაცვითი იყო, მეტიც, რომ საფრანგეთი, მიუხედავად კაპიტალისტური მთავრობის არსებობისა, სხვა სახის ომში ვერც ჩაებმებოდა, ჟან ჟორესის მიერ ომის დაწყების წინ გაკეთებულ განცხადებაში აისახა:

ჩვენი, როგორც ფრანგი სოციალისტების, მოვალეობა ნათელია: არ არის აუცილებლობა იმისა, რომ ჩვენ ვაიძულოთ საკუთარი ხელისუფლება, მშვიდობიანი პოლიტიკა გაატაროს, რადგანაც ის უკვე ახორციელებს ასეთ პოლიტიკას. ვინაიდან ჩვენი შოვინისტების სიძულვილისათვის თავის არიდება არასოდეს მიცდია. . . უფლება მაქვს ვთქვა, რომ დღეს საფრანგეთის მთავრობას მშვიდობა სურს და მის შესანარჩუნებლად მოქმედებს კიდეც.[10]

აშკარაა, რომ საფრანგეთის პოლიტიკის შესახებ ამგვარი მიკერძოებული შეხედულების თანახმად, საფრანგეთი მხოლოდ იძულების შემთხვევაში თუ ჩაებმებოდა ომში. მაგრამ განა ომი გერმანიისთვისაც ისეთივე თავდაცვითი არ იყო, როგორც საფრანგეთისათვის? გერმანელი სოციალისტები სწორედ ასე ფიქრობდნენ, რაზეც მიუთითებს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის განცხადება, რომელშიც ის ომის მიმართ თავის პოზიციას განმარტავდა:

. . . ჩვენ უცხოელთა მიერ დაპყრობის საფრთხე გვემუქრება. ჩვენს წინაშე ამჟამად მდგომი პრობლემა ის კი არ არის, თუ რა უფრო მიზანშეწონილია: ომი თუ მშიდობა, არამედ ის, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ჩვენი ქვეყნის დასაცავად.

. . . რაც შეეხება ჩვენს ხალხსა და მის დამოუკიდებლობას, ბევრი რამ, და იქნებ ყველაფერიც, საფრთხეში აღმოჩნდება, თუ გაიმარჯვებს

[10] პასუხი ჰააზეს საერთაშორისო სოციალისტური კომიტეტის შეხვედრაზე ბრიუსელში, 1914 წლის 28 ივლისს. ციტატა მოყვანილია ნაშრომიდან: La Chesnais. *Le Groupe Socialiste du Reichstag et la Déclaracion de Guerre*, p. 30.

რუსული დესპოტიზმი, რომელიც უკვე თავისი ქვეყნის ყველაზე ღირსეული შვილების სისხლში ცურავს.

აქედან გამომდინარე, ჩვენი მოვალეობაა, თავიდან ავიცილოთ ეს საფრთხე, დავიფაროთ ჩვენი ქვეყნის ცივილიზაცია და დამოუკიდებლობა. ამიტომაც, დღეს უნდა დავამტკიცოთ ის, რასაც ყოველთვის ვამბობდით. საფრთხის ჟამს გერმანიას შეუძლია, ჩვენი იმედი ჰქონდეს.

ჩვენი პოზიცია ემყარება მშრომელთა ინტერნაციონალური მოძრაობის ძირითად დოქტრინას, რომელიც ყოველთვის აღიარებდა, რომ თითოეულ ხალხს ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული თავდაცვის უფლება აქვს. ამავე დროს, ჩვენ ვგმობთ ნებისმიერ ომს, რომლის მიზანიც დაპყრობაა.[11]

ეს განცხადებები კეთდებოდა იმის მიუხედავად, რომ 31 ივლისამდე მაინც *„ფორვერტსი,“* გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნახევრად ოფიციალური ორგანო, კვლავაც გმობდა ყოველგვარ ომს, განსაკუთრებით კი მოახლოებულს, რომელსაც კაპიტალისტები აქეზებდნენ და ყველა კარგი სოციალისტი უნდა დაპირისპირებოდა. გერმანიის სოციალისტურ პრესაში ყოველდღიურად გამოქვეყნებული გაბედული დეკლარაციების მიხედვით, გერმანელი მშრომელები გერმანელი კაპიტალისტებისათვის არ იომებდნენ, თუნდაც, მომავალ ომში რუსეთი ჩაბმულიყო.

ყველა მეომარი ქვეყნის სოციალისტები საერთაშორისო პოლიტიკის ბლაბუდაში აღმოჩნდნენ გახლართულნი ისევე, როგორც ყველა პარტიის წევრები. ფრანგი სოციალისტები შიშობდნენ, რომ რეალური საომარი მდგომარეობის დროს გერმანელი სოციალისტები გერმანული მილიტარიზმის ეფექტიანად შეზღუდვას ვერ შეძლებდნენ.[12] თუ გერმანელი სოციალისტები მათი მთავრობის მიერ ომის წამოწყებას ვერ აღკვეთდნენ, ფრანგ სოციალისტებს საფრანგეთის დაცვაში მონაწილეობის მიღება მოუხდებოდათ. თავის მხრივ, გერმანელ სოციალისტებს ეშინოდათ, რომ გერმანულ მილიტარიზმს ეფექტიანად თუ შეზღუდავდნენ, საბოლოო

---

[11] გადმობეჭდილია ნაშრომში: Walling, *The Socialists and the War*, pp. 143-44.

[12] განსაკუთრებით კარგი მაგალითისათვის იხილეთ ჟორესის მიერ 1904 წელს ამსტერდამში წარმოთქმული სიტყვა; ციტატა მოყვანილია წიგნიდან: Lair, [illegible]

შედეგი რუსეთის მიერ გერმანიის დაპყრობა იქნებოდა.[13] ამის თავიდან ასაცილებლად, გერმანელ სოციალისტებს გერმანიის დაცვის საქმეში მონაწილეობა მოუწევდათ. ინგლისელთა დიდი ნაწილისათვის, სოციალისტებისა და სხვებისთვისაც ომის თავდაცვითი ხასიათი გერმანიის მიერ ბელგიის დაპყრობიდან გამომდინარეობდა. ხოლო გერმანელთა უმეტესობისათვის, როგორც სოციალისტების, ისე სხვებისთვისაც ბელგიის დაპყრობა თავდაცვითი სტრატეგიით ნაკარნახევი შემტევი ტაქტიკა იყო.

ომამდე მიღებული სამშვიდობო რეზოლუციები თავდაცვით ომებში მონაწილეობის ნებას რთავდა სოციალისტებს. ახლა კი აღმოჩნდა, რომ ომი ყველასთვის თავდაცვითი იყო! ეს სირთულე გაუთვალისწინებელი არ ყოფილა. ავგუსტ ბებელის მტკიცებას, რომ თავდაცვითი ომისათვის დაშვებული გამონაკლისი გაურკვევლობას არ წარმოშობს, კარლ კაუცკიმ 1907 წელს უპასუხა, რომ პოლიტიკურად ყველაზე უფრო გამოცდილ ადამიანებსაც კი გაუჭრდებათ იმაზე შეთანხმება, თუ რომელმა ქვეყანამ დაიწყო ომი, განსაკუთრებით, ომის დაწყების შემდეგ. კაუცკიმ სხვა კრიტერიუმი შემოიტანა, რომელიც, ალბათ, უფრო ნაკლებად სუბიექტური იყო. კონკრეტულ ომში პროლეტარიატის მონაწილეობის საკითხი, მისი აზრით, პროლეტარიატის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა გადაწყვეტილიყო.[14] ვინაიდან ამ დაპირისპირებას 1914 წლის ზაფხულის თვალთახედვიდან განიხილავდა, კაუცკი მხოლოდ ერთ შესაძლო დასკვნამდე მიდიოდა: ამ ორი კრიტერიუმიდან არცერთი არ გამოდგებოდა ობიექტურ სახელმძღვანელო პრინციპად. ფრანგული

---

[13] იხილეთ ფრანგული უმცირესობის წევრის, გედის განცხადება საფრანგეთის სოციალისტურ კონგრესზე, რომელიც ომის გამოცხადებამდე რამდენიმე კვირით აღრე გაიმართა. იგი ამტკიცებდა, რომ „საყოველთაო გაფიცვა უფრო პროგრესული ქვეყნების სოციალიზმს საფრთხეს შეუქმნის. როგორ უნდა შეძლოს საერთაშორისო ბიურომ იმის უზრუნველყოფა, რომ გაფიცვა ყველგან ერთსა და იმავე დროს დაიწყოს? მას ეს რომც შეეძლოს, მშრომელთა სხვადასხვა ორგანიზაციას ხომ მაინც განსხვავებული ძალა დარჩება? უფრო კარგად ორგანიზებული ქვეყანა კრახს განიცდისა, ხოლო ეს ნამდვილად სოციალიზმის ღალატი იქნება.“ ციტატა მოყვანილია ნაშრომიდან: Walling, *The Socialists and the War*, p. 60. მსგავსი განცხადება გააკეთა ბებელმა ჯერ კიდევ 1891 წელს. იხილეთ ნაშრომი: Joll, *The Second International*, p. 73.

[14] კაუცკის კრიტერიუმი უფრო მეტად მარქსისტულია. იხილეთ:*Ibid.*, pp. 127-28.

და გერმანული პარტიები ორივე შეკითხვას განიხილავდნენ - ვისი ბრალი იყო ომის დაწყება და როგორი კურსი შეესაბამებოდა პროლეტარიატის ინტერესებს - და, მაინც, ურთიერთსაპირისპირო დასკვნებამდე მივიდნენ. ეს იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ პროლეტართა ინტერესების ერთიანობა ფიქციაა, ყოველ შემთხვევაში, ომის დროს მაინც. ასეთ დასკვნას აკეთებს კაუცკი, რომელიც მესამე კრიტერიუმს გვთავაზობს.[15] იგი ამბობს, რომ შესაძლებელია ვიკამათოთ იმის თაობაზე, თუ ვინ არის აგრესორი და ვერ შევთანხმდეთ, თუ რა უფრო სახიფათოა პროლეტარიატისათვის - გერმანიის მიერ საფრანგეთის, თუ რუსეთის მიერ გერმანიის დამარცხება, მაგრამ ერთი რამ ნათელია: „ყოველი ხალხი და ყოველი ხალხის პროლეტარიატი დიდად არის დაინტერესებული, რომ მტერმა საზღვარი არ გადმოლახოს და მას საშინელი და ამაოხრებელი ომი არ დაატეხოს თავს." რადგან არავის შეუძლია დაბეჯითებით თქვას, ვინ არის აგრესორი ან რა არის პროლეტარიატის საერთაშორისო ინტერესი, თითოეულმა ერმა უნდა „გააკეთოს ყველაფერი, რაც შეუძლია საკუთარი თავის გადასარჩენად." ამრიგად, მესამე კრიტერიუმი მოითხოვს, რომ ომი თავდაცვითი ომის სახით *წარმოებდეს*. პირობა, რომ პროლეტარიატმა მხოლოდ თავდაცვით ომს შეიძლება დაუჭიროს მხარი, გულისხმობს, რომ პროლეტარიატმა ომში მონაწილეობა მხოლოდ მაშინ უნდა მიიღოს, როდესაც საქმე უშუალოდ ქვეყნის დაცვას ეხება.[16] იძლევა თუ არა ამგვარი მიდგომა უფრო გამოსადეგ კრიტერიუმს ისეთი საკითხია, რომელსაც კომენტარი ნაკლებად ესაჭიროება. კრიტერიუმის ხანგრძლივი ძიება თავისთავად საკმარისი კომენტარია.

როგორც აღვნიშნეთ, მეორე ინტერნაციონალის რეზოლუციები პროლეტარიატს თავდაცვით ომებში მონაწილეობას არ უკრძალავდა. ამასთანავე, ხსენებულ რეზოლუციებში ასახული იყო რწმენა, რომ ევროპული ომი ყველა სოციალისტური პარტიისათვის ნიშანი იქნებოდა,

---

[15] იხილეთ შედარებისათვის: Kautsky, "Die Internationalitat und der Krieg," *Die Neue Zeit*, 33d Year, I (November 27, 1914), 248: ინტერნაციონალი „ომის დროს ეფექტიანი ინსტრუმენტი არ არის. ის, უმთავრესად, მშვიდობიანი პერიოდის ინსტრუმენტია."

[16] Kautsky, "Die Sozialdemokratie im Kriege," *Die Neue Zeit*, 33d year, I (October 2, 1914), 4, 7-8.

ომის წინააღმდეგ ინტერნაციონალურ მოძრაობაში გაერთიანებულიყვნენ და არა იმის ნიშანი, რომ თითოეული პარტია საკუთარი სამშობლოს დასაცავად დარაზმულიყო. ბოლოს და ბოლოს, რატომ უნდა ყოფილიყვნენ სოციალისტები დაინტერესებულნი თავიანთი ბურჟუაზიული სახელმწიფოების დაცვით? მიუხედავად იმ უთანხმოებებისა, რომლებიც ხშირად ვლინდებოდა ყრილობებზე წარმოებულ დებატებში, სოციალისტთა დიდი ნაწილისათვის თითქოს ნათელი იყო, რომ ასეთი დაინტერესების არავითარი საფუძველი არ არსებობდა.[17] ამდენად, მხოლოდ იმის თქმა, რომ ომის დაწყების შემდეგ სოციალისტები უშედეგოდ ცდილობდნენ აგრესიული ომის თავდაცვითი ომისაგან გარჩევას, საკმარისი არ არის. იმისათვის, რომ ავხსნათ, თუ რატომ აღმოჩნდა საკუთარი ქვეყნების დაცვა მათთვის მნიშვნელოვანი, ჩვენ უნდა განვიხილოთ, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა, სოციალისტების მოლოდინიც და სამშობლოს სიყვარულიც.[18] გერმანელებისა და ავსტრიელების გამარჯვებას აღმოსავლეთ ფრონტზე საფრანგეთის უსაფრთხოებისათვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენება შეეძლო. მათი გამარჯვების ალბათობის შესამცირებლად საფრანგეთს ომში ჩაბმა მოუწევდა. თუ ფრანგი სოციალისტები იმავდროულად ფრანგი პატრიოტებიც იყვნენ, მათ ეს დასკვნა უნდა გაეზიარებინათ, როგორც ნებისმიერ ბურჟუას. ჟორესის მიმდევარი ფრანგი სოციალისტები კი, მართლად, იყვნენ ფრანგი პატრიოტები, რადგანაც ჟორესმა წამოაყენა თეზისი, რომ სოციალიზმი და ეროვნული სუვერენიტეტი არათუ შეუთავსებელია, არამედ ბედნიერი სოციალისტური მომავლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. თუ სოციალიზმი ერის წიაღში უნდა განვითარდეს, მაშინ საჭიროა ერის დაცვა. გერმანელი სოციალისტებისათვის საკითხი უფრო რთულად იდგა, თუნდაც, იმიტომ, რომ მათი

---

[17] იხილეთ შედარებისათვის: Kautsky: „რადგან ჩვენ ერთსულოვნად ვგმობდით ომს და რადგან ვიცოდით, რომ დღეს ომის ძირითად წყარო იმპერიალისტური ტენდენციებია, ადვილი იყო იმ დასკვნის გაკეთება, რომ ჩვენ, ინტერნაციონალის წევრებმა, ომის პრობლემებთან დაკავშირებით სრულ ერთიანობას მივაღწიეთ." "Die Internationalitat und der Krieg." *Die Neue Zeit*, 33d Year. I (November 27. 1914). 240.

[18] ამ საკითხებთან დაკავშირებით განსაკუთრებით კარგი მაგალითისათვის ისილეთ: Cole. *A History of Socialist Thought*, III, 60, 84. 91-96. 947-48: Schorske. *German Social democracy*, ch. xi.

თეორია, სიტყვიერად მაინც, მარქსის დოქტრინის უფრო ერთგული იყო. მეორე მხრივ, გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ იმდენს მიაღწია, რომ ომის წინ ჩატარებულ არჩევნებში ოთხ მილიონ ხმაზე მეტი მიიღო და რაიხსტაგის წევრთა თითქმის ერთი მესამედი შეადგინა. თუ გერმანია ომში სწრაფ გამარჯვებას მოიპოვებდა, რაც 1914 წლის ზაფხულში აუხდენელ ოცნებას სულაც არ ჰგავდა, ჩაურველობა დიდ ზიანს მოუტანდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას საშინაო პოლიტიკაში, რადგანაც გამარჯვება მთლიანად ბურჟუაზიულ პარტიებს მიეწერებოდა. გერმანიის დამარცხების შემთხვევაში კი, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არავინ დასდებდა ბრალს, რომ მან კრიზისულ ვითარებაში სახელმწიფოს სოლიდარობა შეარყია და მარცხი განაპირობა? ნებისმიერ შემთხვევაში ომის წინააღმდეგ გამოსვლა, შესაძლოა, პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფასი ყოფილიყო, ხოლო ასეთ შემთხვევაში რა ბედი ეწეოდა გერმანიაში სოციალიზმის დამყარების შესაძლებლობას? საუბარი იყო გერმანიაზე, ევროპის ცენტრში მდებარე სამრეწველო გიგანტზე, რომლის მომავალსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო გერმანელი, არამედ სხვა ეროვნების სოციალისტებისთვისაც. თუ გერმანელმა სოციალისტებმა, ომის რეალობის პირისპირ აღმოჩენის შემდეგ, მეორე მოსაზრებას დაუჭირეს მხარი და გადაწყვიტეს, რომ რუსეთის მიერ გერმანიის დამარცხება არა მარტო გერმანული სახელმწიფოს კაპიტალისტური აპარატის მარცხი, არამედ ზოგადად ცენტრალური ევროპის სოციალისტურ მისწრაფებათა მარცხიც იქნებოდა, ინგლისელმა სოციალისტებმა, თავის მხრივ, გადაწყვიტეს, რომ ინგლისი ანტანტაში თავის მოკავშირეებს თუ არ დაეხმარებოდა, გერმანია გაიმარჯვებდა, „ხოლო გერმანიის გამარჯვება ევროპული დემოკრატიის სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა.“[19] ამგვარ ზეწოლაზე განსხვავებული რეაქციები თვით თავდადებულ სოციალისტთა შორისაც კი იყო შესაძლებელი. ძალის პოლიტიკამ, როგორც საშინაომ, ისე საგარეომ, შეაფერხა სოციალისტთა სწრაფვა ერთიანობისაკენ, რომლის მიღწევასაც ისინი ომამდელ წლებში ასე გულმოდგინედ ცდილობდნენ.

---

[19] 25 ლეიბორისტი პარლამენტარის მიერ ხელმოწერილი დეკლარაცია; ციტატა მოყვანილია წიგნიდან: Humphrey, *International Socialism and the War*, pp. 112-13.

პირველი მსოფლიო ომის დროს მშრომელთა ქცევამ ცხადყო, რომ *ინტერნაციონალური* პროლეტარიატი არ არსებობდა და რომ იყვნენ მხოლოდ *ნაციონალური* სოციალისტური პარტიები, რომელთა მოქმედებაზეც მათ მიერვე განსაზღვრული კონკრეტული პირადი ინტერესები ახდენდა გავლენას. ასეთ შემთხვევაში, სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარულ პარტიებს შორის ინტერესთა სპონტანური ჰარმონია ისევე რთულად ასახსნელი იქნებოდა, როგორც ნავარაუდევი ინტერესების ჰარმონია სხვადასხვა ბურჟუაზიულ მთავრობას შორის![20] ნაციონალურ სოციალისტურ პარტიებს შორის სპონტანური თანხმობის დამაბრკოლებელი სირთულეების გასაგებად, რაზეც სოციალისტურ რეზოლუციებშიც იყო საუბარი, საკმარისია იმის გაცნობიერება, რომ ასეთი ჰარმონია როგორც ტაქტიკის, ისე მიზნების თაობაზე შეთანხმებას მოითხოვს. ყველა სოციალისტის საერთო მისწრაფება, თუ ასეთი რამ, მართლაც, არსებობდა, ერთიანობის შესანარჩუნებლად საკმარისი აღარ იყო. კაპიტალისტური სახელმწიფოების პოლიტიკასთან მხოლოდ სიტყვიერი დაპირისპირება უკვე აღარ შეიძლებოდა. სოციალისტურ პარტიებს ან აქტიური წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ ან საერთოდ შეეწყვიტათ წინააღმდეგობა. სპონტანური ჰარმონიის შესახებ ვარაუდი სწორედ ამ დროს გაქარწყლდა, რაც გარდაუვალი იყო.

თუ სოციალისტურმა პარტიებმა საკუთარ მთავრობებს იმ უბრალო მოტივების გამო დაუჭირეს მხარი, როგორიცაა ერის თავდაცვაზე ზრუნვა და შინაპოლიტიკურ კონკურენციაში პარტიის ძლიერების შენარჩუნების სურვილი, მაშინ რაღა ვუყოთ მარქსისტთა რწმენას, რომ სოციალისტური რევოლუციით პროლეტარიატის დაინტერესება ყველა სხვა ინტერესზე მაღლა დგას და მათ დრომოჭმულ იდეათა სანაგვეში მიუჩენს ადგილს? კაუცკი გულახდილად აღიარებდა, რომ ინტერესთა ჰარმონიის დოქტრინა პრაქტიკაში მარცხს განიცდის.

---

[20] მეორე ვარიანტს რამდენიმე სოციალისტი განიხილავდა, მათ შორის თავად მარქსიც. მაგალითად, კაუცკი ვერ ხვდებოდა, თუ რატომ არ უნდა გაეზიარებინათ შორსმჭვრეტელ კაპიტალისტებს შემდეგი ლოზუნგი: „კაპიტალისტებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" "Der Imperialismus." *Die Neue Zeit*, 32d Year. II (September 11, 1914). 920. ჰობსონის აზრით, საერთაშორისო კაპიტალისტური წესრიგის დამყარება საშინელი, თუმცა, საკმაოდ შესაძლებელი პერსპექტივაა. იხილეთ მისი *Problems of a New World*, pp. 182-86.

ორთოდოქსული სოციალისტური თეორიის ამგვარი ხელყოფა წარმოუდგენელია, თუ გვსურს, რომ სოციალისტური მიზანი კვალავაც მეტ-ნაკლებად პრაქტიკულ დებულებად დარჩეს. სოციალისტური თეორიის გადასარჩენად საჭიროა, რომ ის სწრაფად და გონივრულად იქნეს ადაპტირებული ახალ პირობებთან. ლენინმა გაითვალისწინა ეს პირობები და თეორიაში ისეთი ცვლილებები განახორციელა, რომლებიც შესაფერისად მიიჩნია. მომდევნო ქვეთავში სწორედ მასზე ვისაუბრებთ.

თეორიის მორგება ფაქტებზე: ლენინი

პირველი მსოფლიო ომის დროს, თითოეული სოციალისტური პარტია, ემოციური და მატერიალური ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთარ ეროვნულ სახელმწიფოზე აღმოჩნდა მიჯაჭვული. ეროვნულ დონეზე სოციალისტურ პარტიებად ორგანიზებულ მშრომელთა ინტერესები პრაქტიკაში სულაც არ დაემთხვა ერთმანეთს იმდენად ზუსტად, როგორც ეს თეორიაში იყო გათვალისწინებული. ამ აღმოჩენამ სოციალისტების დიდი ნაწილი გააოცა. ლენინს, მაგალითად, თავდაპირველად არ სჯეროდა, რომ სოციალ-დემოკრატებმა გერმანიის მთავრობის საომარი წამოწყების მხარდაჭერა გადაწყვიტეს და ამრიგად, ნაწილობრივ მაინც, ომისადმი მხარდაჭერა გამოხატეს. როდესაც მან ამის შესახებ შეიტყო, სხვა ახსნა ვერ მოძებნა, გარდა იმისა, რომ ეს იყო კაპიტალისტური პრესის შეთქმულება, რომელმაც განგებ არასწორედ გადმოსცა გერმანელი სოციალისტების პოზიცია.

თავისი თავდაპირველი მოსაზრების მცდარობის აღმოჩენის შემდეგ ლენინი გულმოდგინედ შეუდგა სხვა ახსნის ძიებას, რადგანაც ეს სოციალისტური თეორიის გადასარჩენად აუცილებელი იყო. მარქსის თეორიის თანახმად, პროლეტარიატს მართლაც აქვს ერთიანი ინტერესები. თუ ეს მოსაზრება ვარგისია, მაშინ ეროვნული პარტიების უუნარობა იმოქმედონ ამ ინსტინქტის შესაბამისად ან იმას უნდა ნიშნავდეს, რომ არსებული სოციალისტური პარტიების პროლეტარიატთან გაიგივება არ შეიძლება, ან იმას, რომ სოციალისტების ლიდერებმა ვერ შეძლეს პროლეტარიატის ჭეშმარიტი ინტერესების სათანდოდ ინტერპრეტირება და შესაბამისი გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა. ისიც შესაძლებელია, რომ ორივე ეს განმარტება სწორი იყოს. არსებობდა

სხვა სირთულეებიც. როდესაც იქ, სადაც თითქოს ერთსულოვნება უნდა სუფევდეს, უთანხმობა ჩნდება, ერთიანობის აღსადგენად საკმარისია განსხვავებული აზრის მქონე ადამიანთა გაძევება და მათთვის ნების მიცემა, საკუთარი სექტა შექმნან. თუმცა, ამას შედეგად მოჰყვება უსასრულო კამათი იმის შესახებ თუ ამ ორი (ან მეტი) ჯგუფიდან, რომელი უფრო ერთგულად ქადაგებს თავდაპირველ რწმენას. ლენინს შეეძლო ეთქვა, და ამბობდა კიდეც, რომ ზოგიერთი ეგრეთ წოდებული პროლეტარი სულაც არ იყო ნამდვილი პროლეტარი, არამედ მოსყიდულ იქნა იმპერიალიზმის მიერ ბოროტად მოხვეჭილი ნადავლის გარკვეული ნაწილის წყალობით. ამ ჯგუფმა ცუდი მაგალითი მისცა ჭეშმარიტი პროლეტარების მასას, რომელმაც სოციალიზმის სამომავლო და, ამდენად, რობლემატურ დაპირებებს კაპიტალიზმის დღევანდელი, მცირე სარგებელი ამჯობინა.[21] სოციალისტური ბაზისის უფრო ზუსტად განსაზღვრით ერთსულოვანი თანხმობის აღდგენის მცდელობას ის საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა, რომ მატერიალისტური დეტერმინიზმის ძლიერ ელემენტს ინარჩუნებდა. ამავე დროს, მას ერთი დიდი ნაკლიც ახასიათებდა იმდენად, რამდენადაც მან უხერხული შეკითხვა დაბადა. თუ სოციალისტების ცდუნება ასე ადვილი იყო, მაშინ როგორ შეძლებდნენ ისინი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის აუცილებელი სოლიდარობის მიღწევას? სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორ უნდა აღკვეთილიყო უსასრულო გამრავლება სექტებისა, რომელთაგან თითოეული იჩემებდა, რომ სწორედ ის იყო თავდაპირველი რწმენის ყველაზე მეტად ერთგული?

მარქსისა და ენგელსისათვის ეს პრობლემა არსებობდა, თუმცა, არა ასეთი სერიოზული ფორმით. მათ იწინასწარმეტყველეს საზოგადოების მკაფიოდ დაყოფა ორ კლასად, რის შედეგადაც პროლეტარიატი მონოლითური მასა გახდებოდა - ისეთივე ერთგვაროვანი, როგორც უკმაყოფილო. იმ შენიშვნას კი, რომ განხეთქილება მასის შიგნითაც

[21] „ოპორტუნიზმი გულისხმობს მასების *ძირითადი* ინტერესების დათმობას მშრომელთა მცირე ნაწილის *დროებითი* ინტერესების სასარგებლოდ ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მშრომელთა ერთი ნაწილის კავშირს ბურჟუაზიასთან, პროლეტარიატის უდიდესი ნაწილის საწინააღმდეგოდ.“ Lenin. *The Collapse of the Second International*, tr. Sirnis, p. 47. განსაკუთრებით კარგი მაგალითისათვის იხილეთ მისი *იმპერიალიზმი*, სხვადასხვა ნაწილში.

შესაძლებელია, ისინი ასე პასუხობდნენ: „პროლეტარიატის ორგანიზება კლასად და შემდგომ პოლიტიკურ პარტიად მუდმივად ფერხდება თავად მშრომელებს შორის კონკურენციით, *მაგრამ ის ყოველთვის ხელახლა აღმოცენდება - უფრო ძლიერი, მტკიცე და ძლევამოსილი.*"[22] ვინაიდან ამ მოსაზრების ჭეშმარიტების სჯეროდათ, მათ შეეძლოთ, პროლეტარიატის მოძრაობა წარმოედგინათ როგორც „დიდი უმრავლესობის თვითშეგნებული, დამოუკიდებელი მოძრაობა დიდი უმრავლესობის ინტერესების დასაცავად." რადგან ნავარაუდევია, რომ მოძრაობა თვითშეგნებული და პოლიტიკურად გათვიცნობიერებულია, არც ლიდერებსა და მიმდევრებს შორის განხეთქილება არსებობს. კომუნისტები უბრალოდ არიან „ყველა ქვეყნის მშრომელთა კლასის პარტიების ყველაზე უფრო პროგრესული და გაბედული ნაწილი. ისინი უფრო ცხადად გამოხატავენ იმ ინტერესებს, რომლებიც მასას უკვე ესმის, თუმცა კი, არასრულყოფილად.[23]

ეკონომიკური პირობების განვითარება მშრომელთა ინტერესების არსებით ჰარმონიას წარმოშს. სოციალისტური ხელმძღვანელობის ფუნქცია ამ ინტერესების კონკრეტული გამოხატულების პოვნაა. თეორიულად, ეს მოსაზრება ლიდერებისა და მიმდევრების ურთიერთდამოკიდებულებას განსაზღვრავს, მაგრამ თეორია რთულად განსახორციელებელი აღმოჩნდა. კონკრეტული პრაქტიკა იმაზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული, თუ რამდენად იგრძნობოდა სინამდვილეში მშრომელთა ინტერესების ჰარმონია. 1915 წელს სამი მემარცხენე სოციალისტი, კარლ ლიბკნეხტი, როზა ლუქსემბურგი და ფრანც მერინგი, ნოსტალგიით იხსენებდა სოციალისტების მიერ არაერთხელ გაკეთებულ ოპტიმისტურ შეფასებებს. „დღემდე," - წერდნენ ისინი, - „ჩვენ გვჯეროდა, რომ პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესები ჰარმონიულ ერთობას შეადგენს, რომ ისინი იდენტურია, რომ მათ შორის კონფლიქტი შეუძლებელია. ეს იყო ჩვენი თეორიისა და პრაქტიკის საფუძველი, ჩვენი აგიტაციის არსი."[24] პროლეტართა შორის ჰარმონია რომ დამყარებულიყო, მაშინ სოციალისტთა ხელმძღვანელობის ფუნქცია მხოლოდ

---

[22] Marx and Engels. *Communist Manifesto*. tr. Moore. pp. 24-26. კურსივი დამატებულია.

[23] *Ibid.*, pp. 28-32.

[24] Liebknecht. Luxemburg. and Mehring. *The Crisi in the Social Democracy*. p. 21.

განათლების მიცემა და გამხნევება იქნებოდა. პირველი მსოფლიო ომის გამოცდილებამ გამოავლინა, თუ რამდენად იტყუებდნენ თავს სოციალისტები. აშკარა გახდა, რომ მშრომელთა ინტერესები, ყოველ შემთხვევაში, ის ინტერესები, რომლებიც მათ ქმედებებს აძლევდა სტიმულს, არც ისეთი ჰომოგენური იყო, როგორც ამას სოციალისტები, საკუთარი თეორიიდან გამომდინარე, ვარაუდობდნენ. ეს აღმოჩენა თავისთავად მარქსიზმის დაღუპვას არ ნიშნავდა. შესაძლებელია, მაგალითად, იმის მტკიცება, რომ მშრომელებმა ინტერნაციონალურ სოლიდარობას იმის გამო ვერ მიაღწიეს, რომ ეკონომიკური პირობები საკმარისად მომწიფებული არ იყო, რათა მათი საერთო ინტერესი წარმოეშვა. ამ შემთხვევაში, სოციალისტები პირველი მსოფლიო ომის იმედგაცრუებას უფრო დიდი მოთმინებით უპასუხებდნენ. ეს პასუხი გულისხმობს, რომ ლიდერებისა და მიმდევრების ურთიერთდამოკიდებულება მათ სწორად ჰქონდათ განსაზღვრული.

ლენინი კი ამაში დარწმუნებული არ იყო. წარსულში იგი ძლიერი ხელმძღვანელობის აუცილებლობაზე ამახვილებდა ყურადღებას, მაგრამ, ამავე დროს, ამ ხელმძღვანელობის ფუნქციონირებას მასების მუდმივად მზარდ შეგნებას უკავშირებდა. შეგნებულ მიმდევართა ჯგუფი და ინფორმირებული, აქტიური ხელმძღვანელობა – საერთოდ არ ეწინააღმდეგება ტრადიციულ დემოკრატიულ შეხედულებას პოლიტიკური პროცესების შესახებ.[25] თუმცა, იმ წინააღდეგობათა შედეგად, რომლებსაც სოციალისტური რევოლუციური მოძრაობა წააწყდა, ლენინი სულ უფრო მეტად ამახვილებდა ყურადღებას ურყევი ნების მქონე ხელმძღვანელობის აუცილებლობაზე და კიცხავდა მასებს, რადგანაც ისინი ვერ ხვდებოდნენ, რომ მათი ჭეშმარიტი ინტერესები ამ ხელმძღვანელობის, უფრო სწორად კი იმ მარქსისტი ლიდერების მხარდაჭერას მოითხოვდა, რომლებსაც ლენინი რევოლუციური ავანგარდის ჭეშმარიტ წევრებად მოიხსენიებდა. პარტიის ავანგარდის ძლიერება უნდა ყოფილიყო კომპენსაცია მასების ჰარმონიულად მოქმედების უუნარობისათვის. პირველი მსოფლიო ომის გაკვეთილი ის კი არ იყო, რომ ყველა ქვეყნის

[25] იხილეთ შედარებისათვის: Lenin, *What Is to Be Done?* p. 52: „მასების სპონტანურობის გამო საჭიროა, რომ ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, განსაკუთრებით შეგნებულნი ვიყოთ.“ ეს სიტყვები 1902 წელს დაიწერა.

მშრომელთა ერთიანი ინტერესები არ არსებობდა, არამედ უფრო ის, რომ მხოლოდ ძლიერი ხელმძღვანელობის ზეწოლით შეიძლებოდა მასების ამოქმედება მათი ჭეშმარიტი ინტერესისა და რევოლუციური ბედისწერის შესაბამისად. როგორც ლენინი წერდა: „მშრომელთა ინტერნაციონალური მოძრაობის კლასობრივი თვითშეგნების მქონე ავანგარდის, *ანუ* კომუნისტური პარტიების, ჯგუფებისა და მიმართულებების გადაუდებელი ამოცანაა, ახალი მდგომარეობისაკენ *გაუძღვნენ* ფართო მასებს (რომლებიც ამჟამად მეტწილად მთველმარენი, აპათიურნი, დათრგუნულნი, ინერტულნი და უმოქმედონი არიან).“[26]

ლენინის მიერ მარქსისტულ თეორიაში აქცენტის გადანაცვლებამ საშუალება მისცა მას, ომის შესახებ მარქსის თავდაპირველ თეზისებს დაბრუნებოდა. პროლეტარიატს არავითარი ინტერესები არ გააჩნია კაპიტალიზმით გამოწვეულ ომებში, გარდა იმისა, რომ მათი წყალობით კომუნისტური რევოლუცია დააჩქაროს. ეს აგრეთვე საშუალებას აძლევს მას დაბეჯითებით ამტკიცოს, რომ პროლეტარიატს ყველგან და ყოველთვის ერთიანი ინტერესები აქვს. ლენინმა ხომ ახსნა, თუ რატომ არის ამ ერთიანი, ჭეშმარიტი ინტერესების დადგენა უფრო რთული ვიდრე ეს ზოგადად ნავარაუდევია და შემდეგ ამ ახსნის საფუძველზე დაასკვნა, რომ პარტიის ხელმძღვანელობა რკინის ნებისყოფას უნდა ფლობდეს რკინისებური დისციპლინის დასამყარებლად. ძირითადი თეზისის თვალსაზრისით, ლენინის ხედვა იგივე ძველი მარქსისტული ხედვაა. განსხვავებულია აუცილებელი პროცედურის მისეული შეფასება. მარქსმა რევოლუციის აუცილებლობა განჭვრიტა, მაგრამ არა ის, რომ მის განსახორციელებლად სოციალისტებს ლენინის მეთოდების გამოყენება მოუხდებოდათ. ლენინი გარკვეულწილად მართალია. თუ სოციალისტური პროგრამა მოითხოვს პროლეტარიატის წევრებისაგან ისე იმოქმედონ, თითქოს მათ ერთიანი და მუდმივი ინტერესები აქვთ, მაშინ სოციალიზმის დამყარების ერთადერთი გზა დიდი ძალის გამოყენებაა, მათ შორის თავად მშრომელთა მოძრაობის შიგნითაც.[27]

---

[26] Lenin. *"Left-Wing" Comnunism: An Infantile Disorder*, p. 73.

[27] პირობა „თუ“ აქ ძალიან მნიშვნელოვანია. შესაძლებელია სპონტანური ჰარმონიის თეზისის უარყოფა ისე, რომ არ ჩავარდეთ მეორე უკიდურესობაში - ხისტ კონფორმიზმში, რომელიც მხოლოდ დიდი ძალის რაიმე ფორმით გამოყენების შედეგად მიიღწევა.

თეორიის მორგება ფაქტებზე: რევიზიონისტები

პროლეტარიატი ხელთ იგდებს სახელმწიფო ძალაუფლებას და, პირველ რიგში, სახელმწიფო საკუთრებად აქცევს წარმოების საშუალებებს. თუმცა, ამით, ის ბოლოს მოუღებს საკუთარ თავს, როგორც პროლეტარიატს და, აგრეთვე, ბოლოს მოუღებს სახელმწიფოს, როგორც სახელმწიფოს. . . პიროვნებათა მმართველობას ცვლის საგნების ადმინისტრირება და წარმოების პროცესის წარმართვა. სახელმწიფო კი არ „გაუქმებულა," ის *კვდება.*[28]

კლასიკური მარქსიზმის მიმდევრებმა ენგელსის წინასწარმეტყველება კორმის ცვლილების თაობაზე პირდაპირი მნიშვნელობით გაიგეს - პროლეტარული რევოლუციის შედეგად იბადება სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც, თავის მხრივ, ასევე ქრება და რჩება მსოფლიო, რომელშიც მშვიდობა და სიუხვე სუფევს. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული, სულ უფრო მეტი „რევიზიონისტი" მარქსიზმის პრინციპებთან ერთად ამასაც უარყოფდა. ედუარდ ბერნშტაინი, გერმანიის მოწინავე რევიზიონისტი, ეწინააღდეგებოდა საბოლოო მიზანზე ყურადღების გამახვილებას და, აქედან გამომდინარე, ამ მიზნის მისაღწევად საჭირო ტაქტიკაზე ზრუნვას. მას ურჩევნოდა კონცენტრირება მშრომელთა პოზიციის დღითიდღე გაუმჯობესებაზე, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. რევოლუციას იგი ევოლუციას ამჯობინებდა, ეს უკანასკნელი კი, მისი აზრით, იმჟამად უკვე მიმდინარეობდა.[29] მსგავს იდეებს საფრანგეთში ჟორესი გამოხატავდა, ინგლისში კი - ფაბიანელები.[30]

---

[28] Engels, *Herr Eugen Duhring's Revolution in Science (Anti-Duhring)*, tr. Burns. pp. 306-7.

[29] „ჩემთვის მნიშვნელოვანია არა ის, რასაც ზოგადად სოციალიზმის საბოლოო მიზანს უწოდებენ, არამედ თავად მოძრაობა." Bernstein, *Evolutionary Socialism*, tr. Harvey, p. 202; cf. pp. xi-xiii.

[30] გერმანელმა რევიზიონისტებმა აღიარეს მარქსის მოძღვრება, როგორც მათი აზროვნების საძირკველი, ხოლო შემდეგ იმის მტკიცება დაიწყეს, რომ განაახლეს ის. ბრიტანელი და ფრანგი სოციალისტები მარქსს უფრო ხშირად საკუთარი იდეების მხოლოდ ერთ-ერთ წყაროდ განიხილავდნენ. ზუსტად რომ ვთქვათ, ტერმინი „რევიზიონისტი" მხოლოდ მათ ეხება, ვინც პირველ ვარიანტს ემხრობა. აქ მოსახრეხებელია ტერმინის უფრო ფართო მნიშვნელობით გამოყენება, რათა

აქ საინტერესო ის არის, რომ თუ მარქსისტი ინტერნაციონალურ სოლიდარობას უსვამს ხაზს, რომელიც ეროვნული დამოუკიდებლობის ხარჯზე მიიღწევა, რევიზიონისტი აღიარებს, რომ სახელმწიფო ეროვნული ერთიანობის განსახიერება და ეროვნული პროლეტარიატის პროგრესის ინსტრუმენტია. ის მოცემულ რეალობაზე ამახვილებს ყურადღებას, ხოლო „სახელმწიფოს კვდომას" აკადემიური საკითხების კატეგორიას მიაკუთვნებს. თუ კლასიკური მარქსიზმის მიმდევარი მშვიდობას ყველა სახელმწიფოს გაქრობის თანამდევ მოვლენად მიიჩნევდა, ახალი სოციალისტი მშვიდობის ხანის თანდათანობით დადგომას ელის, რაც ცალკეული სახელმწიფოების პროგრესული განვითარების შედეგად მოხდება. ომის აღმოფხვრა კვლავაც მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია, მაგრამ სოციალიზმი უკვე აღარ გულისხმობს რევოლუციას და, მით უმეტეს, სახელმწიფოთა გაქრობას. ამრიგად, ჟორესი, რომელიც ჩვეულებრივ ბუნდოვნად გამოხატავდა თავის, ალბათ, გულახდილ იმედებს, წერს, რომ „მხოლოდ სოციალიზმი . . . მოაგვარებს კლასების ანტაგონიზმის პრობლემას და თითოეულ ერს, საბოლოოდ, შინაგან მშვიდობას მოუტანს და კაცობრიობის შემადგენელ ნაწილად აქცევს."[32]

თვალშისაცემია ორმაგი პარალელი. ერთი მხრივ, ახალი სოციალისტური იდეალი ისტორიულ განვითარებასთან არის დაკავშირებული, რომელიც კონკრეტულად მეთვრამეტე საუკუნის ნაციონალიზმის დოქტრინას, ზოგადად კი - მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალიზმს ემყარება, მეორე მხრივ კი, ის ომამდელი პერიოდის სტანდარტულ სოციალისტურ მისწრაფებებსაც უკავშირდება. ამ ორი ზეგავლენიდან პირველმა, რომელიც თავდაპირველად ჰერდერისა და მისი თანამედროვეების ეროვნულ-კულტურულ იდეალებში აისახა, მაძინის წყალობით პოვა საფუძვლიანი პოლიტიკური გამოხატულება. ამ მოსაზრების თანახმად, თითოეულ ერს საკუთარი სახელმწიფო რომ ჰქონდეს, ყველა ერი საკუთარი მდგომარეობით კმაყოფილი იქნება და ომებიც სამუდამოდ შეწყდება. იდეა, რომ ერების თვითგამორკვევა მშვიდობის მიღწევის *ერთადერთი*

მან მოიცვას სოციალისტთა დიდი რაოდენობა, რომლებსაც, მართალია, ხშირად განსხვავებული მოსაზრება ჰქონდათ მართებული საშინაო პოლიტიკის შესახებ, მაგრამ ზოგადად თანხმდებოდნენ ომის მიზეზებისა და მშვიდობის დამყარების საშუალებების თაობაზე.

[31] Lair. *Jaurès et l'Allemagne.* p. 84.

გზაა, საპირისპირო მოვლენებისა მიუხედავად, არსებობას განაგრძობდა. მეტიც, თავდაპირველად ის საწინააღმდეგო ფაქტების პირობებში ჩამოყალიბდა, რადგანაც ფრანგულმა სახელმწიფომ, როგორც კი ჭეშმარიტად ეროვნული ცნობიერება შეიძინა, ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი დამპყრობლური ომი წამოიწყო. ეროვნულობის პრინციპის სახელით იმ დროს მანამდე არნახული მასშტაბის დაპყრობები და ხოცვა-ჟლეტა განხორციელდა. ალფრედ კობანის სხარტი გამონათქვამი რომ მოვიშველიოთ, ეროვნული თვითგამორკვევა აუცილებლად ეროვნულ თვითდამკვიდრებად გარდაიქმნება. ამ მოსაზრებას მსოფლიოს თითქმის ყველა ერის ისტორია განამტკიცებს, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებისაც.

საკმაოდ მყარია რწმენა, რომ ეროვნულობის პრინციპი მშვიდობის საფუძველია. თუ ერთა თვითგამორკვევას მშვიდობა არ მოაქვს, მაშინ ამის მისაღწევად ეროვნულობისა და დემოკრატიის კომბინაცია უნდა იყოს საკმარისი. მაძინის ვარაუდით, თვითგამორკვეული სახელმწიფო დემოკრატიული იქნება. ვუდრო უილსონი ამ ვარაუდს მსოფლიოში მშვიდობის დამყარების წინაპირობად აქცევს. მაგრამ ამ დოქტრინის ისტორიული წინაპირობები, მაინც, მცდარია.[32] ამის გამო, დოქტრინაზე უარი უნდა ვთქვათ თუ გარკვეული ცვლილებების წყალობით ის გამოსადეგი შეიძლება გახდეს? რევიზიონისტებმა მეორე ვარიანტი არჩიეს. მათი მსჯელობის თანახმად, პოლიტიკური დემოკრატია გარკვეული ეგოისტური ინტერესების ფრონტად იქცა და ამ ეგოისტური ინტერესებიდან გამომდინარე სახელმწიფოები ომებს იწყებდნენ *იმის საპირისპიროდ, რასაც განიზრახავდა ხალხი, საერთაშორისო ცხოვრების ფაქტების ცოდნის საშუალება რომ ჰქონოდა.* სოციალიზმი ამ „ინტერესების“ გავლენას მოსპობს და ხალხის ხმა პირველად იქნება შესმენილი მისი სრული სიწმინდით, რის შედეგადაც მშვიდობა დამყარდება.

რევიზიონისტები საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებში ლიბერალური აზროვნების ძირითად მიმართულებასთან იყვნენ დაკავშირებულნი. ამას გარდა, მათ იმ პერიოდის ტრადიციულ მარქსისტულ აზროვნებასთანაც ჰქონდათ კავშირი. მათი რწმენა, რომ ომისა და მშვიდობის უმთავრეს საკითხში სოციალისტურ სახელმწიფოებს ყო-

---

[32] იხილეთ ზემოთ, IV თავი.

ველთვის ერთსულოვანება ექნებათ, სხვა ფორმით გამოხატული ერთ-ერთი იმ ვარაუდთაგანია, რომელსაც მეორე ინტერნაციონალის რეზოლუციები ემყარებოდა. ისინი, ვისაც შეუძლია იფიქროს, რომ ერთი კონკრეტული სოციალისტური პარტიის აღიარებულ ინტერესებიდან მომდინარე ქმედება ყოველთვის სრულ ჰარმონიაში იქნება ყველა სხვა ასეთი პარტიის მსგავსად მოტივირებულ ქმედებებთან, ასევე ვარაუდობენ, რომ სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის მარადიული მშვიდობა თავისთავად დამყარდება. მიუხედავად ამისა, სერიოზული დასკვნების გაკეთებამდე საჭიროა, უფრო დეტალურად განვიხილოთ რევიზიონისტების პოზიცია.

საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებთან მიმართებაში, ამ სკოლის ძირითად შეხედულებათა საძირკველი ჯონ ჰობსონმა შექმნა. ბურების ომის კვლევის შედეგად იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „საერთაშორისო ფინანსისტების მცირე გაერთიანებამ მათდამი დაქვემდებარებული პრესის მეშვეობით" ომის პროვოცირება მოახდინა. რა მიზნებს ესწრაფოდნენ ისინი? იაფი მუშახელის წყაროს წარმოქმნას სამომავლოდ და სწრაფი მოგების მიღების შესაძლებლობას.[33] ჰობსონმა ერთი ომის ახსნა მალე განაზოგადა და ყველა თანამედროვე ომის ახსნად აქცია. ამასთანავე, ამ არასასურველი მოვლენის ახსნასთან ერთად მან რეკომენდაციაც შემოგვთავაზა, თუ როგორ უნდა აღკვეთილიყო ის. მისი მოსაზრების განმარტებითი ასპექტი იმდენად კარგად არის ცნობილი, რომ ერთი წინადადებით შეიძლება შეჯამდეს: გაუკონტროლებელი კაპიტალისტური წარმოება ჭარბ სამრეწველო პროდუქციას წარმოშობს; ამ ჭარბი პროდუქციის გასაღების მცდელობა ბაზრებისათვის საერთაშორისო ბრძოლას იწვევს; პირდაპირ თუ ირიბად, ომი სწორედ ბაზრებისათვის ბრძოლას მოჰყვება შედეგად.

საკუთარი თეზისის განსამტკიცებლად, ჰობსონი, პირველ რიგში, იმპერიალიზმიდან მიღებულ სარგებელსა და დანკარგებს აფასებს და ასკვნის, რომ იმპერიალიზმი მომგებიანი არ არის. ნებისმიერი ქვეყნისათვის მისი დანახარჯები უფრო დიდია, ვიდრე ნებისმიერი შესაძლო მოგება.[34] ასეთ შემთხვევაში, რატომღა უნდა განახორციელოს ამა თუ

---

[33] Hobson. *The War in the South Africa*, p. 229.

[34] Hobson. *Imperialism*, Part I, ch. ii.

იმ ქვეყანამ იმპერიალიზმის პოლიტიკა? ამ შეკითხვაზე პასუხს ჰობსონი უმცრესობაში მყოფი ჯგუფების ეგოისტურ ინტერესებს უკავშირებს. მთლიანად ერისათვის იმპერიალიზმი მეტად ძვირადღირებული უგუნურებაა, უმცირესობაში მყოფი ფინანსური და სამრეწველო ჯგუფებისთვის კი - დიდი მოგების წყარო. ამგვარი განმარტებით, იმპერიალიზმი, ჰობსონის მიერ ჯეიმს მილისაგან ნასესხები ფრაზის თანახმად, სხვა არაფერია თუ არა „გაბატონებული კლასებისათვის საზღვრებს გარეთ გაღწევის უზარმაზარი სისტემა."[35]

ამრიგად, უნდა აღინიშნოს, რომ იმპერიალიზმის პოლიტიკა ისევე ირაციონალურია laissez faire-ის პრინციპის გამტარებელი სახელმწიფოსათვის, როგორც სოციალისტური სახელმწიფოსათვის. ამ ორ ტიპს შორის უმთავრესი განსხვავება ისაა, რომ სოციალისტური სახელმწიფო რაციონალურ პოლიტიკას განახორციელებს, ლიბერალური სახელმწიფო კი კაპიტალისტური ინტერესების ბატონობის პირობებში ამას ვერ შეძლებს. უპირატესობა იმ ფაქტიდან, უფრო სწორედ კი იმ ვარაუდიდან გამომდინარეობს, რომ რაციონალურობისაკენ მიდრეკილება სოციალისტური სახელმწიფოს თანდაყოლილი თვისებაა. ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისი მონაკვეთის ციტირებაც ღირს:

სრულყოფილი სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც კარგ საბუღალტრო აღრიცხვას აწარმოებს და დანახარჯებისა და აქტივების შესახებ რეგულარულ ანგარიშებს წარმოადგენს, მალე იტყვის უარს იმპერიალიზმზე. იგივეს მოიმოქმედებს გონიერი, *laissez faire-ის* პრინციპზე დამყარებული დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც თავის პოლიტიკაში ყველა სახის ეკონომიკურ ინტერესებს თანასწორად გაითვალისწინებს. მაგრამ სახელმწიფო, სადაც გარკვეულ, კარგად ორგანიზებულ საქმიან ინტერესებს საზოგადოების სუსტი და შეუკავშირებელი ინტერესების გადაწონვა შეუძლია, აუცილებლად ისეთ პოლიტიკას განახორციელებს, რომელიც ამ პირველ ინტერესებს შეესაბამება.[36]

ეს აბზაცი გამოხატავს ჰობსონის მთელ ნააზრევს ომისა და მშვიდობის შესახებ და ზოგადად რევიზიონისტული მოძღვრების უმეტეს ნაწილს იმავე საკითხთან დაკავშირებით.

---

[35] *Ibid.*. p. 51.

[36] *Ibid.* pp. 47-48

ჰობსონს ადვილად შეუძლია, კაპიტალისტური სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკას „უგუნური“ უწოდოს, რადგანაც უგუნურების ელემენტი ადამიანთა და სახელმწიფოთა ქმედებებში ყოველთვის არსებობს. მაგრამ, როდესაც ჰობსონმა იმპერიალიზმი ერთადერთ მნიშვნელოვან უგუნურებად გამოაცხადა და ის მთლიანად ჯიუტი და ეგოისტური უმცირესობის მიზნებს გადააბრალა, მან მარქსის დიალექტიკური მატერიალიზმი ერთდროულად უფრო გულუბრყვილო და ნაკლებად სასარგებლო მატერიალიზმით შეცვალა. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს მხოლოდ ერთ მიზეზზე ორიენტირებული ახსნის ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად მიმზიდველი ფორმაა, ხოლო ამგვარი ახსნის ზედაპირული ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ის მარტივ და კარგ გამოსავალს გვთავაზობს, მით უმეტეს ამ კონკრეტულ შემთხვევაში. კაპიტალიზმი ომს ნიშნავს, რადგანაც უმცირესობის ინტერესებს უმრავლესობის ნების განსაზღვრის საშუალებას აძლევს. სოციალიზმი კი მშვიდობას გულისხმობს, ვინაიდან ის არის მმართველობა მთელი ხალხის ინტერესებში. სოციალიზმის დროს კაპიტალისტური ბოროტების არქეტიპები გაქრება. განსაკუთრებული ინტერესები, თუკი ისინი საერთოდ იარსებებს, სახელმწიფოს რაციონალურ პროცესებს ვეღარ ავნებს.

როგორც უკვე აღინიშნა, კლასიკური მარქსიზმის თანახმად, სახელმწიფოს კვდომას ადამიანთა თავისუფალი და სპონტანური გაერთიანების შექმნა მოჰყვება, ომი სახელმწიფოებს შორის შეწყდება, რადგანაც აღარ იარსებებენ სახელმწიფოები, რომლებიც ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძოლებენ. რევიზიონისტების აზრით კი, სახელმწიფო თავის პოლიტიკურ თვისებებს შეინარჩუნებს, მაგრამ მისი პოლიტიკური ფუნქცია ნაკლებად წინააღმდეგობრივი გახდება; წინ წამოიწევს ხალხის ინტერესი, რომელიც ნათლად და მუდმივად მშვიდობისაკენ იქნება მიმართული. სოციალისტური სახელმწიფო, ეორესის ნათქვამს თუ გავიმეორებთ, არის ჭეშმარიტად განუყოფელი ნაწილი კაცობრიობისა, რომელიც თავის თავში და შესაბამისად, მსოფლიოსთან მიმართებაშიც მშვიდობას ინარჩუნებს. ჰობსონმა საკუთარი შეხედულება შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „ნაციონალიზმი პირდაპირი გზაა ინტერნაციონალიზმისაკენ და თუ ის მიმართულებას შეიცვლის, საფუძველი გვექნება, ვივარაუდოთ, რომ მისი ბუნება და მიზნები გაირყვნა.“[37] ამ მოსაზრებას ემხრობოდა

[37] *Ibid.*, p. 11.

ადრეული ლეიბორისტი, სერ მ. ე. გრანტ დაფი, როდესაც წერდა, რომ ინგლისმა „მიზნად უნდა დაისახოს ერთა საზოგადოებაში ცხოვრება, ისევე როგორც კარგად აღზრდილი ადამიანები საზოგადოებაში ცხოვრობენ, მოწიწებით აღიარებენ სხვათა უფლებებს და დარწმუნებულნი არიან, თუ ამ საკითხზე საერთოდ ფიქრობენ, რომ მალე სხვებიც ასევე მოიქცევიან მათთან ურთიერთობაში."[38] თავად სახელმწიფოს კვდომა არ ემუქრება, მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკას, აშკარად მოსალოდნელია, ეს ბედი ეწიოს. რევიზიონისტები ლიბერალურ იდეალს დაუბრუნდნენ, რომელიც საგარეო პოლიტიკის საშინაო განვითარებისადმი დაქვემდებარებასა და, საბოლოო ჯამში, პირველის საერთოდ გაქრობას ითვალისწინებს.

რა გავლენა მოახდინა პირველი მსოფლიო ომის გამოცდილებამ რევიზიონისტების ოპტიმისტურ ჰიპოთეზებზე? ამ ომში თითოეული სოციალისტური პარტია ინტერესების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე მოქმედებდა და არა საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესების შესაბამისად. ეს იყო დიდი ღალატი, რომელიც რევიზიონისტებს უნდა გაემართლებინათ. მათ შეეძლოთ, ლენინის კვალად, უკუეგდოთ გაბედული ვარაუდი ეროვნებებად ორგანიზებულ სოციალისტებს შორის სპონტანური ჰარმონიის შესახებ და ყურადღება გაემახვილებინათ აქამდე მხოლოდ ილუზიის სახით არსებული ჰარმონიის მომავალში დამყარებისათვის საჭირო ძალაუფლების მოპოვებაზე. მეორე მხრივ, მათ შეეძლოთ ისეთი განმარტების შემოთავაზება, რომელიც კაპიტალისტური წყობილების პირობებში განათლებული, სოციალისტური ქმედების განხორციელების შეუძლებლობას დაეყრდნობოდა. მაგრამ მათ ზემოხსენებული ორი კურსიდან არცერთი არ აურჩევიათ. ნაცვლად ამისა, ისინი მესამე კურსს გაჰყვნენ - მათ განტევების ვაცი იპოვნეს. რევიზიონისტულ დოგმებს, მათი თქმით, არავითარი ხარვეზი არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ *გერმანულმა* სოციალისტურმა პარტიამ ისინი ვერ დაიცვა. ის, რომ ეს გამონაკლისი წესს ადასტურებდა, არასოდეს თქმულა, მაგრამ არც ის დასაბუთებულა, რომ მას ამ წესის უარყოფა შეეძლო. არა! გერმანული სახელმწიფო მიდრეკილი იყო აგრესიისაკენ და გერმანელმა სოციალისტებმა მას, ნაკისრი ვალ-

[38] ციტირებულია მაკდონალდთან, *Labour and the Empire*, p. 15.

დებულების შესაბამისად, აქტიური წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. სოციალისტური დოგმების საფუძვლიანობაზე მსჯელობის ნაცვლად, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარუმატებლობამ წარმოაჩინა, რომ გერმანიის ავტოკრატიული სახელმწიფოს გარყვნილი პოლიტიკური ინსტიტუტების ხანგრძლივმა ზეწოლამ მთლიანად გახრწნა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ერთ დროს ეროვნულ სოციალისტურ პარტიებს შორის ბურჯად იყო მიჩნეული. ვინაიდან გერმანულმა პარტიამ თავისი ვალდებულება ვერ შეასრულა, ამის გაკეთება არც სხვა ეროვნულ პარტიებს შეეძლოთ. ფაქტობრივად, მათ მიერ ომისათვის წინააღმდეგობის გაწევის ვალდებულება, გერმანელთა განდგომის შედეგად, ომისათვის მხარდაჭერის ვალდებულებად გადაიქცა, რომელმაც, აქედან გამომდინარე, ჭეშმარიტად თავდაცვითი ხასიათი შეიძინა. დაჯერებულობამ იმაში, რომ ომის დაწყების მთელი პასუხისმგებლობა გერმანიას, მათ შორის, გერმანელ სოციალისტებს ეკისრებოდა მხოლოდ განამტკიცა რევიზიონისტების რწმენა, რომ ცვლილება სახელმწიფოთა შიდა წყობაში ომის აღკვეთის ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა![39]

გარეშე ზეწოლა შიდა ერთიანობას წარმოშობს. ამ მარტივი ფორმულით ადვილად შეიძლება აიხსნას, თუ რატომ ჩათვალა ომის დაწყების შემდეგ თითოეულმა სოციალისტურმა პარტიამ, რომ მისი სახელმწიფო თავს იცავდა (ესე იგი, მოქმედებდა სამართლიანად - ყოველ შემთხვევაში, უფრო სამართლიანად, ვიდრე სხვები). ამ გადასახედიდან, ძნელი არ არის იმის გარკვევა, თუ როგორ შეიძლება, ზოგადად ყველა ომისადმი წინააღმდეგობამ მოცემული ომისადმი მხარდაჭერა გაამართლოს. შედარებით უფრო ძნელია იმის გაგება, რატომ არ ისარგებლა რევიზიონისტების ძირითადმა ნაწილმა ომის შემდგომ სხვადასხვა მამხილებელი საბუთით მაშინ, როდესაც ასეთ ვითარებაში ყოველ *ისტორიულ* რევიზიონისტს ომში ჩართული ნებისმიერი სახელმწიფოსაკენ, გარკვეული დასაბუთებით, თითის გაშვერა შეეძლო. მაგრამ ისევე როგორ ვიკონტ

---

[39] ართურ ჰენდერსონის შეხედულება ომზე უამრავ მაგალითის შორის მხოლოდ ერთ-ერთია. „ბრიტანული მშრომელთა მოძრაობა," - წერდა იგი - „მიზნად ისახავს კაიზერიზმის, მილიტარიზმისა და „მსოფლიოზე ბატონობის სურვილის" ჩახშობასა და ფეხქვეშ გათელვას და მათი კეთილი ნებითა და ძმობით ჩანაცვლებას." *The Aims of Labour*, p. 50.

გრეის, ომის დასრულებიდან შვიდი წლის შემდეგ გამოქვეყნებულ თავის მემუარებში, შეეძლო, თვალი დაეხუჭა დოკუმენტურ მასალაზე, რომელიც საფუძველს აცლიდა მის მტკიცე რწმენას, რომ ომის დაწყება თითქმის მთლიანად გერმანელი მილიტარისტების ბრალი იყო,[40] ასევე რევიზიონისტების უმრავლესობასაც შეეძლო, კვლავაც შეენარჩუნებინა რწმენა, რომ სოციალისტურმა პროგრამამ ვერ დაიცვა მშვიდობა მხოლოდ იმიტომ, რომ გერმანელ სოციალ-დემოკრატებს მთავრობისათვის წინააღმდეგობის გასაწევად გამბედაობა არ ეყოთ. ამდენად, რევიზიონისტებს ომისა და მშვიდობის შესახებ თავიანთი თეზისის საფუძვლების გადასინჯვა არ მოუხდათ, როდესაც სახელმწიფო არქივების გახსნის შემდგომ ბევრი რამ გამოაშკარავდა.

ჰობსონის მაგალითზე ნათლად დასტურდება რევიზიონისტების ომამდელ და ომისშემდგომ მოსაზრებებს შორის უწყვეტი კავშირის არსებობა. 1909 წელს ჰობსონი დარწმუნებული იყო, რომ მალე ჩამოყალიბდება ერთა დემოკრატიული საზოგადოება, რომელშიც თითოეულ ერს განკითარების სრული შესაძლებლობა მიეცემა, ისევე როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოში ყოველ ინდივიდს, საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობით, ცხოვრების საუკეთესოდ მოწყობა შეუძლია. პრაქტიკული ინტერნაციონალიზმი, - წერდა იგი, - დღეინიადაგ გვასწავლის, რომ თანამშრომლობა „ეროვნული ქმედების განმასხვავებელი თვისებაა.“ ლოზუნგი „ყველასაგან უნარის მიხედვით, ყველას მოთხოვნილებების შესაბამისად“[41] უნდა მიესადაგოს როგორც სახელმწიფოებს, ისე ინდივიდებს, ხოლო ვითარება, რომელიც ამ ლოზუნგის სისრულეში მოყვანას გახდის შესაძლებლად საერთაშორისო საზოგადოების სტრუქტურის შეცვლას კი არ მოჰყვება შედეგად, არამედ დამოკიდებული იქნება ცალკეული სახელმწიფოების გაუმჯობესებაზე. ომის უშუალო ზეგავლენით, ჰობსონს ზემომოყვანილი ანალიზის სრულყოფილებაში ეჭვი შეეპარა. „საზოგადოებრივი აზრი და საერთო წარმოდგენა სამართლიანობაზე,“ - აღიარებს იგი, - „უსაფრთხოების არაადეკვატური გარანტიებია. საჭიროა აღმასრულებელი ძალაუფლება, რომელსაც ეკონომიკური ბოიკოტის განხორციელებისა და, უკიდურეს შემთხვევაში,

---

[40] Grey, *Twenty-five Years*, I. 275-76: II. 22-32. 278.

[41] Hobson. *The Crisis of Liberalism*, p. 260.

ძალის გამოყენების შესაძლებლობა ექნება."[42] მაგრამ ეს სასურველი საერთაშორისო მთავრობა, მისივე განმარტებით, უნდა ყოფილიყო არა ხელისუფლება ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, არამედ სახელმწიფოთა კავშირი, რომელიც, ადვილი მისახვედრია, საერთო რწმენასა და მასში მონაწილე სახელმწიფოების კეთილ ნებას დაეფუძნებოდა. ამრიგად, იგი ამტკიცებდა, რომ სირთულეები შემცირდება, თუ „ერთა ლიგას სტაბილური დასაყრდენი და კეთილი ჩანაფიქრების განხორციელების შესაძლებლობა მიეცემა. ხოლო თუ ერების გონიერება და რწმენა საამისოდ საკმარისი აღმოჩნდება, საგანგებო ალიანსებისა და დაჯგუფებების სულიერად მასაზრდოებელი მისწრაფებები, შიში და ეჭვები შესუსტდება და გაქარწყლდება."[43] როგორც ომამდე, ისე ომის მსვლელობისას და მის შემდგომაც ჰობსონი კაპიტალიზმს „ძალაუფლების სურვილის" მთავარ წყაროდ მიიჩნევდა,[44] სახელმწიფოებში სოციალისტური წყობის დამკვიდრებას - საერთაშორისო თანამშრომლობის სურვილის აღსრულების წინაპირობად,[45] გონებას კი - მთელი სისტემის ქვაკუთხედად.[46] მისი აზრით, როგორც კი სოციალიზმი კაპიტალიზმს შეცვლის, სახელმწიფოთა პოლიტიკას გონება განსაზღვრავს.

ამ ეტაპზე შესაძლებელია ჰობსონის მშვიდობის ფილოსოფიის შეჯამება და ამავე საკითხზე რევიზიონისტების საერთო შეხედულების წარმოდგენა. რევიზიონისტები თანხმდებიან, რომ ომის მიზეზი კაპიტალისტური სახელმწიფოების არსებობაა. ომის სისტემას ბოლო შეიძლება მოეღოს, - წერს ჩარლზ ტრეველიანი დემოკრატიული მმართველობის კავშირის სახელით, - „თუ დავგმობთ უმთავრეს პრინციპებს იმ სისტემისა, რომელიც [დიდი ომის] კატასტროფის შედეგად დაიმსხვრა."[47] როგორია ამ სისტემის უმთავრესი პრინციპები? ერთხმად გაისმის პასუხი, რომ ყველაფერი დამოკიდებულია „მოცემული სახელმწიფოს შიდა წყობაზე." დამნაშავეებად კაპიტალიზმი და ცრუ ნაცი-

---

[42] Hobson, *Towards International Government*, p. 6.

[43] *Ibid.*, pp. 23, 82.

[44] Hobson, *Democracy after the War*, p. 7.

[45] იხილეთ ჰობსონის უფრო მოგვიანო ნაშრომი: *The Recording Angel*, pp. 121-26.

[46] Hobson, *Problems of a New World*, p. 272; ციტირებულია ქვემოთ, pp. 152-53.

[47] Trevelyan, *The Union of Democratic Control*, p. 9.

ონალიზმი გველინება.[48] გამოსავალი მიზეზზე უფრო რთული არ არის, რადგანაც ნავარაუდევია, რომ „ერთა მსოფლიო თანამეგობრობის შექმნისაკენ მიმართული საგარეო პოლიტიკა გამომდინარეობს საშინაო პოლიტიკიდან, რომელიც სოციალისტური სახელმწიფოს შექმნას ისახავს მიზნად.“[49] ამ გამოსავლის საფუძველს, მისი შესაბამისობისა და საიმედოობის საწინდარს წარმოადგენს ხალხის მუდმივი დაინტერესება მშვიდობით. მშრომელთა ხელისუფლება პოლიტიკაში „ღიად მიღწეული ღია შეთანხმებებით“ იხელმძღვანელებს და ეს თავისთავად მშვიდობის საუკეთესო გარანტია იქნება. „პარლამენტი და ქვეყანა სრულად რომ იყვნენ ინფორმირებულნი საგარეო საქმეების შესახებ, ისინი არასოდეს ბრძად მხარს არ დაუჭერენ ომს. მომავლის განჭვრეტა ომს თითქმის შეუძლებელს გახდის.“[50] ახალი ხელისუფლების პირობებში საერთაშორისო პოლიტიკის არსი არ შეიცვლება, რადგან, როგორც ფილიპ სნოუდენი აღნიშნავს, „მშრომელთა ხელისუფლება ისევე იზრუნებს ეროვნულ სიამაყეზე და ისეთივე მძაფრი ინტერესით მოეკიდება იმპერიის განვითარების დიდ შესაძლებლობებს . . . როგორც ბრიტანეთის ნებისმიერი, წარსულში მოღვაწე მთავრობა.“[51] თუმცა, არსებობს აზრი, რომ კეთილი ნება და ძმობა მილიტარიზმსა და ომს შეცვლის მას შემდეგ, რაც ხალხის ნება უმცირესობის ეგოისტურ ნებას ჩაანაცვლებს, რომელიც კაპიტალისტური სახელმწიფოების სისტემაში საერთაშორისო პოლიტიკის მმართველ ძალად აღიქმება. სოციალისტურ მსოფლიოში სახელმწიფოები ჯერ კიდევ იარსებებენ და დამოუკიდებლობას შეინარჩუნებენ, მაგრამ ისინი უფრო წესიერები იქნებიან.[52]

---

[48] “Vigilantes,” *Inquest on Peace*, pp. 315-19, 335.

[49] *For Socialism and Peace*, p. 7. იხილეთ შედარებისათვის: Henderson, *The Aims of Labour*, p. 29: „თავისუფლება შინ და ბატონობა საზღვარგარეთ შეუთავსებელია [სოციალური] დემოკრატიის იდეალებთან.“

[50] Snowden, *If Labour Rules*, p. 51.

[51] *Ibid.*, p. 47.

[52] იხილეთ შედარებისათვის: *Ibid.*, p. 50: „მშრომელთა პარტიის ინტერნაციონალიზაცია არ არის დაუდევარი კოსმოპოლიტობა. საკუთრივ ტერმინი „ინტერნაციონალიზმი“ ერების არსებობას გულისხმობს. მშრომელთა პარტიის ინტერნაციონალიზმი ნიშნავს ერების მეგობრულ თანამშრომლობას საერთო პრობლემების გადასაწყვეტად.“

აქ ამაღლებული ოპტიმიზმი ჩანს. რამდენად გამართლებულია ის? მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალები შედარებით იოლად მიიჩნევდნენ ძალის გონებით ჩანაცვლებას. მათ ადამიანის ხასიათის ზოგადად დადებითი შეფასება შეუხამეს იმ მოსაზრებას, რომ ჰარმონია სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში დამყარდება ინდივიდებს შორის თავისუფალი კონკურენციით როგორც იდეების, ისე წარმოების სფეროში. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ პროტექციონიზმი და ომი ირაციონალური ქმედებებია, რომლებსაც მმართველი უმცირესობა, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, თავს ახვევს მსოფლიოს. მათ სჯეროდათ, რომ როდესაც სახელმწიფოები შიდა წყობით მიუახლოვდებიან იმ ფორმებს, რომლებიც მათ მოქალაქეთა ჭეშმარიტ ინტერესებთან შესაბამისობაში მოვა, ეს სახელმწიფოები უკეთ შეძლებენ ერთმანეთს შორის ურთიერთობის დარეგულირებას, ღია კამათისა და ნებაყოფლობით შესრულებული შეთანხმებების მეშვეობით. შინაეკონომიკური მოწყობის საკითხს თუ არ ჩავთვლით, რეეზიონისტული მოძღვრება დაახლოებით ასეთივე სიტყვებით შეიძლება დახასიათდეს. ამდენად, შესაძლოა, მოულოდნელი იყოს იმის აღნიშნვა, რომ ჰობსონმა მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალების გაბედულ ოპტიმიზმში ეჭვი შეიტანა, კერძოდ, მან მიუთითა „იმ გარანტიების სიმყიფეზე, რომლებზეც ლიბერალი და ჰუმანისტი მოაზროვნეები იმედს ამყარებდნენ," და „ეკონომიკური ინტერნაციონალიზმის, დემოკრატიისა და სახელმწიფოს შეზღუდული ფუნქციებისადმი" მათი რწმენა საგანგებოდ გააკრიტიკა. მიუხედავად ამისა, ნაშრომის დასასრულს, რომელშიც ამ კრიტიკამ გაიჟღერა, მან განაცხადა: „გონებას მივყავართ ეკონომიკურ წესრიგამდე, დემოკრატიას კი - ინტერნაციონალიზმამდე, ბრძოლის ველიდან აღმოცენებული კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებამდე. მსოფლიოს გადარჩენას გონების უზენაესობის აღიარება განაპირობებს."[53] როგორც ჩანს, ჰობსონმა, რომელიც ლიბერალებს აკრიტიკებდა, საბოლოოდ მათი პროგრამა გაიზიარა. ამ მოჩვენებით არათანმიმდევრულობას მთლიანად აბათილებს მისი ეკონომიკური ანალიზი. კობდენმა სათანადოდ არ შეაფასა თავისუფალი ვაჭრობის მშვიდობისმყოფელი ეფექტი, - ამბობს ჰობსონი, - მაგრამ მან მეტისმეტად მარტივად მიიჩნია სახელმწიფოებს შორის

[53] Hobson. *Problems of a New World*, pp. 32. 272.

თავისუფალი ვაჭრობის განვითარება.[54] კობდენმა დაგმო იმპერიალიზმი, პროტექციონიზმი და მილიტარიზმი, მაგრამ სრულად ვერ გამოიკვლია მათი ეკონომიკური საფუძველი. ჰობსონის თქმით, პირველ რიგში, სოციალიზმი, შემდგომ კი მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალების მიერ ნაქები დადებითი თვისებები ეფექტიანად იმოქმედებს მსოფლიო მშვიდობის დასამყარებლად. უთანხმოებანი ვაჭრობაში სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს აღარ გაამწვავებს; პირიქით, ვაჭრობა შეაკავშირებს მათ საერთო ინტერესებით. გონება აღარ იქნება მიმართული ახალი ხრიკებისა და საშუალებების შექმნისაკენ სხვა ქვეყნების მოსატყუებლად, ან იმ შემთხვევაში, თუ ეს არ გაამართლებს, მათ დასაჯაბნად; ნაცვლად ამისა, გონება გახდება საშუალება, რომლითაც ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის მათი მიერ საერთო სარგებლის მიღებისაკენ წარიმართება.

აქ მხოლოდ უბრალო ლოგიკა არ გამოგვადგება. ომები იმდენად საზარელი და ხშირია, რომ ისინი ვერ მოისპობა თანამედროვე სახელმწიფოებში ისეთი ზედაპირული ცვლილებების შედეგად, რომლებიც თავისუფალი ვაჭრობის შემოღებას შეიძლება მოჰყვეს. ძველმა სისტემამ წარმოშვა ომი და თუ ომის აღმოფხვრა გვსურს, ძველი სისტემა რადიკალურად უნდა შევცვალოთ. ეს ყოველივე საკამათო არ არის. თუმცა, რევიზიონისტების მოსაზრებებსა და ქმედებებში ორი სირთულე შეიმჩნევა. პირველი, რევიზიონისტული წრეები იმედს ამყარებდნენ შოკით მკურნალობაზე, რასაც მთელი მსოფლიოს ემოციურად აღგზნება შეეძლო. ასე, მაგალითად, რამსეი მაკდონალდი, პირველ მსოფლიო ომამდე, გამოთქვამდა რწმენას, რომ „[მილიტარიზმის, ტარიფების, ეჭვებისა და აგრესიული ნაციონალიზმის] ჯადო მოიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთი რომელიმე სახელმწიფო მის ტყვეობას თამამად დააღწევს თავს.“ ხოლო ინგლისი, მისი აზრით, სწორედ ის სახელმწიფო იყო, რომელსაც ეს პრეცედენტი უნდა შეექმნა.[55] მსგავსად ამისა, ლეონ ბლიუმი, ისევე როგორც სოციალისტი ლუი გარნიე-პაჟი დაახლოებით სამოცი წლით ადრე, ამტკიცებდა, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მასობრივი განიარაღება შეიძლება ერთი დიდი სახელმწიფოს მიერ დემონსტრაციულად შეიარაღებაზე უარის თქმას გამოეწვია.

---

[54] Hobson, *The New Protectionism*, p. 116.

[55] MacDonald, *Labour and the Empire*, p. 109.

ხოლო საფრანგეთი, მისი აზრით, სწორედ ის ქვეყანა იყო, რომელსაც სხვებისათვის მაგალითი უნდა მიეცა.[56] ჰობსონი კი იმედოვნებდა, რომ ეკლესიები „უბრალო საღი აზრისათვის" ერთობლივი ლოცვით მოახერხებდნენ ამას.[57] ნეტავ, სახელმწიფოები თავიანთ უგუნურებას სრულად შეიგნებდნენ - ეს იყო ერთდროულად რევიზიონისტების იმედიც და სურვილიც. იმედი ემყარებოდა ეკონომიკურ ანალიზს, რომელმაც დაარწმუნა ისინი სოციალისტური სახელმწიფოების მშვიდობისმყოფელობის დიდ პოტენციალში. სურვილი კი ემყარებოდა მათ დიდ რწმენას გონების სიძლიერეში, რომელიც ზოგჯერ იმდენად დიდი იყო, რომ ისინი დროდადრო მათ მიერვე განსაზღვრულ ეკონომიკურ-პოლიტიკური წინაპირობებს ივიწყებდნენ. ისინი, ფაქტობრივად, აგრძელებენ მეორე ინტერნაციონალის დროს დამკვიდრებულ ტრადიციას, რომელიც ითვალისწინებს ბურჟუაზიული სამშვიდობო მოძრაობის საშუალებების - არბიტრაჟის, განიარაღებისა და ღია დიპლომატიის - შეხამებას იმის რწმენასთან, რომ სოციალისტებს, ძალაუფლება რომც არ ჰქონდეთ, ეროვნულ მთავრობებზე მშვიდობის დასამყარებლად საკმარისი ზეწოლის განხორციელება შეუძლიათ.[58]

პირველი სირთულე შემთხვევითია და შეიძლება ჩაითვალოს ლოგიკურ შეცდომად, რომელიც უფრო მეტად მშვიდობის აწმყოში დამყარების, ვიდრე პრობლემატურ მომავალში მშვიდობის მოლოდინი სურვილიდან გამომდინარეობს. მეორე სირთულეს კი, რომელსაც ახლა განვიხილავთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი არგუმენტაციის ჩამოყალიბებისათვის. მართალია, რევიზიონისტები ყოველთვის საკუთარი ანალიზის შესაბამისად არ მოქმედებდნენ და არ საუბრობდნენ, მაგრამ მათ ნათლად გამოხატეს მოსაზრება, რომ მშვიდობის ასაშენებლად ძველი სისტემის შეცვლაა აუცილებელი. მაგრამ *რა* უნდა შეიცვალოს ძველ სისტემაში? როგორც მარქსის, ისე რევიზიონისტების სოციალისტური ანალიზი მთავარ ბოროტებად კაპიტალიზმს ასახელებს, მაგრამ სოციალიზმი, რომელმაც კაპიტალიზმი უნდა შეცვალოს მარქსისათვის კაპიტალიზმისა და სახელმწიფოების დასასრულს ნიშნავს.

---

[56] Blum. *Les Problèmes de la Paix*, pp. 152-53.

[57] Hobson, *The Recording Angel*, p. 58.

[58] იხილეთ შტუტგარტისა და კოპენჰაგენის რეზოლუციები. ეს მოსაზრება კარგად გამოთქვა კოულმა. Cole, *A History of Socialist Thought*, III, 68-69, 84-85.

მარქსის ხედვით, საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი პრობლემა აღმოიფხვრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოები გაქრებიან. რევიზიონისტების აზრით კი, პრობლემა მოისპობა არა სახელმწიფოების გაქრობის, არამედ ცალკეული სახელმწიფოების შინაგანი სრულყოფის შედეგად. რევიზიონისტები ამ საკითხშიც განუდგნენ მარქსს და დაუბრუნდნენ კანტისა და მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალების მოსაზრებას. ეს უკანასკნელნი ფიქრობდნენ, რომ ომის პრობლემა მოისპობა ურთიერთდაპირისპირებული ერთეულების შინაგანი გაუმჯობესებით, რაც ზუსტად ემთხვევა რევიზიონისტების მიერ შემოთავაზებულ გამოსავალს. ჰობსონმა, არაერთი ლიბერალის მსგავსად, რამდენჯერმე გააკეთა დასკვნა, რომ საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებსაც ძალა არ უმაგრებს ზურგს, უსარგებლოა.[59] მაგრამ მას არასოდეს მიუსადაგებია ეს დასკვნა იმ სავარაუდო ვითარებისათვის, რომელშიც რამდენიმე სოციალისტური სახელმწიფო ერთმანეთის გვერდით იარსებებს, ხოლო მათ ინტერესებს ასობით შეხების წერტილი ექნება, რაც, ალბათ, ორ ან მეტ მათგანს შორის აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევს. მრავალი ლიბერალი იდეალური რესპუბლიკის მოდელისაკენ ყველა სახელმწიფოს წინსვლისაგან ორმაგ შედეგს მოელოდა: კონფლიქტების სიხშირის კლებასა და კონფლიქტების მშვიდობიანად გადაწყვეტის შესაძლებლობების გაზრდას. იდეალური რესპუბლიკის მოდელისაკენ ყველა სახელმწიფოს წინსვლისაგან რევიზიონისტებიც ასეთივე შედეგს ელოდნენ. რევიზინისტების რეცეპტი ლიბერალების მიერ ერთი საუკუნით ადრე დაწერილი რეცეპტისაგან ინგრედიენტებით განსხვავდება. თუ ლიბერალები პოლიტიკურ ფორმაზე ამახვილებენ ყურადღებას, რევიზიონისტები ეკონომიკურ და სოციალურ წყობას უსვამენ ხაზს. ძირითადი ვარაუდი კი, ერთი და იგივეა: ყოველი სახელმწიფო, შიდა სრულყოფილების გამო, საგარეო ასპარეზზე ისეთ განათლებულ პოლიტიკას განახორციელებს, რომ კონფლიქტები თითქმის აღარ მოხდება და, უთუოდ, ვერასოდეს გადაიზრდება ძალადობაში. როგორც რევიზიონისტების, ისე ლიბერალების აზრით, გაქრება არა სახელმწიფოები, არამედ საერთაშორისო მარეგულირებელი ძალაუფლების საჭიროება. დაამყარეთ სოციალიზმი სხვადასხვა სახელმწიფოში, - ამბობენ რევი-

---

[59] იხილეთ განსაკუთრებით ჰობსონის ნაშრომი: *Notes on Law and Order. passim.*

ზიონისტები, - და „საგანგებო ალიანსებისა და დაჯგუფებების სულიერად მასაზრდოებელი მისწრაფებები, შიში და ეჭვები შესუსტდება და გაქარწყლდება.“[60]

კაუცკის სურდა იმის აღიარება, რომ ომის დროს სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარიატს შორის ინტერესთა ავტომატური ჰარმონია არ არსებობს. ეს შეხედულება ლენინმაც აიტაცა, მაგრამ ლენინი მხარს უჭერდა ძალის გამოყენებას იმ ფაქტის შესაცვლელად, რომელიც მას ასე აუტანლად მიაჩნდა. რევიზიონისტებმა ამ ფაქტის გამართლება ბრალის მთლიანად ერთ-ერთ ეროვნულ სოციალისტურ პარტიაზე გადატანით სცადეს, რამაც მომავალი მსოფლიო მშვიდობა იმჟამად მიმდინარე ომის მოგებაზე გახადა დამოკიდებული და, ამავე დროს, ჭეშმარიტ სოციალისტებს შორის ინტერესთა სპონტანური ჰარმონიის ფიქციის შენარჩუნებას შეუწყო ხელი. კატეგორია „სოციალისტის“ ხელმეორედ განსაზღვრის ტენდენციის მაშინვე გაჩენა, როგორც კი ზოგიერთი სოციალისტი სხვა სოციალისტებისათვის მიუღებლად იწყებს მოქცევას, ოდნავ სხვა ფორმით, ბადებს იმავე შეკითხვას, რომელიც IV თავში დავსვით: რამდენად კარგი უნდა იყოს თითოეული სახელმწიფო იმისათვის, რომ რევიზიონისტების მიერ დანაპირები მარადიული მშვიდობა დამყარდეს? ამ შეკითხვას პასუხი უნდა გაეცეს იმ შემთხვევაშიც, თუ დავეთანხმებით ვარაუდს, რომ სოციალიზმი სახელმწიფოს მშვიდობიანი ფორმაა.

დასკვნა

უამრავი ისეთი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი, რომელიც ლიბერალებისა და რევიზიონისტი სოციალისტების ხედვის ჭეშმარიტებას ადასტურებს. დღეისათვის ამ ხედვის სისწორე მთელი სიმწვავით დგას დასავლეთის წინაშე. „კომუნისტური საფრთხე რომ არა,“ - ამბობს ვიცეპრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი, - „თავისუფალი მსოფლიო მშვიდობიანად იცხოვრებდა.“[61] ბოლო დროს წარმოთქმული ეს ბრალდება

---

[60] Hobson, *Towards International Government*, p. 82. ციტირებულია ზემოთ.

[61] New York *Times*, November 19, 1953, p. 1. იხილეთ შედარებისათვის ჰარი ტრუმენის კომენტარი სტატიიდან: *ibid.*, April 28, 1957, p. 1. „არიან ადამიანები - და, სამწუხაროდ, მთავრობებიც - რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ გააცნობიერეს ის

არის გამოძახილი ფრანგული, ბრიტანული და ამერიკული ღაღადისა გერმანული მილიტარიზმის წინააღმდეგ ამ საუკუნის დასაწყისში, კობდენის ღაღადისა რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიის წინააღმდეგ გასული საუკუნის შუა ხანებში, და, რაღა თქმა უნდა, პრიმიტიული ტომების ღაღადისა ერთმეორის წინააღმდეგ მრავალი საუკუნის განმავლობაში. სხვა სახელმწიფო ან ადამიანთა ჯგუფი უფრო კარგი რომ იყოს, ეს პრობლემები არ გვექნებოდა. რევიზიონისტების ვარაუდით, განტვების ეაკის მოკვლა მარადიული მშვიდობის დამყარების ტოლფასი ნაბიჯია. ჯერ უნდა დამარცხებულიყო მილიტარისტული გერმანია, შემდეგ ამოვარდნილიყო ზედსართავი სახელი „კაპიტალისტური" ფრაზიდან „კაპიტალისტური სახელმწიფოები" და ომები აღარ მოხდებოდა. უშუალო დამნაშავე გერმანი იყო, უფრო ზოგადი თვალსაზრისით კი - კაპიტალიზმი; მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში პრობლემა მანკიერი საწყისის მოსპობით მოგვარდება. სოციალისტური სახელმწიფოები, - ამტკიცებენ ისინი, - მშვიდობისმოყვარენი იქნებიან. ეს შეიძლება, მართლაც, ასე იყოს, მაგრამ აქედან ავტომატურად არ გამომდინარეობს, რომ სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის ყოველთვის მშვიდობა შენარჩუნდება. სწორედ ეს არ ესმოდათ რევიზიონისტებს. იმის თქმა, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოები ომს იწვევენ, შესაძლოა, გარკვეულწილად ჭეშმარიტება იყოს, მაგრამ მიზეზობრივი ანალიზი უბრალოდ ვერ შებრუნდება, ისევე როგორც ის დებულება, რომ სოციალისტური სახელმწიფოები მშვიდობას განამტკიცებენ, ვიდრე არ დავრწმუნდებით, რომ მიზეზობრივი ანალიზი დასრულებულია. რა უნდა გაუქმდეს: კაპიტალიზმი, სახელმწიფო, თუ ორივე ერთად? მარქსის ანალიზის ორაზროვნობა, რომელიც ორიგინალურ კონტექსტში სოციალისტური ხანის მოახლოებასთან ერთად ქრება, მნიშვნელოვნად გვეხმარება ამ ხანის უარმყოფელი რევიზიონისტული თეორიის შემოწმებაში.[62] როგორც ჩანს, თავად რევიზიონისტებმა ეს ვერასოდეს გააცნობიერეს.

ფაქტი, რომ რუსების შეურიგებლობა რომ არა, მსოფლიო მშვიდობისაკენ სწრაფვას განაგრძობდა. დღეს კაცობრიობა მოცულია მღელვარებით და გატანჯულია ახალი მსოფლიო ომის შიშით, მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთს ასე სურს."

[62] იხილეთ ზემოთ.

სოციალისტური თეორიისა და პრაქტიკის შესწავლა საერთაშორისო პოლიტიკაში აზროვნების ნიმუშების უწყვეტობასა და დროგამოშვებით მათ ხელახლა გამოჩენაზე მიანიშნებს და იმის დაბეჯითებით შემოწმების საშუალებასაც გვაძლევს, თუ რამდენად დასაშვებია ამ წიგნში გაკეთებული ანალიზის გამოყენება. ამას გარდა, ეს ყოველივე გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო პოლიტიკური აზროვნების ტიპების ღრმად გააზრება და კრიტიკული შედარება, იმ ანალიზისა და რეკომენდაციების შეფასების დროსაც შეიძლება გამოგვადგეს, რომლებიც ძალიან დაშორებულია დროში და მეტად განსხვავებულია შინაარსით. ამ ეტაპზე საჭირო არ არის რევიზიონისტების შესახებ იმ კრიტიკის მთლიანად გამეორება, რომელიც ლიბერალების მისამართით გამოითქვა. თუ აშკარაა, რომ ეს კრიტიკა ამ შემთხვევასაც მიესადაგება, მაშინ მოცემული თავის მიზანი შესრულებულია.

თავი VI. მესამე ხედვა

საერთაშორისო კონფლიქტი და საერთაშორისო ანარქია

რა შეიძლება გაკეთდეს ძალის წინააღმდეგ ძალის გარეშე?

ციცერონი, წერილები მეგობრებს

როდესაც უამრავი სუვერენული სახელმწიფოა, როდესაც მათ შორის არ ფუნქციონირებს ყველასათვის სავალდებულო სამართლის სისტემა, როდესაც თითოეული სახელმწიფო საკუთარი გონებისა თუ სურვილის კარნახით განსაზღვრავს პირად წყენასა და ამბიციებს - კონფლიქტი, რომელიც ზოგჯერ ომს იწვევს, გარდაუვალია. ასეთ კონფლიქტში სასურველი შედეგის მისაღწევად სახელმწიფოს უხდება მთლიანად თავის შესაძლებლობებზე დაყრდნობა, რომელთა შედარებითი ეფექტიანობა მისი მუდმივი საზრუნავი უნდა იყოს. სწორედ ამ, მესამე ხედვის იდეას, განვიხილავთ მოცემულ თავში. ეს არ არის ეზოთერული იდეა; ეს არც ახალი იდეაა. თუკიდიდეს მხედველობაში ჰქონდა ის, როდესაც წერდა, რომ „ათენელთა ძალაუფლების გაზრდამ ლაკედემონელებში შიში აღძრა და აიძულა ისინი, ომი დაეწყოთ.“[1] ჯონ ადამსი გულისხმობდა მას, როდესაც წერდა ვირჯინიის შტატის ქალაქ პეტერბურგის მოსახლეობას, რომ „ომი საფრანგეთთან, იმ შემთხვევაში, თუ სამართლიანი და აუცილებელი იქნება, ალბათ, გადაგვაჩვევს იმ სათუთ და ბრმა სიყვარულს, რომელსაც არცერთი ერი მეორის მიმართ არ უნდა განიცდიდეს, რაც ჩვენმა გამოცდილებამაც არაერთგზის ნათლად დაადასტურა.“[2] არსებობს აშკარა კავშირი თუკიდიდეს მიერ წარმოჩენილ შედარებითი ძლიერებისათვის ზრუნვასა და ჯონ ადამსის გაფრთხილებას შორის, რომ სასიყვარულო რომანები

---

[1] Thucydides, *History of the Peloponnesian War,* tr. Jowett, Book I, par. 23.

[2] ჯონ ადამსის მიერ ქალაქ პეტერბურგის მოსახლეობისადმი გაგზავნილი წერილი, დათარიღებული 1798 წლის 6 ივნისით და ხელახლა დაბეჭდილი ამ ქალაქში უილიამ ჰოვარდ ტაფტის ვიზიტის პროგრამისათვის 1909 წლის 19 მაისს.

სახელმწიფოებს შორის შეუფერებელი და საშიშია. ეს კავშირი უფრო მკაფიოდ არის გამოხატული ფრედერიკ დანის განცხადებაში, რომლის თანახმადაც „ვიდრე თვითდახმარების ცნება იარსებებს, სახელმწიფოსათვის ძლიერების შენარჩუნება ყველა დანარჩენ საზრუნავზე უფრო მაღლა იდგება.“[3]

ანარქიის დროს არ არის ავტომატური ჰარმონია. ამ ფაქტზე ზემომოყვანილი სამი განცხადებაც მეტყველებს. სახელმწიფო გამოიყენებს ძალას თავისი მიზნების მისაღწევად იმ შემთხვევაში თუ, წარმატების პერსპექტივების შეფასების შედეგად, ამ მიზნებს უფრო ღირებულად მიიჩნევს, ვიდრე მშვიდობით ტკბობას. ვინაიდან თითოეული სახელმწიფო, საბოლოო ჯამში, თავად წყვეტს საკუთარ საქმეებს, ნებისმიერ სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია ძალის გამოყენება თავისი პოლიტიკის განსახორციელებლად. ვინაიდან ნებისმიერ სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია ძალის გამოყენება, ყველა სახელმწიფო მუდმივად მზად უნდა იყოს, ძალას ძალა დაუპირისპიროს ან საკუთარი სისუსტის საზღაური გაიღოს. სახელმწიფოს ქცევის მოთხოვნები, ამ ხედვიდან გამომდინარე, განისაზღვრება გარემოებებით, რომლებშიც ყველა სახელმწიფო თანაარსებობს.

გარკვეული თვალსაზრისით, სამივე ხედვა სინამდვილეს ასახავს. იმდენად მნიშვნელოვანია ადამიანი, სახელმწიფო და სახელმწიფოთა სისტემა საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის ნებისმიერი მცდელობისათვის, რომ ანალიტიკოსი, რაოდენ ერთგულიც არ უნდა იყოს იგი რომელიმე ხედვის, იშვიათად თუ ვერ ამჩნევს დანარჩენ ორს. მაგრამ ყურადღების გამახვილებამ ერთ ხედვაზე, მაინც, შეიძლება დამახინჯებულად წარმოაჩინოს სხვა ხედვები. ასე მაგალითად, საკმაოდ ხშირად ის ადამიანები, რომლებიც მსოფლიოს პირველი ან მეორე ხედვის მეშვეობით აკვირდებიან, ეწინააღმდეგებიან ფართოდ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ იარაღი არა ომს, არამედ უსაფრთხოებას, ან შესაძლოა, მშვიდობასაც წარმოშობს და აღნიშნავენ, რომ ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს კომბინაცია არაპატიოსანი მითისა, რომელიც პოლიტიკოსებისა და იარაღის მწარმოებლების ინტერესებს შეესაბამება და პატიოსანი ილუზიისა, რომელსაც საკუთარი სახელმწიფოს უსაფრთხოებით გულ-

---

[3] Dunn. *Peaceful Change*, p. 13.

წრფელად დაინტერესებული პატრიოტები იზიარებენ. ამგვარი ილუზიის გასაფანტად კობდენმა, როგორც ერთ-ერთმა იმ მრავალ ადამიანს შორის, ვინც ასე ფიქრობდა, ერთხელ აღნიშნა, რომ შეიარაღების ოდენობის გაორმაგება, თუ ყველა სახელმწიფო ამას გააკეთებს, არცერთ სახელმწიფოს უფრო უსაფრთხოდ თავს არ აგრძნობინებს და, მსგავსად ამისა, არცერთს არ დაემუქრება საფრთხე, თუ ყველას სამხედრო არსენალი, ვთქვათ, 50 პროცენტით შემცირდება.[4] თუ გვერდზე გადავდებთ მოსაზრებას, რომ არითმეტიკა სრული სიზუსტით ვერ ასახავს შესაძლო ვითარებას, ეს არგუმენტი პირველი და მეორე ხედვების პრაქტიკული გამოყენების სავარაუდო მაგალითებს შემოგვთავაზებს. იქნება ეს სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეებისა და ლიდერების განათლება თუ თითოეულ სახელმწიფოში შიდა ორგანიზაციის გაუმჯობესება, მიზანს წარმოადგენს მდგომარეობა, რომელშიც აქ აღწერილი გაკვეთილი სახელმწიფოთა პოლიტიკას დაედება საფუძველად. შედეგი? - განიარაღება, შესაბამისად, ეკონომია, მშვიდობასთან ერთად, და მაშასადამე, უსაფრთხოება ყველა სახელმწიფოსათვის. თუ ზოგიერთი სახელმწიფო თავისი სამხედრო არსენალის შეკვეცის სურვილს გამოხატავს, სხვა სახელმწიფოებს მსგავსი პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა მიეცემა. ყველა სახელმწიფოს პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულებაზე ყურადღების გამახვილებით, ეს არგუმენტი მესამე ხედვას ეხმაურება. თუმცა, ამგვარი ოპტიმიზმი ზოგიერთი თანდაყოლილი სირთულის იგნორირების შედეგია. როგორც მოცემულ, ისე შემდეგ თავში, მესამე ხედვის ჩამოყალიბებასა და დაწვრილებით შესწავლასთან ერთად, ამ სირთულეების არსის დადგენას შევეცდებით.

წინამდებარე თავებში ჩვენ დავაკვირდით იმ რამდენიმე ადამიანის მსჯელობას, რომელთა მოსაზრებები საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ პირველ ან მეორე ხედვას შეესაბამება. ამ თავში კი, იმისათვის, რომ განხილვას მრავალფეროვნება შევძინოთ და აგრეთვე, იმიტომაც, რომ პოლიტიკური ფილოსოფიის ხერხები საერთაშორისო პოლიტიკის არსის გამოცნობისათვის არასაკმარისად დახვეწილია, ჩვენ ძირითადად ერთი ადამიანის პოლიტიკურ მოძღვრებაზე შევჩერდებით, ესაა ჟან

[4] Cobden. განსაკუთრებით მისი: *Speeches on Peace, Financial Reform, Colonial Reform, and Other Subjects Delivered during 1849*, p. 135.

ჟაკ რუსო. ზუსტად ამავე მიზეზების გამო, პირველ და მეორე ხედვებთან შედარების გასაკეთებლად, ყველაზე ხშირად იმ ორ ფილოსოფოსს მოვიხმობთ, რომლებიც ფართოდ იზიარებდნენ ამ მიდგომებს - სპინოზას, პირველი ხედვის შემთხვევაში და კანტს, მეორე ხედვის შემთხვევაში. მართალია, ორივეზე უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ იმ მსჯელობის მოკლედ შეჯამება, რომელსაც ეფუძნება მათი შეხედულებები საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ, შედარებას უფრო სასარგებლოს გახდის.

სპინოზა ძალადობას ადამიანის არასრულყოფილებით ხსნიდა. ვნება სძლევს გონებას და შედეგად, ადამიანები, რომლებიც პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ერთმანეთთან სრულ ჰარმონიაში უნდა თანამშრომლობდნენ, განუწყვეტლივ დავებსა და ფიზიკურ ძალადობას მიმართავენ. ადამიანის ნაკლოვანება არის კონფლიქტის მიზეზი. ლოგიკურად, თუ ეს ერთადერთი მიზეზია, კონფლიქტის დასრულება ადამიანთა გარდაქმნაზეა დამოკიდებული. ამის მიუხედავად, სპინოზა პრობლემას მხოლოდ სახელმწიფოს დონეზე წყვეტდა, არა საკარაუდო მიზეზობრივ ფაქტორზე ზეგავლენით, არამედ იმ გარემოს შეცვლით, რომელშიც ის მოქმედებს. ეს იყო ერთდროულად მისი სისტემის არათანმიმდევრულობის დამამტკიცებელი საბუთიც და ამ ხარვეზის გადამფარველი ღირსებაც. სპინოზა ინდივიდიდან და ქვეყნიდან სახელმწიფოთა შორის მდგომარეობამდე იმის შედეგად მივიდა, რომ თავის რამდენიმე საწყის ვარაუდს ერთიც მიამატა. მისი ვარაუდით, სახელმწიფოები ადამიანებს ჰგვანან; ისინი ორივენი ავლენენ სიცოცხლისაკენ ლტოლვასა და საკუთარი საქმეების მუდმივად გონების კარნახით მოწესრიგების უუნარობას.[5] მაგრამ სახელმწიფოებს ძალუძთ, წინ აღუდგნენ თავიანთ ჩაგვრას მაშინ, როდესაც ადამიანებს, რომლებსაც „ყოველდღიურად ძილი, ხშირად დაავადება ან გონების სისუსტე, საბოლოოდ კი, ასაკი ამარცხებს," ეს არ შეუძლიათ. ინდივიდები, გადარჩენის მიზნით, უნდა გაერთიანდნენ; სახელმწიფოები კი, მათი არსიდან გამომდინარე, მსგავსი

---

[5] თუმცა, სპინოზას აზრით, სახელმწიფოს ერთიანობა, საბოლოო ჯამში, ემყარება უზენაესი ხელისუფლების მიერ საკუთარი ნების განხორციელების უნარს. სახელმწიფოთა ქცევის ასახსნელად იგი იყენებს როგორც ორგანიზმის, ისე კორპორატიული ტრესტის ანალოგიას. პირველისათვის იხილეთ: *Political Treatise*, ch. ii, sec. 3: ch. iii. sec. 2; ხოლო მეორისათვის: *Ibid.*, ch. iii. sec. 14. და *Theologico-Political Treatise*, ch. xvi (I. 280).

აუცილებლობის წინაშე არ დგანან.[6] ამდენად, ომები სახელმწიფოებს შორის ისევე გარდაუვალია, როგორც ნაკლოვანებები ადამიანის ბუნებაში.

კანტის ანალიზი, რომელიც ზოგიერთ საკითხში სპინოზასას ჰგავს გაცილებით უფრო რთული და დამაფიქრებელია. მისი განსაზღვრებით, ადამიანები ერთდროულად გრძნობების სამყაროსა და ცნობიერი სამყაროს შემადგენელი ნაწილები არიან. ისინი რომ მთლიანად ამ უკანასკნელს მიეკუთვნებოდნენ, ყოველთვის უნივერსალურად ჭეშმარიტი, საკუთარი ნებით არჩეული მაქსიმებით იხელმძღვანელებდნენ. ისინი კატეგორიულ იმპერატივს დაემორჩილებოდნენ. მაგრამ ვინაიდან ისინი არც პირველისაგან არიან მოწყვეტილნი, იმპულსი და მიდრეკილება გონებას ამარცხებს და კატეგორიული იმპერატივი იმდენად იშვიათად სრულდება, რომ ბუნებრივ მდგომარეობაში კონფლიქტი და ძალადობა ბატონობს. ასეთ პირობებში სამოქალაქო მდგომარეობა აუცილებელ შემზღუდველ საშუალებად წარმოგვიდგება. ადამიანებს, რომლებიც ემპირიული „და, მაშასადამე, გარკვეულ გარემოებებზე დამოკიდებული" ცოდნის საფუძველზე მოქმედებენ უნდა ჰყავდეთ მსაჯული, რომელსაც თავისი გადაწყვეტილებების განხორციელება შეეძლება იმისათვის, რომ ძალადობა თავიდან იქნეს აცილებული. სახელმწიფოს დაარსების შემდეგ ადამიანებს ზნეობრივად მოქცევის გარკვეული შესაძლებლობა უჩნდებათ. სახელმწიფოს შექმნამდე კი, გაურკვევლობა და ძალადობა მათ ამის ნებას არ აძლევს. ადამიანებს ესაჭიროებათ კანონის ხელშეუხებლობა, ვიდრე მათი ზნეობრივი ცხოვრების გაუმჯობესება გახდება შესაძლებელი. სამოქალაქო მდგომარეობა უზრუნველყოფს პიროვნებისათვის ეთიკურ ცხოვრებას იმ უფლებების დაცვით, რომლებიც მას, ლოგიკურად, ბუნებრივ მდგომარეობაშიც გაჩნდა, მაგრამ რომლებითაც ის, ფაქტობრივად, ვერ სარგებლობდა. თუმცა, სამოქალაქო მდგომარეობა საკმარისი არ არის. მშვიდობას სახელმწიფოებს შორის და სახელმწიფოებში არსებითი მნიშვნელობა აქვს ადამიანის უნიკალური შესაძლებლობების განვითარებისათვის. სახელმწიფოები მსოფლიოში ჰგვანან ინდივიდებს ბუნებრივ მდგომარეობაში. ისინი არც ბოლომდე კარგები არიან და არც კანონის კონტროლქვეშ იმყოფებიან. შედეგად, მათ შორის კონფლიქტი და ძალადობა გარდაუვალია. მაგრამ ასეთი ანალიზის

---

[6] Spinoza. *Political Treatise*, ch. iii. sec. 11.

შედეგად კანტი არ მიდის იმ დასკვნამდე, რომ გამოსავალი მსოფლიო სახელმწიფოს შექმნაშია. იმის შიშით, რომ მსოფლიო სახელმწიფო საშინელ დესპოტიზმად გადაიქცევა, ჩაახშობს თავისუფლებას, აღკვეთს ინიციატივას და, ბოლოს, ანარქიაში გადაიზრდება, კანტი მეორე გამოსავალს ეძებს. მის მიერ დანახული მეორე გამოსავლის მიხედვით კი, სახელმწიფოები იმდენად უნდა გაუმჯობესდნენ, რომ იხელმძღვანელონ იმ მაქსიმებით, რომლებიც კონფლიქტის გარეშეც შეიძლება უნივერსალური გახდეს. მართალია, კანტს ეშინია პირველი გამოსავლის, მაგრამ იგი ზედმეტად ფრთხილი და კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანია იმისათვის, რომ მეორე გამოსავალზე იმედი დაამყაროს. ნაცვლად ამისა, იგი ორივე გზის შეხამებას ცდილობს. მისი პოლიტიკური ფილოსოფია მიზნად ისახავს იმ იმედის განმტკიცებას, რომ ომით გამოწვეული ტანჯვისა და აოხრების განცდის შედეგად სახელმწიფოები შეიძლება საკმარისად განვითარდნენ და საკმარის ცოდნას დაეუფლონ იმისათვის, რომ მათ შორის დამკვიდრდეს კანონის უზენაესობა, რომელიც არა ძალით იქნება ზურგგამაგრებული, არამედ ნებაყოფლობით შესრულდება.[7] პირველი ფაქტორი სახელმწიფოთა შინაგანი გაუმჯობესებაა, მეორე კი - საგარეო ასპარეზზე კანონის უზენაესობა. მაგრამ მეორე, ნებაყოფლობითი ფაქტორი მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სრულყოფილად ამოქმედდება პირველი. კანონის აღმასრულებელი „ძალაუფლება" მომდინარეობს არა გარეშე სანქციიდან, არამედ შინაგანი სრულყოფილებიდან.[8] ეს არის გამოსავალი მეორე ხედვის თანახმად

---

[7] ადამიანისა და ზნეობრიობის შესახებ ზემომოყვანილი კომენტარებისათვის იხილეთ: "Fundamental Principles of the Metaphysic Morals," secs. 2, 3. in *Kants's Critique of Practical Reason and Other Works on the Theory of Ethics*. tr. Abbott. ბუნებრივი და სამოქალაქო მდგომარეობის შესახებ იხილეთ: *The Philosophy of Law*, tr. Hastie, secs. 8, 9, 41, 42. 44. სახელმწიფოთა შორის მშვიდობაზე ზნეობრიობის დამოკიდებულების შესახებ იხილეთ: "The Natural Principle Order Considered in Connection with the Idea of a Universal Cosmopolitan History." მერვე გვგმა ნაშრომში: *Eternal Peace and Other International Essays*, tr. Hastie. საერთაშორისო ფედერაციის დახასიათებისათვის იხილეთ: "The Principle of Progress Considered in Connection with the Relation of Theory to Practice in International Law." in *Ibid.*, pp. 62-65; "Eternal Peace." პირველი და მეორე დასკვნითი პარაგრაფები იმავე ნაშრომში და *The Philosophy of Law*, tr. Hastie. sec. 61.

[8] ყოველ რესპუბლიკას, სახელმწიფოს ისეთ ფორმას, რომელსაც კანტი კარგს

და ის ცალკეული სახელმწიფოების გაუმჯობესებას გულისხმობს, მაგრამ კანტის ანალიზი თავისივე დასკვნების მართებულობას ეჭვქვეშ აყენებს. სახელმწიფოს დონეზე ადეკვატური პოლიტიკური სისტემა ინდივიდებს ეთიკურად მოქცევის საშუალებას აძლევს, საერთაშორისო დონეზე კი მეტ-ნაკლებად ადეკვატური სისტემის აგება ვერ ხერხდება. მაგრამ, ამის მიუხედავად, სახელმწიფოებს შორის მშვიდობის იმედი უნდა გვქონდეს. არათანმიმდევრულობა აშკარაა, თუმცა, მისი სიცხადე ოდნავ ბუნდოვანი ხდება კანტის მიერ იმის აღიარების შემდეგ, რომ მან დაადგინა არა მარადიული მშვიდობის „გარდაუვალობა," არამედ ის, რომ ამგვარი მდგომარეობის არსებობა გამორიცხული არ არის.[9]

რუსოს ფილოსოფია, რომელსაც ამ თავში საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის სახით განვიხილავთ, სახელმწიფოს მოქმედების ჯარემოზე ყურადღების გადატანით სპინოზასა და კანტის ზოგიერთ ჯარაუდს არასაჭიროდ აქცევს, ზოგიერთს კი საერთოდ გააბათილებს.

ჟან ჟაკ რუსო

მონტესკიე და, მის მსგავსად, რუსოც სხვა ფილოსოფოსების მიერ ideალური ან ჰიპოთეზური ბუნებრივი მდგომარეობის შესწავლის ტაცდელობებზე დაკვირვებისას ერთსა და იმავე კრიტიკულ შენიშვნას აკეთებენ. მონტესკიე ჰობსზე ამბობს, რომ იგი „საზოგადოების შექმნამდე მცხოვრებ ადამიანთა მოდგმას მიაწერს იმას, რაც მხოლოდ ამ საზოგადოების წარმოქმნის შედეგად შეიძლება მომხდარიყო."[10] ორივენი,

---

უწოდებს „ვინაიდან მეორისათვის ძალადობით ზიანის მიყენების უნარი არ აქვს, მხოლოდ კანონის ძალით არსებობა მართებს და, ამასთან ერთად, შეუძლია საფუძვლიანი იმედი ჰქონდეს იმისა, რომ მის მსგავსად მოწყობილი სხვა სახელმწიფოები დროდადრო მას დაეხმარებიან." ("The Principle of Progress Considered in Connection with the Relation of Theory to Practice in International Law," in *Eternal Peace and Other International Essays*, tr. Hastie, p. 64.) რესპუბლიკები, კანტის ვარაუდით, კატეგორიული იმპერატივის შესაბამისად იმოქმედებენ.

[9] ეს ინტერპრეტაცია, რომლის სისწორესაც კანტის პოლიტიკური მოსაზრებების მისივე ზნეობრივი ფილოსოფიის კონტექტში განხილვაც ადასტურებს, ეწინააღმდეგება ფრიდრიხის მიერ კანტის შესახებ დაწერილ წიგნში მოყვანილ განმარტებას: *Inevitable Peace*.

[10] Montesquieu, *The Spirit of the Laws*, tr. Nugent. Book I, ch. ii. იხილეთ შედარე-

მონტესკიეც და რუსოც, ამტკიცებენ, რომ ჰობსის ბუნებრივი მდგომარეობა - და ეს სპინოზასაც ეხება - არის ფიქცია, რომელიც ემყარება იმ ვარაუდს, რომ ადამიანებს ბუნებრივად ახასიათებთ ყველა ის თვისება და ჩვევა, რომლებსაც ისინი საზოგადოებაში იძენენ, ოღონდ საზოგადოების მიერ დაწესებული შეზღუდვების ზემოქმედების გარეშე. საზოგადოების ჩამოყალიბებამდე ადამიანებს არ ჰქონდათ განვითარებული ისეთი მანკიერი თვისებები, როგორიცაა ამპარტავნობა და შური. ისინი ნამდვილად ვერ შეძლებდნენ ამას, რადგანაც ერთმანეთს იშვიათად ნახულობდნენ. ხოლო თუ რაიმე შემთხვევის წყალობით ერთად შეიყრებოდნენ, სისუსტისა და უუნარობის შეგრძნება მათ ერთიმეორეზე თავდასხმას გადააფიქრებინებდა. ვინაიდან არავის ახასიათებს ამპარტავნობა ან შური, სიძუნწე ან სიხარბე, ადამიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში ესხმის თავს მეორეს, თუ ამისაკენ მას შიმშილი უბიძგებს.[11]

ერთი მხრივ, ჰობსის ამგვარი კრიტიკა უბრალოდ სიტყვების თამაშია. მონტესკიე და რუსო განსხვავებულ დასკვნამდე მხოლოდ იმიტომ მიდიან, რომ, სპინოზასთან და ჰობსთან შედარებით, ამ წარმოსახვით პრეისტორიაში ერთი ნაბიჯით უკან იხევენ. აქ კი ისინი ერთ მნიშვნელოვან საკითხს უსვამენ ხაზს. რადგან ძნელია ისეთი რთული რამის შეცნობა, როგორიცაა ადამიანის ბუნება,[12] რადგან ადამიანის ბუნებაში, როგორც ცნობილია, თავად ადამიანის ბუნების გარდა, გარემოს ზეგავლენაც აისახება,[13] სპინოზასა და ჰობსის მიერ შემოთავაზებული ადამიანის ბუნების განსაზღვრებები ძალიან სუბიექტურია და დასაბუთებული სოციალური ან პოლიტიკური დასკვნების გამოტანას ხელს არ უწყობს. თეორიულად, სულ მცირე, შესაძლებელია გარემოს ზემოქ-

---

ბისათვის: Rousseau, *Inequality*, pp. 197, 221-23. გვერდები მოცემულია წიგნის მიხედვით: *The Social Contract and the Discourses*, tr. Cole, რომელიც შეიცავს რუსოს შემდეგ ნაშრომებს: *The Social Contract, A Discourse on the Arts and Sciences, A Discourse on the Origin of Inequality, A Discourse on Political Economy.*

[11] Montesquieu, *The Spirit of the Laws*, tr. Nugent, Book I, ch. iii; Rousseau, *Inequality*, pp. 227-33.

[12] Rousseau, *Inequality*, pp. 189-91.

[13] *Les Confessions*, Book IX, in *Oeuvres complètes de J. J. Rousseau*, VIII, 289: „ყველაზე ხალხი ვერ შეიცნობს თავის მთავრობას, თუ თვითონ არ გახდება ის."

მედებით შეძენილი თვისებების გამოყოფა და ადამიანის ბუნების თავდაპირველი სურათის აღდგენა. რუსომ ამ მიზნის მისაღწევად „გარკვეული არგუმენტები და რამდენიმე გაბედული ვარაუდი" წამოწია წინ.[14] წამოწყების სირთულე და შედეგის გაურკვევლობა ცხადყოფს, რომ ჰობსისა და სპინოზას მსგავსად, სოციალური ადამიანის ბუნებრივ ადამიანთან გაიგივება შეცდომაა. ადამიანის სავარაუდო თვისებების საფუძველზე სოციალური დასკვნების გაკეთების ნაცვლად, მონტესკიე ამტკიცებს, რომ კონფლიქტს სოციალური ვითარება იწვევს: „როგორც კი ადამიანი საზოგადოებაში ექცევა, იგი თავისი სისუსტის შეგრძნებას კარგავს; წყდება თანასწორობა, *შემდეგ* კი იწყება ომის მდგომარეობა."[15]

კონფლიქტის მიზეზების ამგვარ შეფასებას იზიარებს და ავითარებს რუსო.[16] იგი სვამს სამ კითხვას: 1) თუ თავდაპირველი, ბუნებრივი მდგომარეობა შედარებით მშვიდობიანი და წყნარი იყო, რატომ დატოვა ის ადამიანმა? 2) რატომ ჩნდება კონფლიქტი საზოგადოების პირობებში? 3) რა კავშირშია კონფლიქტის გაკონტროლება მის მიზეზებთან?

სპინოზასა და ჰობსის მიხედვით, სახელმწიფოსა და საზოგადოების შექმნა იყო ნებაყოფლობითი ნაბიჯი, რომელიც გაუსაძლისი ვითარებიდან თავის დაღწევის საშუალებას წარმოადგენდა. მსგავსად ამისა, რუსო, სახელმწიფოს დაარსების შესახებ საუბრისას, აქა-იქ შემოქმედებისა და ფანტაზიის მიზანმიმართულად გამოყენებას ვარაუდობს.[17] სხვაგან რუსო სახელმწიფოს დაფუძნებას იმ ხანგრძლივი ისტორიული ევოლუციის კულმინაციად აღწერს, რომელშიც ჩართული იყო გამოცდილების, გაცნობიერებული ინტერესის, ჩვევის, ტრადიციისა და საჭიროების ელემენტები. პირველ თვალსაზრისს მივყავართ საზოგადოებრივ ხელშეკრულებამდე, მეორეს კი განმარტებამდე, რომელიც მოცემულია ნაშრომში *მსჯელობა ადამიანთა შორის უთანასწორობის წარმოშობის შესახებ*. ამ მოჩვენებით წინააღმდეგობას აქარწყლებს ის ფაქტი, რომ პირველის მეშვეობით რუსო ცდილობს იმის ფილოსოფიურად ახსნას,

---

[14] *Inequality*, p. 190.

[15] Montesquieu, *The Spirit of the Laws*, tr. Nugent, Book I, ch. iii. კურსივი დამატებულია.

[16] იხილეთ განსაკუთრებით ნაშრომი: *Inequality*, pp. 234 ff.

[17] იხილეთ მაგალითად, *Social Contract*, pp. 4, 7 (Book I, chs. i, iv).

თუ რა მოხდა ისტორიული პროცესების შედეგად, მეორის მეშვეობით კი ამ პროცესების ჰიპოთეზურად რეკონსტრუირებას.[18]

ადრეულ ბუნებრივ მდგომარეობაში ადამიანები ისე გაფანტულად ცხოვრობდნენ, რომ თანამშრომლობის ნებისმიერი ფორმა არასაჭირო იყო. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მათი რიცხვის ზრდამ და ბუნებრივმა საფრთხეებმა სხვადასხვა ვითარებაში წარმოშვა არჩევანი: თანამშრომლობა ან სიკვდილი. რუსოს ამ მსჯელობის საილუსტრაციოდ ერთი უმარტივესი მაგალითი მოჰყავს. ამ მაგალითის გამეორება მიზანშეწონილია იმდენად, რამდენადაც ის ხელისუფლების შექმნის ამოსავალი წერტილია და საერთაშორისო ურთიერთობებში კონფლიქტის შესახებ რუსოს შეხედულებების წანამძღვრებს შეიცავს. წარმოიდგინეთ, რომ ხუთი ადამიანი, რომელიც საუბრისა და ერთმანეთის გაგების ელემენტარულ უნარს ფლობს, ერთად შეიკრიბება მაშინ, როდესაც შიმშილის გრძნობას განიცდის. თითოეულს დასანაყრებლად ეყოფა ირმის მეხუთედი ნაწილი, ამიტომაც, ისინი ირმის დასაჭერად თანამშრომლობაზე „შეთანხმდებიან." მაგრამ ყოველ მათგანს შიმშილს ერთი კურდღელიც მოუკლავს, ამიტომაც, როგორც კი კურდღელი გამოჩნდება, ერთ-ერთი მონადირე მას შეიპყრობს. მოღალატე ხერხს გამოძებნის საკუთარი შიმშილის დასაკმაყოფილებლად, მაგრამ, ამასობაში, ირემს გაქცევის საშუალებას მისცემს. მისი მყისეული ინტერესი თანამოძმეებზე მზრუნველობას გადააჭარბებს.[19]

ეს ამბავი მარტივია, მისი შედეგები კი - უზარმაზარი. თანამშრომლობის დროს, მაშინაც კი, როდესაც ყველა ეთანხმება მიზანს და თანაბრად დაინტერესებულია წამოწყებით, სხვაზე იმედის დამყარება შეუძლებელია. სპინოზა კონფლიქტს ადამიანის არასრულყოფილ გონებას მიაწერს. მონტესკიე და რუსო კი სპინოზას ანალიზის საწინააღმდეგოდ გამოთქვამენ ვარაუდს, რომ კონფლიქტის წყარო არა იმდენად ადამიანთა გონებაშია, რამდენადაც საზოგადოებრივი ურთიერთქმედების ბუნებაში.

---

[18] *Inequality, pp. 190-91.* ამ ნაშრომში რუსო ბუნებრივ მდგომარეობას უწოდებს „მდგომარეობას, რომელიც აღარ არსებობს, შესაძლოა, არც არასოდეს არსებობდა და, სავარაუდოდ, აღარასოდეს იარსებებს, მაგრამ რომლის შესახებაც, ამის მიუხედავად, ჭეშმარიტი წარმოდგენის ჩამოყალიბება აუცილებელია." იხილეთ შედარებისათვის: *ibid.* p. 198.

[19] *Ibid.*, p. 238.

სირთულე გარკვეულწილად სიტყვიერია. რუსოს აზრით, რომ ვიცოდეთ, როგორ დავამყაროთ ჭეშმარიტი სამართლიანობა, რომელიც ღმერთისაგან მომდინარეობს, „აღარც ხელისუფლება დაგვჭირდება და აღარც კანონები.“[20] ეს შეესატყვისება სპინოზას ვარაუდს იმის თაობაზე, რომ „ადამიანები გონებას თუ ემორჩილებიან, აუცილებლად, ერთმანეთთან ჰარმონიაში ცხოვრობენ.“[21] აღნიშნული იდეა საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა. ადამიანები რომ სრულყოფილები იყვნენ, ეს მათ ყველა გათვლასა და ქმედებაში აისახებოდა. თითოეული მათგანი სხვების ქცევაზე იმედს დაამყარებდა და ყველა გადაწყვეტილება იმ პრინციპების საფუძველზე მიიღებოდა, რომლებიც ინტერესთა ჭეშმარიტი ჰარმონიის შენარჩუნებას უწყობს ხელს. სპინოზა ყურადღებას აქცევს არა კონფლიქტური ინტერესების ურთიერთშერიგებისათვის დამახასიათებელ სიძნელეებს, არამედ ადამიანის გონების ნაკლოვანებას, რომელიც თითოეული ადამიანის ინტერესებისა და კეთილდღეობისათვის სასარგებლოდ თანამიმდევრული გადაწყვეტილებების მიღებას აფერხებს. რუსოც მსგავსი პრობლემის წინაშე დგას. იგი მსჯელობს, თუ როგორ იქცევდნენ ადამიანები, მას შემდეგ, რაც ყოველდღიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ერთიმეორეზე დამოკიდებულნი გახდნენ. ვიდრე თითოეულს საკუთარი თავის გამოკვება შეეძლო, კონფლიქტს ადგილი არ ჰქონდა, ხოლო როგორც კი, ბუნებრივი წინააღმდეგობებისა და მოსახლეობის ზრდის გამო, თანამშრომლობის აუცილებლობა გაჩნდა, კონფლიქტი აღმოცენდა. ამრიგად, ირემზე ნადირობის მაგალითში დაპირისპირება ერთი ადამიანის მყისიულ ინტერესსა და ჯგუფის საერთო ინტერესს შორის ამ ერთი ადამიანის ცალმხრივი მოქმედებით დასრულდა. იმდენად, რამდენადაც მას შიმშილის გრძნობა ამოძრავებდა, მისი ნაბიჯი ვნებისადმი დამორჩილებად შეიძლება მივიჩნიოთ. გონება მას ეტყოდა, რომ მისი გრძელვადიანი ინტერესი დამოკიდებულია გამოცდილების მეშვეობით იმ რწმენის განმტკიცებაზე, რომ თანამშრომლობას ყველა მხარისათვის მოაქვს სარგებელი, მაგრამ გონება მას იმასაც უკარნახებდა, რომ კურდღელს ხელიდან თუ გაუშვებდა,

---

[20] *Social Contract*, p. 34 (Book I, ch. vi); იხილეთ შედარებისათვის: *Political Economy*, p. 296.

[21] Spinoza, *Ethics*, Part IV, prop. xxxv, proof.

გვერდით მყოფი სხვა ადამიანი მიატოვებდა საგუშაგოს და მას დაედევნებოდა, სხვებს კი მხოლოდ საფიქრალს დაუტოვებდა იმის შესახებ, თუ რა სისულელეა, იყო ერთგული.

ახლა პრობლემა უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. იმისათვის, რომ ჰარმონიამ ანარქიის პირობებში იარსებოს, არა მარტო მე უნდა ვიყო სრულყოფილად რაციონალური, არამედ უნდა დავრწმუნდე, რომ ყველა სხვა ადამიანიც ასეთია. სხვაგვარად, რაციონალური განსჯისათვის საფუძველი არ მოიძებნება. საკუთარ გათვლებში სხვათა ირაციონალური ქმედებების მხედველობაში მიღება განსაზღვრულ გადაწყვეტილებამდე არ მიმიყვანს, მაგრამ ამ გარემოების გაუთვალისწინებლად გაკეთებული რაციონალური გათვლების საფუძველზე მოქმედებამ შეიძლება დამღუპოს. უკანასკნელი არგუმენტი გადმოცემულია რუსოს კომენტარში იმ ჰიპოთეზის შესახებ, რომ „ჭეშმარიტად ქრისტიან ადამიანებს ყველაზე სრულყოფილი საზოგადოების შექმნა ძალუძთ.“ პირველ რიგში, იგი აღნიშნავს, რომ ამგვარი საზოგადოება „ადამიანთა საზოგადოება არ იქნება.“ გარდა ამისა, იგი ამბობს: „იმისათვის, რომ სახელმწიფო მშვიდობიანი იყოს და ჰარმონია შენარჩუნდეს, *ყველა* მოქალაქე, *გამონაკლისის გარეშე,* უნდა იყოს [თანაბრად] კარგი ქრისტიანი; მაგრამ თუ ამ საზოგადოებაში, საუბედუროდ, თუნდაც ერთი ანგარებიანი ან პირმოთნე ადამიანი გაჩნდება . . . იგი თავის ღვთისმოსავ თანამემამულეებს ადვილად დაჩაგრავს.“[22]

თუ თანამშრომლობას რაციონალურად მივიჩნევთ, მისგან ნებისმიერ გადახვევას კი ირაციონალურად, უნდა დავეთანხმოთ სპინოზას, რომ კონფლიქტი ადამიანთა ირაციონალურობის შედეგია. მაგრამ თუ რაციონალური ქმედების მოთხოვნებს შევისწავლით, აღმოვაჩენთ, რომ ისეთ მარტივ მაგალითშიც კი, როგორიცაა ირემზე ნადირობა, თითოეული ადამიანი, განსჯის შედეგად, ინტერესის ერთსა და იმავე განსაზღვრებას უნდა იზიარებდეს, ყოველი ადამიანი ერთნაირ დასკვნას უნდა აკეთებდეს იმ მეთოდების შესახებ, რომლებიც მოცემულ ვითარებაში გამოადგება, ყველა სწრაფად უნდა თანხმდებოდეს იმ გაუთვალისწინებელი შემთხვევის

---

[22] *Social Contract*, pp. 135-36 (Book IV, ch. viii). კურსივი დამატებულია. სიტყვა *თანაბრად* აუცილებელია ფრანგული ტექსტის ზუსტი მნიშვნელობის გადმოსაცემად, მაგრამ ამ თარგმანში ის არ გვხვდება.

საპასუხო ქმედებაზე, რომელმაც თავდაპირველი გეგმის შეცვლის საკითხი შეიძლება დააყენოს და თითოეულ ადამიანს უნდა შეეძლოს სრული იმედის დამყარება სხვების მიზნის სიმტკიცეზე. სრულყოფილად რაციონალური ქმედება მოითხოვს არა მარტო იმის აღქმას, რომ ჩვენი კეთილდღეობა სხვების კეთილდღეობაზეა გადაჯაჭვული, არამედ დეტალების ზუსტ შეფასებასაც, რათა მოვახერხოთ პასუხის გაცემა შეკითხვაზე: *როგორ* არის ჩვენი კეთილდღეობა, თითოეულ შემთხვევაში, სხვებისაზე გადაჯაჭვული? რუსო, სპინოზას მსგავსად, უარს ამბობს, კურდღლის დამჭერის საქციელი ცუდად ან კარგად შეაფასოს, სპინოზასაგან გასხვავებით, იგი იმაზეც უარს ამბობს, რომ მას რაციონალური ან ირაციონალური უწოდოს. მან შეამჩნია, რომ სირთულე მდგომარეობს არა მხოლოდ მოქმედ ერთეულებში, არამედ იმ პირობებშიც, რომლებსაც ისინი აწყდებიან. რუსოს ანალიზი არ უგულებელყოფს სიხარბისა და პატივმოყვარეობის როლს კონფლიქტის წარმოშობასა და გაღვივებაში,[23] მაგრამ ამავდროულად, ნათელყოფს, თუ რა ხარისხითაა გარდაუვალი კონფლიქტი ადამიანთა საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

მოკლედ რომ ვთქვათ, ის ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც ირაციონალურობა მსოფლიოში არსებული ყველა პრობლემის მიზეზია, ხოლო სრულყოფილად რაციონალური ადამიანებით დასახლებულ მსოფლიოში უთანხმოება და კონფლიქტი არ მოხდება, რუსოს აზრით, იმდენდვე ჭეშმარიტია, რამდენადაც უადგილო. ვინაიდან მსოფლიოს სრულყოფილებაზე საუბარი შეუძლებელია, ნამდვილი პრობლემა, თუ როგორ მივუახლოვდეთ ჰარმონიას თანამშრომლობასა და შეჯიბრში, ყოველთვის ჩვენს წინაშე იდგება და იმის გამო, რომ სრულყოფის უნარი არ გაგვაჩნია, ეს პრობლემა მხოლოდ ადამიანების შეცვლით არ მოგვარდება. ამრიგად, რუსომ სპინოზასა და კანტის ორივე ვარაუდის უარყოფის შესაძლებლობა მოგვცა. თუ კონფლიქტი შეჯიბრისა და საზოგადოებაში თანამშრომლობის მცდელობის თანაპროდუქტია, მაშინ არ არის საჭირო

---

[23] *A Lasting Peace*, tr. Vaughan, p. 72. 91-ე გვერდზე რუსო ამბობს, რომ ადამიანები არიან „უსამართლონი, მყარად ეჭიდებიან და ყველაფერზე მაღლა აყენებენ თავის ინტერესებს.“ აქ მესამე ხედვის პირველთან მიმართების საკითხი დგება, რომელსაც ქვემოთ, VIII თავში განვიხილავთ.

ადამიანის ერთადერთ მოტივად თვითგადარჩენის გამოცხადება, რადგანაც კონფლიქტი ნებისმიერი მიზნისაკენ სწრაფვამ შეიძლება გამოიწვიოს - თუნდაც, ამ პროცესში ადამიანმა კანტის კატეგორიული იმპერატივის შესაბამისად იმოქმედოს.

ბუნებიდან სახელმწიფოში

ბუნებრივ მდგომარეობაში რუსოს, სპინოზასა და კანტის აზრით, ადამიანებს მართავს „ინსტინქტი," „ფიზიკური იმპულსები" და „ხორციელი სურვილის უფლება," „თავისუფლება კი . . . მხოლოდ პიროვნების ძალით არის შეზღუდული." შეთანხმებები საკალდებულო ხასიათს არ ატარებს, რადგან „ბუნებრივი სანქციების არარსებობის პირობებში სამართლებრივი ნორმები ადამიანებს შორის არ მოქმედებს."[24] სამოქალაქო კანონის დაცვის გარეშე, სოფლის მეურნეობაც კი ვერ განვითარდება რადგანაც, რუსოს მიერ დასმულ კითხვას თუ გავიმეორებთ: ვინ „აღმოჩნდება იმდენად უგუნური, რომ დაამუშავოს მიწის ნაკვეთი, რომელზეც მოყვანილი მოსავალი პირველივე იქ მისულმა შეიძლება მიითვისოს?" ამ დროს შეუძლებელია, იყო ყაირათიანი, რადგანაც საზოგადოებრივი რეგულირების გარეშე სხვების ინტერესების, უფლებებისა და საკუთრების პატივისცემის ვალდებულება ვერ იარსებებს, მაგრამ ეს თვისება სასურველია იმიტომ, რომ ის ცხოვრებას აადვილებს, ან, შესაძლოა, სულაც, აუცილებელია, რადგანაც მოსახლეობა წარმოების მოცემული წესის პირობებში სურსათის არსებული მარაგის აქტიურად მოხმარებას იწყებს. ზოგიერთი ადამიანი ერთიანდება, ადგენს თანამშრომლობისა და შეჯიბრის წესებს და ქმნის მათი შესრულების მექანიზმებს. სხვები იძულებულნი ხდებიან, ამ სიახლეს შეეგუონ, რადგანაც ორგანიზებული საზოგადოების გარეთ დარჩენილები და შესაბამისად, ქმედითი თანამშრომლობის უნარს მოკლებულები წინ ვერ აღუდგებიან იმ ჯგუფის ეფექტიანობას, რომელიც გაერთიანებულია და შრომის საზოგადოებრივი დანაწილებიდან სარგებელს იღებს.[25]

---

[24] *Social Contract*, pp. 18-19 (Book I, ch. viii); p. 34 (Book II, ch. vi).

[25] *Inequality*, pp. 212, 249-52. განსაკუთრებით საინტერესოა დიალექტიკური განვითარება, რომელშიც საზოგადოებრივი მდგომარეობისაკენ გადადგმული ყოველი ნაბიჯი სიძნელეებსა და უბედურებებს წარმოშობს.

ნათელია, რომ ბუნებრივი მდგომარეობიდან სამოქალაქო მდგომარეობაში გადასვლას ადამიანისათვის მატერიალური მოგება მოაქვს. მაგრამ აქ მატერიალურ მოგებაზე უფრო მეტიც იგულისხმება. ამ საკითხს რუსო *საზოგადოებრივი ხელშეკრულების* ერთ მოკლე თავში აშუქებს, რაშიც მას, მოგეკანებით, კანტიც დაეთანხმა. „ბუნებრივი მდგომარეობიდან სამოქალაქო მდგომარეობაში გადასვლა," - ამბობს რუსო, - „ადამიანში ძალზე შესამჩნევ ცვლილებას იწვევს იმით, რომ მის ქმედებაში ინსტინქტს სამართლიანობით ცვლის, ხოლო მის ქმედებებს ანიჭებს ზნეობრიობას, რომელიც მათ აქამდე აკლდათ." სამოქალაქო მდგომარეობის შექმნამდე ადამიანი ბუნებრივი თავისუფლებით სარგებლობს; მას ყველაფერზე აქვს უფლება, რისი მოპოვებაც შეუძლია. ამ ბუნებრივ თავისუფლებას იგი კარგავს მას შემდეგ, რაც სამოქალაქო მდგომარეობაში შედის. ამის სანაცვლოდ კი იღებს „სამოქალაქო თავისუფლებასა და საკუთრების უფლებას ყოველივეზე, რასაც ფლობს." ბუნებრივი თავისუფლება იცვლება სამოქალაქო თავისუფლებით, ხოლო ფლობა - საკუთრებით. ამას გარდა, „სამოქალაქო მდგომარეობაში ადამიანი იძენს ზნეობრივ თავისუფლებას, იმ ერთადერთ თვისებას, რომელიც მას საკუთარი თავის მბრძანებლად აქცევს. მხოლოდ ხორციელი სურვილებით მოქმედება მონობაა, ხოლო კანონის მორჩილება, რომელსაც ჩვენვე ვუწესებთ საკუთარ თავს, არის თავისუფლება."[26]

მდგომარეობა სახელმწიფოთა შორის

რუსოსა და კანტის რწმენით, სამოქალაქო მდგომარეობა ზნეობრივი ცხოვრების შესაძლებლობას ზრდის, თუმცა, რუსო მის როლს უფრო დადებით შეფასებას აძლევს, დაახლოებით ისეთივეს, როგორსაც პლატონი და არისტოტელე. მაგრამ რა შეიძლება ითქვას თავად სამოქალაქო მდგომარეობაში მყოფ ერთეულებს შორის ურთიერთიერთობაზე? ასეთ შემთხვევაში სპინოზა უბრუნდებოდა შეფასებას, რომელიც მან ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი ადამიანების შესახებ გააკეთა, სადაც, მისი აზრით, კონფლიქტი ადამიანის ნაკლოვანი გონებით იყო გამოწვეული. კანტიც იშველიებდა ადამიანთა შორის დასაბამიდან არსებული კონ-

[26] *Social Contract*, pp. 18-19 (Book I. ch. viii).

ფლიქტის საკუთარ ანალიზს, მაგრამ მისი განმარტება დაპირისპირებული ერთეულების გარდა მათ გარემოსაც ითვალისწინებდა. რუსოსა და კანტის განმარტებები მსგავსია, მაგრამ რუსოსი უფრო თანამიმდევრული და სრულია.

საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორეტიკოსი, იქნება ეს სპინოზა, ჰობსი, ლოკი, რუსო თუ კანტი, სახელმწიფოთა ქცევას მსოფლიოში ადარებს ადამიანთა ქცევას ბუნებრივ მდგომარეობაში. თუ ბუნებრივ მდგომარეობას განვსაზღვრავთ, როგორც ვითარებას, რომელშიც მოქმედი ერთეულები, ადამიანები ან სახელმწიფოები, თანაარსებობენ ზემდგომი ძალაუფლების გარეშე, აღნიშნული ფრაზა შეიძლება მიესადაგოს სახელმწიფოებს თანამედროვე მსოფლიოში, ისევე როგორც სამოქალაქო მდგომარეობის გარეთ მცხოვრებ ადამიანებს. აშკარაა, რომ სახელმწიფოები საერთო უზენაეს ხელისუფლებას არ ცნობენ, მაგრამ შეიძლება კი, მათ მოქმედი ერთეულები ვუწოდოთ? ეს საკითხი უნდა გამოვიკვლიოთ მანამ, სანამ სახელმწიფოთა შორის სახელმწიფოს ქცევის რუსოს მიერ შემოთავაზებული სქემატური აღწერილობის განხილვაზე გადავალთ.

რუსო, სპინოზას მსგავსად დროდადრო კორპორაციული ტრესტისა და ორგანიზმის ანალოგიებს იყენებს. პირველი ნაგულისხმევია მის განცხადებაში, რომ სუვერენს არ შეუძლია, სახელმწიფოს არსებობის საწინააღმდეგოდ რაიმე ნაბიჯი გადადგას. სახელმწიფოს მიზანია „მისი წევრების უსაფრთხოება და კეთილდღეობა."[27] ორგანიზმის ანალოგია კი ასახულია მის განცხადებაში, რომ „ცალკე აღებული პოლიტიკური სხეული შეიძლება განვიხილოთ ორგანიზებულ, ცოცხალ სხეულად, რომელიც ადამიანისას მოგვაგონებს." როგორც ცოცხალი არსება, „მის საზრუნავებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია თვითგადარჩენა."[28] თუმცა, რუსო გვაფრთხილებს, რომ ეს ანალოგია არაზუსტია. ინდივიდისა და სახელმწიფოს მოტივთა იგივეობა, შესაძლოა, მხოლოდ

---

[27] *Ibid.*, pp.16-17 (Book I, ch. vii); p. 83 (Book III. ch. ix).

[28] *Political Economy*, p. 289; *Social Contract*, p. 28 (Book II, ch. vi). იხილეთ შედარებისათვის: Montesquieu, *The Spirit of Laws*, tr. Nugent, Book X. ch. ii: „ხელისუფლების მოღვაწეობა ადამიანისას წააგავს. ამ უკანასკნელს უფლება აქვს, თავდაცვის მიზნით სხვა მოკლას, პირველს კი უფლება აქვს, ომი გააჩაღოს იმისათვის, რომ გადარჩეს."

დამთხვევა იყოს და არა აუცილებელი ჭეშმარიტება, როგორც ეს სპინოზასთან არის წარმოდგენილი. ამას გარდა, იგი დიდი სიფრთხილით განმარტავს, თუ რას გულისხმობს, როდესაც სახელმწიფოს სრულყოფილი ნებისა და მიზნის მქონე ერთეულად ახასიათებს.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ასპექტში რუსო ერთმანეთისაგან განასხვავებს ორ კატეგორიას: სახელმწიფოებს, როგორებიც ისინი რეალურად არიან და სახელმწიფოებს, რომლებიც მოწყობილნი არიან ისე, როგორც უნდა იყვნენ. პირველ შემთხვევაში, მისი მტკიცებით, გამორიცხულია, რომ სახელმწიფოს ინტერესი და სუვერენის ქმედება დაემთხვეს. მართლაც, სახელმწიფოთა უმრავლესობაში უცნაური იქნება, ეს რომ ასე მოხდეს, რადგანაც სუვერენს არ ადარდებს სახელმწიფოს ინტერესები და მეტწილად მხოლოდ საკუთარი პატივმოყვარეობა და სიხარბე ამოძრავებს. ორგანიზმისა და კორპორაციის ანალოგიები ამგვარ სახელმწიფოებსაც კი შეზღუდულად უნდა მივუსადაგოთ, ვინაიდან გარკვეული თვალსაზრისით სახელმწიფო, მაინც, ერთეულია. სუვერენი, ვიდრე საკმარის ძალაუფლებას ინარჩუნებს, ისე ახორციელებს თავის ნებას, თითქოს ეს სახელმწიფოს ნება იყოს. აქ შეიძლება პარალელის გავლება სპინოზასთან, რომელიც ვარაუდობდა, რომ საერთაშორისო ასპარეზზე სახელმწიფო მისი წევრების სახელით მოქმედ პირად უნდა აღვიქვათ. რუსო ამას უმატებს ნაციონალიზმის ისტორიით შევსებულ და დამტკიცებულ ანალიზს, რომელიც ცხადყოფს, რომ სახელმწიფო შეიძლება გახდეს ერთეული უფრო ღრმა გაგებით, ვიდრე ამას სპინოზას ფილოსოფია აცნობიერებს. რუსო ირწმუნება, რომ გარკვეულ პირობებში სახელმწიფო თავისი გადაწყვეტილებებით აღასრულებს საერთო ნებას, რომელიც განისაზღვრება, როგორც სახელმწიფოს სურვილი, გააკეთოს ის, რაც ერთობლიობად განხილული მისი ყველა წევრისათვის „საუკეთესოა.“ სახელმწიფოს ერთიანობა მიიღწევა მაშინ, როდესაც საერთო ნების განხორციელებისათვის აუცილებელი პირობები არსებობს.

ამ აბსტრაქტულ ფორმულირებაში ძნელია პასუხის პოვნა კითხვაზე, რომელიც რუსოს აინტერესებს: რა პირობებში მიაღწევს სახელმწიფო მისთვის სასურველ ერთიანობას? საბედნიეროდ, რუსოს ფორმულირების დაკონკრეტება საკმაოდ ადვილია. მოქალაქეობრივი სულისკვეთება ან პატრიოტიზმი, - ამბობს იგი, - კარგი სახელმწიფოს აუცილებელი

საფუძველია. პრიმიტიულ ტომებში ეკონომიკურმა ურთიერთდამოკიდებულებამ და გარეშე ზეწოლამ წარმოშვა შიდა სოლიდარობა. მეთვრამეტე საუკუნის დიდი სირთულეების ფონზე, რუსო გამოთქვამს შიშს, რომ ამ პრიმიტიული ხანის სოციალურ და პოლიტიკურ ჯგუფებში არსებული სოლიდარობის გრძნობა დაიკარგა. „დღეს აღარ არიან," - წერს იგი, - „ფრანგები, გერმანელები, ესპანელები, ინგლისელები . . .; არიან მხოლოდ ევროპელები." ყველას ერთნაირი გემოვნება, მისწრაფებები და ზნეობა აქვს იმიტომ, რომ არცერთს არ უყალიბდება განსხვავებული ხასიათი ეროვნული ინსტიტუტების გაელენით.[29] პატრიოტიზმს, მისი აზრით, სუბნაციონალური და ტრანსნაციონალური ინტერესებით გამოწვეული საწინააღმდეგო მისწრაფებების ორომტრიალში გაქრობის საფრთხე ემუქრება. როგორ შეიძლება უამრავ სხვა ინტერესს შორის ნაციონალიზმი აღმოცენდეს? სწორედ ამ კითხვას სვამს რუსო და თავადვე პასუხობს:

თუ ბავშვები ერთად აღიზრდებიან თანასწორობის პირობებში, თუ სახელმწიფოს კანონებისა და საერთო ნების საფუძველზე მიღებული დადგენილებების მიმართ ერთგულებით განიმსჭვალებიან, თუ ისწავლიან ყოველივე ზემოხსენებულის პატივისცემას, თუ გარემოცულნი იქნებიან ისეთი მაგალითებითა და საგნებით, რომლებიც მუდმივად მოაგონებენ ალერსიან აღმზრდელ დედას, მის სიყვარულს მათდამი, ფასდაუდებელ სარგებელს, რომელსაც ისინი მისგან იღებენ და სამაგიეროს, რომელიც მას უნდა მიუზღონ, ჩვენ არ შეგვეძლება ეჭვის შეტანა იმაში, რომ ისინი ისწავლიან ერთმანეთზე ზრუნვას, როგორც ძმები, ისეთს არაფერს მოისურვებენ, რაც საზოგადოების ნების წინააღმდეგ იქნება მიმართული, სოფისტების ფუჭ და ამაო ლაქლაქს ადამიანთა და მოქალაქეთა ქმედებებით ჩაანაცვლებენ და დროულად გახდებიან დამცველები და მამები იმ ქვეყნისა, რომლის შვილებიც აქამდე იყვნენ.[30]

ამგვარ სახელმწიფოში კონფლიქტი აღმოიფხვრება და ერთიანობა მიიღწევა იმიტომ, რომ, უარყოფითი თვალსაზრისით, თანასწორობა

---

[29] *Considérations sur le Gouvernment de Pologne*, in Vaughan, ed., *The Political Writings of Jean Jeacques Rousseau*, II, 432. ქვემოთ მოყვანილია ციტატები ნაშრომიდან: *Projet de Constitution pour la Corse* და ნაწყვეტები წიგნიდან: *Emile*.

[30] *Political Economy*, p. 309.

ხელს უშლის იმ კერძო ინტერესების გაძლიერებას, რომლებიც სახელმწიფოს ერთიანობისათვის დამღუპველია; დადებითი თვალსაზრისით კი, მოქალაქეობრივი გრძობის აქტიურად დანერგვა მოქალაქეს მთელი საზოგადოების კეთილდღეობისათვის ზრუნვის სულისკვეთებით აღავსებს.[31] სახელმწიფოს ნება წარმოადგენს საერთო ნებას. გათიშულობისა და კონფლიქტის პრობლემა კი არ არსებობს.

საერთაშორისო პოლიტიკის შესწავლისას მოსახერხებელია სახელმწიფოების მოქმედ ერთეულებად ცნობა. ამავე დროს, საღი აზრისათვის შეურაცხმყოფელია სახელმწიფოს ქმედების შესახებ საუბარი, რომელიც, ასეა თუ ისე, მაინც, აბსტრაქტული და შესაბამისად, უსულო ობიექტია. ეს მნიშვნელოვანი საკითხია საერთაშორისო ურთიერთობების ნებისმიერი თეორიისათვის, განსაკუთრებით კი მესამე ხედვისათვის. რამდენად გამოსადეგია, ზოგადი თვალსაზრისით, რუსოს მოსაზრებები ამ პრობლემაზე?

ფილოლოგმა ერიკ პარტრიჯმა მიმოიხილა პრიმიტიულ ხალხში ფართოდ გავრცელებული ტენდენცია, საკუთარი თავი მოიხსენიონ „ადამიანებად" ან „ხალხად," რაშიც იგულისხმება, რომ ისინი სხვა მსგავს ჯგუფებთან შედარებით უკეთესები და, აგრეთვე, განსხვავებულები არიან.[32] ჰეროდოტემ აღმოაჩინა, რომ სპარსელები სხვებზე გაცილებით მაღლა მდგომ ხალხად აღიქვამდნენ თავს და სხვა ხალხების ღირსებებს სპარსელებთან მათი გეოგრაფიული სიახლოვის მიხედვით აფასებდნენ.[33] ის, რომ ბერძნებს ასეთივე შეხედულება ჰქონდათ საკუთარ თავზე ნათლად ჩანს ძველი ბერძნული ლიტერატურიდან, ხოლო ებრაელები

---

[31] თანასწორობის მნიშვნელობისათვის ისილეთ: *Considérations sur le Gouvernment de Pologne*, განსაკუთრებით II თავი, გვ. 436, 456; *Projet de Constitution pour la Corse*, II, 337-38: და *Political Economy*, p. 306. პატრიოტიზმის გაღვივების მნიშვნელობის შესახებ იხილეთ: *Considérations sur le Gouvernment de Pologne*, განსაკუთრებით II თავი, გვ. 437.

[32] Partridge. "We are *The* People." in *Here, There, and Everywhere*, pp. 16-20. იხილეთ შედარებისათვის: "War." in Sumner. *War and Other Essays*, ed. Keller, p. 12: „ალბათ, ველური ხალხების მიერ საკუთარი თავისათვის მინიჭებული სახელების უმეტესობა ნიშნავს „ადამიანებს," „ერთადერთ ადამიანებს," ან „ადამიანთა ადამიანებს," ე. ი. ჩვენ ვართ ადამიანები, ხოლო დანარჩენები - რაღაც სხვა არსებები."

[33] *The History of Herodotus*, tr. Rawlinson, I, 71.

დარწმუნებით აცხადებდნენ, რომ ღმერთის *ერთადერთი* რჩეული ხალხი იყვნენ. ამგვარი გრძნობა არის ჯგუფისათვის დამახასიათებელი განწყობა ანუ ლოკალური პატრიოტიზმი. მეთვრამეტე საუკუნემდე ასეთი განწყობა ეუფლებოდა ან შედარებით დიდ ტერიტორიაზე გაფანტულ მცირერიცხოვან ხალხს ან შედარებით მცირე ტერიტორიაზე დასახლებული ხალხის უმეტეს ნაწილს. პირველი შემთხვევის მაგალითია საფრანგეთის მიერ გაწეული წინააღმდეგობა რომის პაპ ბონიფაციუს VIII-ისადმი, რომელმაც მოინდომა ისეთ საკითხებში ჩარევა, რომლებსაც როგორც მეფე, ისე თავადაზნაურობა და სამღვდელოება საშინაო საქმეებად მიიჩნევდნენ. მეორის მაგალითი კი ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებში და ზოგიერთ შუა საუკუნოვან ქალაქში გავრცელებული მოქალაქეობრივი სულისკვეთებაა.

ჯგუფური პატრიოტიზმის არსებობას ჩვენი ანალიზისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს მანამ, სანამ ის, როგორც ს. ჯ. ჰ. ჰეისი ამბობს, ნაციონალიზმის იდეას არ შეერწყმება. ამის შედეგად კი ვიღებთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტს - თანამედროვე ნაციონალიზმს. ჰანს კონი აღნიშნავს, რომ ნაციონალიზმი სახალხო სუვერენიტეტის იდეის გარეშე წარმოუდგენელია, ხოლო ნაციონალიზმის აღმოცენება მასების საერთო პოლიტიკურ ფორმაში გაერთიანებას მოჰყვება.[34] ამგვარი ინტეგრაცია იდეალად არის წარმოსახული რუსოს პოლიტიკურ ნაშრომებში, მაგრამ უკანასკნელი, პლატონის მსგავსად, შესაძლებლად თვლიდა მას მხოლოდ ვიწროდ განსაზღვრულ ტერიტორიაზე - ქალაქ-სახელმწიფოში.[35] თანამედროვე ტექნოლოგიის, განსაკუთრებით სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებასთან ერთად, შესაძლებელი გახდა ინდივიდების ინტერესთა მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულად მოაზრება, რუსოს მიერ საჭიროდ აღიარებული მექანიზმების გამოყენების გარეშეც, გაცილებით უფრო ვრცელ ტერიტორიაზე, ვიდრე ეს რუსოს ჰქონდა წარმოდგენილი. შეიცვალა მოქმედების მასშტაბი და არა თავად იდეა.

---

[34] Hays, *Essays on Nationalism*, p. 29; Kohn, *The Idea of Nationalism*, pp. 3-4.

[35] შეადარეთ რჩევას, რომელსაც იგი გვაძლევს ნაშრომში: *Considérations sur le Gouvernment de Pologne*, II, 442: „დაიწყეთ თქვენი შესაძლებლობების შეზღუდვით, თუ ხელისუფლების გარდაქმნა გსურთ."

ნაციონალიზმის იდეა არ გულისხმობს იმას, რომ ადამიანები მხოლოდ ერს განეკუთვნებიან. თუმცა, უკანასკნელ საუკუნეებში, მართლაც, გამოჩნდა, რომ ხალხის დიდი ნაწილისათვის დამახასიათებელია ლოიალურობა სახელმწიფოს მიმართ, რომელიც თითქმის ყველა სხვა ჯგუფისადმი მათ ერთგულებას აჭარბებს. ერთ დროს ადამიანები ეკლესიის მიმართ იმდენად ლოიალურები იყვნენ, რომ მზადყოფნას გამოთქვამდნენ, მისი გულისათვის ომში თავი გაეწირათ. ახალ დროში კი უამრავი ადამიანი ეროვნული სახელმწიფოსადმი ამჟღავნებს მსგავს ლოიალურობას. თანამედროვე ნაციონალიზმი გამონაკლისებს უშვებს, მაგრამ ამ გამონაკლისებს იშვიათად თუ გამოუწვევია სახელმწიფოს ძირითადი პრეტენზიის უარყოფა საკუთარ მოქალაქეთა ერთგულებაზე.

ნაციონალიზმის ცენტრისკენული ძალა გვეხმარება იმის ახსნაში, თუ რატომ შეიძლება სახელმწიფოები ერთეულებად მივიჩნიოთ, მაგრამ მთელი ანალიზის ამ მოსაზრებაზე დაფუძნება გადამეტებულია. რუსომ ცხადყო, რომ ეს ანალიზი ორიდან ერთ-ერთ შემთხვევაში გამოდგება: 1) თუ სახელმწიფო არის ერთეული, რომელსაც მეტ-ნაკლები სისწორით ზედსართავი სახელი „ორგანული“ შეიძლება მიესადაგოს. მართალია, რუსომ ეს ვერ იწინასწარმეტყველა, მაგრამ დღეს მის სიტყვებს ამართლებს ბევრი ისეთი სახელმწიფო, რომელიც სხვამხრივ მისი იდეალისაგან საკმაოდ შორს დგას; 2) თუ სახელმწიფო არის ერთეული მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ გარკვეული ძალა ისე დამკვიდრდა სახელმწიფოში, რომ მისი გადაწყვეტილებები სახელმწიფოს გადაწყვეტილებებად განიხილება.

რეალურად არსებულ ნებისმიერ სახელმწიფოში ვითარება ასეთნაირად შეიძლება დახასიათდეს. სახელმწიფოს სახელით ხდება პოლიტიკის შემუშავება და მისი სხვა ქვეყნებისათვის წარდგენა, თითქოს ის, რუსოს ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, სახელმწიფოს საერთო ნებაა. განსხვავებულად მოაზროვნეებს კი ორი ფაქტორი მატებს მხნეობას: მათი უუნარობა, ძალისმიერი ზემოქმედებით გადაწყვეტილება შეცვალონ და მათი რწმენა, დამყარებული აღქმულ ინტერესებსა და ტრადიციულ ლოიალურობაზე, რომ საბოლოო ჯამში, მათთვის უმჯობესია, ეროვნულ გადაწყვეტილებას დაეთანხმონ და მის შესაცვლელად დადგენილი და მიღებული წესით იმოქმედონ. რუსოს სტანდარტებით, რაც უფრო ცუდია სახელმწიფო, მით უფრო მნიშვნელოვანია პირველი ფაქტორი,

ხოლო სახელმწიფოს ერთიანობა, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ *დე ფაქტო* სუვერენის შიშველი ძალაუფლებაა. მეორე მხრივ, რაც უფრო კარგია, ან, ახლა უკვე შეგვიძლია დავამატოთ, რაც უფრო ნაციონალისტურია სახელმწიფო, მით უფრო საგულისხმოა მეორე ფაქტორი, ხოლო მოქალაქეები, ბოლოს და ბოლოს, სრულად ეთანხმებიან სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ საგარეო პოლიტიკას. ორივე შემთხვევაში სახელმწიფო სხვა სახელმწიფოებისათვის ერთეულია. ნებისმიერი „სახელმწიფო," რომელიც ზემოჩამოყალიბებულ პირობებს არ აკმაყოფილებს, აღარ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ერთეულად საერთაშორისო პოლიტიკის ანალიზში, მაგრამ ვინაიდან ის სახელმწიფოდ არსებობასაც წყვეტს, ჩვენი პრობლემა ამით არ რთულდება. ზოგიერთი საკითხი საგარეო პოლიტიკის საკითხად გადაიქცევა, საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი კი მხოლოდ ერთი არჩევნის გაკეთებას მოითხოვს, ხოლო ამგვარ ერთადერთ არჩევანს სახელმწიფო, როგორც ერთი მთლიანი უნდა უჭერდეს მხარს, თორემ გაქრება სახელმწიფოც - და, მასთან ერთად, სახელმწიფოს ერთიანობის პრობლემაც. თუ არსებობს სახელმწიფო, არსებობს საგარეო პოლიტიკაც, საგარეო პოლიტიკაში კი სახელმწიფო ზოგჯერ ერთი ხმით უნდა გამოდიოდეს.

არის კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც აიძულებს სახელმწიფოს, უფრო დამაჯერებლად იმოქმედოს როგორც ერთეულმა, ვიდრე ეს წინამდებარე ანალიზშია ნავარაუდევი. კრიზისულ მომენტებში, განსაკუთრებით ომის დროს, საგარეო პოლიტიკისათვის თითქმის ერთსულოვანი მხარდაჭერის მოპოვების მცდელობები ყველაზე წარმატებული შეიძლება აღმოჩნდეს. გაერთიანებულ ფრონტს აყალიბებს ინდივიდთა გრძნობები, მათი რწმენა, რომ პირადი უსაფრთხოება სახელმწიფოს უსაფრთხოებაზეა დამოკიდებული. მას ქმნის სახელმწიფოს ნაბიჯები, რომელთა შედეგადაც მოღალატეები ისჯებიან და ჯილდოვდებიან ისინი, ვინც ყველაზე ეფექტიანად ან ყველაზე შთამბეჭდავად გამოხატავს პატრიოტიზმს. მას წარმოშობს საზოგადოების შიგნიდან მომდინარე ზეწოლა: არისტოფანეს *აქარნელებში* მსახიობთა გუნდის აღშფოთება დიკაიოპოლისის მიერ ათენის მტრების დაცვის საპასუხოდ ყოველი საზოგადოების ომისდროინდელ გამოცდილებაში აისახება.

ერის ერთიანობა, მოკლედ რომ ვთქვათ, უზრუნველყოფილია არა მხოლოდ საშინაო ფაქტორებით, არამედ წინააღმდეგობებით, რომლებიც

ხშირია საერთაშორისო ურთიერთობებში. ამგვარი წინააღმდეგობები მნიშვნელობას იძენს არა მაშინ, როდესაც სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანებს შორის სიძულვილს აღძრავს, არამედ როდესაც ესა თუ ის სახელმწიფო ომის პოლიტიკის განსახორციელებლად რესურსების, ინტერესებისა და გრძნობების მობილიზაციას ახდენს. წინასწარ ჩანერგილი სიძულვილის გრძნობა ომის პოლიტიკისა და მისი წარმატების ალბათობას ზრდის, მაგრამ ომი იწარმოება იმის მიუხედავად, რომ საბრძოლო ხაზში მდგომ ქვეით ჯარისკაცებს ურჩევნიათ, სხვაგან იყვნენ და სხვა რამეს აკეთებდნენ მტრის წინააღმდეგ სროლის ნაცვლად. ადამიანები ომში მონაწილეობენ იმიტომ, რომ სახელმწიფოთა განუყოფელი ნაწილები არიან. ასეთია რუსოს პოზიცია, რომელიც ამტკიცებს, რომ „თუ ომი შესაძლებელია მხოლოდ „ზნეობრივ არსებებს" [სახელმწიფოებს] შორის, აქედან გამომდინარეობს, რომ მეომარი მხარეები ცალკეულ ადამიანებს არ ერჩიან." ერთი *სახელმწიფო* მეორე *სახელმწიფოს* ეომება. ომის მიზანია მოწინააღმდეგე სახელმწიფოს განადგურება ან შეცვლა, ხოლო თუ უკანასკნელი „ერთი დარტყმით" შეიძლება მოისპოს, ომი უმალვე შეწყდება."[36]

ამ ჰიპოთეზის დასამტკიცებლად შორეულ წარსულში გახედვა არ არის საჭირო. ჩვენ ვიბრძოდით გერმანიის წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომში, რადგანაც ის, როგორც ერთი მთლიანი, ჰიტლერს ემორჩილებოდა და არა იმის გამო, რომ უამრავ ადამიანს ამერიკის შეერთებულ შტატებში პიროვნული შუღლი ჰქონდა გერმანელ ხალხთან. იმ ფაქტმა, რომ ჩვენ დავუპირისპირდით არა ადამიანებს, არამედ სახელმწიფოებს შესაძლებელი გახადა სახელმწიფოთა სწრაფი გადაჯგუფება ომის შემდგომ, რისი ნათელი გამოხატულებაცაა დღეს ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობა იმ სახელმწიფოთა ლიდერებთან და ხალხებთან, რომლებიც ცოტა ხნის წინ ჩვენი მოსისხლე მტრები იყვნენ.

ახლა კი შეგვიძლია დავუბრუნდეთ რუსოს თეორიას საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საკითხებს, რომლებიც მას თავიდანვე აღელვებდა, კერძოდ, პოლიტიკურ

---

[36] *A Lasting Peace*, tr. Vaughan. p. 123. იხილეთ შედარებისათვის: *Social Contract*, pp. 9-10. (Book I. ch. iv). და Montesquieu, *The Spirit of Laws*, tr. Nugent. Book X. ch. iii.

გარემოსა და სახელმწიფოთა ხარისხს. საერთაშორისო გარემოს როლის თაობაზე რუსო შემდეგს ამბობს:

სრული ჭეშმარიტებაა, რომ ყველა ადამიანისათვის გაცილებით უკეთესი იქნებოდა ყოველთვის მშვიდობის შენარჩუნება, მაგრამ ვინაიდან საამისოდ არ არსებობს უსაფრთხოება, ყველას სურს, რადგან ომის თავიდან აცილების გარანტიას ვერ ხედავს, დაიწყოს ომი საკუთარი ინტერესებისათვის მომგებიან დროს და ამით დაასწროს მეზობელს, რომელიც, თავის მხრივ, მისთვის ხელსაყრელ დროს აუცილებლად დაასწრებს მას თავდასხმას. ამრიგად, ძალიან ბევრი ომი, თუნდაც, შეტევითი ხასიათის, თავდამსხმელის მიერ საკუთარი სამფლობელოს დასაცავად წინასწარი, არაკანონიერი ზომების მიღებას უფრო წააგავს, ვიდრე სხვისი ქონების ხელში ჩაგდების მცდელობას. თეორიულად რამდენად სასარგებლოც არ უნდა იყოს საზოგადოებრივი ნორმების მორჩილება, უეჭველია, რომ პოლიტიკურადაც და ზნეობრივადაც ეს ნორმები აუცილებლად დამღუპველი აღმოჩნდება ადამიანისათვის, რომელიც იცავს მათ მთელ მსოფლიოსთან მიმართებაში მაშინ, როდესაც არავინ ფიქრობს მათ შესრულებას მასთან დამოკიდებულებაში.[37]

წყობილება, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფოები მოქმედებენ აზრს უკარგავს წინდახედულებას, ვინაიდან ეს უკანასკნელი უსარგებლოა „როდესაც ყველაფერი შემთხვევაზეა დამოკიდებული."[38] მოქმედი ერთეულების ხასიათი უფრო უიმედო ელფერს აძლევს ვითარებას. „მეფეთა მთელი ცხოვრება," - ამბობს რუსო, „ორ მიზანს ემსახურება: ძალაუფლების განვრცობას სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ და მის განმტკიცებას მათ შიგნით. ნებისმიერი სხვა ამოცანა, რომელიც მეფეებს შეიძლება გააჩნდეთ, ერთ-ერთი ზემოაღნიშნული მიზნიდან გამომდინარეობს ან სულაც, მათი მიღწევის წინაპირობაა,"[39] ხოლო რაც შეეხება მინისტრებს, რომლებსაც ისინი „საკუთარ მოვალეობას აკისრებენ," შეძლებისდაგვარად მათ „მუდმივად ესაჭიროებათ ომი, როგორც საშუალება, აუცილებელნი გახდნენ თავიანთი ბატონისათვის, შეახვედრონ მას სიძნელეები, რომლებსაც იგი მათი დახმარების გარეშე თავს ვერ

---

[37] *A Lasting Peace*, tr. Vaughan, pp. 78-79. იხილეთ შედარებისათვის: Montesquieu. *The Spirit of Laws*, tr. Nugent, Book X, ch. ii.

[38] *A Lasting Peace*, tr. Vaughan, p. 88.

[39] *Ibid.*, p. 95.

დააღწევს, ხოლო ყველაზე უარეს შემთხვევაში, დააქციონ სახელმწიფო იმისათვის, რომ თანამდებობები შეინარჩუნონ."[40] თუ ასეთ მსოფლიოში წინდახედულებას აზრი არ აქვს, მაშინ საღად აზროვნება აშკარად საშიშია, ვინაიდან „ჯანმრთელად ყოფნა შეშლილების მსოფლიოში თავისთავად სიგიჟის ერთ-ერთი ნაირსახეობაა."[41]

სახელმწიფოებს შორის რეალურად არსებული ურთიერთობების შესახებ რუსოს არაფერი უთქვამს ისეთი, რასაც სპინოზასთან ან კანტთან ვერ წავიკითხავთ, თუმცა, უმეტეს შემთხვევებში მას ეს აზრი უკეთ აქვს ჩამოყალიბებული. მაგრამ მიგვიყვანს თუ არა კანტის იურიდიული სტანდარტითა თუ რუსოს უფრო ტევადი კრიტერიუმებით განსაზღვრული კარგი სახელმწიფოების გარკვეული ოდენობით არსებობა მშვიდობიან მსოფლიომდე? ამ კითხვას კანტი დადებითად პასუხობს, რუსო კი უარყოფითად. სახელმწიფოს ნება, რომელიც სრულყოფილი ფორმით ყველა მისი მოქალაქისათვის საერთოა, მხოლოდ ერთი ცალკეული ნებაა დანარჩენ მსოფლიოსთან მიმართებაში. როგორც სახელმწიფოს შიგნით მოღვაწე, ადამიანთა ერთი გაერთიანების ნება მის წევრებს საყოველთაოდ შეიძლება ეჩვენებოდეთ, მაგრამ მთელი ქვეყნის კეთილდღეობის თვალსაზრისიდან გამომდინარე მცდარი გამოდგეს, ისე სახელმწიფოს ნებაც, რომელიც საკუთრივ მას სამართლიანად მიაჩნია, დანარჩენ მსოფლიოსთან მიმართებაში არასწორი შეიძლება იყოს. „შეუძლებელი არ არის," - ამბობს რუსო, - „რომ კარგად მართულმა რესპუბლიკამ უსამართლო ომი წამოიწყოს."[42] მსოფლიოში ერთიანი ნების მისაღწევად სხვადასხვა სახელმწიფოს განცალკევებულობა უნდა იქნეს დაძლეული, ისევე როგორც, რუსოს მტკიცებით, კერძო გაერთიანებების გათიშულობა სახელმწიფოში უნდა გაქრეს. ერს შეუძლია განაცხადოს ან ირწმუნოს, რომ მისი მისწრაფებები სამართლიანია ყველა სახელმწიფოს თვალთახედვით, მაგრამ ამგვარი სურვილის მიუხედავად, თითოეული ქვეყნის მიერ დასახულ მიზნებს უფრო კერძო, ვიდრე საერთო ხასიათი ექნება.[43] ვინაიდან ასე ხდება,

---

[40] *Ibid*, p. 100.

[41] *Ibid.*, p. 91.

[42] *Political Economy*, pp. 290-91.

[43] ქცევის ზოგადი სტანდარტებიდან გადახვევის საკითხის შესახებ, რომლის გაგრძელებაცაა ზემომოყვანილი ნააზრევი, იხილეთ: *La Nouvelle Héloise*, ნაწილი

სახელმწიფოებზე მაღლა მდგომი ხელისუფლების არარსებობა, რომელიც შეაფერხებს და მოაგვარებს მათი პირადი სურვილების საფუძველზე აღმოცენებულ კონფლიქტებს, ომის გარდაუვალობის მანიშნებელია. რუსოს დასკვნა, რომელიც მისი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს, მართალია, ცოტათი აბსტრაქტულად, მაგრამ ზუსტად არის შეჯამებული შემდეგ განცხადებაში: განცალკევებულ ერთეულებს შორის უსიამოვნებები შემთხვევითი კი არა, გარდაუვალია.[44] ეს კი, თავის მხრივ, იმ აზრის სხვა სიტყვებით გადმოცემაა, რომ ანარქიის დროს არ არის ავტომატური ჰარმონია.

თუ პრობლემა ანარქიაში მდგომარეობს, მაშინ ორი შესაძლო გამოსავალი არსებობს: 1) ცალკეულ, ნაკლოვან სახელმწიფოებზე ეფექტიანი კონტროლის დაწესება და 2) სახელმწიფოების შემთხვევითობის სფეროდან ამოღება ანუ კარგი სახელმწიფოს იმდენად სრულყოფილად განსაზღვრა, რომ მან განცალკევებულად ყოფნა შეწყვიტოს. კანტი კომპრომისს ეძებდა და ვარაუდობდა, რომ სახელმწიფოები იმდენად კარგები იქნებიან, რომ დაემორჩილებიან კანონებს, რომლებსაც თავადვე ნებაყოფლობით დაიწესებენ. რუსო, ვისაც კანტი ამ საკითხში არ ეთანხმება, კარგი სახელმწიფოს განცალკევებულობას უსვამს ხაზს და ამით ცხადყოფს, რომ კანტის მიერ შემოთავაზებული გამოსავალი გამოუსადეგარია.[45] ამასთან, იგი აყალიბებს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას, რომელიც ზოგადად ხსნის ყველა სახელმწიფოს, როგორც ცუდის, ისე კარგის, ქცევას.[46]

II, წერილი xiv, წიგნში: *Oeuvres complètes de J. J. Rousseau*, IV, 160: „ყოველ ჯგუფს აქვს თავისი წესები, შეფასებები და პრინციპები, რომლებიც სხვებისათვის მიუღებელია. ერთ სახლში მცხოვრები პატიოსანი კაცი, მეზობელი სახლისათვის მატყუარაა. კარგის, ცუდის, მშვენიერის, მახინჯის, ჭეშმარიტებისა და ღირსების არსებობა ლოკალური და შემოფარგლულია.“

[44] ეს ჰგავს ჰეგელის მოსაზრებას: „სწორედ ბუნებაში არსებული შემთხვევითობის გამო ხდება უსიამოვნებები, მაშასადამე, ბედისწერა, რომელიც მათ განაპირობებს, გარდაუვალია.“ *Philosophy of Right*, tr. Knox, sec. 324.

[45] კანტს ამგვარი კრიტიკის მართებულობის აღიარება იმაზე უფრო მეტად სურს, ვიდრე ეს ფართოდ მიჩნეულია. ამ საკითხის შესახებ გადახედეთ მოცემული თავის პირველ ნაწილს.

[46] ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმის თქმას, რომ კონსტიტუციისა და საშინაო ვითარების არაერთგვაროვნება სახელმწიფოთა ქცევაში განსხვავებებს არ წარმოშობს. აქ კი მესამე ხედვის მეორესთან მიმართების საკითხი დგება,

ირემზე ნადირობის მაგალითში კურდღლის დამჭერს რაციონალური და, მისი შეხედულებით, სრულიად მოსალოდნელი სურვილი ამოძრავებდა. ჯგუფის დანარჩენი წევრების აზრით კი, მისი საქციელი თვითნებური და ახირებული იყო. ამდენად, ნებისმიერი სახელმწიფოს მიერ სრულიად მისაღებად მიჩნეულმა სურვილმა სხვა სახელმწიფოების აგრესიული წინააღმდეგობა შეიძლება გამოიწვიოს.[47] რუსო მჭევრმეტყველურად და ნათლად უსადაგებს ამ თეორიას საერთაშორისო პოლიტიკას თავის კომენტარებში სენ-პიერის შესახებ და მცირე ნაშრომში სახელწოდებით *ომის მდგომარეობა*. მისი ეს მცდელობა წინამდებარე ანალიზს ადასტურებს. ევროპის სახელმწიფოებს, - წერს იგი, - „იმდენად ბევრი შეხების წერტილი აქვთ, რომ ვერცერთი მათგანი ყველა დანარჩენისათვის ბიძგის კვრის გარეშე ნაბიჯს ვერ გადადგამს, უთანხმოებები მით უფრო მწვავდება, რაც მეტად მჭიდროდ იხლართება მათი კავშირები.“ ისინი „პირველივე ცვლილებისთანავე გარდაუვალ დავასა და ჩხუბში ჩაერთვებიან,“ ხოლო თუ ვიკითხავთ, რატომ არის მათი შეჯახება „გარდაუვალი,“ რუსო გვიპასუხებს: იმიტომ, რომ მათი კავშირი „შექმნილია და შენარჩუნებულია მხოლოდ შემთხვევის წყალობით.“ ევროპის სახელმწიფოები თავნება ერთეულები არიან და გვერდიგვერდ თანაარსებობენ წესებთან, რომლებიც გაურკვეველია და სახელმწიფოთა მორჩილებას ვერ უზრუნველყოფს. ევროპის სახელმწიფოთა სამართალი „ურთიერთსაწინააღმდეგო წესების ერთობლიობაა, რომელიც მხოლოდ ძლიერის უფლებამ შეიძლება გადააქციოს წესრიგად: მისი ამოქმედების უტყუარი საშუალების არარსებობის გამო, გონება იძულებულია, ეჭვის გაჩენისას, პირადი ინტერესით იხელმძღვანელოს - რაც თავისთავად ომს გარდაუვალს გახდის, თუნდაც, ყველა მხარეს კანონიერება სურდეს.“ ასეთ ვითარებაში უგუნურებაა, ველოდოთ ავტომატურ ჰარმონიასა და თანხმობას უფლებებსა და მოვალეობებში. რეალურად, „არსებობს ევროპის ერთა კავშირი,“ მაგრამ „ამ გაერთიანების ნაკლოვანება მასში შემავალ სახელმწიფოებს იმაზე უფრო უარესს მდგომარეობაში აგდებს, ვიდრე მათ საერთოდ რომ არ ჩამოეყალიბებინათ არავითარი თანამეგობრობა.“[48]

რომელსაც ქვემოთ, VIII თავში განვიხილავთ.

[47] *Political Economy*, pp. 290-91.

[48] *A Lasting Peace*, tr. Vaughan, pp. 46-48, 58-59. იხილეთ შედარებისათვის: *In-*

არგუმენტი ნათელია. ადამიანებისათვის ისტორიის ყველაზე სისხლიანი ეტაპი იყო პერიოდი, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა საზოგადოების შექმნას. ამ დროისათვის მათ უკვე დაკარგული ჰქონდათ პირველყოფილთა კეთილშობილება, მაგრამ ჯერ შეძენილი არ ჰქონდათ მოქალაქეთა დადებითი თვისებები. ბუნებრივი მდგომარეობის ბოლო სტადია აუცილებლად ომის მდგომარეობაა. ევროპის სახელმწიფოები სწორედ ამ სტადიაში იმყოფებიან.[49]

მაშინ, რაღა არის მიზეზი: ცალკეულ სახელმწიფოთა ახირებული ქმედებები თუ სისტემა, რომელშიც ისინი არსებობენ? რუსო ამ უკანასკნელს უსვამს ხაზს:

ყველასათვის თვალნათელია, რომ საზოგადოების ნებისმიერ ფორმას საერთო ინტერესები ამთლიანებს და ინტერესთა კონფლიქტი ანაწევრებს; რომ ორივე ეს ტენდენცია უამრავმა შემთხვევამ შეიძლება შეცვალოს ან გააუმჯობესოს; და რომ, აქედან გამომდინარე, საზოგადოების დაარსებას უნდა მოჰყვეს მაიძულებელი ძალაუფლების გაჩენა, რომელიც მისი წევრების ქმედებათა კოორდინაციას მოახდენს და მათ საერთო ინტერესებსა და ურთიერთვალდებულებებს ისეთ სიმტკიცესა და თანამიმდევრულობას შემატებს, როგორსაც ისინი თავად ვერასოდეს შეიძენს.[50]

თუმცა, პოლიტიკური სტრუქტურის მნიშვნელობის ხაზგასმა ა ნიშნავს იმის თქმას, რომ ქმედებებს, რომლებიც კონფლიქტსა დ ძალის გამოყენებას იწვევს, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. სწორე კონკრეტული ნაბიჯები გვეელინება ომის უშუალო მიზეზებად,[51] ი

---

equality, pp. 252-53, *Emile*, II, 157-58.

[49] *A Lasting Peace*, tr. Vaughan, pp. 38, 46-47. 121-ე გვერდზე რუსო განასხვავებს „ომის მდგომარეობას," რომელიც ყოველთვის არსებობს სახელმწიფოებს შორის, საკუთრივ ომისაგან, რომელიც მტრული სახელმწიფოს განადგურების მტკიცე განზრახვაში გამოიხატება.

[50] *Ibid.*, p. 49.

[51] ამავე ნაშრომში, 69-ე გვერდზე რუსო ამგვარი მიზეზების ამომწურავ ნუსხას გვთავაზობს. იხილეთ შედარებისათვის: *Social Contract*, p. 46 (Book II, ch. ix): „არსებობდნენ ისეთი სახელმწიფოებიც, სადაც დაპყრობების აუცილებლობა კონსტიტუციაშიც კი იყო ჩაწერილი. ამიტომაც, თავის შესანარჩუნებლად ისინი იძულებულნი იყვნენ, მუდმივად გაფართოებაზე ეზრუნათ." აგრეთვე, იხილეთ შედარებისათვის: *Political Economy*, p. 318; Montesquieu. *The Spirit of Laws*, tr. Nugent. Book IX. ch. ii.

ძირითადი სტრუქტურა, რომელიც მათ განხორციელებისა და უბედურებათა მოტანის შესაძლებლობას აძლევს. ეგოისტურობის ყველა ნიშნის, სიჯიუტისა და უგუნურების აღმოფხვრა ერებში მარადიული მშვიდობის დამყარებაში დაგვეხმარება, მაგრამ ომის ყველა უშუალო მიზეზის პირდაპირ მოსპობის მცდელობა, „ევროპის კავშირის" წყობის შეუცვლელად, უტოპიურია.

როგორ უნდა შეიცვალოს სტრუქტურა? რუსო დამაჯერებლად უარყოფს იდეას, რომ ისეთი ნებაყოფლობითი ფედერაცია, როგორიც მოგვიანებით კანტმა შემოგვთავაზა, სახელმწიფოთა შორის მშვიდობას შეინარჩუნებს. ნაცვლად ამისა, იგი ამბობს, რომ სახელმწიფოებს შორის ომის დასრულების ერთადერთი საშუალებაა „ფედერაციული ხელისუფლების ის ფორმა, რომელიც ისეთივე ვალდებულებებით შეაკავშირებს ერებს, როგორითაც უკვე დაკავშირებულნი არიან მათი ცალკეული წევრები, და ყველას თანაბრად დაუქვემდებარებს კანონის ძალაუფლებას."[52] კანტი მსგავს განცხადებებს მხოლოდ მათი გადასინჯვის მიზნით აკეთებდა როდესაც ამგვარი ფედერაციის დაფუძნების შესაძლებლობაზე საუბრობდა. რუსო კი თავის პრინციპს არ ცვლიდა, ასაც ცხადყოფს მისი შემდეგი ციტატა, რომლის ყველა პუნქტი შვიდობიანი ფედერაციის კანტისეულ პროგრამას ეწინააღმდეგება:

ფედერაცია [რომელმაც „ევროპის სახელმწიფოთა ამჟამინდელი თავისუფალი და ნებაყოფლობითი გაერთიანება" უნდა შეცვალოს] საჭიროა, მოიცავდეს ყველა მნიშვნელოვან ძლიერ სახელმწიფოს. მასში უნდა იყოს საკანონმდებლო ორგანო, რომელსაც ყველა წევრისათვის საკალდებულო კანონებისა და დადგენილებების მიღება შეეძლება. ის აღჭურვილი უნდა იყოს მაიძულებელი ძალაუფლებით, რომლითაც ყველა სახელმწიფოს დაუმორჩილებს საერთო გადაწყვეტილებებს, ბრძანებების ან აკრძალვების მეშვეობით. და ბოლოს, მას საკმარისი ძალა და სიმტკიცე უნდა ჰქონდეს იმისათვის, რომ არ დაუშვას რომელიმე წევრის მიერ, პირადი სურვილით ფედერაციიდან გამოსვლა, როდესაც უკანასკნელი ჩათვლის, რომ მისი კერძო ინტერესი მთელი ორგანოს ინტერესებთან წინააღმდეგობაში მოდის.[53]

---

[52] *A Lasting Peace*, tr. Vaughan, pp. 38-39.

[53] *Ibid.*, pp. 59-60.

რუსოს მიერ შემოთავაზებულ გამოსავალში ხარვეზების პოვნა ადვილია. მისი ყველაზე სუსტი წერტილი შემდეგი შეკითხვების დასმისას ვლინდება: როგორ უზრუნველყოფს ფედერაცია მის შემადგენლობაში მყოფი სახელმწიფოების მიერ კანონების დაცვას, მათ წინააღმდეგ ომის გაჩაღების გარეშე და რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ ეფექტიანი ძალა ყოველთვის ფედერაციის მხარეს იქნება? ამ შეკითხვების საპასუხოდ რუსო აცხადებს, რომ ევროპის სახელმწიფოები საკმარისად გაწონასწორებულ მდგომარეობაში არიან იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ რომელიმე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ დანარჩენებზე გაბატონება. ამიტომაც, საჭირო ოდენობით ძალა მუდამ ფედერაციის განკარგულებაში დარჩება. საუკეთესო კრიტიკა სახელმწიფოთა ისეთი ფედერაციის თანდაყოლილი სისუსტისა, რომელშიც კანონი მის წევრ სახელმწიფოებზე უნდა ვრცელდებოდეს *ფედერალისტის წერილებში* გვხვდება. ეს არგუმენტები დამაჯერებელია, მაგრამ მათი განხილვა აქ აუცილებელი არ არის. რუსოს რეკომენდაციის პრაქტიკული სისუსტე ვერ ჩრდილავს მისი თეორიული ანალიზის ღირსებებს, რომელშიც ომი საერთაშორისო ანარქიის შედეგად არის შეფასებული.

დასკვნა

მოცემული თავი საერთაშორისო ურთიერთობების მესამე ხედვის ძირითად დახასიათებას გვთავაზობს. მაგრამ ჩვენ კიდევ ბევრი რამ დაგვრჩა გამოსაძიებელი, რასაც ორი დაკვირვება ადასტურებს. პირველი, ამ თავში წარმოდგენილ შემდეგ დებულებებს შორის: „ანარქიის დროს არ არის ავტომატური ჰარმონია“ და „დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის *ომი* გარდაუვალია,“ ლოგიკური კავშირი არ არსებობს. მომდევნო თავი მათი ერთმანეთთან და მესამე ხედვასთან მიმართების საკითხის გარკვევას შეეცდება. მეორე, მართალია, ამ დროისათვის უკვე აშკარა გახდა, რომ სამივე ხედვა მნიშვნელოვანწილად ურთიერთდამოკიდებულია, ჩვენ ჯერ არ შეგვისწავლია მათი ურთიერთკავშირის პრობლემა. მას VIII თავში განვიხილავთ.

თავი VII. მესამე ხედვის ზოგიერთი შედეგი

მაგალითები ეკონომიკიდან, პოლიტიკიდან და ისტორიიდან

სანამ არსებობენ ერები და იმპერიები, რომელთაგან თითოეული მზადაა, უმოწყალოდ გაანადგუროს თავისი მოწინააღმდეგე, უსლებლივ ყველა საომრად უნდა იყოს აღჭურვილი.

ფროიდი, *ცივილიზაცია, ომი და სიკვდილი*

განცხადება, რომლითაც ეს თავი იწყება ორ საყურადღებო დებულებას შეიცავს, მათგან ერთს დადებითი, ხოლო მეორეს უარყოფითი შედეგი მოჰყვება. დადებითი თვალსაზრისით, იმისათვის, რომ მშვიდობიანად განწყობილი ქვეყნებისათვის აუცილებელი გახდეს შეიარაღება, ზოგიერთ ქვეყანას უნდა ჰქონდეს სურვილი და შესაძლებლობა, გამოიყენოს ძალა საკუთარი ნების განსახორციელებლად. უარყოფითი თვალსაზრისით კი, არ უნდა არსებობდეს ისეთი ხელისუფლება, რომელსაც ძალის ცალმხრივად გამოყენების აღკვეთა შეუძლია. თუ ორივე, როგორც ადებითი, ისე უარყოფითი პირობა მოცემულია, მაშინ მშვიდობიანად ანწყობილმა სახელმწიფოებმა, ლოგიკურად, თავიანთ შეიარაღებაზე ენდა იზრუნონ არა იმიტომ, რომ ომის მეშვეობით რაიმეს მოპოვება ცდილობენ, არამედ ვინაიდან ომის თავიდან აცილება და მისი დაწყების შემთხვევაში თავის დაცვა სურთ.

გამოიყენება თუ არა ძალა ან ძალის მუქარა სახელმწიფოში და სახელმწიფოებს შორის იმიტომ, რომ ზოგიერთი ადამიანი ან სახელმწიფო ბოროტია? როგორც ჩანს, ეს ასეა, მაგრამ არა მხოლოდ ამ მიზეზით. კარგი ადამიანები და კარგი სასელმწიფოებიც კი დროდადრო ძალის გამოყენებით აგვარებენ საქმეს. არის თუ არა მაშინ ომი იმ უთანხმოებების შედეგი, რომლებიც სახელმწიფოებს შორის არსებობს - განურჩევლად იმისა, კარგები არიან ისინი თუ ცუდები? ფრანსუა I-მა კითხვაზე, თუ რა აზრთა სხვადასხვაობამ განაპირობა მუდმივი ომები მასსა და მის ცოლისძმას კარლ V-ს შორის, სავარაუდოდ, უპასუხა: „არავითარმა. ჩვენ სრული თანხმობა გვაქვს. ორივეს იტალიის

მართვა გვსურს."[1] სიკეთე და ბოროტება, თანხმობა და უთანხმოება შეიძლება ან არ შეიძლება იწვევდეს ომს. მაშინ რითიღა აიხსნება ომი სახელმწიფოებს შორის? რუსოს პასუხია, რომ სინამდვილეში ომი ხდება იმიტომ, რომ არაფერი აფერხებს მას. ადამიანთა მსგავსად, სახელმწიფოებს შორისაც ვერ ხერხდება ინტერესთა ავტომატურად შეგუება. უზენაესი ხელისუფლების არარსებობის პირობებში მუდმივად არის ალბათობა, რომ კონფლიქტები ძალის მეშვეობით მოგვარდება.

რა გავლენას ახდენს სახელმწიფოებს შორის ანარქიის მდგომარეობა, რომელშიც თითოეული სახელმწიფო უნდა დაეყრდნოს საკუთარ შესაძლებლობებსა და მექანიზმებს კეთილდღეობის მისაღწევად, სახელმწიფოთა ქცევასა და პოლიტიკაზე? ამ კითხვას პასუხი შეიძლება გაეცეს იმის მიხედვით, რაც VI თავში წერია. თუმცა, მას, ალბათ, უფრო სრული და ზუსტად შესაფერისი პასუხი უნდა მოეძებნოს. მოცემულ თავში რამდენიმე დამატებითი დეტალი იქნება წარმოჩენილი, რაც შემდგომ მსჯელობას წაახალისებს. პირველ და მეორე ნაწილებში საერთაშორისო ურთიერთობების ორი ფართოდ გავრცელებული, მაგრამ ურთიერთსაწინააღმდეგო მახასიათებელი, ტარიფები და ძალთა ბალანსი, მესამე ხედვის ახსნა-განმარტებითი როლის გათვალისწინებით განიხილება. უკანასკნელ ნაწილში კი მესამე ხედვა საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ რამდენიმე არათეორიულ, როგორც ძველ ისე თანამედროვე, დასკვნას დაუკავშირდება.

ეროვნული ტარიფები და საერთაშორისო ვაჭრობა

ვიდრე რუსოს ანალიზს საერთაშორისო ეკონომიკის პრობლემებს მივუსადაგებდეთ, მიზანშეწონილი იქნება ეროვნულ ეკონომიკაში კონფლიქტის ერთი შემთხვევის გამოკვლევა. ეს მაგალითი კონფლიქტის წყაროსაც და მის საზოგადოებრივ მართვასაც აღწერს.

ნებისმიერი დარგის მშრომელთა ინტერესია სამუშაო ადგილების დაცვა და ხელფასების უმაღლეს შესაძლებელ ზღვარამდე გაზრდა. ამ

---

[1] ციტირებულია შუმანთან: *International Politics*. p. 261.

ინტერესს არაერთხელ გამოუწვევია მათი შეუპოვარი წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, შრომის ეკონომიის ხარჯზე ტექნოლოგიის წინსვლისადმი, ხოლო, მეორე მხრივ, შეგირდობის კონსერვატიული სისტემის განვითარებისადმი. იმ შემთხვევაში თუ პროტესტის პოლიტიკა წარმატებული აღმოჩნდება, მშრომელთა ესა თუ ის ჯგუფი შედარებით დიდ ანაზღაურებას მიიღებს შესრულებული სამუშაოსათვის, ვიდრე მშრომელთა სხვა ჯგუფები, რომლებიც ამგვარი მანუპულაციების მიმართ ნაკლებად მგრძნობიარე სფეროებში მოღვაწეობენ. უამრავი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი. მათგან ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავია სატვირთო მანქანების მძღოლების მიერ პენსილვანიის საბადოებიდან ნავთობის მილსადენებით ტრანსპორტირების პირველი მცდელობის წინააღმდეგ გაჩაღებული რამდენიმე მცირემასშტაბიანი ომი. მშრომელის ინტერესს, დაეცვა საკუთარი სამუშაო ადგილი, უპირისპირდებოდა მთლიანად საზოგადოების დაინტერესება, მაქსიმუმამდე გაეზარდა წარმოებული პროდუქციის რაოდენობა ერთეულ დახარჯულ დოლარზე გაანგარიშებით. თუ საზოგადოების რომელიმე ჯგუფის ინტერესი საკმარისად დიდია და გარემოებებიც ხელსაყრელია, აღნიშნული ჯგუფი იბრძოლებს სტატუს კვოს შესანარჩუნებლად, როგორც ეს პენსილვანიაში მოხდა, ხოლო თუ საზოგადოების უდიდესი ნაწილის ინტერესი საკმარისად ცხადია და საზოგადოებაც ძლიერია, ის განდგომილ ჯგუფს დაიმორჩილებს. აქ მოყვანილ მაგალითში ნათლად ჩანს, რომ საზოგადოების ინტერესები, როგორც აწმყო, ისე სამომავლო, სატვირთო მანქანების მძღოლებისაგან საკმაოდ მტკივნეულ ვითარებასთან შეგუებას მოითხოვდა, ხოლო ვინაიდან მათი კანონიერი ინტერესი ამას ეწინააღმდეგებოდა, დაიწყო პარტიზანული ომი. მაღალგანვითარებული საზოგადოება სხვადასხვა ხერხს მოიხმობს ძალის ამგვარად გამოყენების ასალაგმად. არსებული კანონმდებლობა, დასაშვებია, სასჯელს ითვალისწინებდეს, შესაძლებელია, აგრეთვე, ახალი კანონები დაწესდეს ან დახმარება გაეწიოს დროებით დაზარალებულებს ნებაყოფლობით შეგუებაზე მათი დაყოლიების მიზნით. უმეტესწილად იმ ადამიანთა მოქმედება, ვინც საკითხის გადაწყვეტას ძალმომრეობით ცდილობს, ფიზიკურად შეზღუდულია ტერიტორიული დასაყრდენის არარსებობითა და იარაღის სიმცირით. ფსიქოლოგიურად კი მათ მთლიანად საზოგადოებისადმი ჩვეული ლოიალურობა შეიძლება უშლიდეს ხელს.

ნავთობის საბადოების შემთხვევა, რა თქმა უნდა, გამარტივებულია. ასეთი კონფლიქტი, როგორც წესი, არა ჯგუფსა და საზოგადოებას, არამედ უფრო მეტად ჯგუფებს შორის ხდება. ზემოხსენებულ მაგალითში საზოგადოების კანონები დამქირავებლებს უმაგრებდა ზურგს მშრომელების წინააღმდეგ. მსგავსი რამ ამ ორ ჯგუფს შორის კონფლიქტის სხვა შემთხვევებში მთელი საზოგადოების ინტერესებს შეიძლება უპირისპირდებოდეს. თუმცა, მთავარი აქ ის კი არ არის, რომ სახელმწიფოში *სწორი* გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების საშუალებები არსებობს, არამედ ის, რომ, ზოგადად, გადაწყვეტილება შეიძლება იქნეს მიღებული და შესრულებული. ამგვარად, ჰანს კელსენი ამტკიცებს, რომ „სამართლიანობა ირაციონალური იდეალია. როგორი აუცილებელიც არ უნდა იყოს ის ადამიანთა ნებისა და მოქმედებისათვის, მისი შეცნობა გამორიცხულია. რაციონალური ცნობიერების თვალთახედვით, მხოლოდ ინტერესები და, აქედან გამომდინარე, ინტერესთა კონფლიქტი არსებობს." ინტერესთა ერთი რიგი მეორის ხარჯზე შეიძლება დაკმაყოფილდეს ან მათ შორის კომპრომისი მოხდეს, მაგრამ შეუძლებელია იმის თქმა, რომ კონფლიქტის მოგვარების ამ ხერხებიდან ერთი სამართლიანია, ხოლო მეორე - უსამართლო.[2] საშინაო პოლიტიკაში კამათი იმაზე, თუ რომელი ზომაა უკეთესი ან უარესი, მნიშვნელობას უკარგავს იმ ფაქტს, რომ ისინი გადაწყვეტილებებია. ასე მაგალითად, იმ საკითხზე კამათთან შედარებით, შტატის თუ ფედერალურ იურისდიქციას უნდა დაქვემდებარებოდა ზღვის მიქცევ-მოქცევის ზოლი, უფრო მნიშვნელოვანი იყო ამ დავის დასრულების სახელისუფლებო პროცესი. მიღებული გადაწყვეტილება ზოგიერთებმა მცდარად მიიჩნიეს, ზოგიერთებმა კი სწორად, მაგრამ ცოტაოდენი განსჯა გვიჩვენებს, რომ „თვითნებური" გადაწყვეტილების მიღება და განხორციელება, უმეტეს შემთხვევაში, გაცილებით უკეთესია, ვიდრე „სწორისა და მცდარის" ძალის მეშვეობით გარკვევა. კანტის კატეგორიული იმპერატიკი აქ არაფერში გამოგვადგება. ის მხოლოდ გულისხმობს, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება სამართლიანობის პრინციპს შეესაბამება და, მაშასადამე, მისაღებია - ანუ ჩვენ არ უნდა შევეწინააღმდეგოთ მას. მაგრამ ჩვენ, სწორედ რომ ბრძოლა შეიძლება დავიწყოთ მაშინ, როდესაც ეფექტიანი

[2] Kelsen, *General Theory of Law and State*, tr. Wedberg. pp. 13-14.

გადაწყვეტილების მიმღები ხელისუფლება არ არსებობს. როდესაც საქმე მშვიდობას ეხება მნიშვნელოვანი ფაქტორია ხელისუფლება და არა კატეგორიული იმპერატივი. ყველა შემთხვევაში თუ არა, უმეტესწილად მაინც, მთავრობის მიერ თავს მოხვეული არასრულყოფილი გამოსავალი სულ არავითარ გადაწყვეტილებას გაცილებით სჯობია.

საერთაშორისო დონეზე კი თითქმის არ ხდება გადაწყვეტილების მიღება. შემდეგი მაგალითი ასახავს მიზნების მიღწევის სირთულეს, როდესაც ყველა მხარისათვის სავალდებულო გადაწყვეტილებათა სისტემა შექმნილი არ არის.[3] წარმოიდგინეთ ორი ქვეყანა, რომლებიც საკუთარი მაცხოვრებლების ეკონომიკური კეთილდღეობის მაქსიმიზაციას ცდილობენ, - რაც თავისთავად კარგი მიზანია. მატერიალური დოვლათი, რომელიც თითოეულმა ქვეყანამ თავის მოსახლეობაზე უნდა გაანაწილოს ორ ქვეყანას შორის რესურსებისა და პროდუქციის თავისუფალ ურთიერთგაცვლაზე დამყარებული შრომის საერთაშორისო დანაწილების წყალობით გაიზრდება. ამდენად, შესაძლებელია ითქვას, რომ აღნიშნული ორი ქვეყანა „საზოგადოებას" წარმოადგენს იმ მხრივ, რომ მათ მოქალაქეებს საერთო მიზანი აქვთ, მაგრამ ვინაიდან ქვეყანა ა-ს მოთხოვნა ქვეყანა ბ-ს პროდუქციაზე ელასტიურია, ქვეყანას ბ-ს შეუძლია გაზარდოს ეროვნული შემოსავალი ტარიფის დაწესებით.[4] მაშინ ქვეყანა ა, თუ მას გონება უჭრის, ბ-ს ქმედების საპასუხოდ თავადაც ტარიფს შემოიღებს. ყოველი ასეთი ნაბიჯის შემდეგ ორივე ქვეყნის კეთილდღეობა, ერთად აღებული, დაბლა დაიწევს, მაგრამ ბ-ს მიერ ტარიფის ყოველი მომატების შემდგომ ა აინაზღაურებს წაგებას საკუთარი ტარიფის გაზრდით. ეს შეიძლება გაგრძელდეს გარკვეულ ზღვარამდე, რომელიც, სავარაუდოდ, ვაჭრობის საერთოდ გაუქმებამდე მიიღწევა და რომლის იქითაც ტარიფის მომატებიდან ოდნავი უპირატესობის მოპოვებაც კი შეუძლებელი იქნება. აქ მნიშვნელოვანი ისაა, რომ თავდაპირველად ორივე ქვეყანას მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობის ამაღლება სურდა.

---

[3] ნაშრომების მიხედვით: Scitovszky, "A Reconsideration of the Theory of Tariffs," in *Readings in the Theory of International Trade;* Robbins, *The Economic Basis of Class Conflict and Other Essays in Political Economy,* განსაკუთრებით გვერდები 108-17; და Robbins, *Economic Planning and International Order,* განსაკუთრებით გვერდები 311-16.

[4] გაიუმჯობესოს ვაჭრობის პირობები.

სამართლიანი მიზნისაკენ ცალმხრივმა „რაციონალურმა" სწრაფვამ კი, საბოლოოდ, ორივე მხარის კეთილდღეობის დონის დაქვეითება გამოიწვია.

ნუთუ ორივე ქვეყანას წინასწარ არ უნდა განეჭვრიტა ამგვარი შედეგი და თავი არ უნდა შეეკავებინა სისულელეში შეჯიბრისაგან? ხოლო თამაშის არასასურველი შედეგით დასრულების შემდეგ, რატომ ველარ უნდა შეთანხმებულიყვნენ ისინი, დაბრუნებოდნენ საწყის მდგომარეობას და მასზე შეჩერებულიყვნენ? ორივე შეკითხვა მართებულია, თუ მხოლოდ ორ ქვეყანას მივიღებთ მხედველობაში, მაგრამ როდესაც მოცემულია ბევრი ქვეყანა, ნებისმიერ მათგანს შეიძლება ეგონოს, რომ სამაგიეროს გადახდის საშიშროების უგულებელყოფა ძალუძს. პრობლემა ის არის, რომ პროტექციონიზმში შეჯიბრის დაწყებისთანავე თითოეული ქვეყნის მყისიეული ინტერესი მას ამ პროცესში ჩართვისაკენ უბიძგებს. ირემზე ნადირობის რუსოსეული ალეგორიის თანახმად, ერთი ადამიანი დაიჭერს კურდღელს იმის მიუხედავად, რომ მისი ეს ქმედება სხვებს ირემს ხელიდან გააშვებინებს. აქ წარმოდგენილ მაგალითში კი ყოველი ქვეყანა ცდილობს კურდღლის დაჭერას (უპირატესობის მოპოვებას მეზობელზე) ირემის ხელიდან გაშვების *გარეშე* (შრომის საერთაშორისო დანაწილებიდან სარგებლის მიღებით). მაშინ რამდენად სწორია იმის თქმა, რომ ასეთ შედეგს ყოველი ქვეყნის მიერ ეკონომიკური ინტერესისაკენ *რაციონალური* სწრაფვა განაპირობებს? სციტოვსკი პასუხობს: „ამ ვარაუდებიდან გამომდინარე, ტარიფების მომატებას ირაციონალური რომ ვუწოდოთ, ეს იგივე იქნება, კონკურენციული ქცევა ირაციონალურად რომ მოვიხსენიოთ."[5]

ამის მსგავსი ანალიზის საფუძველზე ლიონელ რობინსი მართლაც უწოდებს პროტექციონიზმს ირაციონალურს.[6] ცხადია, რომ, ლოგიკურად, მან ნებისმიერი პიროვნების ან ადამიანთა ჯგუფის მცდელობაც, მიმართული მონოპოლისტური ან მონოფსონისტური მდგომარეობის მოპოვებისაკენ ირაციონალურად უნდა გამოაცხადოს, ისევე როგორც სარგებლის მაქსიმიზაციის მცდელობა, რაც მას, აშკარად, არ სურს. ის გარემოება, რომ სციტოვსკისა და რობინსის ანალიზი და შეფასებები

---

[5] Scitovszky. "A Reconsideration of the Theory of Tariffs." in *Readings in the Theory of International Trade*, pp. 375-76.

[6] Robbins, *The Economic Basis of Class Conflict*, p. 122.

ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ განსხვავდება იმ ტიპის ქმედების ამსახველი ტერმინის შერჩევაში, რომელიც პროტექციონიზმს წარმოშობს, აიხსნება იმ ფაქტით, რომ სიტყვა „რაციონალური," უამრავი სხვა შემთხვევის მსგავსად, აქაც ორი არაერთგვაროვანი მნიშვნელობით გამოიყენება. 1) ქმედება რაციონალურია, თუ მას, საბოლოო ჯამში, წარმატება მოაქვს. მაგალითად, საერთაშორისო ვაჭრობის შეზღუდვა რაციონალური პოლიტიკაა, თუ მისი მიზანია ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლება და ის სინამდვილეშიც ახერხებს ამას. 2) რაციონალურია ქმედება, რომელიც ფაქტორების, მათ შორის, სხვათა ქმედებების გამოთვლას ეფუძნება. ამ თვალსაზრისით, სიტყვა რაციონალური გონებრივ პროცესს აღნიშნავს. ქმედება შეიძლება *მცდარი* აღმოჩნდეს (არასწორად იყოს გამოთვლილი მიზნის მისაღწევად), მაგრამ, ამის გამო, *ირაციონალურად* არ ჩაითვალოს. გარკვეული ამართლებრივი წყობის ფარგლებში, ინდივიდების მოქმედება, რომელიც არგებლის მაქსიმიზაციას ისახავს მიზნად რაციონალურია პირველი ნიშვნელობით: ამგვარი ქმედების შედეგები ძირითადად დადებითად არის შეფასებული, განსხვავებული სახის სამართლებრივი სისტემის ფარგლებში კი თითოეული სახელმწიფოს მცდელობა, მოახდინოს „სარგებლის მაქსიმიზაცია" იწვევს შედეგებს, რომლებიც ძნელი წარმოსადგენია, რომ რაციონალური ქცევიდან გამომდინარეობდეს. გონებას უნდა ეკარნახა ყველა ქვეყნისათვის, ამ „სისულელეში შეჯიბრისაგან" თავი შეეკავებინათ, მაგრამ თუ ერთმა ქვეყანამ დაიწყო, სხვები მიბაძვის ცდუნებას ველარ გაუძლებენ. საქმე იმაშია, რომ სარგებლისაკენ სწრაფვას, რომელიც ისე შეიძლება გაკონტროლდეს, რომ ქვეყნის შიგნით სასურველი შედეგებით დასრულდეს, მოაქვს აშკარად არასასურველი შედეგები საერთაშორისო ურთიერთობებში, სადაც ქმედებები მსგავსად გაკონტროლებული არ არის. ზოგიერთ ნაბიჯს, შესაძლოა, სურვილისამებრ, საშინაო დონეზე რაციონალური, ხოლო საერთაშორისო დონეზე ირაციონალური ვუწოდოთ, მაგრამ ამის გაკეთება ბუნდოვანს გახდის იმ ფაქტს, რომ ჩვენ ერთსა და იმავე პრობლემებს ვაწყდებით განსხვავებულ პირობებში, რომ ორივე შემთხვევაში პოლიტიკის შემოქმედები სწორი გამოთვლების გაკეთებას შეიძლება ცდილობდნენ.[7] ქმედებათა

[7] რობინსი აცნობიერებს ამას. მაგალითად, იგი ამბობს: „არაკოლექტივისტურ წესრიგს „უხილავი ხელი" რომ მართავდეს, ის მხოლოდ გამიზნულად შემუ-

გარემოს განსხვავებულობის მხედველობიდან გამორჩენა გახაპირობებს ჩვენს მიერ საკითხის ადამიანის საქციელის მიხედვით ახსნას მაშინ, როდესაც სოციალურ-პოლიტიკური წყობის გამოყენებით უფრო ზუსტი და უფრო სასარგებლო განმარტების გაკეთებაა შესაძლებელი.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ეროვნული და საერთაშორისო პრობლემები გარკვეულ ასპექტში ერთიმეორეს ერწყმის. წარმოიდგინეთ, რომ ფოლადის მრეწველობა საშინაო ბაზარზე მონოპოლიას დაიმკვიდრებს. ალტრუისტული მოტივების არარსებობის გამო, ფოლადის წარმოება დაეცემა[8] იმ დონემდე, რომელზეც გაზრდილი ფასი, გამრავლებული პროდუქციის შემცირებულ რაოდენობაზე მრეწველობას მაქსიმალურ სარგებელს მოუტანს. კერძო ინტერესები სუფთა სარგებლის მომატებული მოცულობით დაკმაყოფილდება. ახლა კი წარმოიდგინეთ, რომ ასეთი რამ მრეწველობის სულ უფრო მეტ დარგში ხდება. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ მოხდება ეკონომიკის მასშტაბების თანდათანობით შეზღუდვა, რაც, ზოგადად, ცხოვრების სტანდარტების დაქვეითებას გამოიწვევს და წინარემონოპოლისტურზე უფრო უარეს მდგომარეობაში ჩააყენებს ყველას. ეს უკიდურესად არახელსაყრელი, ჰიპოტეზური ვითარება შეიძლება წარმოშვას ყოველი მეწარმის სრულიად ნორმალურმა და, გარკვეულ პირობებში, მისასალმებელმა მოთხოვნილებამ, მიაღწიოს სარგებლის მაქსიმიზაციას. ინდივიდის სარგებლისაკენ სწრაფვაში ირაციონალური არაფერია, მაგრამ ამან შეიძლება მიგვიყვანოს მდგომარეობამდე, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობაში შექმნილის მსგავსად, ძნელი საფიქრებელია, რომ ცალკეულ „რაციონალურ“ გათ-

---

შაეებული კანონისა და წესრიგის ფარგლებში იმოქმედებდა.“ შემდგომ იგი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ კონფლიქტი *ობიექტური* დისპარმონიის შედეგს შეიძლება წარმოადგენდეს: „როდესაც მოთხოვნისა და მიწოდების პირობები ისეთია, რომ ან მყიდველებსა და გამყიდველებს უპირისპირებს მონოპოლისტურ ორგანიზაციებს ან საშუალებას აძლევს მყიდველებსა და გამყიდველებს, თავად იმოქმედონ როგორც ჯგუფებმა, მაშინ კონფლიქტის ობიექტური საფუძველია მოცემული.“ (*The Economic Basis of Class Conflict*, p. 6, 14). ამდენად, აშკარაა, რომ ის, თუ რა მნიშვნელობით იყენებს რობინსი თავის ანალიზში სიტყვას „რაციონალური,“ ნიშანდობლივი არ არის. სიტყვების „რაციონალური“ და „ირაციონალური“ შინაარსის განხილვისას ჩვენ განზრახული გვქონდა არა რობინსის კრიტიკა, არამედ უფრო მეტად კონფლიქტის გამომწვევი ზოგიერთი პრობლემის გარკვევა.

[8] კონკურენციის პირობებში არსებული დონიდან.

ვლებს გამოეწვია. საბოლოო შედეგი ცუდია, მაგრამ ამის გაცნობიერების მიუხედავად, მონოპოლიის სისტემისაკენ მიმავალი გზიდან გადახვევა მაინც არ მოხდება. რატომ? მართალია, მრეწველობის დარგების უმრავლესობა სარგებელს მიიღებს, თუ ყოველი მათგანი უარს იტყვის მონოპოლისტურ პრაქტიკაზე, მაგრამ ნებისმიერი ცალკე აღებული დარგი თავისი მონოპოლისტური პოზიციის დათმობით დანაკარგს ნახავს, თუ სხვებიც იმავეს არ მოიმოქმედებენ. სპონტანური და თითქმის ერთსულოვანი თანხმობის არარსებობის გამო აუცილებელი ხდება ხელისუფლების ჩარევა.

კერძო მონოპოლია, აბსოლუტური მნიშვნელობით, ისევე არასასურველია ყველასათვის საშინაო ბაზარზე, როგორც პროტექციონიზმი საერთაშორისო ვაჭრობაში. მიუხედავად ამისა, ერთ ან რამდენიმე მეწარმეს სარგებლის მაქსიმიზაციის მცდელობისაგან თავის შეკავება, რომელიც მონოპოლისტური პოზიციის მოპოვების მოთხოვნილებიდან გამომდინარეობს, მხოლოდ ზიანს მოუტანს. ამ საკითხზე კომპანია „ჯენერალ მოტორს"-ის პრეზიდენტის ჰარლოუ კურტისის დასაბუთება, რომელიც მან სენატის საბანკო და სავალუტო საკითხების კომიტეტს წარუდგინა, ყურადსაღები და უტყუარია.

იმისათვის, რომ „ჯენერალ მოტორს"-ის მსგავსმა კომპანიამ კონკურენტუნარიანობა შეინარჩუნოს, ის რაც შეიძლება აგრესიულად უნდა ეცადოს თავისი პოზიციის გაუმჯობესებას. დროებით მოდუნება პოზიციის დაკარგვის ტოლფასი იქნება. 1920-იანი წლების დასაწყისში ოთხი წლის მანძილზე ერთმა კომპანიამ ამერიკულ ბაზარზე ავტომობილების საერთო რაოდენობის 55%-დან 60%-მდე გაყიდა, მაგრამ იმის მიუხედავად, რომ მრეწველობის ამ დარგში ყველაზე იაფფასიან პროდუქციას სთავაზობდა მყიდველს, სხვა კომპანიების კონკურენციას ვერ გაუძლო. ასეთი რამ შეიძლება კიდევ მოხდეს. ამიტომაც, გამორიცხულია კომპრომისი სრულ, აგრესიულ კონკურენციასა და განცხრომით ყოფნის ტენდენციის შედეგად კონკურენტუნარიანი პოზიციის დაკარგვას შორის.

„ჯენერალ მოტორსი" გასაღების ბაზრებით უსათუოდ უზრუნველყოფილი არ არის. ჩვენ არც კონკურენციისაგან დაცულები ვართ და არც საკუთარი კაპიტალიდან შემოსავლის გარანტირებული ნორმა გაგვაჩნია.[9]

---

[9] Stock Market Study. pp. 821-22. აშშ-ის სენატის საბანკო და სავალუტო საკითხების კომიტეტის მოსმენები, 84-ე მოწვევის კონგრესის პირველი სესია.

ამა თუ იმ ფირმას შეუძლია შეზღუდოს საკუთარი მისწრაფებები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სხვებიც მიბაძავენ. იმის მოლოდინი კი, რომ ყველა ფირმა მსგავს ნაბიჯს გადადგამს, უტოპიურია. საშინაო ეკონომიკურ საკითხებში ეს, როგორც წესი, აღიარებულია. თუ კონკურენციის ძალები ცალკეული პიროვნებების საქმიანობას ვერ დაარეგულირებს, მათ კანონი ჩაენაცვლება, ხოლო თუ ესეც არ გაამართლებს, კერძო მეწარმე არ უნდა გაიიცხოს იმის გამო, რომ საკუთარ „ეკონომიკურ ინსტინქტებს" დამორჩილდა. ადამ სმითმა ერთხელ აღნიშნა, რომ „ისეთ ადამიანებს არასოდეს მოუტანიათ დიდი სიკეთე, რომლებიც სხვებს თავს აჩვენებდნენ, თითქოს საზოგადოების საკეთილდღეოდ ვაჭრობდნენ."[10] თუმცა, ზოგიერთებს ყოველთვის სწამთ, რომ ეკონომიკის მართვა შეგონებით არის შესაძლებელი. ამიტომაც ისინი დროდადრო მოუწოდებენ საქმოსნებს, ნებაყოფლობით შეაჩერონ ფასების ზრდა, რაც, სავარაუდოდ, ეროვნული ეკონომიკისა და, შესაბამისად, ყოველი მეწარმის ჭეშმარიტ ინტერესებშია,[11] მაგრამ, ვინაიდან არის მეწარმეთა გარკვეული რაოდენობა, ეს თხოვნა ლოგიკურ საფუძველს მოკლებულია იმდენად, რამდენადაც უმრავლესობის თანამშრომლობა იმ უმცირესობის გამდიდრებას გამოიწვევს, რომელიც თანამშრომლობაზე უარს იტყვის. ინდივიდუალური სიბრძნე კოლექტიურ სიგიჟეს შეიძლება წარმოადგენდეს, მაგრამ, ზემოაღწერილი პირობების გათვალისწინებით, ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რისი გაკეთება შეუძლია ადამიანს ამის საწინააღმდეგოდ.

(1955 წლის 18 მარტი). კურტისთან დაკავშირებით, გაიხსენეთ ეკატერინე დიდი, რომელმაც დაახლოებით მსგავს გარემოებებში, აღნიშნა: „ის ვინც არაფერსი გებს, აგებს." ციტირებულია მარტინთან: *The Rise of French Liberal Thought*, p. 262.

[10] Smith, *The Wealth of Nations*. p. 399 (Book IV, ch. ii).

[11] იხილეთ შედარებისათვის პრეზიდენტ აიზენჰაუერის მიერ 1957 წლის 6 თებერვალს პრესასთან შეხვედრისას გაკეთებული განცხადება: „როდესაც მე ვთქვი, რომ ბიზნესმენებმა და მშრომელებმა უნდა შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები და განახორციელონ მმართველობა ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების შესაბამისად, მე ნამდვილად არ ვთხოვდი მათ, ალტრუისტულები ყოფილიყვნენ. მათი სამომავლო კეთილდღეობაც ხომ ამაზეა დამოკიდებული, ასე რომ, მე მხოლოდ მივმართავ მათ, განათლებული ამერიკელებივით მოიქცნენ." New York *Times*, February 7, 1957. p. 12. ყოფილმა პრეზიდენტმა ტრუმენმა ასეთივე მოსაზრება გამოთქვა. იხილეთ: *Ibid.*, May 28, 1957, p.1.

საერთაშორისო ურთიერთობებში შედარებით ნაკლებად ხდება იმის გაცნობიერება, რომ თითოეული ქვეყნის მიერ ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ყველა ქვეყნისათვის სასარგებლო იქნება, უტოპიური მოლოდინია.[12] ნებისმიერი ქვეყნის უუნარობა, მოიქცეს ასე, ყველა სახელმწიფოსათვის, მათ შორის საკუთრივ მისთვისაც, საზიანოა, მაგრამ ეს „სწორ" პოლიტიკადაც რომ იყოს აღიარებული, მას სპონტანურად და საყოველთაოდ მაინც არ გაიზიარებენ. ცალკეული გამოთვლები, რომლებიც რაციონალურია მათი ავტორების შეხედულებით, ანარქიის პირობებში, ავტომატურად სოციალურ ჰარმონიას ვერ წარმოშობს. ჰარმონიასთან მიახლოება დამოკიდებულია როგორც გარემოზე, რომელშიც ქმედება ხორციელდება, ისე უშუალოდ ამ ქმედებაზეც.

ტარიფის მაგალითი, ნავთობსაბადოების შემთხვევის მსგავსად, გამარტივებულია. თუმცა, შეზღუდვათა პოლიტიკის გამომწვევი რამდენიმე უფრო ფართოდ აღიარებული ტენდენციის ანალიზში ჩართვა მხოლოდ განამტკიცებს ჩვენს არგუმენტს. მსჯელობა, რომელიც ერთი შეხედვით ხელოვნურად დავუკავშირეთ სახელმწიფოებს, ასეთივე ლოგიკითა და ნაკლები ხელოვნურობით მიესადაგება სახელმწიფოთა შიგნით მოღვაწე ჯგუფებს, რომელთა სახელითაც წესდება ტარიფები და კვოტები. ვაიომინგისა და ორეგონის მემატყლეებმა უცხოურ მატყლზე დამცავი ტარიფის დაწესებით სარგებელი მიიღეს, მთლიანად ამერიკის შეერთებული შტატები კი წაგებული დარჩა, მაგრამ ჩვენ არ უნდა გვქონდეს იმის იმედი, რომ ჯგუფები, რომლებიც პროტექციონიზმისაგან პირდაპირ სარგებელს მოელიან მისი მოთხოვნით არ გამოვლენ, ისევე როგორც არ უნდა ვიმედოვნოთ, რომ საავტომობილო მრეწველობა მეტი შემოსავლის მიღების ინტერესს დაკარგავს. სციტოვსკის მოდელში გამორჩენილი მიზეზები, როგორიცაა, მაგალითად, ზეწოლა ადგილობრივი მრეწველების მხრიდან, რომლებსაც არ შეუძლიათ, კონკურენცია გაუწიონ უფრო ეფექტიან უცხოელ მეწარმეებს, უფრო ხშირად იწვევს შემზღუდველი მექანიზმების გაძლიერებას, მაგრამ ამ გარემოებამ არ უნდა დაჩრდილოს სციტოვსკის ანალიზის მნიშვნელობა. იგი ვარაუდობს, რომ თითოეული ქვეყნის ინტერესები, და არა შიდაეროვნული ჯგუფების

[12] მაგალითად, შტრაუს-ჰუპე თავისუფალ ვაჭრობას აუცილებლობად მიიჩნევს. *The Balance of Tomorrow*, p. 226.

სურვილები, გვევლინება სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებად, რის შემდეგაც სვამს კითხვას, თუ რა შეიძლება მოხდეს. ამით იგი პრობლემას ყველაზე იოლი ფორმით წარმოაჩენს და აკლენს იმ მინიმალურ ხარ-ვეზებს, რომლებიც არასასურველი შედეგების მისაღებად კმარა. თუ ერთი ქვეყანა პროტექციონიზმის პოლიტიკას მიმართავს, სხვებიც მოინდომებენ, მას მიბაძონ. იმის მყარ გარანტიას, რომ ერთი რომელიმე ქვეყანა პროტექციონისტულ პრაქტიკას შემოიღებს, ეკონომიკური კე-თილდღეობის მაქსიმიზაციის სურვილი იძლევა. ხოლო ის, რომ ამ პოლიტიკის უსარგებლობა გრძელვადიანი პერსპექტივისათვის შეუმჩნე-ველი დარჩება, მყარადაა გარანტირებული ადამიანის გონების შეზღუდუ-ლობითა და, უფრო მეტად, იმ გარემოებით, რომ ანარქიის მდგომარეობა რაციონალურ ქმედებას მოითხოვს.

რა თქმა უნდა, არსებობს ზოგიერთი დამაჯერებელი არგუმენტი შეზღუდვების პოლიტიკის სასარგებლოდ, რომელთა დიდი ნაწილი უფრო მეტად პოპულარულია დღეს ეკონომისტებს შორის, ვიდრე ნებისმიერ ეპოქაში ადამ სმითის დროიდან მოყოლებული. თუმცა, ამ საკითხში კომპეტენტური არცერთი ადამიანი, ალბათ, არ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ამჟამინდელი შეზღუდვები რომელიმე ქვეყნის ინტერესებში შედის. თუ კონტროლი საჭიროა, მაგალითად, შიდა დაგეგმვისათვის,[13] ზოგადად აღიარებულია, რომ ის იმ დონეზე უნდა იყოს აყვანილი, რომ მსოფლიოში ვაჭრობის საერთო მოცულობის გაზრდა გახადოს შესაძლებელი. პრობლემა შემდეგნაირად დგას, როგორ გავაფართოვოთ ვაჭრობა მთელ მსოფლიოში მაშინ, როდესაც თითოეული ქვეყანა ყოველმხრივ ცდილობს ეროვნული უპირატესობის მოპოვებას. როგორ შეიძლება ქვეყანა დარწმუნდეს, რომ მის მიერ შეზღუდვების ნაწილობრივ გაუქმების შემთხვევაში, ქვეყანა ბ მასთან შედარებით არ დაწინაურდება? ორივე ქვეყანა მოიგებს მაგრამ ბ-მ, შესაძლოა, ოდნავ მეტი სარგებელი ნახოს. ამის შიში, ბევრი სხვა გარემოება რომც არ იყოს, საკარაუდოდ, მაინც გამოიწვევს სციტოვსკის მოდელში გათვა-ლისწინებული ფაქტორების ამოქმედებას - ანუ ეს ხდება არა იმის

---

[13] იხილეთ მაგალითად: Webb, "The Future of International Trade," *World Politics,* V (1953), განსაკუთრებით გვერდები 430. 435-37; Keynes. "National Self-Sufficiency," *Yale Review,* XXII (1933), განსაკუთრებით გვერდები 761-63.

გამო, რომ თითოეული ქვეყანა ეგოისტური მოსაზრებებით ხელმძღვანელობს, არამედ იმიტომ, რომ საერთაშორისო ვაჭრობაში მეტად მწვავე კონკურენციაა.

აქ, უდავოდ, იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც არასრულყოფილი გამოსავალი სულ არავითარ გადაწყვეტილებას გაცილებით სჯობია. სახელმწიფოებს შორის სავაჭრო ბარიერების შემცირების გადაწყვეტილება ზოგიერთ ქვეყანას უფრო მეტ სარგებელს მოუტანს, ვიდრე დანარჩენებს, მაგრამ, საბოლოო ჯამში და აბსოლუტური მნიშვნელობით, ეს ყველა ქვეყნისათვის მომგებიანი იქნება. თუმცა, ანარქიის მდგომარეობაში შედარებითი სარგებელი აბსოლუტურ სარგებელზე უფრო მნიშვნელოვანია! აღნიშნული ვარაუდი გაცილებით ნაოელი გახდება, როდესაც მომდევნო ქვეთავში სუფთა ეკონომიკურ საზრუნავებს პოლიტიკური ძალაუფლების ფაქტორიც დაემატება.

ძალთა ბალანსი საერთაშორისო პოლიტიკაში

ძალთა ბალანსის ცნება, - განაცხადა ჯონ ბრაითმა ასი წლის წინ, - არის „მავნე ილუზია, რომელმაც ჩვენამდე ძველი დროიდან მოაღწია." ძალთა ბალანსი ისეთივე არარეალურია, როგორც მუდმივი მოძრაობა, მირაჟი, რომლისაკენ სწრაფვაშიც დიდმა ბრიტანეთმა ათასობით მილიონი ფუნტი სტერლინგი დახარჯა.[14] ის არა მირაჟი და არა ილუზია, არამედ პოლიტიკური ცხოვრების ფაქტი და თვალსაჩინო, მეცნიერული კანონია, - თქვა ჰიუმმა ასიოდე წლით ადრე, მორგენთაუმ კი დაახლოებით ასი წლის შემდეგ.[15]

თუ ძალთა ბალანსი ილუზიაა, მაშინ მან, როგორც ამას ბრაითი ამბობს, საკმაოდ დიდხანს გაძლო. ძველი წელთაღრიცხვით მეხუთე საუკუნეში თუკიდიდე წერდა, რომ სპარსელთა მეფის ტისაფერნეს პოლიტიკის არსი იყო „წონასწორობის შენარჩუნება ორ მოქიშპე ძალას," ათენსა და ლაკედემონს შორის.[16] ძველი წელთაღრიცხვით

---

[14] Bright, *Speeches*, ed. Rogers, pp. 233, 460-61, 468-69.

[15] Hume, "Of the Balance of Power," in *Essays Moral, Political, and Literary*, I. 348-56; Morgenthau, *In Defense of the National Interest*, pp. 32-33.

[16] Thucydides. *History of the Peloponessian War*, tr. Jowett, Book VIII, par. 57; cf. par. 87.

მეორე საუკუნეში პოლიბიუსმა, ჰიერონის[17] პოლიტიკის შეფასებისას, შესანიშნავად წარმოაჩინა, თუ რა გავლენას ახდენს ძალთა ბალანსის ფაქტორი სახელმწიფო მოღვაწეთა აზროვნებაზე. როდესაც რომაული ლეგიონები პირველად ჩავიდნენ სიციალიაში მამერტინების დასახმარებლად, ჰიერონმა, რომელიც აცნობიერებდა, რომ რომაელები შედარებით მეტ ძლიერებას ფლობდნენ და, შესაბამისად, ასკვნიდა, რომ მათი პერსპექტივები უკეთესი იყო ვიდრე კართაგენელებისა, რომაელებს ზავი და მოკავშირეობა შესთავაზა, რაზეც ისინი დათანხმდენ. რამდენიმე წლის შემდეგ კი, რომის მოკავშირედ ყოფნის მიუხედავად, ჰიერონი შეაშფოთა რომაელთა წარმატების მასშტაბმა და მან დახმარება გაუგზავნა კართაგენს. იგი დარწმუნებული იყო, პოლიბიუსის განმარტებით, იმაში, რომ

თუ სიცილიაში საკუთარი სამფლობელოების დაცვა და რომაელებთან მეგობრობის განმტკიცება სურდა, კართაგენი უნდა დაცული ყოფილიყო და უფრო ძლიერ მხარეს არ უნდა მისცემოდა შესაძლებლობა, დაუბრკოლებლად მიეღწია თავისი საბოლოო მიზნისათვის. იგი სიბრძნესა და კეთილგონიერებას იჩენდა, რადგანაც ასეთი საკითხები არასოდეს არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი და ჩვენ არასოდეს არ უნდა შევუწყოთ ხელი ერთი სახელმწიფოს მიერ ისეთი უპირატესი ძლიერების მოპოვებას, რომ მასთან დავა ვეღარავინ გაბედოს, თუნდაც, საკუთარი კანონიერი უფლებების დასაცავად.[18]

თუმცა, „ძალთა ბალანსი" ზოგჯერ საშიში, ზოგჯერ კი დამაბნეველი ფრაზაა. ხალხი რამდენიმე ნაწილად იყოფა იმის მიხედვით, ვინც მიიჩნევს, რომ ის კარგია ან ცუდია, ვინც ამართლებს მას ან არა და ვისაც მისი არსებობის სჯერა ან არა. უილიამ გრეჰემ სამნერი, მაგალითად, დამფუძნებელ მამებს ემხრობა - იგი ძალთა ბალანსის წინააღმდეგ გამოდის.[19] ჰამილტონი კი, რომელიც ყოველთვის აღია-

---

[17] სირაკუზის მეფე ძვ. წ. 270-216 წლებში.

[18] Polibius, *The Histories*, tr. Paton, I. 41, 225, (Book I. secs. 16, 83). ჰიერონის მაგალითს ჰიუმიც იყენებს.

[19] მისი თქმით, დამფუძნებელი მამები აცხადებდნენ, რომ „არ უნდა არსებობდეს ძალთა ბალანსი და „სახელმწიფოს ინტერესი," რომელსაც მოქალაქეთა სიცოცხლე და ბედნიერება შეეწირება." Sumner, "The Conquest of the United States by Spain." in *War and Other Essays*, p. 333.

რებული იყო ერთ-ერთ დამფუძნებელ მამად, ვარაუდობდა და მისთვის ჩვეული სიცხადით გამოთქვამდა აზრს, რომ ევროპის ძლიერ სახელმწიფოთა მეტოქეობა თუ არ იცავდა, უეჭველად აძლიერებდა ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხოებას.[20] სამნერის მსგავსად, ფრენკ ტანენბაუმიც გმობს ძალთა ბალანსის დოქტრინას და ამერიკული საგარეო პოლიტიკის წარსულ წარმატებებს მიაწერს იმ გარემოებას, რომ ჩვენ საკუთარი ქმედებებით უარი ვთქვით ძალთა ბალანსზე თანასწორობის სახელმწიფოს პოლიტიკის სასარგებლოდ. ძალთა ბალანსის პოლიტიკა, მისი აზრით, იმდენად ეწინააღმდეგება ამერიკის შეერთებული შტატების ყველა ტრადიციასა და ინსტიტუტს, რომ ჩვენს მიერ მისი ცხოვრებაში გატარება წარმოუდგენელია.[21] ალფრედ ვაგტსმა კი, ევროპული და ამერიკული დიპლომატიის ისტორიის გულმოდგინედ გამოკვლევის შემდეგ დაასკვნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გადარჩენა და კეთილდღეობა ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული ევროპაში წონასწორობის სისტემის ფუნქციონირებასთან.[22]

ძალთა ბალანსი ილუზიაა თუ რეალობა? არის თუ არა ის ისეთი რამ, რასაც ესწრაფიან მხოლოდ მანკიერი და სულელი ადამიანები, უმწიკვლონი და ბრძენნი კი უარყოფენ? დააღწია თუ არა თავი ისტორიის განმავლობაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მის ფარგლებს გარეთ მოქმედ წონასწორობის პოლიტიკაზე დამოკიდებულებას, თუ ამის ახლა თქმა იგივეა, რაც იმ მდიდარი ადამიანივით მოქცევა, რომელიც აცხადებს, რომ ფული მისთვის არაფერს ნიშნავს? ამ კითხვებს პასუხი შეიძლება გაეცეს მხოლოდ ძალთა ბალანსის ლოგიკის უკეთ შესწავლის შემდგომ, რომელიც უშუალო კავშირშია საერთაშორისო ურთიერთობების მესამე ხედვასთან.

---

[20] Hamilton, "Americanus II," in *Works*, ed. Lodge. V, 88-94. იხილეთ შედარებისათვის: *The Federalist*, Nos. 4-5 (Jay). 6-8 (Hamilton).

[21] Tannenbaum, "The American Tradition in Foreign Relations," *Foreign Affairs*, XXX (1951), 31-50; "The Balance of Power versus the Co-ordinate State," *Political Science Quarterly*, LXVII (1952). 173-97.

[22] Vagts, "The United States and the Balance of Power," *Journal of Politics*, III (1947), 401-49.

ადამიანი, რომელსაც მთავარ გამზირზე ქურდები დაესხნენ თავს, შეიძლება სამართლიანად იმედოვნებდეს, რომ პოლიცია ან ხელს შეუშლის ბოროტმოქმედებს ან მას წართმეულს დაუბრუნებს. ალბათობა იმისა, რომ დანაშაულის ჩამდენი სასჯელს გადაურჩება საკმარისად მცირეა იმისათვის, რომ დაიყვანოს ასეთი შემთხვევების სიხშირე იმ დონეზე დაბლა, რომელზეც რიგითი მოქალაქე იარაღის ტარებას იწყებს. თუმცა, სახელმწიფოებს არ აქვთ უსაფრთხოების თუნდაც მცირედი გარანტია, თუ ისინი მის უზრუნველყოფას თავად არ შეეცდებიან. თუ სახელმწიფოს უსაფრთხოება სურს, მაშინ მისი ეს სურვილი, იმ მდგომარეობასთან ერთად, რომელშიც ყველა სახელმწიფო იმყოფება, რაციონალურობის პრეტენზიის მქონე საგარეო პოლიტიკას გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს. ეს მოთხოვნები *თავს მოხვეულია* ავტომატური სანქციების მეშვეობით:რაციონალური მოდელისაგან დაშორება საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს გადარჩენას.[23] სახელმწიფოთა შორის ანარქიის პირობებში პოლიტიკაზე დაწესებული შეზღუდვების არსი გადმოცემულია შემდეგ მაქსიმაში: „ყოველი პირის სტრატეგია დამოკიდებულია ყველა დანარჩენისაზე," - ეს განცხადება გვხვდება ჯონ მაკდონალდის ნაშრომში, რომელიც ჯონ ფონ ნოიმანისა და ოსკარ მორგენშტერნის თამაშის თეორიის პოპულარიზაციას წარმოადგენს.[24] მან, ვისაც ბანქოს უბრალო

---

[23] სხვადასხვა მიზეზის გამო, ზეწოლას „სწორი" სტრატეგიის შესარჩევად წინააღმდეგობა შეიძლება შეხვდეს. ტაციტუსი, გერმანელთა შორის ომებზე საუბრისას, ამბობდა: „დაე სახელმწიფოებმა შეინარჩუნონ და მარადისობად აქციონ ჩვენს მიმართ სიყვარული თუ არა, ერთმანეთს შორის მტრობა მაინც! ვინაიდან მაშინ, როდესაც იმპერიის ბედი სასწორზეა, ყველაზე დიდი წყალობაა ჩვენ მტრებს შორის განხეთქილების არსებობა." (*A Treatise on the Situation, Manners, and Inhabitants of Germany,* par. 33, in *Works*, Oxford tr., revised, Vol. II.) ზემოთქმულიდან გამოდინარეობს, რომ გერმანული ტომები არ იყვნენ იმდენად დაინტერესებულნი რომთან ძლიერებაში შეჯიბრის მოგებით, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ ასპარეზობა შეეწყვიტათ.

[24] McDonald, *Strategy in Poker, Business and War,* p. 52. თამაშის თეორიაზე მინიშნება არ გულისხმობს იმას, რომ ხელთ გვაქვს ხერხი, რომლის მეშვეობითაც საერთაშორისო პოლიტიკას მათემატიკურად შეიძლება მივუდგეთ. თუმცა, ძალთა ბალანსის პოლიტიკის აღწერა მორგენშტერნისა და ნოიმანის ცნებათა გამოყენებით მომგებიანია - ის, რაც მათი მსჯელობის დახმარების გარეშე შეიძლება აიხსნას უფრო ნათელი გახდება, თუ თამაშის მონაწილეთა და საერთაშორისო პოლიტიკის მოქმედ ერთეულთა ქცევას სათანადოდ შეეადარებთ. თამაშის

თამაშის მოგება სურს, ისევე როგორც ორი ან მეტი პირის მონაწილეობით გამართული ნებისმიერი თამაშისა, უნდა აირჩიოს ისეთი სტრატეგია, რომელიც სხვა მონაწილის (ან მონაწილეების) სტრატეგიას ითვალისწინებს, ხოლო თუ თამაშში სამი ან მეტი მონაწილეა, მას ზოგიერთ შემთხვევაში მოუწევს კოალიციის შექმნა მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება ნიშნავდეს თანამშრომლობას ამასწინანდელ „მტერთან," რომელიც პოტენციურ მტრად კვლავაც რჩება. ამგვარი აუცილებლობა, აშკარად, ჩნდება იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი ადამიანი მოიგებს, თუ მისი მეტოქეები ერთმანეთს არ დაეხმარებიან. კოალიციის ფორმირება, რა თქმა უნდა, ავტომატურად არ ხდება. ის შეიძლება საერთოდ არ შეიქმნას: რადგანაც ადამიანები, რომელთა თანამშრომლობაც ვივარაუდეთ, გამოუსწორებელი ანტიკოალიციონისტები არიან, რადგანაც მათ იმდენად არ უყვართ ერთმანეთი, რომ საერთო სარგებლის მისაღებადაც კი არ სურთ თანამშრომლობა, რადგან მათ საამისოდ გონიერება არ ჰყოფნით ან რადგანაც თამაშში ძნელია თანამშრომლობისათვის საჭირო მომენტის შეგრძნება. მაგრამ რას ვიტყვით ისეთ ადამიანზე, რომელიც ამგვარ პირობებში კოალიციაზე ფიქრსაც კი დასაძრახად მიიჩნევს? ალბათ, იმას, რომ იგი უბრალოდ თამაშის არსს ვერ ჩაწვდა ან გადაწყვიტა, რომ სხვა რამ, საპირისპირო გრძნობები ან ზნეობრივი პრინციპები, უფრო ღირებულია, ვიდრე გამარჯვების მოპოვება.

შესაძლებელია თუ არა საერთაშორისო პოლიტიკაში სახელმწიფოთა ქმედებები ამ უხეშად მოხაზული მოდელის საფუძველზე განვიხილოთ? იმისათვის, რომ აღნიშნულ საკითხში კარგად გავერკვეთ, ჯონ მაკდონალდის პოპულარიზაციიდან ფონ ნოიმანისა და მორგენშტერნის საწყის თეორიას უნდა დავუბრუნდეთ. ბანქოს თამაში, ისეთი, როგორიცაა მაგალითად პოკერი, ნულოვანჯამიანი თამაშია: ჩემი და შენი მოგების ჯამი ზუსტად უდრის ჩვენი მეტოქის ან მეტოქეების დანაკარგს. ნულოვანჯამიან თამაშში პრობლემა განაწილებაა და არა წარმოება, მაგრამ საქმიანობა, რომელშიც ჩაბმულნი არიან ადამიანები და სახელმწიფოები იშვიათად თუ წააგავს ნულოვანჯამიან მოდელს. ამდენად,

---

თეორიაში არსებული ზოგიერთი გადაუწყვეტელი პრობლემის შესახებ იხილეთ ქვემოთ 28-ე შენიშვნა. თამაშის თეორიის საერთაშორისო პოლიტიკის სტრატეგიისადმი მისადაგების შთამბეჭდავი მცდელობა იხილეთ ნაშრომში: Kaplan, *System and Process in International Politics*, Part IV.

პრობლემას შეიძლება წარმოადგენდეს როგორც წარმოება, ისე განაწილება. თამაში, ფონ ნოიმანისა და მორგენშტერნის ტერმინოლოგიით, საზოგადო თამაში ხდება. საზოგადო თამაშში კი „მონაწილეთა ერთი ჯგუფის მიერ უპირატესობის ხელში ჩაგდება სხვების არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებას არ ნიშნავს. ასეთ თამაშში შესაძლებელია ისეთი სვლები - ან, უფრო მეტად, ცვლილებები სტრატეგიაში - რომლებიც ორივე მხარისათვის მომგებიანია. სხვა სიტყვებით, შეიძლება შეიქმნას კარგი პირობები ერთდროულად საზოგადოების ყველა სექტორში პროდუქტიულობის ასამაღლებლად."[25] ეს არის ვითარება, რომელშიც ჩვენ არა მარტო ნამცხვარი უნდა გავყოთ, არამედ უნდა გადავწყვიტოთ, თუ რა ზომის ნამცხვარი გამოვაცხოთ. ასეთ პირობებში თამაში, შესაძლოა, ორი უკიდურესობისაკენ გადაიხაროს: 1) ის შეიძლება გადაიქცეს მაქსიმიზაციის უბრალო პრობლემად: ყველა მოთამაშემ, შესაძლოა, ითანამშრომლოს ყველაზე დიდი ნამცხვრის გამოსაცხობად.[26] საერთაშორისო პოლიტიკაში ეს შეესაბამება იმ სავარაუდო შემთხვევას, რომელშიც ყველა სახელმწიფო ერთიანდება ბუნების წინააღმდეგ. 2) ყველა მოთამაშეს შეიძლება იმდენად ადარდებდეს საკითხი, თუ როგორ უნდა გაიყოს უკვე არსებული ნამცხვარი, რომ მისი მოცულობის გადიდებისათვის თანამშრომლობის შედეგად თითოეულისათვის განკუთვნილი წილის გაზრდის შესაძლებლობა მხედველობიდან გამორჩეს. ასეთ დროს უბრალო მაქსიმუმის პრობლემის ნაცვლად თამაში კვლავ ნულოვანჯამიან ან უცვლელჯამიან სახეს მიიღებს.[27] საერთაშორისო პოლიტიკაში ეს მეტ-ნაკლებად შეესატყვისება დღეს არსებულ ვითარებას, რომელშიც ორი მხარეა გამიჯნული და ერთის მოგება ხშირად მეორის წაგებად განიხილება. არსებობს კიდევ ერთი შესაძლებლობა, რომ არავის მოსწონდეს ნამცხვარი ან ყველას სხვა რამ ურჩევნოდეს. ასეთ შემთხვევაში თამაში საერთოდ არ გაიმართება.

რამდენად შეუძლიათ სახელმწიფოებს ამ სამი ალტერნატივიდან ერთ-ერთის არჩევა? თამაშს მიზანი უნდა ჰქონდეს. პოკერში თითოეული მონაწილის მიზანია რაც შეიძლება დიდი თანხის მოგება. სახელმწიფოებს

---

[25] Von Neumann and Morgenstern, *Theory of Games and Economic Behavior*, p. 540.
[26] *Ibid.*, p. 517.
[27] სტრატეგიულად ისინი ეკვივალენტებია. *Ibid.*, p. 348.

კი მრავალი მიზანი გააჩნიათ. ზოგიერთ სახელმწიფოს მსოფლიოს დაპყრობა აქვს განზრახული, ზოგიერთს - ლოკალური ჰეგემონია, ზოგიერთს საერთოდ არავითარი ჰეგემონია და მხოლოდ სურს, რომ მას თავი დაანებონ. გადარჩენის სურვილი ყველა სახელმწიფოს აერთიანებს. იმ სახელმწიფოსაც კი, რომელსაც მსოფლიოს დაპყრობა სწადია, სულ მცირე, არსებობის გაგრძლება სურს. ყველა სახელმწიფოს, უბრალოდ, გადარჩენა რომ უნდოდეს, მაშინ არცერთს დასჭირდებოდა შეიარაღებული ძალები თავდაცვითი ან თავდასხმითი მიზნებისათვის, მაგრამ როდესაც ზოგიერთი სახელმწიფო ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მისი პოლიტიკური ამბიციები გადარჩენით არ ამოიწურება, სხვები, ლოგიკურად, იძულებულნი არიან, თავდაცვაზე იზრუნონ. ბევრ სახელმწიფოს შეიძლება ურჩევნოდეს ისეთ თამაშში მონაწილეობა, რომელშიც ყველა სახელმწიფო თანამშრომლობს მაქსიმიზაციის პრობლემების გადასაწყვეტად. სხვებს კი შეიძლება ურჩევნოდეთ, თამაშში საერთოდ არ ჩაებან. თუმცა, თამაშის თეორიის, ისევე როგორც მესამე ხედვის შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს თავისუფალი არჩევანი დანარჩენ სახელმწიფოთა ქმედებებით იზღუდება. ეს შეზღუდვა კი იმდენადვე მიესადაგება თამაშის არჩევის პროცესს, რამდენადაც საკუთრივ თამაშის წარმართვას.

როდესაც შეჯიბრის ტიპის თამაშს მონაწილეთა საკმარისი რაოდენობა ჰყავს, ფონ ნოიმანი და მორგენშტერნი დამაჯერებელი მათემატიკური სიზუსტით მათ შორის კომბინაციების შესაძლო უპირატესობებს წარმოაჩენენ.[28] ჭკვიანი მოთამაშე, სხვასთან თანამშრომლობით, პირადი მოგების გაზრდის ან წაგების შემცირების შესაძლებლობას დაუდარაჯდება. მსგავსად ამისა, საერთაშორისო პოლიტიკაში, თუ მოქმედი პირები ისეთი თამაშის მონაწილეებად არ აღიქვამენ თავს, რომელშიც ყველა კონცენტრირებულია წარმოებაზე და არავის აღელვებს

[28] მონაწილეთა მინიმალური საჭირო რაოდენობაა: ორი ან მეტი - საზოგადო თამაშისათვის და სამი ან მეტი - ნულოვანჯამიანი თამაშისათვის. თუმცა, თამაშის თეორიას არ შეუძლია, ზუსტად განსაზღვროს, თუ როგორ განაწილდება მოგება და წაგება კოალიციის წევრებს შორის. კომენტარები თამაშის თეორიის ამ და სხვა შეზღუდვების შესახებ იხილეთ ნაშრომებში: McKinsey, *Introduction to the Theory of Games*, განსაკუთრებით მე-15-18 თავები; Williams, *The Compleat Strategyst*, pp. 20-24, 30-34, 213-14.

განაწილება, სახელმწიფოებს ყოველთვის ექნებათ ცდუნება, შექმნან კოალიციები იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ვინც ერთიანდება, უპირატესობას ფლობს იმათზე, ვინც ამას არ აკეთებს. თუ გარკვეული სახელმწიფოები სხვებზე უპირატესობის მოპოვებას ცდილობენ, ისინი ერთიანდებიან; თუ სხვა სახელმწიფოებს ამ უპირატესობის გაქარწყლება სურთ, თავის მხრივ, ისინიც ერთიანდებიან. თუ სასურველი უპირატესობა სხვა სახელმწიფოსათვის ზიანის მიყენების ან მისი განადგურების უნარით იზომება, მაშინ მუქარის ქვეშ მყოფი სახელმწიფოს მიერ ძლიერების გაზრდის მცდელობისაგან თავის შეკავება საკუთარი გადარჩენის საფრთხეში ჩაგდების ტოლფასი ნაბიჯი იქნება. ძალთა ბალანსის პოლიტიკის გატარება არჩევანზეა დამოკიდებული, მაგრამ ალტერნატივებია, ერთი მხრივ, სავარაუდო თვითმკვლელობა, ხოლო, მეორე მხრივ, ძალთა ბალანსის თამაშში აქტიურად ჩართვა. სხვა თამაშებისაგან საერთაშორისო პოლიტიკას შემდეგი ფაქტორები განასხვავებს: 1) ამ თამაშის ფსონები უაღრესად მნიშვნელოვნად არის მიჩნეული, 2) საერთაშორისო პოლიტიკაში ძალის გამოყენება, როგორც საბოლოო შედეგზე ზეგავლენის მოხდენის საშუალება, გამორიცხული არ არის. თამაშის უმთავრესი წესი ხშირად ასე განიმარტება: გააკეთე ყველაფერი, რაც საჭიროა გამარჯვების მოსაპოვებლად. თუ ზოგიერთი სახელმწიფო ამ წესის თანახმად მოქმედებს ან მოსალოდნელია, რომ მოქმედებდეს, სხვა სახელმწიფოებს თავიანთი სტრატეგიის სათანადოდ მოწესრიგება მართებთ. ძალის გამოყენების შესაძლებლობა და ზოგჯერ აუცილებლობა განასხვავებს საერთაშორისო პოლიტიკაში არსებულ ძალთა ბალანსს სახელმწიფოს შიგნით შექმნილი ძალთა ბალანსისაგან. ორივე შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია, ჰობსის კვალად, განვსაზღვროთ ძალაუფლება როგორც გამიზნული შედეგის მიღწევის უნარი. საშინაო პოლიტიკაში ერთ-ერთი ასეთი უნარი, - ფიზიკური ძალის გამოყენება, - ჩვეულებრივ, სახელმწიფოს მიერაა მონოპოლიზებული. საერთაშორისო პოლიტიკაში კი არ არსებობს ხელისუფლება, რომელსაც ძალის გამოყენების ეფექტიანად აკრძალვა შეუძლია. ძალთა ბალანსი სახელმწიფოებს შორის გადაიქცევა იმ უნართა, მათ შორის ფიზიკური ძალის, წონასწორობად, რომლებსაც სახელმწიფოები თავიანთი მიზნების განსახორციელებლად იყენებენ.

თუ კოალიციების შექმნა უპირატესობას უზრუნველყოფს, მაშინ, ლოგიკურად, თამაშის მონაწილეები ამ უპირატესობის მოპოვებას შეეცდებიან, ვიდრე ყველანი ორ ბლოკად არ დაჯგუფდებიან. თუმცა, ძალის პოლიტიკის თამაში ხშირად არ იწვევს ორი ბლოკის ჩამოყალიბებას, რომლებიც უცვლელი მოწინააღმდეგეები არიან და ყველა ხერხს მიმართავენ ერთმანეთის დასასუსტებლად. თამაშის თეორიის საფუძველზე, ეს აიხსნება იმ ფაქტით, რომ ყველა სახელმწიფო ერთზე მეტ თამაშში მონაწილეობს. თამაშის თეორიის საბოლოო მიზანია, დაადგინოს „ისეთი წესების ერთობლიობა თითოეული მონაწილისათვის, რომლებიც უკარნახებს მას, თუ როგორ უნდა მოიქცეს ნებისმიერ მოსალოდნელ ვითარებაში,“[29] მაგრამ, წესების ვერავითარი ერთობლიობა ზუსტად ვერ განსაზღვრავს, რამდენად მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს თამაში! მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ერთადერთი მიზანი გადარჩენა რომ იყოს, ჩვენი მხრიდან ირაციონალური იქნება შესაძლო თავდამსხმელებისაგან თავის დასაცავად ძლიერების გაზრდის რომელიმე საშუალებაზე უარის თქმა. თუ სპარტანული წესწყობილება გაგვაძლიერებს, მაშინ ის, უდავოდ, უნდა შემოვიღოთ. თუმცაღა, ძალის პოლიტიკის თამაშში მონაწილეობასთან ერთად, რომელშიც იძულებულები ვართ, ჩავერთოთ იმდენად, რამდენადაც თვითგადარჩენა მიზნად გვაქვს დასახული, ჩვენ რამდენიმე სხვა მიზნის მიღწევასაც ვცდილობთ - გარკვეული თვალსაზრისით, სხვა თამაშებშიც ვერთვებით - როგორიცაა, მაგალითად, ეკონომიკური კეთილდღეობის მაქსიმიზაცია ან, უფრო ზოგადი ტერმინებით, ცხოვრების წესის შენარჩუნება. იდეალური სტრატეგია საერთაშორისო პოლიტიკაში, იმ სხვა თამაშებთან შედარებით, რომლებშიც სახელმწიფო მონაწილეობს, ძალიან ძვირი შეიძლება დაჯდეს. იმის თქმა კი, რომ საერთაშორისო პოლიტიკა თამაშია, რომლის ძირითადი წესების უგულებელყოფა საფრთხეს უქმნის მონაწილის არსებობას არ ნიშნავს აუცილებლად იმას, რომ ყველა სახელმწიფომ მთელი ძალისხმევა საკუთარი თავის გადარჩენისაკენ უნდა მიმართოს. კლაუზევიცი, მაგალითად, აღნიშნავდა, რომ ის, ვინც ულმობლად იყენებს ძალას, უპირატესობას მოიპოვებს, თუ მისი მოწინააღმდეგე ამგვარადვე არ მოიქცევა, მაგრამ იმასაც

[29] Von Neumann and Morgenstern. *Theory of Games and Economic Behavior*, p. 31.

უსვამდა ხაზს, რომ სოციალურმა ინსტიტუტებმა ძალაუფლებისათვის შეჯიბრის ხარისხი და სისასტიკე შეიძლება შეამციროს.[30] სახელმწიფოები, შესაძლოა, თანამშრომლობდნენ ან ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და მაშინაც კი, როცა შეჯიბრი უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე თანამშრომლობა, მათმა საშინაო ამოცანებმა საგარეო ასპარეზზე მათ შორის შეჯიბრი შეიძლება შეასუსტოს, მაგრამ, თუ გადარჩენა სახელმწიფოს ერთ-ერთი მიზანია, სახელმწიფო, რომელიც ყურადღებას არ აქცევს ძალთა ბალანსის პოლიტიკას, როდესაც სხვები სწორედ ამას აკეთებენ, ჰგავს თამაშების ისეთ მონაწილეს, რომელიც კოალიციაში გაწევრიანებისაგან თავს იკავებს - რადგანაც რა არის ძალთა ბალანსი, თუ არა კოალიციების წყება, რომლებშიც არახელსაყრელ მდგომარეობაში დროებით ჩავარდნილები ერთიანდებიან ან კვლავ უკავშირდებიან ერთმანეთს, რათა მოწინააღმდეგე ქვეყნის ან კოალიციის აღზევება (მის მიერ თამაშის მოგება) არ დაუშვან?

წინამდებარე ანალიზი მიანიშნებს, რომ ძალთა ბალანსი სახელმწიფოებს შორის მყარად ფესვგადგმულია სინამდვილეში და გაცილებით მეტია, ვიდრე „ილუზია." ეს ანალიზი აგრეთვე იმეორებს არაერთგზის გამოთქმულ ბრალდებებს, რომ სახელმწიფო მოღვაწეები ძალთა ბალანსის პოლიტიკის გატარებისას ხშირად უზნეოდ იქცევიან. ადამიანთა უმრავლესობისათვის ბანქოს თამაშში უზნეო არაფერია, მაგრამ ბანქოს თამაშის დროს თაღლითობა, აშკარად, ნაწილობრივ მაინც, უზნეობაა. ბანქოს ზნეობრივ კოდექსს განსაზღვრავს ჩვეულება და ახორციელებს ის გარემოება, რომ ნებისმიერს, ვისაც თამაშის შეწყვეტა სურს, ასე მოქცევა შეუძლია. საერთაშორისო პოლიტიკაშიც არსებობს გარკვეული სამართლებრივი ნორმები, რომლებითაც სახელმწიფოები როგორც ომის, ისე მშვიდობის დროს უნდა ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ თუ გაირკვა, რომ ზოგიერთი სახელმწიფო მათ არღვევს, სხვებს ასე მარტივად თამაშიდან გამოსვლა არ შეუძლიათ. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მოუწევს მსჯელობა იმაზე, თუ რა ურჩევნია: ქცევის კოდექსის დარღვევა თუ მისი შესრულება საკუთარი გადარჩენის საფრთხეში ჩაგდების ფასად ან, უფრო ზუსტად, სახელმწიფოს ლიდერებს მოუხდებათ არჩევნის გაკეთება, ერთი მხრივ, სახელმწიფოს შენარჩუნების მიზნით

[30] Clausewitz. *On War.* tr. Jolles, p. 4.

საერთაშორისო პოლიტიკაში *უზნეოდ* მოქცევასა და მეორე მხრივ, საერთაშორისო პოლიტიკაში მიღებული ქცევის წესების დაცვის მიზნით სახელმწიფოს გადარჩენის *ზნეობრივ* ვალდებულებაზე უარის თქმას შორის. დასკვნა? ზნეობრივი ქცევა სხვა რამაა სისტემაში, რომელიც უსაფრთხოების მოსალოდნელ ხარისხსა და ტიპს უზრუნველყოფს და სრულიად სხვა რამაა სისტემაში, სადაც ამგვარი უსაფრთხოება არ არსებობს. კანტი, ფილოსოფოსი, რომელიც არასოდეს მოუხსენიებიათ უზნეოდ, აღიარებდა ამას ისევე, როგორც მაკიაველი, ფილოსოფოსი, რომელსაც მეტწილად სწორედ ასე ახასიათებენ.[31] ვინც „ძალის პოლიტიკოსებს" უზნეოებს უწოდებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ძალის პოლიტიკის თამაშში მონაწილეობენ, უზნეობის განსაზღვრებას ერთი სოციალური სიბრტყიდან მეორეზე ანაცვლებს, სადაც მას სერიოზული შეზღუდვების გარეშე ვერავინ გამოიყენებს.

არის თუ არა ძალთა ბალანსი გარდაუვალი? აშკარაა, რომ არა, მაგრამ თუ ის დამოკიდებულია სახელმწიფოს სურვილზე, გადარჩეს სახელმწიფოთა შორის ანარქიის პირობებში, მაშინ, ამჟამინდელი ფორმით, ის მხოლოდ იმ შემთხვევაში გაქრება, თუ ამგვარი სურვილი ან პირობები აღარ იარსებებს. რაც არ უნდა ძლიერ ვესწრაფოდეთ მის გაუქმებას, ეს შეუძლებელი იქნება მანამ, სანამ ამ ორი ფაქტორიდან ერთ-ერთი ან, სულაც, ორივე არ შეიცვლება.

ძალთა ბალანსი შეიძლება იმის გამო არსებობდეს, რომ ზოგიერთი ქვეყანა შეგნებულად ირჩევს მას საკუთარი პოლიტიკის მიზნად ან, შესაძლოა, ის უბრალოდ სხვა სახელმწიფოთა გაძლიერებაზე ზოგიერთი სახელმწიფოს ნახევრად ავტომატური რეაქციით იყოს განპირობებული. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სახელმწიფოს პოლიტიკას ძალთა ბალანსის მოწინააღმდეგენი განახორციელებენ, მათი მოქმედება მაინც წონასწორობის შენარჩუნებას ან დამყარებას შეუწყობს ხელს. ეს სულაც არ გულისხმობს, რომ ისინი ძალთა ბალანსის პოლიტიკას აღარ გაკიცხავენ ან რომ ეს გაკიცხვა გულწრფელი არ იქნება. ამ უკანასკნელი დებულების

---

[31] მიაქციეთ ყურადღება კანტის მიერ პრეზენტიული ომის გამართლებას: „ნაკლებად ძლიერი ქვეყნისათვის თავისთავად საზიანოა უფრო ძლიერი მეზობლის არსებობა, უკანასკნელმა *რომ* არაფერი მოიმოქმედოს; ბუნებრივ მდგომარეობაში, ასეთი გარემოებების არსებობისას, თავდასხმა კანონიერია." *The Philosophy of Law*, tr. Hastie, sec. 56: cf. sec. 60.

კარგი მაგალითია ტანენბაუმის ერთ-ერთ ზემოხსენებულ სტატიაში მოყვანილი დასკვნა.[32] არის თუ არა ატლანტიკური უსაფრთხოების პაქტი ძალისმიერი შემცველელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა, რომელმაც მარცხი განიცადა? - კითხულობს იგი და თავადვე პასუხობს: არა, რადგანაც ის დროებითი, თავდაცვითი ხასიათისაა და „არაფერი აქვს საერთო ძალთა ბალანსის იდეასთან, მით უფრო რუსეთსა და ჩვენს შორის მსოფლიოს ინტერესთა სფეროებად დაყოფასთან." ჩვენი ტრადიციების შესაბამისად, ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს რაც შეიძლება უფრო დიდ ნაწილს მოაწყობს თანასწორობის სახელმწიფოს საფუძველზე. ჩვენ ამას გავაკეთებთ არა ძალთა ბალანსის მისაღწევად, არამედ კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის ასაგებად, რომელშიც ნებისმიერ მსურველს საკუთარი დამოუკიდებლობისა თუ ღირსების შელახვის გარეშე შეეძლება ჩაბმა, ხოლო თუ შემდგომში ბრძოლა მოგვიწევს, იმისათვის მაინც ვიბრძოლებთ, რაც ღირებულად მიგვაჩნია. თუმცა, მეორე მხრივ, ძალთა ბალანსის სისტემისაკენ სწრაფვამ სხვების გაუცხოება შეიძლება გამოიწვიოს და მოსპოს ერთადერთი იმედი თანასწორობის სახელმწიფოთა ისეთი გაერთიანების შექმნისა, რომელიც რუსეთის მსოფლიოზე გაბატონების მცდელობას წინ აღუდგება.

ტანენბაუმის მიერ ჩვენი საგარეო პოლიტიკის ასეთი ამაღლებული შეფასება არ აქარწყლებს იმ ფაქტს, რომ დასავლეთის თავდაცვითი თანამეგობრობა ძირითადად საბჭოთა ძალისა და ზრახვების შიშით შეიქმნა და მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირის შეკავებას, რათა მან საკუთარი ძალა აგრესიულ ომებში არ გამოიყენოს. ის, რომ საკარაუდო მოწინააღმდეგეები სამომავლო ომის შესაძლებლობის გათვალისწინებით მოქმედებენ, ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, ისევე ადვილი გასაგებია, როგორც ბეისბოლისტთა ვარჯიში ადრეულ გაზაფხულზე. თუ ტანენბაუმს ურჩევნია, ძალთა ბალანსის პოლიტიკის ნაცვლად, ამას სხვა სახელი უწოდოს, ეს მისი უფლებაა. თუმცა, ამავე დროს, ნათელი ხდება, რომ იგი უფრო მეტად „რეალისტების" ტერმინოლოგიას ეწინააღმდეგება, ვიდრე მათ მიერ შემოთავაზებულ საგარეო პოლიტიკას.

---

[32] Tannenbaum, "The Balance of Power versus the Co-ordinate State." *Political Science Quarterly*, LXVII (1952). 195-97.

ტანენბაუმი სახელმწიფო მდივანი რომ ყოფილიყო, მისი საგარეო პოლიტიკა, აშკარად, არ იქნებოდა დიდად განსხვავებული მორგენთაუსა და ქენანის პოლიტიკისაგან, რომლებსაც იგი თავის უმთავრეს ინტელექტუალურ ოპონენტებად მიიჩნევს.

ამრიგად, საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ძალთა ბალანსს არა იმდენად სახელმწიფო მოღვაწეები ახვევენ თავს მოვლენებს, რამდენადაც მოვლენები - სახელმწიფო მოღვაწეებს. მის მოსასპობად, თუ ეს საერთოდ შესაძლებელია, საჭიროა არა განცხადებები, არამედ იმ გარემოებათა შეცვლა, რომლებიც მას წარმოშობს. ამ გარემოებებს შორის კი უმთავრესია დამოუკიდებლობის შენარჩუნების მოსურნე სახელმწიფოთა გარკვეული რაოდენობით არსებობა. სიტყვა „დამოუკიდებლობა" არა მარტო თავისუფლებას, არამედ საკუთარი ძალების იმედად ყოფნასაც ნიშნავს. შეჯიბრი სხვადასხვა ფორმას იღებს, მაგრამ კონკურენციის ნებისმიერ სისტემაში ერთეულები პრივილეგირებული პოზიციებისაკენ ისწრაფიან. თუ ზოგიერთი ერთეულის მცდელობა წარმატების მომტანი ჩანს, მას სხვა ერთეულები აფერხებენ, რომლებიც, მსგავსი მოტივებიდან გამომდინარე, საპასუხო ქმედებას ახორციელებენ და შეტევაზე გადადიან. იქ, სადაც კანონის დამამყარებელი ეფექტიანი ხელისუფლება არსებობს, ბალანსი ძალის მიხედვით არ იზომება,[33] ხოლო იქ, სადაც არ არის მექანიზმი, რომელიც აღკვეთს ძალის გამოყენებას, როგორც კონკურენციის ფორმებისა და შედეგების შეცვლის საშუალებას, ძალის გამოყენების უნარი ძალთა ბალანსის საზომ ინდექსად გვევლინება. ბალანსის არცერთი სისტემა ავტომატურად არ ფუნქციონირებს. ერთი სახელმწიფოს სწრაფვა ჰეგემონიისაკენ შეიძლება წარმატებული აღმოჩნდეს, სხვა სახელმწიფოთა მხრიდან წინააღმდეგობის მიუხედავად, ან, შესაძლოა, სხვა სახელმწიფოები არც შეეწინააღმდეგონ მას რაიმე მიზეზის გამო, მაგრამ გარკვეულ პირობებში, რომლებიც საერთაშორისო პოლიტიკაში ხშირად არსებულა, ბალანსის სისტემები მართლაც წარმოიქმნება. თუ წონასწორობის მდგომარეობა სახელმწიფოთა გააზრებულ მიზნად გადაიქცევა, დაბა-

[33] თუმცა, ბალანსის დამყარების პროცესს მაინც ექნება ადგილი. თუ ტანენბაუმს ეს ესმის, მით უფრო გასაოცარია მისი გეიანდელი სტატიები ძალთა ბალანსის შესახებ. იხილეთ მისი: "The Balance of Power in Society." *Political Science Quarterly*, LXI (1946), 481-504.

ლანსების პროცესი, მოსალოდნელია, უფრო ზუსტი და დახვეწილი გახდეს. დაახლოებით თანაბარი ძალის ბევრ სახელმწიფოს შორის კონკურენცია მძაფრია, დაბალანსების პროცესი კი - ჩახლართული. ამიტომაც, ბერძნული და იტალიური ქალაქ-სახელმწიფოებიდან თუ ევროპული ერი-სახელმწიფოებიდან ნებისმიერს, რომელიც სხვებზე მეტად გაძლიერებას მოისურვებდა, შეეძლო ევარაუდა, რომ სხვები მის შეზღუდვას შეეცდებოდნენ. ამის მიზეზი ის კი არ იყო, რომ მათ ერთმანეთის შეზღუდვის პროცესი სიამოვნებას ანიჭებდა, არამედ ის, რომ თითოეული სახელმწიფოსათვის სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში შედარებითი ძლიერების მოპოვება თვითგადარჩენის საწინდარია.

მესამე ხედვის ისტორიული განხილვა

მესამე ხედვის ლოგიკურ კონსტრუქციას, რომლის წარმოდგენაც VI თავში ვცადეთ, ისტორიული კვლევა მატებს დამაჯერებლობას. მართალია, მაგალითების მოძიება სხვადასხვა დროსა და ადგილას შეიძლება, მაგრამ ჩვენ ზემოხსენებულ სამ შემთხვევაზე მოკლე მსჯელობით შემოვიფარგლებით. *ჰელოპონესის ომების ისტორიაში* თუკიდიდეს მრავალი პოლიტიკური შეხედულება მოჰყავს, რომლებიც ჩვენს ლოგიკურ კონსტრუქციას აგებს ან მისგან გამომდინარეობს. სწორედ მისი მოსაზრებაა, რომ *„მეზობლებს შორის ანტაგონიზმი ყოველთვის დამოუკიდებლობის აუცილებელი პირობაა.“*[34] ამ დებულებას ადასტურებს გამონათქვამები, რომლებსაც იგი მაშინდელი ეპოქის პოლიტიკასა და ომებში მოღვაწე ადამიანებს მიაწერს. მოკლე მიმოხილვა, მოსაუბრეთა სახელების გამოტოვებით, ცხადყოფს, რომ მის ნაშრომებს საფუძვლად უდევს შეხედულება საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ, რომელიც მჭიდრო კავშირშია რუსოს მოსაზრებებთან და მესამე ხედვასთან. ქვემოთ იხილავთ მის მიერ ჩაწერილი ზოგიერთი გამონათქვამის ნაწყვეტებს: ომს ჩვენი ინტერესების გამო ვიწყებთ და მშვიდობასაც მაშინ ვითხოვთ, როდესაც ეს ჩვენს ინტერესებში შედის, რადგანაც ვიცით, რომ „ადამიანთა ურთიერთობების განხილვისას სამართლიანობის

---

[34] Thucydides, *History of the Peloponesian War*, tr. Jowett, Book IV, par. 92. იხილეთ შედარებისათვის: Rousseau, *A Lasting Peace*, tr. Vaughan. pp. 47, 122.

საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩნდება, თუ მის უზრუნველსაყოფად საჭირო ძალა არსებობს."[35] ვინაიდან სახელმწიფოებს „კანონი არ აკავშირებს," მათ არ შეუძლიათ, დაადგინონ, თუ რა არის სამართლიანი, მათი მიზანი ვერ იქნება მართლის დაჯილდოება და დამნაშავის დასჯა. იმ ქვეყანასთან მიმართებაში, რომელმაც რაიმე დაგვიშავა, „სწორი შეკითხვა იქნება არა ის, თუ რა დანაშაული ჩაიდინა მან, არამედ ის, თუ რას მოითხოვს ჩვენი ინტერესები."[36] უაზრობაა ალიანსების გაფორმება, თუ ისინი ყველა წევრის ინტერესებს არ შეესაბამება. სინამდვილეში, „ერთმანეთის შიში ალიანსის ერთადერთი მყარი საფუძველია."[37] ვინაიდან თითოეული სახელმწიფოს ქმედებები მის მიერ საკუთარი უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის მოთხოვნილებების შეფასებას ემყარება, თითოეულმა სახელმწიფომ სხვა სახელმწიფოთა განზრახვები უნდა ამოიცნოს. ამრიგად, „მშვიდობის შენარჩუნება მაშინ, როდესაც ომის დაწყებაა საჭირო, ხშირად ძალიან სახიფათო შეიძლება იყოს."[38] „ადამიანები ხომ არ ელოდებიან უფრო ძლიერი სახელმწიფოს თავდასხმას - ისინი ასწრებენ მას."[39] მოკლედ რომ ვთქვათ, სახელმწიფოს პოლიტიკას მისი მიზნები და სხვა სახელმწიფოებთან მისი დამოკიდებულება განსაზღვრავს.

თუკიდიდეს მიერ შემოთავაზებულ თემაზე მაკიაველიმ რამდენიმე რთული, თუ არა შესანიშნავი, ვარიაცია ააგო. ხშირად ამბობენ, რომ *მთავარი* უნდა განვიხილოთ *მსჯელობების* კონტექსტში, ხოლო ეს ორივე ნაშრომი - იმდროინდელ იტალიაში შექმნილი პირობების გათვალისწინებით, მაგრამ ამ წესს იშვიათად იცავენ. ვინაიდან მაკიაველი *რეალპოლიტიკის* თეორეტიკოსი იყო, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ *რეალპოლიტიკის* ზოგადად გაგება თავად მაკიაველის ადეკვატურად გააზრების ტოლფასია. უდიდეს პოლიტიკურ ფილოსოფოსთა ნაშრომებს არაერთგზის წაკითხვა სჭირდება და ყოველი გადაკითხვა მათი უფრო

---

[35] Thucydides, *History of the Peloponesian War*, tr. Jowett. Book V, par. 89.

[36] *Ibid.*, Book III, par. 44.

[37] *Ibid.*, Book III, par. II; cf. Book I, pars. 32-35; Book V, par. 106.

[38] *Ibid.*, Book I, par. 124.

[39] *Ibid.*, Book VI, par. 18. იხილეთ შედარებისათვის: Rousseau, *A Lasting Peace*, tr. Vaughan. pp. 78-79; Montesquieu, *The Spirit of the Laws*, tr. Nugent. Book X. ch. ii.

ფართოდ და ღრმად ჩაწვდომის საშუალებას იძლევა. მაკიაველის შემთხვევაში, რომელიც პოლიტიკურ ფილოსოფოსებს შორის ყველაზე ნაკლებად ფილოსოფიური იყო, მკითხველი უნებლიედ თავს არიდებს მისი შეხედულებების მთლიანობაში აღქმას - ამის ნაცვლად, მის პოლიტიკურ ნაწერებში ეფლობა და ამოკრეფს მაქსიმებს, რომლებიც შეიძლება განმანათლებელი, შემაძრწუნებელი ან, სულაც, სახალისო იყოს, რადგანაც რუსომ *მთავარს* ერთხელ სატირა უწოდა.

„მიზანი ამართლებს საშუალებებს." ამ ფრაზას, ხშირად და არცთუ ისე სამართლიანად, მაკიაველის პოლიტიკური აზროვნების შემაჯამებელ ეპიგრამად მიიჩნევენ. უსამართლობა იმაში მდგომარეობს, რომ აქ არ არის ნახსენები ის ორმაგი წინაპირობა, რომელზეც მაკიაველი საუბრობს *მთავარსა* და *მსჯელობებში. ეს* მიზნები ამართლებს საშუალებებს, - ამბობს იგი, - შესაფერისი საშუალებები კი იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რა პირობებში ხდება მიზნებისაკენ სწრაფვა. თუ გსურს, რომ საკუთარ სახელმწიფოში ძალაუფლება შეინარჩუნო და შენი სახელმწიფო სხვა სახელმწიფოთა გარემოცვაში გადარჩეს, მაშინ შენი მხრიდან შეიძლება გამართლებული იყოს ისეთი ქმედებები, რომლებიც ხშირად უზნეობად იწოდება.[40] საშუალებებს ზოგიერთი მიზანი ამართლებს და არა ყველა. „გაკიცხვის ღირსია ის, ვინც განადგურების მიზნით სჩადის ძალადობას და არა ის, ვინც მას კეთილი მიზნების მისაღწევად მიმართავს."[41] კონსტრუქციული მიზნების არსებობისას უღირსი საშუალებების გამოყენების მართებულობა „კონკრეტულ აუცილებლობაზეა" დამოკიდებული. ადამიანები წარმატებას მაშინ აღწევენ, როდესაც მათი ქმედებები „გარემოებათა შესაბამისია." მაკიაველის თანახმად, მთავარს „უნდა ჰქონდეს უნარი, მიხვდეს, თუ საიდან უბერავს ქარი და რას მოითხოვს ბედის ცვალებადობა და . . . აგრეთვე, თუ შესაძლებელია, არ გადაუხვიოს სიკეთის გზას, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში, ბოროტებაც ჩაიდინოს."[42]

---

[40] და, ასევე, თუ ძალაუფლების გაძლიერება გსურს.

[41] *The Discourses*, Book I, ch. ix; cf. Book II, ch. xiii; Book III, ch. xli. აგრეთვე, იხილეთ შედარებისათვის: *The Prince*, chs. xix, xxvi. ციტატები მოყვანილია *მთავრის* რიჩისეული თარგმანიდან, რომელიც ვინსენტის მიერ იქნა გადასინჯული, და *მსჯელობების* დეტმოლდისეული თარგმანიდან.

[42] *The Prince*, chs. xv, xxv, xviii. იხილეთ შედარებისათვის: *The Discourses*, Books III, ch. ix.

აბათილებს თუ არა ეს ორმაგი წინაპირობა იმ ორ კრიტიკულ შენიშვნას, რომელიც მის მიმართ ყველაზე უფრო ხშირად გაისმის? პირველი მათგანი შემდეგი კითხვითაა გადმოცემული: შეიცავდა თუ არა მაკიაველის მიერ შემოთავაზებული მეთოდები წარმატების ალბათობას - შესაძლებელი იყო კი, მათი გამოყენების შემთხვევაში, იტალიის გაერთიანება თუ ეს მეთოდები არსებითად ისეთი ქმედებების კოდიფიკაციას წარმოადგენდა, რომლებმაც იტალია სამთავროებს შორის შეიარაღებული დაპირისპირების ასპარეზად და, შესაბამისად, უცხო ქვეყნების ნადავლად აქცია? მეორე კრიტიკულ შენიშვნას კი, რომელიც პირველთან საკმაოდ მჭიდროდაა დაკავშირებული, ასეთი შეკითხვის სახე აქვს: ნუთუ ის, ვინც მოქმედებს პრინციპის თანახმად - მიზანი ამართლებს საშუალებებს, სინამდვილეში არ აღმოაჩენს, რომ მიზანი მის მიერ გამოყენებული საშუალებებით განისაზღვრება? ამ კითხვებში ნაგულისხმევი დებულებების ჭეშმარიტების დადგენა, - რაც, ჩემი აზრით, შესაძლებელია, - მათი სარგებლიანობის დადასტურებას არ ნიშნავს. ამ შეკითხვებზე ისეთი პასუხების გაცემა შეიძლება, რომლებიც თითქოს ნიადაგს აცლის მაკიაველის მოძღვრებას, მაგრამ სინამდვილეში ვერ ახერხებს ამას, რადგანაც ვერ წარმოაჩენს წარმატების მომტანი ქცევის ალტერნატიულ ტიპებს, რომლებსაც ამა თუ იმ მთავარმა შეიძლება მისდიოს. მაკიაველის მიერ აუცილებლად მიჩნეულ საშუალებათა გამოყენების სურვილი წარმატების მხოლოდ მცირე შესაძლებლობას თუ იძლეოდა, მაგრამ რამდენად ფართო იყო არჩევანი? მთავრისადმი მიცემული რჩევების სავარაუდო მაკიაველისტური ხასიათი შეიცვლება, თუ მისი ანილიზის თითქმის ტრაგიკულ ბუნებას მივიღებთ მხედველობაში. „ადამიანი, რომელსაც სურს, ყველგან და ყოველთვის სიკეთე აკეთოს," - წერს იგი, - „აუცილებლად დამარცხდება, რადგანაც მის გარშემო უამრავი უკეთური ადამიანია."[43] ამან, შესაძლოა, არ შემატოს

[43] *The Prince*, ch. xv. „თავად მაკიაველი," - აღნიშნავს გარეტ მეტინგლი, - „პრაქტიკაში მაკიაველისტი არ იყო." *Renaissance Diplomacy*, p. 40. ხოლო ჯ. ს. მილი, რომელიც თავის დღიურში მაკიაველის ხანის შესახებ მოსაზრებებსაც გვთავაზობს, გაგებით ეკიდება იმ ფაქტს, რომ იმდროინდელ გარემოებებში „კარგი ადამიანებიც კი საკუთარ სინდისს მხოლოდ მიზნების შერჩევისას უგდებდნენ ყურს . . . მაკიაველი [*sic*] იყო ნამდვილი პატრიოტი, თავისუფლების მოყვარული და საკუთარი ქვეყნისათვის სიკეთის მოსურნე, მაგრამ არ სურდა, ხმლით ებრძოლა მათ წინაღმდეგ, ვინც ხანჯლით იბრძოდა." *Letters*, ed. Elliot, II. 367.

მიმზიდველობა უზნეო ქცევას, მაგრამ იმის მტკიცება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში უზნეო ქცევა საჭიროა, რადგან სხვებიც შეიძლება ასევე მოიქცნენ, მართლაც, ამცირებს ამ სიტყვის უარყოფით მნიშვნელობას და მას უადგილოდ აქცევს. ადამიანები კანონს მიმართავენ, მხეცები კი ძალას იყენებენ. მთავარს შეიძლება ამ უკანასკნელის მოხმობა მოუხდეს - არა იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი უფრო კარგია, არამედ იმიტომ, რომ პირველი ხშირად საკმარისი არ არის.[44]

მაკიაველის არ გამოჰპარვია ის აზრი, რომ ერთი ადამიანის ცბიერებამ მეორე ადამიანს ტყუილისაკენ შეიძლება უბიძგოს, მაგრამ მას არ უცდია თვალის დახუჭვა ამ დილემაზე და, რუზველტისა და სტიმსონის მსგავსად, იმის მტკიცება, რომ ადამიანი სანდო გახდება, თუკი მას ვენდობით. მაკიაველის დროინდელ იტალიაში ძნელი იყო ამგვარად ფიქრი. ადამიანები „იძულებულნი" იყვნენ, ბოროტება ჩაედინათ, რადგანაც კარგად აღზრდილი და ზნეობრივი ადამიანები ძალიან ხშირად მარცხს განიცდიდნენ. ამავე დროს, იგივე ემართებოდათ ბოროტებსა და გაიძვერებსაც. იმისათვის, რომ სრულად აღვიქვათ მაკიაველის მიერ პოლიტიკის მოთხოვნილებათა წვდომის სიღრმე, მესამე წინაპირობაც უნდა დავამატოთ, როგორც ამას თავად მაკიაველი აკეთებდა. ის, თუ რა უნდა მოიმოქმედოს მთავარმა, რათა საკუთარი წარმატების ალბათობა გაზარდოს, დამოკიდებულია მიზანზე, რომელსაც იგი ესწრაფის, პირობებზე, რომლებშიც იგი ამ მიზნის მიღწევას ცდილობს და თავად მთავრის თვისებებზე. მაკიაველის ნაშრომების კითხვისას, მესამე ფაქტორი ძალიან ხშირად ყურადღების მიღმა რჩება. როდესაც დიდება ქრება, ხოლო მაკიაველის სჯეროდა, რომ ის გამქრალი იყო, ისეთი რჩევაა საჭირო, რომლის გათვალისწინება გონებაშეზღუდულ ადამიანებსაც კი შეუძლიათ, მაგრამ იგი მკაფიოდ განმარტავს, რომ, მისი შეფასებით, ადამიანის მხოლოდ ორმა ტიპმა შეიძლება მიაღწიოს წარმატებას: პიროვნებამ, რომელსაც შეუძლია, მუდმივად მხეცივით იმოქმედოს *ან* იმან, ვინც ჭეშმარიტად ადამიანია. ფილიპე მაკედონელის გზა - წერს იგი, - უდავოდ „სასტიკი და ყოველივე ცივილიზებულის დამანგრეველი, არც ქრისტიანული და არც ადამიანური იყო და ამიტომაც, მას ყველა უნდა ერიდოს. სჯობს იცხოვრო, როგორც

---

[44] *The Prince*, ch. xviii.

უბრალო მოქალაქემ, ვიდრე იყო მეფე უამრავი ადამიანის სიცოცხლის ფასად. მიუხედავად ამისა, ყველა, ვისაც პირველი, ჰუმანური გზის არჩევა არ სურს, მეორე, ბოროტ გზას უნდა გაჰყვეს, თუ საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნება სწადია."[45] მთავრისადმი მაკიაველის რჩევის არსი აიხსნება არა მარტო იმ ფაქტით, რომ ამქვეყნად კეთილი ადამიანებიც ვერ აღწევენ ხშირად წარმატებას, ისევე როგორც ბოროტები, არამედ იმ გარემოებითაც, რომ ჩვენ შორის ძალიან ცოტა წმინდანია. ვისთვის უნდა მიემართა მაკიაველის? თუმცა, იგი არცერთ ტიპს არ უპირისპირდება. მისი ყველაზე უფრო მკაცრი შეფასებები ეხება მათ, ვინც საშუალო გზის არჩევას ცდილობს.[46]

და მაინც, რატომ უნდა მივიჩნიოთ საშინაო წესრიგის დამყარებისა და გარეშე მტრებისაგან ქვეყნის დაცვის საქმეში მთავრის წარმატება ისეთ კრიტერიუმად, რომელიც ნებისმიერ ქმედებას გაამართლებს? რატომ უნდა განვსაზღვროთ წარმატებულობა მთავრის ან სახელმწიფოს ინტერესებისა და არა, თუნდაც, ზნეობრივი ცხოვრების მიხედვით? ეს შეკითხვა ფუნდამენტურ, მაგრამ არცთუ ისე ძნელ საკითხს წამოჭრის. მაკიაველი, ისევე როგორც, მოგვიანებით, რუსო და კანტი საშინაო წესრიგსა და საგარეო უსაფრთხოებას ადამიანებისათვის თავისუფალი და ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობის გაჩენის აუცილებელ წინაპირობად მოიაზრებდა. პოლიტიკის შესწავლა, ასეთ შემთხვევაში, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან კვლევად იქცევა, პოლიტიკის ხელოვნება კი - ყველაზე უფრო დამსახურებულ საქმედ. ამრიგად, მაკიაველი იტალიას ადარებს „ქვეყანას სადინარი არხებისა და ჯებირების გარეშე," რომლებიც მას უცხო დამპყრობლებისაგან დაიცავდა და აღნიშნავს, რომ ის „სათანადოდ დაცული რომ ყოფილიყო, გერმანიის, ესპანეთის ან საფრანგეთის მსგავსად, მომხდარი „წყალდიდობა" ასეთ დიდ ნგრევას არ გამოიწვევდა ან საერთოდ არ მოხდებოდა."[47] თუ სისასტიკის წყალობით სადინარი არხებისა და ჯებირების აგება და შენარჩუნება ხერხდება, მაშინ სისასტიკე ყველაზე დიდი გულმოწყალებაა, ხოლო თუ კეთილი ქცევა მათ ნგრევას იწვევს, მაშინ სიკეთე ყველაზე დიდი ბოროტებაა.

---

[45] *The Discourses*, Book I, ch. xxxv; cf Book III, ch. xxii.

[46] იხილეთ განსაკუთრებით: *The Discourses*, Book III, ch. xxii.

[47] *The Prince*, ch. xxv.; საშინაო წესრიგთან დაკავშირებით იხილეთ xvii თავი.

რეალპოლიტიკა არასაკმარისად კონკრეტულად განსაზღვრული მეთოდია, რომელიც აუცილებლობას წარმოადგენს მაშინ, როდესაც ამა თუ იმ მიზნისაკენ სწარფვა გარკვეულ პირობებში ხორციელდება. მიზანი ცალკეული სახელმწიფოების უსაფრთხოებაა, პირობები კი - მათ შორის არსებული ანარქია. ამ საკითხთან დაკავშირებით ძალთა ბალანსის მოდელიც შეიძლება გავიხსენოთ. მაკიაველი *რეალპოლიტიკის* იმდენად ნათლად გამოკვეთილი მხარდამჭერია, რომ შეიძლება გვეგონოს, რომ იგი ძალთა ბალანსის იდეასაც აყალიბებს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ცნება თუკიდიდეს *ისტორიაში* უფრო მკაფიოდ ჩანს, ვიდრე *მთავარსა* და *მსჯელობებში. რეალპოლიტიკა* ცნებაა, ხოლო ბალანსის პოლიტიკა მის არსს შეადგენს და ფუნქციონირებას განაპირობებს. ისევე როგორც წარსულში, *რეალპოლიტიკისა* და ძალთა ბალანსის მნიშვნელობას საერთაშორისო ურთიერთობებში დღესაც ხშირად ეჭვის თვალით უყურებენ. ფრენკ ტანენბაუმი ერთ-ერთი იმ მრავალთაგანია, ვინც ფიქრობს, რომ ძალთა ბალანსის პოლიტიკა მოძველდა და აცხადებს, რომ დღევანდელი რეალისტები მცდარ დასკვნებამდე იმის გამო მიდიან, რომ თანამედროვე ევროპის განსაკუთრებულ გამოცდილებას ნორმალურ სახელმწიფო ქცევად განიხილავენ.[48] წყალბადის ბომბების ხანაში, როდესაც მსოფლიო ორ კოლოსს აქვს დანაწილებული, რომლებიც ერთმანეთს მუდამ უნდობლობით, ხოლო ხშირად სიძულვილითა და შიშით უყურებენ, პერიოდულად კონფლიქტში მყოფ რამდენიმე სახელმწიფოზე დაკვირვების შედეგად მიღებული გაკვეთილების სარგებლიანობა, მართლაც, საეჭვოდ შეიძლება მოგვეჩვენოს. იმისათვის, რომ ეჭვები გაიფანტოს და თამაშის თეორიის შესახებ ზემომოყვანილი მსჯელობიდან აბსტრაქტულად გამოტანილი გაკვეთილები დაკონკრეტდეს, ევროპის წარსული გამოცდილების დაპირებულ მიმოხილვას საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე სურათის შესწავლაც თან დაერთვება. მეთვრამეტე საუკუნესა და თითქმის მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში არსებობდა ძალთა ბალანსის სისტემები, რომლებიც ემყარებოდა სახელმწიფოთა უნარსა და სურვილს, ხან ერთ დაჯგუფებას მიმხრობოდნენ და ხან - მეორეს. დღეისათვის,

---

[48] "The Balance of Power versus the Co-ordinate State," *Political Science Quarterly*, LXVII (1952), 175.

ისევე, როგორც პირველ მსოფლიო ომამდე, მნიშვნელოვანი შედეგების მომტან ცვლილებათა განხორციელება ნაკლებად შესაძლებელია, მაგრამ მხოლოდ იმის გამო, რომ კლასიკური მოდელის მიხედვით დაბალანსება ვერ ხერხდება, არ შეიძლება ითქვას, რომ ძალთა ბალანსი აღარ არსებობს. როდესაც საერთაშორისო ასპარეზზე გაკეთებული სვლებით ადაპტირება შეუძლებელია, ქვეყნის შიგნით მრეწველობისა და შეიარაღების განვითარება უფრო მნიშვნელოვანი ხდება. რაც უფრო დაძაბულია შეჯიბრი, მით უფრო საგულისხმო შეიძლება იყოს მცირე სვლები. ნებისმიერ შემთხვევაში, ქვემოთ მოყვანილი განხილვა იმის გარკვევას კი არ ისახავს მიზნად, თუ როგორ უნდა განსხვავდებოდეს ძალთა ბალანსის ამჟამინდელი ანალიზი მეცხრამეტე ან მეთვრამეტე საუკუნეების ასეთივე ანალიზისაგან, არამედ უფრო მეტად იმ ფუნდამენტური საკითხების წარმოჩენას ცდილობს, რომლებიც, ძალთა გადანაწილებისა და ტექნოლოგიური წინსვლის მიუხედავად, უცვლელი რჩება.[49]

1891 წლის მაისში პარიზში შედგა ფრანგი და რუსი სამხედროების შეხვედრა, რომელიც წინ უსწრებდა სამხედრო კონვენციისა და ალიანსის დადებას. მათი დასკვნები საფრანგეთის მთავარი შტაბის ხელმძღვანელმა ბუაზდეფრმა რუსეთის იმპერატორს წარუდგინა. ამ დასკვნებში ნათქვამი იყო „რომ მობილიზაცია ომის გამოცხადების ტოლფასია; რომ მობილიზაცია აიძულებს მეზობელ ქვეყანას, იგივე გააკეთოს; . . . რომ საკუთარ საზღვართან მილიონი კაცის მობილიზაციის დაშვება ისე, რომ იგივე ნაბიჯი არ გადადგა ნიშნავს სამომავლოდ მოქმედების შესაძლებლობის ხელიდან გაშვებას და ეს იგივეა, რაც იმ ადამიანის მდგომარეობა, რომელიც ჯიბეში პისტოლეტს ინახავს და ნებას დართავს მეზობელს, დატენილი თოფი მიადოს მას შუბლზე, თავის იარაღს კი არ ამოიღებს." ალექსანდრე III ამ მოსაზრებებს დაეთანხმა.[50] ალიანსების სისტემა, რომელსაც 1879 წელს ბისმარკმა ჩაუყარა საძირკველი, 1890 წლის შემდეგ სწრაფად გადაიქცა ორი ბლოკისაგან შემდგარ სისტემად. მასში მეორე მხარის გაჩენამ კი გარდაუვალი გახადა ის,

---

[49] ტერმინ „ძალთა ბალანსის" განსხვავებული მნიშვნელობებისათვის იხილეთ: Haas, "The Balance of Power: Prescription. Concept, or Propaganda?" *World Politics,* V (1953), 442-77.

[50] ციტატა მოყვანილია ნაშრომიდან: Vagts, *Defense and Diplomacy,* p. 398.

რომ მობილიზაცია, დაწყების შემთხვევაში, საყოველთაო ხასიათს შეიძენდა, ხოლო საყოველთაო მობილიზაცია ომის ტოლფასი იქნებოდა.[51] აშკარაა, რომ მონაწილეთა თვალთახედვით, ყოველი პირის სტრატეგია ყველა დანარჩენისაზე იყო დამოკიდებული, რაც მესამე ხედვას ადასტურებს. ამის საპირისპიროდ კი შეიძლება ითქვას, რომ მესამე ხედვას ომის წარმოშობის ახსნა არ შეუძლია, რადგანაც ის ვერ პასუხობს, თუ, რომელიმე სახელმწიფომ, საერთოდ, რატომ უნდა დაიწყოს მობილიზაცია. ეს მართებული შენიშვნაა. პირველი მსოფლიო ომის მოახლოების გასააზრებლად მასში ჩაბმული ყველა სახელმწიფოს ძლიერი და სუსტი მხარეები, მისწრაფებები და შიშები უნდა გავითვალისწინოთ. ამ ფაქტორების ახსნის ნებისმიერი მცდელობა პირველ და მეორე ხედვებზე უნდა ამახვილებდეს ყურადღებას. როგორი ადამიანები უძღვებოდნენ სახელმწიფო პოლიტიკას? რამდენად ფართო არჩევანი ჰქონდათ მათ თავიანთი სახელმწიფოების ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური და პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე? რა საშინაო ზეწოლისა და შეზღუდვების პირობებში უწევდათ მათ მუშაობა? ეს ფაქტორები უაღრესად მნიშვნელოვანია ნებისმიერი პოლიტიკური ანალიზისათვის. ამავე დროს, მათი სავარაუდო შედეგების შეფასება შეუძლებელია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ საგარეო ზეწოლას, რომელსაც ევროპის ყველა სახელმწიფო განიცდიდა. ავსტრია და გერმანია აღმოსავლეთისაკენ იყურებოდნენ და ხედავდნენ რუსეთის ეკონომიკას, რომელიც ჯერ კიდევ ჩამორჩენილი იყო, მაგრამ მრავალ სექტორში სწრაფად წინსვლას ახერხებდა, მოსახლეობას, რომელიც მათ მოსახლეობასთან შედარებით თითქმის ორჯერ სწრაფად იზრდებოდა, მეფეს, რომლის ძალაუფლებაც მტკიცე არ იყო და რომელიც, შესაბამისად, მოსალოდნელი კრიზისის დროს მუდამ ზომიერი პოლიტიკის ერთგული ვერ იქნებოდა. საფრანგეთიც აღმოსავლეთისაკენ იყურებოდა და ხედავდა მილიტარისტულ ქვეყანას, იმპულსურ კაიზერს, აგრეთვე, მოსახლეობასა და ეკონომიკას, რომლებიც უკვე დიდი ხანია მის

---

[51] შედარებისათვის იხილეთ, მაგალითად, ფონ მოლტკეს მიერ სამომავლო შესაძლებლობების შეფასება, მოყვანილი კონრად ფონ ჰოცენდორფთან მისი 1891 წლის იანვარის მიმოწერიდან და ლოიდ ჯორჯის ფრაზა მისი *ომის მემუარებიდან*: „1914 წელს, მობილიზაციამ ხელი შეუწყო ომს - ის ომს ნიშნავდა.“ მოყვანილია ნაშრომიდან: Vagts, *Defense and Diplomacy*, pp. 97. 399.

მოსახლეობასა და ეკონომიკას აღემატებოდა და ძალიან სწრაფად განაგრძობდა ზრდას. ინგლისიც აპყრობდა მზერას კონტინენტს და ხედავდა გერმანულ ფლოტს, რომელიც ახლომდებარე წყლებში ბრიტანეთის ბატონობის შესაივწროებლად ემზადებოდა და, ფონ ტირპიცის მეთაურობით, ჩრდილოეთ ზღვას უკვე გერმანულ ტბად განიხილავდა, გერმანულ ეკონომიკას, რომელიც ზოგიერთ სფეროში სჯობნიდა, ზოგიერთში კი კონკურენციას უწევდა ბრიტანეთის სამრეწველო და სავაჭრო ლიდერობას და გერმანულ დიპლომატიას, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ტრადიციულად ბრიტანეთის უსაფრთხოებაზე დამყარებულ ძალთა ბალანსს ევროპაში.

ალიანსების სისტემას ზოგიერთები უსაფრთხოების სისტემას უწოდებდნენ.[52] ეს ასეც იყო. მისი შექმნისაკენ მიმართული თითოეული ნაბიჯი, ორმხრივი ალიანსიდან ბრიტანეთ-რუსეთის ანტანტამდე, საჭიროა განვიხილოთ მონაწილეთა მცდელობად, თავი დაეღწიათ საფრთხის შეგრძნებისათვის. ევროპის სახელმწიფოები ერთიანდებოდნენ და იცვლიდნენ მოკავშირეებს (იტალია ამ მხრივ ყველაზე უფრო აქტიური იყო), ვიდრე ერთმანეთის პირისპირ არ აღმოჩნდნენ და მათმა გამმიჯნავმა ხაზებმა კრიზისის ყოველი გამოვლინების კვალდაკვალ შემჭიდროვება დაიწყო.

ეს იყო უსაფრთხოების სისტემა, მაგრამ მხოლოდ მანამ, სანამ რომელიმე წევრი მერყეობას არ დაიწყებდა. ევროპული ძალის პოლიტიკის თამაში დაახლოებით ორ მონაწილიან, ნულოვანჯამიან თამაშს დაემსგავსა. ნებისმიერი ცალკეული სახელმწიფოს მოგება მისი მოკავშირეებისთვისაც მოგებას წარმოადგენდა, მეორე მხარისათვის კი - წაგებას. ასეთ პირობებში ერთ ქმედებას ორმაგი შედეგი მოჰქონდა და ვინაიდან ორ მხარეს შორის მიახლოებითი წონასწორობა იყო შექმნილი, არცერთ მხარეს არ შეეძლო, დაეშვა მეორე მხარის წარმატება, რომელიც მისთვის დანაკარგი იქნებოდა. რწმენამ, რომ მობილიზაცია ომს ნიშნავდა,

[52] მაგალითად, მიაქციეთ ყურადღება, 1890 წლის მაისში ერთ-ერთი რუსი დიდი თავადის მიერ პრემიერ-მინისტრ ფრეისინესათვის მიცემულ პირობას: თუ ამ საკითხზე რაიმე ზეგავლენა მექნება, „ჩვენი ორი არმია ომის დროს ერთად შეიკვრება. ეს ფაქტი, როგორც კი მის შესახებ შეიტყობენ, თავიდან აგვაცილებს ომს, რადგანაც ვერავინ გაბედავს, ერთდროულად საფრანგეთსა და რუსეთს დაუპირისპირდეს.“ იხილეთ: *Ibid., p. 105.*

შესაძლოა, მართლაც შეუწყო ხელი ამგვარ შედეგს, მაგრამ არსებობდა სხვა ფაქტორებიც, მათ შორის სრული წონასწორობის მიღწევის შესაძლებლობა, რის გამოც მანევრირების სივრცე იმაზე მეტად შეიწროვდა, ვიდრე ეს ბევრს ეგონა. 1914 წლის ივნისში სერბიის, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო საკითხი არა მხოლოდ პრესტიჟის საქმე იყო, არამედ ორივე მხარის უსაფრთხოებას უკავშირდებოდა. ვინაიდან რუსეთი ვერ დაუშვებდა, რომ ავსტრიას სერბიის პრობლემა თავისთვის სასარგებლოდ გადაეწყვიტა, მან რეაგირება მოახდინა. ვინაიდან გერმანია ვერ დაუშვებდა, რომ ავსტრიას უკან დაეხია, მანაც რეაგირება არჩია და ასე შეიკრა მანკიერი და ტრაგიკული წრე. ბევრი მას უაზრო წრედაც მოიხსენიებდა. თუმცა, აქ შეიძლება გავიხსენოთ ჰეგელის პარაფრაზი VI თავიდან - „განცალკევებულ ერთეულებს შორის უსიამოვნებები შემთხვევითი კი არა, გარდაუვალია." რადგან ნაკლოვანი სახელმწიფოები ანარქიის პირობებში არსებობენ, კრიზისები აუცილებლად წარმოიშვება - მესამე ხედვაში ეს ფაქტი უფრო მეტად ნაგულისხმევია, ვიდრე ახსნილი. ამგვარ საწყის დებულებაზე დაყრდნობით, შესაძლებელია, თითქმის აბსტრაქტულად აღიწეროს ის გათვლები, რომელთა განხორციელებაც, უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, თითოეული სახელმწიფოსათვის აუცილებელი ლოგიკური მინიმუმია. ზემოხსენებული და აგრეთვე, ოდნავ განსხვავებულად მომდევნო მაგალითიც ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად ძნელია საერთაშორისო პოლიტიკის ნულოვანჯამიან თამაშად გადაქცევის აღკვეთა.

სულელები საკუთარი გამოცდილებიდან სწავლობენ, - თქვა ერთხელ ბისმარკმა, - ბრძენი ადამიანები კი - სხვათა გამოცდილებიდან. 1930-იანი წლების მიწურულს ნევილ ჩემბერლენი ისე იქცეოდა, თითქოს ბისმარკის აფორიზმი გულთან ახლოს მიტანილი ჰქონდა. ალიანსების პირველ მსოფლიო ომამდელ სისტემაში ევროპის სახელმწიფოები უსაფრთხოების წამიერ განცდას თითქოს ახლო მომავალში ომის გარდაუვალობის ფასად დაეუფლნენ. ჩემბერლენის აზრით, ინგლისს წინა თაობის მიერ დაშვებული შეცდომებიდან სასარგებლო დასკვნები უნდა გამოეტანა. ბრიტანეთის გარანტირებული მხარდაჭერის გარეშე, საფრანგეთი და რუსეთი ცენტრალურ სახელმწიფოებთან დაპირისპირებას ვერ გაბედავდნენ, ხოლო ეს უკანასკნელნი, საფრთხის არარსებობისას უფრო ჯენტლმენურად მოიქცეოდნენ. ასეთ შემთხვევაში, ბრიტანეთი

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მცირე ტერიტორიის დასაუფლებლად გაჩაღებულ მსოფლიო ომში ჩართული აღარ აღმოჩნდებოდა. ჩემბერლენის ცნობილი დაშოშმინების პოლიტიკა, დავების მშვიდობიანად მოგვარების მიზნით დათმობებისათვის მზადყოფნა, ერთდროულად ალიანსების საჭიროებასაც და ომის სავარაუდო მიზეზებსაც მოსპობდა. ამრიგად, 1938 წლის მარტში, ჩეხოსლოვაკიის კრიზისის გაღრმავებისას, ჩემბერლენმა უარყო საბჭოთა კავშირის წინადადება, სახელმწიფოთა შეზღუდული რაოდენობის მონაწილეობით კონფერენციის გამართვის შესახებ და აღნიშნა, რომ ეს ღონისძიება ითვალისწინებდა „არა იმდენად კონსულტაციას საკითხის მოსაგვარებლად, რამდენადაც მოქმედებათა შეთანხმებას ისეთი შესაძლო ვითარებისათვის, რომელიც ჯერ არ იყო შექმნილი.“ მან ისიც დასძინა, რომ „საბჭოთა ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული მოქმედების არაპირდაპირი, მაგრამ გარდაუვალი შედეგი იქნებოდა სახელმწიფოების ექსკლუზიურ დაჯგუფებათა შექმნის ტენდენციის გაძლიერება, რაც, მისი უდიდებულესობის მთავრობის შეხედულებით, ევროპაში მშვიდობის პერსპექტივებს ზიანს მიაყენებდა.“[53] ჩემბერლენი, რომელსაც ახსოვდა 1914 წლის ევროპა, ცდილობდა, არ მიეცა გერმანიისათვის იმის ფიქრის საბაბი, რომ მას ალყაში მოაქცევდნენ, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დროს შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების მოსურნეს გამორჩა, რომ დაშოშმინებამ, შესაძლოა, იმ სახელმწიფოს შედარებით გაძლიერებას შეუწყოს ხელი, რომელსაც განსაკუთრებულად ეპყრობიან და თუ ამ უკანასკნელის მიზნები მკაცრად შეზღუდული არაა, მისი ძლიერება მომავალში დამშოშმინებლის წინააღმდეგ შეიძლება შემოტრიალდეს.

ძალთა ბალანსის პოლიტიკა სარისკოა, მაგრამ კიდევ უფრო სახიფათოა მისი უგულებელყოფის მცდელობა. აქ შეიძლება კლაუზევიცის გაფრთხილება მოვიშველიოთ.

თუ სისხლიანი ხოცვა-ჟლეტა საშინელი სანახავია, მაშინ ომს უფრო მეტი პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ და არ უნდა დავუშვათ, რომ ჩვენი მახვილი, ჰუმანური გრძნობების გამო, თანდათანობით დაბლაგვდეს, ვიდრე კიდევ არ გამოჩნდება ვინმე ბასრი მახვილით და მკლავებს მოგვკვეთს.[54]

---

[53] Chamberlain. *In Search of Peace*, pp. 85-86

[54] Clausewitz, *On War*, tr. Jolles, p. 210.

საქმე მხოლოდ იმაში როდია, რომ ზედმეტად მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო შეიძლება გაქრეს, არამედ იმაშიც, რომ ერთი სახელმწიფოს მოდუნებამ მას აგრესიული ომი შეიძლება დაატეხოს თავს, რომელსაც მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო, აგრესიული პოზიციის დაკავებით, თავიდან აიცილებდა. ეს გაკვეთილი, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მეორე მსოფლიო ომში მიიღო, ამჟამად სახელმწიფო დეპარტამენტის დოქტრინის ოფიციალური შემადგენელი ნაწილია. „მშვიდობისათვის," - თქვა სახელმწიფო მდივანმა ჯონ ფოსტერ დალესმა, - „საჭიროა, განვჭვრიტოთ, თუ რა აცდუნებს აგრესორს და წინასწარ ვამცნოთ მას, რომ თავშეუკავებლად მოქმედების შემთხვევაში მძიმე, ან სულაც, წამგებიანი, ბრძოლა ელის."[55]

თუმცა, როგორც ჩემბერლენმა, ინგლისისათვის სამწუხაროდ, აღმოაჩინა, მესამე ხედვა იმ გაფრთხილებასაც გულისხმობს, რომ ნებისმიერი გაკვეთილი არასწორად შეიძლება იქნეს გამოყენებული. როგორც გენერლები ადგენენ გეგმებს, რომლებითაც წინა ომში გამარჯვების მოპოვება შეიძლებოდა, ისე სახელმწიფო მოღვაწეებიც ცდილობენ, თავიდან აიცილონ ომის დაწყება. 1946 წლის 5 მარტს ჩერჩილმა განაცხადა, რომ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც უსაფრთხოებისწრაფიან, ძალთა ბალანსის სისტემის ფარგლებში მოქმედება აღარ კმარა.[56] მათი მიზანი უპირატესობის მოპოვება უნდა იყოს და არა წონასწორობა. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ძალთა ბალანსი ან იმის გამო წარმოიქმნება, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობას მისი დამყარება სურს ან იმიტომ, რომ ზოგიერთი სახელმწიფო სხვების მიერ უპირატესობის ხელში ჩაგდების მცდელობაზე ახდენს რეაგირებას. როდესაც ძალთა ბალანსი არსებობს, მშვიდობისა და უსაფრთხოების მოსურნე სახელმწიფო არც ზედმეტად ძლიერი უნდა გახდეს და არც ზედმეტად სუსტი. წინა აბზაცში მოყვანილ მოსაზრებას საჭიროა, დავამატოთ, რომ ერთი სახელმწიფოს გარეგნულმა აგრესიულობამ პრევენტიული ომი შეიძლება გამოიწვიოს, რომლის თავიდან აცილებაც მოხერხდებოდა,

---

[55] დალესის მიმართვა ამერიკული ლეგიონის ყრილობისადმი სენტ ლუისში. New York *Times*, September 3, 1953, p. 4.

[56] ჩერჩილის მიერ წარმოთქმული სიტყვა ფულტონში, მისურის შტატი. მოყვანილია ნაშრომიდან: Morgenthau and Thompson, *Principles and Problems of International Politics*, p. 416.

თუ ის უფრო მშვიდობიან პოზიციას აირჩევდა. საერთაშორისო პოლიტიკაში არ არსებობს მარტივი კანონი, რომელიც დაადგენს, თუ რამდენად ომისმოსურნედ ან მშვიდობიანად წარმოჩენას უნდა ცდილობდეს ესა თუ ის სახელმწიფო იმისათვის, რომ მეზობელ სახელმწიფოებთან მშვიადობიანი თანაარსებობის ალბათობა მაქსიმალურად გაზარდოს. შეუძლებელია აბსტრაქტულად იმის თქმა, რომ მშვიდობის შესანარჩუნებლად ქვეყანა უნდა შეიარაღდეს ან განიარაღდეს, კომპრომისზე წავიდეს ან მტკიცედ დადგეს. შესაძლებელია მხოლოდ იმის თქმა, რომ ამგვარი პოლიტიკის ყველა სავარაუდო შედეგი აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს. მესამე ხედვაში ეს ნათლად ჩანს. ნებისმიერი სახელმწიფოს სამშვიდობო სტრატეგია ყველა სხვა სახელმწიფოს სამშვიდობო თუ საომარ სტრატეგიაზე უნდა იყოს დამოკიდებული. როდესაც შეჯიბრი საერთაშორისო პოლიტიკაში უფრო იძაბება და ამ პროცესის შეჩერება დამოუკიდებლად არცერთ კონკურენტს აღარ ძალუძს, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფომ უნდა გამონახოს შუალედი ზედმეტად დასუსტებასა და ზედმეტად გაძლიერებას შორის, ერთი მხრივ, ძალიან ბევრი მარცხის განცდას, რაც მის პოტენციურ მოწინააღმდეგეს გააძლიერებს, და, მეორე მხრივ, ძალიან ბევრ წარმატებას შორის, რაც ამ უკანასკნელს საჭიროზე მეტად შეაშინებს. ნაწილობრივ იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კარგად შეისწავლა დაშოშმინების პოლიტიკის ნაკლოვანებები, იზრდება იმის საშიშროება, რომ მესამე მსოფლიო ომის წინაისტორია უფრო ამ საუკუნის პირველი, და არა მეოთხე, ათწლეულის მსგავსი იქნება. არსებობს საფრთხე, რომ ერთი მხარე ყურადღებას მოადუნებს და ამით მეორე მხარეს აგრესიისაკენ უბიძგებს, მაგრამ, ვინაიდან კარგად გვახსოვს მეორე მსოფლიო ომის გამოცდილება, ეს ნაკლებად საშიშია, ვიდრე ის, რომ ერთ-ერთი მხარე, საკუთარი ძლიერების არაგონივრულად გამოყენებით, მეორეს ძალისმიერი საპასუხო ნაბიჯების გადადგმას აიძულებს. ამრიგად, დალესის ცნობილი განმათავისუფლებელი პოლიტიკის ტრაგედია მდგომარეობს არა იმაში, რომ მისი გატარება შეუძლებელია, არამედ იმაში, რომ მისი „წარმატებით“ განხორციელება მსოფლიოს ომში ჩაითრევს, რასაც ნათლად ადასტურებს თავად დალესის რეაქცია 1956 წლის შემოდგომის უნგრეთის აჯანყებაზე. ისევე, როგორც ეს სამთა კავშირისა და ანტანტის დაპირისპირების შემთხვევაში იყო,

ამჟამადაც [საერთაშორის პოლიტიკის] ვერცერთი მთავარი მოქმედი პირი თავისი პოტენციური მოწინააღმდეგის მიერ მიღწეულ დიდ წარმატებას ვერ შეეგუება.

თუ ზოგიერთისათვის ყველაფერი ეს იმდენად რთულია, რომ იმედგაცრუებას იწვევს, სხვები მიიჩნევენ, რომ სწორედ ამის წყალობით არის საერთაშორისო პოლიტიკა მომხიბვლელი „თამაში.“ ის, რომ საერთაშორისო პოლიტიკა თამაშია, ყოველგვარი ხუმრობის გარეშე, ნათლად გამოჩნდება, თუ ზემომოყვანილ კომენტარებს ფონ ნოიმანისა და მორგენშტერნის არანაკლებად უიმედო და მომხიბვლელ მათემატიკურ გათვლებს შევადარებთ. ზოგადად, მესამე ხედვა და, კონკრეტულად, ძალთა ბალანსის ანალიზი ისევე გამოსადეგია დღეს, როგორც წარსულში, მრავალი სახელმწიფოსაგან შემდგარი სისტემების არსებობისას.

თავი VIII. დასკვნა

ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში ნორმან ენჯელი გამუდმებით, ხატოვნად და დამაჯერებლად ამტკიცებდა, რომ ომი წამგებიანია. დღეს, „შიშის ბალანსის“ გაკლენით, სულ უფრო მეტი ადამიანი საუბრობს ისე, თითქოს საომარი ტექნოლოგიების განვითარების შედეგად ენჯელის მიერ ორმოცდაათი წლის წინ პოპულარიზებული არგუმენტი ჭეშმარიტი გახდა. თუმცა, ენჯელის მიერ ნაგულისხმევი მნიშვნელობით, ის ყოველთვის ჭეშმარიტებას წარმოადგენდა. ენჯელი მეცხრამეტე საუკუნის ტიპის რაციონალისტი და ინდივიდუალისტი იყო, რომელსაც გაცილებით ნაკლებად აინტერესებდა ამა თუ იმ ერის შედარებითი წარმატებები თუ დანაკარგები, ვიდრე ის უტყუარი ფაქტი, რომ ომი, უკეთეს შემთხვევაში, ადამიანებს იმ სამუშაოს სწყვეტს, რომელიც აუცილებელი საგნების წარმოებასა და ცხოვრების კომფორტის უზრუნველყოფას ემსახურება, ხოლო, უარეს შემთხვევაში, ანადგურებს იმას, რაც მათ უკვე შექმნეს. ომის შედეგად რესურსები შეიძლება გადანაწილდეს, მაგრამ სიმდიდრეს შრომა ქმნის და არა ომი. შესაძლოა, ერის ან ტომის თვალთახედვით, არა, მაგრამ კაცობრიობის თვალთახედვით, ომი არასოდეს ყოფილა „მომგებიანი.“

მიუხედავად ამისა, ომები კვლავაც ხდება. ადამიანში დაბუდებული მხეცისათვის სისხლისღვრა ნეტარება შეიძლება იყოს, მაგრამ ადამიანის გონება ამის წინააღმდეგ ჯანყდება. ომი და ომის საფრთხე სტიმულს აძლევს მშვიდობისათვის აუცილებელ პირობებზე ფიქრს. ამავე დროს, ერთი შეხედვით კრიტიკული აზროვნება, შესაძლოა. შეიცავდეს არაკრიტიკულ რეაქციებს არსებული ვითარების იმ ასპექტებზე, რომლებიც მოცემულ მომენტში ძლიერ შთამბეჭდავია. სამშვიდობო პროგრამები (იმის მიუხედავად, თუ რა განაპირობებს მათ ეფექტიანობას: მშვიდობისმყოფელი დიპლომატია, შეიარაღებული ლაშქრობა, ზნეობრივი შეგონება თუ ფსიქო-კულტურული რეადაპტაცია) ომის მიზეზების შესახებ ჩვენს შეხედულებებს ემყარება, ყოველ შემთხვევაში, ფარულად მაინც. როგორც შესავალ თავში აღვნიშნეთ, ომის მიზეზების ჩვენი შეფასება იმდენადვე განისაზღვრება ჩვენი ვარაუდებით, რამდენადაც მოვლენებით ჩვენს გარშემო. ამიტომაც, ომის ნავარაუდევი მიზეზების სისტემური კვლევა მშვიდობისათვის აუცილებელი პირობების დადგენის პირდაპირი

გზაა. ჩვენი უმთავრესი მიზანი იყო არა ისეთი მოდელების აგება, რომელთა მეშვეობითაც მშვიდობის ხელშემწყობი პოლიტიკის შეჯუ-შავებაა შესაძლებელი, არამედ იმ წანამძღვრების განხილვა, რომლებსაც ამგვარი მოდელები ეფუძნება. ეს პრობლემას უფრო აკადემიურ ხასიათს სძენს. მისი მნიშვნელობა გაცილებით უფრო ფართოა, რადგანაც სა-ხელმწიფო მოღვაწეთა პოლიტიკა, ისევე როგორც მეცნიერთა ინტე-რესები და საქმიანობა, განწყობის, გამოცდილების, გონიერებისა და მოვლენების ურთიერთქმედების პროდუქტია. პოლიტიკის პრაქტიკაზე დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკოსთა შეხედულებები.

როდესაც რანკე ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოთა საგარეო ურთი-ერთობები მათ საშინაო მდგომარეობას განსაზღვრავს, მისი არგუმენტი საკმაოდ დამაჯერებელი იყო. მეცხრამეტე საუკუნის ევროპაში დიპ-ლომატიის მნიშვნელობა და მის წესებზე აღზრდილი სახელმწიფო მოღვაწეების რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ ხშირად საშინაო მმართველობაც კი იმავე მეთოდებით ხორციელდებოდა, რაც სახელ-მწიფოთა შორის ურთიერთობები. საკმარისია, თუნდაც, მეტერნიხისა და ბისმარკის გახსენება. ამგვარ პირობებში დიპლომატია, როგორც ეს არაერთგზის ყოფილა, ჭადრაკის თამაშს ემსგავსებოდა. ამის უკა-ნასკნელი მნიშვნელოვანი მაგალითია, ალბათ, ბისმარკის მიერ 1885-87 წლების ბალკანეთის კრიზისის დროს წარმოებული მანიპულაციები. თუმცა, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულისათვის სახელმწიფოთა შიდ. ფაქტორები საერთაშორისო ურთიერთობებში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა. მათი მნიშვნელობის ზრდასთან ერთად კი ძლიერდებოდა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების მათი საშინაო მდგომარეობიდან გამომდინარე ახსნის ტენდენცია. რეალობა მეტერნიხის პრაქტიკისა და რანკეს გამონათქვამის საპირისპიროდ იცვლებოდა, რაც ყველაზე ნათლად ინგლისელი ლიბერალების მაგალითზე გამოჩნდა. იყო მცდე-ლობები, საშინაო მმართველობის სავარაუდო მეთოდები და სანქციები - დავების სასამართლოში მოგვარება, საზოგადოებრივი აზრი - სახელ-მწიფოთა შორის ურთიერთობებში დანერგილიყო.

ხედვათა მოდურობა სხვადასხვა დროში და სხვადასხვა ადგილას განსხვავებულია, მაგრამ მხოლოდ ერთი რომელიმე ხედვა არასოდესაა ადეკვატური. მაგალითად, ბისმარკის სკეპტიკური დამოკიდებულება რუსეთთან შესაძლო ალიანსის მიმართ, ნაწილობრივ ამ ქვეყნის შიდა

არასტაბილურობის შიშით იყო გამოწვეული. მან, ვინც ჭადრაკს თამაშობს, უნდა გაითვალისწინოს სხვადასხვა ფიგურის წონაც და მათი შესაძლო სვლებიც, საერთაშორისო პოლიტიკაში კი ფიგურების წონა, დროთა განმავლობაში, იცვლება. ამგვარად, ჯონ სტიუარტ მილი, 1859 წლის ივნისში, ერთ იტალიელ კორესპონდენტთან გაგზავნილ წერილში, გამოხატავდა ინგლისის თანაგრძნობას იტალიის გათავისუფლების საქმისადმი, მაგრამ ამართლებდა ინგლისის უმოქმედობას და აღნიშნავდა, რომ ავსტრია ინგლისის ერთადერთი შესაძლო მოკავშირე იქნებოდა, თუ მას საკუთარი თავისუფლების დაცვა მოუწევდა რუსეთისა და საფრანგეთის ერთობლივი თავდასხმისაგან.[1] მილის მოსაზრებები და ბისმარკის პოლიტიკა ადეკვატურად შეიძლება დავახასიათოთ მეორე და მესამე ხედვების გამოყენებით, მაგრამ თითოეული მათგანის გათვლები ერთზე მეტი ხედვის ელემენტებს შეიცავდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი სახელმწიფო პოლიტიკის შესაძლო ვარიატებს განიხილავდნენ. ეს ზოგადი კანონზომიერებაა. თუმცა, ერთი ხედვის მიმართ პიროვნების მტკიცე ერთგულება მის მიერ სხვა ხედვების ინტერპრეტირებაზე გავლენას ახდენს. ბისმარკს მილზე უფრო მეტად აინტერესებდა ევროპის რუკა ანუ ჭადრაკის დაფა. მილი კი ბისმარკზე მეტად აკვირდებოდა ხალხებისა და მათი მთავრობების თვისებებს ანუ ჭადრაკის ფიგურებს.

მეტერნიხისა და ბისმარკისაგან განსხვავებით, რომლებიც როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში დიპლომატები იყვნენ, მეოცე საუკუნის სახელმწიფო მოღვაწეები უფრო ხშირად სარგებლობენ პარტიული პოლიტიკოსის მეთოდებით საგარეო პოლიტიკაში. ადრე მოყვანილი მაგალითი რომ გავიხსენოთ, ვუდრო უილსონი ნათლად ამჩნევდა მესამე ხედვის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს, რომ ყველას პოლიტიკა ყველა დანარჩენისაზეა დამოკიდებული. მას ესმოდა, რომ მსოფლიოში ამდენი ავტორიტარული სახელმწიფოს არსებობის პირობებში, ზოგჯერ არაავტორიტარული სახელმწიფოც კი მზად უნდა იყოს, საკუთარი ინტერესების დასაცავად ძალა გამოიყენოს. თუმცა, ვინაიდან სჯეროდა, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები მშვიდობისმოყვარენი არიან იმდენად, რამდენადაც მათი მთავრობები ხალხის

[1] J. S. Mill, *Letters*, ed. Elliot, I, 222.

მისწრაფებებს გამოხატავენ, იგი ვარაუდობდა ისეთი დღის დადგომას, როდესაც ყველა სახელმწიფოს საშინაო მდგომარეობა ომის მუდმივი შესაძლებლობის მიზეზი კი არა, მარადიული მშვიდობის გარანტია იქნებოდა. მეორე ხედვაზე ყურადღების გამახვილების შედეგად, უილსონი პირველ და მესამე ხედვებს გარკვეული ინტერპრეტაციით აღიქვამდა, თუმცა, სრულად არ უგულებელყოფდა მათ.

მესამე ხედვის თანახმად, მსოფლიოში, სადაც ორი ან მეტი სახელმწიფოა, რომლებიც გარკვეული ინტერესების დაცვას ცდილობენ და არ არსებობს ზემდგომი ორგანო, რომელსაც ისინი საკუთარი თავის დაცვას მიანდობენ, ომი ყოველთვის შესაძლებელია, მაგრამ მრავალი ლიბერალი და რევიზიონისტი სოციალისტი უარყოფს ან მინიმალურად წარმოაჩენს იმის შესაძლებლობას, რომ ომები პოლიტიკურად ან სოციალურად დემოკრატიული სახელმწიფოებისაგან შემდგარ მსოფლიოში მოხდება. მესამე ხედვის გააზრების შედეგად ირკვევა, რომ ამგვარი მოლოდინი მართებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოთა მინიმალური ინტერესი - თვითგადარჩენა, ყველა მათგანის მაქსიმალურ ინტერესად გადაიქცევა და თითოეული სახელმწიფო სავსებით დარწმუნდება იმაში, რომ ყველა დანარჩენი ამ განსაზღვრებას მტკიცედ დაიცავს. ასეთი პირობის დადგენა ცხადყოფს, რომ ლიბერალებისა და სოციალისტების მოლოდინი უტოპიურია. კრიტიკა, აგრეთვე, შეიძლება განვავრცოთ, თუ პირველი ხედვის მათ ინტერპრეტაციებს ეჭვის თვალით შევხედავთ. უკვე საკმარისად ნათელია, რომ ერთ ხედვაზე ყურადღების გამახვილება ხშირად ამახინჯებს დანარჩენი ორის აღქმას, თუმცა, სრულად მათ არ გამორიცხავს. შესაძლოა, უფრო სასარგებლო იყოს, ყურადღება მივაპყროთ მსგავს შედეგებს, რომლებიც მესამე ხედვაზე კონცენტრირებას მოჰყვება.

თუ სოციოლოგის თვალთახედვით, ხელისუფლება მხოლოდ ერთ-ერთია მრავალ სოციალურ ინსტიტუტს შორის, ის, ამავე დროს, საზოგადოების არსებობის წინაპირობაც არის. პირველი ხედვა მეორის გარეშე შეცდომაში შეგვიყვანს, რაც, ერთი მხრივ, III თავში იყო ნაჩვენები, ხოლო, მეორე მხრივ, VI თავში. ბუნებრივი მდგომარეობა ადამიანებს შორის საშინელებაა, მაგრამ მასში დაბრუნება გამორიცხულია. ანარქია იწვევს ომს სახელმწიფოებს შორის, ხელისუფლება კი მშვიდობისათვის აუცილებელ პირობებს ქმნის. ბუნებრივი მდგომა-

რეობა, რომელიც სახელმწიფოებს შორის კვლავაც არსებობს, ხშირად შემზარავ ქცევას განაპირობებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით მას სიცოცხლის შესაძლებლობა არ მოუსპია. სპინოზას, რუსოსა და კანტის არაისტორიული ანალიზი ფარდას ხდის სამოქალაქო საზოგადოების ლოგიკას და, ამასთანავე, წარმოაჩენს, თუ რატომ არ ქმნიან ადამიანები, ცალკეული სახელმწიფოების ჩამოყალიბების შემდეგ, მსოფლიო სახელმწიფოს. და მაინც, თუკი მიზეზი, როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო სფეროში, ანარქიაა, მაშინ აშკარაა დასკვნა, რომ განკურნების საშუალება ხელისუფლება უნდა იყოს - ეს სიმართლეა იმის მიუხედავად, რომ პირველ შემთხვევაში სნეულება სასიკვდილო არ არის. თუმცა, პრობლემა პრაქტიკულ ხასიათს იღებს. საზოგადოების მთლიანობის შესანარჩუნებლად საჭირო ძალის ოდენობა განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რამდენად არაერთგვაროვანია მისი შემადგენელი ელემენტები. მსოფლიო ფედერალისტები წერენ, თითქოს არჩევანი ერთიანობასა და სიკვდილს შორის უნდა გავაკეთოთ. „მსოფლიო მთავრობა აუცილებელია და ამდენად, შესაძლებელიც," - აცხადებს რობერტ მეინარდ ჰატჩინსი,[2] მაგრამ ინსტიტუტის აუცილებლობის დადასტურება საკმარისი არ არის მის შესაქმნელად. თუ მსოფლიო მთავრობის დაარსებას შევეცდებით, შესაძლოა, გაერთიანების მცდელობას შევეწიროთ, ან გავერთიანდეთ და ისე ვიცხოვროთ, რომ სიკვდილი აჯობებდა.

მესამე ხედვა, ისევე, როგორც პირველი ორი, საბოლოოდ, უტოპიურ რეკომენდაციას იძლევა. თითოეულ ხედვაში განსაზღვრულია ის მიზეზი, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ყველა სხვა მიზეზის გაგებას. მესამე ხედვასა და მსოფლიო მთავრობის რეკომენდაციას შორის ლოგიკური კავშირი იმდენად ძლიერია, რომ ზოგიერთები არა მხოლოდ მსოფლიო მთავრობის სარგებლიანობას ამტკიცებენ, არამედ იმასაც, რომ მისი სინამდვილედ ქცევა ადვილია.[3] რა თქმა უნდა, მართალია, რომ მსოფლიო მთავრობის არსებობის შემთხვევაში საერთაშორისო ომები შეწყდება, თუმცა, ისიც უეჭველია, რომ არაეფექტიანი მსოფლიო მთავრობის არსებობა სამოქალაქო ომებს გამოიწვევს. წინა ორ ხედვას

---

[2] Hutchins, "The Constitutional Foundations for World Order," in *Foundations for World Order*, p. 105.

[3] იხილეთ შედარებისათვის: Popper, *The Open Society and Its Enemies*, pp. 158-59, 574-79; Esslinger, *Politics and Science*, *passim*.

რომ მივუბრუნდეთ, ჭეშმარიტებაა ისიც, რომ ცალკეული სახელმწიფოების ნაკლოვანებათა გარეშე ომები არ მოხდება და, აგრეთვე, ისიც, რომ აბსოლუტურად რაციონალური ადამიანებისაგან ან სრულყოფილი ქრისტიანებისაგან შემდგარ საზოგადოებაში შეიარაღებული კონფლიქტები დავიწყებას მიეცემა. სამწუხაროდ, ეს მოსაზრებები ისევე ტრივიალურია, როგორც ჭეშმარიტი. ისინი შეუვალ ტავტოლოგიებს მოგვაგონებს: სრულყოფილი სახელმწიფოები და ადამიანები ცუდ საქციელს არ ჩაიდენენ; ეფექტიან ორგანიზაციაში მეტად მავნე დევიანტური ქცევა ნებადართული არ არის. თითქმის სრულყოფილებაა საჭირო ერთ მიზეზზე კონცენტრირებისას, რითაც ბევრი სხვამხრივ თავსატეხი ფაქტი აიხსნება: ნეტარი ავგუსტინეს პესიმიზმი, ბიჰევიორისტი მეცნიერების წარუმატებლობა, მიაგნონ მშვიდობის რეცეპტს, მრავალი ლიბერალის იმედი, რომ ისტორიის ძალები უზრუნველყოფს ისეთ შედეგს, რომელიც, სავარაუდოდ, ადამიანთა მიზანმიმართული ძალისხმევით ვერ მიიღწევა, სოციალისტების ტენდენცია, გამოავლინონ გამრყვნელი ელემენტი ყოველთვის, როცა კი სოციალისტთა ქმედებებში ჰარმონია არ შეიმჩნევა. ამას გარდა, ის გვეხმარება იმის ახსნაში, თუ რატომ ენაცვლება ასე ხშირად ერთმანეთს იმედი და იმედგაცრუება იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ამ თუ რომელიმე სხვა პრობლემასთან მიმართებაში ერთ მიზეზზე ორიენტირებულ მიდგომას ირჩევენ. რწმენა, რომ სამყაროს გასაუმჯობესებლად ისეთი ფაქტორების შეცვლაა საჭირო, რომლებიც ზუსტად განსაზღვრულ სფეროში მოქმედებს, იმდეგაცრუებას იწვევს, როდესაც აშკარა ხდება, რომ ცვლილებები, თუ ისინი საერთოდ შესაძლებელია, ნელა განხორციელდება და, თანაც, არასაკმარისად ძლიერი იქნება. ყოველთვის რთულია, დაძლიო ორმაგი პრობლემა - ერთი მხრივ, მოახდინო იმის დემონსტრირება, თუ როგორ შეიძლება გატარდეს „აუცილებელი ცვლილებები," ხოლო, მეორე მხრივ, დაამტკიცო, რომ აუცილებლად მიჩნეული ცვლილებები საკმარისი იქნება დასახული მიზნის მისაღწევად.

საპირისპირო მოსაზრება, რომ ყველა მიზეზი ურთიერთდაკავშირებული შეიძლება იყოს, არგუმენტია იმ ვარაუდის წინააღმდეგ, რომ არსებობს ერთი მიზეზი, რომელიც შეიძლება იზოლირებულ იქნეს ანალიზის გზით და მოისპოს ან კონტროლს დაექვემდებაროს ბრძნულად შემუშავებული პოლიტიკის მეშვეობით. ის, ასევე, წარმოადგენს არგუ-

მენტს, ყველა მიზეზის ურთიერთკავშირის მხედველობაში მიუღებლად, ერთ ან რამდენიმე ჰიპოთეზაზე დაყრდნობის წინააღმდეგ. მხოლოდ ერთი რომელიმე ხედვიდან გამომდინარე რეკომენდაციები არასრულია, რადგანაც ისინი მიკერძოებულ ანალიზს ემყარება. თითოეული ხედვის მიკერძოებული ხასიათი წარმოშობს დაძაბულობას, რომელიც სხვა ხედვების გათვალისწინებისაკენ გვიბიძგებს. პირველი ხედვის შემთხვევაში, ხდება გადასვლა ადამიანებიდან საზოგადოებასა და სახელმწიფოებზე, რაც გამოიხატება განსხვავებაში ლოკისა და პლატონის დასკვნებს შორის. მეორე ხედვა კი ორივე ელემენტს შეიცავს. ადამიანები ქმნიან სახელმწიფოებს და სახელმწიფოები აყალიბებენ ადამიანებს; ჯაგრამ, ეს შეხედულებაც შეზღუდულია. საჭიროა მიზეზების უფრო სრული ჯაჭვის მოძიება, ვინაიდან სახელმწიფოთა ბუნებას საერთაშორისო გარემო განსაზღვრავს, ისევე, როგორც ადამიანთა ბუნებას - საშინაო და საერთაშორისო გარემო. იმ ავტორების უმრავლესობა, რომლებზეც წინა თავებში ვისაუბრეთ, მხოლოდ ერთი ხედვის ჩარჩოში მოქცეული არ არის. ის, რომ ჩვენ აქამდე ამა თუ იმ ხედვაზე ყურადღების გამახვილების შედეგებს განვიხილავდით, წინამდებარე თავების სირთულეს ხსნის, მაგრამ ამის წყალობით ამჟამად უფრო ადვილია ხედვათა ერთმანეთთან დაკავშირება ისე, რომ არცერთი მათ განი არ დამახინჯდეს.

პირველი და მეორე ხედვები მესამე ხედვასთან მიმართებაში

საბჭოთა კავშირი დღეს, შესაძლოა, მართლაც, უდიდეს საფრთხეს უქმნის მშვიდობას. ის კი სიმართლე არ არის, რომ საბჭოთა კავშირის გაქრობის შემთხვევაში დანარჩენი სახელმწიფოები ადვილად შეძლებენ მშვიდობიანად ცხოვრებას. ომები საუკუნეებს ითვლის, საბჭოთა კავშირი კი სულ რამდენიმე ათწლეულია, რაც არსებობს. თუმცა, ზოგიერთი სახელმწიფო ან სახელმწიფოს ზოგიერთი ფორმა სხვებზე უფრო მშვიდობიანია. ნუთუ მშვიდობიანი სახელმწიფოების რიცხვის ზრდა ვერ მოგვცემს იმის იმედს, რომ ფართომასშტაბიან ომებს შორის პერიოდები გახანგრძლივდება? მესამე ხედვა, რომელიც მოქმედების გარემოზე ამახვილებს ყურადღებას, ნათლად წარმოაჩენს ამგვარი

მიკერძოებული ანალიზისა და მასთან დაკავშირებული იმედის მცდარობას. ქმედება, რომელიც პიროვნების ზნეობრივი სტანდარტებით მოსაწონია, სახელმწიფოს მიერ განხორციელების შემთხვევაში ომის მიზეზი შეიძლება გახდეს, რომლის თავიდან აცილებასაც ვესწრაფით. მესამე ხედვა, თუ მას არა მსოფლიო მთავრობის თეორიად, არამედ სახელმწიფოთა სისტემის განმაპირობებელი ზეგავლენის თეორიად განვიხილავთ, მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ როდესაც საქმე მშვიდობის შენარჩუნებას ეხება, არ არსებობს ქმედება, რომელიც თავისთავად კარგია. ჰუკბალაჰაფსის დაწყნარებამ აშკარად ხელი შეუწყო ფილიპინების სახელმწიფოში მშვიდობისა და წესრიგის დამყარებას. საერთაშორისო პოლიტიკაში ნაწილობრივმა „გამოსავალმა," როგორიცაა მაგალითად ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარედ გადაქცევა, შესაძლოა, მართლაც, შეიტანოს წვლილი მსოფლიო მშვიდობის საქმეში, მაგრამ ადვილად შესაძლებელია, მორიგი დიდი ომის დაწყებაც დააჩქაროს.

მესამე ხედვა, იმ სახით, როგორითაც ის რუსოს ნაშრომებშია წარმოდგენილი, იმ გარემოს ზეგავლენის ანალიზს ეფუძნება, რომელშიც სახელმწიფოები მოქმედებენ. სახელმწიფოთა შორის ომის წარმოშობის რუსოსეული განმარტება, ზოგადი შეფასებით, საბოლოოა, ვინაიდან ჩვენ სახელმწიფოთა სისტემაში ვცხოვრობთ. ის საბოლოოა იმდენად, რამდენადაც უკავშირდება არა შემთხვევით მიზეზებს - ადამიანთა ირაციონალურობას ან სახელმწიფოთა ნაკლოვანებებს - არამედ მის თეორიას გარემოს შესახებ, რომლის ფარგლებშიც ომი *ნებისმიერმა* შემთხვევამ შეიძლება გამოიწვიოს. ის, რომ სახელმწიფო ა-ს სურს, ფლობდეს რაიმეს, რისი მოპოვებაც მხოლოდ ომის გზითაა შესაძლებელი, ომს ვერ ხსნის. ამგვარმა სურვილმა შეიძლება გამოიწვიოს ან არ გამოიწვიოს ომი. ჩემი სურვილი, მქონდეს მილიონი დოლარი ბანკის გაძარცვისაკენ არ მიბიძგებს, მაგრამ ბანკების ძარცვა უფრო ადვილი რომ იყოს, ასეთი სურვილების შედეგად ბანკებს უფრო ხშირად გაძარცვავდნენ. ეს არ ცვლის იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი ადამიანი ბანკის გაძარცვას შეეცდება, ზოგიერთი კი - არა, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მდგომარეობა კანონის დაცვის სფეროში. ინდივიდთა ქმედებების ასახსნელად, მაინც, მოტივაცია და გარემოებები უნდა განვიხილოთ. თუმცაღა, შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ყველა

სხვა პირობის უცვლელობის შემთხვევაში, სამართალდამცავი უწყებების სისუსტე დანაშაულთა რიცხვის ზრდას გამოიწვევს. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი წყობა - ინსტიტუციური შეზღუდვები და ინტერესთა შეცვლისა და შეგუების ინსტიტუციური მეთოდები. ამასთანავე, აქ შესამჩნევია განსხვავება სიტყვა „მიზეზის" გავრცელებული ინტერპრეტაციისაგან. ადამიანის მიერ ბანკის გაძარცვას განაპირობებს ისეთი მიზეზები, როგორიცაა ფულის მოხვეჭის სურვილი, საზოგადოებრივი ნორმების უპატივცემულობა და ერთგვარი გაბედულობა, მაგრამ თუ ამ მიზეზების ამოქმედებას საკმაოდ სერიოზული დაბრკოლებები უდგას წინ, ბანკის ათი შესაძლო მძარცველიდან ცხრა მშვიდობიანად იცხოვრებს და თავისი კანონიერი საქმიანობით იქნება დაკავებული. თუ, საერთოდ, შესაძლებელია, გარემოს მიზეზი ვუწოდოთ, უმჯობესია დავაკონკრეტოთ, რომ ის არის ომის დამშვები ანუ მისი ძირითადი მიზეზი.

საერთაშორისო პოლიტიკასთან მიმართებაში ზემოთქმული გულისხმობს, თუ რუსოს მოსაზრებათა შეჯამებისას გამოყენებულ ფრაზას მოვიშველიებთ, რომ ომები ხდება იმიტომ, რომ არაფერი აფერხებს ჰათ. რუსოს ანალიზი ხსნის ომების განმეორებადობის მიზეზებს და არა რომელიმე ცალკეული ომისას. იგი ამბობს, რომ ომი ნებისმიერ დროს შეიძლება დაიწყოს და იმასაც გვაუწყებს, თუ რა არის ამის მიზეზი. თუმცა, სახელმწიფოთა სისტემის სტრუქტურა არ აიძულებს სახელმწიფო ა-ს, თავს დაესხას სახელმწიფო ბ-ს. მოხდება თუ არა ეს თავდასხმა დამოკიდებულია რამდენიმე კონკრეტულ გარემოებაზე: ადგილმდებარეობაზე, სიდიდეზე, ძალაზე, ინტერესზე, ხელისუფლების ტიპზე, ისტორიასა და ტრადიციებზე. თითოეული ასეთი ფაქტორი გავლენას მოახდენს ორივე სახელმწიფოს ნაბიჯებზე. თუ ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ იომებენ, ამის მიზეზებს თითოეული მათგანი შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე განსაზღვრავს. ეს განსაკუთრებული მოსაზრებები ომის უშუალო ანუ მამოძრავებელ მიზეზებად იქცევა. ომის ეს უშუალო მიზეზები პირველ და მეორე ხედვებშია წარმოდგენილი. სახელმწიფოთა განზრახვა, თავს დაესხან ერთმანეთს ან თავი დაიცვან ერთმანეთისაგან, განპირობებულია პოლიტიკის შემუშავებით დაკავებული რამდენიმე ადამიანისა და მათზე გავლენის მქონე უამრავი ადამიანის გონებითა და/ან ენებებით. ზოგიერთ სახელმწიფოს, მისი საშინაო

მდგომარეობის წყალობით, უკეთ ეხერხება ომის წარმოება და უფრო ხშირად სურს, ეს უნარი გამოცადოს. პირველ და მეორე ხედვებში მოყვანილ ფაქტორთა ცვლილება მნიშვნელოვანია და, მართლაც, გადამწყვეტი, მშვიდობის დამყარებისა და დარღვევის თვალსაზრისით - ყოველი ომის უშუალო მიზეზები ან ინდივიდთა, ან სახელმწიფოთა ქმედებებია.

თუ ყოველ ომს წინ უსწრებს ქმედებები, რომლებსაც შეგვიძლია, ვუწოდოთ (ან შევეცადოთ, ვუწოდოთ) მიზეზები, მაშინ რატომ არის შეუძლებელი ომების აღმოფხვრა ინდივიდთა ან სახელმწიფოთა ქცევის შეცვლით? ასე მსჯელობენ ისინი, ვინც ამბობს: ომების მოსასპობად საჭიროა ადამიანების გაუმჯობესება, ან: ომების მოსასპობად საჭიროა სახელმწიფოების გაუმჯობესება, მაგრამ ამგვარ რეკომენდაციებში საერთაშორისო გარემოს მნიშვნელობა არასწორად არის წარმოდგენილი. როგორ უნდა გაუმჯობესდეს ზოგიერთი ერთეული, როდესაც სხვები კვლავ ძველებურად, ხშირად მტაცებლურადაც მოქმედებენ? ზოგიერთი ლიბერალის გამარტივებული ვარაუდი, რომ ისტორია ურყევად მიიწევს ოქროს ხანისაკენ, აზრს კარგავს, თუ საერთაშორისო გარემო ართულებს და ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის, რომ სახელმწიფოებმა სულ უფრო მეტად ზნეობრივად იმოქმედონ. პირველი და მეორე ხედვების საფუძველზე ჩვენს მიერ განხილულ რეკომენდაციებში ორი საკითხია გამოტოვებული: (1) თუ რაიმე შედეგს ორი ან მეტი მიზეზი იწვევს, ერთ-ერთი მათგანის გაქრობით შედეგი სამუდამოდ ვერ მოიპობა. თუ ომები იმიტომ ხდება, რომ ადამიანები ბოლომდე რაციონალურები არ არიან და არც სახელმწიფოები არიან სრულყოფილად მოწყობილნი, მხოლოდ სახელმწიფოების გამოსწორება შეიძლება არ იყოს საკმარისი ომების რიცხვისა და სიხშირის შესამცირებლად. ამ შემთხვევაში შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ განსაზღვრულია ერთი მიზეზი მაშინ, როდესაც მოქმედებს ორი ან მეტი მიზეზი. (2) ერთი მიზეზის აღმოფხვრის მცდელობამ, რომელიც სხვა მიზეზებს არ ითვალისწინებს, შესაძლოა, გაუმჯობესების ნაცვლად, გააუარესოს მდგომარეობა. ასე მაგალითად, რაც მეტად იხრებოდნენ დასავლეთის სახელმწიფოები მშვიდობისაკენ, მით უფრო ომის მოსურნე ხდებოდა ჰიტლერი. საერთაშორისო პოლიტიკის ზოგიერთი მონაწილის მზარდმა მიდრეკილებამ მშვიდობისაკენ, შეიძლება შემცირების ნაცვლად, გაზარდოს ომის

ალბათობა. ეს ცხადყოფს დამშვები მიზეზის, საერთაშორისო გარემოს როლს. მიზეზების მხოლოდ ორი წყარო რომ არსებობდეს - ადამიანები და სახელმწიფოები - დარწმუნებულნი ვიქნებოდით, რომ მშვიდობიანად განწყობილი მეტი სახელმწიფოს გაჩენა, სულ მცირე, ზიანს მაინც არ მიაყენებდა მსოფლიო მშვიდობის საქმეს. თუმცა, არის თუ არა შემოთავაზებული განკურნების საშუალება, მართლაც, გამოსადეგი, თუ ის იმაზე უარესია, ვიდრე საერთოდ არაფერი, დამოკიდებულია ყველა სახელმწიფოს ქმედებების არსსა და მათი განხორციელების დროზე. ეს კარგად არის ნაჩვენები მესამე ხედვაში.

ომი შეიძლება დაიწყოს იმის გამო, რომ სახელმწიფო ა ფლობს რაიმეს, რაც სახელმწიფო ბ-ს სურს. ომის მამოძრავებელი მიზეზი არის სახელმწიფო ბ-ს სურვილი. ომის დამშვები მიზეზი კი ისაა, რომ არაფერი არსებობს, რაც სახელმწიფო ბ-ს ომის რისკზე უარს ათქმევინებს. სხვა გარემოებებში, მამოძრავებელი და დამშვები მიზეზების ურთიერთკავშირი უფრო მჭიდროა. სახელმწიფო ა-ს შეიძლება ეშინოდეს, რომ ახლა თუ არ დაამარცხებს სახელმწიფო ბ-ს, ათი წლის შემდეგ ამის საშუალება აღარ ექნება. სახელმწიფო ა ხდება აგრესორი მოცემულ მომენტში, ვინაიდან ეშინია, რომ მომავალში სახელმწიფო ბ შეიძლება მოევლინოს აგრესორად. ამგვარი ომის მამოძრავებელი მიზეზი გამომდინარეობს ისეთი მიზეზისაგან, რომელსაც ომის დამშვები მიზეზი ვუწოდეთ. პირველ შემთხვევაში, კონფლიქტი კონრეტული საკითხების თაობაზე დავიდან წარმოიშვება. წყალბადის ბომბების ხანაში არცერთი ცალკეული საკითხი არ ღირს ფართომასშტაბიანი ომის დასაწყებად. დავის მოგვარება, თუნდაც არასახარბიელო პირობებით, უკეთესია, ვიდრე თვითგანადგურება. გონება თითქოს უნდა გვკარნახობდეს „ძალის გამოუყენებლობის" დოქტრინის მიღებას. ის, ვინც ასე მსჯელობს, მიჰყვება კობდენის მიერ გაკვალულ გზას, რომელიც 1849 წელს აღნიშნავდა, „რომ უკანასკნელ ას წელიწადს თვალს თუ გადავავლებთ, თითქმის შეუძლებელია ზუსტად იმის თქმა, თუ რა აზრი ჰქონდა ნებისმიერ ომს." კობდენი გულისხმობდა, რომ ინგლისელები ამ ომებში არ უნდა ჩაბმულიყვნენ.[4] იგი იმავე მახეში გაება, რაც ა. ა. მილნი, რომელმაც პირველი მსოფლიო ომი აღწერა, როგორც ომი, რომელშიც

[4] Cobden. *Speeches*, ed. Bright and Rogers, II, 165.

ათი მილიონი ადამიანი იმიტომ დაიღუპა, რომ ავსტრია-უნგრეთი წარუმატებლად ცდილობდა ერთი ერცჰერცოგის მკვლელობის გამო შურისძიებას.[5] იგი იზიარებს სერ ედვარდ გრეის ილუზიას, რომელიც ოცდაათი წლის წინ დაწერილ მემუარებში გამოთქვამდა იმედს, რომ პირველი მსოფლიო ომის საშინელებანი შესაძლებლობას მისცემს ერებს, „მიაღწიონ სრულ ურთიერთგაგებას ერთ საკითხში მაინც: შეთანხმდნენ, რომ ომი უნდა გამოირიცხოს, როგორც მათ შორის დავების მოგვარების საშუალება, რადგანაც ის ნგრევის მომტანია.“[6]

მრავალი ომის უშუალო მიზეზები, მართლაც, ტრივიალურია. თუ ყურადღებას ამ მიზეზებზე გავამახვილებთ, ძალის გარეშე დავის მოგვარებაზე შეუთანხმებლობა უმთავრეს შეცდომად მოგვეჩვენება. თუმცა, ხშირად უშუალო მიზეზები არ კმარა წარსულში მომხდარი ომების ასახსნელად. ხოლო თუ ომებს მხოლოდ ცალკეული დავები არ წარმოშობს, მაშინ ამ უკანასკნელთა რაციონალურად მოგვარებით ომები ვერ მოისპობა. როგორც უინსტონ ჩერჩილი წერდა, „მცირე მოვლენები მხოლოდ სახიფათო სენის სიმპტომებია და ამით შემოიფარგლება მათი მნიშვნელობა. მათ მიღმა ადამიანთა ძლევამოსილი მოდგმების ინტერესები, ვნებები და ხვედრი ძევს, ხოლო ხანგრძლივი ანტაგონიზმი უმნიშვნელო საკითხებში ვლინდება.“[7] მიუხედავად ამისა, ჩერჩილი სამართლიანად იმედოვნებდა, რომ „შიშის ბალანსი“ დროებით მშვიდობას განაპირობებს. ტექნოლოგიის წინსვლა ომს უფრო საშინელს ხდის და, ალბათ, მშვიდობის სურვილსაც აძლიერებს. წინსვლის სისწრაფე კი ხელს უწყობს ყველა მხარის სამხედრო გეგმების გაბუნდოვანებას და სავარაუდო მოწინააღმდეგის ძალის ზუსტად შეფასების შესაძლებლობას სპობს. უფრო რთულია შიშისა და მარადიული მშვიდობის გაიგივება. საომარი ტექნოლოგიის ყოველ მნიშვნელოვან წინსვლას თან სდევდა წინასწარმეტყველის გამოჩენა, რომელიც მზად იყო, გამოეცხადებინა, რომ ომი აღარ არის შესაძლებელი: მაგალითად, ალფრედ ნობელი და დინამიტი, ან ბენჯამინ ფრანკლინი და ჰაერზე უფრო მსუბუქი საფრენი ბუშტი. შესაძლოა, არსებობდა წინასწარ-

---

[5] Milne. *Peace with Honour*, p. 11.

[6] Grey. *Twenty-five Years*, II, 285.

[7] Churchill, *The World Crisis, 1911-1914*, I. 52.

მეტყველიც, რომელმაც შუბის გამოგონების შემდეგ ტომთა შორის ომების დასასრული გამოაცხადა ან კიდევ რომელიმე სხვა, ვინც მსგავსი რამ იწინასწარმეტყველა, როდესაც შუბის წვერს პირველად წაუსვეს შხამი. სამწუხაროდ, ყველა ეს წინასწარმეტყველი შეცდა. ატომური და წყალბადის იარაღის განვითარებამ ზოგიერთს - მშვიდობის სურვილი, სხვებს კი საომარ განწყობა შეიძლება გაულვივოს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში საგარეო პოლიტიკის შესახებ დებატების ფარული თემა პრეზენტიული ომის აუცილებლობა იყო - ჩამოაგდეთ ბომბი სწრაფად, სანამ მომავალი ომისათვის თქვენი სავარაუდო მოწინააღმდეგე საკუთარი ბომბის შექმნას მოასწრებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ორი ან მეტი სახელმწიფო შეიარაღების მსგავს სისტემებს ფლობს, შიშის ბალანსის წამიერმა ცვლილებამ, რომელიც ერთ სახელმწიფოს დროებით მიანიჭებს გადამწყვეტ სამხედრო უპირატესობას, შესაძლოა მას, შიშისაგან თავის დასახსნელად, ამ მომენტის გამოყენებისაკენ უბიძგოს. ცდუნების ძალა საკუთრივ შიშის პროპორციული იქნება. და ბოლოს, დიდი შეიარაღების საერთო შიშმა, მშვიდობის ნაცვლად, მცირე ომების ტალღა შეიძლება გამოიწვიოს.

თანამედროვე შეიარაღების შიში და მსოფლიოს ცივილიზაციების განადგურების საფრთხე საკმარისი არ არის მშვიდობისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების სამი ხედვის განხილვისას განვსაზღვრეთ. შიშს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოჰყვება მსოფლიო მშვიდობა, თუ მშვიდობის სურვილი ყველა სახელმწიფოში იარსებებს და მათ პოლიტიკაშიც თანაბრად აისახება, მაგრამ მშვიდობა არცთუ ისე ბევრი ადამიანისა და სახელმწიფოს უმთავრესი მიზანია. ის რომ თუნდაც ერთი სახელმწიფოს უმთავრესი მიზანი იყოს, ამ სახელმწიფოს ნებისმიერ დროს ექნება მშვიდობის მიღწევის შესაძლებლობა - ამისათვის მას უბრალოდ დანებება დასჭირდება. თუმცა, როგორც ჯონ ფოსტერ დალესი ხშირად გვაფრთხილებს, „მშვიდობა შეიძლება საფარველი იყოს, რომლის მიღმაც ბოროტი ადამიანები ჯოჯოხეთურ დანაშაულს სჩადიან."[8] ამა

[8] "Excerpts from Dulles Address on Peace" (Washington, April 11, 1955), in New York *Times*, April 12, 1955, p. 6.

თუ იმ დავის დროს საკითხი, შესაძლოა, სულაც არ იდგეს ასე: ვინ მოიგებს ამ დავის შედეგად? საკითხი შეიძლება შემდეგნაირად იდგეს: ვინ იბატონებს მსოფლიოში? ასეთ პირობებში, ძნელია განვსაზღვროთ საუკეთესო სამოქმედო კურსი, თუნდაც, ყველაზე გონიერი ადამიანებისათვის. შეუძლებელია ვივარაუდოთ, რომ ისინი ყოველთვის არაძალისმიერ გამოსავალს იპოვნიან. თუ ამჟამად არცერთი ხედვის მიერ შემოთავაზებული გამოსავალი არ არის განხორციელებადი, მაშინ გონებამ მხოლოდ იმ ჩარჩოში შეიძლება იმოქმედოს, რომელსაც პირველი და მეორე ხედვების მესამე ხედვის თვალსაზრისით განხილვა გვთავაზობს. ეს თვალსაზრისი მარტივად და კარგად არის წარმოდგენილი *ფედერალისტის წერილებში,* განსაკუთრებით მათ იმ ნაწილში, რომელიც ჰამილტონისა და ჯეის მიერ დაიწერა.

რა მოხდებოდა, სვამდა კითხვას ჯეი, ცამეტ შტატს, ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების ნაცვლად, რამდენიმე კონფედერაცია რომ შეექმნა? მისი პასუხი ასეთია:

ნაცვლად „სიყვარულზე დამყარებული ერთობისა" და განსხვავებულ „ინტერესებზე" ფიქრისაგან გათავისუფლებისა, შური და ეჭვი მალე გააქრობდა ნდობასა და სიყვარულს, ხოლო მათი პოლიტიკისა და მისწრაფებების მთავარი მიზნები თითოეული კონფედერაციის კერძო ინტერესები გახდებოდა და არა მთელი ამერიკის ზოგადი ინტერესები. ამრიგად, *მოსაზღვრე* სახელმწიფოთა უმეტესობის მსგავსად, ისინი დღენიადაგ ჩაბმულნი იქნებოდნენ დავასა და ომში, ან მუდმივად მათ მოლოდინში იცხოვრებდნენ.[9]

ჯეი ამბობს, რომ საერთაშორისო ომი საერთაშორისო ანარქიით აიხსნება, მაგრამ, არა მხოლოდ საერთაშორისო ანარქიით. ჰამილტონი დასძენს, რომ სახელმწიფოთა შორის მტრული მოტივების არარსებობის ვარაუდი იმის დავიწყების ტოლფასია, რომ ადამიანები „ამბიციურები, შურისმაძიებლები და ხარბები" არიან. მონარქიულმა სახელმწიფომ, შესაძლოა, იმიტომ გააჩაღოს ომი, რომ მისი მეფის პატივმოყვარეობა აიძულებს მას, დიდება სამხედრო გამარჯვებებში ეძიოს. რესპუბლიკამ კი თავისი სათათბირო ორგანოს შეცდომის ან საკუთარი სავაჭრო

---

[9] *The Federalist,* pp. 23-24 (No. 5).

ინტერესების გამო შეიძლება დაიწყოს ომი. სულაც არ არის გარდაუვალი, რომ მეფე იყოს პატივმოყვარე, სათათბირო - უგუნური, ხოლო საკანონმდებლო ინტერესები - შეუთავსებელი. თუმცა, სახელმწიფოთა შორის ომის მიზეზები იმდენად ბევრია და განსხვავებული, რომ „ხანგრძლივი ჰარმონიის მოლოდინი მეზობლად განლაგებულ, დამოუკიდებელ და ერთმანეთთან კავშირში არმყოფ სუვერენებს შორის ადამიანთა ცხოვრების უცვლელი კანონზომიერებისა და საუკუნეების მანძილზე დაგროვილი გამოცდილების უგულებელყოფაა."[10]

დასავლური სახელმწიფოთა სისტემის ისტორიაში ჯეიმ და ჰამილტონმა მოიძიეს საბუთები იმ დასკვნის დასადასტურებლად, რომ ცალკეულ სუვერენულ სახელმწიფოებს შორის ომი მუდმივად შესაძლებელია. მესამე ხედვა, იმ სახით, როგორითაც ის VI თავშია წარმოდგენილი, თეორიულ საფუძველს იძლევა იმავე დასკვნისათვის. ის ნათელყოფს, თუ რატომ იქნება ომი ყოველთვის ცალკეულ სუვერენულ სახელმწიფოთა არსებობის თანმხლები მოვლენა მაშინ, როცა პირველ და მეორე ხედვებში მოყვანილმა ფაქტორებმა ძირეული ცვლილებები არ განიცადა. მესამე ხედვის ფარგლებში წარმოებული ანალიზის აშკარა დასკვნა ის არის, რომ მსოფლიო ომისაგან განკურნების საშუალება მსოფლიო მთავრობაა. ეს საშუალება კი, მართალია, ლოგიკურად უნაკლო შეიძლება იყოს, მაგრამ პრაქტიკულად მიუწვდომელია. მესამე ხედვამ, შესაძლოა, მსოფლიო პოლიტიკისადმი უტოპიური მიდგომა წარმოშვას. მან, აგრეთვე შესაძლებელია, შემოგვთავაზოს რეალისტური მიდგომა, რომელიც თავისუფალი იქნება ზოგიერთი რეალისტისათვის დამახასიათებელი ტენდენციისაგან, მსოფლიო პოლიტიკის გარდაუვალი ამორალურობა ან უზნეობა ადამიანთა თანდაყოლილად ცუდ ბუნებას მიაწეროს. თუ ოითოეულის სტრატეგია ყველა დანარჩენისაზეა დამოკიდებული, მაშინ ჰიტლერის მსგავსი პიროვნებები ნაწილობრივ განსაზღვრავენ იმ ადამიანთა ქმედებებსა თუ, უმჯობესია ვთქვათ, რეაქციებს, რომელთა მიზნებიც ღირსეულია, ხოლო საშუალებები - დახვეწილი. რამდენად კარგიც არ უნდა იყოს მათი ზრახვები, პოლიტიკის შემოქმედებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ მესამე ხედვის ძირითადი პრინციპები, რომლებიც მოკლედ ასე შეიძლება

[10] *Ibid*, pp. 27-28 (No. 6); cf. p. 18 (No. 4. Jay). pp. 34-40 (No. 7. Hamilton).

ჩამოყალიბდეს: ყოველი სახელმწიფო იცავს საკუთარ ინტერესებს (როგორც არ უნდა განსაზღვრავდეს მათ) ისე, როგორც მას საჭიროდ მიაჩნია. ძალა სახელმწიფოთა საგარეო მიზნების მიღწევის საშუალებაა, რადგანაც არ არსებობს მდგრადი და საიმედო პროცესი ინტერესთა კონფლიქტების მოგვარებისა, რომლებიც აუცილებლად წარმოიქმნება მსგავს ერთეულებს შორის ანარქიის პირობებში. საერთაშორისო ურთიერთობების ამ ხედვაზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკა არც ზნეობრივია და არც უზნეო, ის მხოლოდ გონივრული რეაქციაა იმ სამყაროზე, რომელშიც ვცხოვრობთ. მესამე ხედვა საერთაშორისო პოლიტიკის გარემოს აღწერს, მაგრამ პირველი და მეორე ხედვების გარეშე ვერ გვეცოდინება, თუ რა ძალები განსაზღვრავს პოლიტიკას; პირველი და მეორე ხედვები მსოფლიო პოლიტიკაში მოქმედ ძალებს აღწერს, მაგრამ მესამე ხედვის გარეშე მათი მნიშვნელობის შეფასება ან მათი შედეგების წინასწარმეტყველება შეუძლებელია.

ბიბლიოგრაფია

Adams, Henry. The Education of Henry Adams. New York: The Book League of America, 1928.

Adams, Walter, and Horace M. Gray. Monopoly in America. New York: The Macmillan Co., 1955.

Almond, Gabriel A. The American People and Foreign Policy. New York: Harcourt, Brace and Co., 1950.

- "Anthropology, Political Behavior, and International Relations," *World Politics, 11* (1950), 277-84.

Angell, Norman. The Great Illusion. London: William Heinemann, 1914.

Approaches to World Peace. Fourth Symposium of the Conference on Science. Philosophy, and Religion. New York: Distributed by Harper & Brothers, 1944.

Aristotle. Politics. Translated by B. Jowett. New York: The Modern Library, 1943.

Aron, Raymond, and August Heckscher. Diversity of Worlds. New York: Reynal & Co., 1957.

Augustine, Saint. The City of God. Translated by Marcus Dotls. 2 vols. New York: Hafner Publishing Co., 1948.

Bailey, Stephen K., *et al.* Research Frontiers in Politics and Government. Washington: The Brookings Institution, 1955.

Beard, Charles A. A Foreign Policy for America. New York: Alfred A. Knopf, 1940.

- Giddy Minds and Foreign Quarrels. New York: The Macmillan Co., 1939.

Benedict, Ruth. Patterns of Culture. New York: Penguin Books, 1946.

Bentham, Jeremy. Deontology. Edited by John Bowring, 2 vols. London: Longman, Rees, Orme, Browne, Green, and Longman, 1834.

- The Works of Jeremy Bentham. Edited by John Bowring. II vols.

Edinburgh: William Tail, 1843. Vols. II, III, and IV.

Berlin, Isaiah. "Political Ideas in the Twentieth Century," *Foreign Affairs,* XXVIII (1950), 351-85.

Bernard, L. L. War and Its Causes. New York: Henry Holt and Co., 1944.

Bernstein, Eduard. Evolutionary Socialism. Translated by Edith C. Harvey. New York: B. W. Huebsch, 1909.

Blum, Léon. Les Problemes de la Paix. Paris: Librairie Stock, 1931.

Bodin, Jean. Six Books of the Commonwealth. Abridged and translated by M. J. Tooley. Oxford: Basil Blackwell, n.d.

Borberg, William. "On Active Service for Peace," *Bulletin of the World Federation for Mental Health,* II (1950), 6-9.

Bright, John. Speeches. Edited by James E. Thorold Rogers. London: Macmillan & Co., 1869.

Buehrig, Edward H. Woodrow Wilson and the Balance of Power. Bloomington: Indiana University Press, 1955.

Callis, Helmut. "The Sociology of International Relations," *American Sociological Review,* XII (1947), 323-34.

Cantril, Hadley, ed. Tensions That Cause Wars. Urbana: University of Illinois Press, 1950.

Carver, Thomas Nixon. Essays in Social Justice. Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1915.

Casserley, J. V. Langmead. Morals and Man in the Social Sciences. London: Longmans, Green and Co., 1951.

Chamberlain, Neville. In Search of Peace. New York: G. P. Putnam's Sons, 1939.

Churchill, Winston S. The World Crisis, 1911-1914. 4 vols. New York: Charles Scribner's Sons, 1923-29. Vol. I.

Clausewitz, Karl von. On War. Translated by O. J. Matthijs Jolles. Washington: Infantry Journal Press, 1950.

Cobban, Alfred. National Self-Determination. Rev. ed. Chicago: University of Chicago Press, 1948.

Cobden, Richard. Speeches on Peace, Financial Reform, Colonial Reform and Other Subjects Delivered during 1849. London: James Gilbert, n.d.

- Speeches on Questions of Public Policy. 2 vols. Edited by John. Bright and James E. Thorold Rogers. London: Macmillan fc Co., 1870.

Cole, G. D. H. A History of Socialist Thought. 3 vols. London: Macmillan & Co., 1953-56. Vol. III.

Collingwood, R. G. The New Leviathan. Oxford: Clarendon Press, 1942.

Commager, Henry Steele, ed. Documents of American History. 3d ed. New York: F. S. Crofts fc Co., 1946.

Cook, Thomas I., and Malcolm Moos. Power through Purpose: The Realism of Idealism as a Basis for Foreign Policy. Baltimore: The John Hopkins Press, 1954.

Cottrell, W. Fred. "Research to Establish the Conditions for Peace," *Journal of Social Issues,* XI (1955), 13-20.

Dedijer, Vladimir. "Albania, Soviet Pawn," *Foreign Affairs,* XXX (1951), 103-11.

Dennis, Wayne, *et al.* Current Trends in Social Psychology. Pittsburgh: University of Pittsburgh Press, 1948.

Deutsch, Karl. "The Growth of Nations: Some Recurrent Patterns of Political and Social Integration," *World Politics,* V (1953), 168-95.

Dewey, John. Reconstruction in Philosophy. New York: The New American Library, 1950.

Dickinson, G. Lowes. The European Anarchy. New York: The Macmillan Co., 1917.

Diderot, Denis. Oeuvres completes de Diderot. Edited by J. Assezat. 20 vols. Paris: Gamier Freres, 1875-77. Vol. XIV.

Dollard, John, *et al.* Frustration and Aggression. New Haven: Yale University Press, 1939.

Dostoievsky, F. M. The Diary of a Writer. Translated by Boris Brasol. 2 vols. New York: Charles Scribner's Sons, 1949.

Dunn, Frederick S. Peaceful Change. New York: Council on Foreign Relations, 1937.

- War and the Minds of Men. New York: Council on Foreign Relations, 1950.

Durbin, E. F. M., and John Bowlby. Personal Aggressiveness and War. New York: Columbia University Press, 1939.

Durkheim, Emile. The Rules of Sociological Method. Translation of 8th edition by Sarah Solovay and John Mueller. Glencoe, Ill.: The Free Press, 1938.

Dymond, Jonathan. An Inquiry into the Accordancy of War with the Principles of Christianity, and an Examination of the Philosophical Reasoning by Which It Is Defended. 3d ed. Philadelphia, 1834.

Engels, Friedrich. Herr Eugen Dühring's Revolution in Science (Anti-Duhring). Translated by Emile Burns. New York: International Publishers, 1939.

- The Origin of the Family, Private Property and the State. New York: International Publishers, 1942.

- *See also* Marx, Karl.

Esslinger, William. Politics and Science. New York: The Philosophical Library, 1955.

Flynn, John T. The Roosevelt Myth. New York: The Devin-Adair Co., 1948.

For Socialism and Peace. London: Transport House, 1934.

Foundations for World Order. Denver: University of Denver Press 1949.

Frank, Lawrence. Society as the Patient. New Brunswick: Rutgers University Press, 1949.

Freud, Sigmund. Civilization, War and Death. Edited by John Rickman. London: The Hogarth Press and the Institute of Psychoanalysis, 1953.

Friedrich, Carl J. Inevitable Peace. Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1948.

Galilei, Galileo. Dialogues concerning Two New Sciences. Translated by Henry Crew and Alfonso de Salvio. New York: The Macmillan Co., 1914.

Godwin, William. Enquiry concerning Political Justice. 3d ed., 2 vols. London, 1798.

Goldhamer, Herbert. "The Psychological Analysis of War," *Sociological Review* (London), XXVI (1934), 249-67.

Green, Thomas Hill. Lectures on the Principles of Political Obligation. London: Longmans, Green and Co., n.d.

Gregg, Richard B. The Power of Non-Violence. Philadelphia: J. B. Lippincott Co., 1934.

Grey, Edward. Twenty-five Years. 2 vols. New York: Frederick A. Stokes Co., 1925.

Haas, Ernest B. "The Balance of Power: Prescription, Concept, or Propaganda?" *World Politics,* V (1953), 442-77.

Hamilton, Alexander. The Works of Alexander Hamilton. Edited by Henry Cabot Lodge. 12 vols. New York: G. P. Putnam's Sons, 1904. Vol. V.

Hamilton, Alexander, John Jay, and James Madison. The Federalist. New York: The Modern Library, 1941.

Hayes, C. J. H. Essays on Nationalism. New York: The Macmillan Co., 1928.

- The Historical Evolution of Modern Nationalism. New York: The Macmillan Co., 1950.

Hegel, G. W. F. Philosophy of Right. Translated by T. M. Knox. Oxford: Clarendon Press, 1942.

Helvétius, Claude Adrien. A Treatise on Man: His Intellectual Faculties and His Education. Translated by W. Hooper. 2 vols. London, 3810. Vol. II.

Henderson, Arthur. The Aims of Labour. London: Headley Bros., 1918.

Herodotus. The History of Herodotus. Translated by George Rawlinson. 2 vols. Everyman's Library Edition. London: J. M. Dent & Sons, Ltd., 1949.

Herz, John. Political Realism and Political Idealism. Chicago: University of Chicago Press, 1951.

Herzfeld, Hans. "Bismarck und die Skobelewepisode," *Historische Zeitschrift,* CXLII (1930), 279-302.

Hirst, Margaret E. The Quakers in Peace and War. London: The Swarthmore Press, 1923.

Hobson, John. The Crisis of Liberalism. London: P. S. King &: Son, 1909.

- Democracy after the War. London: George Allen & Unwin, 1917.

- Imperialism. 3d ed. London: George Allen & Unwin, 1938.

- The New Protectionism. London: T. Fisher Unwin, 1916.

- Notes on Law and Order. London: The Hogarth Press, 1926.

- Problems of a New World. London: George Allen & Unwin, 1921.

- The Recording Angel. London: George Allen & Unwin, 1921.

- Richard Cobden, the International Man. London: T. Fisher Unwin, 1919.

- Towards International Government. London: George Allen & Unwin, 1915.

- The War in South Africa. New York: The Macmillan Co., 1900.

Homo, Leon. Roman Political Institutions. Translated by M. R. Dobie. London: Kegan Paul, Trench, Trubner & Co., 1929.

Hume, David. Essays Moral, Political, and Literary. Edited by T. H. Green and T. H. Grose. 2 vols. London: Longmans, Green and Co., 1875. Vol. I.

Humphrey, A. W. International Socialism and the War. London: F. S. King & Co., 1915.

Hutchison, T. W. A Review of Economic Doctrines, 1870-1929. Oxford: Clarendon Press, 1953.

Hutt, W. H. "Pressure Groups and *Laissez-Faire,*" *South African Journal of Economics,* VI (1938), 1-23.

Inge, William R. Lay Thoughts of a Dean. New York: Garden City Publishing Co., 1926.

James, William. Memories and Studies. New York: Longmans, Green and Co., 1912.

Joll. James. The Second International. London: Weidenfeld and Nicolson, 1955.

Kant, Immanuel. Critique of Practical Reason and Other Works on the Theory of Ethics. Translated by T. K. Abbott. London: Longmans, Green and Co., 1909.

- Eternal Peace and Other International Essays. Translated by W. Hastie. Boston: The World Peace Foundation, 1914.

- The Philosophy of Law. Translated by W. Hastie. Edinburgh: T. Sc T. Clark, 1887.

Kaplan, Morton A. System and Process in International Politics. New York: John Wiley & Sons, 1957.

Kautsky, Karl. "Der Imperiaiismus," *Die Neue Zeit,* 32d Year, II (1914), 908-22.

- "Die Imernationalität und der Krieg," *Die Neue Zeit,* 33d Year, I (1914), 225-50.

- "Die Sozialdemocratie im Kriege," *Die Neue Zeit,* 33d Year, I (1914), 1-8.

Kegley, Charles W., and Robert W. Bretail, eds. Reinhold Niebuhr, His Religious, Social, and Political Thought. New York: The Macmillan Co., 1956.

Kelsen, Hans. General Theory of Law and State. Translated by Anders Wedberg. Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1946.

Kennan, George F. Realities of American Foreign Policy. Princeton: Princeton University Press, 1954.

Keynes, John Maynard. "National Self-Sufficiency," *Yale Review,* XXII (1933), 755-69.

Kirk, Grayson. "In Search of the National Interest," *World Politics, V* (1952), 110-15.

Kisker, George, ed. World Tension. New York: Prentice-Hall, 1951.

Klineberg, Otto. Tensions Affecting International Understanding. New York: Social Science Research Council, 1950.

Kluckhohn, Clyde. Mirror for Man. New York: McGraw-Hill Book Co., 1949.

Kohn, Hans. The Idea of Nationalism. New York: The Macmillan Co., 1944.

La Bruyère, Jean de. Oeuvres complètes. Edited by Julien Benda. (Bibliothèque de la Pléiade, Vol. 23.) Paris: Librairie Gallimard, 1951.

La Chesnais, P. G. Le Groupe Socialiste du Reichstag et la Déclaration de Guerre. Paris: Librairie Armand Colin, 1915.

Lair, Maurice. Jaures et l'Allemagne. Paris: Librairie Académique Perrin 1935.

Lasswell, Harold. Psychopathology and Politics. Chicago: University of Chicago Press, 1930.

- World Politics and Personal Insecurity. New York: McGraw-Hill Book Co., 1935.

Leighton, Alexander H. "Dynamic Forces in International Relations," *Mental Hygiene,* XXXIII (1949), 17-24.

- Human Relations in a Changing World. New York: E. P. Dutton & Co., 1949.

Leiserson, Avery. "Problems of Methodology in Political Research," *Political Science Quarterly,* LXVII (1953), 558-84.

Lenin, Vladimir Ilyich. The Collapse of the Second International. Translated by A. Sirnis. Glasgow: The Socialist Labour Press, n.d.

- Imperialism. New York: International Publishers, 1939.

- "Left-Wing" Communism: An Infantile Disorder. New York: International Publishers, 1934.

- What Is to Be Done? New York: International Publishers, 1929.

Lerner, Daniel, and Harold Lasswell, eds. The Policy Sciences. Stanford: Stanford University Press, 1951.

Levinson, Salmon. Outlawry of War. Chicago: American Committee for the Outlawry of War, 1921.

Lewin, Kurt. Resolving Social Conflicts. New York: Harper & Brothers, 1948.

Liebknecht, Karl, Rosa Luxemburg, and Franz Mehring. The Crisis in the Social-Democracy. New York: The Co-operative Press, n.d.

Link, Arthur S. Woodrow Wilson and the Progressive Era, 1910-1917. New York: Harper 8c Brothers, 1954.

Linton, Ralph, ed. The Science of Man in the World Crisis. New York: Columbia University Press, 1945.

Liu Shao-chi. Internationalism and Nationalism. Peking: Foreign Language Press, n.d.

MacCurdy, J. T. The Psychology of War. Boston: John W. Luce and Co., n.d.

MacDonald, J. Ramsay. Labour and the Empire. London: George Allen, 1907.

McDonald, John. Strategy in Poker, Business and War. New York: W. W. Norton & Co., 1950.

Machiavelli, Niccolo. The Prince and The Discourses. Translated by Luigi Ricci and Christian E. Detmold. New York: The Modern Library, n.d.

McKinsey, J. C. C. Introduction to the Theory of Games. New York: McGraw-Hill Book Co., 1952.

Macridis, Roy. "Stalinism and the Meaning of Titoism," *World Politics*, IV (1952), 219-38.

Madariaga, Salvador de. Disarmarnent. New York: Coward-McCann, 1929.

Malthus, Thomas. An Essay on the Principle of Population. Parallel Chapters from the First and Second Editions. New York: Macmillan & Co., 1895.

Mandeville, Bernard. The Fable of the Bees. London, 1806. Mao Tse-tung. Strategic Problems of China's Revolutionary War. Bombay: People's Publishing House, 1951.

Martin, Kingsley. The Rise of French Liberal Thought. Boston: Little, Brown and Co., 1929.

Martineau, Harriet. Illustrations of Political Economy. 9 vols. London: Charles Fox, 1834. Vol. III.

Marx, Karl. Capital. Translated by Samuel Moore and Edward Aveling. 3 vols. Chicago: Charles H. Kerr & Co., 1909-10. Vol. I.

Marx, Karl, and Friedrich Engels. Communist Manifesto. Translated by Samuel Moore. Chicago: Charles H. Kerr & Co., 1946.

- The German Ideology. Translated by R. Pascal. New York: International Publishers, 1939.

- Selected Correspondence, 1846-1895. Translated by Dona Torr. New York: International Publishers, 1942.

Mattingly, Garrett. Renaissance Diplomacy. Boston: Houghton Mifflin Co., 1955.

May, Mark. A Social Psychology of War and Peace. New Haven: Yale University Press, 1943.

Mazzini, Giuseppe. Selected Writings. Edited by N. Gangulee. London: Lindsay Drummond, 1945.

Mead, Margaret. And Keep Your Powder Dry. New York: Wm. Morrow & Co., 1942.

- Coming of Age in Samoa. New York: The New American Library, 1949.

- "Warfare Is Only an Invention – Not a Biological Necessity," *Asia*, XL (1940), 402-5.

Mill, James. Essays on Government, Jurisprudence, Liberty of the Press, Prisons and Prison Discipline, Colonies, Law of Nations, Education. Reprinted, by Permission, from the Supplement to the Encyclopaedia Britannica. London, n.d.

Mill, John Stuart. Dissertations and Discussions. 5 vols. New York: Henry Holt and Co., 1874-82. Vols. III and V.

- The Letters of John Stuart Mill. Edited by Hugh S. R. Elliot. 2 vols. London: Longmans, Green and Co., 1910.

- On Liberty, Representative Government, The Subjection of Women. Oxford: The World's Classics, No. 170. London: Oxford University Press, 1946.

- Principles of Political Economy. Edited by J. W. Ashley, from 7th edition of 1871. London: Longmans, Green and Co., 1909.

- Socialism. Edited by W. D. P. Bliss. New York: The Humboldt Publishing Co., 1891.

Milne, A. A. Peace with Honor. New York: E. P. Dutton &: Co., 1934.

Milton, John. The Prose Works of John Milton. 5 vols. London: Henry G. Bohn, 1848-81. Vol. III.

Montesquieu, Charles Louis de Secondat, Baron de la Brede et de. The Spirit of the Laws. Translated by Thomas Nugent. New York: Hafner Publishing Co., 1949.

Morellet, André. Lettres de l'abbé Morellet a Lord Shelburne, 1772-1803. Paris: Librairie Plon, 1898.

Morgenthau, Hans J. "Another 'Great Debate': The National Interest of the United States," *American Political Science Review,* XLVI (1952), 961-88.

- In Defense of the National Interest. New York: Alfred A. Knopf, 1951.

- Politics among Nations. 2d ed. New York: Alfred A. Knopf, 1954.

- Scientific Man vs. Power Politics. Chicago: University of Chicago Press, 1946.

Morgenthau, Hans J., and Kenneth W. Thompson. Principles and Problems of International Politics, Selected Readings. New York: Alfred A. Knopf, 1952.

Morley, John. The Life of Richard Cobden. Boston: Roberts Brothers, 1881.

- The Life of William Ewart Gladstone. 3 vols. New York: The Macmillan Co., 1903.

Morrison, Charles Clayton. The Outlawry of War. Chicago: Willett, Clark & Golby, 1927.

Neumann, John von, and Oskar Morgenstern. Theory of Games and Economic Behavior. Princeton: Princeton University Press, 1944.

Newcomb, Theodore M., and Eugene L. Hartley, eds. Readings in Social Psychology. New York: Henry Holt & Co., 1947.

Nichols, Beverly. Cry Havoc! New York: Doubleday, Doran 8c Co., 1933.

Niebuhr, Reinhold. Beyond Tragedy. New York: Charles Scribner's Sons 1938.

- The Children of Light and the Children of Darkness. New York: Charles Scribner's Sons, 1945.

- Christianity and Power Politics. New York: Charles Scribner's Sons, 1940.

- Christian Realism and Political Problems. New York: Charles Scribner's Sons, 1953.

- Discerning the Signs of the Times. New York: Charles Scribner's Sons, 1946.

- Does Civilization Need Religion? New York: The Macmillan Co.. 1928.

- Faith and History. New York: Charles Scribner's Sons, 1949.

- An Interpretation of Christian Ethics. New York: Harper & Brothers, 1935.

- The Irony of American History. New York: Charles Scribner's Sons, 1952.

- "Is Social Conflict Inevitable?" *Scribner's Magazine*, XCVIII (1935), 166-69.

- Leaves from the Notebook of a Tamed Cynic. Hamden, Conn.: The Shoe String Press, 1956. Original copyright 1929.

- Moral Man and Immoral Society. New York: Charles Scribner's Sons, 1941.

- The Nature and Destiny of Man. 2 vols. New York: Charles Scribner's Sons, 1951.

- Reflections on the End of an Era. New York: Charles Scribner's Sons, 1934.

- The Self and the Dramas of History. New York: Charles Scribner's Sons, 1955.

Niebuhr, Reinhold, and Sherwood Eddy. Doom arid Dawn. New York: Eddy and Page, 1936.

Oliver, F. S. The Endless Adventure. 3 vols. London: Macmillan & Co., 1930-35. Vol. III.

Paine, Thomas. The Complete Writings of Thomas Paine. Edited by Philip Foner. 2 vols. New York: The Citadel Press, 1945.

Partridge, Eric. Here, There, and Everywhere. 2d ed. London: Hamish Hamilton, 1950.

Pear, T. H., ed. Psychological Factors of Peace and War. New York: The Philosophical Library, 1950.

Plato. The Dialogues of Plato. Translated by B. Jowett. 3d ed., 5 vols. London: Oxford University Press, 1892. Vol. V.

Polybius. The Histories. Translated by W. R. Paton. 6 vols. London: William Heinemann, 1922-27. Vol. I.

Popper, Karl. The Open Society and Its Enemies. Princeton: Princeton University Press, 1950.

Readings in the Theory of International Trade. Selected by a Committee of the American Economic Association. Philadelphia: The Blakiston Co., 1949.

Robbins, Lionel. The Economic Basis of Class Conflict and Other Essays in Political Economy. London: Macmillan &: Co., 1939.
- Economic Planning and International Order. London: Macmillan & Co., 1937.

Röpke, Wilhelm. Civitas Humana. Translated by Cyril Spencer Fox. London: William Hodge and Co., 1948.

- The Social Crisis of Our Time. Translated by Annette and Peter Schiffer Jacobson. Chicago: University of Chicago Press, 1950.

Rousseau, Jean Jacques. A Lasting Peace through the Federation of Europe and The State of War. Translated by C. E. Vaughan. London: Constable and Co., 1917.

- Oeuvres complètes de J. J. Rousseau. 13 vols. Paris: Librairie Hachette, 1871-77. Vols. IV and VIII.

- The Political Writings of Jean Jacques Rousseau. Edited by C. E. Vaughan. 2 vols. Cambridge: University Press, 1915.

- The Social Contract and Discourses. Translated by G. D. H. Cole. Everyman's Library Edition. New York: E. P. Dutton and Co., 1950.

Russell, Bertrand. Political Ideals. New York: The Century Co., 1917.

Schorske, Carl E. German Social Democracy, 1905-1917. Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1955.

Schuman, Frederick L. International Politics. 5th ed. New York: McGraw-Hill Book Co., 1953.

Sherwood, Robert E. Roosevelt and Hopkins. New York: Harper & Brothers, 1948.

Shotwell, James. War as an Instrument of National Policy. New York: Harcourt, Brace and Co., 1921.

Simonds, Frank H., and Brooks Emeny. The Great Powers in World Politics. New York: American Book Co., 1939.

Smith, Adam. Adam Smith's Moral and Political Philosophy. Edited by Herbert W. Schneider. New York: Hafner Publishing Co., 1948.

Snowden, Philip. If Labour Rules. London: The Labour Publishing Co., 1923.

Spencer, Herbert. Social Statics, abridged and revised; together with The Man versus the State. New York: D. Appleton and Co., 1897.

Spinoza, Benedict de. The Chief Works of Benedict de Spinoza. Translated by R. H. M. Elwes. 2 vols. New York: Dover Publications, 1951.

Sprout, Harold, and Margaret Sprout. Toward a New Order of Sea Power. Princeton: Princeton University Press, 1940.

Stephen, Leslie. The English Utilitarians. 3 vols. London: Duckworth and Co., 1900. Vol. III.

Stock Market Study. Hearings before the Committee on Banking and Currency, United States Senate, Eighty-Fourth Congress, First Session, on Factors Affecting the Buying and Selling of Equity Securities. March, 1955. Washington: United States Government Printing Office, 1955.

Stourzh, Gerald. Benjamin Franklin and American Foreign Policy. Chicago: University of Chicago Press, 1954.

Strachey, John. A Faith to Fight For. London: Victor Gollancz 1941.

Straight, Michael. Make This the Last War. New York: Harcourt,

Brace and Co., 1943.

Strausz-Hupé, Robert. The Balance of Tomorrow. New York G P. Putnam's Sons, 1945.

Sumner, William Graham. War and Other Essays. Edited by Albert G. Keller. New Haven: Yale University Press, 1911.

Swanton, John. Are Wars Inevitable? Washington: Smithsonian Institute War Background Studies, No. 12, 1943.

Tacitus. The Works of Tacitus. Oxford translation, revised. 2 vols. New York: Harper & Brothers, 1858. Vol. II.

Taft, Robert A. A Foreign Policy for Americans. New York: Doubleday & Co., 1951.

Taft, William Howard. The United States and Peace. New York: Charles Scribner's Sons, 1914.

Tannenbaum, Frank. "The American Tradition in Foreign Relations," *Foreign Affairs*, XXX (1951), 31-50.

- "The Balance of Power in Society," *Political Science Quarterly*, LXI (1946), 481-504.

- "The Balance of Power versus the Co-ordinate State," *Political Science Quarterly*, LXVII (1952), 173-97.

Taylor, A. J. P. Rumours of War. London: Hamish Hamilton, 1952.

Thompson, Kenneth W. "Beyond National Interest: A Critical Evaluation of Reinhold Niebuhr's Theory of International Politics," *Review of Politics*, XVIII (1955), 167-88.

Thompson, W. S. Danger Spots in World Population. New York: Alfred A. Knopf, 1930.

Thucydides. History of the Peloponnesian War. Translated by B. Jowett. 2d ed. London: Oxford University Press, 1900.

Tolman, Edward. Drives toward War. New York: D. Appleton-Century Co., 1942.

Treitschke, Heinrich von. Politics. Translated by Blanche Dugdale and Torben de Bille. 2 vols. London: Constable and Co., 1916.

Trevelyan, Charles. The Union of Democratic Control: Its History and Its Policy. London: Simson & Co., 1919.

Tumulty, Joseph. Woodrow Wilson as I Knew Him. Printed Exclusively for the *Literary Digest*, 1921.

Vagts, Alfred. Defense and Diplomacy. New York: King's Crown Press, 1956.

- "The United States and the Balance of Power," *Journal of Politics*, III (1941), 401-49.

Vattel, E. de. The Law of Nations. 3 vols. The 3d volume is a translation of the 1758 edition by Charles G. Fenwick. Washington: The Carnegie Institution, 1916. Vol. III.

"Vigilantes," Inquest on Peace. London: Victor Gollancz, 1935.

Von Laue, Theodore H. Leopold Ranke, the Formative Years. Princeton: Princeton University Press, 1950.

Walling, William E. The Socialists and the War. New York: Henry Holt and Co., 1915.

Webb, Leicester. "The Future of International Trade," *World Politics,* V (1953), 423-41.

Weber, Max. From Max Weber: Essays in Sociology. Edited and translated by H. H. Gerth and C. Wright Mills. London: Kegan Paul, Trench, Trubner & Co., 1947.

Williams, J. D. The Compleat Strategyst. New York: McGraw-Hill-Book Co., 1954.

Wilson, Woodrow. Woodrow Wilson, Selections for Today. Edited by Arthur Bernon Tourtellot. New York: Duell, Sloan and Pearce, 1945.

Wolfers, Arnold, and Laurence W. Martin, eds. The Anglo-American Tradition in Foreign Affairs. New Haven: Yale University Press, 1956.

Woolf, Leonard, ed. The Intelligent Man's Way to Prevent War. London: Victor Gollancz, 1933.

Wright, Quincy. "Realism and Idealism in International Politics," *World Politics,* V (1952), 116-28.